ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტი
ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია

ამერიკისმცოდნეობის 21-ე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია

ეძღვნება მეიფლაუერის ხელშეკრულების დადების მე-400 წლისთავს

2020

Institute of American Studies at Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The Georgian Association for American Studies

21th International Annual Conference on American Studies

The 2020 Annual conference of the American Studies is dedicated to ***the 400th Anniversary of the Signing of the Mayflower Compact***

2020

მივესალმები ამერიკისმცოდნეობის 21-ე საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეებს. ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე ღონისძიების ჩატარება კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა, თუმცა, კონფერენცია განსხავებულ ფორმატში მაინც ტარდება, რაც ჩვენი ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტისა და მთლიანად ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თანამშრომლების დიდი ენთუზიაზმის და დაუღალავი მუშაობის შედეგია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პირველი უნივერსიტეტია საქართველოში, სადაც მრავალი წელია მთლიანად ამერიკის მეცნიერული შესწავლა და კვლევა მაღალი ხარისხით მიმდინარეობს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორის, ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიისა და თანამედროვეობის შესწავლა და გაანალიზება.

მოხარულები ვართ, რომ რეგიონის მასშტაბით, ამ დარგის განვითარებაში თსუ-ს დიდი წვლილი შეაქვს. მეტად საინტერესო თემატიკას ეძღვნება წლევანდელი კონფერენცია. 400 წლის წინ გემ მეიფლაუერზე მყოფი ადამიანების სულისკვეთება გახლავთ შემდგომში ამერიკული დემოკრატიის ერთ-ერთი მახასიათებელი. კიდევ ერთხელ მსურს მივესალმო კონფერენციის მონაწილეებს.

ვიმედოვნებ, რომ მომავალ წელს შევძლებთ კვლავ ტრადიციულ ფორმატში შევხვდეთ ერთმანეთს. წარმატებას გისურვებთ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი,

გიორგი შარვაშიძე

Welcome the participants of the 21st conference on a American Studies.

Because of the epidemic situation in Georgia we were not quite sure whether it would possible to hold this event. Nevertheless, the conference is being held, though in a different format thanks to enthusiasm and hard work of the members of the Institute of American Studies and the Faculty of Humanities.

Tbilisi State University is the first one in Georgia that carries out research on America on a high level.It is considered particularly important to study the past and modern history of our strategic partner, the US.

We are happy that Tbilisi State University has made a vast contribution to the development of this field at the regional level. This year, our conference is dedicated to a very interesting topic. The spirit of 400 men, made a treaty on the ship Mayflower is one of the most important characteristics of the American Democracy.

I would like to greet the conference participants once again and hope that we will meet each other in usual format next year .

I wish you all the success

Rector of the Tbilisi State University,

Georgi Sharvashidze

ძვირფასო მეგობრებო, კოლეგებო და სტუდენტებო,

მინდა ამერიკისმცოდნეობის 21-ე საერთაშიროსო კონფერენცია გახსნილად გამოვაცხადო. რა დროსაც ვგეგმავდით ანუ 28 მაისს იმ დღესვე გავხსენით, მაგრამ როგორც ვგეგმავდით, ისე არ გამოვიდა. ვერაგმა ვირუსმა მთელ მსოფლიოს აურ-დაურია გეგემები და რა გასაკვირია, რომ ჩვენც, ამერიკისმცოდნეებსაც შეგვეხო ეს ამბავი. ასე რომ, ტრადიციულად, 100 – 150 მონაწილის შეხვედრა და შეკრება ერთ დარბაზში გამოირიცხა. მსგავს რისკს ჩვენგან არც საქართველო და არც ამერიკა არ მოითხოვს. ასეთ ვითარებაში ვერც ტრადიციულ საპატიო სტუმარს აშშ-ის ელჩს დავპატიჟებდით, თუმცა განსაკუთრებული სურვილი გვქონდა ამერიკის ახალი ელჩი ქალბატონი დეგნანი მოგვეწვია. საქართველოში ამერიკის თითქმის ყველა ელჩს ვიცნობდი პირადად, ზოგიერთთან ვმეგობრობდი კიდეც, როგორც დიპლომატი და მერე როგორც ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტის ხელმძღვანელი. ქალბატონ დეგნანს კი სამწუხაროდ დღემდე არ შევხედრივარ. ჯერ კიდევ ხანმოკლე მოღვაწეობის მიუხედავად, მისი უაღრესად აქტიური, საქართველოსადმი კეთილგანწყობილი და წარმატებული საქმიანობიდან გამომდინარე, მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოში შეერთებული შტატების ელჩების ღირსეულ კოჰორტას, ღირსეული ახალი ელჩი შეემატა. იმედს ვიტოვებ, რომ იგი ქართულ-ამერიკულ ურთიერთობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ციტადელს, თსუ ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტსაც ეწვევა და თავის მადლიან ხელს დაატყობს ჩვენს ტრადიციულად წარმატებულ თანამშრომლობას საელჩოსთან.

მაგრამ, საბედნიეროდ, ჩვენი რექტორი ბატონი გიორგი შარვაშიძე როგორც ყოველთვის ჩვენთანაა და უდიდესი მადლობა მას.

სამწუხაროდ, როგორც მოგახსენეთ, დღეს ჩვენი შეხვედრა, როგორც ახლა ამბობენ, ,,ლაივში'' არ მოხერხდა. მაგრამ არც კონფერეციის ჩაშლა ან გადატანა გვინდა, მსოფლიო

კორონავირუსის ჯინაზე და მისი გულის გასახეთქად. ამიტომაც გადავწყვიტედ კონფერენცია სხვა ფორმატში ჩაგვეტარებინა. საგანგებო ვითარება - საგანგებო ფორმატები. კონფერენციაზე გამოგზავნილ მოხსენებებს ჩვენ, როგორც ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტის, ასევე თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებგვერდზე განვათავსებთ და ყველა მსურველს ექნება მათი გაცნობის საშუალება. ანუ თეორიულად ეს უფრო დემოკრატიული გზაცაა, ვინიადან მანამდე მოხსენებებს მხოლოდ დამსწრეთა შეზღუდული, პრივილეგირებული წრე უსმენდა. ვინ იცის, ამ მეთოდმა თუ გაამართლა, მომავლში უკვე ჩენი კონფერენციების ტრადიციულ ფორმატს ეს სიახლეც დავუმატოთ. კონფერენციის ამ უჩვეულო და მძირე გარემოში მომზადების ძირითადი ტვირთი ჩვენი ინსტიტუტის ასისტენტ პროფესორს მიხეილ ბარნოვს დააწვა და განასკუთრებული მადლობა მას. როგორც ყოველთვის ამჯერადაც საკმაოდ მრავალფეროვანი მოხსენებები გვაქვს. თუმცა რაოდენობ,ა არსებული ვითარებიდან გამომდინარე, შედარებით მცირეა. არაუშავს ქართველებსაც და ამერიკელებსაც ამ ვირუსზე უფრო ძლიერი მტერი დაუმარცხებიათ. ამჯერადაც ასე იქნება და იმედს გამოვთქვამ, რომ მომავალ მაისს იდაყვის მეშვეიბით კი არა, დალოცვილი ხელისჩამორთმევით შევხდებით ერთმანეთს თსუ-ს კედლებში.

თსუ ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტის ხელმძღვანელი,

ვასილ კაჭარავა

Dear Friends, Colleagues and Students,

I want to announce the 21st international conference of American Studies officially open, the day it was planned, on May 28. Unfortunately, due to the global pandemic, which changed plans around the world, it's not exactly the way we imagined. We, for sure, will not have 150 participants appearing in one hall. Neither US nor Georgia is asking for such a risk.

In the give situation, we also won't have our traditional guest - the US ambassador, despite our immense desire to have Mrs. Degnan this year.

I personally knew almost every US ambassador to Georgia, and had good friendships with some of them, as a diplomat and as head of American Studies in TSU.

Unfortunately, I did not have a chance to meet Honorable Kelly C. Degnan so far. Her exceptionally successful activity in a very short period of time and benevolence towards Georgia make her a worthy addition to an already worthy cohort of American ambassadors in Georgia. I hope someday she will visit the Georgian-American relations one of the most important citadels, the Institute of American Studies at TSU, and have a positive influence on fruitful cooperation between the US embassy and us.

But our Rector as always is with us and great thanks to him.

Unfortunately, as mentioned above, we are unable to host our traditional event in the original format. However, we don't want to postpone or abolish the conference. Considering all the recommendations and existing restrictions, we will post all the articles sent on the webpage of American Studies, and also on TSU's website of Faculty of Humanities, and everyone will have access to the materials.

Honestly, we think that this is a more democratic approach, since before the articles were limited to only those people who attended the conference in the designated sections. If this method works out, we would be happy to add this formate in addition to the traditional one. The heavy burden of preparation for this untraditional circumstance was all on our assistant professor Mikheil Barnovi, and I would like to give exceptional thanks to him.

As always, this year is no exception, and the materials of our exhibitors are incredibly diverse and exciting. However, the downside is that number is lower than in previous conferences due to the pandemic.

But we think that the US and Georgia have faced more significant challenges than COVID19 and that we will soon get back to what we used to call normal and open next year's conference with a traditional handshake, rather than a greeting with the elbow.

Vasil Kacharava
TSU, Institute of American Studies, Head



Michael Aaron Rockland is Professor of American Studies at Rutgers, the State University of New Jersey and the author of some 16 books. He has lectured in Georgia twice in the past. His early career was in the United States Diplomatic Service, where he served in several countries as a cultural attaché.

Key speaker: Michael Aaron Rockland

AMERICAN EXCEPTIONALISM

You never ask questions

When God's on your side

[Bob Dylan, "With God on Our Side"]

The reader may recall that when President George W. Bush was asked by the media in 2003 if he, a relative novice in political life, had consulted with his very experienced father, President George H. W. Bush, before invading Iraq, he answered, "No, but I consulted with my Father in Heaven." Clearly the younger Bush believed that God, as Bob Dylan alleges about Americans in general in his song "With God on Our Side," supported his decision. Believing that God is on your side, especially favoring your nation over other nations, is at the core of American exceptionalism.

Of course, most, if not all, countries and even some ethnic groups and religions have some exceptionalist notions about themselves. The Chinese, for example, have traditionally believed that their country is at the center of the earth and that their civilization is inherently superior.

The Hopi Indians in the American Southwest also believe that their tribe is at the world's center and that all of civilization radiates from that center. Some years ago, when President Barack Obama was asked about American exceptionalism, he suggested that the British must believe in British exceptionalism, the Greeks in Greek exceptionalism, and other nations similarly believe that they have characteristics that make them different and special. Thus, to a certain extent, Obama suggested, exceptionalism is a natural, and perhaps even universal, phenomenon. He went on to say that he believed not only the United States but "all nations are exceptional." But by "exceptional" he did not mean "superior," just different, and that many of these differences deserved to be celebrated.

But there is considerable disparity between believing that one's nation has distinguishing characteristics than believing that the deity favors it over all others. When someone like Bush says God favors actions they have taken or are about to take, they are likely to be a menace to other nations if not the world. So some exceptionalism may be seen as benign, pride in one's country, other exceptionalism as malignant or the notion that one's country is superior to others. Benign exceptionalism expresses itself as patriotism, malignant exceptionalism as nationalism. Among my innumerable disagreements with our current president, Donald Trump, is that he sees nationalism and patriotism as one and the same, a sentiment with which I wholeheartedly disagree.

One can see relatively benign exceptionalism in the way nations present themselves on maps of the world. American maps present the world with the United States at its very center. But we are not the only ones. I have seen Argentine maps with that country, and even Antarctica below it, at their center. And I have also seen a map of New Zealand with that country at the center of the world and, in addition, the map is from an American perspective upside down. Of course "upside down" is a silly concept when applied to a spherical planet rotating and speeding through space. Realistically, there is no right side up or down.

A sense of superiority would be an example of malignant exceptionalism. The murderous Nazis, with their Master Race concept, had a very strong notion of such "exceptionalism." They believed that they were entitled to kill or enslave much of the rest of the world because they

were "superior" to it. Nazi soldiers during the World War II period even had inscribed on their belt buckles the words "*Gott Mit Uns,"* which means "God is With Us" This suggests that any nation claiming that God is on their side, whether Nazis or George W. Bush with his Iraq War, should automatically be suspect and resisted. The Japanese during the 1930s and World War II period also were so imbued with a sense of their own virtue that using innocent conquered Chinese for bayonet practice in Nanking seemed to them perfectly junstified. Going back in time, Christian crusaders massacred everyone in their path, Jews, Muslims, and others, "in God's name."

In these perilous times a notion of one's exceptionalism, when what is meant by that is one's "superiority," may actually interfere with correcting the ills of a society because if you are superior, why bother? Many Americans carry around the notion that we are #1. In what one might ask? Perhaps in gross national product and in individual wealth. Perhaps in military strength as well. But in the really important indices the United States is not #1 at all, far from it. I would consider the two most important indices to a nation's enlightenment, progress, and sustainability, not to mention its humanity, to be health and education. In health (including longevity and such issues as pre-natal care of women and birth defects) we rank 15th in the world, and in education, 16th.[i] During the George W. Bush administration the United States which, at the beginning of his term ranked #1 in the world in the percentage of high school graduates who went on to earn college degrees, went from #1 to #12 in just those eight years.

Part of the American exceptionalism myth is the belief that ours is a society in which all are more or less well to do. Americans like to believe that ours is a classless society because we have no inherited aristocracy. But we carry this forward to the belief that we have no rich or poor, we are all middle class. And with jeans being our national costume it is almost impossible to tell what most people's economic and social status may be based on their dress. The billionaire

founder of Facebook, Mark Zuckerberg, routinely dresses in jeans and a hoodie sweatshirt. A similar figure, Steve Jobs of the Apple Company, always dressed in jeans and a black "T" shirt.

While Americans like to pretend that there are no real class distinctions in our society, we certainly have an aristocracy of wealth, and millions of Americans have been and are poor. Today, a higher percentage of Americans are living below the poverty line than at any time since the Great Depression of the 1930s. The number of Americans considered middle class by objective, economic standards has markedly diminished, and, at the same time, the number of millionaires and even billionaires has skyrocketed, partly because of economic deregulation practices ruinous to the economy as a whole.

We may have a good deal of private affluence in the United States, but it is accompanied by considerable public squalor. It is not only untrue but counterproductive and, perhaps, even dangerous for Americans to believe in their own exceptionalism in this regard. Karl Marx spoke of religion being the opiate of the people. It may be that this kind of exceptionalism, unrestricted capitalism, is the particular opiate of Americans.

As suggested earlier, all countries, including Georgia no doubt, believe themselves to be special, with certain unique characteristics, and indeed they are, but the United States would seem to be an extreme case. We have this consciousness of having a special dispensation from God who, many Americans believe, is particularly sympathetic to Americans. In our song "America the Beautiful" appears the line "*America, America, God shed his grace on thee.*" Simply from a theological perspective, one might question what kind of god would favor one nation over other nations? Nevertheless, many Americans seem to believe that, from the deity's point of view, the United States is in one category and all other nations in another.

The theology of a religion whose origins are entirely in the United States, Mormonism, emphatically demonstrates this point. Mormonism, while a species of Christianity, believes that when, as Christians believe, Jesus was resurrected, he came to America "to be with his people." For Mormons, the indigenous people here, the Indians, were actually the Ten Lost

Tribes of Israel. So, from a Mormon perspective, America is exceptionally exceptional. This may account for why Mormonism is the fastest growing Christian sect in the United States.

A corollary to exceptionalism is the concept of "The American Dream," as if only we have a dream of happiness and prosperity. What may be different about the United States is that, given the hard times we have gone through in recent years, some Americans see our problems as punishment meted out to us for not following in God's ways. As an example, the evangelical minister Pat Robertson felt that the 9/11 attack on the World Trade Center in 2001 was God's punishment for the increasing tolerance and acceptance of gays and lesbians. Sarah Palin, the Republican Vice Presidential candidate in 2008 was quoted as saying, "It would be wise of us to start seeking some divine inspiration again in this country so that we can be safe and secure and prosperous."[ii] Note the use of the word "again," as if to suggest that seeking divine inspiration is a common way for Americans to address their problems and that God is particularly receptive to their desires and prayers. One of Palin's right wing followers responded at one of her rallies by shouting "She is absolutely right. After all, Jesus wrote the United States Constitution." [iii] One wonders what Thomas Jefferson, Alexander Hamilton, and James Madison, key drafters of that document, might have thought of such a statement.

Tom Friedman, the prominent *New York Times* columnist, had this to say about Palin and her followers: Americans are now fighting over how 'exceptional' they are" and denouncing President Obama for denying that America is more exceptional than all other countries." One of the ironies of the term "American exceptionalism" is that it was coined in 1927 by a certain Jay Lovestone, a member of the Communist Party. Friedman continues by saying "Americans tend to replace working to *be* exceptional with talking about how exceptional they are. But you can't declare yourself 'exceptional,' only others can say that about you."[iv]

But Americans have had a particular tendency to say and believe this about themselves. Beginning with the Pilgrims, Governor Winthrop told his fellow passengers on the Mayflower,

"We are engaged in a voyage that God himself not only has approved but in which he is participating." And referring to St. Augustine, Winthrop said that America "would be God's country, a city on a hill, the eyes of all people upon us." Herman Melville echoed these

sentiments in his novel, *White Jacket,* where he wrote, 'We Americans are the peculiar, chosen people—the Israel of our times; we bear the ark of the liberties of the world."[v] And closer to our own time, Colin Powell, Secretary of State during the first term of the George W. Bush administration, asserted, "America is a country, . . .that exists by divine providence." [vi]

There are many Americans today who refer to the United States as "God's country." While there may be a bit of good in America's notions of its specialness—it may account for the fabled American optimism—it can also lead to a certain parochialism and smallness of spirit, notto mention unwise political and military choices, while also hampering economic and social wellbeing. For if America is God's country, little may be required to improve our situation or that of the world since God is taking care of things for us—a dangerous and self-defeating idea to say the least.

The concept of "manifest destiny" under which Euro-Americans conquered and destroyed native peoples, and under which, at the conclusion of a purely imperialist war, we made off with half of Mexico—what is now California, Arizona, New Mexico and part of Nevada—depended on the notion of the United States as a providential country whose actions, however aggressive, had God's blessing. "Manifest," after all, suggests something self-evident, and preordained—therefore, the idea and handiwork of God.

The Iraq War, following the Vietnam War created a new interest among scholars in the American exceptionalism issue—partly because in both case the U.S. proceeded largely in a unilateral fashion, with little if any approval from the rest of the world. These events were instrumental in helping America to begin to question whether it was indeed God's country or as subject to error as any other country. Among the most important books on the subject was that by the British scholar, Godfrey Hodgson, *The Myth of American Exceptionalism.* In an interview about the book in *The Chronicle of Higher Education,* Hodgson confessed to being an admirer of the United States but "increasingly unhappy about the militaristic tone of American public life." He went on to refer to George W, Bush as "the exceptionalist par excellence and added that under Bush's leadership Americans had become attached to a national ideology that

cast them as "redeemers of a sinful world" He added that it was simply not healthy "for a society to believe things about itself that weren't true. "[vii]

Hodgson felt that America had no justification for feeling morally superior to Europeans or other peoples when it had increasingly become not "the solution of the world's problems but inno small measure the problem itself." Hodgson argued, and I fully agree, that the 2003 Iraq War, fostered by the George W. Bush administration, was the single greatest military and diplomatic error in all of American history.

What then are we to make of former Speaker of the House of Representatives, Newt Gingrich's regular attacks on President Obama for, as he put it, "denying exceptionalism," as if to do so was irreligious and unpatriotic. And Gingrich was joined by others, including Donald Trump, in insisting that Obama was not a "real American," not only because they continued to insist that he was not born in the United States (a requirement for the presidency) but because they felt he did not sufficiently appreciate the United States as not only different from but also better than other nations. Of course this was ridiculous; Obama was born in the state of Hawaii, and as someone half African-American, it might be argued, had a particular dedication to America becoming the nation of our dreams.

One book that argued Gingrich's and Trump's point over and over was titled *The Post-American Presidency:The Obama Administration's War on America.* The book alleged that not only did Obama reject American exceptionalism but, in doing so, was intent on destroying the very country he led. The author of the book, Pamela Geller, argued that even if Obama was technically born in the United States, he spent so much of his youth in Indonesia that he did not understand America. "You have to grow up in America to *get* [that is, to understand] America," she writes. Of course, quite the opposite argument can be advanced: that it is precisely Obama's experience of other nations as a youth that prepared him better than most presidents who lack his global experience and the ability to see the United States and its problems from a fresh perspective—not to mention that having an appreciation for the culture of other countries might be the *sine qua non* of any statesman dedicated to seeking world peace.

Whether Palin, Gingrich, Trump,, and Geller are correct that Obama rejected American exceptionalism if that connoted some sort of superiority, I certainly welcomed his doing so. It is a pernicious concept that has done America and the world much harm.

Rejecting exceptionalism when it connotes superiority in no way undermines optimism. Obama was an optimist, but he was also a realist. Optimism mitigated by realism has its uses. If You believe something good will happen there is a greater likelihood that it *will* happen partly as

a kind of self-fulfilling prophecy. But to be clear: optimism is not exceptionalism when the latter connotes superiority. As suggested earlier, the difference between the two is very much like the difference between patriotism and nationalism. Patriotism is simply pride in one's country, anemotion salutary to both individuals and nations. Nationalism has ugly characteristics. It goes beyond pride in one's nation to believing that is better than other nations. Nationalism is essentially chauvinism, and it can reach vicious proportions.

There is considerable malaise in the United States today. A goodly portion of it may be a questioning of American exceptionalism in the light of a damaged economy, the continuing threat of terrorism, and foreign wars in which many Americans do not believe. And as I write this, the United States is the number one nation where the Corona Virus has taken effect.

My hope is that this present malaise may prove helpful. If Americans are beginning to wonder whether we are exceptional people at all, this may augur well for the maturing of our civilization—especially if maturity may be defined as recognition of one's limitations. Godfrey Hodgson has said, and I agree, that the Iraq war (or shall we say America's unwarranted Invasion of Iraq) was a "horrible disaster," but it may prove to change America's ideas about itself in a positive way. [viii] We could use a bit of humility.

Perhaps we will address our problems more realistically if we give up the notion that God is eternally on our side—something to be welcomed not only by many Americans but by the rest of

the world as well. The concluding lyrics of Bob Dylan's song, "With God on Our Side," say it very well:

If God's on our side

He'll stop the next war.

---

[1] "America's Rank Drops in Life Expectancy, Education and Health Care," Contributor Report Itobin, 53,
All Voices, July 3, 2012

[2] "Jesus is our Palm Pilot," *The Wisdom of a Distracted Mind, February 8, 2010*

[3] An anonymous man at a Palin rally reported by "The Situation Room," CNN Television, January 12, 2012

[4] From "WikiChina," *New York Times,* December 1, 2010, 33.

5 Boston, L.C.Page and Co.,1892 edition of Melville's Complete Works, 239.

6 Speech at the convention of the Republican Party, Augustss 12, 1996

7"America's Deluded Sense of Self," an interview conducted by Evan R. Goldstein, The Chronicle Review, '
January 9,2009, B12,13

8 *Ibid,* p. B13

Literature

1. Bacevich, A.J. The Limits of American Power: The End of American Exceptionalism, New York: Henry Holt, 2008

2. Baritz, I , God's Country and American Know-How, New York{ William Morror, 1985

3. Geller, P. The Post-American Presidency: The Obama Administration's War on America, New York: Simon and
Schuster, 2010

4. Hodgson, G. The Myth of AmericanExcepionalism, New Haven: Yale University Press, 2009

5. Lipset, S.M. American Exceptionalism: A Double-Edged Sword, New York: W.W. Norton, 1996

6. Pease, D.A. The New American Exceptionalism, Minneapolis: University of Minnesota Press,2009

კონფერენციის პროგრამა

სექცია: არქიტექტურა

ანა რატიანი - არქიტექტურის დოქტორანტი

ამერიკის ეროვნული პარკების ფორმირების ისტორია და თანამედროვე მიდგომები საქართველოს ეროვნული პარკების განვითარებაში

Ana Ratiani-PhD student, Georgian Technical University

History of the Formation of American National Parks and Modern Approaches to the Development of Georgian National Parks

მზია მილაშვილი-პროფესორი, არქიტექტურის დოქტორი,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ვალერი მჭედლიშვილი-პროფესორი, არქიტექტურის დოქტორი,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ამერიკელ ქალთა ბრძოლა სოციალურ-უფლებრივი სტატუსის მოსაპოვებლად

Mzia Milashvil-Professor, Georgian technical University

Valeri MtchedliSvili -Associate Professor

The struggle of American Women to Gain Socio-Legal Status

მაია დავითაია-პროფესორი, აკადემიური დოქტორი,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

„ქალაქ ნიუ-იორკის მთავარი მშენებელი“-რობერტ მოზესი და მისი ურბანული ინოვაციები

Maia Davitaia-Professor, PhD, The Georgian Technical University, Georgia, Tbilisi

Robert Moses and his Urban Innovations – The Main builder of New York City

სექცია: განათლება, ეკონომიკა, სოციალური საკითხები, საჯარო პოლიტიკა

იოსებ მასურაშვილი-ეკონომიკის დოქტორი

ანა მასურაშვილი-BBA, MScs

ამერიკის ბიზნესის მენეჯმენტის ანალიზი Covid19-ის პირობებში

Ioseb Masurashvili, PhD

Ana Masurashvili, BBA, MScs

American Business Management Analysis under Covid19

თამარ გვენეტაძე-საქართველოს უნივერსიტეტის და

კავკასიის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი

კორონავირუსისგან გამოწვეული ცვლილებები მომხმარებლების ქცევაში

Tamar Gvenetadze-Visiting Lecturer, Georgian University, Caucasus University

Changes in Consumer Behavior due to Corona virus

ნინო დონაძე-ამერიკისმცოდნეობის დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის

ბლუმის ტაქსონომიის გამოყენება ამერიკულ სკოლებში (შეერთებული შტატების ისტორიის სწავლების მაგალითზე)

Nino Donadze-Phd Student, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Using Bloom's Taxonomy in America n Schools (Considering the Practice of Teaching the History of the United States)

ნინო ხურცილავა-პოლიტიკის მეცნიერებათა მაგისტრი (Mgr.), მასარიკის უნივერსიტეტი, ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი (MBA), მოწვეული ლექტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

პოლიტიკური ლობირების მსგავსებები, განსხვავებები და შედეგები აშშ-სა და საქართველოში: შედარებითი ანალიზი

Nino Khurtsilava-MA, Political Science ,Masaryk University MBA, Ilia State University,Invited Lecturer at Georgian National University

Affinities, differences and consequences of Political Lobbying in The USA and Georgia: A Comparative Approach

რევაზ ლორთქიფანიძე-პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

მომავალი ბიოფიზიკური (მატერიალური) და ფსიქოლოგიური (არამატერიალური) მენეჯმენტი ამერიკული გამოცდილების ჩემი "ინოვაციებით"

Revaz Lordkipanidze-Doctor of Economics, Professor (Geomedi, GTU), Academic of the Georgian Academy of Economic Sciences and the Russian Academy of Natural Sciences, with the highest grade in the Harvard University course "US Government"

The Future Biophysical (Material) and Psychological (Nonmaterial) Management by the American Experience with my "Innovations"

გიორგი გოცირიძე -ივანე ჯავახიშვილის სახ.თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პოლიტკორექტულობა და ამერიკული ფემინისტური დისკურსი

Giorgi Gotsiridze -Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Political Correctness and American Feminist Discourse

სექცია: ემიგრაცია

ირმა კეცხოველი-პროფესორი ,საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გივი გაბლიანი და მეორე მსოფლიო ომი

Irma Ketskhoveli-Professor, Georgian Technical University

Givi Gabliani and the Second World War

მაია ცერცვაძე-ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გრიგოლ რობაქიძის პირადი წერილები გიორგი გამყრელიძისადმი

Maia Tsertsvadze-Associate Professor, PhD in History

Personal letters of Grigol Robakidze sent to Giorgi Gamkrelidze

მარიამ მარჯანიშვილი-ფილოლოგიის დოქტორი, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი

26 მაისი ჟურნალ „ბედი ქართლისას“ ფურცლებზე

Mariam Marjanishvili-Doctor of Philology,Scientific worker, Kutaisi State Historical Museum

May 26 on the Pages of “Bedi Kartlisa”

რუსუდან ნიშნიანიძე- ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სანტიაგო დე ჩილეში გამოცემული ქართული კრებული -ერთი მითოსური პარადიგმა

Rusudan Nishnianidze- Professor , Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Georgian Poetry Collection Published in Santiago de Chile – One Mythical Paradigm

რუსუდან დაუშვილი-თსუ მოწვეული პროფესორი

26 მაისი და ნიუ-იორკის ქართული ემიგრაცია

Rusudan Daushvili-PhD, Visiting Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

26 May and Georgian Association in New York

სექცია: ისტორია

Tatyana S. DENISOVA -PhD (History), Leading Research Fellow, Head of the Centre for Tropical Africa Studies Institute for African Studies, RAS

The US and Nigeria: Counter-Terrorism Cooperation

ანა მოსაშვილი-ამერიკისმცოდნეობის დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართულ-ამერიკული პოლიტიკური და სამხედრო თანამშრომლობა 1997-2000 წწ.

Ana Mosashvili-Phd Student, American Studies, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Georgian- American Political and Military Cooperation in 1997-2000

ბექა კუჭუხიძე-ამერიკისმცოდნეობის მაგისტრანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აშშ-ის გავლენა 21-ე საუკუნის ლათინურ ამერიკაში

Beka Kutchukhidze-MA Student, American Studies, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The U.S. Influence in Contemporary Latin America

ვასილ კაჭარავა-ისტორიის დოქტორი, პროფესორი, ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რონალდ რეიგანი, რომის პაპი და პოლონეთის საკითხი

Vasil Kacharava-PhD, Professor, Head of the Institute of American Studies, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Ronald Reagan, The Pope and the Issue of Poland

თამთა ზაქარაშვილი -ამერიკისმცოდნეობის დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნეოკონსერვატიზმი და მისი გავლენა აშშ-ის საგარეო პოლიტიკაზე (1990-2000 წწ)

Tamta Zakarashvili-PhD student, American Studies ,Ivane Javakshivisli Tbilisi State Unviersit

Neoconservatism and its influence on the USA foreign policy (1990-2000)

თემურ ქარელი- ისტორიის მეცნიერების კანდიდატი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი

ისტორიის ციკლები: გენერაციის პრობლემების კვლევა ამერიკის შეერთებულ შტატებში

Temur Kareli -Candidate of Historical Sciences , Researcher at the Institute of Political Science, Ilia State University

History Cycles: Research on Generation Problems in the United States

ელენე მეძმარიაშვილი-ივანე ჯავახიშვილის სახელობის ,თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი

მელანია ტრამპი - შეერთებული შტატების პირველი ქალბატონი

Elene Medzmariashvili-Head of MA and PhD Programs, American Studies, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Melania Trump – The First Lady of the United States

მიხეილ ბარნოვი-ისტორიის დოქტორი, ასისტენტ პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საზღვრის გაქრობა მონტანაში (1864-1889)

Mikheil Barnovi- PhD, Assistant Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Vanishing Frontier in Montana (1864-1889)

მარიამ ლაზარაშვილი- ამერიკისმცოდნეობის დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამოქალაქო უფლებების მოძრაობა და ამერიკელი ებრაელები: მიზნები და მოლოდინები

Mariam Lazarashvili-PhD Student, American Studies, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Civil Rights Movement and American Jews: Goals and Expectations

ომარ წერეთელი-ამერიკისმცოდნეობის დოქტორანტი,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მიერ დამტკიცებული 2019 წლის სამხედრო ბიუჯეტი და საქართველო

Omar Tsereteli-PhD Student, American Studies, Ivane Javakhisvhili Tbilisi State University

Georgia in the U.S. Military Budget for 2019 signed by President Trump

მარინე ჩანგიანი-ამერიკისმცოდნეობის დოქტორანტი,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს პრემიერ - მინისტრების ოფიციალური ვიზიტები აშშ-ში და პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციასთან შეხვედრები

Marine Changiani-PhD Student, American Studies, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Official visits of Prime Ministers of Georgia to the USA and meetings with President Donald Trump's administration

გიორგი ლაბაძე-ამერიკისმცოდნეობის ს მაგისტრანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტრამპიზმი როგორც ფენომენი (2015-2020)

Giorgi Labadze-MA Student, American Studies, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Trumpism as a Phenomenon (2015-2020) Summary

ქეთევან როსტიაშვილი -პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მოწვეული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აშშ-ს 2017 წლის ერვონული უსაფრთხოების სტრატეგია და კორონავირუსის გამოწვევები

Dr. Ketevan Rostiashvili-Visiting Professor , Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The U.S. National Security Strategy 2017 and Covid19 Challenges

მარიამ ხატიაშვილი-ამერიკისმცოდნეობის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,მოწვეული ლექტორი

სახალხო დიპლომატია რონალდ რეიგანის სტრატეგიულ ხედვაში

Mariami Khatiashvili-PhD, Visiting Lecturer, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Public Diplomacy and Ronald Reagan's Strategic Vision

სექცია: კულტურა

ანა კვინიკაძე-ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევების (თეატრმცოდნეობა) დოქტორანტი, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

სუზან გლასპელის „წვრილმანები", როგორც ფემინისტური დრამის მაგალითი

Ana Kvinikadze-PhD student of Art studies ,Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University

Susan Glaspell's "Trifles" as an Example of Feminist Drama

გიორგი რაზმაძე-ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, მოწვეული ლექტორი საქართველოს
შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერისტეტში

გაადგილოვებრივობის მოტივი პოკაჰონტასის მითის ეკრანიზაციებში

Gorgi Razmadze-PhD in Art History and Theory, Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University

The Motive of Going Native in the Screen Adaptations of the Pocahontas Myth

---

ელენე გოგიაშვილი-ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწფო უნივერსიტეტი

კონკიას ზღაპრის ეკრანიზაციები ამერიკულ კინემატოგრაფიაში

Elene Gogiashvili-PhD in Philology, Associate professor, Ivane Javakhisvhvili Tbilisi State University

The Film Versions of the Cinderella Tale in American Cinema

თამარ ცაგარელი- თეატრმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

მიმეზისიდან კათარზისამდე

Tamar Tsagareli-Theatre Studies, PhD, Associate professor, Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University

From Mimesis to Catharsis

ლაშა ჩხარტიშვილი- ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, საქართველოს შოთა რუსთველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

შურისძიების შედეგი და მისი პერსპექტივა (არტურ მილერის „სეილემის პროცესი“ მომზარდ მაყურებელთა თეატრში)

Lasha Chkhartishvili-Doctor of Arts, Associate Professor , Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University

The result of revenge and its perspective (Arthur Miller “salem process” in the youth theatre)

ლელა ოჩიაური- ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ახალი მიწების „ათვისება“ - როგორც სამოთხის/თავშესაფრის ძიების მეტაფორა - ამერიკულ და ქართულ კინოში

Lela Ochiauri-PhD in Art Studies; Professor , Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University

Exploration of New Lands -a Metaphor for the Search for Paradise / Shelter - in American and Georgian Cinema

ლელა წიფურია -ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„ერთხელ ჰოლივუდში“, ანუ კიდევ ერთხელ კინო კინოში

Lela Tsifuria-PhD in Art History and Theory, Assistant Professor, Ivane Javakhishvili Tbilisis State University

„Once Upon a Time... in Hollywood...“ or Ones Again the Movie in the Movie

მარინე (მაკა) ვასაძე-ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი

ედვარდ ოლბის პირველი პიესის თანამედროვე ქართული ინტერპრეტაცია

Marina (Maka) Vasadze-PhD in Art History and Theory, Associate Professor ,Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University

Modern Georgian Interpretation of Edward Albee's First Play

მარიამ ყაყიტაშვილი-ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორანტი,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანტი-ესთეტიკა და ახალი ესთეტიზმი, რატომ არ არის პოპ-არტი ნეო-დადაიზმი

Mariam Kakitashvili-PhD Student, Art History and Theory, Ivane Javakhisvhili Tbilisi State University

Anti-Aesthetics and New Aestheticism

სექცია: ლიტერატურა

ნანა გაგუა-ამერიკისმცოდნეობის დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სილვია პლათის ცხოვრება როგორც პოეზია ლექსების კრებული „კოლოსი“

Nana Gagua-PhD Student, American Studies, Ivane Javakhisvhili Tbilisi State University

Sylvia Plath life As Poetry, her poetry collection "The Colossus"

ვალერიან დოლიძე -დოქტორი, ასისტენტ პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველო და საბჭოთა კავშირის პოლიტიკა კორლის ლამონტის მემარცხენეულ დისკურსში

Valerian Dolidze -PhD, Assistant Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Georgia and the National policy of the Soviet Union in the Leftist Discourse of Corliss Lamont

თამილა დავითაძე, ასისტენტ პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„ამერიკული ოცნება“ ფილიპ როთის რომანებში (რომანებზე -„ამერიკული პასტორალი“, „ჩემი ქმარი კომუნისტია“, „ადამიანური ლაქა“ დაყრდნობით)

Tamila Davitadze-Assistant Professor, Batumi Shota Rustaveli State University

The American Dream in the Philip Roth's Novels

თემურ კობახიძე-ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აღსავალისა და კიბის მოტივი ტ.ს.ელიოტის „ნაცრისყრის ოთხშაბათში“

სოფიკო გელიაშვილი-ამერიკისმცოდნეობის დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მეთიუ ო'კონორის სიმბოლურ-ასოციაციური სახე ჯუნა ბარნსის რომანებში „რაიდერი“ და „ღამის ტყე“

Sopiko Geliashvili-PhD Student, American Studies, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Symbolic and Associative Character of Matthew O'Connor in Djuna Barnes' "Ryder" and "Nightwood"

Feroza Jussawalla- Ph. D. in English and American Literature, Professor of English , University of New Mexico

D.H. Lawrence's Journey to New Mexico (1922)

ქეთევან ხოხიაშვილი- ამერიკისმცოდნეობის დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ალენ გინსბერგი და ეზრა პაუნდის ლიტერატურული მემკვიდრეობა

Ketevan Khokhiashvili-PhD Student, American Studies, Ivane Javakhisvhili Tbilisi State University

---

Allen Ginsberg and The Literary Legacy of Ezra Pound

ქეთევან ჯმუხაძე-ინგლისური ფილოლოგიის დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჯეფერსონი - უ. ფოლკნერის იოკნაპატოფას დედაქალაქი

Ketevan Jmukhadze-PhD Student, English Philology, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Jefferson – W. Faulkner's capital city of Yoknapatawpha

სექცია: მედიცინა

ალექსანდრე პაპიტაშვილი-მედიცინის მეცნიერებატა დოქტორი, თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის "გეომედის" პროფესორი, საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა ასოციაციის
მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

ამერიკის შეერთებული შტატების ჯანდაცვის სისტემის თავისებურებანი-წარმოადგენს თუ არა ეს სისტემა ერის დაზღვევას.

Alexander Papitashvili-MD, PhD, Professor of Tbilisi Medical University GEOMEDI, Georgia Chairman of Medicine Department of Georgian Scientists and Specialists Association

The United States Healthcare System - How American Health Insurance Is Provided

მაკა გეგეჭკორი -თსსუ პროფესორი,ზურაბ საბახტარაშვილის რეპროდუქციული კლინიკა

გერონტოლოგია - მისახედი ასაკი. შესაძლებელია თუ არა ამერიკულისისტემების ადაპტირება?

Maka Gegechkori -MD, PhD, professor ,Reproductive Clinic of Zurab Sabakhtarashvili

Gerontology – Tending age. If there is a Possibility to Adapt the American System?

მალხაზ კერესელიძე-საქართველოს პენსიონერთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, ნებაყოფლობით მრჩევეითა საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე, მედიცინისა და ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პროფესორი

ირმა ბერულავა -კლინიკა "ფემილი' ექიმი ნევროლოგი, საქართველოს პენსიონერთა საზოგადოების ნებაყოფლობით მრჩევეითა საკოორდინაციო საბჭოს წევრი ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა მაგისტრი

დაბერების სამედიცინო და ფსიქო-სოციალური ასპექტები

რუსუდან კვანჭახაძე -პროფესორი, საქართველოს უნივერსიტეტი , ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი

ხათუნა კეკელაშვილი -დოქტორანტი, საქართველოს უნივერსიტეტი , ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი

შაქრიანი დიაბეტის მართვის პროგრამების ზოგადი მიმოხილვა ამერიკის შეერთებულ შტატებში

Rusudan Kvanchakhadze -MD, Ph.D The University of Georgia,

National Center for Disease Control and Public Health Georgia

Khatuna KeKelashvili -MDThe University of Georgia,

National Center for Disease Control and Public Health Georgia

A Overview of Diabetes Management Programs in the United States

გიორგი თვალთვაძე-მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სამედიცინო ცენტრის ჰერას ექიმი

ადნექსიტის მკურნალობის თანამედროვე ხედვა. საკუთარი გამოცდილების მიმოხილვა

Giorgi Tvaltvadze-MD, PhD; Doctor of the HERA Tbilisi Medical Center

A Modern View of Adnexitis Treatment - American Experience. Original Experience Summary Survey

სექცია: ფილოსოფია

ირაკლი ბათიაშვილიფილოსოფიის დოქტორი, ევროპის უნივერსიტეტის, პროფესორი, მოწვეული პროფესორი , ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ამერიკული განმანათლებლობის დიდი ინსპირატორი -ჯონ ლოკი

Irakli Batiashvili-PhD in Philosophy, Professor of European University

Visiting professor ,Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The Great Mastermind of American Enlightenment-John Locke

ირაკლი ბრაჭული-ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გახანგრძლივებული შუა საუკუნეები ახალ ინგლისში და ევროპაში

Irakli Brachuli -PhD in philosophy, Habilitated doctor, Associated Professor , Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Prolonged Middle Ages in New England and Europe

გიორგი თათარაშვილი -ამერიკისმცოდნეობის დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იოლდს ჰაქსლის ფუტუროლოგიური იდეების გავლენა ამერიკულ ფუტუროლოგიზმზე

Giorgi Tatarashvili-PhD Student, American Studies

The Influence of Aldous Huxley's futurology thoughts on American Future Studies

ვალერიან რამიშვილი -პროფესორი, ფილოსოფიის ს/ს ინსტიტუტის თეორიული ფილოსოფიის კათედრის ხელმძღვანელი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ამერიკული რელიგიურობა

Valerian Ramishvili -PhD in philosophy Professor, Head of a Chair of Theoretical Philosophy Ivane Javakhisvhili Tbilisi State University

American Religious Heritage

ანასტასია ზაქარიაძე-ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

განათლების თეოკრატიული მოდელის ფილოსოფიური საფუძვლები (ანთიმოზ ივერიელი- პასტორი ჯონ კოტონი)

Anastasia Zakariadze-PhD, Habilitated Doctor, Associated Professor ,Ivane Javakhisvhili Tbilisi State University

Philosophical Foundations of Theocratic Mode of Education

(Anthim the Iberian *versus* Pastor John Cotton)

მამუკა დოლიძე-ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საბჭოთა იდეოლოგია და ამერიკული დემოკრატია. Kკონტრაპუნქტის პრინციპი

Mamuka Dolidze-PhD, Professor ,Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Soviet Ideology and American Democracy. Counterpoint Principle

დემურ ჯალაღონია- ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პოლიტიკური თეოლოგიის დაფუძნების კონცეპტუალური გააზრების მცდელობა

(ანთიმოზ ივერიელი-მეიფლაუერის ხელშეკრულება)

Demur Jalaghonia -PhD, Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

An Attempt of Conceptualization of Political Theology's Foundation

(Anthim the Iberian –"Mayflower Bill")[viii]

მოხსენებები

სექცია: არქიტექტურა

ანა რატიანი
არქიტექტურის დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის,
ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი
თემის ხელმძღვანელი: ნუგზარ ხვედელიანი
ასოცირებული პროფესორი, არქიტექტურის დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ამერიკის ეროვნული პარკების ფორმირების ისტორია და თანამედროვე მიდგომები საქართველოს ეროვნული პარკების განვითარებაში

ადამიანური ცივილიზაციის ზრდისა და განვითარების ფონეზე, სულ უფრო აშკარა ხდება გლობალური ეკოსისტემების შენარჩუნების საჭიროება. დღეს უკვე 100 წელზე მეტი ხნის გამოცდილება დაგროვდა ისეთი განსაკუთრებული რეჟიმის მქონე ტერიტორიების განვითარებაში, როგორიც ეროვნული პარკია.

ეროვნული პარკი არის ისეთი რეზერვატი, რომელსაც შეუძლია განავითაროს ბიზნეს საქმიანობა, რომელიც შეესაბამება მისი ტერიტორიის ფუნქციურ ზონებს და არ არის იზოლირებული ეკოსისტემისგან. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, თუ რატომ უნდა ვმართოთ აღნიშნული ტერიტორიები ეფექტურად.

მსოფლიოს გარშემო ყოველწლიურად იზრდება საზოგადოებრივი ორგანიზაციების რაოდენობა, რომელთა ძირითადი საქმიანობა ბუნების დაცვაა. ბევრი მათგანი ყურადღებას ამახვილებს სპეციალურად დაცული ტერიტორიების რეგიონალური სისტემის გაუმჯობესებასა და განვითარებაზე, რომელიც უზრუნველყოფს ყველაზე ღირებული ბუნებრივი ადგილების კონსერვაციას და ბიოლოგიური მრავალფეროვნების საჭირო დონის შენარჩუნებას რეგიონში. ხშირად მუშაობის პროცესში ხდება

აუცილებელი განსაკუთრებული ღირებულებების მქონდე ობიექტებს მიეცეთ უფრო მაღალი ფედერალური სტატუსი. უფრო მეტიც ეროვნული პარკები პოპულრულია რეგიონალურ დონეზე. ეს გასაგებია რადგან ეროვნული პარკები შეიძლება საუკეთესოდ იქნას ინტეგრირებული სპეციალურად დაცული ტერიტორიების რეგიონულ სისტემაში. ამასთან, მათი ოპტიმალური განვითარებით, გარემოს დაცვის გარდა რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებული სხვა პრობლემებიც შეიძლება მოგვარდეს.

ევროპის არცერთ ქვეყანაში არ არის ისეთი მდიდარი ფლორა და ფაუნა, როგორც საქართველოს. ევროპის არცერთ ქვეყანაში ვერ ვნახავთ მცირე ტერიტორიაზე რელიეფთა ისეთ მრავალფეროვნებას, როგორსაც საქართველოში. ამასთანავე ევროპაში არ მოიძებნება ქვეყანა, სადაც ბუნებრივი ლანდშაფტები პირველქმნილი სახით იქნება შემონახული.

ეროვნული პარკების განვითარება ემსახურება მოცემული ქვეყნის ეროვნული ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვას და ამით ისინი მთელი კაცობრიობის ბუნებრივ მემკვიდრეობას იცავენ. ეროვნული პარკები ეწევიან გარკვეულ ეთიკურ სამსახურს: იცავენ ბუნებას ბუნებისთვის, მაგრამ ამასთან ადამიანს ბუნებით ტკბობის, მასში წვდომისა და კვლევის ფართო შესაძლებლობებსაც უქმნიან. არცთუ მცირეა ეროვნული პარკების წვილი ტურიზმის, ხოლო ტურიზმის მეშვეობით სამეურნეო თვალსაზრისით ჩამორჩენილი რეგიონების განვითარებაში.

საქართველოში პირველი ეროვნული პარკი, რომელსაც „თბილისის ეროვნული პარკი“ ეწოდა, შეიქმნა 1973 წელს. 1995 წელს დაარსდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პირველი ეროვნული პარკი, რომელსაც „ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი“ ეწოდა. 1998 წელს დაარსდა კოლხეთის, 2003 წელს თუშეთისა და ვაშლოვანის, ხოლო 2006 წელს - მტირალას ეროვნული პარკები. ბოლო წლების განმავლობაში შეიქმნა მაჭახელასა და ჯავახეთის ეროვნული პარკები, ხოლო ალგეთის, საგურამოსა და ყაზბეგის სახელმწიფო ნაკრძალებს ეროვნული პარკის სტატუსი მიენიჭათ.

ამჟამად, საქართველოში 11 ეროვნული პარკია, რომელთა საერთო ფართობი 349327,1 ათას ჰა-ს შეადგენს. ეს პარკებია: **ალგეთის ეროვნული პარკი, ბორჯომ-ხარაგაულის**

ეროვნული პარკი, ვაშლოვანის ეროვნული პარკი, თბილისის ეროვნული პარკი, თუშეთის ეროვნული პარკი, კოლხეთის ეროვნული პარკი, მაჭახელას ეროვნული პარკი, მტირალას ეროვნული პარკი, ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკი, ყაზბეგის ეროვნული პარკი, ჯავახეთის ეროვნული პარკი.

იმ შემთხვევაში თუ საქართველოს ეროვნული პარკები მაქსიმალურად აქტიური გახდება, ისინი თავიანთი ადგილმდებარეობიდან და ღირსშესანიშნაობებიდან გამომდინარე მიმზიდველი იქნება, როგორც ქვეყნის მკვიდრთათვის, ასევე ტურისტებისთვის. ეროვნული პარკი საუკეთესო ადგილია რათა გაეცნო და ეზიარო ადგილობრივ კულტურას. რა თქმა უნდა ეს ყველაფერი შეუძლებელია განუვითარებელი ინფრასტრუქტურის გარეშე. ეროვნულ პარკში აუცილებელია შეიქმნას სხვადასხვა ობიექტები, რომლებიც კომფორტს შეუქმნის ვიზიტორს. ვიზიტორთა რაოდენობა ეროვნულ პარკში თავისთავად ქმნის საჭიროებას, რომ იყოს მოწყობილი შესაბამისი გარემო. არქიტექტურის როლი ამ შემთხვევაში დიდია. აუცილებელია შენარჩუნდეს ძველებური სტილი და მიმართულება, მაგრამ ამასთანავე განვითარდეს ახალიც. საქართველოში თითოეულ კუთხეს აქვს თავისი კულტურა . თითოეულ მათგანს უძველესი და შთამბეჭდავი ისტორია აქვს. ეროვნული პარკების დაარსების მთავარი მიზანია ადამიანებისთვის თითოეული კუთხის თუ რეგიონოს ღირებულებების გაცნობა. შეიძლება ითქვას ,რომ ეროვნულმა პარკმა მოგვცა ტურიზმის მდგრადი განვითარების კარგი მაგალითი. ეროვნული პარკები აჩვენებს ფართომასშტაბიანი განვითარების პრაქტიკას, რომელიც რეკომენდირებულია მოგზაურობის და ტურიზმის სფეროში.

ეროვნული პარკი ზოგადად იქმნება ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის, შედარებით დიდი, ბუნებრივი მშვენიერებით გამორჩეული ეკოსისტემების დასაცავად და არსებული ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მიზნით. გარდა აღნიშნულისა, ეროვნული პარკები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკოტურიზმის განვითარებაში, განსაკუთრებით კი, საქართველოს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო დონეზე პოპულარიზაციაში.

ეროვნული პარკების განვითარების ისტორია მსოფლიოში საუკუნეზე მეტს ითვლის, საბჭოთა კავშირში კი მის შექმნას არც თუ ისე დიდი ისტორია აქვს. ეს გამოწვეულია იმით, რომ ბუნების დაცვის ღონისძიებები ჩვენს ქვეყანაში ყოველთვის დაკავშირებული იყო ნაკრძალების შექმნასა და ორგანიზაციასთან. ეროვნული პარკის შექმნას ძირითადად ორი ფუნქცია უდევს საფუძვლად: ერთი მხრივ ბუნების დაცვა და მეორე მხრივ, ბუნების წიაღში მშრომელთა მასობრივი დასვენების ორგანიზაცია.

პირველი ეროვნული პარკი „ლეხემის“ სახელწოდებით შეიქმნა 1971 წელს ესტონეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში, „გაუია“ ლატვიის სსრ-ში 1973 წელს, „აუშტაია“ ლიტვის სსრ-ში 1973 წელს, ამავე წელს შეიქმნა „თბილისის ერვოვნული პარკი“ საქართველოში.

ყოველი ეროვნული პარკის შექმნა ემყარება საერთო პრიცნიპებს, კონრეკტული ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით.

1872 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიქმნა მსოფლიოში პირველი იელოსტოუნის ეროვნული პარკი. სხვადასხვა ქვეყანაში XX საუკუნის დასაწყისში შეიქმნა 30-მდე ეროვნული პარკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1971 წლის მონაცემებით მათმა რიცხვმა 1291-ს მიაღწია , ხოლო საერთო ფართობმა 92 მილიონ ჰექტრაზე მეტი შეადგინა. მსოფლიოში ეროვნული პარკების განლაგება მოცემულია რუკაზე #1.

ამერიკა უსაზღვროდ უზარმაზარი და ფართო მიწაა. როგორც ამერიკელი მოგზაურები ამბობენ, მათ არ ჰქონდათ შეცნობილი თავიანთი ქვეყანა ბოლომდე, სანამ არ დაიწყეს ეროვნულ პარკებში ვიზიტი. ამერიკაში 61 დაცული ტერიტორიაა, რომელიც ეროვნულ პარკად იწოდება, რომელთაც მართავს <u>ეროვნული პარკების სამსახური</u>, <u>აშშ-ის შინაგან საქმეთა დეპარტამენტის</u> სააგენტოს ნაწილი. ეროვნული პარკები იქმნება <u>აშშ-ის კონგრესის</u> აქტით.

აშშ-ს ეროვნულმა პარკებმა 2017 წელს 84 მილიონი ვიზიტორით რეკორდი დაამყარა. მოგზაურების თქმით არ არსებობს ისეთი ქვეყანა სადაც ასეთ სიღრმეზე ნახავთ, ბუნების სილამაზეს, თავგადასავლებს, ბიომრავალფეროვნებას, ყველა ტიპის ლანდშაფტს. თითოეული პარკი უნიკალურია.

საუკუნეზე მეტი ხნის წინ, 1916 წელს აშშ იდგა შესანიშნავი, ინოვაციური ახალი ხედვის წინაშე და ეს იყო ეროვნული პარკები. პარკები უნდა ყოფილიყო მოქალაქეებისთვის, არა მხოლოდ გართობის ან ნადიროების გამოყენების მიზნით, არამედ უნდა ყოფილიყო ღია ყველასთვის. როგორც ადგილობრივებისთვის, ასევე ვიზიტორებისთვის მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან.

ამ პერიოდისთვის 14 ეროვნული პარკი უკვე არსებობდა შეერთებულ შტატებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ყველაზე ძველი იელოსტოუნია. ის რაც ქვეყანას არ ჰქონდა 1916 წელს, მაგრამ გააცნობიერა საჭიროება იმის ქონის, რომ თანმიმდევრულად განესაზღვრათ, თუ რას წარმოადგენს ან რა დანიშნულების უნდა ყოფილიყო ეროვნული პარკი. ტერიტორიები რომლებიც კონტროლირებადი იქნებოდა ერთი ან რომელიმე სააგენტოსგან. ამავე წლის აგვისტოში პრეზიდენტმა ვუდრო უილსონმა ხელი მოაწერა „ეროვნული პარკების მომსახურების სერვსის“ შექმნას, რომელიც შინაგან საქმეთა დეპარტამენტს დაექვემდებარა.

ამერიკის დასავლეთით მყოფი ეროვნული პარკების უმეტესობა შეიქმნა უპირველესყოვლისა ბუნების საოცრებების დასაცავად. ადგილები რომლებიც ეკონომიკას პერსპექტივას უქმნიდნენ.

საქმიანი შესაძლებლობების გაცნობიერებამ, პლიუს პატრიოტიზმმა პარკების შექმნა უფრო მეტად გაადვილა. ერთ-ერთი უარყოფითი მაგალითი იყო ნიაგარას ჩანჩქერი, რომლის საუკეთესო ხედები კერძო პირებს ჰქონდათ მისაკუთრებული. წინ წამოიწია ცოცხალი არსებების დაცვამ, ფლორასა და ფაუნაზე ზრუნვამ, რომლებიც ასევე გახდნენ იდეის ნაწილები. აშშ-ის ყველა ეროვნული პარკი არ იყო ოფიციალურად დამტკიცებული. მაგალითად ევერგლეიდის ეროვნული პარკი ფლორიდაში, რომელსაც არ ქონდა მთები და კანიონები, მაგრამ სავსე იყო ფრინველებით და ალიგატორებით.

ამ ყველაფრის შემდეგ აშშ-ს ეროვნულ პარკებს თანდათანობით დაეკისრათ ბუნების მრავაფეროვნების, ფლორისა და ფაუნის დაცვა. ეს გზა იყო ვრცელი და დაბრკოლებებით სავსე, მზარდი პროცესი პოლიტიკურ და ეკონომიკურ იდეებთან მიმართებაში, რომლებმაც აქამდე მოგვიყვანა. ეროვნული პარკი კარგი იდეა იყო, რომელიც დროთა განმავლობაში უდიდეს იდეად იქცა. სისტემა მოიცავს არამხოლოდ

პარკებს და ეროვნულ მონუმენტებს, არამედ საბრძოლო ველებს, ციხესიმაგრეებს, ზღვის სანაპიროებს და სხვა მნიშვნელოვან ადგილებს, რომლებიც აღიარებულია ეროვნულ ისტორიულ ღირსშესანიშნაობად.

ჯონ ჯარვისი, ეროვნული პარკების სერვისის ყოფილი დირექტორი, ამბობს რომ მისი მიზანია არამხოლოდ ლანდშაფტების, არამედ აშშ-ის ისტორიის მოყოლა. „თუ არა ჩვენ, ვინ? ეს ჩვენი საქმეა“. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტარების და პრეზიდენტების ხელმოწერებს შეუძლია განათავსოს ეროვნული პარკები რუკაზე, ამ ადგილების და მათი ისტორიების შენარჩუნების მეტი წილი ჩვენზე, როგორც მოქალაქეებზე მოდის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კარლო მამნიაშვილი- თბილისის ეროვნული პარკი / საქ. სსრ სატყეო მეურნეობა
2. დაცული ტერიტორიების სააგენტო. http://apa.gov.ge/ge/protected-areas/national-park
3. საქართველოს ეროვნული პარკები- დედაბუნების გადარჩენის პერსპექტივა/ **გამომცემელი ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი 1991**
4. Linda Flint McClelland (Author), John S. Reynolds (Foreword) – Building the National Parks: Historic Landscape Design and Construction (November 18, 1997)
5. Building History: Architecture in National Parks- https://www.doi.gov/blog/building-history-architecture-national-parks
6. Architecture in the Parks - A National Historic Landmark Theme Study

Ana Ratiani

PhD student, Georgian Technical University

History of the Formation of American National Parks and Modern Approaches to the Development of Georgian National Parks

Summary

National parks are created to protect nationally and internationally important large and special ecosystems, for vital and recreation activities. Except of mentioned above a national park plays an important role to develop ecotourism, especially to promote national and cultural heritage at the international level.

Most national parks are focused to master the nature and landscape, but at the same time the number of visitors makes it necessary to create the appropriate environment at the national park. Except of diverse landscape architecture took its place with a concrete form.

The most important thing is to use national resources in a way that not exhausting nature. Sustainable development makes harmonious connections between nature, social sphere, and economy.

In the work, there are shortly discussed information about the national parks of Georgia, about their values and sightseeing. We should consider the attitude and goals of Americans towards national parks. The history of national parks in America dates back more than a century. America is an infinitely huge country. As American travelers say, they did not know their country until the end, before they began visiting national parks. The idea of creating a national park originated in America. That is why this country has the longest history and great experience in the management of national parks. Protected areas are created for the benefit and benefit of the people. That is why the Americans considered the establishment of national parks as the best national idea.

მზია მილაშვილი

პროფესორი, არქიტექტურის დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ვალერი მჭედლიშვილი
პროფესორი, არქიტექტურის დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ამერიკელ ქალთა ბრძოლა სოციალურ-უფლებრივი სტატუსის მოსაპოვებლად

ამერიკის შეერთებულ შტატებში, XX საუკუნის მეორე ნახევარში, ქალთა მდგომარეობის რადიკალური ცვლილებები განხორციელდა. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის 200 წლის შემდგომ ქალთა თანასწორობის მშვიდობიანი რევოლუცია მოხდა. ქალთა ბრძოლის გამარჯვებით დასამთავრებლად რამდენიმე თაობის ძალისხმევა გახდა საჭირო.

აშშ-ს დამოუკიდებლობის დეკლარაციაში ნათქვამია, რომ „შემოქმედის მიერ ყველა ადამიანი შექმნილია და დაჯილდოვებულია თანასწორად განსაზღვრული და განუყოფელი უფლებებით, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ სწრაფვა“.

თანასწორობის იდეა, ეროვნული თვითშეგნების ნაწილია, იგი „ამერიკული ოცნების“ მთავარი ელემენტია. კულტურის მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ამერიკელებისათვის თანასწორობა უფრო ღირებულ კატეგორიას წარმოადგენს, ვიდრე თავისუფლება. მაგრამ, დამფუძნებელი მამები, „ყველა ადამიანის თანასწორობაში“ მხოლოდ თავისუფალ მამაკაცებს (oilmen) მოიაზრებდნენ. ამერიკის მოქალაქეობა ქალებს არ აძლევდათ პოლიტიკურ უფლებებსა და თავისუფლებას, რომელიც კონსტიტუციით იყო გარანტირებული. ქალთა მოძრაობის აქტივისტებს შვიდ ათეულ წელზე მეტი დასჭირდათ, რომ რეალური გამხდარიყო მთავარი პოლიტიკური მოთხოვნა - ჰყოლოდათ წარმომადგნელი არჩევით ორგანოებში.

ამერიკელი ფემინისტების პირველი პროგრამული დოკუმენტი 1848 წელს, სენეკა-ფოლლზ-ის კონფერენციაზე იქნა მიღებული. მისი ლოზუნგი იყო: „ყველა ქალი და

მამაკაცი თანასწორადაა შექმნილი.“ ამ დოკუმენტს „გრძნობების დეკლარაცია“ ეწოდა. მისი ავტორები იყვნენ ელიზაბედ კედი სტენტონი და ლუკრეცია მოტტი. „გრძნობების დეკლარაცია“ პირდაპირ აპელირებდა ამერიკის დეკლარაციის ტექსტზე, რომ „ყველა მამაკაცი და ქალი თანასწორადაა შექმნილი...“ ამ პრეამბულის შემდგომ დეკლარაცია ამტკიცებდა, რომ მთავრობა თუ ამ უფლებების უზრუნველსაყოფად იქმნება, მაშინ ქალები ვალდებულნი არიან მოითხოვონ მათ მიმართ უსამართლობის, სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლების უზურპაციის გაუქმება. ქალთა ყრილობის მონაწილენი ითხოვდნენ არჩევნებში ხმის მიცემისა და განათლების მიღების უფლებას.

  და მაინც, რა არგუმენტები გამოიყენებოდა დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქალთა საარჩევნო უფლებების უარსაყოფად? მთავარი გამამართლებელი საბუთი ჩვეულებრივ ე.წ. „ინგლისურ უფლებებს“ ეყრდნობოდა, რომელიც აშშ-ს უფლებრივი სისტემის ფორმირების საფუძველს წარმოადგენდა. პირველ რიგში, ეს გათხოვილ ქალებს ეხებოდათ -„სამოქალაქო და კანონის თვალსაზრისით ისინი მკვდრები იყვნენ“ - ასეთი ფორმით იყო გადმოცემული ქალთა სტატუსი „გრძნობათა დეკლარაციაში.“ XVIII საუკუნეში, „ინგლისის კანონების კომენტარებში“ მითითებული იყო, რომ „ქორწინებაში ქალი და კაცი ერთ მთლიანობას წარმოადგენს“, ამიტომაც, იურიდიულად ცოლი ქმრის გარეშე არ არსებობს. ქალებს არ შეიძლება ჰქონდეთ ხმის უფლება, რადგან მათი ქმრები მთელი ოჯახის ინტერესის გამოხატვის სახელით აძლევენ ხმას. ამავე წესებით ცოლის მოქალაქეობა ქმრის მოქალაქეობაზე იყო დამოკიდებული.

  XIX საუკუნეში იურისპრუდენციაში შემოდის ქალთა და მამაკაცთა სოციალური როლის განსხვავება, რაც სქესობრივი ნიშნის შესაბამისად უშვებდა საკონსტიტუციო ნორმების გამოყენებას. უმაღლესი სასამართლოს მიერ მტკიცდებოდა დისკრიმინაციის კონცეფცია, რომელიც 1960 წლამდე უცვლელად რჩებოდა.

  მუხედავად თავისი მნიშვნელობისა, თანასწორობა, როგორც იურიდიული კატეგორია, პირველად 1868 წლის კონტიტუციით იყო შემოღებული, მაშინ როცა, რატიფიცირებული იქნა კონსტიტუციის XIV შესწორება. შესწორება მოქალაქეობის მქონე ყველა პირს (persons), თანაბარი დაცვის გარანტიას აძლევდა.

შესწორების პირველი ნაწილის გენდერულად ნეიტრალური ენა ქალებს შესაძლებლობას აძლევდა, რომ იგი თანასწორობისათვის ბრძოლაში გამოეყენებინათ. ვირჯინია მაინორი იყო ქალბატონთაგანი, რომელმაც სასამართლოში შეიტანა სარჩელი. იგი ითხოვდა, რომ კონსტიტუციის XIV შესწორების საფუძველზე, შტატების კანონი, რომელიც ქალებს ხმის მიცემის უფლებას ართმევდა, არაკონსტიტუციურად ეღიარებინათ. უმაღლესმა სასამართლომ არ გაითვალისწინა კონსტიტუციასთან წინააღმდეგობაში მოსული ქალებისათვის ხმის უფლების არქონა და ყველასთვის ცნობილი საქმის „მაინორი ხაპერსეტტის წინააღმდეგ“ (1874წ.) საჩივარი უარყო.

სასამართლოს განმარტებაში ნათქვამი იყო, რომ ქალები, ისე როგორც ბავშვები, არჩევნებში პროცესში მონაწილეობის უფლების არმქონე მოქალაქეებად ითვლებიან. თუმცა, ვინაიდან არჩევნების უფლება შტატების კანონმდებლობის პრეროგატივაა, ამიტომ ხალხის (people) სურვილით შესაძლებელია ქალებისათვის ამ უფლების მინიჭება (4; 163).

ხოლო კონსტიტუციის XIV შესწორების მეორე ნაწილი, იყენებდა რა გენდერულ-არტიკულარულ ტერმინოლოგიას, ნათელად წარმოადგენდა ელექტორატის შემადგენლობიდან ქალების გამორიცხვას. ამ ნაწილის თანახმად, კონგრესში, წარმომადგენლობითი ნორმა, კონკრეტულ შტატში მცხოვრები მხოლოდ მამრობით სქესის (male inhabitants) ადამიანთა რაოდენობიდან განისაზღვრებოდა.

უმაღლესი სასამართლოს მიერ, შეთავაზებული იქნა „თანასწორობისა და განსხვავებულობის პრინციპი“ ქალებისა და მამაკაცებისათვის. უმაღლესმა სასამართლომ იურიდიული საჩივრის „ბრედვილი ილლინოისის წინაამდეგ“ გადაწყვეტილებაში (1873წ.) ქალისა და მამაკაცის უფლებრივი სტატუსის არათანაბარუფლებიანობის ამ დოქტრინას კლასიკური ფორმულირება მისცა. კეერმოდ, სასამართლომ მხარი დაუჭირა ილინოისის საშტატო კანონს, რომელიც კრძალავდა ქალებისათვის საადვოკატო პრაქტიკას. გადაწყვეტილებაში ნათქვამი იყო: „ბუნებრივი ბიოლოგიური განსხვავების გამო, სამოქალაქო ცხოვრებაში გარკვეული პროფესიები ქალისათვის აუთვისებელია. მათი მოღვაწეობის მთავარ სფეროდ საოჯახო მეურნეობა და დედობა რჩება. მამაკაცი წარმოადგენს, ანდა უნდა წარმოადგენდეს, დედისა და

ცოლის დამცველს, მათ შორის არაქალური საქმიანობისაგანაც.“ უმაღლეს სასამართლოს თავის პოლიტიკაში, შემდგომი რვა ათეული წლის მანძილზე (1960 წლამდე), ქალთა სტატუსთან მიმართებაში, არავითარი კორექტირება არ შეუტანია.

XIX საუკუნის ბოლოდან, ქალთა უფლებებისათვის მებრძოლი მოძრაობის ზეწოლით იცვლებოდა კანონმდებლობა, რითაც ქალებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცათ. 1920 წელს რატიფიცირებული, აშშ-ს კონსტიტუციის XIX შესწორება იძლეოდა გარანტიას, რომ „აშშ-ს მოქალაქეთა ხმის მიცემის უფლება არ შეიძლება უგულველყოფილი იქნეს ან შეიზღუდოს სქესობრივი ნიშნით აშშ-ს რომელიმე შტატში.“ ამ შესწორების მიღებამ წარმატებით დაასრულა ქალთა მოძრაობის პირველი ეტაპი.

1920-ანი წლებიდან, აშშ-ს მოქალაქეთა გენდერული როლის შესაბამისობა კონსტიტუციურ თანაბარუფლებიანობასთან, საზოგადოების დისკუსიის მნიშვნელოვანი საკითხი ხდება. პირველი მსოფლიო ომის შემდგომ, ქალთა მოძრაობაში ორი მიმართულება ფორმირდება: სოციალური და ეგალიტარული ფემინიზმი.

პირველი - სოციალური მიმართულების მომხრეები თვლიდნენ, რომ აუცილებელი იყო სქესთა ფუნდამენტალური ბიოლოგიური განსხვავებულობის გათვალისწინება და ქალებისათვის პროტექციონისტულ კანონმდებლობას მოითხოვდნენ. მეორე - ეგალიტარული მიმართულების მხარდამჭერები სქესთა „თანასწორობა-განსხვავებულობის“ დილემის პრობლემას სრულფასოვანი თანასწორობით წყვეტდნენ. ისინი კლასიკური ლიბერალიზმის იდეიდან გამოდიოდნენ - ქალებზე გავრცელებულიყო ყველა ის უფლება, რომელსაც მამაკაცები უკვე ფლობდნენ.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, წარმოებაში ქალთა დასაქმების ზრდამ და ხმის უფლების მოპოვებამ ქალთა პოლიტიკური აქტივობა შეანელა, რამაც მოძრაობის ეგალიტარული ფრთაში იმედგაცრუება განაპირობა. აღმოჩნდა, რომ არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობასა და წარმოებაში „ქალთა სექტორის“ გაჩენას, რეალურად არ მოჰყოლია ამერიკელ ქალთა სტატუსის ამაღლება და პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობა. მათი მოსაზრებით, „სხვადასხვა სოციალური როლის შემსრულებელი პირებისადმი არაერთგვაროვანი მიმართვის“ პრინციპზე

დაფუძნებული დისკრიმინაციული პოლიტიკის ქვეყნის ძირითად კანონში ფესვის გადგმას, ორივე სქესის მოქალაქეთა თანაბარი უფლებების არქონამ შეუწყო ხელი. 1920 - იანი წლებში ეგალიტარული მიმართულების მომხრეები იმ დასაკვნამდე მიდიან, რომ მხოლოდ კონსტიტუციაში სპეციალურ შესწორებას შეუძლია საზოგადოების პოლიტიკური ინსტიტუტების რეფორმირების ბაზის უზრუნველყოფა.

1923 წელს ელის პოლმა, ნაციონალური ქალთა პარტიის ლიდერმა, ჩამოაყალიბა და კონგრესში შეიტანა კონსტიტუციის შესწორება თანაბარი უფლებების თაობაზე. „ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ყველა იმ ტერიტორიაზე, რომელიც მის იურისდიქციაში შედის, ქალებსა და კაცებს ერთნაირი უფლებები უნდა ჰქონდეთ.“ - ასე გამოიყურებოდა ამ შესწორების პირველი რედაქცია.

ამ წინადადებას სოციალური ფრთის სუფრაჟისტებმა მხარი არ დაუჭირეს, დაინახეს რა მასში დასაქმებულ ქალთა მიმართ პროტექციონალური კანონმდებლობის ლიკვიდაციის საშიშროება. მათი აზრით, საარჩევნო უფლებების სფეროში თანასწორობის შერწყმა ქალი-დედის სპეციფიურ როლთან, სრულად პასუხობდა ქალთა უმრავლესობის ინტერესს. ოპონენტები კი ეგალიტარული ფრთიდან აცხადებდნენ, რომ კონსტიტუციაში ეს ცვლილება პრინციპიალურად შეცვლიდა საზოგადოებაში ქალის სტატუსს, რაც თავისთავად გამორიცხავდა სპეციალური შეღავათების აუცილებლობას.

მეორე მსოფლიო ომის წლებშიც გაფართოვდა რა წარმოებაში ქალთა ჩართულობა. ექვსმა მილიონმა ქალმა პირველად დაიწყო სამსახური. ოთხ წელიწადში ქალთა დასაქმებულობის მაჩვენებელი 25%-დან 36%-მდე გაიზარდა. ომის დაწყებისას, საზოგადოებაში დამკვიდრებული იყო აზრი, რომ ომის დასრულებისთანავე ყველა მომუშავე ქალი ოჯახში დაბრუნდებოდა. თუმცა ეს მოლოდინი არ გამართლებულა. 1945 წელს ჩატარებულმა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ აჩვენა, რომ ქალთა 80% თავის სამუშაო ადგილზე დარჩენა სურდა. მათ არ აწუხებდათ, რომ ქალთა ოჯახებში დაბრუნებისათვის დაწყებულმა კონსერვატიულმა კამპანიამ სამუშაოს ყველა მსურველი „საკუთარი სქესობრივი იდენტობის დაკარგულ ნევროტიკებად“ გამოაცხადა.

შესწორებასთან დაკავშირებული დებატები კონგრესში პირველად მეორე მსოფლიო ომის წლებში შედგა. წარმომადგენლობითი პალატის იურიდიულმა კომიტეტმა,

ავტორთან შეთანხმებით შეცვალა შესწორების ტექსტი და ასე ჩამოყალიბდა: „კანონის საფუძველზე უფლებათა თანასწორობა არ შეიძლება გახდეს სადაო ან შეიზღუდოს სქესობრივი ნიშნით შეერთებულ შტატებში ან რომელიმე შტატში“. შესწორების მომხრეები დარწმუნებული იყვნენ, რომ თანასწორი კონსტიტუციური სტატუსი ქალებს სქესის დისკრიმინაციული ნიშნების ლიკვიდაციის იურიდიულ საფუძველს მისცემდა. თუმცა ეს ყოველივე დებატებს არ გასიცებია.

მხოლოდ მოგვიანებით, 1963 წელს პრეზიდენტ ჯორჯ კენედის მიერ შექმნილი ქალთა სტატუსის საპრეზიდენტო კომისია დათანხმდა აღნიშნულ შესწორების მხარდამჭერთა არგუმენტებს. „კანონის საფუძველზე ყველა ქალისა და მამაკაცის უფლებათა თანასწორობა იმდენად ფუძემდებლურია დემოკრატიისა და ინდივიდის აბსოლუტური ღირებულებებისათვის, რომ ის ქვეყნის ძირითად კანონში უნდა იყოს ასახული.“ ამასთან, რაც არ უნდა უცნაური იყო, კომისიამ ოფიციალური მოხსენებით უარყო თანასწორი უფლებების შესწორების კონსტიტუცაში შეტანის აუცილებლობა, მიიჩნა რა, რომ კონსტიტუციის V და XIV შესწორებები, უმაღლეს სასამართლოში საჩივრის პროცედურების საშუალებით, სქესთა თანასწორობის გარაანტიებისა და დისკრიმინაციული აქტების უგულველყოფისათვის, საკმარისი საფუძველი იყო.

აშშ-ში ფერადკანიანი ამერიკელების სამოქალაქო უფლებებისათვის ბრძოლის გავლენით ჩასახულმა ფემინიზმის ახალმა ტალღამ, 1960-70 წლებში, უფლებრივი დისკრიმინაციისა და სოციალ-პოლიტიკური თანასწორობის თემა ცენტრალურ თემად აქცია. ამ პერიოდის გავლენიან ორგანიზაციას 1964 წელს დაარსებული ქალთა ეროვნული ორგანიზაცია (NOW) წარმოადგენდა.

ქალთა ეროვნული ორგანიზაცია აგრძელებდა რა ეგალიტარული ფემინიზმის ტრადიციებს, მთავარ მიმართულებად ამერიკული კანონმდებლობის, შტატების პოლიტიკის, სასამართლოების აკრძალვებისა და იმ ინსტრუქციიების რეფორმირებას თლიდა, რომელიც სქესობრივი განსხვავების უფლებრივ ნორმებს ეყრდნობოდა.

„იქამდე სანამ კანონი გაყოფს მოქალაქეებს სქესობრივი ნიშნით, ქალები, მოძველებული სოციალური სტერეოტიპების გამო, დისკრიმინაციას განიცდიან. მოვიდა დრო დასრულდეს ქალთა განსაკუთრებული ბუნების არგუმენტებზე დაყრდნობით

განხორციელებული დისკრიმინაცია, რომლებიც ეწინააღმდეგება ქალთა ნამდვილ თანასწორობასა და არჩევანის თავისუფლებას“. ეს პოზიცია პირველად 1966 წელს „მიზნების დეკლარაციაში“ გაჟღერდა. ქალთა ორგანიზაციას (NOW), ქვეყანაში არსებული სოციალური და ეკონომიკური პრობლემები „დიფერენცირებული მოქალაქეობის“ პრობლემიდან გამომდინარედ მიაჩნდა.

„ელაგიტარები“ აგრძელებდნენ თავიანთი წინამორბედების დაწყებულ სამართლებლივ ბრძოლას. მათი ბრძოლა უზენაეს სასამართლოს მიერ სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციული ფაქტის აღიარებისაკენ იყო მიმართული. მათი ძალისხმევა 1971 წელს წარატებით დასრულდა, როცა უზენაესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეში „რიდი რიდის წინააღმდეგ“. აიდახოს შტატის კანონი, რომელიც XIV შესწორების პრინციპების საფუძველზე, ანდერძის გარეშე დატოვებული მემკვიდრეობის მართვის უპირატესობას მამაკაცებს აძლევდა არაკონსტიტუციურად იქნა გამოცხადებული. სასამართლოს გადაწყვეტილებაში განცხადებუილი იყო, რომ ქალი ნათესავების თანასწორობის დარღვევა არ შეიძლება იქნეს გამართლებული ისეთი არგუმენტით როგორიცაა: “მამაკაცის მხრიდან დიდი დაიტერესება და ფინანსების წარმართვის უნარი“. ამით უზენაესმა სასამართლომ აღიარა, რომ სქესობრივი განსხვავებულობისა და სოციალური როლების თეორიის გამოყენება ეწინააღმდეგება კონსტიტუციის XIV შესწორებით გარანტირებულ მოქალაქეთა თანასწორობას. გადაწყვეტილება აღქმული იქნა როგორც ქალთა მოძრაობის მეორე ეტაპის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა.

70-წლებში ქალთა ორგანიაზციების მიერ არჩეული სიტემატიური საჩივრების სტრატეგიის წარმატებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პოლიტიკური კლიმატის შეცვლის საკითხში. 1972 წელს, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, კონსტიტუციის შესწორება თანაბარი უფლებების შესახებ, კონგრესის ორივე პალატის მიერ იქნა მიღებული.

ოპტიმიზმი, რომელიც შესწორების მიღებიდან პირველ წლებში გამოვლინდა სარულიად გამართლებული აღმოჩნდა. მაგრამ, უკვე 1974-75 წლებში, გაირკვა, რომ შესწორების გარშემო მოვლენები დრამატულად განვითარდა. იმის მიუხედავად, რომ რატიფიცირების პერიოდი 1982 წლის 30 ივნისამდე გაახანგრძლივეს, კონგრესის

გადაწყვეტილებას 15 შტატმა მხარი არ დაუჭირა. ამრიგად, კონსტიტუციაში შესწორება არაკანონიერად დარჩა.

1980 წელებში გაირკვა, რომ უპირობო თანასწორობის პრინციპი აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა ქალთა მოძრაობის შიგნითაც. სადავო აღმოჩნდა ქორწინების, როგორც „თანაბარი პასუხისმგებლობის მქონე პარტნიორთა“ და ოჯახური უფლებების რეფორმის შედეგები. გენდერულ-ნეიტრალური ნორმები და მეუღლეთა ერთნაირი მოვალეობების სისტემა, განქორწინებისას, აუარესებდა განქორწინებული ბავშვებიანი ქალების მდგომაეობას. შესწორების წარუმატებლობამ და ახლად წამოჭრილმა პრობლემებმა ქალთა მოძრაობის ლიდერები აიძულეს პროგრამული დადგენილებებისათვის გადაეხედათ.

ქალთა უფლებებისათვის მრავალწლიანი მოძრაობის მთავარ მიღწევად იქცა ამერიკის სამართლებლივი სისტემის 1970 წლების რეფორმირება, ხოლო ეკონომიკურ ცხოვრებაში დისკრედიტაციის ლიკვიდაციისაკენ მიმართული რადიკალური ცვლილებები ჯერ კიდევ 1960 - იან წლებში განხორციელდა. ასევე 1970-იან წლებში მიღებული იქნა კანონები, რომელიც ეხებოდა ქალთა თანასწორუფლებიანობას მშენებლობის, დაკრედიტების, განათლებისა და სხვა სფეროებში. კანონებში გათვალისწინებული იყო შტატების დონეზე სპეციალური ორგანიზაციის შექმნა, რომელიც საკანონმდებლო გადაწყვეტილებების აღსრულებას გააკონტროლებდა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო სამივე ხელისუფლებაში განხორციელებული ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა და ამერიკელ ქალთა სოციალ-ეკონომიკური სტატუსის რადიკალური ცვლილებები განპირობებული 1960-70-იანი წლებში ამერიკელ ქალთა თანასწორობისათვის ბრძოლის შედეგებით.

გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ რესურსები:

1. Соединенные Штаты Америки. Конституция и законодательные акты. М., 1993.

2. American Women. The Report of the President's Commission on the Status of Women. N.Y. 1965. 3. Kay H. Sex Based Discrimination. St. Paul, Minn. West. 1988.

4. Making America. The Society and Culture in the United Stated. Wash. 1992.

5. Major Problems in American Women's History. Documents and Essays. N.Y . 1989.

6. Sapiro V. Women in American Society. Mountain View. California. 1990.

7. Second to None. A Documentary History of American Women. Vol.1. Nebraska. 1993.

8. Stetson D. Women's Rights in the USA. Policy Debates and Gender Roles. Belmont. 1991. Women's Rights in the United States. A Documentary.

9. http://quakers.ru/сенека-фоллз/ ინფორმაცია უკანასკნელად გადამოწმებულია 17.09.19

10. https://ru.wikipedia.org/wiki/Гэллап,_Джордж ინფორმაცია უკანასკნელად გადამოწმებულია 17.09.19

11. https://ru.wikipedia.org/wiki/Картер,_Джимми ინფორმაცია უკანასკნელად გადამოწმებულია 17.09.19

12. https://www.svoboda.org/a/usa-today/25297525.html ინფორმაცია უკანასკნელად გადამოწმებულია 17.09.19

13. https://ru.qwertyu.wiki/wiki/Women_in_United_States_juries ინფორმაცია უკანასკნელად გადამოწმებულია 17.09.19

14. https://ru.wikipedia.org/wiki/Харлан,_Джон_Маршалл ინფორმაცია უკანასკნელად გადამოწმებულია 17.09.19

Mzia Milashvil

Professor, Georgian technical University

Valeri MtchedliSvili

Associate Professor

The struggle of American Women to Gain Socio-Legal Status

Summary

The report discusses radical changes in society in the United States during the second half of the twentieth century, as a result of the peaceful revolution for women's empowerment and independence. It is important that these changes are reflected in the constitution of the country.

It is important to note that in the United States, after at least 200 years of struggle for independence, the struggle for women's social, political, or economic rights and equality ended in victory, it took several generations of feminist efforts.

The report discusses the basic ideas of the women's movement in the United States and the ways to achieve it, the stages and results of the women's movement that have been achieved as a result of this movement

მაია დავითაია

პროფესორი, აკადემიური დოქტორი,

„ქალაქ ნიუ-იორკის მთავარი მშენებელი“-რობერტ მოზესი და მისი ურბანული ინოვაციები

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ქალაქების დაგეგმარება და განვითარება განსხვავებული სახით მიმდინარეობდა და ხშირ შემთხვევაში ადგილობრივი გეოგრაფიული არეალისა და ტრადიციების თანხლებით, რაც მათ უჩვეულო და მხოლოდ მათთვის დამახასიათებელ იერს სძენდა. ინოვაციურმა მიდგომებმა განსაზღვრა და თავისებური, გადამწყვეტი როლი ითამაშა მრავალი ქალაქის იერსახის ჩამოყალიბებაში.

XIX საუკუნე გამოირჩეოდა ურბანიზმის არნახული ტემპით. XIX საუკუნის ბოლოს ურბანულ დაგეგმვაზე გავლენას ახდენს ახლად ჩამოყალიბებული არქიტექტურისა და სამოქალაქო ინჟინერიის დისციპლინები. ამ დისციპლინებმა ქალაქის პრობლემების გადაჭრაში თანდათან დაიწყო რაციონალური და სტილისტური მიდგომების კოდიფიცირება დიზაინის მეშვეობით.

XIX საუკუნის მიჯნაზე ნიუ-იორკი სერიოზული ეკონომიკური და დემოგრაფიული აღმასვლის ფაზაში შევიდა, რაც ქალაქის პორტში საქონლის კომერციული გადაზიდვების რაოდენობის გაზრდამ გამოიწვია. ქალაქის წინაშე დადგა გამოწვევა, რომელიც ეხებოდა საქალაქო სივრცის რეორგანიზაციას და მასზე საპასუხოდ 1807 წელს სამი საგანგებო რწმუნებული დაინიშნა გოვერნერ მორისი, სიმეონ დე ვიტი, ჯონ რუტერფურდი; მათ დაევალათ საბოლოო ურბანული გეგმის შემუშავება 1811 წლამდე. წარმოდგენილი სამი რუკა, სავარაუდოდ, გენერალური გეგმის ზედამხედველის, ჯონ რენდალ უმცროსის შექმნილი იყო. ის ითვალისწინებდა ქალაქის ზრდას გარკვეულ ფუნდამენტზე, ხოლო ჩვეულებრივ ქუჩათა სისტემა მოიცავდა 80x274 მეტრ ტიპურ კორპუსებს, რომლებიც შთაგონებული იქნებოდა ბერძნულ-რომაული ტრადიციებით. XIX საუკუნეში ადმინისტრაცია ქმნიდა ქუჩების სქემებს, არეგულირებდა პორტს და ემიგრაციას, წყლისა და კანალიზაციის სისტემებს. ასევე

საჭირო შეიქმნა გზების გაზრდა და რეკრეაციული ზონების შექმნა. იმ პერიოდში არ ექცეოდა ყურადღება იმას, რომ გატარებული რეფორმები მართალია ქმნიდა ქალაქგეგმარების რეალურ სურათს, მაგრამ ისინი მოითხოვდა ბევრად უფრო მეტ დეტალიზაციას, რადგან მოსახლეობას დიდ პრობლემას უქმნიდა უკონტროლო მშენებლობები და მძიმე საცხოვრებელი პირობები.

კულტურის, ეკონომიკისა და მედიის დედაქალაქზე, ნიუ-იორკზე, დიდი ზეგავლენა მოახდინა კომერციულმა, ტექნოლოგიურმა, საგანმანათლებლო, პოლიტიკურმა, ტურისტულმა, სპორტულმა პროცესებმა. ქალაქის სწრაფი ტემპით განვითარებამ წარმოქმნა ტერმინი „ნიუ-იორკის წუთები“. ნიუ-იორკი შედგება ხუთი ერთმანეთისგან გამოყოფილი რაიონისგან, ბრუკლინის, ქუინსის, მანჰეტენის, ბრონქსისა და სტეიტ-ენ-აილენდისგან. 1898 წელს მოხდა ქალაქის გაერთიანება ბრუკლინთან და შემდგომ ქუინსის დასავლეთ ნაწილთან, რომლის ფორმირებასაც ხელი შეუწყო 1904 წელს მეტროს ხაზის შექმნამ. ყველაზე დიდ მიღწევად მიიჩნევენ 1916 წელს ქალაქის ზონირების საკითხს, რომელიც არეგულირებდა მიწის ნაკვეთის მოხმარებას და ქუჩების განათებას. ზონირების ახალი კოდექსი ითვალისწინებდა შენობების გარკვეული მანძილით დაშორებას, რომ სინათლეს გზებამდე მიეღწია, რამაც ჩამოაყალიბა საბოლოო დაგეგმარების სახე. 1920-იანი წლების დასაწყისში ნიუ-იორკი, კერძოდ მანჰეტენი უკვე განთქმული იყო ცათამბჯენებით და ის ყველაზე მჭიდროდ დასახლებული, ურბანული რაიონია მსოფლიოში.

ცნობილმა ამერიკელმა „მთავარმა მშენებელმა“, რობერტ მოზესმა, გადამწყვეტი როლი ითამაშა ნიუ-იორკისა და მისი შემოგარენის დღევანდელი სახის ჩამოყალიბებაში. მან XX ს. შუა წლებში მნიშვნელოვნად შეცვალა ნიუ-იორკი და დასახა მისი განვითარების მიმართულებები ათეული წლით ადრე. მოზესი გაიტაცა ნიუ-იორკის პოლიტიკურმა რეფორმებმა და შეიმუშავა რამდენიმე გეგმა, რათა ქალაქი მეცენატებისგან გაეთავისუფლებინა. 1919 წელს ის იყო ავტორი იდეის, რომელიც გულისხმობდა ნიუ-იორკის მმართველობის რეორგანიზაციას. 1922 წელს, რობერტ მოზესი გუბერნატორ უილ სმიტთან ერთად მოვიდა ხელისუფლებაში, რის შემდეგაც მან აიღო თავის თავზე ნიუ-იორკში მასშტაბური რეფორმების გატარების ინიციატივა.

1930-იან წლებში, „დიდი დეპრესიის“ დროს მოზესს უკვე მასშტაბური საზოგადოებრივი სამუშაოების ჩატარების დიდი გამოცდილება ჰქონდა.

პარკების მშენებელი. მოზესის ინიციატივით, დაიწყო შტატის „მწვანე რუკის“ შემუშავება. 1924 წლიდან, ლონგ-აილენდის საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე უნდა შექმნილიყო დასასვენებელი ზონა პარკით, საპარკო გზებით და ხიდით, რომელიც უპრობლემოდ დააკავშირებდა ქალაქ ნიუ-იორკს კუნძულთან. 1929 წ. მოზესის ყველაზე მსხვილი პროექტი გახდა პარკი ჯონს-ბიჩის კუნძულზე, ლონგ-აილენდის კუნძულთან ახლოს, რომელშიც თავი მოიყარა პლიაჟმა, საზაფხულო თეატრმა, ინდურმა სოფელმა, აბანოებმა და სხვ. აქ ჩაიდო ახალი კონცეფცია მწვანე ზონაში ორგანულად ჩაწერილი თანამედროვე სერვისის ელემენტები. ამ პროექტს მოჰყვა ამავე კუნძულის აღმოსავლეთით მეორე, მოზესის სახელობის პარკის მშენებლობა. 1951 წ. მისივე სახელობის ხიდმა დააკავშირა კუნძული ლონგ-აილენდთან. 1963 წლამდე მოზესის ხელმძღვანელობით აშენდა 40 პარკი და ნიუ-იორკმა მანამდე არარსებული მწვანე ზონები მრავლად შეიძინა, თუმცა უარყოფითი მხარეც ჰქონდა პარკების უმრავლესობაში მოხვედრა შესაძლებელი იყო მხოლოდ საკუთარი ავტომობილით. მაშინ მოზესი ამ პრობლემას ნაკლებად განიხილავდა.

მოზესს მიუძღვის წვლილი ისთ-რივერ პარკის შექმნაში რომელიც ქვედა მანჰეტენის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. პარკი მოიცავს სპორტის სხვადასხვა სახეობებისთვის მოედნებს, ველო და სარბენ ბილიკებს. მისი დანიშნულება პარკის გახსნამდე ღარიბი ემიგრანტების თავშესაფარი იყო. განახლების შემდეგ პარკი გახდა ერთ-ერთი ყველაზე დიდი გახსნილი რეკრეაციული ზონა ქვედა ისტ-საიდზე.

რასაც მოზესი გეგმავდა საბოლოოდ ყველაფერი სრულდებოდა. მისი ინიციატივით ნიუ-იორკში ორჯერ, 1939 და 1964 წლებში გაიმართა საერთაშორისო გამოფენები, რამაც გზებისა და ქალაქის რაიონების კეთილმოწყობა გამოიწვია. 1939 წ. ქვინსში მსოფლიო გამოფენის დამთავრების შემდეგ გაშენდა პარკი ფლეშინგ-მედოუზი. ამ მოვლენის შემდეგ მოზესზე წერდნენ, რომ მან ხუთ წელიწადში ხელახლა ააშენა და რეკონსტრუქცია ჩაუტარა მეგაპოლისის დიდ ნაწილს.

მაგისტრალების მშენებელი. მოზესის მიერ აშენებულ საპარკო ზონებამდე მისი ინიციატივით გაჰყავდათ გზები, ხოლო მწვანე ზონების მახლობლად კი ავტოსადგომები შენდებოდა. ამ იდეის გაგრძელებას წარმოადგენდა მაგისტრალებისა და ხიდების ქსელი, რომლებსაც უნდა დაეჩქარებინა და გაეუმჯობესებინა საავტომობილო მიმოსვლა ნიუ-იორკში. 1936 წ. შეიქმნა ხიდების სისტემა ტრაიბორო-ბრიჯი, რომელმაც დააკავშირა მანჰეტენი, ბრონქსი და ქვინსი ერთმანეთთან. მასშტაბური პროექტით უკმაყოფილო საზოგადოება გამოთქვამდა პროტესტს, რადგან მათი სახლები ეწირებოდა ამ პროცესს. მოზესმა შეცვალა გადაწყვეტილება, კერძოდ ბრუკლინსა და მანჰეტენს შორის დამაკავშირებელი ხიდი ტუნელით.

ომის შემდგომ პერიოდში მოზესის ნოვატორობა ჩნდება რამდენიმე მაგისტრალის მშენებლობაში- ერთმა გაიარა ბრონქსის გავლით ნიუ-ჯერსისკენ, მეორე ქვედა და ზედა მანჰეტენის მაგისტრალები, რომლებსაც უნდა შეეერთებინა კროს-ბრონქსის მაგისტრალი ტრაიბორო-ბრიჯის გადასასვლელებთან. ასევე ბრუკლინ-ქვინსის, ბელტ-პარკუეის და სხვა გზები. მოზესის აგებული საკმაოდ განიერი მაგისტრალები დღესაც უქმნიან მოსახლეობას უხერხულობას, მანქანების დიდი ნაკადით. მოზესის შეცდომა იყო საქალაქო ტრანსპორტის განუვითარებლობა და კერძო ავტოსატრანსპორტო საშუალებებისადმი უპირატესობის მინიჭება. ექსპერტები თვლიან, რომ განიერმა მაგისტრალებმა გამოყო კვარტლები ერთმანეთისგან, ღარიბების კვარტალი რჩებოდა გზის მეორე მხარეს, რამაც დაბადა სოციალური დაძაბულობა. დღეს ცდილობენ ამ შეცდომების გამოსწორებას, რადგან „ხალხს სჭირდება საცხოვრებელი სივრცე და არა მაგისტრალები“. მოზესმა საერთო ჯამში 650 კილომეტრამდე სიდიდის ჩქაროსნული ავტომაგისტრალებით დაამშვენა ქალაქი.

ხიდების მშენებელი. რობერტ მოზესის მონაწილეობით განხორციელდა ქვინსისა და ბრონქსის შემაერთებელი ხიდი ტროგს-ნეკი, ბრონქს-ვაითსტონის ხიდი და ბრუკლინსა და სტატენ-აილენდს შორის დაკიდებული ყველაზე დიდი ხიდი ვერაზანო. ბრონქს-ვაითსტონის ხიდი გათვლილი იყი საცობის გარეშე მოძრაობაზე. ახალი ხიდი ხელს შეუწყობდა ბრონქსის განვითარებას და ახალი საცხოვრებელი ზონების შექმნას, რომელიც ხიდის აშენებამდე იგეგმებოდა. მოზესმა 13 ხიდის აგებას უხელმძღვანელა.

ასეთი აღმშენებლის სახელი ამერიკის ისტორიას არ ახსოვს. მის მიერ ჩატარებული გრანდიოზული სამუშაოების მიუხედავად მოზესის მიმართ კეთილგანწყობა კლებულობდა და მოსახლეობის უკმაყოფილება მატულობდა, რადგან ყოველი ახალი პროექტი ხალხის ინტერესებს ეხებოდა: კვარტლების ნგრევა, სახლების დატოვება, მცირე ბიზნესის კვდომა და მრავალი სხვა პრობლემა. მოზესის პასუხი ყოველთვის ერთი იყო: „ვისაც შეუძლია შენება ის აშენებს, ვისაც არ შეუძლია ის აკრიტიკებს“. მიუხედავად წინააღმდეგობებისა მოზესი კვლავ აწარმოებდა არნახულ ურბანულ აღმშენებლობას. ხელმძღვანელობდა ჰიდროენერგეტიკული ნაგებობების, პლატინის, სტადიონების, ზოოპარკის, აკვარიუმის, აუზების, საკონფერენციო დარბაზების, თეატრების, საკონცერტო დარბაზების, საცხოვრებელი სახლების, საბავშვო ბაღების, UN-ის შტაბ-ბინის და სხვა ნაგებობათა მშენებლობას. ეს მისი მოღვაწეობის ერთი მხარეა, მეორე კი ის, რომ ხშირ შემთხვევაში მისი პროექტები ქალაქის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ნაცვლად აუარესებდა მას და დიდ რეაქციას იწვევდა საზოგადოებაში. ბევრი მათგანის გამოსწორება დღეს მიმდინარეობს. სავარაუდოდ, ეს გამოწვეული იყო იმით, რომ მოზესი არა ურბანისტი, არამედ ფილოსოფოსი, პოლიტიკოსი, ეკონომისტი იყო. მას 12 თანამდებობა ეკავა, თუმცა თანდათან ყველა დაკარგა და 1981 წელს მარტოობაში გარდაიცვალა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Berman, Marshall (1988). All that is solid melts into air: the experience of modernity. New York, N.Y., U.S.A: Viking Penguin. ISBN 978-0-14-010962-7.
2. Ballon, Hilary (2007). Robert Moses and the modern city: the transformation of New York. New York: W.W. Norton & Co. ISBN 978-0-393-73243-6

Maia Davitaia

Professor, PhD

The Georgian Technical University,

Georgia, Tbilisi

Robert Moses and his Urban Innovations – The Main builder of New York City

Summary

In the article considered the innovation approaches implemented in NY in the middle of XX century, which has determined the ways of development and played the main role in formation of modern face of city. Robert Moses, who was called the Main American Builder, has played a leading role in governing of this process, who initiated also the works on state Green Map establishment, namely the construction of city parks system. In continuation of his ideas there was developed a network of highways and bridges which should improve the care movement in NY. Moses has led the construction of hydro dams, stadiums, zoo, aquarium, swimming pools, conference halls, primary and secondary schools, UN HQ building, and many others. Nonetheless NY population was not happy with these construction and results since it was not meeting their needs, thus it's continuing up to now days the improvement activities.

სექცია: განათლება, ეკონომიკა, სოციალური საკითხები, საჯარო პოლიტიკა

იოსებ მასურაშვილი

ეკონომიკის დოქტორი

ანა მასურაშვილი
BBA, MScs

ამერიკის ბიზნესის მენეჯმენტის ანალიზი Covid19-ის პირობებში

მსოფლიოში ყველაზე მდიდარ ქვეყანაში - ამერიკაში გამდიდრების პროცესი შეჩერდა 2020 წლის მარტის თვიდან გლობალური პანდემიის გამო. 2020 წლის პირველ კვარტალში აშშ-ს მშპ 4,8 პროცენტით შემცირდა, მაშინ როდესაც 2019 წლის მეოთხე კვარტალში მშპ გაიზარდა 2,1 პროცენტით (აშშ ეკონომიკის ანალიზის ბიუროს მონაცემებით - იხ.სქემა 1), რაც უდიდესი კრიზისია 1930-იანი წლების დიდი დეპრესიის შემდეგ.

სქემა 1. რეალური მშპ აშშ-ში (2020 წ. პირველ კვარტალში)



მაგრამ ქვეყანა კიდევ უფრო მეტი ზარალის მოლოდინშია ამჟამად, ანუ 2020 წლის მეორე კვარტალში (ამ ნაშრომზე მუშაობა დასრულდა 2020 წლის აპრილ-მაისში). თუ კი ეკონომიკა ასე მკვეთრად დაზარალდა მ/წ პირველ კვარტალში, და ეს მაშინ როდესაც შტატების უმეტესობა კარანტინშია მხოლოდ 2020 წლის მარტის შუა რიცხვებიდან (ჯერ სულ რაღაც ორი თვეა), უკვე ნთელია თუ რამდენად ღრმა გავლენას მოახდენს მასზე მეორე კვარტალში Covid19 (რომელმაც 2020 წლის დასაწყისში მსოფლიოს ყველა ქვეყნის ეკონომიკა დააპაუზა). მკვეთრი ეკონომიკური ვარდნის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო სამედიცინო მომსახურების შემოსავლების შემცირება, რადგან კოროვირუსული

პანდემიის გამო, ყველა გადაუდებელი ოპერაცია და ექიმებთან ვიზიტი გაუქმდა, ხოლო სტომატოლოგების ოფისები დაიხურა. გარდა ამისა, ეკონომიკაზე იმოქმედა საწარმოთა და სკოლების მხრიდან მოთხოვნილების ვარდნამ, რადგან მათი საქმიანობა შეჩერებული ან გადატანილი იქნა ონლაინში.

ეკონომისტებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ ეს არ არის ერთჯერადი მარცხი, ხოლო აშშ-ს ეკონომიკა უზრუნველყოფილია ნახევარი წლის განმავლობაში დაცემით.

ამერიკის ეკონომიკას ელოდება რეკორდული ვარდნა. 2020 წლის ზაფხულისთვის აშშ ეკონომიკა (ისევე როგორც ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკა) დადგება კორონა ვირუსის პანდემიით გამოწვეული გარდაუვალი რეცესიის წინაშე და ამერიკელი ექსპერტების (JPMorgan) მოსაზრებით აშშ-ის მშპ 2020 წლის მეორე კვარტალში შემცირდება 3 %-მდე. კორონავირუსთან დაკავშირებული მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად ეკონომიკის აღდგენა მოსალოდნელია 2020 წლის შუა პერიოდში, ხოლო წლის მეორე ნახევარში კი დაიწყება დაჩქარებული ზრდა. ძირითადი ფაქტორი რომელიც ხელს შეუშლის უფრო სერიოზულ დარტყმას მსოფლიო ეკონომიკაზე ეს არის კორონავირუსის გავრცელების შეჩერება. უპ.ყოვლისა აუცილებელი იქნება ხელისუფლების მხრიდან ყველაზე უფრო მეტად დაზარალებული სექტორების მხარდაჭერა, ფინანსურ ბაზრებზე დაძაბულობის შემცირება და მომხმარებელთა მოთხოვნილების მხარდაჭერა მონეტარული პოლიტიკის საშუალებით.

კორონავირუსის სიტუაციის განვითარების შესაძლო ოთხი სცენარიდან სამში „ბლუმბერგის“ ექსპერტები პროგნოზირებენ მსოფლიო ეკონომიკის ზრდის შენელებას. უარეს შემთხვევაში, ის მთლიანად შემცირდება ნულამდე, ხოლო ზარალი იქნება 2.7 ტრილიონი დოლარი.

Covid 19 -თან დაკავშირებული კარანტინის ძირითადი ზიანი მოდის 2020 წლის მეორე კვარტალზე - აპრილი, მაისი და ივნისი. მისი შედეგები კი გამოცხადდება ნოემბრის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის საარჩევნო კამპანიის „ცხელ“ პერიოდში. თუმცა ამერიკა მარტო არ არის ასეთ მდგომარეობაში. მსოფლიოს მესამე ეკონომიკა - ჩინეთის ეკონომიკა თითქმის 50-წლიანი ზრდის ტემპით პირველ კვარტალში შემცირდა 6,8 %-ით, ხოლო მსოფლიოში მეორე ეკონომიკა - ევროკავშირის

ეკონომიკა ელოდება უფრო მნიშვნელოვან ვარდნას. ეკონომიკური მდგომარეობა ღარიბ ქვეყნებში უფრო უარესია - მდიდარ ქვეყნებს გამოაქვთ კაპიტალი და ამით განვითარების საშუალებას უსპობენ, ხოლო მათი ძირითადი პროდუქცია - ნედლეული და მაკომპლექტირებელი მოწყობილობები - იაფდება განვითარებულ ბაზრებზე მოთხოვნის შემცირების გამო. ნავთობის ბაზრის დანგრევამ დააზარალა ნედლეულის მწარმოებელი ქვეყნები.

ჩინეთის პირველი კვარტლის შედეგები წარმოდგენას იძლევა იმის შესახებ თუ რას უნდა ელოდნენ ამერიკელები - ამერიკა ეპიდემიამ მოიცვა ჩინეთში დაწყებული ეპიდემიიდან რამოდენიმე კვირის შემდეგ. დღეს ამერიკას ყველაზე მეტი Covid19-ით დაავადებული და გარდაცვლილი ჰყავს.

ეკონომისტები წლის მეორე ნახევარში ზრდას მოელიან, მაგრამ დარწმუნებულები არიან, რომ ეს სრულად არ აანაზღაურებს ეკონომიკის ვარდნას. გარდა ამისა, აღდგენა პირდაპირ დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება კარანტინი და რამდენად სწრაფად დაუბრუნდება შეერთებული შტატები ნორმალურ ცხოვრებას. და აქ უკვე პროგნოზისტებს ხელს უშლის ორი ფაქტორი - ვირუსი და პოლიტიკა.

აშშ-ში პირადი შემოსავლები 2020 წლის მარტის თვეში შემცირდა 2,0 პროცენტით, მას შემდეგ რაც თებერვალში გაიზარდა 0,6 პროცენტით. ხელფასი, რომელიც პირადი შემოსავლების ყველაზე დიდი შემადგენელია მარტში შემცირდა 3,1 პროცენტით, მაშინ როდესაც თებრვალში გაიზარდა 0,5 პროცენტით. აშშ-ში 2020 წლის იანვარ-მარტში და 2019 წლის დეკემბერში პირადი შემოსავლები და ხარჯები მოცემულია სქემა 2-ზე:

სქემა 2. პირადი შემოსავლები და ხარჯები აშშ-ში



საცალო ვაჭრობა, ფინანსები და დაზღვევა და აგრეთვე კომუნალური მომსახურება იყო აშშ ეკონომიკის ზრდის ძირითადი სფეროები 2019 წლის მეოთხე კვარტალში. მთლიანობაში, 22-დან 17 ინდუსტრიულმა ჯგუფმა წვლილი შეიტანა მეოთხე კვარტალში რეალური მშპ-ს 2,1 პროცენტიან ზრდაში (სქემა 3):

სქემა 3. მთლიანი შიდა პროდუქტი ინდუსტრიის დარგების მიხედვით, 2019 წლის მეოთხე კვარტალში



რამდენადაც ექსპორტი უფრო მეტად შემცირდა ვიდრე იმპორტი, ამდენად 2020 წლის მარტში აშშ-ს ყოველთვიური საერთაშორისო სავაჭრო დეფიციტი გაიზარდა 44.4 მლრდ აშშ დოლარამდე, მაშინ როცა თებერვალში 39,8 მლრდ აშშ დოლარი იყო. მარტის თვეში საქონლის დეფიციტი 4.6 მლრდ დოლარით გაიზარდა და 65.6 მლრდ

დოლარამდე მიაღწია. მომსახურების მაჩვენებელი მარტში შემცირდა 0,1 მლრდ აშშ დოლარით 21.2 მლრდ აშშ დოლარამდე.

საქონლისა და მომსახურების ექსპორტი მარტში შემცირდა 20.0 მილიარდი დოლარით, ანუ 9.6 პროცენტით, და გახდა 187,7 მილიარდი აშშ დოლარი. საქონლის ექსპორტი შემცირდა 9.2 მილიარდი აშშ დოლარით, ხოლო მომსახურების ექსპორტი შემცირდა 10.8 მილიარდი აშშ დოლარით.

საქონლისა და მომსახურების იმპორტი მარტში შემცირდა 15.4 მილიარდი დოლარით, ანუ 6.2 პროცენტით, და გახდა 232.2 მილიარდი აშშ დოლარი. საქონლის იმპორტი შემცირდა 4.7 მილიარდი დოლარით, ხოლო მომსახურების იმპორტი შემცირდა 10.7 მილიარდი დოლარით.

პანდემიამ მასშტაბური ცვლილებების პროვოცირება მოახდინა. ჯერ ერთი: ნაწილობრივ შეჩერდა ცხოვრება აშშ-ში, ისევე როგორც მსოფლიოს ყველა სხვა ქვეყანაში. მეორეც, მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მთავრობებისა და პოლიტიკური ელიტების რეპუტაციას, რომლებმაც ან უარყვეს კრიზისის სერიოზულობა, ან საწყის ეტაპზე უძლურები აღმოჩნდნენ რათა საკუთარი ჯანდაცვის სისტემების მობილიზება მოეხდინათ მის შესაჩერებლად. მესამეც, სამომხმარებლო ხარჯების დაუყოვნებლივი ვარდნა მსოფლიოს ყველა წამყვანი ქვეყნის ეკონომიკაში: აქციების ფასები უკვე ჩამოიშალა, და ამან თავის მხრივ უკვე დააზარალა საშუალო კლასის ოჯახები, რომელთაც საპენსიო ფონდები დაბანდებული ჰქონდათ აქციებში. იმავდროულად კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა ავიაკომპანიების, აეროპორტების და სასტუმროების ქსელების გადახდისუნარიანობა. ამის საპასუხოდ აშშ-მა და სხვა სახელმწიფოებმა აამოქმედეს იმდენად მსხვილი ეკონომიკური პაკეტები რომ ადამიანების უმეტესობამ ჯერ კიდევ ვერ გააცნობიერა რეალური ვითარება.

აშშ მთავრობამ ეკონომიკაში ორი ტრილიონი დოლარის ინექციის განხორციელება დაანონსა - მოსახლეობისადმი გადასახადების დაფინანსებით და ბიზნესისადმი კრედიტის სახით - ეს არის იმის ნახევარზე მეტი, რასაც გადასახადების სახით ახდევინებს მათ.

ამის პარალელურად აშშ პრეზიდენტმა დ.ტრამპმა ჯერ კიდევ 2020 წლის აპრილში გამართულ პრესკონფერენციაზე აშშ-ში ეკონომიკის უკვე მაისის თვეში გახსნის შესახებ წინასწარი განცხადება გააკეთა და ეს ყოველივე იმის ფონზე, როდესაც კორონა ვირუსით დაინფიცირებულთა საერთო რაოდენობამ აშშ-ში 2020 წლის 5 მაისის მონაცემებით მიაღწია 1238661-ს (სრულად გამოჯანმრთელდა 201011). მარტო 661 ათასი მცირე ბიზნესისთვის სახელმწიფომ გამოყო საკრედიტო თანხა 168 მლრდ აშშ დოლარი კორონა ვირუსის პირობებში დასახმარებლად.

დასკვნის სახით იმედიანი პროგნოზით მსურს დავასრულო და აღვნიშნო, რომ აშშ, როგორც მსოფლიო ზე-სახელმწიფო, უახლოეს ერთ წელიწადში შეძლებს Covid19 პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური ზარალის ანაზღაურებას და კიდევ უფრო ძლიერი ეკონომიკით ჩაუდგება სათავეში მსოფლიო ეკონომიკური თანამეგობრობის ქვეყნებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Siddique Latif, Muhammad Usman, Sanaullah Manzoor, Waleed Iqbal , Junaid Qadir, Gareth Tyson, Ignacio Castro, Adeel Razi, Maged N. Kamel Boulos, Adrian Weller, and Jon Crowcroft. Leveraging Data Science To Combat COVID-19: A Comprehensive Review. DOI: 10.13140/RG.2.2.12685.28644/4. April 2020.
2. Jayson Jia (The University of Hong Kong), Nicholas A Christakis. Population flow drives spatio-temporal distribution of COVID-19 in China. DOI: 10.1038/s41586-020-2284-y. April 2020.
3. www.nytimes.com
4. www.wsj.com
5. www.businessinsider.com
6. www.foreignaffairs.com
7. www.cnbc.com
8. www.bbc.com
9. www.bea.gov

Ioseb Masurashvili

Ana Masurashvili

American Business Management Analysis under Covid19

Summary

Corona virus quickly spread to the United States and its economy, killing many Americans and completely shaking the country. As American economists predict, this will be a deep recession - as radical as possible. According to American economists, many people will lose their jobs, many people's wealth will be in danger of "collapse", and the government - the loss of confidence. However, it is believed that the country's economy will continue to decline in the short term. Record losses for stocks fell during the worst period for the US economy, even the financial and foreign exchange markets closed for several days, with oil prices falling sharply. The shock caused by Coronavirus is the biggest since the 2008 global crisis. Numerous international business agreements have been violated and canceled. In the long run, the most important question is the depth and duration of this crisis. As some American economists suggest, this crisis should end in the second quarter, although we will understand the reality of this prediction later.

თამარ გვენეტაძე

საქართველოს უნივერსიტეტის და

კავკასიის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი

კორონავირუსისგან გამოწვეული ცვლილებები მომხმარებლების ქცევაში

სტატია: ნაშრომი მიზნად ისახავს მიმდინარე მნიშვნელოვანი ასპექტების განხილვას, რომელიც მომხმარებლების ქცევაში ამჟამინდელ ცვლილებებს ეხება. საინტერესოა დავაკვირდეთ თუ როგორ ფუნქციონირებს ფასეულობათა მიწოდების ქსელი გლობალურად და კონკრეტულად ამერიკის შეერთებულ შტატებში.

საკვანძო სიტყვები: მომხმარებლის ქცევა, კორონავირუსი COVID-19, ელექტრონული კომერცია, ფასეულობათა მიწოდების ქსელი.

ბოლო რამოდენიმე თვის განმანვოლაში მომხმარებლის ქცევაში შეინიშნა მნიშვნელოვანი ცვლილებები. მსოფლიო მასშტაბით მომხმარებლები იძულებულები გახდნენ გამკლავებოდნენ კორონავირუსული პანდემიით გამოწვეულ რთულ ვითარებას. 2020 წლის 12 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ ოფიციალურად გამოაცხადა კორონავირუსი პანდემიად. ვირუსის გავრცელების სისწრაფემ, მისმა შემაძრწუნებელმა შედეგებმა და ეროვნულმა შეზღუდვებმა მომხმარებლის ქცევის ცვლილება გარდაუვალი გახადა.

ფასეულობათა მიწოდების ქსელი წარმოადგენს კომპანიის, მომწოდებლების, დისტრიბუტორების და უშუალოდ მომხმარებლების მიერ შექმნილ სისტემას, რომლებიც ურთიერთთანამშრომლობენ მთლიანი სისტემის გასაუმჯობესებლად. აღნიშნულ სისტემაში ყველა მოქმედმა მხარემ უნდა იფუნქციონიროს ეფექტიანად, რათა ხელი შეუწყონ მთლიანი სისტემის ეფექტიან მუშაობას. როგორც შეინიშნა, ამერიკაში შესამჩნევი შეფერხებები დაფიქსირდა ფასეულობათა მიწოდების ქსელში სადისტრიბუციო არხში კორონავირუსით გამოწვეული პრობლემების შედეგად. ინტენსიურად მოხმარებადი პროდუქტების მიმართ საბაზრო მოთხოვნა

აღემატებოდა მიწოდებას, რამაც მაღაზიებში დაცარიელებული თაროების გამოჩენა განაპირობა. არაკონტროლირებადი მოთხოვნის უარყოფითი ეკონომიკური შედეგი არის ის, რომ მიწოდების სიმცირე იწვევს პანიკას და ფასების მატებას.

ფასეულობათა მიწოდების ქსელი ამერიკაში ფუნქციონირებს თანამედროვე მიდგომების თანახმად, რაც გულისხმობს დანახარჯების კონტროლს და პროდუქციის შენახვის ხარჯის შემცირებას. მუდმივად ხდება მოთხოვნის მონიტორინგი და მიწოდება მეტნაკლებად უტოლდება მოთხოვნას, რათა თავიდან იქნას აცილებული დანახარჯი. მოთხოვნის მოულოდნელმა, სწრაფმა ზრდამ გამოიწვია უმართავი საბაზრო სიტუაციის წარმოქმნა, რომელსაც კომპანიებმა მიწოდება ვერ მოარგეს კორონავირუსის პანდემიის დროს არსებული პრობლემების პირობებში.

იმ საცალო მოვაჭრეებმაც კი, რომლებიც ამაყობდნენ ლოიალური მომხმარებლების სიჭარბით, გამართული ქონდათ ეფექტიანი სადისტრიბუციო სისტემა და ფლობდნენ კონკურენტულ უპირატესობას ვერ მოახერხეს მომხმარებლებისათვის საჭირო რაოდენობის პროდუქციის მიწოდება პანდემიის გამო.

მომხმარებლების ქცევის კვლევები ცხადყოფს, რომ ყიდვით ქცევაზე სერიოზულად მოქმედებს ემოციური ფაქტორები, მაშასადამე ალბათობამ, რომ ვერ შეძლებდნენ სასურველი პროდუქციის შეძენას, ფასის შესაძლო მომატების ალბათობამ გამოიწვია მომხმარებლების ქცევის ცვლილება და ჭარბი მოთხოვნა შექმნა ბაზარზე.

მოთხოვნა გაიზარდა იმ კომპანიების მიერ ნაწარმოები პროდუქციის მიმართ, რომლებიც აწარმოებდნენ ჯანმრთელობისათვის საჭირო პროდუქტებს, თავის მოვლის საშუალებებს, ჰიგიენურ და დასუფთავების საშუალებებს. შესაბამისად ზოგიერთი კომპანიის მიერ ნაწარმოებმა პროდუქტებმა არსებული პანდემიის პირობებში დაკარგა მნიშვნელობა და მოთხოვნა დაეცა.

ზოგიერთი კატეგორიის პროდუქტზე მოიმატა მოთხოვნამ და ამ ეტაპზე მწარმოებელი კომპანიები კარგ მოგებას ნახულობენ, მაგრამ გასათვალისწინებელია რომ პროდუქტის მიმართ მოთხოვნის რაოდენობის ზრდა გამოწვეულია დროებითი კორონავირუსული პანდემიით. სიტუაციის დასტაბილურების შემდეგ მომხმარებლები ისარგებლებენ

არსებული მარაგით და თავს შეიკავებენ ანალოგიური პროდუქციის შეძენისაგან მარაგის ამოწურვამდე.

მომარაგების და მიწოდების ქსელში არსებულმა ხარვეზებმა და სავაჭრო ქსელებში პროდუქციის სიმცირის პრობლემებმაც ნეგატიური გავლენა მოახდინეს მომხმარებლის ქცევის ცვლილებაზე. ამერიკაში საცალო მოვაჭრეების მხრიდან ქვოტას შემოღება და ერთ მომხმარებელზე გაყიდული პროდუქციის რაოდენობის კონტროლი სწორი სვლა აღმოჩნდა, ვინაიდან ხელი შეუწყო მოთხოვნის მართვას.

მკვლევარები, რომლებიც შეისწავლიან მომხმარებლების ქცევას ხაზს უსვამენ განწყობის, აღქმის და მოტივაციის ზემოქმედების მნიშვნელობას მომხმარებლის ქცევაზე ამრიგად, ნათელი ხდება თუ რატომ შეცვალეს მომხმარებლებმა თავიანთი რეგულარული ყიდვითი ქცევა და დაიწყეს პროდუქტების დიდი რაოდენობით შეძენა. ეროვნულ დონეზე არსებული შეზღუდვების არსებობამ და გაურკვევლობამ ამერიკის მომხმარებლების შეშფოთება გამოიწვია. საკუთარი თავის და ოჯახის დასაცავად მომხმარებლებმა დაიწყეს საკვები პროდუქტების, სასმელი წყლის, სამედიცინო მასკების, ხელის სტერილიზაციის და ჰიგიენის საშუალებების დიდი რაოდენობით შეძენა.

ელექტრონულ ვაჭრობაში ჩაბმულ კომპანიებს ახალი შესაძლებლობები გაეხსნათ. მომხმარებლებს მოუწიათ პროდუქციის სახლიდან გაუსვლელად შეძენა, აქ კი ცხადია ონლაინ ვაჭრობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. შეზღუდვებმა მომხმარებლები ტრადიციული არხით მოვაჭრე კომპანიებისაგან შორს დააყენა და მოთხოვნა ელექტრონულ კომერციაში ფუნქციონირებადი კომპანიების მიმართ კიდევ უფრო გაიზარდა. უფრო და უფრო მეტი კომპანია იყენებს ელექტრონული კომერციის შესაძლებლობებს, ვინაიდან აღნიშნული ფორმა მომხმარებლებს უქმნის კომფორტს, რასაც დღევანდელ დღეს მყიდველი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

ამერიკაში ფუნქციონირებადი კომპანიების უმეტესობა მიმართავს ელექტრონულ კომერციას და სთავაზობს მომხმარებლებს პროდუქტის შეძენასთან დაკავშირებულ სერვისებს. მსხვილი კომპანიებიც კი ფიქრობენ საკუთარი თავის პოპულარიზაციაზე

მაგალითად, „Amazon.com“ ფართოდ ახდენს საკუთარი სერვისების სტიმულირებას ამერიკის და მსოფლიო ბაზარზე.

მხოლოდ მოთხოვნის არსებობა არაა საკმარისი, კომპანიისათვის ღია საბაზრო სისტემაში ფუნქციონირებისათვის. კომპანიას უნდა გააჩნდეს საკმარისი რესურსი მოთხოვნის საპასუხოდ და მიწოდების შესასრულებლად. მყიდველთა რაოდენობის ზრდა იწვევს სიმცირის წარმოშობას თუკი ვერ ხდება მისი დაკმაყოფილება. ამჟამინდელ ეტაპზე კი ჩვენ ყველანი გავხდით საერთაშორისო ეკონომიკაში არსებული პრობლემების მომსწრენი.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ელექტრონულმა კომერციამ საჭირო როლი შეასრულა და ფასეულობათა მიწოდების სისტემური ხარვეზები შეძლებისდაგვარად თავიდან ააცილა მომხმარებლებსაც და კომპანიებსაც. მაშინ როდესაც ტრადიციული არხები ან საერთოდ ვერ ფუნქციონირებდნენ ან ფუნქციონირებდნენ ხარვეზებით ელექტრონულმა კომერციამ ახალი შეთავაზებები გაუკეთა მომხმარებელს.

ქცევითი ეკონომიკის მიმართ ინტერესი უცვლელი რჩება. გსათვალისწინებელია ემოციურ შესყიდვებთან დაკავშირებული ნეგატიური ეფექტები და იმისათვის, რომ მომხმარებლებმა მოახდინონ საკუთარი ფინანსების დაცვა რეკომენდირებულია გაითვალისწინონ რაციონალური მოლოდინის დოქტრინის ძირითადი პრინციპები.

კორონავირუსის პანდემიასთან გამკლავების შემდეგ მომხმარებლის ქცევაში მომხდარი ზოგიერთი ცვლილება უცვლელი დარჩება და ნორმად გადაიქცევა. ერთ-ერთი ესეთი ცვლილება იქნება ელექტრონული პლატფორმების ხშირი გამოყენება. კომპანიებმა უნდა მოახერხონ ცვლილებებთან ადაპტირება და უზრუნველყონ მომხმარებლებისათვის საუკეთესო ფასეულობის შეთავაზება და შექმნა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Armstrong G. Kotler P. (2005) Marketing: an introduction, Pearson Education International.
2. Haq, M., & Abbasi, S. (2016). Indirect impact of hedonic consumption and emotions on impulse purchase behavior: A double mediation model. Journal of Management Sciences, 3(2), 108–122.https://doi.org/10.20547/jms.2014.1603202 [Crossref], [Google Scholar]
3. Leverin, A., & Liljander, V. (2004). Journal of business & Industrial marketing. Journal of Business & Industrial Marketing Management Decision International Journal of Bank Marketing Iss Journal of Product &amp Brand Management, 19(11), 5–14.
4. Silagadze A., Atanelishvili T., Silagadze N. (2010). Economic Doctrines. Georgian National Academy of Sciences. Tbilisi. (In Georgian).
5. World Health Organization (2020). Global research on coronavirus disease: https://www.who.int/emergencies/diseases/novel-coronavirus-2019/global-research-on-novel-coronavirus-2019-ncov
6. Yu, C., & Bastin, M. (2010). Hedonic shopping value and impulse buying behavior in transitional economies: A symbiosis in the Mainland China marketplace. Journal of Brand Management, 18(2), 105–114.https://doi.org/10.1057/bm.2010.32 [Crossref], [Google Scholar]

Visiting Lecturer

Georgian Unviersity, Caucasus University

Changes in Consumer Behavior due to Coronavirus

Summary

The aim of this work is to discuss important aspects related to the current changes in consumer behavior due to the Coronavirus pandemic. It is interesting to observe how the value delivery networks function globally and particularly in the USA.

Value delivery network is a network made up of the company, suppliers, distributors and ultimately customers who partner with each other to improve the performance of the entire system (Armstrong & Kotler, 2005). All involved in this process should work efficiently in order to support the operation of the entire system. As we have witnessed there was a noticeable delay in the value delivery network in the US because of the channel problems caused by the Coronavirus. The demand was higher then the supply of various frequently consumed products leading to the empty shelves in stores. The negative economic outcome of uncontrollable demand is the shortage of supply typically causing the price increase.

ნინო დოლნაძე

ამერიკისმცოდნეობის დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის

ბლუმის ტაქსონომიის გამოყენება ამერიკულ სკოლებში

(შეერთებული შტატების ისტორიის სწავლების მაგალითზე)

არსებობს სააზროვნო უნარების სხვადასხვაგვარი კლასიფიკაცია, რომელთა ცოდნა და გამოყენება მასწავლებელს ეხმარება სასწავლო პროცესის დაგეგმვაში. მოხსენებაში განვიხილავ ბლუმის ტაქსონომიას (ტაქსონომია აღნიშნავს კლასიფიკაციას, რომელიც ობიექტს ახასიათებს მარტივი კატეგორიიდან რთულისაკენ), რომელიც შექმნა ამერიკელმა განათლების ფსიქოლოგმა, ბენჟამინ ბლუმმა 1950-იან წლებში და მოიცავს აზროვნების ექვს დონეს. ბლუმის ტაქსონომიის მეშვეობით მოსწავლეები აღწევენ აზროვნების განვითარების უფრო მაღალ საფეხურს (Higher Order Thinking). ტაქსონომიას იყენებენ სხვადასხვა საგნის სწავლებისთვის და მისი შექმნიდან დღემდე არ კარგავს აქტუალობას. საინტერესოა, როგორ გამოიყენება ტაქსონომია ისტორიის სწავლებისთვის შეერთებულ შტატებში. ვფიქრობ, ისტორია არ წარმოადგენს ისეთ საგანს, რომელიც მხოლოდ ფაქტების დამახსოვრებას გულისხმობს, ისტორიის სწავლება უნდა ისახავდეს რამდენიმე მნიშვნელოვან მიზანს, როგორებიცაა: **ინტელექტუალური განვითარება, სამოქალაქო განათლება** და **მორალური ღირებულებების ჩამოყალიბება.** მოსწავლეები უნდა ჩაწვდნენ წარსული დროის ამა თუ იმ მოვლენის არსს, ისტორიული პიროვნებების როლს და დაუკავშირონ თავიანთ ცხოვრებას.

2001 წელს ტაქსონომიის დონეები განახლდა, რადგან ამერიკული საზოგადოება და ღირებულებები შეიცვალა, ასევე შეიცვალა სასწვლო გეგმაც. მნიშვნელოვანი სიახლე, რომელიც მკვლევრებმა ტაქსონომიაში შეიტანეს, ტერმინოლოგიური ცვლილება იყო - არსებითი სახელები შეიცვალა ზმნებით. ამგვარი ცვლილება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მოსწავლის ქმედით გონებრივ ქცევას. განახლებული

ტაქსონომიის დონეები ასეთია: **დამახსოვრება** (Remembering), **გაგება** (Understanding), **გამოყენება** (Applying), **გაანალიზება** (Analyzing), **შეფასება** (Evaluating), **შექმნა** (Creating).

იმისათვის, რათა სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეებმა გაიარონ ბლუმის ტაქსონომიის აზროვნების განვითარების საფეხურები და მიაღწიონ ყველაზე მაღალ დონეს, საჭიროა გარკვეული სახის აქტივობების შესრულება, რომელსაც ეწოდება „სწავლა მოქმედებით“ (Active Learning). ამ თეორიის პირველი კატეგორიის აქტივობები ასეთია: დისკუსია, იდეების რუკა, დებატები, გადაწყვეტილების მიღება, როლური თამაში და ა.შ. ამგვარად, სწავლის პროცესში მოსწავლე აქტიური მონაწილე არის. მეორე კატეგორია წარმოადგენს იმ აქტივობებზე ფიქრს, რომლებსაც მოსწავლეები ასრულებენ. ეს იგივეა, რაც მეტაკოგნიცია, რომელიც ნიშნავს საკუთარი შემეცნებითი (აზროვნების) პროცესების - აზრების, ფიქრების გაცნობიერებას და მართვას. იგი არის მნიშვნელოვანი დამაკავშირებელი ელემენტი აქტივობებსა და სწავლას შორის.

იმისათვის, რათა უფრო ნათლად დავინახოთ ტაქსონომიის მნიშვნელობა, განვიხილავ შეერთებული შტატების სამოქალაქო ომის სწავლებას იმ სახელმძღვანელოს მიხედვით, რომელიც ბლუმის ტაქსონომიას ეფუძნება. წიგნი შეესაბამება მე-8 კლასის მოსწავლის ასაკობრივ შესაძლებლობებს:

ბლუმის ტაქსონომიის პირველ დონეზე მოსწავლეს მოეთხოვება ადრე ნასწავლი მასალის გახსენება. მაგალითად, მასწავლებელი სვამს შემდეგ შეკითხვებს: რა ჰქვიათ კონფედერაციის გენერლებს? სად გაიმართა პირველი ბრძოლა? ასევე, მოსწავლეებს შეუძლიათ ჩამოთვალონ სამოქალაქო ომში მონაწილე ჩრდილოეთის შტატები, თარიღები და ა.შ. ტაქსონომიის პირველი დონე გულისხმობს ფაქტობრივ ცოდნას.

შემდეგი დონე არის გაგება - მოსწავლე ადარებს ერთმანეთს სამხრეთისა და ჩრდილოეთის დამოკიდებულებას მონობის საკითხისადმი ან ერთმანეთს ადარებს სამოქალაქო ომის ყველაზე მნიშვნელოვან ადამიანებს. მაგალითად, ჯეფერსონ დეივისი და რობერტ ლი უფრო მეტად ჰგვანან თუ განსხვავდებიან ერთმანეთისგან? რატომ? ასევე, რა განსხვავებაა ჩრდილოეთისა და სამხრეთის შტატებს შორის?

შემდეგ დონეზე მოსწავლემ უნდა შეეძლოს იმის დასახელება თუ რა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები უნდა მიეღოთ ამერიკელებს სამოქალაქო ომის წლებში. ასევე, მათ შეუძლიათ ჩამოწერონ კითხვების სია, რომელსაც აბრაჰამ ლინკოლნსა და სხვა მნიშვნელოვან ფიგურებს დაუსვამდნენ.

შემდეგ დონე არის ანალიზი - მოცემული ტექსტისა და რუკის დახმარებით, რომელზეც აღნიშნული არის სამოქალაქო ომის შეტაკებები (მაგალითად, ვიკსბურგის შეტაკება, გაზაფხული 1863), ახსნან, რატომ იყო მნიშვნელოვანი მდინარე მისისიპიზე კონტროლის აღება კავშირის მიერ.

მომდევნო დონე არის შეფასება, მოსწავლემ უნდა უპასუხოს შემდეგ კითხვას, ჩრდილოეთს არ სურდა, რომ სამხრეთში ყოფილიყო მონობა. თქვენ რომ პრეზიდენტი ყოფილიყავით, როგორ მოაგვარებდით ამ პრობლემას? მაგალითად, სახელმძღვანელოში ერთ-ერთი დავალება ასეთია: წარმოიდგინე, რომ აბრაჰამ ლინკოლნი, ულის გრანტი, ჯეფერსონ დეივისი და რობერტ ლი არიან ერთ ოთახში. როგორი იქნებოდა მათი საუბარი? შექმენით დიალოგი მათ შორის, თითოეულ პერსონას უნდა ჰქონდეს ექვსი წინადადება. მომზადებული დიალოგის შემდეგ, გაითამაშეთ სცენა (როლური თამაში).

ბლუმის ტაქსონომიის ბოლო დონე, რომელსაც ეწოდება შექმნა, გულისხმობს მოხსენების, ესეს ან სტატიის დაწერას, კვლევის ჩატარებას. აღნიშნულ სახელმძღვანელოში მოცემულია ამგვარი დავალება: სამხრეთ შტატებში იყო პლანტაციები, ჩაატარეთ კვლევა თუ როგორი არის პლანტაცია, ვინ მუშაობდა და ვის ეკუთვნოდა. მოსწავლეებმა უნდა შექმნან პლაკატი, სადაც მათი კვლევა იქნება წარმოდგენილი და თავიანთი მოსაზრებები მოსწავლეებს და მასწავლებელს უნდა გაუზიარონ.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ისტორია ღირებულებების სწავლებასაც უნდა ისახავდეს მიზნად, მაგალითად, პატრიოტიზმის. სახელმძღვანელოში დასმული არის ასეთი კითხვები: რა აქცევს ადამიანს გმირად? რა ღირებულებები უნდა ჰქონდეს გმირს? ასევე, მოსწავლეები ნასწავლ მოვლენებს უკავშირებენ თავიანთ ცხოვრებას. წიგნში მოცემულია შეკითხვები: არის თუ არა დისკრიმინაცია თქვენს თემში, საზოგადოებაში, მსოფლიოში? ახსენით თქვენი მოსაზრება.

რაც შეეხება ისტორიის სწავლებას საქართველოში, განვიხილავ მეორე მსოფლიო ომის სწავლებას, ორი სახელმძღვანელოს მიხედვით, რომლებიც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ არის გრიფირებული. წიგნები ეფუძნება 2011 წელს შემუშავებულ ეროვნულ სასწავლო გეგმას, სადაც შესასრულებელი აქტივობები თითქმის არ არის წარმოდგენილი.

სახელმძღვანელო, რომელიც გამომცემლობა „კლიოს“ ეკუთვნის, მოცემლია შემდეგი სახის დავალება შეადარე მეორე მსოფლიო ომის დროინდელი სამხედრო ტექნიკა პირველი მსოფლიო ომის დროინდელს. როგორ ფიქრობ, რა გავლენის მოხდენა შეეძლო სამხედრო ტექნიკის განვითარებას ომის შედეგებზე. შეიძლება ითქვას, რომ ეს შეკითხვა აერთიანებს ბლუმის ტაქსონომიის პირველ და მეორე დონეს (დამახსოვრება, გაგება). მოსწავლემ უნდა გაიხსენოს ადრე ნასწავლი მასალა და გაანალიზოს ახალ მასალასთან ერთად.

აზროვნების განვითარების მესამე დონე, რომელსაც ეწოდება გამოყენება, სახელმძღვანელოში არ არის იმგვარი სახის აქტივობა, რომელსაც წარმოსახვით ინტერვიუს ვუწოდებთ.

რაც შეხება ტაქსონომიის მეოთხე დონეს, ანალიზს, სახელმძღვანელოში მრავლად არის დავალებები, რომლებიც მოსწავლეს ანალიზის უნარს უვითარებს. მაგალითად, მოცემულია მნიშვნელოვანი წყაროები მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებით, რომლებიც მოსწავლეებმა უნდა შეადარონ.

მეხუთე დონეა შეფასება - სახელმძღვანელოში ერთ-ერთი დავალება მოსწავლეს სთხოვს, რომ ივარაუდოს, იაპონია რომ არ დასხმოდა თავს პერლ ჰარბორს, ჩაებმებოდა თუ არა შეერთებული შტატები მეორე მსოფლიო ომში, მოსწავლის პასუხი უნდა იყოს დასაბუთებული.

ბოლო სახის აქტივობა მოსწავლეებს ავალებს ინფორმაციის მოძიებას მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ქართველების შესახებ. ამ საკითხის შესახებ მათ უნდა მოამზადონ

რეფერატი და პრეზენტაცია. ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით, ნაშრომის შექმნა წარმოადგენს აზროვნების განვითარების უმაღლეს დონეს.

მეორე სახელმძღვანელო, რომელიც „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობას“ ეკუთვნის, შეიძლება ითქვას, რომ უფრო მეტად თეორიული მასალის მიწოდებაზე არის ორიენტირებული და ნაკლებ ყურადღებას უთმობს სხვადასხავა სახის ატივობის შესრულებას. მაგალითად, ყველა საკითხს თან ახლავს „დროის ხაზი“ (მოსწავლეებს განვლილი მასალის მნიშვნელოვანი მოვლენების თარიღებზე კიდევ ერთხელ მიუთითებს და ეხმარება დროით სივრცეში მარტივად ორიენტირებაში), ვფიქრობ, უკეთესი იქნებოდა თუ ავტორები დროის ხაზის შედგენას მოსწავლეებს დააავალებდნენ. ეს იქნებოდა ერთ-ერთი აქტივობა, რომელიც მოსწავლეს ეხმარება განავითაროს აზროვნების მესამე დონე (გამოყენება). ამგვარად, ეს სახელმძღვანელოები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება.

2011 წლის სასწავლო გეგმისაგან განსხვავებით, 2018 წელს შემუშავებულ გეგმაში წარმოდგენილია აზროვნების დონეები, თუმცა იმისათვის, რათა მოსწავლემ აზროვნების უმაღლეს დონეს მიაღწიოს, არ არის მოცემული სხვადასხვა შესასრულებელი აქტივობა. საჭიროა მრავალფეროვანი მეთოდების დანერგვა, რათა მოსწავლე სწავლის პროცესის აქტიური მონაწილე გახდეს.

რაც შეეხება ბლუმის ტაქსონომიის უარყოფით მხარეებს, ზოგიერთი პროფესორი მიიჩნევს, რომ ტაქსონომია არ არის ეფექტური გზა სწავლის გასაუმჯობესებლად, რადგან აზროვნება არის კომპლექსური და ის არ ფუნქციონირებს იერარქიის მეშვეობით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლე ხდება საგაკვეთილო პროცესის აქტიური მონაწილე და არა პასიური მსმენელი. ის ფაქტი, რომ ამერიკელი მოსწავლეები კონკურენტუნარიანები არიან საერთაშორისო დონეზე, მაგრამ მაინც ჩამორჩებიან თავიანთ უცხოელ თანატოლებს და საშუალო შედეგებს აღწევენ, მიუთითებს იმაზე, რომ ამერიკულ განათლებაში არსებობს ფუნდამენტური პრობლემები, რაც უფრო ღრმა კვლევას საჭიროებს.

გამოყენებული მასალა:

1. ბოლქვაძე დ. ისტორიის სწავლება: ზოგადი ტენდენციები, ახალი მეთოდები, სასწავლო აქტივობები. 31-32. 2014. მოძიებულია 28 დეკემბერი, 2019. http://gesj.internet-academy.org.ge/ge/list_artic_ge.php?b_sec=edu&issue=2014-01
2. ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016. საგნობრივი პროგრამები საზოგადოებრივ მეცნიერებებში. 1011. მოძიებულია 15 იანვარი, 2020. http://ncp.ge/ge/curriculum/satesto-seqtsia/mimdinare-esg-2011-2016
3. მეძმარიაშვილი ე. პაპასქირი თ. პაპაშვილი მ. დაუშვილი რ. ჯანელიძე ო. თაბუაშვილი ა. ხატიაშვილი თ. კავთიაშვილი მ. (2012). ისტორია. VIII კლასი, მოსწავლის წიგნი. თბილისი, გამომცამლობა „კლიო“. მოძიებულია 10 დეკემბერი, 2019. https://www.mes.gov.ge/content.php?id=4839&lang=geo
4. სანიკიძე გ. გორდეზიანი ლ. გაჩეჩილაძე რ. მიმინოშვილი ზ. (2012). ისტორია. მოსწავლის წიგნი. მოძიებულია 19 იანვარი, 2020. https://www.mes.gov.ge/content.php?id=4839&lang=geo
5. საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024. მოძიებულია 25 იანვარი, 2020. http://ncp.ge/ge/curriculum/satesto-seqtsia/akhali-sastsavlo-gegmebi-2018-2024/sabazo-safekhuri-vi-ix-klasebi-proeqti-sadjaro-gankhilvistvis
6. Active Learning. Poovru Center for Teaching and Learning. Accessed December 20, 2019. https://poorvucenter.yale.edu/ActiveLearning
7. Krathwohl, David R. A Revision of Bloom's Taxonomy: An Overview. 214-215. 2002. Accessed December 15, 2019. https://www.academia.edu/533768/A_revision_of_Blooms_taxonomy_An_overview
8. Lasley, Thomas J. Bloom’s Taxonomy. Accessed December 10, 2019. https://www.britannica.com/topic/Blooms-taxonomy
9. Seaman, Mark. Bloom’s Taxonomy. Its Evolution, Revision, and Use in the Field of Education. no 1-2 2011. Accessed December 15, 2019. https://www.questia.com/library/journal/1G1-284325094/bloom-s-taxonomy-its-evolution-revision-and-use
10. Thompson, Deborah. World Conflict Series. American Civil War. San Diego: Class Complete Press. 2007. Accessed January 10, 2020. https://books.google.ge/books?id=kADfBwAAQBAJ&pg=PA3&lpg=PA3&dq=bloom%27s+taxonomy+examples+in+us+civil+war&source=bl&ots=2W1hsk2gps&sig=ACfU3U3iNMLE4qJRHAewJQujN-arFGGY_w&hl=en&sa=X&ved=2ahUKEwjB6_CFuaHnAhWXwAIHHbJRCrwQ6AEwGXoECAkQAQ#v=onepage&q&f=false

Nino Donadze
Phd Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Using Bloom's Taxonomy in America n Schools (Considering the Practice of Teaching the History of the United States)

Summary

The aim of the report is to present the use of Bloom's taxonomy in teaching the history of the United States.

Bloom's taxonomy was created by an American educational psychologist Benjamin Bloom in the 1950s and includes six cognitive skills. Students enhance higher order thinking skills by Bloom's taxonomy. If we look at the history of American education, we will see that few educational theorists or researchers have had as a profound impact on American educational practice as Bloom. Bloom's taxonomy is used to teach a variety of subjects and it has not lost its actuality since its creation.

The report discusses the methods of teaching the Civil War in the United States according to the textbook, which is based on Bloom's taxonomy, and compares it with the Georgian textbooks of history and the teaching methods which are used in Georgia. Unlike the United States, there is no diversity of teaching methods in Georgia. The implementation of different methods will also help students to be actively involved in the learning process, as in American schools.

Although American students are competitive internationally, they still lag behind their foreign peers and achieve average results which indicates that there are fundamental problems in the system of American education that require more in-depth research.

ნინო ხურცილავა

პოლიტიკის მეცნიერებათა მაგისტრი (Mgr.), მასარიკის უნივერსიტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი (MBA), მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

პოლიტიკური ლობირების მსგავსებები, განსხვავებები და შედეგები აშშ-სა და საქართველოში: შედარებითი ანალიზი

I. შესავალი

ლობირება როგორც მთავრობაზე, ისე მის ინსტიტუცებზე გავლენის მოხდენის პროცესს წარმოადგენს. ლობირების სპროცესში აღნიშნული მიზანი მიიღწევა საჯარო პოლიტიკის დღის წესრიგის განსაზღვრის პროცესში ლობისტთა აქტიური ჩართულობით. აღსანიშნავია, რომ ტერმინი „ლობირება“ ზოგ შემთხვევაში ნეგატიური კონოტაციის მატარებელია, რამდენადაც იგი ხშირად ასოცირდება კორუფციულ გარიგებებთან, ჩრდილოვან ეკონომიკასთან და დაინტერესებულ პირთა არამართლზომიერ გავლენასთან სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირების პროცესებზე. მიუხედავად ამისა, როგორც წესი, დემოკრატიული სისტემები იზიარებენ ლობირებას, როგორც ლეგიტიმურ და მნიშვნელოვან მექანიზმს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დემოკრატიულმა საზოგადოებებმა გაიაზრეს, რომ ლობირების მნიშვნელობის მასშტაბურმა ზრდამ წარმოშვა პროცესის რეგულირების საჭიროება, რაც გამომდინარეობს იქედან, რომ სხვადასხვა ლობისტური

ჯგუფები მოთხოვენ თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს, ისევე როგორც გამჭვირვალობას და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ზრდას მათი საქმიანობის მაქსიმალური ეფექტურობის უზრუნველსაყოფად. მიზანი კი ერთის მხრივ არის ის, რომ მოახდინონ გავლენა პოლიტიკის შემუშავების, განვითარებისა და იმპლემენტაციის თითოეულ ფაზაზე, ხოლო მეორე მხრივ, იყვნენ პოლიტიკური პროცესების სანდოობის გარანტორნი.

შეიძლება ითქვას, რომ ლობირება თანამედროვე პოლიტიკური დღის წესრიგის განსაზღვრის თანმდევი ნაწილია, ხოლო მისი ზეგავლენა - გარდაუვალი. ამიტომ, მნიშვნელოვანია ლობირების კუთხით არსებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების შესწავლა და საკითხის განხილვა ქვეყანათა პოლიტიკურ სისტემებზე მისი გავლენის განსაზღვრის მიზნით.

წინამდებარე მოხსენებაში ლობირებას განვიხილავთ ორი სახელმწიფოს - ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს მაგალითებზე, ამ ქვეყნების მახასიათებლების გამოკვლევის გზით. შედარებითი ანალიზი საშუალებას მოგვცემს განვიხილოთ აშშ-ს მიერ ლობიზმთან დაკავშირებული პროცესების განვითარების ეტაპები და შევადაროთ ის საქართველოში არსებულ ტენდენციებს. წინამდებარე ნაშრომის მეორე ნაწილი ფოკუსირდება აშშ-სა და საქართველოს ინსტიტუციურ, პოლიტიკურ და კულტურულ გარემოზე და აღნიშნულიდან გამომდინარე - მათ შორის არსებულ განსხვავებებზე ლობისტური საქმიანობის რეგულირების მიმართულებით. გათვალისწინებული იქნება საქართველოსა და აშშ-ს შორის არსებული ინსტიტუციური, პოლიტიკური და ისტორიული განსხვავებები. ნაშრომის მესამე ნაწილში კი ყურადღება გამახვილდება აშშ-სა და საქართველოში არსებულ პოლიტიკურ და ინსტიტუციურ სტრუქტურებზე, ამ გზით მიმოვიხილავთ, თუ რა გავლენას ახდენს ორივე ტიპის სტრუქტურა ლობისტური საქმიანობაზე აღნიშნულ სახელმწიფოებში.

II. აშშ და საქართველო - ორი განსხვავებული ინსტიტუციური, პოლიტიკური და კულტურული გარემო

მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ აშშ-სა და საქართველოს შორის არსებულ პოლიტიკური და ინსტიტუციური განსხვავებები, რაც შემდგომში დაგვეხმარება განვსაზღვროთ ლობირების კუთხით არსებული მიღწევებისა და გამოწვევების მიზეზ-შედეგობრიობა. აღნიშნული მიდგომა საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ და გავაანალიზოთ ის გარემო, რომელშიც ლობირება ხორციელდება, რამდენადაც, სწორედ ეს განსაზღვრავს ლობირების პროცესის გამჭვირვალობასა და ეფექტურობას. სხვადასხვა ინსტიტუციები ქმნიან პოლიტიკური შესაძლებლობების სტრუქტურას, რაც შემდგომში აყალიბებს ლობირების პროცესებზე მოქმედ ფაქტორებს. ამერიკის შეერთებული შტატების შემთხვევაში, ეს გახლავთ ერი-სახელმწიფო, კარგად ჩამოყალიბებული და სტაბილური ფედერალური მოწყობით და კონსტიტუციით, რომელიც ძალაში შევიდა 1789 წლის 4 მარტს. აშშ-ს ერთ-ერთმა დამაარსებელმა და შემდგომში მე-4 პრეზიდენტმა ჯეიმს მედისონმა, კონსტიტუციის შექმნასა და დახვეწაში თავისი წვლილი კონსტიტუციის ათი შესწორების წარმოდგენით შეიტანა, ხოლო ინდივიდთა, ჯგუფთა და კორპორაციათა ლობირების უფლება კონსტიტუციის პირველი შესწორებით განისაზღვრა, რომლითაც სიტყვის თავისუფლება და კონგრესისადმი მიმართვის უფლება დაკანონდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია გახლავთ ქვეყანაში არსებული სტაბილურობის მნიშვნელოვანი ელემენტი. განსხვავებით ამისაგან, საქართველოსათვის დამახასიათებელია ხშირი საკონსტიტუციო და ინსტიტუციური ცვლილებები, შედეგად კი „პირობითობის მდგრადობა“ (Persistence of the Provisional, Wallace, 2000). ამერიკის შეერთებული შტატებისაგან განსხვავებით, რომელიც ხასიათდება ძლიერი ფედერალური სახელმწიფო მოწყობითა და სუვერენიტეტით, საქართველო გარდამავალ პროცესში მყოფი განვითარებადი ქვეყანაა, სადაც კონსტიტუცია, მისი მიღებიდან (1921 წლის 21 თებერვალი) დღემდე, მუდმივ ცვლილებებს განიცდის. მხოლოდ 1995 წლის 24 აგვისტოს მოხერხდა საქართველოს სახელმწიფოს უზენაესი კანონის მიღება

პარლამენტის მიერ, რაც არაერთ ცვლილებებსა და შესწორებებს ექვემდებარება საქართველოს კომპლექსური საგარეო პოლიტიკიდან გამომდინარე. მათ შორის აღსანიშნავია ევროკავშირთან ჰარმონიზების პროცესი, რომელიც რთული სუპრანაციონალური ინსტიტუტია და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოში პოლიტიკური დღის წესრიგის ფორმირებაზე. შესაბამისად, ლობისტებს აქვთ ბერკეტები მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ საკონსტიტუციო ცვლილებებზე და vice versa - ხშირი საკონსტიტუციო ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ლობირების პროცესის გამჭვირვალობასა და ეფექტიანობაზე.

აღნიშნული გარემოებები ზემოქმედებს პოლიტიკის შემუშავების პროცესზე, მასში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებზე, ისევე როგორც ლობირების პროცესში მონაწილე ინსტიტუტების ლეგიტიმურობაზე და ა.შ. ამასთანავე გასათვალისწინებელია კარდინალური განსხვავება საქართველოსა და აშშ-ს ფედერალურ ბიუჯეტს, ისევე როგორც ადმინისტრაციულ რესურსებსა და შესაძლებლობებს შორის.

სანამ საქართველოსა და აშშ-ს ლობირების განვითარების პროცესებს შევადარებთ, უნდა გავითვალისწინოთ ამ ორი ქვეყნის განსხვავებული კულტურული, სოციალური და ისტორიული მახასიათებლები ლობირებასთან მიმართებით. ლობირება, როგორც პროფესიული საქმიანობა, აშშ-ში ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ჩამოყალიბდა, მას შემდეგ კი აქტიურად განვითარდა და საზოგადოებამ, ისევე როგორც სამეცნიერო წრეებმა, აღიარეს მისი ლეგიტიმურობა. განვითარების ასეთი ისტორიით, აშშ-ში ლობირება განიხილება როგორც სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების წარმომადგენლობის გაზრდისა და ინტერესების დაცვის ლეგიტიმური მეთოდი. მსგავსი დღის წესრიგით ვერ დაიკვეხნის საქართველო, სადაც ლობისტური საქმიანობა ნაკლებად განვითარებულია და საზოგადოება სკეპტიკურადაა განწყობილი ლობირების პრაქტიკის მიმართ.

III. აშშ-სა და საქართველოს შორის არსებული განსხვავებები ლობისტური საქმიანობის განხორციელების პროცესებსა და შედეგებში

“…როდესაც სახელმწიფოს მართავს საზოგადოებრივი აზრი, ყველა ადამიანს ესმის საზოგადოებრივი აღიარების მნიშვნელობა, და თითოეული ცდილობს, მიაღწიოს მას...“ ამონარიდი ალექსის დე ტოკვილის ნაშრომიდან “დემოკრატია ამერიკაში”, რომელიც უკვე მეორე საუკუნეა ინარჩუნებს თავის აქტუალობას და ცხადჰყოფს, რომ აშშ-ში გადამწყვეტ როლს იძენს საზოგადოებისათვის ინფორმაციის გაზიარება და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა. ტოკვილის მე-19 საუკუნის ამერიკის მსგავსად, თანამედროვე ამერიკელებიც, განსხვავებით ქართული საზოგადოებისაგან, მეტად მოტივირებულნი არიან შეუერთდნენ პოლიტიკურ და სოციალურ ორგანიზაციებს, შესაბამისად, აღნიშნული ჯგუფების ძალაუფლება მნიშვნელვნად დომინირებს დომინირებს პოლიტიკურ პროცესებზე.

ინტერესთა ჯგუფები მრავალი ტიპისაა. ის შეიძლება იყოს როგორც ძალიან ლიტბერალური, ისე მეტად კონსერვატიული. ლობისტები იბრძვიან სხვადასხვა მიზნების მისაღწევად, საგადასახადო კრედიტიდან დაწყებული, ამერიკული პოლიტიკური კულტურის ფუნდამენტური გადასინჯვით დასრულებული. ინტერესთა ჯგუფების მაგალითებია იარაღის ეროვნული ასოციაცია, პენსიონერთა ამერიკული ასოციაცია და ველური ბუნების მსოფლიო ფონდი, როგორც ვხედავთ, არჩევანი მრავალფეროვანია.

აშშ-ში მკაცრად რეგულირდება ლობისტური საქმიანობა მეტი სამართლიანობის, გამჭვირვალეობისა და პასუხისმგებლობის უზრუნველყოფის მიზნით. ჯერ კიდევ 1946 წელს შემუშავდა ”ლობირების ფედერალური რეგულირების აქტი”, რომელმაც პირველად მოაქცია ლობირება საკანონმდებლო ჩარჩოში. საქართველოში ,,კანონი ლობისტური საქმიანობის შესახებ“ პარლამენტმა მხოლოდ 1998 წელს მიიღო და მისი განაზღვრება ლობისტად რეგისტრაციის წესითა და ლობისტური საქმიანობის განხორციელების პროცესში წარმოშობილი ურთიერთობების რეგულირებით შემოიფარგლება. აქვე აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში მხოლოდ 2009 წელს დაფუძნდა „საქართველოს ბიზნეს ასოციაცია“, რომლის მისიას ,,წევრი კომპანიების ობიექტური და ლეგიტიმური ბიზნესინტერესების ხელისუფლებისათვის წარდგენა და დაცვა

წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, კერძო სექტორის ჩართულობა პოლიტიკურ პროცესებში ნაკლებად გამჭირვალე და ფორმალიზებულია, რაც აძლიერებს საზოგადოების სკეპტიციზმს.

ლობიზმის ფედერალური რეგულირება (FRLA) აშშ-ში II მსოფლიო ომის შემდეგ ამოქმედდა, განისაზღვრა ლობისტის ცნება და მასზე დაკისრებული ვალდებულებები. მას შემდეგ, პოლიტიკოსები კიდევ უფრო აქტიურად მიმართავენ ლობისტურ კომპანიებს მოსახლეობის მხარდაჭერის მოსაპოვებლად. ლობისტური საქმიანობა უსაფრთხოების სფეროსაც შეეხო მაშინ, როდესაც 2013 წელს ბრაზილიურმა კომპანიამ (Embraer) ამერიკელ პარტნიორ S.N.C.-სთან ერთად 950 მლნ. დოლარის ღირებულების სამხედრო კონტრაქტი მიიღო (კონკურეტი - ამერიკული კორპორაცია Beechcraft). გამარჯვებული კომპანიის წარმატება პირდაპირ ლობისტური საქმიანობის შედეგი გახლდათ, რამეთუ მათ შეძლეს დაერწმუნებინათ კონგრესმენები ბრაზილიური პროდუქციის უპირატესობაში (რ. ქოიავა). განსხვავებით ამ დახვეწილი პროცესებისაგან, საქართველოში ლობისტური საქმიანობა ჯერ კიდევ განვითარების ფაზაშია და ლობისტთა საქმიანობის არეალი - არც თუ ისე ფართო.

IV. დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად ლობისტური საქმიანობის მიზნების ერთგვაროვნებისა, აშშ-სა და საქართველოში განხორციელებული ლობისტური საქმიანობა მნიშვნელოვნად განსხვავდება. ეს განსხვავებები უპირველეს ყოვლისა დაკავშირებულია არაერთგვაროვან ისტორიულ, კულტურულ და პოლიტიკურ გარემოსთან. უმნიშვნელოვანესია იმის გათვალისწინება, რომ აშშ-ში ლობირებას ხანგრძლივი ლეგიტიმურობის ტრადიცია აქვს, განსხვავებით საქართველოსაგან, სადაც აღნიშნული ჯერ კიდევ ნეგატიური კონოტაციის მატარებელი ტერმინია, ხოლო საზოგადოება სკეპტიკურადაა განწყობილი. ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება კი განსხვავებულ მარეგულირებელ მიდგომებშია როგორც იურიდიული,

ისე ინსტიტუციური თვალსაზრისით. ამ კუთხით საქართველოს შეუძლია საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების მქონე აშშ-საგან მაგალითის აღება, ლობისტური საქმიანობისათვის მეტი ლეგიტიმაციის მინიჭების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ საკითხი საჭიროებს დამატებით კვლევებს აკადემიურ წრეებში იმისათვის, რომ მეტი სიცხადით დავინახოთ ლობირების მნიშვნელობა და მისი ძალა გამჭვირვალე, ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით ფორმირებული პოლიტიკური დღის წესრიგის განსაზღვრის პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Pethig, R. (1985). Competitive Lobbying for Group-Specific Public Goods. In PETHIG R. (Ed.), Public Goods and Public Allocation Policy. Frankfurt am Main; Bern; New York: Peter Lang AG. ხელმისაწვდომია: www.jstor.org/stable/j.ctv9hj8d1.6

2. Roos D. "How Lobbying Works" (2012). HowStuffWorks.com. ხელმისაწვდომია: https://people.howstuffworks.com/lobbying.htm

3. BLOODGOOD, E. (2011). The interest group analogy: International non-governmental advocacy organisations in international politics. Review of International Studies. ხელმისაწვდომია: www.jstor.org/stable/23024586

4. Library of Congress Thomas (2007) S.1: “Honest Leadership and Open Government Act”. ხელმისაწვდომია: http://www.gpo.gov/fdsys/pkg/BILLS-110s1enr/pdf/BILLS-110s1enr.pdf

5. ლორთქიფანიძე, ი. (2015). ეკონომიკური პოლიტიკის და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების გავლენა კონკურენციაზე საქართველოში. სადისერტაციო ნაშრომი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

6. გოგიბერიძე, გ. (2012), ლობიზმი და მისი რეგულირების სამართლებრივი ასპექტები. სადისერტაციო ნაშრომი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Nino Khurtsilava

MA, Political Science

Masaryk University MBA, Ilia State University

Invited Lecturer at Georgian National University

Affinities, differences and consequences of Political Lobbying in The USA and Georgia: A Comparative Approach

Summary

Political lobbying was reputedly born in the United States, and the development of lobbying-related processes was greatly facilitated by the establishment of a democratic system of governance. The legal basis for this activity is found in first amendment to the U.S. Constitution, which legitimises freedom of speech and the right to appeal to Congress. As for Georgia, the Law on Lobbying Activities, adopted by the Parliament of Georgia in 1998, defines the rules for registration as a lobbyist and regulates the relations arising in the process of carrying out lobbying activities. Nevertheless, the involvement of the private sector in political processes is less transparent and formalised, which contributes to the strengthening of informal lobbying.

Since the 1970s, a wave of new government regulations and deteriorating economic conditions have strengthened advocacy and mobilisation of business leaders. Companies started developing their political capabilities, conscious that public policy is not a threat but an opportunity. Since then, corporate lobbying has become more common, more proactive and more specific. Unlike the situation in Georgia, the United States has formalised certain contributions made by specific companies or individuals to change this or that law.

Lee Drutman, a senior fellow with the New America Foundation's Political Reform Program, argues that lobbyists have helped company executives understand the importance of political power for the further growth and development of their companies.

The contribution focuses on how American and Georgian businesses developed political advocacy and what kind of economic influence can this advocacy buy. We will compare the historical experience and agenda of the U.S. with the situation in Georgia, analyse the methods of how corporations operate in the United States and Georgia, and discuss the issue of how lobbying activities are regulated by the legislation of these two countries.

რევაზ ლორთქიფანიძე

პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

მომავალი ბიოფიზიკური (მატერიალური) და ფსიქოლოგიური (არამატერიალური) მენეჯმენტი ამერიკული გამოცდილების ჩემი "ინოვაციებით"

ვფიქრობ, ყურადღებიანი მკითხველს ახსოვს სამეცნიერო და სახელმწიფო მიღწევების ჩემი პრიორიტეტები და მენეჯმენტში ბუნებისა და ფსიქოლოგიის კანონების გამოყენება (მაგალითად, ბიოფიზიკა და ნეიროეკონომიკა).

სამყაროში ყველაფერი ურთიერთდამოკიდებულებულია და ეკონომიკასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს შორის კავშირიც, რა თქმა უნდა, ფაქტია, მაგრამ რატომღაც, როგორც ადრე ვწერდი, ეს კავშირი დიდ ყურადღებას არ იქცევს. არადა, ამ კავშირის შესახებ მეტი კვლევის შემთხვევაში, არსებითად უკეთესი შედეგები გვექნება.

მოგეხსენებათ, ბოლო წლებში, დროის მოთხოვნებიდან გამომდინარე, გავაღრმავე ინტერესი ეკონომიკური კონკურენციის საკითხების შესწავლის მიმართულებით და, ფიზიკაში ელექტრული დენის ძალის კარგად ცნობილი კანონის ანალოგიაზე დაკვირვებით (I=V/R), დაფიქსირდა გარკვეული ხარვეზები კლასიკურ კონკურენტულ ხედვებში და კანონმდებლობაშიც კი, რაც, ჩვენი აზრით, დღემდე ხელს უშლის კეთილსინდისიერი კონკურენციის დაცვასა და შესაბამის გადაუდებელ რეფორმას.

მიგვაჩნია, რომ კონკურენციის სწორად გაგება და შესაბამისად ინოვაციური ეკონომიკური მექანიზმების გამოყენება, 2020 წლამდე მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველოსა და მთელს დასავლურ ცივილიზაციაში საგანგაშო დემოგრაფიული სიტუაციისა და სიღარიბის არსებითად დაძლევაში, რაც, კომკრეტულად საქართველოში, 90-იანი წლების ცნობილი კრიზისი შედეგად გაღრმავდა.

ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების შესასწავლად, მოვიწვიე პროგრესულად მოაზროვნე პოლიტიკური ლიდერები და მეცნიერები. ამერიკულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ მენეჯმენტის ხელოვნება და ფსიქოლოგია განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობს აშშ-ში. რეფორმატორი პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ნამდვილად

გენიალურმა წიგნმა გარიგების ხელოვნების შესახებ და რონალდ რეიგანის დემოკრატიულმა რეფორმებმა, სსრკ-ს ათეისტური დიქტატურის კოლაფსი განაპირობეს და დამოუკიდებელი ეკონომიკურ პროგრესის პერსპექტივები დაგვისახეს.

მოხარული ვარ, რომ საუნივერსიტეტო ცენტრები, სადაც მიმდინარე პერიოდში ვსაქმიანობ, ჩემი ჭეშმარიტად რეფორმირებადი ქვეყნის ტერიტორიული სიმცირის მიუხედავად, მოღვაწეობენ ისეთ მწვავედ საჭირო სამეცნიერო სფეროებში, როგორებიცაა ფსიქოლოგიური მენეჯმენტი, ფიზიკური მედიცინა, ბიოელექტრონიკა და მორფოლოგია.

ვფიქრობ, მომავალში უპირატესად უნდა დავკონკრეტდეთ მენეჯმენტის შემდეგი ორი მიმართულებით:

1) ფიზიკური - მატერიალური ფაქტორები, როგორებიცაა საკუთარი კონკურენტუნარიანი უპირატესობების გამოყენება, სამშენებლო ინდუსტრიის ინფორმაციულ-ტექნიკური პროგრესი და ხელფასების ზრდის მოტივაცია;

2) ფსიქოლოგიური - არამატერიალური ფაქტორები, როგორებიცაა რეალური მიზნების დასახვა, მორალური და გონებრივი სტიმულირება და ცოდნის გაუმჯობესება.

ექსპორტის არასწორი სტიმულირების პარადოქსმა (გამოვლინდა ჩემი გათვლებით) დაადასტურა, რომ აუცილებელია ეკონომიკური ელემენტების დეტალური შესწავლა და მხოლოდ აღნიშნულის შემდეგ უნდა გამოვიყენოთ ყველა ფაქტორი და ქვე-ფაქტორი გონივრული კომბინირებით.

გამოყენებული წყაროები

1. Internationalisation goals and strategic directions at Ivane Javakhishvili Tbilisi State University for 2017-2021
https://www.tsu.ge/en/government/administration/departments/foreign_relations/int_relations/projects/
2. Why Georgia?
https://gtu.ge/Eng/international-students/why_georgia.php
3. Action Plan 2019-2021 of the National Strategy for Labour and Employment Policy
https://www.moh.gov.ge/uploads/files/2020/Failebi/Action-Plan_Translation.pdf
4. Population and Demography
https://www.geostat.ge/en/modules/categories/316/population-and-demography

5. Gehl K. M., Porter M. E. The Politics Industry, 2017.
6. Porter M. E., Heppelmann J. E., Why Every Organization Needs an Augmented Reality Strategy, 2017.
7. Lordkipanidze R. Time has once again confirmed my physics-economical theory: Competition should not mean a disordered market like a "mass anthill". 2020. DOI: 10.13140/RG.2.2.10930.63680
https://www.researchgate.net/publication/341253143_Time_has_once_again_confirmed_my_physics-economical_theory_Competition_should_not_mean_a_disordered_market_like_a_mass_anthill

Revaz Lortkipanidze

Doctor of Economics, Professor (Geomedi, GTU), Academic of the Georgian Academy of Economic Sciences and the Russian Academy of Natural Sciences, with the highest grade in the Harvard University course "US Government"

The Future Biophysical (Material) and Psychological (Nonmaterial) Management by the American Experience with my "Innovations"

Summary

I think that an attentive reader remembers my priorities of scientific and state achievements and the use of the laws of nature and psychology (for example, biophysics and neuroeconomics) in management.

Everything in the universe is interdependent, and the link between economics and natural sciences is, of course, a fact, but for some reason, as I wrote, this connection does not receive much attention. However, in the case of more research on this union, many more pressing public and private problems would be brought to an end sooner.

As You know, in recent years, due to the demands of time, I have deepened my interest in the study of economic competition issues, and, by observing the analogy of the well-known law of force of electrical current in physics (I=V/R), have even identified some gaps in classical competing visions and current legislation, which, in our view, to date, it has been hindering to the protection of honest competition and highly urgent reform.

We believe, that a proper understanding of competition and the use of innovative competitive management tools with 2020 will significantly contribute to substantially improving the alarming demographic situation and poverty in the highlands of old Georgia and all Western civilization from post USSR crisis of the 1990s.

I invited distinguished political leaders and scientists to study the above issues. American experience has shown, that very needful in management art and psychology are continuing intensively. The real genius book of Reformer President Donald Trump on the Art of the Deal and the Democratic Reforms of Ronald Reagan brought to collapse of atheistic dictatorship of USSR and will give to all us great economic progress.

I am glad that the university centers where I work, despite the territorial smallness of my genuinely reformed country, work in such urgently needed progressive scientific areas as psychological management, physical medicine, bioelectronics and morphology.

I think, that in the future we should think in two areas of management:

1) Physical - material factors, such as the use of our own competitive advantages, information and technical progress of the construction industry and motivation to increase wages;

2) Psychological - non-material factors, such as setting real goals, moral and mental incentives and improving knowledge.

The paradox of improper export stimulation (revealed by my calculations) confirmed, that a detailed study of economic elements is necessary and after we should use of all factors and sub-factors in combination.

The paradox of export promotion

Income from Export stimulus



Average Export Tax

გიორგი გოცირიძე

ივანე ჯავახიშვილის სახ.თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პოლიტკორექტულობა და ამერიკული ფემინისტური დისკურსი

იდენტობისა და პოლიტკორექტულობასთან დაკავშირებული პრობლემები კულტურათშორისი კომუნიკაციისა და მეტყველების ონტოგენეზის საკითხებთან ერთად გამორჩეულ ადგილს იმკვიდრებს თანამედროვე გამოკვლევებში. პოლიტკორექტულობა განიხილება როგორც კულტურათშორისი, ასევე ინტრაკულტურული კომუნიკაციის ერთ–ერთი ნაირსახეობა და ყველა ის პრობლემა , რომელიც აღნიშნულ პროცესს ახასიათებს – კომუნიკაციური კონფლიქტები, პარტნიორთა ურთიერთგაუგებრობა , ჰეტეროფობია, პოზიციათა დაპირისპირება – ამა თუ იმ ფორმით მასშიც აირეკლება. პოლიტკორექტულობა საშუალებას გვაძლევს არამარტო მივიღოთ ინფორმაცია სხვა კულტურაზე და ცდილობს განსხვავებულ ეროვნულ კულტურებში მოიძიოს ეთნიკურ ცნობიერებეათა თანხვედრისა და ჰარმონიზაციის გზები, არამედ თვით კულტურის შიგნით დაარეგულიროს ურთიერთგაგების პროცესი. ამ თვალსაზრისით პოლიტკორექტულობა კულტურათ-აშორისი კომუნიკაციისა და კონფლიქტოლოგიისთვის წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ ემპირიულ ბაზას , რომლის საფუძველზეც შესაძლოა დავსახოთ ეთნოენობრივ ცნობიერებათა ჰარმონიზაციის გზები. პოლიტკორექტულობის პროცესის შესწავლის ევრისტიკული პოტენციალი საკმაოდ დიდია, ვინაიდან წარმოადგენს ემპირიულ ბაზას შეპირისპირებითი, ტიპოლოგიური და კროს-კულტურული კვლევებისთვის, საშუალებას გვაძლევს თვალი მივადევნოთ ეთნიკურ ცნობიერებათა ურთიერთქმედებისა და კულტურულ-ესთეტიკურ ღირებულებათა სელექციის პროცესს.

კულტურათშორისი კომუნიკაციის, გლობალურ საინფორმაციო სივრცეში სხვადასხვა კულტურის უმტკივნეულო ჩართვისა და, მეორე მხრივ, კულტურული იდენტობის შენარჩუნების პრობლემების კვლევა ყველაზე უპრიანია განხორციელდეს ეთნოსპეციფიკური კონცეფტების ბაზაზე, ვინადან მათში მოდელირებული რეალური სინამდვილე ამა თუ იმ კულტურის ისტორიულ ღირებულებებსა და სამყაროს ხედვას ასახავს . **კვლევის ობიექტად** ამერიკული ფემინისტური დისკურსის არჩევა განაპირობა იმან, რომ მასთან დამოკიდებულებაში ნათლად იკვეთება ამერიკული საზოგადოების სხვადასხვა კულტურისა და ეთნიკური წარმომავლობის ადამიანთა ცნობიერებაში ასახული დამოკიდებულება გენდერული პრობლემების მიმართ.

ინტერესი გენდერული პოლიტკორექტულობის ფენომენისადმი რამდენიმე ფაქტორმა განსაზღვრა :

ა) გენდერული პოლიტკორექტულობის სოციალურმა რელევანტურობამ და კულტუროგენულმა სტატუსმა ;

ბ) გლობალიზაციის პროცესში ამერიკული კულტურის დომინანტურმა როლმა და აშშ უნიკალურმა გამოცდილებამ გენდერული პოლიტკორექტულობის პრობლემის კვლევაში .

გ) გენდერული პოლიტკორექტულობის, როგორც ინტრაკულტურული ურთიერთობის რეგულირების, ისტორიულმა ფუნქციამ.

წინამდებარე მოხსენების მიზანია ამერიკულ ფემინისტურ დისკურსზე დაყრდნობით გავაანალიზოთ პოლიტკორექტულობის ფენომენი და ეროვნული მსოფლმხედველობის ის თავისებურებები, რომლებიც არეგულირებენ ამერიკელი ქალების მოქმედებებს გენდერზე ორიენტირებულ პოზიციების გამოხატვისას. სოციალური სამართლიანობა და პიროვნების პატივისცემა წარმოადგენს უნივერსალურ ჰუმანისტურ ღირებულებებს,რომლებიც ამერიკულ კულტურაში აღქმულია როგორც აზრობრივი დომინანტა, თუმცა, ამ ფასეულობებზე დაფუძნებული ფემინისტური იდენტობა

ბევრისთვის რთული დასაძლევი აღმოჩნდა.

1980-1990 წლებში ამერიკულ მედიაში დაიწყო, ნეოკონსერვატორების მიერ გაჩაღებული ,ანტიფემინისტური კამპანია.ამას დაერთო ქალთა მოძრაობის შინაგანი წინააღმდეგობები,რამაც დიდი წვლილი შეიტანა ფემინიზმის უარყოფითი იმიჯის ფორმირება ამერიკაში.

მიუხედავად მიუხედავად მნიშვნელოვანი წარმატებისა და სტაბილური პოზიციისა აშშ სოციალურ და კულტურულ სივრცეში, ამერიკელი ქალები ხშირად აღნიშნავენ, რომ მათ მიერ ფემინისტური ავტონომინაციის გამოყენებამ "feminist „ შეიძლება მტკივნეული რეაქცია გამოიწვიოს გარშემო მყოფებში. აქედან გამომდინარე, ფემინისტები პერიოდულად ცდილობენ გამოიყენონ ალტერნატიული ავტონომინაცია (equalist, equal opportunist), რომელსაც არ აქვს ისეთი უარყოფითი კონოტაცია, როგორც სიტყვა „ფემინისტს“:

“I was once at a feminist art conference and a when discussing Gen-

Y’s1 hatred of the phrase feminism, someone suggested that we make up another more ‘user-friendly’ word in its place” (Colvin 2011).

გენდერული თანასწორობის მომხრეებს გაცნობიერებული აქვთ მაღალი კომუნიკაციური რისკი, რომელიც უკავშირდება გამონათქვამს: "I am a feminist" (,რაზეც მეტყველებს მოდალ-შეფასების ელემენტების შეფერილობა, რომლებიც

ავტონომინაციის შემთხვევებში გამოიყენება), ამიტომ პრევენციისთვის ხშრად ამატებენ ფორმანტ “but”-ს, რაც განსხვავებულ შინაარსს აძლევს ფრაზას.

როგორც ცნობილია, პოლიტკორექტულობა არა მარტო ენის ლექსიკაზე მოქმედებს, არამედ ასევე მორფოლოგიურ და სინტაქსურ დონეზეც ვლინდება. თუმცა, ჯერჯერობით ეს პროცესი და ეს ცვლილებები მხოლოდ სქესის მიხედვით დისკრიმინაციას ეხება.

ქალებმა საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლა მხოლოდ მეოცე საუკუნეში დაიწყეს. აქამდე, მრავალი საუკუნის განმავლობაში, სოციალური თვალსაზრისით, კაცები აპრიორი ქალებზე მაღლა ითვლებოდნენ, რაც მრავალ ენაში აისახა. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია ინგლისურ ენაში, სადაც უამრავი პროფესიის, უბრალოდ სიტყვების და ტოპონიმების სახელწოდებებშიც (როგორებიცაა - mankind, Manchester) არის კომპონენტი «man», რომელიც ერთდროულად აღნიშნავს კაცსაც და ადამიანსაც, რისი წყალობითაც ავტომატურად აღიქმება იდენტურად. პანინი წერს, რომ ენობრივი რეფორების მომხრეები ითხოვენ კომპონენტ «man»- ის შეცვლას ისეთ სიტყვებსა და გამონათქვამებში, სადაც ის არაა მარკირებული სქესობრივი ნიშნით. ყველაზე მეტ სირთულეს მორფემა man იწვევს რთულ სიტყვებში, და სწორედ ასეთი სიტყვები ექვემდებარება, ყველაზე ხშირად ცვლილებებს. მაგალითად sportsperson,policeperson ა.შ. ჩვენგან დავამატებთ ასეთი მიდგომების უკიდეურეს გამოვლინებებს, როგორიცაა, მაგალითად უკანასკნელ დროს გავრცელებელი პეტიცია ქალაქ Manchester-ს გადაერქვას სახელი და დაერქვას Personchester.

აღსანიშნავია, რომ ფემინისტების საქმიანობა სუფიქსი–ess ის წინააღმდეგაცაა მიმართული. ის საკმაოდ გავრეცელებულია და მდედრობითი სქესის მოღვაწია აღმნიშვნელ ბევრ სიტყვაში გვხვდება : authorness, poetess.

ამგვარად პანინი აღნიშნავს, რომ ინგლისურ ენაში სიტყვათწარმომქმნელ დონეზე პოლიტკორექტულობა გამოხატულია:

- **სქესობრივი კუთვნილების თვალსაზრისით ნეიტრალური მორფემის მეშვეობით წარმოქმნილი სიტყვებით:** «person»: spokesperson, chairperson;
- **სქესობრივი ნიშნის მარკირებული სუფიქსის იგნორირებით:** -ess: actress – actor, poetess – poet.

სინტაქსურ დონეზე პოლიტიკური კორექტულობა, ინგლისურ ენაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს ნაცვალსახელის ცვლილებით წინადადებებში, სადაც არსებითი სახელის სქესობრივ კუთვნილებას არ აქვს მნიშვნელობა ან არაა მითითებული. ამის მიღწევა შესაძლებელია შემდეგნაირად:

1) **მამრობითი სქესის ნაცვალსახელის გამოტოვება:** A student took his pen/ A student took the pen;

2) **კუთვნილებითი ნაცვალსახელის რიცხვის შეცვლა** (მხოლობითის მრავლობითზე: A student took his pen/ A student took their pen;
3) **ნაცვალსახელების he, his - one, one's-ით ჩანაცვლებით;**
4) **he or she, his or her ან s/he -ს გამოყენებით;**
5) **their -ს გამოყენება, თუ ქვემდებარე– განუსაზღვრელი ნაცვალსახელი.**

საზოგადოებრივი ცნობიერება აშშ-ს სოციალურ ისტორიის მოცემულ ეტაპზე, რომელიც კვალიფიცირდება როგორც პოსტ-ფემინისტური, უკავშირდება მოსაზრებას, რომ ფემინიზმმა უკვე შეასრულა თავისი ისტორიული მიზანი, გენდერული თანასწორობა წარმატებით იქნა მიღწეული, ასე რომ, ფემინიზმის, როგორც იდეოლოგიის არსებობას, აზრი აღარ აქვს (Wilson L., Wilson S., Dufly, Mandel 2006). ამიტომ ამერიკელი ქალების დისტანცირება ფემინისტური იდენტობიდან შეიძლება აიხსნას იმ ფაქტით, რომ ფემინიზმმა ,რომელიც აღმოცენდა 70-იანი წლების საპროტესტო კულტურის შედეგად დაკარგა კავშირი მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ ვითარებასთან, "გამოვიდა მოდიდან ":

" It simply isn't "in" to be a feminist anymore, so why bother?"

ფემინისტური მსოფლმხედველობის ანაქრონულობა კარგად წარმოჩნდება თუ მას მოვათავსებთ პარადიგმატულ რიგში ისეთ

მოძველებული კომერციულ და კულტურული პროდუქტებთან,როგორიცაა (Uggs, nylons, landlines, underwire bras, Breck ads, Ms magazine); აქტიური გამოყენებიდან გასული ლექსიკური ერთეულები (ენობრივი კლიშეები that time of the month); ფსიქოლოგიური და ქცევითი მახასიათებლები ((bellicose attitude of 70's culture), რომელიც მტკიცედ არიან დაკავშირებული ისტორიულ წარსულთან:

And now it would appear as though feminism has joined the unfortunate graveyard of ***Uggs, landlines*** *and* ***Myspace*** *— decidedly "out"*
(Colvin 2011);
(19) *The word also feels a lot like* ***nylons, that time of the month, underwire bras, Breck ads, Ms. Magazine*** *and the* ***bellicose attitude*** *of 70's culture at its worst. No one wants to point to that and say, 'That's me!'.*

ქალის მიერ ფემინისტურ იდენტურობაზე უარის თქმის საფუძველი შეიძლება იყოს, როგორც სოციალური კატეგორიზაციის ,რომელიც მხედველობაში არ იღებს ადამიანის უნიკალური მახასიათებლებს,ასევე ასეთი კატეგორიზაციის შედეგად წარმოქმნილი იარლიყების მიუღებლობა.

ანალიზმა გვაჩვენა,რომ ფემინიზმის, როგორც იდენტობის ბაზისის მიუღებლობას ბევრი ამერიკელი ქალი ხსნის თვითკრიტიკის უნარის უქონლობით, ფემინისტური იდეოლოგიის დოგმატური ბუნებით, რაც კომპრომეტირებას უკეთებს ქალთა მოძრაობის მორალურ ფასეულობებს; ფემინისტების მიდრეკილებით შექმნან ინტელექტუალური კულტის ობიექტები.

სბოლოო ჯამში, ჩვენ შეიძლება მივიდეთ შემდეგ დასკვნამდე: გენდერული თანასწორობის სფეროში მრავალი მიღწევის მიუხედავად, ფემინისტურ იდენტობას ჯერ კიდევ აქვს ორაზროვანი სტატუსი ამერიკულ კულტურაში და ხშირად ეფუძნება როგორც დეფექტურ ფემინინურობას (ქალებისთვის მნიშვნელოვანი თვისებების და თვისებების ფრაგმენტულ ასახვას). ამ მიზეზით, განცხადებები, რომლებიც მსმენელმა შეიძლება განიმარტოს, როგორც ფემინური დისკურსის მანიფესტაციები, ხშირად შეიცავს პრესუპოზიციას ადრესატის მიერ ადრესანტის შესაძლო ნეგატიური რეაქციის შესახებ.

ავტოპრეზენტციის ტაქტიკის არჩევისას ადრესანტი ცდილობს გაითვალისწინოს ადრესატის პოზიცია ფემინიზმთან მიმართებაში.

ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ადრესატის ფემინისტური იდენტურობისგან დისტანცირების საშუალებები შეიძლება გახდეს ინფორმაციის ღირებული წყარო, ამერიკული ეთნოენობრივი კულტურის , მსოფლმხედველობრივი სოციალური ორიენტაციის შესახებ.

Giorgi Gotsiridze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Political Correctness and American Feminist Discourse

Summary

The purpose of this paper is to analyze the phenomenon of political correctness and the peculiarities of the national worldview based on the American feminist discourse, which regulate the actions of American women in expressing gender-oriented positions.

The choice of the American feminist discourse as the object of research was conditioned by the fact that its attitude clearly shows the attitude of the American society towards the gender problems reflected in the consciousness of people of different cultures and ethnicities.

Several factors have determined the interest in the phenomenon of gender political correctness:

A) social relevance and cultural status of gender political correctness;

B) The dominant role of American culture in the process of globalization and the unique experience of the United States in the study of the problem of gender political correctness.

C) the historical function of gender political correctness as a regulation of intracultural relations.

Problems of identity and political correctness, as well as problems of intercultural communication and speech ontogenesis play an important role in modern research. Political correctness is considered as one of the types of intercultural as well as intercultural communication, and all the problems that characterize this process - communication conflicts, misunderstanding of partners, heterophobia, confrontation of positions - are somehow reflected in it.

Political correctness enables us not only receive the information about the other culture and try to find similarities in the ethno-linguistic consciousness of different cultures and the ways of their harmonization, but also facilitates to the process of understanding within the culture itself. In this respect Political correctness for the intercultural communication and conflictology, represents historically formed empirical basis, assumed as the basis for the achievement of the unity of ethno-linguistic consciousness.

სექცია: ემიგრაცია

ირმა კეცხოველი
პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გივი გაბლიანი და მეორე მსოფლიო ომი

დღეს მრავალი მოვლენის გადაფასება ხდება. ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მეორე მსოფლიო ომი და მისი შედეგები კვლევისა და ანალიზის ფორმატში იხილება. კაცობრიობის წინაშე ჩადენილი ნებისმიერი დანაშაული და მასში მონაწილენი და საერთოდ, ნებისმიერი პერსონა, ნებით თუ უნებლიეთ, ხვდება ინტერესთა სფეროში. მითუმეტეს, ისეთი პერსონა, რომელიც დღემდე ინარჩუნებს ინტერესს საზოგადოების მხრიდან.

გივი გაბლიანი, სპეციალობით ექიმი, მონაწილეობას იღებდა „სამამულო ომში“ (ცნობილ პერიოდში ასე ეწოდებოდა). ჩვენმა პატარა ქვეყანამ დიდი მსხვერპლი გაიღო (დღემდე ჯერ კიდევ დადგენილი არ არის). რაც შეეხება გივი გაბლიანის ოჯახს, იგი ჯერ კიდევ ომამდე დაზარალდა. ცნობილი რეპრესიების დროს დაუხვრიტეს მამა. ეს იყო მისთვის დიდი ტრაგედია, რამაც ზეგავლენა მოახდინა მთელ მის ცხოვრებაზე (დეტალები შემდეგ ნაწილში). ომის დროს გივი გაბლიანი ტყვედ ჩავარდა. გერმანელების მხარეზე მსახურობდა და შეუერთდა ქართულ ლეგიონებს). ომის დამთავრების შემდეგ იგი დასახლდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და იქ შექმნა ოჯახი.

გივი ეგნატეს ძე გაბლიანი დაიბადა 1915 წელს ცნობილი საზოგადო მოღვაწის ეგნატე გაბლიანის ოჯახში, რომელიც 1937 წელს დახვრიტეს. დედა - ვერა გაბლიანი ცნობილი პედაგოგი იყო.

1939 წელს, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, გივი გაბლიანი გაიწვიეს სამხედრო სამსახურში, სადაც მოუსწრო მეორე მსოფლიო ომმა. ფრონტზე ტყვედ შეგნებულად ჩავარდა. ბერლინში არსებული „ქართული სამეკავშირეო შტაბის“ და მისი ხელმძღვანელის, მიხეილ კედიას ძალისხმევით ტყვეობიდან გათავისუფლდა და შტაბის სამხედრო განყოფილების ხელმძღვანელად დაინიშნა. ასპირანტად დატოვეს ქირურგია–ენდოკრინოლოგიის განხრით. ამავე წელს გაიწვიეს სამხედრო სამსახურში, როგორც ექიმი. 1940 წელს ლიტვის ოკუპაციაში მოუხდა მონაწილეობის მიღება, რიბენტროპ–მოლოტოვის პაქტის საფუძველზე საბჭოელთა მიერ „კაპიტალიზმის უღლისგან განთავისუფლებულმა“ პატარა, მშვიდობიანმა, აყვავებულმა ლიტვამ გივი გაბლიანზე და დივიზიის სხვა წევრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ხალხი, ოკუპირებულიც კი. უფრო თავისუფალი და ბედნიერი ჩანდა, ვიდრე „თავისუფალი“ საბჭოთა მოქალაქეები. სპეცდანიშნულების რაზმების შესვლას მოჰყვა პოლიტიკურად „საშიში“ ხალხისგან ქვეყნის გაწმენდა, სატვირთო ეშელონებით ციმბირისკენ, შრომით ბანაკებსა და გულაგებში მათი გაგზავნა. ლიტვის ბედი ეწვია ლატვიასა და ესტონეთსაც. ამ ქვეყნების ტრაგედიამ შეძრა ახალგაზრდა ექიმი – მის ქვეყანასა და ოჯახს ეს ხომ უკვე გადატანილი ჰქონდა.

1941 წლის 22 ივნისს გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს და გივი პრაქტიკულად ფრონტის წინა ხაზზე აღმოჩნდა. ომის პირველივე თვეებში მრავალი საბჭოთა მეომარი ჩავარდა ტყვედ. მათ შორის იყო გაბლიანიც. საბჭოთა ხელისუფლებამ ხელი არ მოაწერა ტყვეთა დაცვის 1929 წლის ჟენევის კონვენციას, ამიტომ ტყვედჩავარდნილი საბჭოთა ჯარისკაცის უფლებებს საერთაშორისო ორგანიზაციები არ იცავდნენ. ამას დაემატა სტალინის ბრძანება N 270, რომლის მიხედვითაც ტყვე სამშობლოს მოღალატედ ცხადდებოდა. ამით საბჭოთა კავშირმა ფაქტობრივად უარი თქვა თავის მოქალაქეებზე.

ქართული ემიგრაცია ომის დაწყებისთანავე დაირაზმა ტყვეთა გადასარჩენად. ბანაკებიდან ქართველი, კავკასიელი და ებრაელი ტყვეები გამოიყვანეს. ტყვეობიდან გაათავისუფლეს გივი გაბლიანიც. იგი „ქართული საკავშირო შტაბის“ სამხედრო განყოფილების ხელმძღვანელად დაინიშნა. განყოფილებას ევალებოდა აღენუსხა

ტყვეთა ბანაკებში გაფანტული ქართველები, გაეთავისუფლებინა და განესაზღვრა მათი იურიდიულ–ლეგალური მდგომარეობა. გერმანული სამხედრო სკოლის დამთავრების შემდეგ გივი გაბლიანმა ობერლეიტენანტის წოდება მიიღო და 1943 წელს დაინიშნა აბვერის ქართულ ბატალიონ „თამარა-II“–ის მეთაურად. მისი მეცადინეობით სიცოცხლე შეუნარჩუნდა არაერთ საბჭოთა ქართველ ჯარისკაცს, რომლებიც შემდეგ ვერმახტის ქართულ ქვედანაყოფებში წევრიანდებოდნენ. ეს დანაყოფები გერმანულ ჯარებს უნდა შეჰყოლოდნენ საქართველოში და დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დაეცვათ ქვეყანა. ქართველები კარგად ხედავდნენ ნაციზმის ნამდვილ სახეს, მაგრამ ჰიტლერის წინააღმდეგ განწყობილი გერმანელების მსგავსად, ფიქრობდნენ, რომ ჰიტლერი არ იქნებოდა გერმანიის მუდმივი მმართველი და მის შემდეგ გერმანიის პოლიტიკა დაპყრობილ ტერიტორიებზე შეიცვლებოდა.

გერმანიის დამარცხებამ ქართველთა გეგმები ჩაშალა. ომის შემდეგ, გერმანიის მხარეზე მებრძოლ სხვა ქართველთა მსგავსად, გივი გაბლიანი საბჭოთა მხარეს რომ არ ჩავარდნოდა ხელში, ამერიკაში გადასახლდა. დასახლდა ნიუ ჯერსიში, სადაც 1987 წლამდე ექიმად მუშაობდა. იმავდროულად სტატიებს წერდა ქართულ ემიგრანტულ პრესაში. რატომ, რა მიზნით და როგორ აღმოჩნდნენ ქართველი ემიგრანტები და ტყვეები გერმანულ ჯარში – ამ საკითხს მიუძღვნა გივი გაბლიანმა ქართულ ენაზე 1970-80-იან წლებში დაწერილი წერილები: „მეორე მსოფლიო ომი და საქართველო“ (ჟურნ. „ივერია“), „ფიქრები საქართველოს დამოუკიდებლობის სამოცდამეერთე წლისთავზე“, „საქართველოში გამოცემული ზოგიერთი წიგნის გამო“ (გაზ. „ქართული აზრი“) და სხვა.

გივი გაბლიანის „ჩემი მოგონებანი (მეორე მსოფლიო ომი)“ გამოქვეყნება, მართლაც რომ, მნიშვნელოვან მოვლენად იქცა, რადგან მეორე მსოფლიო ომში ქართველთა მონაწილეობა ამ ბოლო დრომდე მხოლოდ ერთი - საბჭოური პოზიციებიდან შუქდებოდა და გერმანიის მხარეზე მებრძოლი ქართველები მოღალატეებად იყვნენ გამოცხადებულნი. არადა, ორივე მხარეს მებრძოლი ქართველებისათვის ეს დიდი ეროვნული ტრაგედია იყო. ომს მრავალი ქართველი შეეწირა. მრავალი ტყვედ ჩაუვარდა გერმანულ ან საბჭოთა მხარეს და ტყვეთა ბანაკებში დაასრულა სიცოცხლე...

ომის შემდეგ გაბლიანი, გერმანიის მხარეზე მებრძოლ სხვა ქართველთა მსგავსად, საბჭოთა მხარეს რომ არ ჩავარდნოდა ხელში, ამერიკაში გადასახლდა. ნიუჯერსის შტატში დასახლდა, სადაც ექიმად მუშაობდა 1987 წლამდე.

II მსოფლიო ომი კიდევ ერთი ტრაგიკული ფურცელია საქართველოს ისტორიაში. საბჭოთა არმიის გარდა ქართველები იბრძოდნენ ანტიგერმანულ ბანაკში შემავალ ევროპისა და ამერიკის ქვეყნების არმიებსა და წინააღმდეგობაშიც და გერმანიისა და მის მოკავშირეთა არმიებშიც. ბევრი ბრძოლაში დაიღუპა, ბევრმა სიცოცხლე ტყვეთა ბანაკებში დაასრულა.

საქართველოში კი გივი გაბლიანზე ლეგენდები დადიოდა: როგორ გადმოლახა ჩუმად საზღვარი, როგორ მოინახულა დედა და როგორ დაუსხლტა საბჭოთა საიდუმლო სამსახურებს ხელიდან...

...2001 წლის მარტში, როცა გაზეთ „ჩვენი მწერლობაში“ გივი გაბლიანის „ჩემი მოგონებანის“ ქართული თარგმანის II ტომის გამოცემაზე რეცენზიას ვბეჭდავდით, უკვე ვიცოდით, რომ გივი გაბლიანი მძიმე მდგომარეობაში იყო, მაისში კი მისი გარდაცვალების ამბავიც შეგვატყობინა ამერიკიდან პეტრე ხვედელიძემ. მას დარჩა მეუღლე, ემიგრანტ გრიგოლ ალშიბაიას ქალიშვილი რუსუდანი (1919-2006), რომელზეც 1947 წელს დაქორწინდა გერმანიაში და სამი შვილი - გრიგოლო, ვერა და ეთერი, რომლებიც ამერიკაში ცხოვრობენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1.გივი გაბლიანი, "ჩემი ნოგონებანი", ნაწილი I , 1998 წ.ქუთაისი.

2.გივი გაბლიანი, "მეორე მსოფლიო ომი და ქართველები", 1981 წ. პარიზი.

3."ქართული დიპლომატია", 2000 წ. თბილისი.

4."რელიგია და მეცნიერება", "კარიბჭე", 2014წ. თბილისი

Irma Ketskhoveli
Professor
Georgian Technical University

Givi Gabliani and the Second World War

Summary

Now is the time of review all around. But at the same time, we do not have to forget still the second world war and its outcomes are still in discussion. Any kind of crime against mankind and parties involved in this process, any person, willing it or not, is the sphere of interest. Especially the person, which actual within the society.

Givi Gabliani, with the specialty of doctor, was taking part in "homeland war" (it was called so in this period). Our small country scarified a lot (it is still unknown how much it was). What about the Gabliani's family? He was the victim of the war just before the war, his father was sentence to be shot during well-known repression. It was the great tragedy for him and it force all his life (details in the next part). After second world war he lived in United States of America and married there.

რუსუდან დაუშვილი
მოწვეული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტი

26 მაისი და ნიუ-იორკის ქართული ემიგრაცია

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, 1922 წლიდან მოყოლებული მთელს მსოფლიოში გაფანტული, ყველა მიმართულებისა და პარტიული კუთვნილების ქართველი ერთსულოვად ზეიმობდა დამოუკიდებლობის დღეს 26 მაისს. ზეიმებს ხშირად ესწრებოდნენ ყოფილი რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხები, კავკასიელები, უცხოელები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკოსები, დიპლომატები და ჟურნალისტები. ყველაზე დიდი ზეიმები ეწყობოდა იქ სადაც ყველაზე მეტი ქართველი ემიგრანტი იყო თავმოყრილი (პარიზი, ბერლინი, ვარშავა, მანჯურიის ქ.ხარბინი და ა.შ.) ხალხმრავალი ზეიმებისათვის დიდ დარბაზებს ქირაობდნენ. აუცილებელ იყო ქართული დროშები, ჰიმნი და ყვავილები. ზეიმები სხვადასხვაგვარად ტარდებოდა ზოგან უფრო მოკრძლებულად, ზოგან – მასშტაბურად და ეროვნული კოსტიუმებით. ზეიმებს აშუქებდნენ ადგილობრივი რადიოსადგურები, ქართული და უცხოური პრესა. ხშირად ქართული ზეიმი ანტიბოლშევიკურ მანიფესტაციად იქცეოდა.

26 მაისის დღესასწაულს ამერიკელი ქართველები შინაურულად აღნიშნავდნენ. 1931 წელს ნიუ-იორკის ქართული სათვისტომოს დაარსების შემდეგ იკრიბებოდნენ იანკერსში სათვისტომოს პირველი თავმჯდომარის პავლე კვარაცხელიას სახლში. 1935 წელს, ერთა ლიგაში საბჭოთა კავშირის მიღების შემდეგ პირველად აღნიშნეს ფართო მასშტაბით და ზეიმს ოფიციალური ხასიათიც მისცეს. ამერიკის შეერთებულ შტატებში

ქართველთა რიცხვი იმ დროს 60 არ აღემატებოდა, ნიუ-იორკში - 40, თუმცა ისინი ერთმანეთთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული და ერთსულოვნებას იჩენდნენ საერთო საქმეში. ზეიმის მომწყობთ აფიქრებდათ რუსების პოზიცია, რომელთა შორის ბევრი მეგობრულად იყო განწყობილი ქართველებისადმი, მაგრამ მაინც ვერ იღებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას. ბანკეტი გაიმართა ნიუ-იორკის საუკეთესო ნაწილში მდებარე სვიმონ სიდამონ-ერისთავის რესტორან „კავკასიის არწივში“, სადაც 3 საათზე თავი მოიყარა 200 სტუმარმა. ქართული საზოგადოების თავმჯდომარის ვასილ დუმბაძის შემდეგ დამოუკიდებლობის დღე ქართველებს მიულოცეს სომხების, აზერბაიჯანელების, მთიელთა დელეგაციებმა, შეერთებულ რუსთა ორგანიზაციების თავმჯდომარემ პავლე ჭავჭავაძემ, რუს მხედართა საზოგადოების - გენერალმა იმნაძემ, ამერიკელმა მწერალმა ჯულიერ ჩევალიემ. რუსმა მსახიობმა ბალიევმა შეკრებილთ უამბო, როგორ გადაარჩინა ქართულმა პასპორტმა. ილაპარაკეს ქართველებმაც. ორგანიზატორთა შიში არ გამართლდა - საღამო საუცხოოდ ჩატარდა. მეგობრულ სიტყვებთან ერთად, ზეიმს ამშვენებდა ქართული ცეკვები და სიმღერები. საპატიო სტუმართა შორის იყვნენ ზღაპარ „როსტომელას“ მთარგმნელი ქარინგტონი, ნორინა კარმი-მაჩაბლისა, „ნიუ-იორკ ტაიმსის“ რედაქტორი გეცლორი და მრავალი სხვა. ქართველებმაც გაგზავნეს დელეგაცია სომხეთის დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილ ბანკეტზე, რომელიც იმავე დღეს აღინიშნებოდა ნიუ-იორკში. სტუმარ-მასპინძლების საერთო აზრი ასეთი იყო: იმიტომ დავმარცხდით, რომ ცალკ-ცალკე ვიბრძოდით, დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად კი კავკსიელთა მჭიდრო კავშირია საჭიროო.

1938 წლიდან ზეიმებს იხდიდნენ სათვისტომოს სახლში „პატარა საქართველო“ ნიუ-იორკიდან 60 კმ აისლიპში, შემდეგ მდ. ჰუძონის ნაპირზე, კლოდ-სპრინგის რაიონში, ნიუ-იორკიდან 100 კმ დააარსებულ კავკასიელთა დასასვენებელი სახლ „ალავერდში“.

II მსოფლიო ომის შემდეგ 26 მაისს ასევე დიდი ზეიმით აღინიშნებოდა. განსაკუთრებული იყო 1951 წელი. 26 მაისს. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დინ აჩენსონმა, ამერიკის მთავრობის სახელით, ქართველ ხალხს დამოუკიდებლობის დღე მიულოცა: „სიტყვა საქართველო ჩვენში იწვევს არგონავტთა

მოგზაურობის მოგონებას, რომლებიც იქ ოქროს ვერძს ეძიებდნენ; გვაგონებს პრომეთეს, რომელმაც ზეცას წმინდა ცეცხლი მოსტაცა და ადამიანს გადასცა, როგორც ბრძოლის იარაღი. მსოფლიოს კარგად ახსოვს ათეული წლების განმავლობაში ქართველი ერის განუწყვეტელი ბრძოლა თავისუფლებისათვის, ძველი კულტურისა და ქართული ცივილიზაციის დასაცავად. ხშირად ყოფილა საქართველო დაპყრობილი, მაგრამ არასოდეს – დამორჩილებული. ქართველმა ხალხმა დღემდე შეინარჩუნა თავისი სახე და არ დაუკარგავს ნება ადამიანის უფლებების დაცვისათვის ბრძოლაში, ამიტომაც ჩვენს აღფრთოვანებას იწვევს ქართველი ხალხის ურყევი სულიერი სიმტკიცე... „ამერიკის ხმა“ დღეიდან თქვენ, ქართველებს გაძლევთ საშუალებას საკუთარ ენაზე ამცნოთ ქართველ ხალხს ჭეშმარიტება, რომელსაც კომუნისტები მას უმალავენ“. აჩენსონის ამ გამოსვლით დაიწყო მუშაობა რადიოსადგურ „ამერიკის ხმის“ ქართულმა რედაქციამ, რასაც რუს ემიგრანტთმა ისეთი მძაფრი რეაქცია მოჰყვა, რომ აჩენსონს თავისი სიტყვა გამოუთხოვია, წაუკითხავს და მკაცრად განუცხადებია, რომ სწორედ ის თქვა, რაც უნდა ეთქვა. რუსების პროტესტების მიუხედავად, რომლებმაც ნაციონალური მაუწყებლობის დაარსებას რუსეთის ერთიანობის დაშლის მცდელობად მიიჩნიეს, 1952 წლის ოქტომბერში ქართულს სხვა განყოფილებებიც შეუერთდა - უკრაინული, სომხური, აზერბაიჯანული, თურქესტანული. მას სახელად „საბჭოთა კავშირის სექცია“ უწოდეს და ხელმძღვანელად ქრთული რედქციის დირექტორი, პიანისტი, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავდადებულ მებრძოლი, ქართული სათვისტომოს ყოფილი თავმჯდომარე ერეკლე ორბელიანი დანიშნეს.

1952 წლიდან ზეიმებს ქართველები ნიუ-იორკში ჯეკსონ-ჰეიტში აშენებულ სათვისტომოს დიდ სახლში იხდიდნენ. სათვისტომო 100-მდე მოსაწვევს გზავნიდა მთელ ამერიკასა და კანადაში, ეპატიჟებოდნენ რუსეთის მიერ დაპყრობილი ერების წარმომადგენლებს, საქართველოს საკითხით დაინტერესებულ სენატორებს, კონგრემენებს და წვეულებას დიდ დარბაზებში აღნიშნავდნენ.

1957 წლის 26 მაისი ნიუ-იორკის სათვისტომომ საზეიმოდ მორთულ სასტუმრო „ბალტიმორის“ დარბაზში აღნიშნა. საზეიმო სიტყვა წარმოთქვა ქართული

საზოგადოების თავმჯდომარემ ვანო კობახიძემ, წაიკითხა ჩიკაგოელ ქართველთა მისალოცი. შემდეგ კი გაიმართა ქართული ლხინი და პურობა. 1964 წლის 26 მაისს ქართველებმა უამრავი მისალოცი მიიღეს გუბერნატორ ნელსონ როკფელერის, სენატორების, კონგრესმენების, ამერიკელი და სხვა მეგობარი ერების წარმომადგენელთაგან. 1966 წელს დამოუკიდებლობის დღის ზეიმი სასტუმრო „რუზველტის“ აღმოსავლურ დარბაზში გახსნა ალექსანდრე ჯინჭარაძემ. მისალოცი დეპეშები წაიკითხა ირინე ერისთავ-აბდუშელმა. სიტყვით გამოვიდა გივი ზალდასტანიშვილი. მომდევნო ზეიმებს ეროვნული დროშებით მორთულ სასტუმრო „რუზველტი“ დარბაზში იხდიდნენ. 1971 წელს სათვისტომოს დამოუკიდებლობის დღე მიულოცა თავმჯდომარე გივი ზალდასტანიშვილმა. ირინე რეხვიაშვილმა წაიკითა მილოცვები: პრეზიდენტ ნიქსონის, სენატორების - ლინდსის, ნელსონ როკფელერის, სხვა ერთა წარმომადგენელთა და ა.შ. სიტყვით გამოვიდა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე ვალერიან სანგულია, სათვისტომოს ახალი წევრი - ნუგზარ შარია. მერე 1972 წელს სხდომა ქართულ ენაზე გახსნა საზოგადოების თავმჯდომარემ ელზა ცომაიამ, ინგლისურად - გიორგი ნაკაშიძემ, ნინო ვაჩნაძე-კოვალსკიმ წაიკითხა მილოცვები, მათ შორის - პრეზიდენტ ნიქსონის. ითქვა, რომ კონგრესმენ სეიმურ ჰალპერნისს 24 მაისის სხდომაზე სიტყვა უთხოვია და კონგრესმენთა წინაშე საქართველოს დამოუკიდებლობასა და ოკუპაციაზე უსაუბრია. საქართველოს დამოუკიდებლობის 55-ე წლისთავის ზეიმი 1973 წლის ელზა ცომაიამ გახსნა. ნიკო თოფურიამ მისალოცი დეპეშები წაიკითხა. 56-ე წლისთავი 1974 წლის ზეიმს ესწრებოდნენ მეგობარი ერების წარმომადგენლები და უცხოელები. მრავლად იყვნენ ქართველი ებრაელებიც. კრება გახსნა ელზა ცომაიამ, ირინე რეხვიაშვილმა წაიკითხა მისალოცი დეპეშები და წერილები. სიტყვით გამოვიდა გივი გაბლიანი, პატარა მარინა მეგრელიშვილმა წაიკითხა ლექსი. 1979 წლის საზეიმო კრება გახსნა სანდრო ბართელმა. სიტყვეები წარმოსთქვს: ქართულად ირაკლი მენთეშაშვილმა, ინგლისურად გივი ზალდასტანიშვილმა. ყველა ეს სხდომა და კრება მთავრდებოდა მსუბუქ საუზმით და კოქტეილით ქართული სიმღერებისა და ცეკვების თანხლებით. როცა ქართველთა რიცხვი შემცირდა ზეიმები უფრო მოკრძალებული გახდა და სტუმრებსაც სათვისტომოს

სახლში შინაურულად, შინ დამზადებული ქართული კერძებით უმასპინძლებოდნენ. სახლის გაყიდვის შემდეგ ზეიმებს უკრაინელთა ან ესტონელთა სახლში იხდიდნენ.

გამორჩეული იყო საქართველოს დამოუკიდებლობის 70 წლისთავი -1988 წლის 26 მაისი, როცა საქართველოში ეროვნული მოძრაობის აზვირთება დაიწყო და საბჭოთა კავშირის ნგრევა თვალსაჩინო გახდა. სათვისტომომ წინასწარ დაგზავნა მოსაწვევები. შაბათს 21 მაისს ნიუ-იორკის ერთ-ერთ მთავარ ეკლესიაში კონცერტზე ამერიკელმა სტუდენტებმა შეასრულეს ქართული ხალხური სიმღერები და საეკლესიო საგალობლები. 26 მაისს ესტონელთა სახლში მეწყო საზეიმო ცერემონიალი და ბუფეტი-სადილი, რომელსაც ამშვენებდა 27 სტუდენტის მიერ შესანიშნავად შესრულებული ქართული საგალობლები და სიმღერები - „რომელნი ქერუბიმთა“, „შენ ხარ ვენახი“, „ღმერთი უფალი“, „გაფრინდი შავო მერცხალო“, „სულიკო“, „ლილე“, „ჩელა“, „ცანგალა და გოგონა“. სათვისტომოს წევრების გარდა ზეიმს ესწრებოდნენ ქართველი ებრაელები, კავკასიელი, უკრაინელი და ამერიკელი სტუმრები. ესტონელთა სახლში ტევა არ იყო. ასეთი ხალხმრავლობა კარგა ხანია არ ყოფილა ქართულ ზეიმზეო, აღნიშნავდნენ სათვისტომოს წევრები. სათვისტომოს თავმჯდომარემ, ავთანდილ პაპიაშვილმა ვრცლად ისაუბრა ქართულად და ინგლისურად 26 მაისის ისტორიულ მნიშვნელობაზე. შემდეგ საზოგადოების წინაშე წასდგა ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ვარშავისა და კოლუმბიის უნივერიტეტების პროფესორი, 94 წლის გიორგი ნაკაშიძე. ის გახლდათ იქ შეკრებილთაგან ერთადერთი მომსწრე ყველა მნიშვნელოვანი თარიღისა დაწყებული 2 რევოლიციით. იყო ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი სტუდენტი და 1922 წელს ბოლშევიკების მიერ საზღვარგარეთ გასახლებულ ქართველ ინტელიგენტთა ჯგუფის წევრი. მან მადლობა გადაუხადა გუნდის წევრებს, რომლის ხელმძღვანელი გრიგოლ სალმონი ორი კვირის დაბრუნებული იყო საბჭოთა კავშირიდან და საქართველოდან ჩამოტანილ 2 ბოთლ ქინძმარაულზე ყველა დაპატიჟა. ამ დროს გუნდი „მრავალჟამიერს“ ასრულებდა. ქართველებს დამოუკიდებლობის დღე მიულოცა ანსამბლის პრეზიდენტმა ფრანკ კეინმა, სიტყვით გამოვიდა რეჯებ ჟორდანია, რომელმაც ნადიმის დროს პიანინოზეც დაუკრა და ლექსიც თქვა. რესტორან „კავკასიაში“

ბანკეტი, როგორც კორესპონდენტი აღნიშნავდა, ქართული გულუხვობით იყო მომზადებული და ჩიტის რძეც არ აკლდა. ნადიმი გაიხსნა დამოუკიდებელი საქართველოს ჰიმნით „დიდება“, იყო ცეკვა-სიმღერა და საყოველთაო მხიარულება. ლხინი შუაღამემდე გაგრძელდა, დაშლისას ამერიკის ჰიმნიც შეასრულეს და ყველანი ბედნიერნი და კმაყოფილნი დაიშალნენ.

ლიტერატურა

1. გაზ. „ქართული აზრი“, ნიუ-იორკი - 1957, N17, გვ.4; 1964, N65-66, გვ.6; 1966, N74, გვ.4; 1971, N87, გვ.4; 1972, N91, გვ.4; 1973, N94, გვ.4; 1974, N96, გვ.3-4;
2. ჟურნ. „გუშაგი“, პარიზი - 1988, N16, გვ.22-24
3. ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი - 1935, N113, გვ.14-15
4. ჟურნ. „თავისუფლების ტრიბუნა“ პარიზი - 1979, N25, გვ.11; 1981, N33, გვ.4-5
5. ჟურნ. „მებრძოლი საქართველო“, პაროზი - 1956, N8, გვ.1-2

Rusudan Daushvili
PhD, Visiting Lecturer
Ivane Javakhishvili Tbilisis State Unviersity

26 May and Georgian Association in New York

After the occupation of Georgia in 1921, Georgian emigrants celebrated secretly 26 May, the Independence Day in New York. But from 1935 this day was celebrated in a very pompous way. This lasted after the World War II.26 May, 1951 was very special. Dean Achenson, an American Statesman, congratulated the Georgian people. And the Georgian office of the radio station 'Voice of America 'started its broad casting. 26 May, 1988, the 70 th anniversary, was exceptional.It was the period when the National movement in Georgia irrupted and the collapse of the USSR was too noticeable.

მაია ცერცვაძე

ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გრიგოლ რობაქიძის პირადი წერილები გიორგი გამყრელიძისადმი

თვალსაჩინო პოეტი, მთარგმნელი და მკვლევარი გიორგი გამყრელიძე *(ლიტ. ფსევდონიმი გრიგოლ ზოდელი*) (1904-1974) იმ ქართველთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც საქართველოში დამყარებულ საბჭოთა რეჟიმს განერიდნენ და ცხოვრება უცხოეთში გალიეს. 1923 წელს იგი სასწავლებლად გერმანიაში გაემგზავრა და შემდეგ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში დამკვიდრდა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში გ. გამყრელიძემ ემიგრანტული ცხოვრების მნიშვნელოვანი პერიოდი - ოცდაათ წელზე მეტი გაატარა. ის იქ 1941 წელს გადავიდა და ჯერ ტეხასის შტატში, დალასში, ხოლო 1957 წლიდან - ვაშინგტონში ცხოვრობდა, სადაც მრავალმხრივ კულტურულ მოღვაწეობას ეწეოდა - დაიცვა ხარისხი ხელოვნებათმცოდნეობაში, მუშაობდა ვაშინგტონის ბიბლიოთეკის აღმოსავლური მხატვრული ლიტერატურის განყოფილებაში, ასევე რადიო „ამერიკის ხმის“ ქართულ რედაქციაში.

1963 წელს ვაშინგტონში გამოიცა გ. გამყრელიძის უკანასკნელი წიგნი: *„ლექსები, მოთხრობები, თარგმანები უცხო პოეზიისა და ორნიტოლოგიური ნარკვევები”, რომელშიც* ავტორის ორიგინალურ ლექსებსა და დედნებიდან შესრულებულ სხვა თარგმანებთან ერთად შეტანილია ცნობილი ამერიკელი პოეტების: ედგარ პოს, კარლ სენდბერგის, ჯოის კილმერის, ლუის უნტერმაიერისა და რობერტ ფროსტის პოეტური ნიმუშების თარგმანებიც.

გ. გამყრელიძე ნაყოფიერად თანამშრომლობდა ემიგრანტულ ჟურნალ-გაზეთებთან, მეგობრობდა და მიმოწერა ჰქონდა ცნობილ ქართველ ემიგრანტებთან.

მათ შორის იყო მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე **გრიგოლ რობაქიძე** (1882-1962).

გ. გამყრელიძე გრ. რობაქიძის პირადი წერილების ერთ-ერთი ადრესატია. 1952-1962 წლებში შვეიცარიიდან ამერიკაში გაგზავნილი ამ 21 წერილის დედნები დაცულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმში. 5 მათგანის პირველი პუბლიკაცია ეკუთვნის ვიქტორ ნოზაძეს *(კრებული „კავკასიონი“, 1964 წლის მეცხრე წიგნი)*, 15 წერილი გამოაქვეყნა გურამ შარაძემ *(გაზეთი „თბილისი“ . 1994 წლის ## 63, 67, 70).* ერთი წერილის ავტოგრაფი მოთავსებულია მიუნხენში კარლო ინასარიძის მიერ 1984 წელს გამოცემულ „კრებულში“. ყველა წერილი შესულია გრ. რობაქიძის ნაწერების ხუთტომეულში.

ეს ბარათები, რომელთა განხილვასაც ეძღვნება ჩვენი მოხსენება, მნიშვნელოვანია იმით, რომ ადრესანტ-ადრესატის ბიოგრაფიულ ცნობებთან ერთად მოიცავს მათ მსოფლმხედველობრივ და ლიტერატურული გემოვნების საკითხებს და წარმოადგენს ორი თვალსაჩინო ქართველი ემიგრანტის ემიგრანტული ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველ მასალასა და წყაროს.

აღნიშნული ბარათების გაცნობა ცხადყოფს, რომ მათ ადრესანტსა და ადრესატს ერთმანეთთან მეტად გულითადი ურთიერთობა აქვთ. *„ძვირფასიო გიორგი!“* - ასე იწყება ყველა წერილი, მათ ბოლოს კი მოწერილია: *„შენი გრიგოლ რობაქიძე“; „შენი გრიგოლ(ი)“* ან *„შენი მოყვარული გრიგოლ“.* სამწუხაროდ, ჯერჯერობით ხელი არ მიგვიწვდება გიორგი გამყრელიძის საპასუხო წერილებზე, რომელთა არსებობაც გრ. რობაქიძის ამ წერილებით დასტურდება - მისი პირველი წერილი 1953 წლის 28 თებერვლით, ხოლო უკანასკნელი - 1962 წლის 9 აგვისტოთია აღნიშნული.

მეგობრები დიდად არიან დაინტერესებულნი ერთმანეთის ყოფით, შემოქმედების გაცნობითა და შეფასებით და შეძლებისდაგვარად ერთმანეთს ეხმარებიან. ადრეულ წერილებში ხშირად გვხვდება ცნობები გ. გამყრელიძისაგან გრ. რობაქიძისთვის გაწეული მცირე ფინანსური დახმარების, ჩვეულებრივ 5 დოლარის გაგზავნის შესახებაც, რისთვისაც ის ყოველთვის დიდ მადლობას უთვლის მას და

სთხოვს, აღარ შეწუხდეს: *„მეკითხები ჩემს ნივთიერ მდგომარეობაზე. სახარბიელო არაა. ნუ შეიწუხებ თავს ფიქრით ამაზე“; „დიდი, დიდი მადლობა „ხუთისათვის“...*

გრ. რობაქიძე თითქმის ყოველ წერილში გულითადად მოიკითხავს გ. გამყრელიძის გერმანელ მეუღლეს ვალის, რომელიც ჩანს, თვალს ადევნებს მის შემოქმედებას. იგი ოცნებობს ამერიკაში ჩასვლაზე, სადაც პირადად გაიცნობს ვალიას. *„გულითადი მოკითხვა შენს ვალიას, ჩემთვის უცნობს! იქნებ ბედმა ინებოს, მოვიდე ამერიკაში!... რა საკვირველია გინახულებ და შენს მეუღლეს გავიცნობ!“.* მანამდე კი იგი ვარაუდობს, რომ ვალია წაიკითხავს გერმანულად დაწერილ მის ლექსებს: *„გიგზავნი ოთხ შაირს. გერმანულად ჩამოსხმული შაირი მოითხოვს უაღრესად შენელებულ წაკითხვას. წაიკითხავს, ალბათ, ვალიაც“ (8.5.1955).* სამწუხაროდ, გრ. რობაქიძის ამ ნატვრას ასრულება არ ეწერა.

ადრესანტი შეფიქრიანებულია გ. გამყრელიძისა და მისი მეუღლის ხშირი ავადმყოფობით: *„მწერ: „ანგინა“ მჭირსო. შემაწუხა ამ ამბავმა. ... „არგვეთის მუხის კუნძი ხარ - გარნა საჭიროა მაინც: თავს მოუარო“ (3.III. 1953. ჟენევა); „მორჩენილხარ სრულიად - მიხარის. მადლობა უფალს: ვალიას არ აღმოჩენია ჭაჭები დაავადება“ (8.5.1955, ჟენევა); „რა ჭირი განგივლია! იმედი მაქვს მალე გამომრთელდები“ (16.11.1961, ჟენევა)...*

გრ. რობაქიძე თვითონაც გულახდილად უყვება გიორგის საკუთარ და მეუღლის ავადობაზე, ყოველდღიურ მძიმე შრომაზე, რომელიც მას სამწერლო და საზოგადო საქმიანობაში ხელს უშლის: *„ვერც მე ვგრძნობ თავს კარგად. ორიოდე კვირის წინათ გამსინჯა აქიმმა. აღმოჩნდა ძალიან მაღალი სისხლის-მოწოლა 23. მიწამლა.„მოწოლამ“ სისხლისა დაიკლო საგრძნობლად - თუცა დროდადრო „ბრუდახვეულად“ ვგრძნობ თავს“ (20.9.1954, ჟენევა); „მაწუხებს მაღალი მოწოლა სისხლისა (19.1. 1955)“; „ძალიან ცუდად ვგრძნობ თავს. ნერვებაშლილი ვარ საშინლად. გუნება გამიცუდდა. დატვირთული ვარ ყოველდღიური შრომით“ (2.5.1956); „დილითგან საღამომდე ჭაპანწყვეტაში ვარ, ვიღლები, ვიქანცები“; „აღმომაჩნდა შაქრის ავადობა - არა მძიმე ფორმით“ (15.10.1961, ჟენევა)“.*

გრ. რობაქიძე აწვდის გ. გამყრელიძეს ცნობებს ევროპაში დამკვიდრებულ თანამემამულეთა ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ და მისგანაც სურს ამერიკაში გახიზნულ ქართველთა ამბების გაგება. მაგალითისთვის: *„გაიგებდი: გარდაიცვალა უეცრად (გულისფრიალით) - ევგენი გეგეჭკორი. გარდაიცვალა ვალოდია გოგუაძე; სამწუხარო ამბავია“ (17.06 1954, ჟენევა); „თავი მოიკლა მიშა კედიამ. უკანასკნელ წლებში შეწყვეტილი მქონდა მასთან კავშირი. რის გამო გაცნობებ ოდესმე. მე მაინც შემაწუხა ამ ამბავმა“ (20.9 1954, ჟენევა); „ნ. ჩხოტუა აქაა. გამომიხმო ტელეფონით. ამ დღეებში მინახულებს. შეხვედრას აგიწერ “ (12.4 1955); „ვხვდები ნ. ჩხოტუას. ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ახდენს. თავადურ ამართლებს ქართველთა ტრადიციებს (8.5 1955, ჟენევა)“; „აქ ჩატნეული ფურცელი გაუგზავნე გივი გაბლიანს“; „არის თუ არა მანდ კიდევ ქართველი?“ (14.12 1952).*

წერილები მეტად ინფორმაციულია. მათში ვხვდებით, მაგალითად ცნობას პარიზში ემიგრანტ მწერალთა კონფერენციის გამართვის შესახებ, რაც გრ. რობაქიძეს დიდად ახარებს: *„ემიგრანტ-მწერალთა კონგრესი აღარ მახსოვს მოგწერე თუ არა ამის შესახებ - შემოდგომაზე გაიმართება პარიზში. თაოსანი კონგრესსისა „ამერიკის კომიტე“. კომიტე მთხოვს: მივაწოდო მას სია ქართველ მწერალთა: ჰსურს მოიწვიოს ჩემს გარდა სხვანიც. შენც დაგასახელებ, რასაკვირველია... ეგებ მოახერხო მიიღო შვებულება ერთი კვირით. ხარჯს - სასტუმრო, კვება, მოგზაურობა - კომიტე დაფარავს. ეცადე: შევხვდებით ერთიმეორეს - გავიხარებთ“ (30.3 1955, ჟენევა)“; „„კალე (იგულისხმება კალისტრატე სალია - მ. ც.) ცდილობს სხვებთან ერთად: არც ერთი ქართველი მწერალი არ დაესწროს კონგრესს თუ მე არ ვიქნები დაშვებული, თუ ეს მოხერხდა, ქართული საქმის შელახვა იქმნება სათანადოდ პასუხგებული. დამეთანხმები: ეს უმსგავსო ამბავი პირად საზღვრებს სცილდება“ (8.VI.1955, ჟენევა); „გასული თვის 15 ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა საზოგადოებამ პარიზში ერთხმად დაადგინა: ემიგრანტ-მწერალთა კონგრესზე წარმომადგენლობა და მეთაურობა ქართველთა დაევალოს გრიგოლ რობაქიძეს. გახარებული ვარ: როგორც მწერალი და როგორც ქართველი - ხმა მომესმა, კონგრესი მოხსნესო, არ ვიცი ან რის*

გამო, არც ის იციან, შესდგება როდისმე თუ არა“(11.VII. 1955, ჟენევა). გრ. რობაქიძე კონგრესს ვერ დაესწრო ჰიტლერზე დაწერილი მისი ესსეს გამო.

წერილებში ჩართულია გრ. რობაქიძის ლექსები: „წმინდა ნინოს“ და „ორღობის ეშაფოტი“, რომელთაც ის გასაცნობად და შესაფასებლად უგზავნის ოკეანისგაღმელ მეგობარს. გიორგისთვისვე გაუგზავნია მას თავისი სხვა ლექსებიც: „აქლემი“, „ვასაკა“ და „ირუბაქიძის ხასა“.

თავის მხრივ გ. გამყრელიძე გრ. რობაქიძეს უგზავნის წერილს მის რომანებზე და მიძღვნით ლექსს „გრიგოლ რობაქიძეს („ორი ფოთოლის გამო“). ამ უკანასკნელის ინსპირაციის წყარო გამხდარა ფრაგმენტი მწერლის ქართულენოვანი რომანიდან „დალი“, რომელიც სათაურით „ორი ფოთოლი“ დაიბეჭდა პარიზში გამომავალ კრებულ „ბედი ქართლისას“ 1952 წლის ნოემბრის #13 ნომერში. ლექსში გ. გამყრელიძე ხოტბას ასხამს გრ. რობაქიძის მდიდარ და მეტად ორიგინალურ პოეტურ ენას და მის ფიქრებსა და გრძნობებს ხანძარს ადარებს. გამოხმაურებას რომანებზე და მიძღვნით ლექსს დიდად აუღელვებია გრ. რობაქიძე: *„შენმა სონეტმა „გრიგოლ რობაქიძე“ შემარხია შინაგან. ღრმა ლირიზმით ქრის ამეტყველებული მეორე ნახევარი. წავიკითხე - ავცრემლდი“ (3.III.1953, ჟენევა). „მეგობართა სიყვარული საერთოდ ძალიან მამხნევებსო“* - სწერს ერთგან იგი გიორგის.

გრ. რობაქიძე გამოეხმაურა1960 წელს სანტიაგო დე ჩილეში გამოცემულ გ. გამყრელიძის ლექსთა კრებულს: „გვიანი რთველი“. 1962 წელს პარიზში გამომავალ ჟურნალში „ბედი ქართლისა“ (#39-40) მან გამოაქვეყნა კრიტიკული წერილი სათაურით *„გვიანი რთველი“ გიორგი გამყრელიძისა“,* რომელშიც მაღალი შეფასება მისცა ავტორის პოეზიას და თავისი შენიშვნებიც დაურთო. *„გიორგი გამყრელიძე ცნობილია ქართულ ემიგრაციაში... მას აქვს საკუთარი ლირიული ხმა“*- ასე დაახასიათა რეცენზენტმა პოეტი. ამ კრიტიკული წერილის მომზადებას დიდი ადგილი ეთმობა წერილების ფურცლებზე.

გრ. რობაქიძე ესაუბრება გ. გამყრელიძეს სამომავლო გეგმებზე, თავის ნაწერებზე, მათ გამოცემებსა და გამოხმაურებებზე, ევროპელ კოლეგებზე, ემიგრანტ მეგობრებსა და მათ სამეცნიერო თუ შემოქმედებით საქმიანობაზე, მეტწილად

კალისტრატე და ნინო სალიეებზე, უზიარებს თავის განცდებს და აზრებს ლირიკის, პოეტიკის, ლექსმცოდნეობის და სხვა საკითხზე, აძლევს რჩევებს.

სამწუხაროდ, ეს გულთბილი ურთიერთდამოკიდებულება რაღაც დროის შემდეგ ცივდება. გრ. რობაქიძე მეგობრისაგან საპასუხო წერილებს აღარ ღებულობს. მას ვერ აუხსნია ეს და გაკვირვებულია ადრესატის ასეთი უეცარი ფერისცვალებით. წერილებში ის მაინც თბილად მიმართავს მას, თან მცირე საყვედურსაც ჰკადრებს: *„სანამ შენს წიგნზე გვქონდა სიტყვა - შენ მწერდი. მოთავდა ეს სიტყვა - შენ წერა შეწყვიტე. რით აიხსნება ეს?!* “ (21.9.1961). ამავე წერილში გრ. რობაქიძე გამოთქვამს თავის აღშფოთებას გიორგის სიძის, მწერალ აკაკი ბელიაშვილის *(მას ცოლად ჰყავდა გიორგი გამყრელიძის უფროსი და თინა - მ. ც.)* ნოველის პერსონაჟის ბლაყუჩიას ერთი გამონათქვამის გამო: *„თვალს ვადევნებ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს... შენს სიძეს ა. ბ. ისეთი საძაგელი რამ უთქვამს ქრისტეზე „ბლაყუჩიას“ პირით, რომლის მსგავსი არც ერთს ქრისტეს უარმყოფელს არ უთქვამს საუკუნეთა განმავლობაში. რა ყოფილა!!“.* ეს შენიშვნა გრ. რობაქიძეს მალევე შეუტანია კრებულ „ბედი ქართლისა“-ს ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ნომერში გამოქვეყნებულ თავის ცნობილ ნარკვევშიც „ვაჟას ენგადი“. *„სამწუხაროა ეს, რომ ა. ბ. ფრიად ნიჭიერი რომანისტიაო“* - სინანულით დასძენს იქვე გრ. რობაქიძე.

სწორედ ეს ფაქტი გამხდარა გრ. რობაქიძისადმი გ. გამყრელიძის დამდურების მიზეზი - ავტოკატასტროფაში ახალდაღუპულ დასა და სიძეზე მგლოვიარე გიორგის მეტად სწყენია მისგან სიძის აუგად ხსენება. 1961 წლის 14 თებერვალის ეს ტრაგედია გრ. რობაქიძეს მოგვიანებით შეუტყვია. საგულისხმოა გრ. რობაქიძის სიტყვები ამასთან დაკავშირებით, რომლებშიც მწერლის სიმართლისმოყვარეობა და პრინციპულობა ჩანს. *„გავიგე მიზეზი შენი დუმილისა... განა სიკვდილი ათავისუფლებს ადამიანს პასუხისგებისაგან-მეთქი?! გწერ ამას და თან ვუმატებ: დაღუპული ძმა რომ ყოფილიყო ჩემი - მე ერთი სიტყვითაც არ შევალბილებდი იქ თქმულს. ნათესაობა ერთია და სიმართლე კიდევ სხვა: განუზომელ უფრო მეტი! შენ ალბათ სხვანაირად ფიქრობ“.*

გრ. რობაქიძეს იმედი ჰქონდა, რომ გიორგის წიგნზე ზემოთნახსენები მისი წერილის დაბეჭდვის შემდეგ მაინც გაუვლიდა მას წყენა და შეეხმიანებოდა. მისი მოლოდინი არ გამართლებულა და კვლავ თვითონ გაუგზავნია მისთვის წერილი, რომელშიც გულისტკენით სწერდა:

„1.„შენს წიგნში მე მომეწონა 9 შაირი და 9 „აკიდო“. აღვნიშნე ეს ჩემს წერილში მართებულად. იცოდე: მე რომ რომელიმე პოეტის - სულერთია: ქართველის თუ არაქართველის - წიგნში 9 შაირი და 9 „აკიდო“ მოვიწონო. ეს იქნებოდა დიდი ამბავი. 2. ენას შევეხე შენსა. ნათქვამია: ქართულ მწერლობაში, სამწუხაროდ ისე ხშირია გრამმატიკული წესების დარღვევა, რომ მე კიდევ მიკვირს, რომ ავტორს 152-გვერდიან წიგნში ასე ცოტა გრამმატიკული შეცდომები შეპარია.“ იცოდე: ეს ***ჩემგან*** *დიდი ქებაა!*

ჩემი სიტყვა ყოველთვის „სასტიკია“ - როცა ***სიმართლესთან*** *მაქვს საქმე. ხოლო იგი არასოდეს გამოდის უნაყოფო - ვინაიდან კეთილი ნდომით არის თქმული.“*

თავის უკანასკნელ, 1962 წლის აგვისტოს წერილშიც, რომელსაც იგი გიორგის 1962 წლის 9 აგვისტოს საპასუხო წერილის შემდეგ წერს, გრ.რობაქიძე ამ საკითხზე აზრს არ იცვლის. აღნიშნული წერილი შეიცავს მწერლის ვრცელი ჩანართს - ესსეს ქართულ ენაზე, მის ლექსიკასა და სიტყვათქმნადობაზე, მისი, როგორც მწერლისა და მოღვაწის თვითდახასიათებას, რომელსაც, ვფიქრობთ, თავისთავადი ღირებულება აქვს და რომლის განხილვაც სცილდება ჩვენს ამჟამინდელ მიზანს. დავძენთ მხოლოდ, რომ ეს არის უაღრესად საყურადღებო ნააზრევი გრიგოლ რობაქიძისა, რომელიც მისივე სიტყვით „ისტორიისათვის არის განზრახული“. ჩანართის შემდეგ ვკითხულობთ:

„კ მ ა რ ა ! საკვირველი არაა, თუ „ასეთს ავტორს“ შენი სიტყვები, ლბილად რომ ვთქვათ, „ეუცხოვა“. ეუცხოვა ეს მით უფრო, რომ შენ სახელი მისი შაიებში „მ ა ღ ლ ა დ“ გაქვს ნახსენები და რომანები მისი ერთ წერილში „დიდად“ დაფასებული. რამ გამოიწვია შენი ასეთი „ტონი“? გასაღებს შენივე ბარათი იძლევა“.

წერილი მთავრდება ვალიას ჩვეული მოკითხვით და ორივეს კარგად ყოფნის სურვილით.

მისი დაწერიდან მალევე, იმავე წლის 19 ნოემბერს გრ. რობაქიძე გარდაიცვალა.

გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ, გრ. რობაქიძის გ. გამყრელიძისათვის გაგზავნილი ეს წერილები სხვა ყველაფერთან ერთად იმითაცაა საყურადღებო, რომ ემიგრანტული ცხოვრებით გატანჯული და ლიტერატურულად „განაპირებული“ დიდი მწერლის სიცოცხლის უკანასკნელი წლების ყოფის, გუნება-განწყობის, შეხედულებების და სულის გამოძახილის ამსახველია. მათი გაცნობა ამდიდრებს ჩვენს ცოდნას ქართული ემიგრაციის ისტორიისა და ლიტერატურათმცოდნეობის დარგებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გამყრელიძე გ. „გვიანი რთველი“. II რეპრინტული გამოცემა. „საარი“. 2011.
2. რობაქიძე გრ. ნაწერები. წიგნი IV. პუბლიცისტიკა, ეპისტოლარული მემკვიდრეობა. შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა და კომენტარები დაურთო ლალი ცომაიამ. ლიტერატურის მუზეუმის გამომცემლობა, თბილისი, 2012.
3. შარაძე გ. „უცხოეთის ცის ქვეშ“. თბილისი. „მერანი“.1991.

Maia Tsertsvadze

Associate Professor, PhD in History

Personal letters of Grigol Robakidze sent to Giorgi Gamkrelidze

Summary

A distinguished poet, translator and researcher Giorgi Gamkrelidze (literary pseudonym Grigol Zodeli;1904-1974) is one of the Georgians who fled the Soviet regime established in

Georgia and lived for the rest of his life abroad. In 1923 he left for Germany to study and then settled in Europe and the United States.

Giorgi Gamkrelidze spent a significant period of his emigrant life, more than thirty years, in the United States. He moved there in 1941, first to Dallas, Texas and from 1957 to Washington, D.C. where he worked extensively in the sphere of culture. Gamkrelidze defended his PhD in Art Criticism and worked in the Oriental Literature Department of the Washington Library as well as at the Georgian “Voice of America”.

In 1963, George Gamkrelidze's latest book entitled “Poems, Stories, Translations of Foreign Poetry and Ornithological Essays” was published in Washington, DC. Together with the author’s original poems and other translations made from the original versions, this book contained the translations of the poems by Edgar Allan Poe, Carl Sandburg, Joyce Kilmer, Louis Untermeyer and Robert Frost.

Giorgi Gamkrelidze collaborated fruitfully with magazines and newspapers published by emigrants; he was friends and corresponded with many well-known Georgian emigrants. Amongst them is Grigol Robakidze (1882-1962), a Georgian writer, publicist, public figure, and the most prominent representative of Georgian political emigration. The poet also dedicated a poem to him "Grigol Robakidze ("Because of Two Leaves")”. Grigol Robakidze also responded and paid attention to Giorgi Gamkrelidze's poetry.

Giorgi Gamkrelidze is one of the addressees of Grigol Robakidze's significant, meaningful personal letters. Twenty-one of these letters, sent from Switzerland to the United States in 1952-1962, were published in five volumes of Grigol Robakidze's writings.

These letters discussed in our paper are significant in that, along with the biographical information of the addressee and addresser, they describe the issues of their worldview and literary taste; present the material and sources of a depiction of life and work of two Georgian emigrants. The presented research enriches our knowledge in the field of history of Georgian emigration and literary studies.

მარიამ მარჯანიშვილი
ფილოლოგიის დოქტორი
ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული
მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი

26 მაისი ჟურნალ „ბედი ქართლისას“ ფურცლებზე

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, XX საუკუნის პირველი ტალღის პოლიტიკურ ემიგრაციაში, თითქმის მთელი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი სპექტრი აღმოჩნდა. უცხოეთის ცის ქვეშ მიმოფანტულებმა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად და ემიგრანტული წრეების შესაკავშირებლად მათ პირველი დღეებიდანვე დაიწყეს ბრძოლა.

მრავალ ფაქტორთან ერთად ამ ბრძოლაში ერთ-ერთ როლს ემიგრანტული პერიოდიკაც თამაშობდა, რათა საქართველოს საკითხი მსოფლიო პოლიტიკის არეალში მოექცია. ამასთან ერთად საერთაშორისო ასპარეზზე ქართული ეროვნული პოლიტიკა და მეცნიერულ-კულტურული ძალებიც წარმოეჩინათ, რადგან ოკუპირებულ საქართველოში დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკასთან ერთად თავისუფალი აზრიც გაუქმდა. ამ დროს რუსული წითელი არმია გახდა ერის ბატონი და მისი აზრების მოკარნახე, რასაც ქართველი ხალხი ვერასოდეს შეეგუებოდა.

სწორედ, ქართული ემიგრანტული პერიოდიკა მოევლინა სამას იქით და სამანს აქეთ ერის მხსნელად და მისი იდეალების გამტარებლად. აქედან გამომდინარე, ამიტომაც გამოირჩეოდა ემიგრანტული პერიოდიკა თავისი მრავალფეროვნებითა და სიჭრელით.

მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს 1948 წელს დაარსებული ჟურნალი „ბედი ქართლისა“, რომელიც ყოველწლიურად პარიზში 1983 წლამდე გამოდიოდა ჯერ მშობლიურ, ხოლო 1958 წლიდან ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე.

ტრადიციულად, ქართულ ემიგრაციაში დიდი ზეიმით აღინიშნებოდა შობა-ახალი წელი, ნინოობა, 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დღე.

განსაკუთრებით იქ, სადაც ხალხმრავალი კოლონიები არსებობდა: პარიზში, სოშო-ოდენკურში, ბერნში, ლონდონში, მიუნხენში, ხარბინში და ნიუ-იორკში.

26 მაისს ერთსულოვნად ზეიმობდა მთელ მსოფლიოში გაფანტული ყველა მიმართულებისა და პარტიული კუთვნილების ქართველი.

ამ მხრივ აღსანიშნავია 1951 წლის ჟურნალ ,,ბედი ქართლისას“ ფურცლებზე დაბეჭდილი ქრონიკა, სადაც ვკითხულობთ: ,,დამოუკიდებლობის დღე გადახდილ იქმნა ქ. ნიუ-იორკში ქართველ-ამერიკელთა ლიგისა და ქართული სათვისტომოს გამგეობის მიერ. დაესწრო მრავალრიცხოვანი საზოგადოება. მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა სათვისტომოს თავმჯდომარემ ბ. ლეო დუმბაძემ, ზეიმს ხელმძღვანელობდა ბ. მიხ. დადიანი. ილაპარაკეს ბ. ზურაბ ჩხოტუამ და ,,ქ. ა. -ლიგის თავმჯდომარემ ბ. თეიმურაზ ბაგრატიონმა“.

ჟურნალში გამოქვეყნებული ქრონიკა ქართველთა ტრადიციულ დღესასწაულის აღნიშვნასთან ერთად წარმოადგენდა ერთიანობის ერთგვარ აქციასა და საქართველოსადმი საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მიპყრობის მცდელობას. ამასთან, თავის არსში, ქართული ტრადიციების გაცნობა ახალ თაობასა თუ უცხოელთათვის დიდ როლს თამაშობდა.

ეს გამოძახილი ნათლადაა ასახული ჟურნალ ,,ბედი ქართლისას“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ სტატიაში - ,,26 მაისი შეერთებულ შტატებში“: ,,პირველი შემთხვევაა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღემ შეერთებულ შტატებში ამერიკელებისა და ქართველების საერთო პოლიტიკური დემონსტრაციის ხასიათი მიიღო. დღესასწაული გაიმართა ნიუ-იორკის ერთ-ერთ საუკეთესო სასტუმრო ,,რუზველტის“ დარბაზში. დარბაზი მორთული იყო ქართული და ამერიკული დროშებით. სტუმრებს იღებდნენ ქართველი მანდილოსნები: ქ.ქ კირა კობიაშვილი, ქეთევან ჩხატარაშვილი და ელზა ცომაია. კრება გახსნა ქართული კოლონიის თავმჯდომარემ ბ-ნმა ლეო დუმბაძემ. მან დამსწრეებს გააცნო საქართველოს პრობლემა და 26 მაისის მნიშვნელობა. შეეხო დაკარგული დამოუკიდებლობის აღსადგენად საქართველოში და ემიგრაციაში წარმოებულ ბრძოლებს და დაასკვნა, რომ მიუხედავად რთული საერთაშორისო მდგომარეობისა, ქართველი ერი მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ

თავისუფლებისათვის მებრძოლთა მედროშე ამერიკის ერი, სწორად შეაფასებს ჩვენს ბრძოლას და თავის დროზე დახმარებას არ მოაკლებს ჩვენს ქვეყანასო“.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 1931 წლის 28 ნოემბერს დაფუძნდა პავლე და თამარ კვარაცხელიების, ვასო დუმბაძისა და გიორგი მაჩაბლის, ვანო კობახიძის ინიციატივით ,,ამერიკის შეერთებული შტატების ქართული საზოგადოება“ ანუ სათვისტომო. 1932 წლის 31 იანვარს ნიუ-იორკის მახლობლად, იანკერსში კვარაცხელიების სახლში მოხდა სათვისტომოს საზეიმო კურთხევა. სათვისტომო მიღებული წესდების მიხედვით 1932 წელს ოფიციალურად გაფორმდა და ლეგალურად განაგრძო არსებობა.

ქართველთა სათვისტომომ 1938 წელს ნიუ-იორკიდან 60 კილომეტრის დაშორებით აისლიპში სახლი და ბაღ-ბოსტანი შეიძინა, სადაც მოხუცთა თავშესაფარი გააკეთა და აქ ემიგრანტთა დიდი ნაწილიც ცხოვრობდა.

1951 წელს ქართველთა სათვისტომომ აისლიპში სახლი გაყიდა და ნიუ-იორკში, ჯეკსონ ჰეიტის N90 ქუჩაზე შეიძინა მიწა, სადაც ათ ოთახიანი საკუთარი სახლი ააშენა სხვადასხვა ღონისძიებების ჩასატარებლად.

ასე რომ, ქართველი ემიგრანტები უკვე კარგა ხნის დამკვიდრებული იყვნენ ამერიკაში, რომელზეც ზემოთ აღნიშნული მერაბ კვიტაშვილის სტატია ,,26 მაისი შეერთებულ შტატებში“ მეტყველებს. 26 მაისის ზეიმზე დამსწრეებს სიტყვით მიმართა შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის ცნობილმა წევრმა კონგრესმენმა ბატონმა ჩარლზ კერსტენმა. მან თავისი შესანიშნავი, დიდი ოსტატობით და პათოსით წარმოთქმული სიტყვა დაიწყო საქართველოს შესახებ 1926 წ. ამერიკის კონგრესის მიერ გამოცემულ წიგნზე მითითებით: ,,აქ ჩვენ ვმსჯელობდით საქართველოს ცნობაზე და მისთვის დახმარებაზე და ამის შემდეგ ყოველგვარი ლოღიკის გარეშე პრეზიდენტმა რუზველტმა იურიდიულად იცნო მოსკოვის ხელისუფლება, ე.ი პატარა ერების დამპყრობი და მისი გამანადგურებელი ხელისუფლებაო“.

შემდეგ ბატონი კერსტენი შეეხო საერთაშორისო მდგომარეობას, მოსკოვის აგრესიული გეგმების არსებობას და მოუწოდა თავის მთავრობას და ამერიკელ ერს, რომ ,,დროა ქვეყნიერებამ სწორად შეაფასოს არსებული საფრთხე და საერთო მტრის წინააღმდეგ მებრძოლ, ამერიკის ნამდვილ მოკავშირეებს ხელი გაუწოდოსო“.

ბუნებრივია, წერილის ავტორს ნამდვილ მოკავშირეებად რუსეთის მიერ დაპყრობილი ერები მიაჩნდა, რომელიც იბრძოდნენ და მომავალშიც იბრძოლებენ თავისუფლებისათვის.

კერსტენმა თავის მოხსენებაში ჩამოთვალა თავისუფლებისათვის მებრძოლი ერები და მათ შორის შეჩერდა საქართველოზე: ,,მის წარსულზე, მის კონსტიტუციაზე, კულტურაზე და გამოთქვა რწმენა, რომ თავისუფლებისათვის მებრძოლი კულტურული ერი ბოლოს მუდამ აღწევს თავის მიზანსო“.

26 მაისის დღესთან დაკავშირებით ქართულ პოლიტიკურ ემიგრანტებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ბატონმა ოკონორიმ. დამსწრე ქართველობა დიდად გააკვირვა მომხსენებლის საქართველოს ისტორიის მშვენიერმა ცოდნამ.

აშკარად ჩანდა, რომ ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარეები პავლე კვარაცხელია, ირაკლი ორბელიანი, ვასო დუმბაძე, ვანო კობახიძე და გივი ზალდასტანიშვილი წევრებთან ერთად მიზანმიმართულად მოქმედებდნენ, რათა ამერიკელთა ყურადღება მიექციათ. რაც კარგად ჩანს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკოსთა, საგარეო საქმეთა წარმომადგენელთა და კულტურისა და მეცნიერთა გამოსვლებში.

აღნიშნულ სტატიაში ხსენებულ წერილში ყურადღებას იპყრობს აგრეთვე საგარეო საქმეთა წარმომადგენლის, ,,ამერიკის ხმის“ ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ აზიის განყოფილების უფროსის ბატონ დუერის გამოსვლა.

რუსული იმპერიალიზმის დაპყრობითი პოლიტიკის მხილებასთან ერთად მან რწმენა გამოთქვა, რომ ,,ქართველი ერი, რომელიც ამდენი ხანია მსხვერპლს იღებს და იბრძვის თავისუფლებისათვის უსათუოდ მიაღწევს მიზანს და ეს დრო შეიძლება არც ისე შორს იყოსო“.

ქართველთა დამოუკიდებლობის დღის ზეიმზე მონაწილეობდნენ ბოლშევიკების მიერ დაპყრობილი უკრაინის, სომხეთის, ლატვიის, ლიტვის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, ჩრდილო კავკასიელების და სხვა ეროვნული თუ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სტატიაშია ხაზგასმულია ის ფაქტიც, რომ 26 მაისის დღესთან დაკავშირებით ქართულ-ამერიკულმა ლიგამ მემორანდუმი გაუგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის გამოჩენილ წევრებს, საზოგადო მოღვაწეებს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებს. ამ დღისათვის ლიგის მიერ გამოცემული საგანგებო ფურცელი - ,,26 მაისის პოლიტიკურ მნიშვნელობაზე“ - დაურიგდა ამერიკულ საზოგადოებას ჟურნალ ,,თავისუფალი საქართველოს ხმის“ მეორე ნომერთან ერთად.

ამერიკაში მოღვაწე ქართული პოლიტიკური ემიგრაცია, შეერთებული შტატების საზოგადოებრივი აზრის ჩამოსაყალიბებლად ყველაფერს აკეთებდა, ვინაიდან ქართულ პოლიტიკურ მუშაობაში გადამწყვეტი იყო ამერიკელთა ჩაბმაც. მიზანმიმართულმა საქმიანობამ ბუნებრივად გამოიწვია ის, რომ 1952 წლის 2 ნოემბერს ჩამოყალიბებულ ,,ქართველთა დემოკრატიული კავშირს“ სახელწოდება შეეცვალა და მას ,,საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭო“ ეწოდა.

მერაბ კვიტაშვილი თავის სტატიაში სამართლიანად აღნიშნავს ,,ამერიკული საბჭოს“ როლსა და მნიშვნელობაზე: ,,საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ქართულ-ამერიკულმა ლიგამ მიიღო წერილები პრეზიდენტ აიზენჰაუერისაგან, ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორ დუიისაგან, სენატორ აივსისა და ლემანისაგან, შეერთებული შტატების წარმომადგენლის გაერთიანებულ ერებში ბატონ ლოჯისაგან, ნიუ-იორკის ქალაქის თავის - იმპელიტერისაგან, ბატონ ჰარმანისაგან, ბულიტისაგან და სხვა ცნობილ პოლიტიკურ თუ საზოგადო მოღვაწეებისაგან.“

,,ამერიკულმა საბჭომ“ მისი დაარსების დღიდანვე კავშირი გააბა ქართველ ემიგრაციასთან ყველა ქვეყანაში. 1953 წელს გამოუშვა საინფორმაციო ბიულეტინი ,,ცნობის ფურცელი“, იმავე წლის ივნისიდან მას დაემატა საკუთარი პერიოდული ჟურნალი ,,ჩვენი გზა“. ჟურნალი 1953-1961 წლებში ნიუ-იორკში გამოდიოდა ინგლისურ ენაზე და მისი სულ 5 ნომერი დაიბეჭდა. ,,ამერიკულ საბჭოს“ დიდი კავშირი ჰქონდა ამერიკის კონგრესთან.

ქართული პოლიტიკური ემიგრაცია კარგად ხედავდა დიდ სიყვარულს ამერიკელი ხალხისაგან. სწორედ, ამერიკა აძლევდა მათ თავისუფლებას, რაც აშკარადაა ჩამოყალიბებული ლიგის სახელზე გაგზავნილ წერილში, რომლის ავტორია

შეერთებული შტატების სენატის საგარეო ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარე, სენატორი ალექსანდრე ვიალია: ,,ამერიკის ხალხს აქვს უდიდესი სიმპათია იმ ხალხებისა, რომლებიც დაპყრობილნი არიან კომუნიზმის მიერ საბჭოთა კავშირში და სატელიტ ქვეყნებში. ჩვენ უკვე დიდი ხანია თაყვანს ვცემთ ქართველი ხალხის გმირულ წინააღმდეგობას კომუნისტური ტირანიის მიმართ".

უდიდესი მოვლენა, რომელმაც ქართული საკითხი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კვლავ საერთაშორისო სარბიელზე გამოიტანა, იყო ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის გადაწყვეტილება, - ,,ამერიკის ხმა"-სთან შექმნილიყო ქართული განყოფილება, რადიო-გადაცემებისათვის ქართულ ენაზე.

რაც საშუალებას მისცემდა რკინის ფარდის იქით, კრემლის რკინის სალტებში ჩაჭედილ ქართველ ერს, თავის მშობლიურ ენაზე, თავისუფალი მსოფლიოს ხმა მოესმინა და საერთაშორისო ვითარების რაობა გაეგო. ამ კეთილი და ფრიად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო შეერთებულ შტატებში მცხოვრებ ქართველთა შორის შესაფერი ინტელექტუალური ძალების შემოკრება, რომელნიც საქმეს ჩინებულად გაუძღვებოდნენ.

არის რაღაც სიმბოლური იმაშიც, რომ ქართულ გადაცემათა რედაქტორს ერეკლე ორბელიანსა და ამერიკაში მოღვაწე ქართულ ემიგრაციის სურვილი იყო ქართული გადაცემები საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს დაწყებულიყო: ,,ეს იყო 1951 წლის 26 მაისს. ამგვარად, ჩვენი ეროვნული დღესასწაული, ამ წელს, შესანიშნავი და ძვირფასი ჯილდოთი აღინიშნა! ამავე დღეს, შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრმა - ბატონმა დიინ აჩესონმა, რადიო საშუალებით, მოკლე მაგრამ გულთბილი სიტყვით ქართველ ხალხს მიმართა: ,,მსოფლიოს კარგად ახსოვს ათეული წლების განმავლობაში ქართველი ერის განუწყვეტელი ბრძოლა თავისუფლებისათვის, ძველი კულტურისა და ცივილიზაციის დასაცავად. ხშირად ყოფილა საქართველო დაპყრობილი, მაგრამ არასოდეს დამორჩილებული. ქართველმა ხალხმა დღემდე შეინარჩუნა თავისი სახე და არ დაუკარგავს ნება ადამიანების უფლებების დაცვისათვის ბრძოლაში, ამიტომაც ჩვენს აღფრთოვანებას იწვევს ქართველი ხალხის ურყევი სულიერი სიმტკიცე... ,,ამერიკის ხმა"

დღეიდან თქვენ ქართველებს, გაძლევთ საშუალებას საკუთარ ენაზე ამცნოთ ქართველ ხალხს ჭეშმარიტება, რომელსაც კომუნისტები მას უმალავდნენ“.

ცხადია, მისი მიმართვა ქართველი ერისადმი თავისთავად იმაზე მეტყველებდა, რომ ამ ისტორიულ მოვლენას საქართველოსათვის დიდი მნიშვნელობა აქვს და იგი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად აღიბეჭდება.

რადიო-სადგურ ,,ამერიკის ხმის“ ქართულ რედაქციას ხელმძღვანელობდა ორი დირექტორი ერეკლე ორბელიანი და მერაბ კვიტაშვილი.

ჟურნალ ,,ბედი ქართლისა“-ს ფურცლებზე დაბეჭდილ სტატიაში ,,ამერიკის ხმის“ ქართული განყოფილების“ ავტორი ნიუ-იორკელი მსმენელი სტატიის დასასრულს ხაზგასმით აღნიშნავს: ,,მე საშუალება მაქვს ხშირად მოვისმინო ,,ამერიკის ხმის“ ქართული გადაცემები და თვალყური ვადევნო მის ხარისხობრივ მნიშვნელობას. უნდა ითქვას, რომ ქართული გადაცემები თავის სიმაღლეზე დგას, ენაც და შინაარსიც კარგია, პროგრამა საინტერესოა, მიმოხილვა საერთაშორისო ამბებზე მკვეთრ პოლიტიკურ-იდეურ ანალიზს შეიცავს...“.

ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას ერთი რამ ღრმად სწამდა, როგორც ამას პარიზის უნივერსიტეტის საერთაშორისო უფლების პროფესორი ლე ფური განმარტავდა: ,,საქართველო უფლებრივად მუდამ დამოუკიდებელი სახელმწიფოა. ძალადობის ფაქტი მოხდა და დამოუკიდებელ საქართველოს სახელმწიფოებრივი უზენაესობა წაერთვა. უფლებრივად იგი დღესაც მოსილია თავისი სუვერენობით. საქართველო უფლებრივად არსებობას განაგრძობს“.

ასე რომ, ევროპასა თუ ამერიკაში დიდი პოპულარობითა და ყურადღებით სარგებლობდა დღესასწაულებისა და მნიშვნელოვანი თარიღების: შობა-ახალი წლის, ნინოობის, თამარობის და განსაკუთრებით 26 მაისის - დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა, რომლის ძალისხმევით უცხოელები ეცნობოდნენ საქართველოს ორი ათასი წლის კულტურას, მის ისტორიას. ყოველივე ეს კი ამტკიცებდა იმ აზრს, რომ ქართველი ერი მრავალი საუკუნე იყო თავისუფალი და ამიტომაც იგი ვერ ურიგდებოდა დამოუკიდებლობის დაკარგვას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბებურიშვილი ბ. (1968). ,,დამოუკიდებელი საქართველოს საკითხი უცხოეთში“: ჟურნალი ,,კავკასიონი“, XIII. პარიზი.
2. კვიტაშვილი მ. (1953). ,,26 მაისი შეერთებულ შტატებში“: ჟურნალი ,,ბედი ქართლისა“ N15. პარიზი.
3. ნიუ-იორკელი მსმენელი (1953). ,,ამერიკის ხმის“ ქართული განყოფილება“: ჟურნალი ,,ბედი ქართლისა“ N14. პარიზი.
4. (1951) ,,26 მაისი ამერიკაში“: ჟურნალი ,,ბედი ქართლისა“ N10. პარიზი.

Mariam Marjanishvili
Doctor of Philology
Scientific worker
Kutaisi State Historical Museum

May 26 on the Pages of “Bedi Kartlisa”

Summary

After the occupation of Georgia, almost the entire political-social spectrum found itself in the political emigration of the first wave of the XX century. Scattered under the foreign sky, they began to fight to restore Georgia's independence and to connect to the emigrant circles from the very first days.

Along with many other factors, emigration periodicals also played a role in this struggle to bring Georgia's issue into the realm of world politics.

In this regard, we must mention the magazine "Bedi Kartlisa", which was founded in 1948 and was published in Paris in its native language, but since 1958, it was published in French, German and English.

The article "May 26 in the United States" by an American emigrant Merab Kvitashvili, printed on the pages of "Bedi Kartlisa", tells us that the well-known congressman Mr. Charles Kersten, a member of the United States House of Representatives, addressed the audience at the May 26 celebration. He spoke about international situation, about Moscow’s aggressive plans, and called for his government and the American nation that “it was time to estimate the existing danger and support the true US allies” (“Bedi Kartlisa”, # 15, p. 29).

In general, the celebration of Georgian holidays and important dates was very popular in Europe and America: Christmas and New Year, St. Nino's Day, Tamar's Day and especially May 26 - Independence Day, which was a kind of action to attract international attention to Georgia. This is evidenced by the materials printed on the pages of the magazine "Bedi Kartlisa".

რუსუდან ნიშნიანიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სანტიაგო დე ჩილეში გამოცემული ქართული კრებული _ ერთი მითოსური პარადიგმა

60-იანი წლებია, უფრო ზუსტად, 1963 წელი. ერთი შეხედვით, რკინის ფარდაც აიწია და ცხოვრებაც უკეთესი გახდა, მაგრამ ადამიანები არ შეცვლილან მაინცადამაინც და მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმზე კონსტანტინე გამსახურდია ხმამაღლა ინატრებს:

,,_ ნეტავი მეც მქონდეს კირკეს ჯადოსნური წამალი რომ ჩვენებური ,,მაამებლები“, რომელნიც თავიანთი ცარიელი თავებით ივსებენ ცარიელ ჯიბეებს, ერთ მშვენიერ დღეს ღორებად ვაქციო.“

აღტაცებული კარლო კალაძე იდეას ,,მოიწონებს:“

,,_ მაშინ ხორცის დამზადების საქმე მოწესრიგდებოდა.“

და დარბაზი, რომელიც ყოველთვის იცინის, ახლაც გაიცინებს.

გავიხსენოთ: კირკე ჰელიოსის ასული (აიეტისა და პასიფაეს და, მედეას მამიდა, კოლხი) გახლდათ. ჰომეროსის თანახმად, გრძნეული და უმშვენიერესი კირკე კუნძულ აიაია-ზე ცხოვრობდა. მან ჯადოსნური წამლით ოდისევსის მეგობრები ღორებად აქცია; მაგრამ რაკიღა ის გრძნეული გახლდათ, მას ცხოველებად ქცეულებისთვის ადამიანების სახის დაბრუნებაც შეეძლო. საბოლოოდ, ის ასეც მოიქცა.

ეროვნულ მწერლობაში არაერთგზის გამოვლენილა განათლების ფართო თვალსაწიერი და მიზანმიმართულად ზუსტად მიუთითებიათ მზერა ძველი ბერძნული თუ რომაული მითოსური გმირებისკენ. ამხელა მასშტაბით ეგებ არა, მაგრამ საინტერესო

და გასათვალისწინებელია ქართული ემიგრანტული ლიტერატურული ტექსტები. ამჯერად, მხოლოდ ერთ მათგანს წარმოვადგენ.

გიორგი გამყრელიძე ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი გახლდათ. მისი ლიტერატურული არეალი საკმაოდ ვრცელი და მრავალფეროვანია: თარგმანები ამერიკული და ფრანგული პოეზიიდან, გერმანული მწერლობის ნიმუშები; უპირველესი მაინც საკუთარი, ორიგინალური ლექსების თხზვაა.

1960 წელს უკვე არა მხოლოდ სხვა სახელმწიფოში, არამედ სხვა კონტინენტზე, სანტიაგო დე ჩილეში დაისტამბება პოეტური კრებული ,,გვიანი რთველი". ყდაზე გამოტანილი სათაური უკვე იპყრობს მკითხველის ყურადღებას. ,,რთველი" _ როცა მოსავალი დამწიფებულია და დასაბინავებელი; მაგრამ რატომ ,,გვიანი?" აკი წიგნი ცნობილი რუსთველოლოგის, ვიკტორ ნოზაძის პირადი მონდომებით დაისტამბა, და რომ არა დიდი მეცნიერის ზრუნვა, კიდევ დიდხანს იქნებოდა თაროზე შემოდებული. ყურადღებას წიგნის გაფორმებაც იქცევს: ერთი შეხედვით, მარტივი, ეროვნული: ყურძნითა და ქართული ჩუქურთმით.

კრებულში დაბეჭდილია 1955 წელს დაწერილი გიორგი გამყრელიძის ლექსი ,,დალი და დიანა". ლიტერატურული ტექსტი ორ სიუჟეტურ ამბავს მოიცავს.

დალი _ ქართული მითოლოგიის უძველესი ქალღმერთი; მიუვალი, სალი კლდეების მკვიდრი, ოქროსდალალებიანი, ნადირობის ქალღმერთი; პოეტი კი ეგზოტიკური, უცხო გარემოს დახატვას ცდილობს: გრაალის კოშკი, მყუდრო დარბაზი, მძინარე დალი, პარსიფალი, ბნელი პალატები...

თითქოს უღიმის ნეტარებას უცხო სიზმარში,
გედის ფერ კისერს მოხვევია ოქროს დალალი.

როგორც ვთქვი, უჩვეულო გარემოცვა და ასევე, უცხო ნივთებიც: საფირონი, ქარვა და ლალი.

ძველი თქმულების სურნელება იწვება კვარში
და ბნელ პალატებს სინათლეს ჰფენს მისი პარპალი.

ერთი შეხედვით, ასინქრონული სურათია: შემთვრალი პანი მარანში ცეკვავს და კლდის ქიმზე მდგარი ძველი კოშკი ქარში ინგრევა.

ჩანართის სახით: ,,ცხრაფეხა პანი გადაკრული ცეკვავს მარანში.“ ეს ლექსი ერთხელ უკვე წაკითხული აქვს, მაგრამ პოეტური კრებულისათვის რეცენზიის წერას რომ შეუდგება, სათაურით: ,,გვიანი რთველი“ გიორგი გამყრელიძისა“ გრიგოლ რობაქიძე გულდასმით გადაიკითხავს ყოველ ტექსტს _ ქებასაც იტყვის და შენიშვნასაც და ასეთ განსხვავებასაც აღმოაჩენს: ,,ცხრაფეხა პანი“ (,,დალი და დიანა“) ბეჭდვითი შეცდომა. ჩვენს ჟურნალში (იგულისხმება ,,ბედი ქართლისა“_რ.ნ.) დაბეჭდილ ტექსტში სწორად იყო: ,,თხაფეხა“.

ლექსში მნიშვნელოვანი ან ნაკლებადმნიშვნელოვანი მკითხველის ამოსარჩევია. რიგითობა სიუჟეტის შემადგენელი ნაწილია. აქ არც გაბმული თხრობაა, ე.წ. ,,შეკრული კომპოზიცია“. ცნობილია, რომ თმის მოკვეცა დალისთვის სასიკვდილო განაჩენია. ლექსის ფინალი კი ამგვარია:

ნალეს მაკრატლით იკვეცება ოქროს დალალი;
შედიან ნისლში მზეჭაბუკი და ამორძალი.

ე.წ. ,,ღია ფინალი“: როცა არაფერი მთავრდება. თავისთავად მხატვრულად საინტერესო ტექსტი მითის არაადექვატურ ინტერპრეტაციას სთავაზობს მკითხველს; მისი არასწორი წარმოდგენა: გეოგრაფიული სივრცე _ სად ვითარდება მოქმედება *(გრაალის კოშკი),* პერსონათა *(პარსიფალი, პანი)* და საგანთა ჩამონათვალი *(ლალი, ალმასი, ქარვა),* და თავად ამბის = მითის დასასრული ლეგენდის ზუსტ ადექვატს არ წარმოადგენს. ვფიქრობ, ავტორმა დასავლური ელემენტების დამატება გადაწყვიტა. სამაგიეროდ, სულ სხვაგვარად მოიქცა მეორე შემთხვევაში. იმავე ლექსის ქვეთავი: ,,ბ“.

ეს მითიური თქმულება არაერთ თაობას გაახსენებს თავს. გაახსენებს სხვადასხვა რაკურსით, განზოგადების ფორმით, სათქმელის მასშტაბით. დიანა რომაულ მითოლოგიაში მცენარეთა, ველურ ცხოველთა, ნადირობის ქალღმერთია. ძველ

ბერძნულ მითოლოგიაში არტემისი _ ზევსის ასული, აპოლონის ტყუპისცალი. ნადირობის ქალღმერთი. მეტსახელად ,,უბიწო“ არავის რთავდა ნებას მისი სიშიშვლე ეხილათ. აქტეონი _ მითოსური მონადირე, რომელიც ჩვეულებისამებრ აგრძელებდა თავის გატაცებას: ნადირობასა და ტყეში ხეტიალს საკუთარ მწევრებთან ერთად, ერთ საბედისწერო დღეს, შემთხვევით ,,გადააწყდება“ ნიმფებთან ერთად ტალღებში მობანავე ქალწულს. გიორგი გამყრელიძის აქტეონი შქერის ბუჩქებსაა მოფარებული:

ზის აქტეონი ტყის წყაროსთან შქერის ბუჩქებში,
და ჭვრეტს ფარულად მობანავე ტიტველ დიანას _
ფიქალის ტანმა მყუდრო სისხლი მას აუჩქეფა,
ქალღმერთის შუქმა ტყის სიმწვანე გაამზიანა.

ტექსტი ფეხდაფეხ მიჰყვება მითს. დიანას შეუმჩნეველი არ დარჩენია ვაჟის ქურდული მზერა, სველ სხეულზე თმათა ტევრი ჩამოიყარა და _

აღმართა თვალნი გაბასრულნი, ვით სატევრები
და დამალულ ყრმას მიახალა, როგორც შურდული
და ქალის გული განრისხების ფიფქმა დათოვა,
შურისძიების შემოევლო ბაგეებს სირმა.

მინდა ყურადღება მივაქციოთ ლექსის მხატვრულ შიდასახეს: კითხვისას ,,ხედავ“ თითოეულ ფრაზას, კადრს. განრისხებული დიანას შურისძიება არ დააყოვნებს: უსასტიკესად დასჯის მისი სხეულის სილამაზით მალულად დამტკბარს; რქააყრილ ირმად ქცეულ აქტეონს მისივე ძაღლების ხროვა მიესევა.

ახლა დიანა თვითონ უმზერს ირმის წვალებას,
სისხლიან ლაშებს ილოკავენ ავი მწევრები,
და იდას მთების დაბურვილი მუქი მტევრები

ემიგრანტი პოეტი ზუსტი სახისმეტყველებით ახერხებს ლამაზი პოეტური ნიმუშის შექმნას.

ორივე ამბავი არაერთხელ გარითმულა სხვადასხვა ავტორის ლირიკაში. როგორც ვთქვი, ესა თუ ის მითი ზოგჯერ შესაძლოა, უბრალოდ თანმიმდევრულ სტრიქონებად გაირითმოს; თუმცა, ისეც ხდება, რომ მასში დროის, ან ავტორის საკუთარი, პიროვნული ტკივილი ჩაიდოს. ირღვევა მითოლოგიური დრო და ის კონკრეტულ, კალენდარულ დროდ იქცევა. ლიტერატურულ ტექსტში დრო მნიშვნელოვანია. ისიც დასაშვებია, რომ ამა თუ იმ ავტორმა მითი საკუთარი სათქმელის ,,ფონად“ გამოიყენოს. ეს იმაზეცაა დამოკიდებული, როგორი რანგის ტექსტთან გვაქვს საქმე.

გალაკტიონ ტაბიძის აქტეონსაც *(ლექსი: ,,როცა აქტეონი, ძეი არისტეას“)* ,,თვალნი დაებინდნენ“, როცა ნიმფთა შორის პართენონის ნაკადებში მობანავე უმშვენიერესი არტემიდა დაინახა, მაგრამ იგიც დაისაჯა:

ძაღლებს აქტეონი მსხვერპლად შეეწირა,
იგი დაეფლითათ ძაღლებს იმისსავეს.

უდიდესი პოეტი სხვა სათქმელისათვის იყენებს ამ ამბავს. მარტოსული გენიოსი თავს ნებას აძლევს ერთი პარალელი გაავლოს *(ეგებ, ამის გამოც მხატვრულად გარითმა ეს უძველესი თქმულება?)* და მოულოდნელი ფინალით დაამთავროს ლექსი; საკუთარი სახელიც ,,ჩადო“ უფრო მკვეთრი, გასაგები და ნათელი რომ გაეხადა ჩანაფიქრი. მითის ,,წყალობით“ საკუთარი სათქმელი პირდაპირ (ხისტადაც) თქვა:

ვიცან, გალაკტიონ, შენში აქტეონი _
შენ გსჯის ყოველივე, როგორც სიყვარული.
შენგნით დაწვრთნილები ყეფენ მოუსვენრად
ისევ შენთვისავე _ ავი ძაღლებია.

დროისმიერი ზღვარი იშლება და აშკარაა თანამედროვეობასთან კავშირი. მხატვრული ზემოქმედებაც ექსპრესიულია და შესაბამისად, ემოციური; მწარეც. ეს საკუთარი მტრებისთვის ნათქვამი სიტყვებია. პოეტურად ნათქვამი შეულამაზებელი აზრი.

სააზროვნო წარსულის გამოყენებით არ იკარგება აწმყო. პირიქით, დრო ერთიანდება; ანუ წარსული წარსულში არ რჩება გაყინულ მითად, არამედ თანამედროვე პარალელის ცოდნისმიერ ახსნად იქცევა. ეს კი მკითხველს ფიქრის, განსჯისა და აზროვნებისკენ ფრთხილად უბიძგებს.

სანტიაგო დე ჩილეში გამოცემული ქართული წიგნი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ქართულ ემიგრანტულ პოეტურ მემკვიდრეობაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **გამყრელიძე გ.,** ,,გვიანი რთველი", სანტიაგო დე ჩილე, 1960
2. **ტაბიძე გ.,** რჩეული, *გამომც. ,,საბჭ. საქართველო",* თბილისი, 1977

Rusudan Nishnianidze

Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Georgian Poetry Collection Published in Santiago de Chile – One Mythical Paradigm

Summary

Giorgi Gamkrelidze was one of the most important representatives of Georgian emigration. His literary field is quite extensive and varied: translations from American and

French poetry, samples of German writing. The first at least is to compose your own original poems.

In 1920, his poems ,,Autumn Chianuri" was published in Georgia, and in 1922, ,,Nailed Hands" was published under the pseudonym of Grigol Zodel. In 1932, the poetic collection ,,Blue Monocle" was published in Georgian in Paris. **In 1960, not only in another country, but also on another continent, in Santiago de Chile, „Late Harvest“ was published**, and in 1963 a book was published in Georgian in Washington, DC, entitled ,,Poems, Stories, and Essays on Birds".

The article talks about Giorgi Gamkrelidze's collection ,,Late Harvest" printed in Santiago de Chile and one of his poetic works - ,,Dali and Diana"; The parallels with the mythical and famous literary characters are analyzed and the poetic reminiscences that are significant in relation to each pattern are found.

I think this is one of the artistically interesting and important books of the Georgian emigrant, which was published abroad.

Tatyana S. DENISOVA

PhD (History), Leading Research Fellow,

Head of the Centre for Tropical Africa Studies

Institute for African Studies, RAS

The US and Nigeria: Counter-Terrorism Cooperation

Terrorism has become an universal evil that poses threat to the very human existence, thereby making vulnerable nations live in perpetual fear and anxiety. In the 2000s–2010s, the activities of the extremist group Boko Haram seriously challenged the authority of the Nigerian government. The group adopted a distinct terrorist strategy, initially attacking soft targets in the northeastern part of Nigeria and then gradually spreading its area of activities through the country. The attacks on national and international establishments in Nigeria, such as the UN Building in the Nigerian capital Abuja, helped launching the group into limelight, simultaneously raising the question in the United States of whether or not it should be recognized as a Foreign Terrorist Organization. In November 2013, the US designated the group as such.

The Government of Nigeria took various steps to curb the Boko Haram insurgency, but to little avail. Consequently, Abuja made the decision to collaborate with the US in order to establish a security tandem that would curtail this threat in Nigeria and the world in general. However, a number of scholars have repeatedly argued that involvement of the international community (for instance, the US) would be counterproductive to solving the problem of terrorism in Nigeria.

The September 11 terrorist attacks, as well as the general surge in terrorist activity around the world, opened up a new chapter in the United States' efforts in tackling terrorism.

Terrorist networks and standalone groups proliferated across the globe, causing the destruction of lives and properties of immense proportions. In Nigeria, the Boko Haram sect emerged in 2002, and since then more than 18,000 lives have been lost and more than 100,000 people have been displaced from their homes. In its early stages, the insurgency was thought to be simply a manifestation of grievances by a part of Nigerian society. However, as its activities demonstrated, the group evolved into a terrorist organization, moving far beyond a mere expression of social discontent. This raised serious concerns in Nigeria and the United States, prompting the two governments to ramp up their efforts to find a lasting solution to the crisis.

The US government has usually employed a highly confrontational (interventionist) strategy in protecting its interest in oversea countries, especially in oil-rich regions. This has been demonstrated in many places, for example, in Iraq. Nevertheless, the Nigerian case is a distinct one, just as Boko Haram differs from Hezbollah, Hamas and other long-established groups, which have huge international organizational structures and overarching goals. Boko Haram, on the other hand, is a highly dispersed movement with little, if any, central organization. In fact, Boko Haram has focused mostly on Nigeria and neighboring countries.

Accordingly, the US government has adopted non-confrontational strategies for the fight against Boko Haram insurgency in Nigeria. They include:

– the establishment of the US-Nigeria Binational Commission;

– provision of security-related training and funding by the US Department of Defense;

– provision of aid by USAID;

– sanctioning of Boko Haram leaders and the placement of a $7 million bounty on the head of Boko Haram leader Abubakar Shekau.

The question that continued to agitate the minds of many analysts was how the US would go about curtailing Boko Haram activities in Nigeria? This question arose not because Nigeria is a foreign territory, but because the country remained strategically important to the United States; in fact, it probably was and still is the most important country in Sub-Saharan Africa. Meanwhile, the US-Nigeria Binational Commission concentrated on four key areas:

- good governance and transparency;
- promotion of regional cooperation and development;
- energy reform and investment;
- food security and agriculture.

The creation of the Commission was the first step of the United States Department of State in the fight against the Boko Haram insurgency in Nigeria. The second move was the empowerment of local partners in Nigeria. As a rule, the US provides training and equipment to countries combating terrorism. In order to develop its counterterrorism capacity, Nigeria was invited in the Antiterrorism Assistance (ATA) program, which is the key US initiative in this area. The third goal in fighting Boko Haram insurgency was to find means to reduce the flow of funds to Boko Haram and to address Boko Haram's local sources of income, with special focus on dealing with kidnappings.

The Department of State closely worked with the interagency to provide the Government of Nigeria with an array of training, including bulk cash smuggling, terrorist finance investigations, financial intelligence unit analytical training, as well as soft skill development targeting the financial regulatory system. As a result, Nigeria became one of the best-equipped nations in West Africa to address the threat of money laundering and terrorist finance.

In an effort to develop regional cooperation toward stopping the flow of illicit funds and illegal goods and substances from the Western Hemisphere through West Africa to Europe, the Department of State collaborated with the Department of Homeland Security to deliver a new program in partnership with both the Senegalese and Nigerian governments. Indeed, money has always been described as a key to international terrorism and thus to counterterrorism.

At the inception, the core mandate of the Commission included facilitating the protection of the Niger-Delta, which at the time was the haven of militants, and promotion of good governance and strengthening national institutions. However, at the talks in Abuja in 2012, Nigerian and American officials reached a consensus that the terror in the North should receive special attention and that the approach to security in Nigeria had to be differentiated.

The US-Nigeria Binational Commission was re-arranged accordingly, and a new, entirely separate working group with emphasis on insecurity in the North was established. Since the security situation in the northern part of Nigeria was becoming increasingly grave, the move was to enable a sharper focus on the terrorist onslaught emanating from Nigeria, while the rest of the regional security cooperation dimension would remain focused on the older Niger-Delta problem and the accompanying maritime security issues.

The Department of Defense provided the Nigerian Government with security-related training as well as funding. In their turn, the US Army Special Forces provided counterinsurgency training to Nigerian troops, helping them to prepare to fight Boko Haram. The US sent one hundred Special Forces troops to train Nigerians within the framework of both the African Coastal and Border Security Program (ACBS) and the Trans-Sahara Counterterrorism Partnership (TSCTP). Besides the provision of military training, the United States Defense Department also provided funding to the Nigerian Army to improve its capabilities by forming a counterterrorism infantry unit and improving tactical communications and interoperability among its counterterrorist forces.

In addition to involving the Departments of State and Defense, the American government also involved USAID in the fight against Boko Haram insurgency in Nigeria. USAID's focus was on reaching out to Muslims in northern Nigerian, among whom Boko Haram found a sympathetic following.

USAID launched a program titled Project PEACE (Programming Effectively Against Conflict and Extremism), whose goal was to hire contractors to help the agency analyze the "true" causes of the conflict and, consequently, provide more effective humanitarian and conflict-resolution assistance. USAID's findings revealed that Boko Haram shared anger with other groups over the nation's poor governance. Therefore, the document recommended that state services should be improved and the capacity of local authorities to deliver services enhanced with the objective of reducing public grievances and the resultant conflict.

Another USAID program, called Leadership, Empowerment, Advocacy and Development (LEAD), was aimed at helping authorities in the north of the country to develop partnerships

between states and local governments and the private sector with the goal of improving accountability, governance, and the delivery of essential services.

Upon the examination of various issues that underscore Nigerian and American efforts at tackling terrorism and global insecurity, it is apt to conclude that despite all strategies employed by both countries, terrorism is still spreading in countries of the world, and particularly in Nigeria. Suffice it to say that solution cannot come from the outside but from a determined effort of the Nigerian government itself, which is obliged to take moves toward promotion of social justice and equality, elimination of corruption, securing Nigeria's borders, and monitoring religious currents and extremist propaganda entering Nigeria.

Literature

1. Adefuye, A. (2012). "Nigeria is America's Anchor in Africa", Tell, September 3.
2. Carson, J (2012). "How to Resolve the Boko Haram Insurgency", Vanguard, August 12.
3. Denisova T.S. (2014). Nigeria: from Maitatsine to Boko Haram. *Vostok (ORIENS).* № 4. Pp. 70–82 (In Russ.) (Денисова Т.С. Нигерия: от Майтацине до Боко Харам. *Восток (ORIENS)*, 2014. № 4. С. 70–82).
4. Fostering Nigeria – Us Relations, And Partnership in Tackling Terrorism and Global Insecurity (2015). https://www.semanticscholar.org/paper/Fostering-Nigeria-%E2%80%93-Us-Relations%2C-And-Partnership-Ituma/622c06bde51e5a4cec3b9edb409a5930719b53dd
5. Onuoha I.J., Ugwueze M.I. (2014) United States Security Strategy and the Management of Boko Haram Crisis in Nigeria. https://www.researchgate.net/publication/278726984_UNITED_STATES_SECURITY_STRATEGY_AND_THE_MANAGEMENT_OF_BOKO_HARAM_CRISIS_IN_NIGERIA

ანა მოსაშვილი

ამერიკისმცოდნეობის დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართულ-ამერიკული პოლიტიკური და სამხედრო თანამშრომლობა 1997-2000 წწ.

1997 წელს პრეზიდენტ შევარდნაძე ვაშინგტონს ეწვია. ვიზიტის დროს პენტაგონში ხელი მოეწერა შტატებსა და საქართველოს შორის მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის და, რაც მთავარია, სამხედრო და თავდაცვით სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების შეთანხმებას. ამ შეთანხმებით საქართველოსთვის შესაძლებელი გახდა საფრთხის შემცველი პროგრამის გამოყენებაც, რაც, ასევე, იყო ამერიკული დახმარების ნაწილი. შეერთებული შტატები მზად იყო პარტნიორი ქვეყნისთვის გაეზიარებინა გამოცდილება ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური და მათთან დაკავშირებული ტექნოლოგიების გაუვრცელებლობის საკითხში. ამ მიზნით, ამერიკული მხარე დააფინანსებდა სპეციალისტებსა და შესაბამის ლაბორატორიებს. სწორედ, რომ ეს შეთანხმება დაედო საფუძვლად ლუგარის ლაბორატორიას საქართველოში.

1997 წელს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბილ ქლინტონმა გამოსცა შემდეგი ბრძანება, რომ საქართველოს უსაფრთხოების სფეროში ამერიკულ მხარეს მაქსიმალური დახმარება აღმოეჩინა (სსა, დოკ. 1299).

1998 წლისთვის საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების თანამშრომლობა შემდეგ პროექტებს მოიცავდა: პროგრამები უსაფრთხოების სფეროში, რომელიც ხორციელდებოდა შტატების სახელმწიფო დეპარტამენტისა და აშშ-ის თავდაცვისა და უსაფრთხოების დახმარების სააგენტოს მიერ; ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსთან ერთად „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ პროგრამით გათვალისწინებულ სამშვიდობო, სამძებრო-სამაშველო და ჰუმანიტარულ ოპერაციებში მონაწილეობას (სსა, დოკ. 2030). 1997-1998 წლებში საერთაშორისო სამხედრო დაფინანსების კუთხით საქართველოს

გამოეყო 1.6 მილიონი დოლარი. ქართული მხარე იმედოვნებდა, რომ საერთაშორისო სამხედრო დაფინანსების წყალობით თანამედროვე თავდაცვითი ძალების შექმნაში მნიშვნელოვან ცვლილებებს შეიტანდა. ქართულ-ამერიკული პარტნიორობა საერთაშორისო სამხედრო სწავლებისა და წვრთნების სახითაც აქტიურად მიმდინარეობდა. ამის დასტური იყო ქართველი ოფიცრების სწავლა ამერიკის შეერთებულ შტატებში. გარდა ამისა, გაერთიანებულ სამხედრო აკადემიასა და სასაზღვრო ჯარების სასწავლო ცენტრში მოეწყო ინგლისური ენის ლაბორატორიები. საქართველოსთვის ხელმისაწვდომი გახდა საფრთხის ერთობლივი შემცირების დახმარება, რომელიც ფინანსდებოდა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს მიერ (სსა, დოკ. 2030).

საქართველოს მთავრობამ 1998-1999 წლებში შეიმუშავა „თავდაცვის რესურსების მართვის სწავლების“ და „თავდაცვის დაგეგმარებისა და მართვის ურთიერთგაცვლის“ პროგრამები, რომლებიც ფინანსდებოდა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ. აღნიშნული თავდაცვითი პროგრამების წყალობით ქართული მხარე გაეცნობოდა ამერიკულ სამხედრო მეთოდებს, თავდაცვის დაგეგმვისა და დაფინანსების სისტემის თავისებურებებს, რომლებიც შესაბამისობაში იყო ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გამოყენებულ საშუალებებთან (სსა, დოკ. 2070). ვფიქრობთ, ზემოხსენებული თანამშრომლობა უმნიშვნელოვანესი იყო ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში საქართველოს გასაწევრიანებლად მომზადების პროცესში.

1998 წლის 24 მარტს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის უწყებას შორის ხელი მოეწერა თანამშრომლობის გეგმას, რომელიც მოიცავდა შემდეგ ორმხრივ ღონისძიებებს:

1. აშშ-ის თავდაცვის მდივნის თანაშემწის ვიზიტი საქართველოში სტრატეგიისა და საფრთხის შემცირების საკითხში თანამშრომლობის შეთანხმებული გეგმის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით;
2. უსაფრთხოების საკითხებზე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შეიარაღებაზე კონტროლისა და რეგიონული უსაფრთხოების უწყებათაშორისი ორმხრივი დიალოგის ფარგლებში კონსულტაციებისა და დისკუსიების გაგრძელება;

3. საგარეო სამხედრო დაფინანსებისა და საერთაშორისო სამხედრო განათლებისა და წვრთნის პროგრამით გათვალისწინებული შეთანხმებული ღონისძიებების განხორციელება;

4. ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტის ფინანსური დახმარების გამოყოფა საქართველოსთვის პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ ღონისძიებებში მონაწილეობისთვის და ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმის შესასრულებლად;

5. საქართველოს ჩართულობა თავდაცვის რესურსების მართვის სწავლების და თავდაცვის დაგეგმარებისა და მართვის ურთიერთგაცვლის ფორმატში;

6. რეალობის ჩამოყალიბება და აზრთა გაცვლა სახელმწიფოს მართვის საკითხებში. ამ მიზნით, 1998 წელს საქართველოში ამერიკული დელეგაციის ვიზიტი;

7. ყველა იმ გეგმის განხორციელება, რომლებიც შედიოდა 1998 წლის თანამშრომლობის ხელშეკრულებაში და შეთანხმებული იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ამერიკის შეერთებული შტატების გაერთიანებულ შტაბებს შორის.

1998 წლის 24-26 მარტს საქართველოს თავდაცვის მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი ვარდიკო ნადიბაიძე ამერიკის შეერთებულ შტატებს ესტუმრა. ის შეხვდა აშშ-ის თავდაცვის მდივანს, ბ-ნ უილიამ კოენს. 1998 წლის 3 აპრილს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია ამერიკის შეერთებულ შტატებში შეხვდა აშშ-ის თავდაცვის მდივანს, ბ-ნ უილიამ კოენს, მდივნის პირველ მოადგილეს, ბ-ნ ჯონ ჰემრის და მდივნის მოადგილეს, ბ-ნ ედუარდ უორნერს (სსა, დოკ. 2074). ზურაბ ჟვანიამ ისაუბრა საქართველოსთვის სამხედრო საერთაშორისო სწავლებისა და წვრთნის პროგრამებისა და ქართველი სამხედროების აშშ-ში სასწავლებლად გაგზავნის მნიშვნელობაზე (სსა, დოკ. 2074).

1998 წლის 23 ივლისს ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის უწყების გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, გენერალ ჯოზეფ რალსტონს საქართველოს თავდაცვის მინისტრი, გენერალ-მაიორი დავით თევზაძე შეხვდა. მხარეებმა განიხილეს საქართველოში მიმდინარე სამხედრო და პოლიტიკური რეფორმები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამერიკელმა გენერალმა მაღალი შეფასება

მისცა საქართველოს მონაწილეობას ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის პროგრამაში „პარტნიორობა მშვიდობისათვის“. მხარეებმა, ასევე, განიხილეს რეგიონალური პარტნიორობა საქართველო-თურქეთს შორის (სსა, დოკ. 2386).

ნათელია, რომ ქართულ-ამერიკული თანამშრომლობის უდიდეს ნაწილს 1997-2002 წლებში სამხედრო სფეროში თანამშრომლობა და 1994 წლიდან დაწყებული ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის პროგრამა ,,პარტნიორობა მშვიდობისათვის“ შეადგენდა. თუმცა, ქართულ პოლიტიკაში აღმასრულებელ ხელისუფლებაში იყვნენ პირებიც, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად საქართველოს დაახლოებას დასავლეთთან ხელს უშლიდნენ.მაგალითად, 1994 წელს, მას შემდეგ, რაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელი ვარდიკო ნადიბაიძე კი გახდა, რომელიც წარსულში რუსული არმიის გენერალიც იყო.მიუხედავად იმისა, რომ ნადიბაიძე შტატებთან თანამშრომლობდა, მისი მმართველობის პერიოდში საქართველოს თავდაცვის სისტემა კრიზისულ ვითარებაში ჩავარდა და მისი საყოველთაოდ ცნობილი,კრემლის მიმართ პირადი სიმპატიების გამო ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსთან ეფექტური თანამშრომლობა გარკვეული დონით შეფერხდა კიდეც,რაც საქართველოს დასავლეთთან დაახლოებაზე ბუნებრივია უარყოფითად აისახებოდა წლების განმავლობაში. მის მიმართ დროთა განმავლობაში კრიტიკამ იმატა და ნათელი იყო, რომ ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი უწყების ხელმძღვანელი არჩეულ საგარეო კურსს არ ეთანხმებოდა. ცნობილია, რომ თავდაცვის მინისტრი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამხედრო ბლოკად გარდაქმნას ემხრობოდა. საბოლოოდ, 1998 წლის აპრილში ვარდიკო ნადიბაიძე თანამდებობიდან მოხსნეს. საბედნიეროდ, საქართველოს ხელისუფლებაში პროდასავლურმა აზრმა გაიმარჯვა,რომელიც საჭიროდ თვლიდა, საქართველოს დაახლოებას დასავლეთთან. ქართულ-ამერიკული ორმხირივი ურთიერთობები კი თავდაცვის სფეროში მომდევნო წლებში ეფექტურად გაგრძელდა და გაღრმავდა.

მაგალითად, 2000 წელს ედუარდ შევარდნაძე აშშ-ის თავდაცვის მდივან დონალდ რამსფელდს პირველად შეხვდა. პრეზიდენტი იხსენებდა, რომ მისი წინამორბედისგან - უილიამ კოენისგან განსხვავებით, რამსფელდთან შეხვედრამ ნაყოფიერად ჩაიარა და

მალე საქართველოში ორმოცდაათი ამერიკელი სამხედრო სპეციალისტი ჩამოვიდა (შევარდნაძე, 2006:331).

2000 წლის 22 ივნისს საქართველოს ეწვია შტატების თავდაცვის მდივნის თანაშემწე, ბატონი ვორნერი. ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერა დოკუმენტს „თავდაცვის სფეროსთან დაკავშირებული გარემოს დაცვის საკითხებში თანამშრომლობის შესახებ“, რომელიც ითვალისწინებდა ორი ქვეყნის ერთობლივ საქმიანობას ისეთ მნიშვნელოვან პროგრამაში, როგორიც იყო „პარტნიორობა მშვიდობისთვის“. 2000 წელს შტატები საქართველოში საჰაერო სივრცის მართვის არსებული სისტემის შესაძლებლობების შესწავლით იყო დაინტერესებული. ვაშინგტონი აქტიურად მუშაობდა მისი მოდერნიზაციის პერსპექტივების დადგენაზეც. 2000 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტს უსასყიდლოდ გადასცა სანაპირო დაცვის 82 ფუტის სიგრძის საპატრულო კატარღა „პოინტ ბეი“ (სსა, დოკ. 2499). 2000 წლის 9 თებერვალს, შტატებში, ქართულ და ამერიკულ მხარეებს შორის გაიმართა მორიგი შეხვედრა საქართველოში „საჰაერო უსაფრთხოების ინიციატივის“ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით. ამერიკელების მიზანი პარტნიორი ქვეყნის საჰაერო სივრცის შესწავლა და მოდერნიზაციის პერსპექტივების დადგენა იყო (სსა,დოკ.2385).

ვთვლით, რომ ამერიკული მხარე მკაფიოდ აანალიზებდა რეგიონში მიმდინარე რთულ პროცესებს და საქართველოს უსაფრთხოებისთვის აუცილებელ ორმხრივი თანამშრომლობის პროგრამებსაც. გარდა ამისა, საქართველოს საჰაერო სივრცის და საზღვრის დაცვის სფეროში ამერიკულ მხარესთან თანამშრომლობა სუვერენიტეტის გასაძლიერებლად უმნიშვნელოვანესი იყო. თავის მხრივ, ალიანსის არაწევრი ქვეყნის მჭიდრო სამხედრო კოორდინაცია დასავლელ პარტნიორებთან, ისეთი რთულ ვითარებაში მყოფი ქვეყნისთვის,როგორიც საქართველოა, ეროვნული ინტერესების სფეროს მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1, შევარდნაძე, 2006: შევარდნაძე ე., ფიქრი წარსულსა და მომავალზე, „პალიტრა L“, თბ., 2006.

2. სსა, დოკ. 1299: ქართულ-ამერიკული პოლიტიკურ-სამხედრო ურთიერთობები 1992-1999 წწ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ამერიკის დეპარტამენტი, ფონდი N1206, საქმე 2, დოკუმენტი 1299.

3 სსა, დოკ. 2385: ქართულ-ამერიკული პოლიტიკურ-სამხედრო ურთიერთობები 1995-2000 წწ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ამერიკის დეპარტამენტი, ფონდი N1206, საქმე 2, დოკუმენტი 2385.

4. სსა, დოკ. 2030: ქართულ-ამერიკული პოლიტიკურ-სამხედრო ურთიერთობები 1992-1999 წწ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ამერიკის დეპარტამენტი, ფონდი N1206, საქმე 2, დოკუმენტი 2030.

5. სსა, დოკ. 2386: ქართულ-ამერიკული პოლიტიკურ-სამხედრო ურთიერთობები 1995-2000 წწ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო,ამერიკის დეპარტამენტი, ფონდი N1206, საქმე 2, დოკუმენტი 2386.

6. სსა, დოკ. 2070: ქართულ-ამერიკული პოლიტიკურ-სამხედრო ურთიერთობები 1992-1999 წწ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ამერიკის დეპარტამენტი, ფონდი N1206, საქმე 2, დოკუმენტი 2070.

7. სსა, დოკ. 2074: ქართულ-ამერიკული პოლიტიკურ-სამხედრო ურთიერთობები 1992-1999 წწ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ამერიკის დეპარტამენტი, ფონდი N1206, საქმე 2, დოკუმენტი 2074.

8. სსა, დოკ. 2499: ქართულ-ამერიკული პოლიტიკურ-სამხედრო ურთიერთობები 1995-2000 წწ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო,ამერიკის დეპარტამენტი, ფონდი N1206, საქმე 2, დოკუმენტი 2499.

Ana Mosashvili

Phd Student, American Studies

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Georgian- American Political and Military Cooperation in 1997-2000

Summary

On the basis of important, various and interesting literature, the author tries to answer to the issues: what political results were brought about the U.S. diplomacy in 1997-2000. The goals of my thesis are to show the U.S.'s diplomatic assistance after the USSR fall and point outs American interests in Georgia during Bill Clinton's presidency. I will try to show the answer to the issues: what political results were brought about the U.S. diplomacy in 1997-2000. The aim of the work is to promote, answer, and value the United States military policy toward Georgia after the USSR collapse and show the peculiarities that made American-Georgian partnership strategic in the south Caucasus. My aim is to analyze the new American military and political policy toward South Caucuses region and Georgia. The main result of the thesis as wells as the actuality is expressed in its innovation as it the one of the first attempt to research relationship between the U.S. and Georgia in XX century.

ბექა კუჭუხიძე
ამერიკისმცოდნეობის მაგისტრანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აშშ-ის გავლენა 21-ე საუკუნის ლათინურ ამერიკაში

ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა ლათინურ ამერიკაში ყოველთვის გამომდინარეობდა შექმნილი ვითარებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის წარმოადგენდა პასუხს არსებულ კრიზისზე. როდესაც რეგიონში შექმნილი არეულობა ან ნებისმიერი სახის ცვლილება აშშ-ის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, იდეოლოგიურ ინტერესებს საფრთხის ქვეშ აყენებდა, მაშინვე მოქმედებას იწყებდა „მონროს დოქტრინა“, რომელიც აშშ-ს ლათინურ ამერიკაში ინტერვენციის უფლებას ანიჭებდა.

ცივი ომი აშშ-ლათინური ამერიკის ურთიერთობებზე სულ მცირე სამ მნიშვნელოვან საკითხში აისახა. 1920-იანი წლებიდან 1950-იან წლებამდე აშშ-ის ჯარები ლათინურ ამერიკაში ქვეყნის ოკუპირების ან ხელისუფლების დამხობის მიზნით არასდროს შესულან. მაგრამ ცივი ომის პერიოდში, როდესაც იდეოლოგიამ და კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლამ დიდი მნიშვნელობა შეიძინა, აშშ-მა ლათინური ამერიკის ქვეყნებში საკუთარი ჯარი არაერთხელ შეიყვანა. ევროპაში ცივი ომის დასრულების შემდეგ აშშ-მა საკუთარი პოლიტიკის მილიტარიზება მოახდინა ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში. 1989 წლის დეკემბერში აშშ-ის პრეზიდენტმა ბუშმა პანამის ხელისუფლებას ნარკოტიკებით ვაჭრობაში დასდო ბრალი და მისი გადაგდების მიზნით სამხედრო ინტერვენციის ბრძანება გასცა. მოგვიანებით, 1994 წელს კი პრეზიდენტმა კლინტონმა ჰაიტის სამხედრო ოკუპაცია მოახდინა და იქაური ხელისუფლება დაამხო. აშშ-ის რეალურ მოტივს ჰაიტიზე კონტროლის მოპოვება წარმოადგენდა. ცივი ომის მეორე მემკვიდრეობა გახდა ის, რომ აშშ-მა დემოკრატიის დაცვა და გავრცელება მის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად აქცია. და

ბოლოს, მესამე მემკვიდრეობას წარმოადგენს აშშ-კუბის კონფლიქტი. ორი ქვეყნის ურთიერთობებში დღემდე წინააღმდეგობები არსებობს.

1980-იან წლებში ბევრი პოლიტიკოსი თუ მკვლევარი იმედს გამოთქვამდა, რომ ლათინური ამერიკა დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკისაკენ გადაიხრებოდა და ეს აშშ-სთან დაახლოებას შესაძლებელს გახდიდა. მართლაც, გარკვეული პერიოდის განმავლობაში რეგიონის განვითარება ამ მიმართულებით წარიმართა. 1989 და 1995 წლებში ცენტრალური ამერიკის რამდენიმე კონფლიქტი მოგვარდა და 1994 წელს აშშ-ს, კანადასა და მექსიკას შორის ერთიანი საბაზრო გაერთიანება NAFTA ჩამოყალიბდა. ამ ნაბიჯების მიუხედავად, ახალი საუკუნის დასაწყისში აშშ-ის ინტერესები ლათინური ამერიკის მიმართ შეიცვალა და მისმა გავლენამ იკლო. მკვლევართა ნაწილის აზრით, აშშ კარგავს ლათინურ ამერიკას, თუმცა აშშ-ის ასეთ მიდგომას ლათინური ამერიკის მიმართ სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები განსაზღვრავს.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების შემდეგ ვაშინგტონის საგარეო პოლიტიკის ფოკუსი ახლო აღმოსავლეთი და აზია გახდა. მას შემდეგ აშშ-ის მიერ ლათინური ამერიკის რეგიონით დაინტერესება პერიოდულია და მხოლოდ გადაუდებელი სიტუაციების დროს იჩენს თავს. რეგიონის ქვეყნებისადმი მისი მხარდაჭერა შემცირდა და აშშ-ის სანდო პარტნიორად ლათინური ამერიკის მხოლოდ რამდენიმე ქვეყანა მიიჩნევს თავს. თავის მხრივ აშშ რეგიონში ათწლეულზე მეტია მხოლოდ რბილი ძალის გამოყენებით, დიპლომატიური და ეკონომიკური გზებით აგებს ურთიერთობებს ცალკეულ სახელმწიფოებთან.

ლათინურ ამერიკაში არსებული არასტაბილურობა აშშ-ის ინტერესებს საფრთხეს უქმნის. ლათინური ამერიკის თითქმის ყველა ქვეყნის სტაბილურობა საფრთხეშია იქ არსებული კრიმინალისა და ძალადობის გამო. სწორედ ამიტომ იყო, რომ პრეზიდენტობის დასაწყისში ჯორჯ ბუშმა ლათინური ამერიკა აშშ-ის საგარეო პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტად დაასახელა, ხოლო ხუთი წლის შემდეგ რეგიონში განვითარებული ნეგატიური მოვლენების გამო აზრი შეიცვალა.

აშშ-ის ინტერესთა სფეროში ცვლილებების გამო ლათინური ამერიკა ჩინეთისა და რუსეთის დაინტერესების არეში მოხვდა. ჩინეთის გავლენა რეგიონში საკმაოდ დიდია.

ლათინური ამერიკა ჩინეთისთვის ნედლეულისა და საკვების მთავარ მიმწოდებელს წარმოადგენს, ხოლო ჩინეთი რეგიონის სახელმწიფოების ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის დახმარებას უწევს. რუსეთის გავლენა ლათინურ ამერიკაში რეალურად 1997 წელს დაიწყო. 2003 წლიდან მოსკოვმა რეგიონი ეკონომიკური მნიშვნელობის რეგიონად მიიჩნია და 2004 წლიდან იარაღის აქტიურ გაყიდვას შეუდგა, რასაც ბუშის ადმინისტრაციის მხრიდან მკაცრი წინააღმდეგობა არ მოჰყოლია. მას შემდეგ რუსეთის პოლიტიკა რეგიონში უცვლელი რჩება. 2008 წელს ლათინური ამერიკის სახელმწიფოებმა ნიკარაგუამ და ვენესუელამ, რუსეთისთვის ახალი მნიშვნელობა შეიძინეს, მის მიერ ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიების აღიარების საქმეში. რუსეთის ინტერესები ლათინურ ამერიკაში მხოლოდ კომერციული და პოლიტიკურია, რომელშიც პირველი უზრუნველყოფს მეორეს. ვენესუელასთან, კუბასა და ნიკარაგუასთან მიმართებაში მისი მოტივები სტრატეგიულია.

ბოლო ათწლეულში აშშ-ის პოლიტიკა კუბასთან ურთიერთობების ნორმალიზებაში გამოიხატა. 2015 წლიდან კუბის მიმართ აშშ-ის ორმოცდაათწლიანი პოლიტიკა შეიცვალა და ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ნორმალიზება დაიწყო. იმავე წელს, ჰავანაში აშშ-ის საელჩო გაიხსნა და ამერიკის დროშა აღიმართა. იმ დღიდან აშშ-სა და ლათინური ამერიკის ისტორიაში ურთიერთობის ახალი ქვეთავი დაიწყო. ამ ნაბიჯით აშშ-მა, პირველ რიგში, აღიდგინა ნდობა რეგიონში, რითიც გზა გაეხსნა სხვა ქვეყნებთან ურთიერთობების გასაღრმავებლად. პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა, რომელიც თავიდანვე აკრიტიკებდა კუბასთან შეთანხმებას, რამდენიმე პუნქტი შეცვალა, რომელიც სანქციებს შეეხებოდა. ამერიკელთა კუბაში მოგზაურობის პირობები ბარაკ ობამას წინა პერიოდს დაუბრუნა, აკრძალულია ამერიკული კომპანიების მიერ კუბაში ბიზნესის წარმოება. ამის მიუხედავად, დონალდ ტრამპის ადმინისტრაცია არ გამორიცხავს, რომ მომავალში ახალი შეთანხმების გასაფორმებლად ორივე სახელმწიფო მიუსხდება მოლაპარაკებების მაგიდას.

21-ე საუკუნეში აშშ-სა და ვენესუელას ურთიერთობები ყოველთვის დაძაბული იყო. ამას მოწმობს ჯერ კიდევ 2002 წელს უგო ჩავესის მიერ პრეზიდენტ ბუშის მიმართ სახელმწიფო გადატრიალებაში დადანაშაულება, ქვეყნიდან დიპლომატების განდევნა,

თუ სხვა. 2019 წლის 23 იანვრიდან აშშ-სა და ვენესუელას არ გააჩნიათ დიპლომატიური ურთიერთობები. აშშ ძლიერ ეკონომიკურ სანქციებს ატარებს პრეზიდენტ ნიკოლას მადუროს ადმინისტრაციის მიმართ. დამატებით, დონალდ ტრამპის ადმინისტრაცია, ისევე როგორც სხვა 54 სახელმწიფო, მათ შორის საქართველო, ხუან გუაიდოს სცნობს ლეგიტიმურ პრეზიდენტად. აშშ ნიკოლას მადუროს ნარკოტერორიზმშიც ადანაშაულებს. შეიძლება ითქვას რომ ლათინური ამერიკის სახელმწიფოთაგან ყველაზე დაძაბული მდგომარეობა სწორედ აშშ-სა და ვენესუელას შორის არის. აშშ-ს მხოლოდ ერთი მიზანი აქვს, ნიკოლას მადურომ დატოვოს თანამდებობა და ახალი ადმინისტრაციის პირობებში დაიწყოს ურთიერთობების ნორმალიზება.

ბრაზილია ლათინურ ამერიკაში ერთ-ერთი ყველაზე პრო-ამერიკული სახელმწიფოა. შესაბამისად მოულედნელი არ არის ის, რომ აშშ სხვა სახელმწიფოებთან შედარებით ყველაზე მეტად მასთან თანამშრობლობს, თანაც ბრაზილია რეგიონის მთავარი ძალაა. მასთან კარგი ურთიერთობა აშშ-ის სამომავლო პერსპექტივაში მნიშვნელოვან ბერკეტს აძლევს. 2019 წელს ბრაზილიელების მიერ ჟაირ ბოლსონარუს პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ურთიერთობები ახალ ფაზაში გადავიდა. დღეს ორივე სახელმწიფო რეგიონალურ მოკავშირეებად ითვლებიან და ისეთ სფეროებში თანამშრომლობენ როგორიც უსაფრთხოება, ეკონომიკური შეთანხმებები, ტექნოლოგიები და თავდაცვაა.

მიუხედავად იმისა, რომ აშშ-სა და ლათინური ამერიკის დაახლოების ხელისშემშლელი ფაქტორები არსებობს, მთავარი მაინც ის არის, რომ აშშ-ის ლათინური ამერიკის მიმართ ინტერესი უფრო ნაკლებია ვიდრე აზიისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონისა. ლათინურ ამერიკაში იგი „ურჩ“ სახელმწიფოებზე სანქციების გზით ცდილობს რეჟიმის ცვლილებები მოახერხოს, რაც გამოარჩევს წარსული პრაქტიკისაგან, როცა იგი სამხედრო გზით ცდილობდა სიტუაციის თავის სასარგებლოდ გადაკეთებას. რეგიონში საკუთარ კონტროლს ძირითადად ბილატერალური ურთიერთობებით ახორციელებს, რომელთა შორის ეკონომიკური ურთიერთობები პირველია დღის წესრიგში. საბოლოოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვაშინგტონი ლათინური ამერიკის რეგიონის საქმეებში მხოლოდ იმ შემთხვევაში ერევა, თუ რეგიონში მიმდინარე მოვლენები მის ინტერესებს პირდაპირ კვეთს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Weeks, Gregory. *Understanding Latin American Politics,* 2015. ინტერნეტი: https://uncpress.org/book/9781469652245/understanding-latin-american-politics/. ბოლო ნახვა: 24/05/2020
2. Campos, Carlos Oliva, and Gary Prevost. "The Trump Administration in Latin America: Continuity and Change." *International Journal of Cuban Studies* 11, no. 1 (2019): 13–23. DOI: 10.13169/intejcubastud.11.1.0013
3. Gonzalez, Ivelisse. "An Assessment of Russia's Military Presence in Latin America." Foreign Policy Research Institute, June 18, 2019. ინტერნეტი: https://www.fpri.org/article/2019/06/an-assessment-of-russias-military-presence-in-latin-america/. ბოლო ნახვა: 24/05/2020
4. Moreno, Miquel Vila. "China Adapts to a Changing Latin America." The Diplomat, March 13, 2020. ინტერნეტი: https://thediplomat.com/2020/03/china-adapts-to-a-changing-latin-america/. ბოლო ნახვა: 24/05/2020
5. Hakim, Peter. "Remaking US-Brazilian Relations: The Odyssey of Trump and Bolsonaro." The Dialogue, June 11, 2019. ინტერნეტი: https://www.thedialogue.org/blogs/2019/06/remaking-us-brazilian-relations-the-odyssey-of-trump-and-bolsonaro/. ბოლო ნახვა: 24/05/2020

Beka Kutchukhidze

MA Student, American Studies

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The U.S. Influence in Contemporary Latin America

Summary

In the 21st century, U.S. has fewer interests in Latin America than ever before. The article discusses the obstacles in the relations between the United States and Latin America, the growing influence of Russia and China in the Latin American region, and US relations between Cuba and Brazil.

During the Cold War U.S. policy toward Latin America reflected the nature of conflict between the United States and the Soviet Union. Naturally, U.S. sided with anti-communist governments and was involved in regime change wars.

Since the beginning of the 21st century, relations between the United States and Latin America have been complicated, and the United States has lost interest in the region. Latin America is very unstable due to the ongoing drug crisis and high crime rates. Since the US is less interested in the region, Russia and China are trying to gain control. Russia has economic and strategic relations with Venezuela, Cuba and Nicaragua, while China buys raw materials and finances infrastructure projects in various Latin American countries.

In the last decade, the United States normalized its policy towards Cuba, but after the election of Donald Trump, the new administration reversed Obama's opening in Cuba. Today, the main regional partner of the United States is Brazil, while it has the most strained relations with Venezuela.

ვასილ კაჭარავა
ისტორიის დოქტორი, პროფესორი
ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რონალდ რეიგანი, რომის პაპი და პოლონეთის საკითხი

1980 წლის აგვისტოში გდანსკში, ლენინის სახელობის დოკებში, გაიფიცნენ მუშები, რომელთაც პროფკავშირ ,,სოლიდარობის“ ლიდერი ელექტრიკოსი ლეხ ვალენსა ხელმძღვანელობდა. ეს მასობრივი პროტესტი პოლონეთის საბჭოთა ბატონობისგან განთავისუფლებას ისახავდა მიზნად. მოსკოვის რეაქცია იმდენად მძაფრი იყო, რომ საბჭოთა კავშირი ინტერვენციასაც კი გეგმავდა, ისევე როგორც 1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში, მით უმეტეს, რომ ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის ლიდერები მზად იყვნენ გვერდში ამოსდგომოდნენ მას.

1981 წლის 12 დეკემბერს პოლონეთის უშიშროების სამსახურმა ,,სოლიდარობის“ წევრთა დაპატიმრება დაიწყო და გენერალ იარუზელსკიმ ეროვნული გადარჩენის სამხედრო საბჭო შექმნა, რასაც ქვეყანაში სამხედრო მდგომარეობის შემოღება მოჰყვა. ამერიკელი ექსპერტები თვლიდნენ, რომ პოლონეთის დაჩოქება კომუნისტების კიდევ ერთი გამარჯვება იქნებოდა და გაამხნევებდა მათ მოკავშირეებს სირიაში, ლიბიასა და კუბაზე.

ამერიკის პრეზიდენტი რონალდ რეიგანი არ აპირებდა უნგრეთის და ჩეხოსლოვაკიის მოვლენების მსგავს გაგრძელებას შერიგებოდა და მიაჩნდა რომ თავის დროზე იქ ამერკელთა პასიურობა სრულიად გაუმართლებელი იყო. ამერიკელებმა გადაწყვიტეს დახმარბოდნენ ,,სოლიდარობას'' ფულითაც და თავისი პოლიტიკური და

ეკონომკური გავლენითაც. რეიგანმა 1981 წლის 23 დეკემბერს ამერიკელი ხალხისადმი საშობაო მიმართვაც კი უხვად გააჯერა პოლონეთში ვითარების გარჩევით. განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ყოველივე ამის უკან საბჭოთა კავშირი იდგა. დასასრულს გაიხსენა პოლონეთის ელჩის რომუალდ სპასოვსკის ნათქვამი, რომ პოლონელები სოლიდარობის ნიშნად ამ შობის ღამეს ანთებულ სანთელს დადგამენ ფანჯრის რაფაზე, რათა აჩვენონ, რომ თავისუფლების სინათლე კვლავ მათ გულებშია და რეიგანსაც თხოვა დაენთო სანთელი თერთრი სახლის ფანჯრის რაფაზე, რათა გამოეხატა მისი სოლიდარობა პოლონელი ხალხის მიმართ. თავის მხრივ, რეიგანმა ამერიკელებსაც მოუწოდა იგივე გაეკეთებინათ პოლონეთისადმი თანამდგომის ნიშნად.

უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიამ ძალიან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პოლონეთის მოვლენებში და ამიტომაც ხაზგასმით გვინდა განვიხილოთ რეიგანისა და წარმოშობით პოლონელი რომის პაპის, იოანე პავლე მეორის (ერისკაცობაში კაროლ იოზეფ ვოიტილა) უაღრესად ნაყოფერი თანამშრომლობა ამ საკითხში.

პაპის ძალისხმევამ განსაკუთრებული როლი ითამაშა იმის გათვალისწინებითაც, რომ ამერიკას მარტო უწევდა საბოჭოეთთან დაპირისირება - ევროპას ეშინოდა. ყველაზე მეტადა კი დასავლეთ გერმანია შიშობდა. გერმანელები პირდაპირ ეუბნებოდნენ ამერიკელებს, რომ საბჭოეთს პოლონეთი თავისად მიაჩნდა და რეიგანის მხრივ სისულელე იქნებოდა ,,ეცადა ევროპის ომისშემდგომი დაყოფის შეცვლა''. რეიგანს მარგარეტ ტეტჩერიც კი არ გაჰყვა ბოლომდე. მან მხარი დაუჭირა სანქციებს პოლონეთის წინააღდეგ, მაგრამ იგი სკეპტიკური იყო საბჭოთა კავშირის მიმართ დაწესებული სანქციებისადმი. რეიგანის ასეთ თავგამოდებულ ბრძოლას პოლონეთისთვის თვით ამერიკაშიც მრავალი მოწინაღღმდეგე ყავდა. ჯორჯ კენანიც რეიგანის ქმედებას გარდაუვალ დამარცხებას უწინასწარმეტყველებდა.

1981 წლის 14 დეკემბერს რეიგანმა დაურეკა რომის პაპს და პირადად მოახსენა, რომ ამერიკა ,,სოლიდარობას'' დაეხმარებოდა. ,,თქვენო უწმინდესობავ, მინდა იცოდეთ, როგორ ღრამად განვიცდით ვითარებას თქვენს სამშობლოში. … ველი იმ დროს როცა პირადად შევხდებით…. ჩვენი სიმპატია ხალხის მიმართაა და არა მთავრობის. ჩენი ქვეყანა აღტაცებულია თქვენი ვიზიტით პოლონეთში. ვიხილეთ

ხალხის დამოკიდებულება რელიგიისა და მისი ღმერთისადმი რწმენა, ეს შთაგონების წყაროა იყო მთელი მსოფლიოსთვის რომელიც ტელევიიზით ადევნებდა ამას თვალყურს... ყელა ჩვენთაგანი უაღრესად აღელვებულია.''

1983 წლის 23 ივნისს ჩიკაგოს პოლონური წარმოშობის ამერიკელებთან შეხვედრაზე რეიგანმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი რომის პაპის ვიზიტს მის მშობლიურ პოლონეთში სადაც ,,8 დღის მანძილზე პაპის იმედის გზავნილებმა მილიონობით პოლონელს გაუმაგრა გული''.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1982 წლის 7 ივნისს რეიგანის შეხვედრას რომის პაპთან ვატიკანის ბიობლიოთეკაში, რომელიც 50 წუთი გაგრძელდა. როგორც რეიგანის ეროვნული უსაფრთხოების მრჩეველი რიჩარდ ალენი ამბობდა, ამ შეხვედრაზე შედგა ,,ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გასაიდუმლოებული კავშირი.'' ბიბლიოთეკაში საუბრისას ეპოქის ორმა დიდმა მოღვაწემ ძირითადი ყურადღება სწორედ პოლონეთს დაუთმო. როგორც ამერიკელი ჟურნალისტი კარლ ბერნსტეინი წერდა 1992 წელს, რეიგანსა და პაპს მიაჩნდათ, რომ პოლონეთი, რომელიც ყველაზე მრავალრიცხოვან მოსახლეობას ფლობდა აღმოსავლეთ ევროპის საბჭოთა სატელიტებს შორის და რომის პაპის სამშობლო იყო, უნდა გაემოყვანათ საბჭოთა გავლენის ორბიტიდან და ეს შესაძლებელი გახდებოდა თუ ვატიკანი და შეერთებული შტატები გააერთიანებდნენ ამისთვის საკუთარ ძალისხმევასა და რესურსებს. ამ ქმედებას იარუზელსკის მთავრობის დესტაბილზაცია უნდა გამოეწვია. და მართლაც, სანამ 1989 წელს იარუზელსკიმ ,,სოლიდორობა“ არ სცნო კანონიერ ორგანიზაციად, ,,სოლიდარობას'' არალეგალურად გადასცეს უამრავი საჭირო ტექნიკა, კერძოდ კი ფაქსები, საბეჭდი ტექკინიკა, რადიოგადამცებები, ტელეფიონები, მოკლე ტალღებზე მომუშავე რადიოები, ვიდეო კამერები, ფოტოასლების ტეკნიკა, ტელექესები კომპიუტერები და პროცესორები. ეს ტექნიკა არალეგალურად შეჰქონდათ პოლონეთში სამღვდელოების და ამერიკელი აგენტების მიერ ორგანიზებული არხებით. ამ პროცესებში ასევე ჩართული იყო ამერიკის შრომის ფედერაციის პროფკავშირები და ევროპის პროფესიული კავშირები. ეს ყოველივე ფინანსდებოდა ცენტრალური

სადაზვერვო სააგენტოს ფონდებიდან, დემოკრატიის ეროვნული ფონდიდან, ვატიკანის საიდუმოლო ანგარიშებიდან და დასავლეეთის პროფკავშირებიდან.

როგორც პაპის ბიოგრაფი ჯორჯ ვეიგელი იხსენებდა ,,ორივეს, პაპსაც და რეიგანს მტკიცედ სწამდა, რომ კომუნიზმი ეს მორალური ბოროტება იყო და არა უბრალოდ მცდარი ეკონომიკური კონცეფცია. მათ სწამდათ, რომ თავისუფალ ადამიანებს შეეძლოთ დაპირისპირებოდნენ კომუნიზიმის გამოწვევებს. ორივე დარწმუნებული იყო, რომ კომუნიზმთან შეჯიბრში გამარჯვება და არა უბრალოდ თანაარსებობა, სავსებით შესაძლებელი იყო''. იგივე ვეიგელის მოგონებით, მართალი,ა ვატიკანი ოფიციალურად შორს იჭერდა ამერიკის ქმედებიბსგან პოლონეთის მიმართ, მაგრამ არსებობდა საკმაოდ ეფექტური თანამშრომლობა დაზვერვის სფეროში. ამავე დროს, თავად პაპი აღიარებდა, რომ მას სულიერი პასუხისგებლობა ეკისრებოდა ამ საქმეში, მიუხედავად იმისა, ეს მის სამშობლოს, თუ სხვა ქვეყანას ეხებოდა.

ამერიკის პრეზიდეტისა და რომის პაპის თავდაუზოგავმა და მეტად ეფექტურმა ბრძოლამ პოლონელებზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. როგორც იმ დროის პოლონეთის შინაგან საქმეთა მინისტრი პოლკოვნიკი ჰენრიკ პიკუჩი აღიარებდა, ზოგიერთი მისი თანამემამულე რეიგანს ღმერთადაც აღიქვამდა. როცა პოლონელებს ეკითხებოდნენ თუ რა იყო მათი უკანასკნელი იმედი, მრავალი მათგანი რომის პაპის და ღვთისმშობლის შემდეგ, მესამედ რეიგანს მიიჩნევდა, ლეჰ ვალესა კი მეოთხე იყო ამ რიგში.

რეიგანი კარგად ხედავდა კათოლიკური ეკლესიის უდიდეს როლს პოლონეთში, რასაც კიდევ უფრო აძლიერებდა ის ფაქტი, რომ რომის პაპი იოანე პავლე II წარმოშობით პოლონელი იყო. თავის ერთ-ერთ ძველ მეგობარს, ნიუ-იორკში ასოშეიტედ პრესის გენერალური მენეჯერის თანაშემწეს ჯონ კოლერს რეიგანი სწერდა, რომ რელიგია პოლონეთში, განსაკუთრებით კი, იქ პაპის ვიზიტის შემდეგ, საბჭოელთა აქილევსის ქუსლი იყო.

იარუზელსკის რეპრესიების საპასუხოდ რეიგანმა განაცხადა, რომ პოლონეთი დაკარგავდა უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმის ქვეყნის სტატუსს ამერიკასთან ვაჭრობაში და, შესაბამისად, მისი პროდუქცია მაღალ ტარიფებს წააწყდებოდა ამერიკაში, თანაც,

რეიგანი ხელს შეუშლიდა პოლონეთის მთავრობისათვის ყველა ფინანსური კრედიტის გაზრდას. პარალელურად, მან აკრძალა საბჭოთა კავშირისადმი, როგორც ამ მოვლენების მთავარი ინსპირატორისადმი, ნავთობისა და გაზის მოპოვებისა და ტრანსპორტირებისთვის საჭირო ტექნოლოგიების მიყიდვა.

და მართალც, რეიგანისა და პაპის თანამშრომლობამ თავისი შედეგი გამოიღო სანქციებმა მძიმე დარტყმა მიაყენა პოლონეთის ეკონომიკას, რომელიც მნიშვნელოვანწილად იყო დამოკიდებული ამერიკასთან ვაჭრობასა და დასავლურ ინვესტიციებზე. შესაბამისად, ამ ზარალის კომპენსაციისთვის უკვე საბჭოთა კავშირი იყო იძულებული, დახმარებოდა პოლონეთს, რაც მას საკმაოდ მძიმე ტვირთად დააწვა. თავის მხრივ, რომის პაპის ლოცვა კურთხევა პოლონეთის ღრმად მორწმუნე კათოლიკური მოსახლეობას რწმენასა და სიმტკიცეს მატებდა ამ მძიმე ბრძოლაში.

კიდევ უფრო ძლიერი დარტყმა იყო საბჭოთა კავშირისთვის ტექნოლოგიების მიყიდვის შეჩერება. საქმე ეხებოდა ე.წ. საუკუნის გარიგებას საბჭოთა კავშირთან, რომელსაც ციმბირში, ურენგოის გაზის საბადოებიდან, რამდენიმე ათასი კილომეტრის სიგრძის მილებით გაზი უნდა მიეწოდებინა დასავლეთ ევროპისთვის. ბუნებრივია, ამაში მოსკოვი მილიარდობით ესოდენ საჭირო დოლარს მიიღებდა, მას ხომ მსოფლიოს გაზის მარაგის 40 % ჰქონდა. მაგრამ ამ მილსადენებისთვის საჭირო იყო მასიური ტურბინები, რომელთაც მხოლოდ ,,ჯენერალ ელექტრიკი“ აწარმოებდა. ,,მათ შეუძლიათ ააშენონ ეს წყეული გაზსადენი, მაგრამ არა ჩვენი ტექნოლოგიებით'' ამბობდა რეიგანი. მართალია, საბოლოოდ რეიგანმა ვერ ჩაშალა გაზსადენის პროექტი, მაგრამ ამ სანქციებმა 18 თვით გადადეს პროექტის განხორციელება და შესაბამისად დიდი სავალუტო შემოსავალი დააკარგვინეს საბჭოელებს. გარდა ამისა, პროქტი განახევრდა, შეთანხმებული მილების ორი რიგის მაგივრად ერთი რიგი აშენდა. ამავე დროს, დასავლეთის მიერ სესხებისა და ტექნოლოგიების გაცემის გართულების პოლიტიკამ თანადანობით უაღრესად მძიმე პრობლემები შეუქმნა საბჭოთა კავშირს.

საბოლოოდ რეიგანის სანქციებმა შედეგი გამოღეს და პოლონეთის სამხედრო მთავრობა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა. მაშინ თავად ვალესამ და სხვა ლიდერებმა თხოვეს რეიგანს შეეჩერებინა სანქციები. ვინაიდან ისინი არა მარტო მმართველებს,

არამედ მართულებს და მომავალ თაობებს აზარალებდენ. რეიგანმა შეწყვიტა სანქციები, მაგრამ მკაცრად გააფრთხილა პოლონეთის მთავრობა, რომ კიდევ ერთი ასეთი ქმედება და სანქციები აღდგებოდა.

საბჭოეთის მარცხი პოლონეთში ალბათ, ერთ ერთი პირველი და უმთავრესი ნაბიჯი იყო ევროპის განთავსუფლებისკენ. ამ უმძიმეს და ურთულეს ბრძოლაში, რონალდ რეიგანისა და რომის პაპის თანამშრომლობამ და პოლონელთა რწმენამ და პატრიოტიზმმა გადამწყვეტი როლი ითამაშა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Ronlad Reagan Presidential lybrary and Museum, https://www.reaganlibrary.gov/sspeeches
2. Peter Schweizer, *Reagan's War,* Doubleday, New York, London, 2002, p. 173.
3. David E.Hoffmann *The Dead Hand. The Untold Story of the Cold War Arms Race and It's Dangerous Legacy,* Anchor Books, 2009, pp.42-43
4. Colin Dueck *Hard Line, The Republican Party and US Foreign Policy Since World War II,* Princeton University Press, 2010 gv.211..

Vasil Kacharava

PhD, Professor

Head of the Institute of American Studies

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Ronald Reagan, the Pope and the Issue of Poland

Mostly, relying on the first sources from the Ronald Reagan Presidential Library, in the paper, it is briefly discussed R. Reagans and Popes Paul II beneficial cooperation regarding the anti-Soviet movement in Poland in the 1980s.

The enormous influence of the Catholic Church in Poland, which was highly supported by the Pope's authority, played a decisive role in uniting the Polish people against Soviet imperialism.

When on top of this was added Ronald Reagan's strongest desire to stop the Soviet press on Poland and America's inexhaustible political, economic, and financial resources, it became evident that the USSR could not win the battle for Poland. The defeat of the USSR in Poland was probably the first and most crucial step of breaking Europe free.

თამთა ზაქარაშვილი
ამერიკისმცოდნეობის დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნეოკონსერვატიზმი და მისი გავლენა აშშ-ის საგარეო პოლიტიკაზე (1990-2000 წწ)

XXI საუკუნე, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ მხოლოდ ორ ათეულ წელს ითვლის, უკვე არაერთი დაპირისპირებით და კრიზისითაა ნიშანდებული. დღეს, გლობალიზმის შედეგად მიღებული მსოფლიო წესრიგის პირობებში ვხვდებით არაერთ "გაყინულ კონფლიქტს" და ამავდროულად, სრულიად ახალ დაპირისპირებებს. კონფლიქტები მრავლად იყო მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულში, რომელთა მოგვარების პროცესშიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უდიდესი წვლილი შეიტანა.

ტერმინი ნეოკონსერვატიზმი, როგორც ახალი მიმდინარეობა, თავდაპირველად XX საუკუნის 60-იან წლებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩნდება. ჟურნალისტმა, მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ, ირვინგ კრისტოლმა, რომელიც ტერმინ ნეოკონსერვატიზმის "ნათლიადაა" ცნობილი, დასვა უმთავრესი კითხვები: რა არის ნეოკონსერვატიზმი, რა განასხვავებს მას კონსერვატიზმისგან და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, რა გავლენას ახდენს ნეოკონსერვატიზმი ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაზე.

წინამდებარე ნაშრომში კრიტიკულადაა გაანალიზებული ნეოკონსერვატიზმის გავლენა აშშ-ის საგარეო პოლიტიკაზე 1990-2000 წლებში. ჩვენი განხილვის საგანია ნეოკონსერვატორების ზოგადი შეხედულებები და სახელმწიფო პოლიტიკის მათეული მოდელი. კვლევა ემყარება ნეოკონსერვატიზმის "ნათლიად" წოდებული ირვინგ

კრისტოლის ნაშრომების “ნეოკონსერვატული მრწამსი”(1995) და “ნეოკონსერვატიზმი: იდეის ავტობიოგრაფია”(2003) ანალიზს.

ნიუ-იორკელ ინტელექტუალ ამერიკელ ებრაელთა ჯგუფი, რომელთა შორის მაიკლ ჰარინგტონი და ირვინგ კრისტოლიც იყვნენ, უმთავრეს პრობლემად აღიქვამდა ლიბერალების თავდასხმას საკუთარი პრინციპებსა და მთლიანობაზე. როგორც კრისტოლი აღნიშნავს, ლიბერალები ცდებოდნენ და ახლაც ცდებიან იმის გამო, რომ ისინი ლიბერალები არიან და „შესაბამისად, მათი მეტაფიზიკაცა და მითოლოგიაც ბრმაა ადამიანებისა და პოლიტიკური რეალობის მიმართ. კრისტოლისთვის რეალობას ის წარმოდგენდა, რომ კაცობრიობა ბუნებრივად იყო ბოროტი. მარცხი განიცადა სოციალიზმმა და ერთადერთი გამოსავალი, მისი აზრით, არა სეკულარული, ლიბერალური დემოკრატიის დევნა იყო, რომელიც რელატივიზმის კრიზისისკენ იყო მიმართული. ნეოკონსერვატიზმის პირველი წარმომადგენლები ეძებდნენ გზას იმისათვის, რომ ორიენტაცია შეეცვალათ ამერიკის შეერთებული შტატების შიდა სახელმწიფოებრივი პოლიტიკისათვის. მათთვის პრიორიტეტული იყო პლატონისეური იდეოლოგია და ამავდროულად, ის მორალური პრინციპები, რომლებსაც რელიგია სთავაზობდა საზოგადოებას.

ნეოკონსერვატორებისთვის (ნეოკონებისათვის) რელიგიის ჩართვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო, რადგან იუდო-ქრისტიანული მორალი ზუსტად განსაზღვრავს სწორსა და არასწორს. კრისტოლის აზრით, მორალური პრინციპების ძიება სეკულარული სახელმწიფოს გარეშე, კაცობრიობას მიიყვანს მორალური გაკოტრების, დანაშაულის ზრდისა და არასათანადო მოქმედების ზღვარზე. ნეოკონსერვატორებმა გაიაზრეს, თუ რა იყო საუკეთესო ამერიკის შეერთებული შტატებისათვის და გადაწყვიტეს, რომ თავად ემართათ ყურადღების გარეშე დარჩენილი საზოგადოება და მოგვიანებით, გავლენა მოეხდინათ შტატების საგარეო პოლიტიკაზეც.

ნეოკონებს არ მოსწონთ “საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს” შექმნის იდეა და ცდილობენ, რომ სახელმწიფო სერვისების მიწოდებისთვის მოძებნონ ალტერნატიული გზები. ირვინგ კრისტოლის აზრით, ადამიანები ყოველთვის ანიჭებდნენ უპირატესობას ძლიერ მთავრობას, რომელიც ზრუნავს ისეთ

უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, როგორებიცაა: განათლება, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა, პორნოგრაფიის რეგულაცია და სხვა. ირვინგ კრისტოლი ხაზს უსვამს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის სამ ძირითად საყრდენ ფაქტორს. ესენია: 1. მძლავრი პატრიოტიზმი, რომელიც გამყარებულია როგორც კერძო, ასევე საჯარო ინსტიტუტების მიერ. (ეს გრძნობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამერიკის შეერთებული შტატებისთვის, რადგან იგი ემიგრანტების ქვეყანაა და პატრიოტიზმი, უნდა იქცეს მათ გამააერთიანებლად); 2. უარყოფა ყველაფრის, რაც უკავშირდება მსოფლიო მთავრობის იდეას (მათ შორის, გაერთიანებული ერებისა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის უარყოფა; ეს უკანასკნელი, კრისტოლის აზრით, მომაკვდავია და მსოფლიო ტირანიასაც უქადის); 3. მესამე ფაქტორია საჯარო მოღვაწეები, რომელთაც უნდა შეეძლონ მტრებისა და მეგობრების ერთმანეთისგან გაჩევა.

უნდა აღინიშნოს, რომ ნეოკონებისთვის "ეროვნული ინტერესები" არ წარმოადგენს უბრალოდ გეოგრაფიულ ტერმინს. ამერიკის შეერთებული შტატებისთვის, რომლის იდენტობა გარკვეულ იდეოლოგიაზეა დაფუძნებული, "ეროვნული ინტერესების" დაცვა წარმოადგენს არა მხოლოდ მატერიალურ, არამედ იდეოლოგიურ ინტერესს. სწორედ ამ იდეოლოგიური ინტერესის გამო, ამერიკის შეერთებული შტატები მუდმივად გრძნობს ვალდებულებას, რომ შეძლებისდაგვარად დაიცვას დემოკრატიული სახელმწიფოები არადემოკრატიული ძალების თავდასმისგან. იქნება ეს შიდა პოლიტიკური, თუ გარე თავდასხმა. სწორედ "ეროვნული ინტერესები" მიაჩნიათ ნეოკონებს იმის მიზეზი, თუ რატომ დაიცვა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი II მსოფლიო ომში. სწორედ ეს ფაქტორი მიაჩნია კრისტოლს იმის მიზეზადაც, თუ რატომ უნდა დაიცვას ამერიკელმა ხალმა ისრაელი და ზოგადად, მთელი მსოფლიო.

1990 წელი და ფაქტობრივად, მთელი დეკადა, ტრიუმფალური აღმოჩნდა აშშ-სთვის. ცხადია, ეს განპირობებული იყო პირველ რიგში, ცივი ომის დასრულებით და მეორე, ერაყის დამარცხებით 1991 წელს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტში. ორივე შემთხვევაში, უმთავრეს ძალას ამერიკის შეერთებული შტატები წარმოადგენდა და სწორედ ამ გამარჯვებების ფონზე, მისი ძალაუფლება და გავლენა მსოფლიოზე

მომენტალურად გაიზარდა. ცხადია, ცივი ომის დასრულება წარმოუდგენელი იქნებოდა, რომ არა პრეზიდენტ რონალდ რეიგანის საგარეო პოლიტიკა და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ძალის რადიკალური ზრდა. ნეოკონსერვატორების მოთხოვნის მსგავსად, რომლებიც სოციალური პროგრამების გაზრდას სამხედრო ხარჯების ზრდას ამჯობინებდნენ, რონალდ რეიგანმა გაატარა მკვეთრი სამხედრო პოლიტიკა და ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი სწორედ თავდაცვის სტრუქტურაში გადაისროლა. ნეოკონსერვატორებისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს არადემოკრატიული ძალის წინააღმდეგ გალაშქრება, თუნდაც ეს სხვა ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს ეხებოდეს. საბჭოთა კავშირი, როგორც არადემოკრატიული და უსამართლო ძალა, აუცილებლად საჭიროებდა ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან რეაგირებას. მას შემდეგ, რაც უმთავრეს მტრად სწორედ საბჭოთა კავშირი გამოცხადდა, აუცილებელი იყო მკვეთრი და გარკვეულწილად აგრესიული პოლიტიკის გატარებაც. ნეოკონსერვატორების გავლენა, ამ შემთხვევაში აშკარა იყო პრეზიდენტ რონალდ რეიგანზე, რომელმაც შეძლო და საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა კავშირის დასასრულის დასაწყისს. ორივე ზემოთ ხსენებული გამარჯვების შემდეგ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოიპოვა გლობალური სუპერძალის სტატუსი, რომლის გამოწვევის სურვილიც, სულ მცირე მომდევნო დეკადაში, არავის უნდა გასჩენოდა.

უილიამ კრისტოლი და რობერტ კეიგენი, ნაშრომში "ეროვნული ინტერესი და გლობალური პასუხისმგებლობა", აღნიშნავენ, რომ 1990-ანი წლების დასაწყისში, თვალსაჩინო იყო აშშ-ის უმთავრესი მიზანები, კერძოდ: საერთაშორისო სისტემის ხელმძღვანელობა; საერთაშორისო სისტემის დაცვა ნებისმიერი საფრთხისაგან; უნიპოლარული საერთაშორისო სისტემის ჩამოყალიბება. მათ მიაჩნდათ, რომ ჯორჯ ბუშის მიერ გამოცხადებული "ახალი მსოფლიო წესრიგი" სხვა არაფერი იყო, თუ არა აშშ-ის გულუხვი გლობალური ჰეგემონიის გაძლიერება.

მშვიდობითა და აყვავებით ნიშანდებული 90-იანიები, გაფლანგული ათწლეულია. ცივი ომის შემდგომ პერიოდში, პირობა, რომ მსოფლიო მშვიდობას დაიბრუნებდა, ბუნდოვანი გახდა. თანაც მანამდე, ვიდრე ქვეყნის სათავეში ბილ კლინტონი მოვიდოდა. შესაბამისად, მოსაზრება, რომ 1990-ანი წლები გაფლანგული ათწლეულია, რამდენიმე

მნიშვნელოვან კონფლიქტის ანალიზს ეფუძნება, კერძოდ: 1. 1991 წლის ერაყისა და ქუვეითის დაპირისპირება, რომელიც რელიგიურ კონფლიქტში გადაიზარდა, თავიდან ვერ აიცილა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. ქვეყანამ, რომელსაც ყველაზე მძლავრი სამხედრო ძალა ყავდა და ყველაზე მასშტაბური შეიარაღებითაც გამოირჩეოდა, სათავეში ედგა სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ მოქმედ ომს, თუმცა უდიდესი სისხლისღვრა და პალესტინელების ქუვეითიდან განდევნა არ აღმოჩნდა კონფლიქტის დეესკალაციის გარანტია. 2. მეორე მოვლენა იყო იუგოსლავიის პრეზიდენტის, სლობოდან მილოსევიჩის თავდასხმა სლოვენიასა და შემდგომ ხორვატიაზე. 3. გარდა ამისა, 1992 წელს სერბეთის სამხედრო ძალა თავს დაესხა სარაევოს, რაც ევროპას, მომდევნო სამი წლის განმავლობაში, 200 ათასი ბოსნიელი მუსლიმის ეთნიკურ წმენდად დაუჯდა. 4. ასევე, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომელიც 1992 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობამ აღმოაჩინა, ჩრდილო კორეა იყო, რომელმაც საიდუმლოდ დაიწყო ატომური იარაღის წარმოება. ყოველი კონფლიქტი, რომელიც ტოტალიტარული მმართველობის შედეგს წარმოადგენდა, არა თუ აღმოიფხვრა, არამედ მთელ ათწლეულს შავ ლაქად დარჩა. საზოგადოებაში გაჩნდა კითხვები, თუ რამდენად შეძლებდა ამერიკის შეერთებული შტატები მთელი მსოფლიოს დაცვას გარეშე მტრებისაგან და შეინარჩუნებდა მშვიდობას. აშკარა გახდა, რომ ნებისმიერ დიქტატორს, იქნება ეს სადამ ჰუსეინი, სლობოდან მილოსევიჩი, ჩრდილოეთ კორეის მთავრობა, თუ ახლა უკვე ირანის მმართველობა, უპრობლემოდ შეუძლია, საფრთხე შეუქმნას მსოფლიო მშვიდობას და გამოიწვიოს ისეთი ძალა, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია.

გარდა ამისა, 90-იანებმა მოიტანა ჩინეთის აღმასვლა როგორც ეკონომიკური, ასევე სამხედრო მიმართულებით, რამაც გააჩინა ახალი საფრთხის საშიშროება. იმ დროს, როდესაც მთელი მსოფლიო თავდაცვის ხარჯებს ამცირებდა, ჩინეთმა პირიქით, არა თუ სამხედრო არსენალი გაზარდა, არამედ ატომურ იარაღსაც მოუყარა თავი. პარალელურად, ჩინეთის აგრესია გამოვლინდა მეზობელ ტაივანსა, თუ სამხრეთ ჩინეთის ზღვის კუნძულებზე. მეზობლებთან ძალის დემონსტრაცია არ აღმოჩნდა საკმარისი. ჩინეთის მთავრობამ დაიწყო ქვეყნის შიგნით, როგორც პოლიტიკური, ასევე

რელიგიური ოპონენტების რეპრესირება და მათი მასობრივი ხოცვა. ამერიკის შეერთებული შტატების პასუხი კი შეშფოთების გამოხატვითა და დაშოშმინების პოლიტიკით შემოიფარგლა.

1990-ანი წლების ბოლოს, ბილ კლინტონის ადმინისტრაციის პირობებში, პასუხი არ გასცემია კონფლიქტებს, რომელიც რეალურად საფრთხეს უქმნიდა არაერთ სახელმწიფოს. მიუხედავად იმისა, რომ იზრდებოდა ჩინეთის თავდაცვითი ხარჯები და კიდევ უფრო თვალსაჩინო იყო მსოფლიო კონფლიქტებში გაეროს ფაქტობრივი უმოქმედობა, აშშ-ის სამხედრო ძალის დაფინანსებამ იკლო. 1998-1999 წლებში, თავდაცვის ბიუჯეტმა და შეიარაღებული ძალების რაოდენობამ 3-ჯერ იკლო. აშშ-ის გენერალი, კოლინ პაუელი, ბილ კლინტონის საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, ყავის სახლში მიმდინარე განხილვას ადარებს, სადაც ძლიერი და გამოკვეთილი გადაწყვეტილება არ გვხვდება. როგორც უკვე ვახსენეთ, მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულმა არაერთი კონფლიქტის და დაპირისპირების ფონზე ჩაიარა, რომელიც ზოგიერთი ექსპერტისთვის გაფლანგული ათწლეული იყო, ზოგისთვისაც კი ამერიკის შეერთებული შტატების უნიპოლარულობის ეპოქა. ჩარლზ კრაუთჰამერი "ახალი მსოფლიო წესრიგის" მშვიდობას, ამერიკისთვის უნიპოლარულობის ეპოქად ასახელებს. ცხადია, ცივი ომის შემდეგ, როდესაც მთელი მსოფლიო დაპირებულ მშვიდობას ელოდა, ერთადერთი უძლიერესი ძალა აშშ უნდა დარჩენილიყო, თუმცა ზემოთ ჩამოთვლილმა კონფლიქტებმა ეჭვი შეიტანა უნიპოლარულობის მომენტის ჭეშმარიტებაში. ამ ყოველივეს ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი კი სირია აღმოჩნდა.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში 1990-2010 წლები ცვალებადი და პრობლემებით აღსავსე აღმოჩნდა. ჯორჯ ბუშ უფროსის პრეზიდენტობის პერიოდში (1989-1993წწ.), ნეოკონსერვატული იდეები მძლავრობდა, რაც გამოიხატებოდა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ საგარეო პოლიტიკაში. ხოლო პრეზიდენტ ბილ კლინტონის დროს (1993-2001 წწ.), ნეოკონსერვატორების გავლენა პოლიტიკაზე ფაქტობრივად აღარ გვხვდება. მხოლოდ თეორიულ სფეროში: ლექციებით, ერთეული სტატიებისა, თუ მონოგრაფიული კვლევების გამოქვეყნებით ცდილობდნენ საკუთარი პოზიციების დაფიქსირებას.

1990-ანი წლებში ამერიკის შეერთებული შტატების ჩაურევლობა არაერთ კონფლიქტში, ნეოკონსერვატორების მხრიდან შეფასებულია, როგორც „გაფლანგული ათწლეული“. ეროვნული ინტერესები, ნეოკონსერვატორების აზრით, ამერიკას ავალდებულებდა მსოფლიო წესრიგის შენარჩუნებას და დაპირებული მშვიდობის დამყარებას. მიუხედავად ამისა, ნეოკონებს მიაჩნიათ, ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციების დაფიქსირება და გამყარება ვერ მოახერხა პრეზიდენტმა კლინტონმა. ამავე ათწლეულში, არსებობდა უნიპოლარული სისტემის ჩამოყალიბების შესაძლებლობა, თუმცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ეს შანსი ვერ გამოიყენა. მიმაჩნია, რომ უნიპოლარულობა არაა სიკეთის მომტანი მთელი მსოფლიოსთვის, თუმცა ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთპოლუსიანი საერთაშორისო სისტემის ჩამოყალიბების საშუალება ქონდა, აშკარაა.

ნეოკონსერვატორებისათვის უპირობო პრიორიტეტი ენიჭება ეროვნულ ინტერესების დაცვას და მსოფლიო მთავრობის თუ საერთაშორისო ორგანიზაციების „ბოროტი“ განზრახვების განეიტრალების პოლიტიკას. მიმაჩნია, რომ მსოფლიო მთავრობის იდეა საფრთხის შემცველია, თუმცა ვფიქრობ, რომ ქვეყნების ურთიერთობა ხელისუფლების საერთო ზეეროვნული ორგანოს გარეშე ისეთივე ბუნებით მდგომარეობაში ამყოფებს მათ, როგორც ადამიანებს სახელმწიფოს გარეშე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Kristol, Irving. *Neoconservatism: The Autobiography of an Idea*, Chicago: Elephant, (1995).
2. Kagan and Kristol. “National Interest and Global Responsibility”*, Neocon Reader* (2004). Edited by Irwin Stelzer.
3. Krauthammer, Charles. ” The Unipolar Moment”*, Foreign Affairs*, (1990).
4. Stelzer, Irvin. *Neoconservatism.* Atlantic Books London, (2004).
5. Kristol, Irving. “The Neoconservative Persuasion”, *The Weekly Standard (2003). Accessed November 13, 2020.* https://www.washingtonexaminer.com/weekly-standard/the-neoconservative-persuasion
6. McGlinchey, Stephen. “Neoconservatism and American Foreign Policy”, *E-International Relations* (2009). Accessed November 5, 2020. https://www.e-ir.info/2009/06/01/neo-conservatism-and-american-foreign-policy/

7. Murray, Douglas. *Neoconservatism: Why we need it*. London: The Social Affairs Unit, 2005. Accessed October 25, 2020. https://www.scribd.com/document/347300422/NeoConservatism-Why-We-Need-It-Douglas-Murray.

Tamta Zakarashvili
PhD student, American Studies
Ivane Javakshivisli Tbilisi State Unviersity

Neoconservatism and its influence on the USA foreign policy (1990-2000)

Summary

The last decade of the XX century was full of conflicts and controversies. The United States, as the main acting superpower state, had the goal to achieve the world peace.

In the paper are pointed out some essential issues on the theme, such as: what does neo-conservatism mean? What are the main characteristics of Neocons? What is the main difference between conservatism and neoconservatism? What is a paradigm of neoconian influence on States' foreign policy?

I discuss the features of neoconservatism and especially the influence of neoconservatism on the US foreign policy. The topic mostly focuses on researches of "Godfather" of neo-conservatism Irving Kristol: Neoconservatism: The Autobiography of an Idea, and The Neoconservative Persuasion.

The topic shows main problems in the US foreign policy and clarifies how neoconservative ideas shaped the US foreign policy and the whole world. Protection of national interests and neutralisation of world government's interests is of the highest priority for neocons. The idea of the world government contains threats, but I suppose that Relationships between countries without supranational organ of government leaves them in the same condition of state of nature, as human beings- without state.

თემურ ქარელი
ისტორიის მეცნიერების კანდიდატი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი

ისტორიის ციკლები: გენერაციის პრობლემების კვლევა ამერიკის შეერთებულ შტატებში

კაცობრიობის ისტორიაში დიდი ხანია მსჯელობენ გარკვეული სქემატური ცვლილებების, მოქცევა-უკუქცევის შესახებ. „წრის", ქანქარის" და ა.შ. საშუალებით საისტორიო პროცესის აღწერის ტრადიცია ჯერ კიდევ ანტიკური ისტორიოგრაფიიდან მომდინარეობს. XVIII საუკუნეში ჯამბატისტა ვიკო, ისტორიზმის მესაძირკვლე, ანვითარებდა თავის ცნობილ იდეას ერების ციკლური განვითარების შესახებ (1725). ეს თეორია ესწრაფვის ადამიანთა საზოგადოების (ქვეყნის, ერის) განმეორებადის, მდგრადის დაფიქსირებას ბუნებრივი მოვლენების კანონზომიერებათა (წლის დროების, დღე-ღამის მონაცვლეობის და ა.შ) ანალოგიით, რაც სიცხადით და უბრალოებით იმთავითვე იზიდავდა მკვლევრებს. ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში ამგვარ ხდომილებათა თაობაზე ჯერ კიდევ 1841 წელს მიუთითებდა ამერიკელი ფილოსოფოსი რალფ ემერსონი. 50 წლის შემდეგ ციკლურობის თეზისზე ამერიკის რესპუბლიკის არსებობის პირველ წლებთან მიმართებით უფრო ზუსტი ვარიანტი ჰენრი ადამსმა წარმოადგინა. ამერიკის ისტორიის ციკლური განვითარების თეორიის ფუძემდებლად კი ითვლება ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსი არტურ შელეზინგერი- უფროსი. მისმა შვილმა არტურ მეიერ შლეზინგერმა (Arthur Meier Schlesinger Jr.) ციკლების თეორია კიდევ უფრო დახვეწა და მისი მოდიფიცირება სცადა.

როგორც ითქვა, აშშ-სადმი მისადაგებით ციკლური მოდელი ხელისუფლებაში „ინოვაციების პარტიის" და „კონსერვაციის პარტიის" ბუნებრივი მონაცვლეობით წინა ასწლეულის 40-იან წლებში, ა. შლეზინგერი უფროსმა შემოგვთავაზა. მისმა შვილმა განავითარა ეს სქემა და დაასაბუთა, რომ ამერიკის პოლიტიკური პროცესის საფუძველია

ლიბერალიზმის და კონსერვატიზმის მეტოქეობა. ლიბერალიზმი ახდენს ცვლილებას არსებულ სისტემაში, კონსერვატიზმი კი ამ გარდაქმნებს განამტკიცებს და, ამდენად, ისინი ავსებენ ერთმანეთს „ლიბერალური თანხმობის“ ფარგლებში. არტურ მ. შლეზინგერი თავის წიგნში, რომელიც 1986 წელს გამოიცა, ასაბუთებს, რომ ქვეყნის პოლიტიკური განვითარება განმეორებადი ციკლების საფუძველზე ხდება. მას აქვს ორი ფაზა - „საზოგადოებრივი აქტივობა“ და „კერძო ინტერესები“. იმ პერიოდის განმავლობაში, როცა „აქტივიზმის“, ვნებების და ცვლილებების, რეფორმიზმის და იდეალიზმის განწყობილებები ბატონობს, მიმდინარეობს ცვლილებები პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში, აქტიურდება სახელმწიფოს როლი, გადაიჭრება გადაუდებელი ამოცანები. მეორე ფაზისთვის დამახასიათებელია პასიურობა, ჰედონიზმი, იკლებს საზოგადოებრივი აქტივობა, მიმდინარე ხდომილებების კრიტიკული გააზრება. თეორიული განზოგადებით, XX საუკუნე იყოფა *„აქტივიზმის“ პერიოდებად,* რომელთა ათვლის წერტილია საპრეზიდენტო არჩევნებში ისეთი ლიდერების გამარჯვება, როგორიცაა ტ. რუზველტი (1900), ფ. რუზველტი (1932), ჯ. კენედი (1960) და, ასე ვთქვათ, *ძალთა აღდგინების პერიოდები* - 20-იანი, 50-იანი, 80-იანი წლები. ამ თვალთახედვით, 80-იან წლებს (წიგნის გამოცემის დროს), რაიმე პრინციპულად ახალი არ მოუტანია: სახელმწიფოს ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში ჩარევის დონის დაქვეითებისკენ სწრაფვა, ფედერალური ხელისუფლების ფუნქციების შტატებისთვის გადაცემა, თავისუფალი ბაზრის ლოზუნგის რეალიზაცია - ნებისმიერ დროით გამოვლინებაში „კერძო ინტერესების“ ფაზის ზოგადი ნიშნებია.

აქტივობის თითოეული პერიოდი რომელიმე სერიოზული პრობლემის წარმოქმნით იწყება, რომელიც საზოგადოებრივი გამოცოცხლების ერთგვარი დეტონატორი ხდება. მაგალითად, მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის ეს იყო რამოდენიმე ტრესტის ხელში ეკონომიკური ძალის კონცენტრაცია, 30-იან წლებში - დეპრესია, 60-იან წლებში - რასობრივი საკითხი. მთავრობა ყურადღებას აქცევს ამ პრობლემებს და „საზოგადოებრივ მისწრაფებათა განსახიერება და იარაღი“ ხდება. „ძალთა აღდგინების“ პერიოდში ამერიკის საზოგადოება ითავისებს მომხდარ ცვლილებებს, კრიტიკულად გადაამუშავებს, მეტისმეტობას თავიდან იცილებს, ინარჩუნებს კონსტრუქციულ

მომენტებს. ასე რომ, კონსერვატიულად განწყობილი პოლიტიკოსების თაობა ფაქტობრივად იმ სოციალურ-ეკონომიკურ რეფორმებს ეგუება, რომელთა წინააღმდეგაც მათი წინამორბედები გამოდიოდნენ (მაგალითად, 50-იანი წლების რესპუბლიკელებს მთლიანად არ უთქვამთ უარი სახელმწიფო რეგულირებაზე და „ახალი კურსის“ პერიოდამდელი წმინდა საბაზრო მექანიზმები არ აღუდგენიათ).

შლეზინგერი-უმცროსი ციკლების მონაცვლეობის პრიზმაში განიხილავს ისეთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტებს, როგორიცაა პრეზიდენტის ინსტიტუტი, ორპარტიული სისტემა. მისი აზრით „აქტივიზმის“ ახალ პერიოდს მოსდევს პრეზიდენტის, როგორც ერის ლიდერის როლის გაძლიერება და ეს მოითხოვს ამ პოსტზე ფ. რუზველტის, ჯ. კენედის ტიპის ენერგიული პოლიტიკოსის მოსვლას. ორპარტიული სისტემა ცხადყოფს თავის პოტენციალს „ნაციონალური პრიორიტეტების და გადაწყვეტილებების შემუშავებაში“, რომელსაც „კერძო ინტერესების“ პერიოდში ვერ ანხორციელებს.

ციკლების თეორიის თვალთახედვით ამერიკის ისტორიოგრაფიაში განიხილავენ საგარეო პოლიტიკის მოვლენებსაც. მაგალითად „აქტივისტების“ იმპულსების იპოსტასით აანალიზებენ სახელმწიფოს მიერ მთელი მსოფლიო მასშტაბით მზრუნველის როლის შესრულების მცდელობას.

ციკლების თეორია „ქანქარის“ აღმძრავ ძალად თაობების მონაცვლეობას განიხილავს. პოლიტიკური ცვლილებები დამოკიდებულია ახალი თაობის ხასიათზე, რომელიც აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთვება. მისი პოლიტიკური სახე თავის მხრივ განისაზღვრება პერიოდით, როდესაც მოცემული თაობის ბიოლოგიური და სოციალური ზრდა მიმდინარეობდა. ამდენად, თეორიას პროგნოსტიკური ასპექტი აქვს, რადგან, როგორც ითქვა, სახეზეა ციკლურობის მომენტი, გარკვეული თაობის პოლიტიკური დომინირების დროითი ფარგლები კი სამი ათეული წლით განისაზღვრება. შესაბამისად, ა. შლეზინგერის წინასწარჭვრეტით, „ისევე როგორც, თაობას, რომელმაც ცხოვრებაში ფ. რუზველტის დროს შედგა ფეხი და მმართველობის რიგი 60-იან წლებში მოუწია, ასევე, თაობაც, რომელმაც პოლიტიკურ სიმწიფეს 60-იან წლებში მიაღწია, ხელისუფლებაში 90-იან წლებში უნდა მოვიდეს“. ეს იქნება „ჯ.

კენედის თაობა“, იმ დროის იდეალების და გაკვეთილების განმასახიერებელი თაობა, რომელიც აშკარად სათანადოდ ვერ შეფასდა. დგება დრო, როდესაც ამ პოლიტიკური ფიგურის ჭეშმარიტი მასშტაბები და იდეები, რომლის განხორციელებასაც საზოგადოებაში ცდილობდა, ღირსეულად შეფასდება.

არტურ შლეზინგერი-უმცროსის ტრადიციის გაგრძელებით ამერიკის ისტორიის ციკლების იდეა ვილიამ შტრაუსმა (William Strauss) და ნილ ჰაუსმა (Neil Howe) განავითარეს, თაობათა ციკლების შესწავლით მათ შექმნეს თაობების თეორია. მასში თაობას განსაზღვრება მოიცავს ყველა იმ ადამიანთა ერთობლიობას, რომლებიც დაახლოებით 20 წლის დროის შუალედში, ან ცხოვრების ერთი ფაზის (ბავშვობა, ახალგაზრდობა, საშუალო ასაკი და სიბერე) განმავლობაში დაიბადნენ. თაობის იდენტიფიცირება შესაძლებელია სამი კრიტერიუმით. პირველი, ერთი თაობის წარმომადგენლები იზიარებენ ერთ საისტორიო ეპოქას: ისინი ერთნაირ საკვანძო საისტორიო ხდომილებებს და სოციალურ ქარტეხილებს ეჯახებიან, ერთსა და იმავე სასიცოცხლო ფაზებში იმყოფებიან. მეორე, ისინი იზიარებენ გარკვეულ საერთო მრწამსსა და ქცევის მოდელებს. მესამე, გააჩნიათ გამოცდილების და თავისებურებების ცოდნა, რომლებსაც თავის თანატოლებთან ერთად იზიარებენ, ერთი თაობის წარმომადგენლებს მოცემული თაობისადმი კუთვნილების გრძნობა გააჩნიათ.

შტრაუსი და ჰაუ ამტკიცებენ, რომ მათ თაობის განსაზღვრება სხვადასხვა ავტორების და მოაზროვნეების შრომების საფუძველზე შეიმუშავეს: უძველესი მწერლებით დაწყებული, როგორიცაა პოლიბიოსი და იბნ ჰალდუნი, შედარებით თანამედროვე სოციალურ თეორეტიკოსებამდე, როგორიცაა ხოსე ორტეგა ი გასეტი, კარლ მანჰეიმი, ჯონ სტიუარტ მილი, ემილ ლიტრე, ოგიუსტ კონტი და ფრანსუა მანტრე.

თაობათა თეორია აღწერს აშშ-ს, მათ შორის, 13 კოლონიის ისტორიას. მკვლევრებმა გენერაციული ტრენდები სხვა ქვეყნებშიც შეისწავლეს და აღმოაჩინეს მსგავსი ციკლები ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში. აკადემიურ წრეებში თაობათა თეორიამ გაბედული და ორიგინალური დასაბუთებით დიდი აღიარება მოიპოვა, თუმცა არც კრიტიკა

დაუკლიათ და მიუთითებდნენ ნაშრომში ზუსტი ემპირიული მონაცემების სიმწირეზე. ასეა თუ ისე, დღეს ამ თეორიას ხშირად იმოწმებენ და მის ირგვლივ კამათიც არ ცხრება.

თაობების თეორია რამოდენიმე ნაშრომის საფუძველზე ჩამოყალიბებული იდეათა კომპლექსია. კვლევამ აჩვენა, რომ სინამდვილეში გარდასულ და ამჟამინდელ თაობებს შორის ისტორიული ანალოგიები არსებობს. შედეგად მკვლევრებმა ანგლო-ამერიკულ ისტორიაში აღმოაჩინეს თაობათა ოთხი ტიპის ქცევის მოდელი და, შესაბამისად, ოთხი სხვადასხვა ტიპის ციკლი. პირველი წიგნი „თაობები“, გამოიცა 1991 წელს და მოგვითხრობს აშშ ისტორიაზე, როგორც ანგლო-ამერიკული თაობითი ბიოგრაფიების მონაცვლეობაზე, დაწყებული 1584 წლიდან და სადღეისო ხდომილებებით დასრულებული. მკვლევრები მიუთითებენ ოთხ განმეორებად ფაზაზე, თაობათა ტიპებსა და საზოგადოების სულიერი გამოღვიძების და კრიზისების ოთხ განმეორებად ციკლებზე კოლონიების დაარსების მომენტიდან დღემდე. „თაობებმა“ ხელი შეუწყო იმ იდეის პოპულარიზებას, რომ გარკვეული ასაკობრივი ჯგუფის ადამიანები იზიარებენ გარკვეული მრწამსის, ურთიერთობების, ფასეულობების და ქცევის მოდელების ერთიანობას, რადგან ერთნაირ ისტორიულ პირობებში იზრდებოდნენ. 1993 წელს გამოიცა ავტორთა მეორე წიგნი „მეცამეტე თაობა“, რომელიც მიეძღვნა თაობა X-ის შესწავლას. ეს თაობა მოიცავს 1961 და 1981 წლებს შორის დაბადებულებს, „მეცამეტე“ კი ამერიკელი ერის წარმოქმნის მომენტიდან ათვლით ეწოდა. წიგნში ნაჩვენებია ის ისტორიული მოვლენები და და ცვლილებები, რომლებმაც ე.წ. ცნობიერების რევოლუციის წლებში მათი პრაგმატიზმი ჩამოაყალიბა. 1997 წელს შტრაუსმა და ჰაუმ გამოსცეს „მეოთხე გარდასახვა: ამერიკული წინასწარმეტყველება“, რომელშიც „თაობებში“ გამოთქმული იდეები უფრო ღრმად განიხილება. და ბოლოს, 2000 წელს შტრაუსმა და ჰაუმ გამოსცეს ნაშრომი „მილენიუმის თაობის აღმავლობა: მომდევნო დიადი თაობა“. ამ წიგნში შესწავლილია უკვე სრულწლოვანებას მიღწეული თაობის ხასიათი. შტრაუსი და ჰაუ აჩვენებენ მილენიუმელთა, დღევანდელი მოზარდების და ახალგაზრდების ხასიათს, ოპტიმიზმს, აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციას, ასაბუთებენ, რომ სწორედ ეს თაობა შეცვლის ახალგაზრობაზე წარმოდგენებს და შესაძლოა ისინი იქცნენ ახალ დიად თაობად ამერიკის ისტორიაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1.Artur M. Schlesinger, Jr. (1986). *The Cycles of American History* . Boston, Houghton Mifflin Company, XIII+498 p.

2.Howe, Neil; Strauss, William (1991). *Generations: The History of America's Future, 1584 to 2069.* New York: William Morrow & Company.

3.Howe, Neil; Strauss, William (1993). *13th Cen: Abort, Retry, Ignore, Fail?* Vintage Books.

4.Howe, Neil; Strauss, William (1997). *The Fourth Turning: What the Cycles of History Tell Us About America's Next Rendezvous with Destiny*. New York: Broadway Books.

5.Howe, Neil; Strauss, William (2000). Millennials Rising: The Next Great Generation. Knopf Doubleday Publishing Group.

Temur Kareli

Candidate of Historical Sciences

Researcher at the Institute of Political Science, Ilia State University

History Cycles: Research on Generation Problems in the United States

Summary

The paper is devoted to the study of generational problems within the framework of the American Cycle Theory, which is focused on the repetitive, sustainable events in human society (country, nation) by analogy the of natural events regularities (time of year, day-night shifts, etc.). The paper states that the founder of the cyclical development theory of American history is considered a famous American historian Arthur Schelesinger-Senior. In the 1940s, he proposed a cyclical model for the the United States governess with a natural shift between the

“Innovation Party” and the “Conservative Party”. Later, his son, Arthur Meier Schlesinger Jr refined the theory of cycle and tried to modify it. He stated that the basis of the American political process was the rivalry between liberalism and conservatism and that the cycles of American political development had two phases - "public activity" and "private interests." During the period of "activism" the reformism experienced, positive changes in progress, as for the second phase it is characterized by passivity, hedonism, declining public activity, and a critical understanding of current developments. Schlesinger Jr. discusses the most important institutions in the prism of alternating cycles, such as the presidential institution and the bipartisan system. The driving force of the cycle theory “pendulum theory” is considered the alternation of generations.

The article deals with the definition of the notion of generations, which also has a prognostic aspect and is defined by three decades during the time of political domination, emphasizing that political changes depend on the character of a new generation involved in active political life (for example, the generation of John F. Kennedy).

The idea of American history cycles was elaborated by William Strauss and Neil House; they created the "generational theory."

The definition of a generation includes a group of people born in the frame of 20 years period or during the certain lifespan (childhood, youth, middle age, and old age). The paper highlights three-generational identification criteria that describe the history of the United States, including its 13 colonies.

Generation theory is a complex set of ideas based on several works. The research revealed that there are, historical analogies between the past and present generations. Hence, as a result, researchers have discovered four types of behavioral patterns in the history of Anglo-American generations, consequently four different types of cycles. The paper examines certain studies devoted to generational biographies by Strauss and Hess conducted in different years: “Generations” (1991), “The Thirteenth Generation” (1997), “The Fourth Transformation: American Prophecy”, (1997), "The Rise of the Millennium Generation: The Next Great Generation" (2000). (2000).

ელენე მეძმარიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ამერიკისმცოდნეობის სამაგისტრო და სადოქტორო
პროგრამების ხელმძღვანელი

მელანია ტრამპი - შეერთებული შტატების პირველი ქალბატონი

პრეზიდენტ ტრამპის დამოკიდებულება ქალებისადმი, მისი ადმინისტრაციის პოლიტიკა მათ მიმართ არაერთგვაროვანია და დღესაც კამათის საგანს წარმოადგენს. დემოკრატები მას ანტიქალური პოლიტიკის გატარებას აბრალებენ და მკაცრად აკრიტიკებენ. მისი სექსისტური გამონათქვამები დემოკრატ ქალებს იმის საფუძველს აძლევს, რომ მას ქალთმოძულე უწოდონ. ტრამპის ადმინისტრაციაშიც ქალების რაოდენობა სულ სამი დარჩა, თუმცა თავიდან ექვსი იყო. როგორც ამბობენ, ქალები მისგან გარბიან. სამაგიეროდ, მის გვერდით რჩება პირველი ქალბატონი - მელანია ტრამპი და ამერიკელებს შორის თავის რეიტინგს ზრდის. ტრამპის პრეზიდენტობის უკვე პირველი წლის ბოლოსთვის მას დადებითად აფასებდა ამერიკელების 54%.

პირველი ქალბატონის ინსტიტუტი შეერთებულ შტატებში დაიბადა და მისდამი ინტერესი თავიდანვე დიდი იყო. ეს ინტერესი არც ტრამპის ადმინისტრაციის მოსვლის შემდეგ შენელებულა. ჩემს მოხსენებაში ვეცდები პასუხი გავცე კითხვას, თუ რა როლს თამაშობს მელანია ტრამპი როგორც პირველი ქალბატონი, რით განსხვავდება იგი თავისი წინამორბედებისგან.

ჩვენ ვიცით პირველი ქალბატონების რამდენიმე ტიპი. მათ შორის იყვნენ ისეთები, რომლებიც აქტიურ როლს თამაშობდნენ ქვეყნის პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში (მაგალითად, ელეონორ რუზველტი, ჰილარი კლინტონი და სხვ.). იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ასეთი აქტიურობით არ გამოირჩეოდნენ, მაგრამ ჩართულები იყვნენ ქველმოქმედებაში, ან უბრალოდ თეთრი სახლის დიასახლისებად რჩებოდნენ. რომელ როლს ირგებს მელანია ტრამპი? იმისთვის, რომ ამ კითხვას ვუპასუხოთ, უნდა

ვიცოდეთ, ვინ არის მელანია და რამდენად შესაძლებელია მისთვის აქტიური როლის თამაში ისეთი მეუღლის გვერდით, როგორიც დონალდ ტრამპია.

მელანია დაიბადა სლოვენიაში 1970 წელს. იგი ყოფილი მოდელია და პირველი უცხოელი, რომელიც პირველი ქალბატონი გახდა. მის წინაშე უაღრესად რთული ამოცანა იდგა: დაეპყრო ამერიკელთა გული უაღრესად პოპულარული, ერთგვარად, სახალხო პირველი ლედის მიშელ ობამას შემდეგ და თანაც ასეთი არაერთგვაროვანი მეუღლის გვერდით. მაგრამ უნდა კი მას ამის გაკეთება? ის თვისებები, რომელიც მიშელ ობამას ჰქონდა - პირდაპირობა, უშუალობა, თავდაჯერებულობა და უბრალოება - მას ნაკლებად ახასიათებს.

ტრამპის პრეზიდენტობის პირველ წელს იგი ბევრად იშვიათად ჩნდებოდა სახალხოდ, ვიდრე სხვა პირველი ქალბატონები და ამერიკელები მას ნაკლებად იცნობდნენ. ეს გასაგებიც იყო, ვინაიდან მელანია ტრამპი სრულიად გამოუცდელი შევიდა თეთრ სახლში. მაგალითად, მის წინამორბედებს ლორა და ბარბრა ბუშს, ჰილარი კლინტონს ჰქონდათ სხვადასხვა შტატის პირველი ქალბატონობის ან ელჩის ცოლობის გამოცდილება, ამიტომ უკეთ იცოდნენ, თუ რა ელოდათ ვაშინგტონში, თეთრ სახლში. მელანია კი იყო ყოფილი მოდელი და ბიზნესმენის ცოლი და პოლიტიკასთან არავითარი შეხება არ ჰქონია. გარდა ამისა, მისთვის ინგლისური ენა მშობლიური არ იყო. ტრამპის არჩევამდე მისი ინგლისური გამოთქმა კომედიური შოუს საქილიკო მასალას წარმოადგენდა. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ინგლისურად საუბრისას იგი თავს უხერხულად გრძნობდა და, შესაბამისად, აქტიურად ვერ მონაწილეობდა სხვადასხვა ღონისძიებაში. თავისი საჯარო გამოსვლებისას, მელანია ტრამპი როგორც წესი კითხულობდა, ან აუდიტორია მის იშვიათ ინტერვიუებს ჩანაწერის სახით უსმენდა.

აღსანიშნავია, რომ ყველაზე უშუალოდ და კომფორტულად იგი თავს გრძნობდა ბავშვებთან ურთიერთობისას. ინგლისურად იგი თეთრ სახლში ბავშვებთან შეხვედრებისას საუბრობდა, ან საავადმყოფოებსა და სკოლებში ვიზიტისას. ასევე შტატების პირველი ქალბატონი თავდაჯერებულად და თავისუფლად გრძნობდა თავს

უცხოეთში ვიზიტებისას. პროფესორი მაირა გუტინი, რომელიც ამერიკის პირველი ქალბატონების მკვლევარია, თვლის, რომ მელანია ტრამპი „ცერემონიულლი პირველი ქალბატონია“. რასაც ის პირველ წელს აკეთებდა, ეს იყო სტუმრების მიღება თეთრ სახლში და უცხოეთში მგზავრობა. ალბათ ამის ახსნა შეიძლებოდა იმით, რომ იქ მას არ ჰყავდა ჩასაფრებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლები, რომლებიც კრიტიკისთვის მასალას ეძებდნენ და დღესაც ამას აკეთებენ.

თავის პრიორიტეტად მელანია ტრამპმა თავიდანვე გამოაცხადა ზრუნვა შვილზე, რითაც იგი ეტყობა თეთრ სახლშიც არის დაკავებული. თავისი წინამორბედებისგან განსხვავებით, მელანიამ პირველი ქალბატონისთვის ტრადიციული პროგრამა დიდხანს ვერ შეიმუშავა. მაგალითად, მიშელ ობამა ბავშვების ჯანსაღ კვებას უჭერდა მხარს, ლორა ბუში - იბრძოდა წერაკითხვის გავრცელებისა და ბავშვების განათლებისა და ადრეული განვითარებისთვის, ჰილარი კრინტონი ზრუნავდა ჯანდაცვის რეფორმასა და გენდერულ თანასწორობაზე. მელანია ტრამპს ინიციატივა არ ჰქონია და მისი როლი ადმინისტრაციაში კარგად არ ჩანდა. მოგვიანებით, მან წამოიწყო კამპანია „იყავი საუკეთესო“ (“Be Best”), რომელიც ბავშვების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ინიციატივას გულისხმოდა და რომელიც კრიტიკის ობიექტი გახდა. მაგრამ ეს კამპანია 2020 წლის მარტში გაახსენდათ.

პანდემიის დროს თეთრმა სახლმა საზოგადოების ინფორმირებისთვის კორონავირუსთან დაკავშირებული კრიზისის შესახებ პირველი ქალბატონის სახით ელჩი იპოვა, რითაც პირველმა ქალბატონმა თავისი ახალი საზოგაოებრივი როლი მოირგო. თუკი მანამდე მელანია ქმრის საქმეებიდან საკმაოდ შორს იყო, ახლა ცდილობს ადმინისტრაციას დაეხმაროს და არის ადმინისტრაციისა და ჯანდაცვის ცნობილ (მაგალითად, ფაუჩი) წარმომადგენლებს შორის, ვინც ამერიკელებს ასწავლის, თუ როგორ უნდა დაიცვან თავი კოვიდ-19-გან. ოჰაიოს უნივერსიტეტის პროფესორმა კეტრინ ჯელისონმა CNN-ზე განაცხადა, რომ „კარგი მომენტია გავახსენოთ ამერიკელებსკამპანია „იყავი საუკეთესო“. მან შეიძლება გაახსენოს საზოგადოებას, განსაკუთრებით, ახალგაზრდობას, რომ სტრესის დროს ერთმანეთისთვის კეთილი

სიტყვების თქმა ეროვნული ვალია“. პირველი ქალბატონების კიდევ ერთმა მკვლევარმა კეიტ ანდერსენ ბრაუერმა ასევე CNN-ს განუცხადა, რომ „ამ ქვეყნისთვის რთულ დროს, როდესაც ასეთ ვითარებას [კორონავირუსის პანდემიას] შევეჯახეთ და რომელიც ჩვენს შეშფოთებას იწვევს, პირველმა ქალბატონმა თავის საქმედ უნდა ჩათვალოს, ასხივოს სითბო, თანაგრძნობა და გააზიაროს სასარგებლო ინფორმაცია ბავშვებისა და, განსაკუთრებით, მშობლებისთვის“.

მელანია ტრამპის ეს ახალი როლი მეტყველებს იმაზე, რომ პირველმა ქალბატონმა დაძლია ენის ბარიერიც, გაარკვია თავისი ადგილი თეთრ სახლში და ცდილობს უფრო აქტიური როლის თამაშს ადმინისტრაციასა თუ ქვეყნის ცხოვრებაში.

მის თეთრ სახლი გააქტიურებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 2020 წლის აპრილში სწორედ მან ადმინისტრაციის აპარატის ახალი ხელმძღვანელის და პრეს-მდივნის სტეფანი გრიშემის დანიშვნის შესახებ გამოაცხადა: „მიხარია, რომ სტეფანი გუნდში ახალი როლით ბრუნდება. ის ადმინისტრაციის პირველივე დღიდან მისი ბურჯი და ნამდვილი ლიდერი იყო და ვიცი, რომ როგორც აპარატის ხელმძღვანელი წარმატებული იქნება...“ თავის მხრივ გრიშემმაც ხაზი გაუსვა, რომ მისთვის დიდი პატივია პრეზიდენტისა და პირველი ქალბატონის მსახურება.

ამგვარად, მელანია ტრამპმა როგორც პირველმა ქალბატონმა დაიკავა აქტიური პოზიცია და შეუერთდა ქვეყნის იმ პირველი ქალბატონების სიას, რომლებმაც აქტიური საზოგადოებრივი როლი ითამაშეს შეერთებული შტატების საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მეძმარიაშვილი ელენე, ქალი XX საუკუნის ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაში. გამომცემლობა „კლიო“, თბილისი, 2017.
2. მეძმარიაშვილი ელენე, პირველი ქალბატონის ინსტიტუტი აშშ-სა და საქართველოში (შედარებითი ანალიზი) კრებულში: „ამერიკის შესწავლის

საკითხებისადმი მიძღვნილი V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები“, ქუთაისი, 2010.
3. Durkee Alison, Even Melania Is Getting Involved in the White House's Coronavirus Response. March 19, 2020. მოძიებულია 19.04.2020 მისამართზე: https://www.vanityfair.com/news/2020/03/melania-white-house-coronavirus-psa
4. First Lady Melania Trump Announces New Chief of Staff, April 7, 2020, White House, Statements& Releases. მოძიებულია 20.05.2020 მისამართზე: https://www.whitehouse.gov/briefings-statements/first-lady-melania-trump-announces-new-chief-staff/
5. Melania Trump: US first lady arrives in Ghana for solo Africa trip. BBC News, 2 October,2018. მოძიებულია 16.03.2020 მისამართზე: https://www.bbc.com/news/world-africa-45717641
6. Yuan Jada, Melania Trump is busier than you think, but as quiet as ever. The Washington Post, September 25, 2019. მოძიებულია 2.05.2020 მისამართზე: https://www.washingtonpost.com/lifestyle/melania-trump-is-busier-than-you-think-but-as-quiet-as-ever/2019/09/24/2eb2f5a2-de44-11e9-8dc8-498eabc129a0_story.html
7. Женщины Трампа: главная загадка Белого дома. РИА Новости, 20.01.2018 https://ria.ru/20180120/1512980002.html

Elene Medzmariashvili

Head of MA and PhD Programs, American Studies

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Melania Trump – The First Lady of the United States

Summary

In the paper, the author tries to answer the question what role does Melania Trump play as the First Lady of the United States in the Trump administration and the life of the country and how she differs from her predecessors in this. Based on the original sources, it is concluded that in the early years Melania Trump, unlike the other First Ladies, felt insecure, showed her inexperience, was shy of her pronunciation of the English language, which was not native to her. She also did not have her own program, but later she appeared under the name “Be Best”, although it was criticized.

The coronavirus pandemic gave the First Lady the opportunity to find her new place in the Trump administration's coronavirus response. Melania is one of several administration and

public health officials who will appear in new nationwide public service announcements, which will educate Americans on how to protect themselves and others against Covid-19.

The new role of Melania Trump indicates that the First Lady was able to overcome the language barrier, determined her place in the White House and is trying to play an active role in the administration and, in general, in the life of the country.

მიხეილ ბარნოვი
ისტორიის დოქტორი, ასისტენტ პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საზღვრის გაქრობა მონტანაში
(1864-1889)

ისევე როგორს კანზასში, არიზონაში, ნებრასკასა თუ ტექსასში მონტანას ტერიტორიაზე საზღვრის (საზღვარი –ამერიკელი ახალმოსახლეების მიერ განაშენიანებული ტერიტორიის უკიდურესი საზღვარი, რომლის მიღმა ველური ბუნების ტერიტორები და ინდიელთა სამოსახლო იწყებოდა) ეპოქის დასასრული რამდენიმე ფაქტორის ერთობლიობამ განაპირობა: მომთაბარე ინდიელთა რეზერვაციაში დასახლება, აღმოსავლეთ შტატებთან დამაკავშირებელი საკომუნიკაციოსისტემის განვითარება, ბიზონების ჯოგების გაქრობა, სატრანსპორტო ინფრქასტუქტურის განვითარება, მონტანაში რკინიგზის, შემდეგ კი ავტომობილის გამოჩენა, რელიგიური, და საგანმანათებლო ინსტიტუტების ჩამოყალიბება, სოფლის მეურნეობის განვითარება, ტერიტორიის ეკონომიკური განვითარება. თუმცა სპეციფიკური გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, მონტანაში საზღვრის გაქრობის პროცესი გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებოდა.

1864-1889 წლებში მონტანაში საზღვრის გაქრობის თანმდევი სოციალური რეალობის ტრანსფორმაციის შესწავლა სხვადასხვა ჭრილშია შესაძლებელი. წიანმდებარე სტატიაში მონატანაში საზღვრის გაქრობის ისტორია გეოგრაფიული პერსპექტივიდანაა გაანალიზებული. შორეული დასავლეთის გეოგრაფიული გარემო, ბუნებრივი პირობები და მდებარეობა განსაკუთრებულ გავლენას ახდენდა მონტანაში საზღვრის გაქრობის პროცესსა და ადმაიანთა ცოხვრების ყველა სფეროზე. მონტანაში საზღვრის ეპოქის გაქრობის პროცესის შესწავლისას გეოგრაფიული ფაქტორის როლის გააზრება მნიშვნელოვანია. მონტანას ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომიკურ-გეოგრაფიული გარემო განაპირობებდა მონტანაში საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში

მიმდინარე ცვლილებებს. ამგვარად, სტატიაში ძირითადი ყურადღება დაეთმობა საზღვრის გაქრობის პროცესზე გეოგრაფიულ ფაქტორის გავლენას.

მონტანამ ორმოცდამეერთე შტატის სტატუსით კავშირს 1889 წელს შეუერთდა. ამ დროისთვის ის უკვე დაკავშირებული იყო აღმოსავლეთთან და ამერიკის დიდ ქალაქებთან. თუმცა სულ რაღაც ოცდახუთი წლით ადრე, 1864 წელს, როდესაც შეიქმნა მონტანას ტერიტორია, ის იყო ცივილიზაციისგან ძალიან შორს მდებარე, მიუვალი და გამოუკვლევი მიწა.

დიდი დაბლობების ჩრდილოეთ ნაწილი რომელიც მონტანას აღმოსავლეთით მდებარეობს ამერიკის დასავლეთის შიდა ტერიტორიების აღმოჩენებისა და დასახლებისთვის დიდი ბარიერს ქმნიდა. მტრულად განწყობილი ინდიელების ფაქტორი, მოშიშვლებული სტეპები, სწრაფი და ბობოქარი მდინარეები, რომლებიც დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ ხელს უშლიდა მისურის ზემო წელში, მონტანას მისადგომებთან მონაპირე ახალშენების გაჩენას. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრამდე მონტანა საინტერესო იყო მხოლოდ ბეწვეულზე მონადირეთათვის და წყნარი ოკეანისკენ არარსებული სამდინარო გასასვლელის მაძიებელთათვის.

კონტინენტურ შერთებულ შტატებში მონტანა ამერიკელების მიერ ათვისებული ძველი დასავლეთის ერთ-ერთი უკანასკნელი ტერიოტრიაა. დიდი დაბლობები, მომთაბარე ინდიელები, სატრანსპორტო საშუალებების სიცმირე, სასაზღვრო რეგიონისთვის დამახასიათებელი უკანონობა განიზიდავდა ყველას, გარდა ერთი მუჭა გაბედული პიონერებისა, რომელთაც უმეტესად ოქროსა და ვერცხლის მოპოვების სურვილი ამოძრავებდათ.

მონტანაში მიმდინარეობდა აშშ არმიის ინდილებთან ერთ-ერთი უკანასკნელი სამხედრო დაპირიპსირებები ქვეყანაში. შესაძლებელია ითქვას, რომ არიზონასთან ერთად სწორედ მონატანაში დასრულდა თეთრკანიანი ახალმოსახლეებისა და თავისუფლადმცხოვრები ადგილობრივი ტომების დრამატული მრავალწლიანი ურთიერთობების ისტორია. მონტანაში თითქმის 1880 წლამდე შემორჩნენ მომთაბარე ინდიელები და მეომრები. როდესაც 1860-70-იან წლებში მონტანაში მაღაროელები ჩავიდნენ ის კვლავ რჩებოდა ყველაზე დიდი ტერიტორიად ქვეყანაში, რომელსაც

ინდიელები ფლობდნენ. მონტანაში გადიოდა ერთ-ერთი უკანასკნელი საზღვარი ცივილიზებულ ქალაქბესა და ინდიელებით დასახლებულ ტერიტორიას შორის.

1860 წლისთვის მონტანაში მეჩხერად გაჩენილი მონაპირე ახალშენების დასავლეთით გადაჭიმულ თავისუფალ მიწებზე ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე მობინადრე ბიზონების უკანასკნელი დიდი ჯოგები ბალახობდნენ. ,,ინდიელთა ქვეყანა“ მოიცავდა დასავლეთ დაკოტას, მონტანას აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ ვაიომინგს. აღნიშნული ტერიტორია ჯერ კიდევ წარმოადგენდა ადგილობრივი ინდიელების: ქროუს, სუს, ჩრდილოეთ შაიენების, ბლექფითების მშობლიურ მიწებს.

მონტანა შესაძლოა ბევრისთვის მთებთან ასოცირდება და მთიან მხარესაც ნიშნავს, მაგრამ რეალურად შტატის ტერიტორიის ორ მესამედს დაბლობები მოიცავს, მთის მასივებს კი მხოლოდ ერთი მესამედი უკავია მიუხედავად იმისა, რომ მონტანა როკის მთიანეთის ჩრდილოეთ ნაწილს მოიცავდა და არა სამხრეთს, როგორც კოლორადო, მისი ადრეული ისტორია მაინც ძალიან ჰგავს კოლორადოს განაშენიანების ისტორიას. მონტანაში ახალმოსახლეთა ჩამოსვლა იქ ოქროს აღმოჩენამ განაპირობა. შორეული მონტანასკენ მიმავალ ოქროსმაძიებლებს მეზობლადმდებარე კოლორადოს ოქროს ციებ-ცხელებიც მაგალითიც აძლევდა სტიმულს. მონტანაში ძვირფასი ლითონის მაძიებელთა საცხოვრებელი ბანაკები ისევე მალე შენდებოდა, როგორც ქრებოდა. ამგვარად, ოქროს ციებ-ცხელებამ მონტანას ადრეული ისტორია განსაზღვრა. თუმცა კოლორადოსგან განსვავებით, მითქმა-მოთქმა მონტანაში ოქროს არსებეობის შესახებ მხოლოდ 1850-იან წლების დასაწყისიდან გავრცელდა. მონტანას იზოლირებული გეოგრაფიული გარემო, ორეგონის ბილიკსა და დანარჩენი ტრანსკონტინენტური სატრანსპორტო არხებისგან მოშორებული მდებარეობა მონტანაში ახლამოსახლეების ჩასვლის შესაძლებლობას მინიმუმამდე ამცირებდა. უგზოობის პირობებში მონტანაში მხოლოდ ბეწვეულით მოვაჭრეები და მაუნთინმენები ჩადიოდნენ. აქა-იქ მიმოფანტული პატარა სავაჭრო პუნქტები და მისიები დასვალეთისკენ მიგრაციის ძირითად არტერიებთან და დანარჩენ საზღვართან სუსტად იყვნენ დაკავშირებული და მონტანა საზღვრის ეპოქის გაქრობამდე რჩებოდა ძველი დასავლეთის პერიფერიად.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ კოლონიზაციის ადრეული პერიოდის მონტანაში დასახლებისთვის ბარიერს უფორ მეტად ქმნიდა მანძილი და გეოგრაფიული მდებაროება, ვიდრე ინდიელთა წინააღმდეგობის ფაქტორი, როგორც, თუნდაც, არიზონას შემთხვევაში, სადაც აპაჩები მომთაბარეობდნენ. თუმცა ინდიელთა წინააღმდეგობის ფაქტორის დამცრობა არაა მართებული, მითუფრო, რომ მონტანამდე და მონტანას ტერიტორიაზე ჩრდილოეთ დაბლობების ორი მომთაბარე კულტურა არსებობდა: სუ და შაიენები.

რამ განაპირობა ოდესღაც მიუდგომელი, ინდიელებით დასახლებული, ,,ველური მონტანას" შტატად ჩამოყალიბება და საზღვრის გაქრობა? 1889 წელს მონტანას კავშირში შესვლა დასავლეთის ათვისების პროცესის კულმინაციას წარმოადგენდა. მონტანაში საზღვრის გაქრობა ამერიკის ისტორიაში გეოგრაფიული გარემოს, საზოგადოების, ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი და დრამატული ტრანსფორმაციის მაგალითია.

1880-იანი წლების დასასრულისთვის მონატანას ნომადებს და არც დიდი დაბლობის სხვა ინდიელებს რეზერვაციის გარეთ ცხოვრების შესაძლებლობა პრაქტიკულად ამოწურული ჰქონდათ, რადგან ამ დროისთვის მათი საარსებო წყარო, ბიზონები ამერიკელებმა და დაავადებებმა თითქმის მთლიანად გაანადგურეს.

მონტანაში საზღვრის ეპოქის დასრულება განაპირობა ბიზონებისა და ,,ველური ინდიელების" გაქრობამ, საკომუნიკაციო სისტემის განვითარებამ, საგანმანათლებლო და რელიგიური და სოციალური ინსტიტუტების განვითარებამ. 1864 წელს ჩამოყალიბებული მონტანას ტერიტორია ინდიელების კარვებისა და ოქროსმაძიებელთა ქოხების დასახლებას წარმოადგენდა. ადგილობრივი ინდიელები მომთაბარე თვითმყოფად ცხოვრების წესს მისდევდნენ, მაღარლოეთა დასახლებებში საზღვრისთვის დამახასიათებელი კრიმინალი იყო გავრცლებული, ხოლო ახალშენებში კი სახალხო სამართალი, ვიჯილანტიზმი მოქმედებდა. მიუხედვაად ამისა, მონტანა ძალიან მალე გადაიქცა ცივილიზებულ შტატად და ძველი დრო წარსულს ჩაბარდა. თითქმის ერთ თაობაში გაქრა საზღვრის ეპოქისთვის დამახასიათებლი მარტივი, სადა ცხოვრების წესი, რომელიც ჩაანაცვლა ინდუსტირული ეპოქის საზოგადოებამ და ეკონომიკამ. მეოცე საუკუნის ტექნოლოგიურმა განვითარებამ, ურბანიზაციამ,

ემიგრაციამ სამუდამოდ შეცვლა მონტანას სტეპებში ცხოვრების სურათი. ტერიტორიად ჩამოყალიბებიდან ოცდახუთი წლის შემდეგ მონტანას ძნელად თუ იცნობდით, სიღრმისეული ცვლილებებმა მონტანა სრულიად შეცვალა: ბიზონების თვალუწდენელი ჯოგები გაქრა, ინდიელები რეზერვაციებში ცხოვრობდნენ, კონტინენტის ერთ დროს ყველაზე სახელოვანი მეომრების სტეპებში ათიათასობით სული საქონელი და ცხვარი ბალახობდა, ბიუთი მდიდარ და დიდ ქალაქად გადაიქცა, რკინიგზამ და პრესამ კი შორეული რეგიონი მსოფლიოს დაუკავშირა.

ამგვარად, რკინიგზის გაყვანასთან ერთად მონტანა ამერიკის დიდ ქალაქებს დაუკავშირდა ხოლო საზღვარი წარსულს ჩაბარდა. მონატანას დაბლობებზე ბიზონების ნადირობის ბოლო ეპიზოდებსა და მომთაბარეთა თავისუფალი ცხოვრების უკანასკნელ დღეებს მოესწრო მწერალი ჯემს ვილარდ შულცი, რომელიც იმ პერიოდში ინდიელებთან ერთად ცხოვრობდა. ავტობიოგრაფიული ჟანრის წიგნში მან კარგად ასახა საზღვრის გაქრობის პროცესი და ძველი მონტანას გაქრობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Paul O'Neil, The End and the Myth, Time-Life Books, Alexandria, Virginia, 1979.
2. Clark C. Spence, Montana a Bicentennial History, W.W. Norton and Company ,Inc., New York, 1978.
3. Mark H. Brown, W.R. Felton, Montana, The Frontier Years, L.A. Huffman, Photographer of the Plains, Hennry Holt and Company, New York, 1955.
4. D.W. Meinig, The Shaping of America, A geographical Perspective on 500 years of History, v3, Yale University Press, New Haven, 1998.
5. Aaron Parrett, Montana: Then and Now, Bangtail Press, Bozeman, 2014.

Mikheil Barnovi

PhD, Assistant Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Vanishing Frontier in Montana

(1864-1889)

Summary

When Montana Territory was established in 1864, it was a land of Indian tepees. Most of the plains of Montana were unsettled during 1860ies. The last frontier was vast stretch of open country in Eastern Montana, homeland for Crows, Cheyennes, Sioux, Blackfeet and last herds of buffalo. As American settlers pushed westward and reached plains of Montana, they inevitably came into conflict with Indian tribes that had long been living on the land.

Colonization of Montana proceeded slightly later. Montana's development was initiated by the miners from the first gold diggings of 1862. Main obstacle for rapid colonization of Montana was the fact that it was remote. Montana was huge block of land and its population tripled in the 1880s. When Prospective gold-diggers flooded into the Rocky Mountains, the relentless pace of continental expansion inevitably heightened conflicts with Indians. In Montana the Blackfoot and Crow were forced to leave their tribal lands. Montana was the setting of the final episodes of the Indian Wars.

Relocation of Indian, new cities, churches, newspapers, schools and farming changed Montana forever. Railroads linked once isolated Montana with the rest of the world. End of Indian Wars, destruction of buffalo cause disappearing of frontier and old Montana. Transformation of Montana form wilderness to statehood took place during 1864-1889.

მარიამ ლაზარაშვილი

ამერიკისმცოდნეობის დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამოქალაქო უფლებების მოძრაობა და ამერიკელი ებრაელები: მიზნები და მოლოდინები

ებრაელთა ისტორია ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯერ კიდევ კოლონიური პერიოდიდან იწყება. დროთა განმავლობაში მათი სოციალურ-ეკონომიკური მგომარეობა და სტატუსი ქვეყანაში იცვლებოდა და სხვადასხვა სახით ყალიბდებოდა. იცლებოდა მათი მისწრაფებებიც. ერთ-ერთი *მთავარი საკითხი, რომელიც პირველი თაობის ამერიკელ ებრაელებს აწუხებდათ, ეკონომიკური ხასიათის იყო, რადგან ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ სწრაფვა, თავის მხრივ, სოციალური სტატუსის გამყარების წინაპირობად და უცხო საზოგადოებაში თავის გადარჩენის აუცილებელ კომპონენტად მიიჩნევა.*

მისწრაფება, რომელიც მომდევნო თაობის ამერიკელ ებრაელებს ახასიათებდათ, იყო მარგინალობა და არა - გადარჩენა. მაშასადამე, როგორც ჩვეულ გარემოსა და ცხოვრების წესს მოწყვეტილი ადამიანთა ჯგუფი, ისინი ცდილობდნენ შეგუებოდნენ ცხოვრების ახალ პირობებს და თავისი ქცევა შეესაბამებინათ განსხვავებული კულტურისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკელ ებრაელთა მისწრაფებებმა ჩამოაყალიბა კონსერვატიული და რეფორმატორული იუდაიზმის დამცველი, ცალკეული, მაგრამ ამავდროულად მეტნაკლებად ასიმილირებული ეთნიკური საზოგადოება, რომლიც იღწვოდა თანასწორუფლებიანობისკენ.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდი ამერიკელი ებრაელების ისტორიაში „ოქროს ხანად“ მოიხსენიება, რადგან შემდგომი 20 წლის განმავლობაში ებრაელთა საზოგადოებრივი ჩართულობა სრულად პასუხობდა ომის შემდგომი ამერიკის მთავარ გამოძახილებს, იქნებოდა ეს ეკონომიკური კეთილდღეობა, სუბურბანიზაცია,

პოლიტიკური და კულტურული ლიბერალიზმის ტრიუმფი, თუ შეუზღუდავი შესაძლებლობების ექსპანსიურობა. მათ დაინახეს თავის დამკვიდრების უამრავი ახალი შესაძლებლობა. ახალმა გამოწვევებმა ებრაელებს საშუალება მისცა საერთო აღმშენებლობით საქმიანობაში დანარჩენ საზოგადოებას შეერთებოდნენ და ამით უფრო სრულფასოვან მოქალაქეებად წარმოეჩინათ თავი.

თვალსაჩინოა ამერიკელ ებრაელთა ჩართულობა 1950-60-იანი წლების აფროამერიკელთა სამოქალაქო უფლებების მოძრაობაში. *საზოგადოებრივი ცვლილებების გატარების მიზნით ისინი მჭიდროდ თამშრომლობდნენ სამოქალაქო უფლებებისთვის მებრძოლ ორგანიზაციებთან. ორგანიზებული ებრაული თემი, სინაგოგა და სხვადასხვა ებრაული ორგანიზაციები - გამოვიდნენ და დადგნენ უფლებებისთვის მებრძოლთა რიგებში. ათასობით ებრაელი თავისი საქმიანობით ცდილობდა ქვეყანაში სამართლიანი გარემო შეექმნა. მაგალითად, ახალგაზრდული მოძრაობის „ჰაშომერ ჰათზეარის“ (Hashomer Hatzair) ებრაელი აქტივისტი ბელა აბზუგი (Bella Abzug), რომელიც კოლუმბიის სამართლის სკოლის კურსდამთავრებული იყო, უშედეგოდ ცდილობდა დაეცვა ფერადკანიანი უილი მაკგი (Willie McGee), რომელსაც უსამართლოდ სდებდნენ ბრალს თეთრკანიანი ქალის გაუპატიურებაში. აბზუგი ღიად ადანაშაულებდა აშშ-ს უზენაეს სასამართლოს ფერადკანიანთა მიმართ ქვეყანაში არსებული არასრულყოფილი იურიდიული მომსახურეობის გამო და აცხადებდა, რომ არსებული პოლიტიკის პირობებში მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის არასდროს წარიმართებოდა სამართლიანი სასამართლო პროცესი.*

იგივე მისწრაფებები განაპირობებდა ებრაელთა ქცევას ორგანიზაციულ დონეზეც. არაერთი ებრაული ორგანიზაცია დადგა უფლებებისთვის მებრძოლი გაერთიანებების გვედით. ვაშინგტონის ებრაული საბჭოს მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე შედგა დელეგაცია, რომელსაც სკოლებში რასობრივი ინტეგრაციის ლობირება დაევალა. მათ ხმა უნდა მიეწვდინათ საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებისთვის, რომ ებრაული თემი რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ გამოდიოდა.

*1950 წელს ამერიკულ-ებრაულმა კომიტეტმა, სკოლებში რასობრივი სეგრეგაციის პირობებში არსებული ბავშვთა ფსიქოლოგიური მდომარეობის შესწავლის მიზნით, ფერადკანიანი ფსიქოლოგი კენეტ კლარკი (Kenneth Clark) დაიქირავა. კლარკის მიერ ჩატარებულმა კვლევის შედეგმა გამოააშკარავა, რომ არსებული არათანასწორი მდგომარეობა აფროამერიკელ ბავშვებს თვითშეფასების გრძნობას უქვეითებდა, რაც, თავის მხრივ, მათში დიდ ფსიქოლოგიურ პრობლემებს წარმოქმნიდა. ფსიქოლოგის ეს შეფასება პირდაპირ შევიდა „ფერადკანიანთა წინსვლის ეროვნული ასოციაციის“ (*National Association for the Advancement of Colored People (NAACP) მიერ მომზადებულ სამართლებრივ დოკუმენტში, რომლის გათვალისწინებით, 1954 წელს აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ სკოლებში რასობრივი სეგრეგაცია არაკანონიერად სცნო. სასამართლო პროცესი, ცნობილია სახელწოდებით - „ბრაუნი განათლების საბჭოს წინააღმდეგ“ და ის სეგრეგაციის წინააღმდეგ მიმართულ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად ითვლება. რეფორმატორული მოძრაობის ებრაელმა წევრმა მაურის ეიზენდრათიმ (Maurice Eizendrath) სასამართლოს გადაწყვეტილება ასე შეაფასა: „ჩვენი საკუთარი ებრაული მიზნის და ჩვენი ბედის ამერიკული ოცნების ჭეშმარიტად სისრულეში მოყვანა.“

„თავისუფლების ზაფხული“ ფედერალური ორგანიზაციების საბჭოს მიერ შექმნილი პროექტი იყო, რომელიც მისისიპიში მოხალისეობრივ კამპანიას ახორციელებდა. პროექტის ფარგლებში მოხალისეებს ევალებოდათ ხმის მიცემის უფლების მქონე აფროამერიკელების დარეგისტრირება, რის შედეგადაც ისინი არჩევნებში მონაწილეობას შეძლებდნენ. ებრაულ ამერიკულ ყოველწლიურ წიგნში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, „მისისპის თავისუფლების ზაფხულში“ ებრაელ სტუდენტთა რაოდენობამ 1/3-დან 1/2-მდე შეადგინა. მოხალისეთა რიგებში იყვნენ მომავალი კონგრესმენი ბერნი ფრანკი (Barney Frank), ასევე, ებრაული წარმოშობის ცნობილი არქიტექტორი ალარდ ლუენშტეინი (Allard Lowenstein). „თავისუფლების ზაფხულის“ პროქტის მიმდინარეობისას, ორი ახალგაზრდა ებრაელი მოხალისე მაიკლ შვერნერი (Michael Schwerner) და ენდრიუ გუდმანი (Andrew Goodman) ფერადკანიან ჯეიმს ჩეინისთან (James Chaney) ერთად ე.წ. „კლანსმენებმა“ გამოასალმეს

სიცოცხლეს, ხოლო ცხედრები საიდუმლოდ გადამალეს. მხოლოდ ორი თვის შემდეგ შეძლეს მათი სამარხების პოვნა. *ფიზიკური ანგარიშსწორების მსხვერპლი გახდა "ამერიკულ ებრაული კონგრესის" წევრი, რაბინი არტურ ჯ. ლელიველდიც (Arthur J. Lelyveld), რომელიც ჰეტისბურგში, მისისიპიში, არჩევნებში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაციას აწარმოებდა. აღნიშნული ფაქტი გვიდასტურებს, რომ ებრაული თემის ცნობილი წარმომადგენლებიც კი, ჯანმრთელობის და პირადი უსაფრთხოების ფასად იბრძოდნენ ფერადკანიანთა სამოქალაქო უფლებებისთვის.*

მარტინ ლუთერ კინგი, რასიზმის არაძალისმიერი წინააღმდეგობის ფერადკანიანი ლიდერი, ხშირად გამოხატავდა მადლიერებას აფროამერიკულ და ებრაულ თემს შორის არსებული მჭიდრო კავშირის გამო. 1958 წელს "ამერიკულ ებრაული კონგრესის" სხდომაზე მან განაცხადა: „ჩემი ხალხი ამერიკაში ჯაჭვებით მოიყვანეს. თქვენი ხალხი ევროპაში არსებულ ჯაჭვებს გამოექცა. ჩვენი ერთობა საუკუნეების განმავლობაში არსებულ საერთო ბრძოლაში დაიბადა, რომელიც არა მხოლოდ მონობისგან თავის დაღწევაში გამოიხატება, არამედ სხვა ადამიანების მხრიდან ნებისმიერი ადამიანის ჩაგვრის უგულვებელყოფაში."

1963 წელს ორასზე მეტი რეფორმატორი, კონსერვატორი, თუ ორთოდოქსი რაბინი მონაწილეობდა ვაშინგტონის ისტორიულ მარშში, სადაც მარტინ ლუთერ კინგმა თავისი ცნობილი მიმართვა „მე მაქვს ოცნება" გააჟღერა. სამოქალაქო უფლებების დამცველთა რიგებში იყვნენ ებრაელებიც, როდესაც მათ 1965 წელს ფერადკანიანთა საარჩევნო უფლებების დაცვის მოთხოვნით ალაბამას შტატის ქ. სელმადან მონტგომერამდე მშვიდობიანი მსვლელობა მოაწყეს. ბევრი ამერიკელი კარგად იცნობს რაბინ აბრაამ ჯოშუა ჰეტჩელისა (Abraham Joshua Heschel) და მარტინ ლუთერ კინგის ცნობილ სურათს, სადაც ისინი ხელიხელგაყრილნი იდგნენ ხმის მიცემის უფლებებისთვის გამართული ცნობილი საპროტესტო მოძრაობის ფრონტზე. როგორც წლების შემდეგ ჰეტჩელის ქალიშვილმა აღნიშნა, მამამისისთვის მარში მხოლოდ პოლიტიკურ დემონსტრაციას არ ნიშნავდა, ეს რელიგიური მნიშვნელობის მოვლენაც იყო, ეს იყო წინასწარმეტყველთა გზავნილი, რომლის უმთავრესი მიზანი სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ზრუნვა იყო.

პასუხი კითხვაზე, თუ რამ განაპირობა ამერიკელ ებრაელთა ასეთი დოზით ჩართულობა აფოამერიკელთა უფლებებისთვის ბრძოლის საკითხში და რატომ შეუქმნეს თავს საფრთხე გამხდარიყვნენ კონკრეტული სუბიექტების და სუბიექტთა ჯგუფების მხრიდან აგრესიის მსხვერპლნი, მაშინ როცა მათთვის ე.წ. „აყვავების ხანა“ იდგა, ჩემი აზრით, აშკარაა. იმ მესიანურ ვალდებულებასთან ერთად, რომელიც მათივე განმარტებით, სამართლიანი გარემოს შექმნაში აკისრებდა ებრაელებს პასუხისმგებლობას, გასათვალისწინებელია სხვა ფაქტორებიც, მაგ. წარსული არასახარბიელო გამოცდილება და მომავლის შიში. საგულისხმოა, რომ 1930-1940-იან წლებში ებრაელთა მიმართ აშშ-ში მზარდი ანტისემიტური ტენდენცია შეინიშნებოდა. მეორე მს. ომის შემდეგ ვითარება ამ მხრივ ნელ-ნელა დასტაბილურდა და ებრაელები მეტად ინტეგრირებულ ეთნიკურ ჯგუფად გვევლინება, ბევრი ახალი გამოწვევითა და პერსპექტივით, მაგრამ ისინი სრულად ვერ იქნებოდნენ ვითარების სტაბილურობაში დარწმუნებულნი. ვფიქრობ, მიმდინარე მოვლენებში ებრაელთა ჩართვის მთავარი ორიენტირი საკუთარი სტატუსის განმტკიცება იყო. ბუნებრივია, არათანსწორ საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის პროცესიც შეფერხდებოდა და ვეღარ მიიღებდნენ იმ სიკეთეებს, რაც მათ ერთიან, თანასწორუფლებიან გარემოში ელოდათ. ამას მოწმობს, *1963 წელს ცინცინატის ებრაულ თემთა ურთიერთობის საბჭოზე (Jewish community relation council of Cincinnati) გაკეთებული განცხადებაც, სადაც აფროამერიკელთა უფლებებითვის ბრძოლის საკითხთან მიმართებით არსებულ ებრაელთა ინტერესებზე გაკეთდა აქცენტი. განცახდებაში ხაზი გაესვა, ებრაელთა, როგორც კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა სარგებელს რასობრივი სეგრეგაციის აღმოფხვრის შემთხვევაში - „საზოგადოება, რომელშიც ებრაელები დაცულად გრძნობენ თავს, თავადაც დაცულია, მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა რასის მოქალაქე სარგებლობს სრული თანასწორუფლებიანობით.“ მათ სჯეროდათ, რომ ახალ ამერიკაში, ხალხს მეტი თავისუფლება ექნებოდა სურვილისამებრ შეერჩიათ საცხოვრებელი ადგილი, სამსახური, კოლეჯი, თუ უნივერსიტეტი და რომ არავის ექნებოდა უფლება, მათთვის ხელი შეეშალა იმის გამო, რომ ისინი ებრაელები, ან აფროამერიკელები იყვნენ.* ალბათ, *აწ უკვე წარსული გამოცდილებით*

მიღებულმა ტრავმამ და ომის შემდგომ ქვეყანაში არსებულმა პოლიტიკურმა კლიმატმა, იმ მისწრაფებებმა და მოლოდინებმა, რაც მათ სამართლიან, თანასწორ საზოგადოებაში ცხოვრებით მიეცემოდა, მისცა ბიძგი ჩართულიყვნენ ფერადკანიანთა სამოქალაქო უფლებებისთვის მოძრაობაში, დამდგარიყვნენ მათ გვერდით და ამითი საკუთარი სამომავლო საზოგადოებრივი სტატუსიც განემტკიცებინათ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. American Jewish yearbook, 54, 1953, 107.
2. American Jewish yearbook, 56, 1955, 241.
3. Chanes, Jerome A. Jews in Civil Right Movement. Jewish Telegraphic Agency. May 3, 2011. https://www.jta.org/2011/05/03/united-states/jews-and-the-civil-rights-movement (ბოლოს დამოწმებულია: 17.02.2020)
4. Diner, Hasia R. Fifty years of Jewish self-governance: The Jewish community council of greater Washington, 1938-1988. Washington DC: Jewish community council of Greater Washington, 1988, 268.
5. Dollinger, Marc. Quest for Inclusion: Jews and liberalism in modern America. Princeton, Pronceton University Press, 2000.
6. Dreier, Peter. Martin Luther King Jr., the Civil Rights Movement, and American Jews. Los Angeles review of books. Jan. 18, 2020.
7. Hatchel, Susannah. Following in my father's footsteps: Selma 40 years later. The newspaper of the Dortmouth Faculty and Staff, Apr. 4, 2005.
8. Pasternak,Rachel Nierenberg. Fisher,Rachel Eskin. Price, Clement. Rabbi Joachim Prinz: The Jewish Leader Who Bridged Two Journeys, From Slavery to Freedom, Moment, 2014. November 6. https://momentmag.com/rabbi-joachim-prinz-jewish-leader-bridged-two-journeys-slavery-freedom/ (ბოლოს დამოწმებულია: 12.01.2020)
9. Sklare,Marshall. Children of the gilded Gheto, by Judith R. Kramer andSeymour Leventman. Comentary, April, 1962. https://www.commentarymagazine.com/articles/children-of-the-gilded-ghetto-by-judith-r-kramer-and-seymour-leventman/ (ბოლოს დამოწმებულია: 20.12.19)

Mariam Lazarashvili

PhD Student, American Studies

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Civil Rights Movement and American Jews: Goals and Expectations

Summary

History remembers many protests that had important results. The United States Civil Rights Movement, which opposed racial discrimination and segregation, gained equal rights under the law to the African-Americans. Participants of this historical moment were American Jews, whose contributions have been repeatedly praised by well-known African-American leaders and historians too.

Based on the sources, which include personal records, interviews and texts of public speeches along with historical facts, the article outlines the main goals and aspirations that led American Jews to engage in the Civil Rights Movement. In order to better analyze the issue, the social, economic and political situation and experience of the American Jews of a given period are taken into consideration, that implies a better study of the nature and character of a particular ethnic group.

ომარ წერეთელი

ამერიკისმცოდნეობის დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მიერ დამტკიცებული 2019 წლის სამხედრო ბიუჯეტი და საქართველო

საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატებს მჭიდრო ეკონომიკური კავშირებისა და სამხედრო ურთიერთთანამშრომლობის მრავალწლიანი ისტორია აქვთ. განსაკუთრებით კი უნდა გამოიყოს 2008 წლის რუსული აგრესიის შედეგად აშშ-საქართველოს შორის გაფორმებული სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ქარტია, რომელსაც ხელი მოეწერა 2009 წლის 9 იანვარს. ბევრი მკვლევარი საქართველოს მიიჩნევს, როგორც პოსტ-საბჭოთა სივრცეში ყველაზე დემოკრატიულ სახელმწიფოდ მიუხედავად მრავალი მიმდინარე შიდა თუ გარე გამოწვევებისა. 2012 წელს ცენტრალურმა-მემარცხენე პოლიტიკურმა პარტიამ გაიმარვა საპარლამენტო არჩევნებში და მას შემდეგ ამერიკა-საქართველოს შორის სამხედრო, უსაფრთოხებისა თუ ეკონომიკური თანამშრომლობის ახალი ფურცელი გადაიშალა.

უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ის წინა დემოკრატი პრეზიდენტის ბარაკ ობამას კომპრომისული საგარეო პოლიტიკური ინიციატივებისგან განსხვავებით, რესპუბლიკელმა დონალდ ტრამპმა უკვე წარადგინა პროგრამებისა და პოლიტიკური მექანიზმების გარკვეული ჩამონათვალი ინიციატივების სახით, რომლებმაც მნიშვნელოვნად წაახალისეს ახალი დემოკრატიების სამხედრო-პოლიტიკური სისტემები, მათ შორის საქართველოს თავდაცვისუნარიანობის სექტორი. შევეცდები ჩემი კვლევით უფრო დეტალურად წარმოგიდგინოთ ხსენებული პროგრამებისა და ინიციატივების სპექტრი, კონკრეტულად კი 2019 წლის სამხედრო ავტორიზაციის აქტის ფარგლებში, რომელიც, ჩემი აზრით, ფინანსური თვალსაზრისით უპრეცენდენტო დოკუმენტია.

ეროვნული თავდაცვის ავტორიზაციის აქტი (NDAA)

თავდაცვის უსაფრთხოების ავტორიზაციის აქტი ანუ იგივე ყოველწლიური სამხედრო ბიუჯეტი არის შეერთებული შტატების ფედერალური კანონის მიერ განსაზღვრული აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის ბიუჯეტი, რომელიც საზღვრავს დასაფინანსებელ სექტორებს, და ზოგად-სამხედრო საფინანსო პოლიტიკას ამა თუ იმ სახელმწიფოს მისამართით. პირველი სამხედრო ბიუჯეტი დამტკიცებულ იქნა 1961 წელს.

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის თანხმად, სენატი და წარმომადგენლობითი პალატა იკრიბება ყოველწლიურად, რათა მიიღონ ეროვნული თავდაცვიის ბიუჯეტის ავტორიზაციის აქტი. კანონპროექტი არ ისახავს მიზნად სამხედრო დაფინანსების გამოყოფას, ის ადგენს პოლიტიკას, რომლის ფარგლებშიც დაფინანსება დგინდება საკანონმდებლო ორგანოში არსებული სპეციალიზირებული კომიტეტების მეშვეობით.

2019 წლის ეროვნული თავდაცვის ავროზიაციის აქტი

ჩემი კვლევით შევეცდები წარმოგიდგინოთ 2019 წლის ეროვნული სამხედრო ბიუჯეტის განსაკუთრებული მნიშვნელობა განვითარებადი სახელმწიფოების დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების კუთხით. 2019 წლის ავტორიზაციის აქტი, რომელიც შტატ არიზონის სენატორ ჯონ მაკკეინის სახელს ატარებს, მიღებული იქნა სენატისა და წარმომადგენლობითი პალატის მიერ 2018 წლის მაისში, რომელსაც საბოლოო სახე ივნისის შუა რიცხვებისთვის მიეცა და გადაეგზავნა პრეზიდენტს ხელმოსაწერად. პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა კი ამა წლის 13 აგვისტოს გამოსცა ხელმოწერილი დოკუმენტი.

აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, რუსეთის ფედერაცია განხილულია როგორც პოტენციურად საფრთხის შემცველი სახელმწიფო, რომელიც პოტენციური საფრთხის მატარებელია შეერთებული შტატების მოკავშირე მცირე დემოკრატიებისთვის, როგორც რეგიონში მდებარე გარკვეული მეზობელი სახელმწიფოების, ისე ევროპის გარკვეული ქვეყნებისთვის.

ეროვნული თავდაცვის ავტორიზაციის აქტის მიღება ხდება საკონსოლიდაციო აქტის გამოსვლიდან (*Consolidated Appropriations Act*) 6 თვის შემდეგ. ეს უკანასკნელი გახლავთ ყოველწლიური საბიუჯეტო კანონი, რომელიც განსაზღვრული და შედგენილია აშშ-ის სხვადასხვა ფედერალური სააგენტოების მიერ, რომლებმაც ჯამში გამოჰყვეს 105.3 მილიონი დოლარი საქართველოს დასახმარებლად, მათ შორის საქართველოს რეგიონების - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად არაღიარების პოლიტიკის ხელშეწყობის მიზნით.

წინამდებარე დოკუმენტით შეერთებული შტატების სენატი მოუწოდებს ადმინისტრაციას, აღმ. ევროპის ქვეყნებთან და საქართველოსთან აწარმოოს თავდაცვის სფეროში თანამშრომლობითი ღონისძიებები, შეიმუშაოს უსაფრთხოების სტრატეგია და ა.შ.

თავად ფაქტი, რომ შეერთებული შტატების კონგრესი ოფიციალური მხარდამჭერი აქტებით ყურადღებას ამახვილებს საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვაზე გახლავთ შტატების მჭიდრო სამხედრო თანამშრომლობის ნათელი დასტური ჩვენი ქვეყნის მიმართ და ასევე მიუთითებს საქართველოს განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე შტატების პოლიტიკურ დღისწერიგში. 2019 ფისკალური წლის თავდაცვის ავტორიზაციის დოკუმენტში საქართველო ოფიციალურად იყო, მოხსენიებული როგორც „ღირებული მეგობარი“.

2019 წლის 717 მილიარდიანი დოლარის სამხედრო ბიუჯეტი და საქართველო

პრეზიდენტ ტრამპის მიერ 2018 წლის 13 აგისტოს ხელმოწერილი და დამტკიცებული 2019 წლის სამხედრო ბიუჯეტი უპრეცენდენტო სამხედრო ფინანსური დოკუმენტია თავისი მოცულობით. რაც ყველაზე მნშვნელოვანია, წლების განმავლობაში ხელმოწერილი ეროვნული ავტორიზაციის აქტები დიდ ყურადღებას უთმობდნენ მსოფლიო ტერორიზმს, ადამიანის უფლებების დაცვასა და ბირთვული იარაღით მომდინარე საფრთხეებს, ისევე როგორც, მის გაუვრცელობასთან დაკავშირებულ საკითხებს, მაგრამ 2019 წლის აქტი უკვე აქცენტს საგარეო გამოწვევებზე აკეთებს, კერძოდ გამოკვეთილია ორი სუბიექტი: რუსეთი და ჩინეთი.

ბიუჯეტში 6.3 მილიარდი დოლარი შეერთებული შტატების სამხედრო რესურსის ევროპაში წარმომადგენლობაზეა გამოყოფილი, რომელიც თანხის მოცულობით უპრეცედენტოა ცივი ომის პერიოდის შემდეგ.

2019 წლის ბიუჯეტის თანახმად, რუსეთისგან მომდინარე აგრესიული და პროპაგანდისტული საფრთხის წინააღმდეგ გადაიდგა შემდეგი ნაბიჯები, კერძოდ:

- შეიზღუდა რუსეთთან სამხედრო ტიპის თანამშრომლობა;
- აიკრძალა შეერთებული შტატების მთავრობის მიერ ყირიმის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ ერთეულებად ან რუსეთის შემადგენლობაში შესვლის ცნობა;
- ჩაიწერა ნატოს ღია-კარის პოლიტიკისადმი მხარდაჭერისა და ლობირების წარმოება საქართველოსთვის (ამ უკანასკნელის ნატოში გაწევრიანების მიზნით);
- გაიწერა ნატოს ჯარებისა და მსოფლიო თანამეგობრობის სხვა სამხედრო შენაერთების წარმომადგენლობის სიხშირის გაზრდა შავი ზღვის წყლებში;

- დაიგეგმა საქართველოსთვის თავდაცვის იარაღების გადაცემა, ისევე როგორც თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში ქართულ-ამერიკული შენაერთების ერთობლივი წვრთნა საქართველოს ნატოში გაწევრიანების გზაზე;

(დოკუმენტის ნომერი - H.R.5515 - ჯონ მაკკეინის სახელობის ეროვნული თავდაცვის 2019 ფისკალური წლის ავტორიზაციის აქტი)

აღნიშნული დოკუმენტის მასშტაბი, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე, უპრეცედენტოა საქართველოსა და უკრაინისთვის, რადგანაც წინა წლების სამხედრო ბიუჯეტებში არცერთ მათგანს არ ჰქონდათ ამ მასშტაბის დრო და ადგილი დათმობილი.

დასკვნა:

- როგორც ზემოთ აღვნიშნე, ეროვნული თავდაცვის 2019 წლის ფისკალური წლის ავტორიზაციის აქტიში საუბარია საქართველოზე და გამოკვეთილია კონკრეტული პოლიტიკური მექანიზმები, თუ როგორ უნდა შეეწყოს ხელი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას, უსაფრთხოების გაძლიერებასა და სამხედრო რესურსის ნატოს სტანდარტებთან თავსებადობაში მოყვანას, რაც უაღრესად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა;
- 2019 წლის სამხედრო ბიუჯეტი ასევე საზღვრავს კონკრეტულ პოლიტიკურ მიდგომებს რუსეთთან მიმათებით, რომელიც საქართველოსთვის ძირითადი საფრთხე და გამოწვევაა რეგიონში;
- და ბოლოს, რომ შევაჯამოთ აღნიშნული აქტით მიღებული სარგებელი, შეიძლება ითქვას, რომ სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის შემდგომ, 2019 წლის ეროვნული თავდაცვის ავტორიზაციის აქტი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია საქართველოსთვის, რომელიც უზრუნველყოფს სამხედრო სტაბილურობასა და წარმოადგენს ჩვენი სახელმწიფოს თავდაცვის სექტორის განვითარების გარანტს .

გამოყენებული ლიტერატურა

1. Schifrin, N: *What's in the defense authorization act*, August 13, 2018|3:00 PM. PBS News Hour Publication https://www.pbs.org/newshour/nation/whats-in-the-defense-authorization-act
2. Welt, C: *Georgia: Background and U.S. Policy,* September 5, 2018. Congressional Research Service Publication. https://fas.org/sgp/crs/row/R45307.pdf
3. Congress.gov: *H.R.5515 - John S. McCain National Defense Authorization Act for Fiscal Year 2019,* August 13, 2018. https://www.congress.gov/bill/115th-congress/house-bill/5515/text
4. Civil.ge: *Georgia in the U.S. Military Budget for 2019*, August 13, 2018. https://civil.ge/archives/249112
5. Hagler. F: *Why the NDAA bill is even scarier than you thought*, December 15, 2012. MIC News Publication https://mic.com/articles/20835/why-the-ndaa-bill-is-even-scarier-than-you-thought#.Z7afSZWpj
6. Jamie McIntyre & Travis J. Tritten: *Highlights from the $717 billion defense policy bill, now headed to Trump for his signature,* August 02, 2018 07:04 AM. Washington Examiner Magazine Publication. https://www.washingtonexaminer.com/highlights-from-the-717-billion-defense-policy-bill-now-headed-to-trump-for-his-signature
7. Ministry of Foreign Affairs of Georgia (MFA): *The US Defense Authorization Act for the 2019 fiscal year,* September, 2018. http://mfa.gov.ge/News/2019-fiskaluri-clis-ashsh-s-tavdacvis-avtorizaciis.aspx?CatID=5&lang=en-US

8. COMMITTEE ON ARMED SERVICES HOUSE OF REPRESENTATIVES: *The US Defense Authorization Act for the 2019 fiscal year,* 115th Congress 2nd Edition. https://rules.house.gov/sites/republicans.rules.house.gov/files/CRPT-115HRPT-676.pdf

Omar Tsereteli

PhD Student, American Studies

Ivane Javakhisvhili Tbilisi State University

Georgia in the U.S. Military Budget for 2019 signed by President Trump

Summary

The purpose of this research paper is to discuss new Defence Authorization Act for 2019 signed by President Donald Trump on August 13, 2018 and its impact on Georgia. A major component of the article is to analyse the Defence Policy of both countries and determine common threats and risks including internal and external challenges. As the Act is an annual budgetary legislation that sets defence policies and establishes their funding levels, I will try to focus on the provisions of the Defence Authorization Act with its $716 billion national budget, which provides "robust security sector assistance" for Georgia, including defensive lethal assistance, as well as to strengthen the defence capabilities and readiness of the country, and improve its interoperability with NATO forces.

The hypothesis predicts that the development of the US-Georgia defense and security cooperation is increasing that is based on several internationally significant official documents like: *U.S.-Georgia Strategic Partnership*, *Memorandum of Understandings about strengthening the defense capabilities of Georgia*, and my present research topic - *Defense Authorization Act for 2019. These signed opportunities* greatly strengthen the level of sustainable partnership between the countries. Correspondingly, the research question is: *what are the advantages of the Authorization Act for 2019 and how effectively can it be reflected on Georgia's territorial integrity and sovereignty.*

The final results of this analysis can be used to find the real benefits out of this Defence Budget and based on it, intensify dialogue, military ties and defence and security cooperation between the United States and Georgia.

მარინე ჩანგიანი

ამერიკისმცოდნეობის დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს პრემიერ - მინისტრების ოფიციალური ვიზიტები აშშ-ში და პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციასთან შეხვედრები

მოხსენებაში ქრონოლოგიურად განხილულია საქართველოს პრემიერ-მინისტრების ამერიკის შეერთებულ შტატებში ოფიციალური ვიზიტები. აგრეთვე მოცემულია შეხვედრების შემდგომ ამერიკული მთავრობის შეფასებები და მათი დამოკიდებულება ქართულ- ამერიკულ თანამშრომლობაზე.

2017 წლიდან- 2020 წლის თებერვლამდე საქართველო ბევრი პოლიტიკური მოვლენის ეპიცენტრი გახდა. „ქართული ოცნების“ თავჯდომარემ, ბიძინა ივანიშვილმა, უკვე მესამე პრემიერ-მინისტრი წარადგინა, თუმცა, ამით საქართველოს რიგითი მოქალაქეებისთვის თითქმის არაფერი შეცვლილა. რაც შეეხება საქართველო-შტატების ურთიერთობას, მიუხედავად მწვავე კრიტიკის და კონგრესმენების წერილების, აშშ-ს მთავრობა აგრძელებს თავისი პარტნიორის დახმარებას და მუდამ იმედს გამოთქვამს, რომ საქართველო ნამდვილად ძლიერ და დამოუკიდებელ ქვეყნად ჩამოყალიბდება, რომელიც ჩრდილო- ატლანტიკური ალიანსისკენ მიმავალ გზას წარმატებით დაასრულებს. ბოლოდროინდელი საგარეო და საშინაო პოლიტიკურ პროცესებს თუ გავითვალიაწინებთ, დავინახავთ, რომ ქართულ- ამერიკული პოლიტიკური პარტნიორობის ფასი უფრო მაღალია.

2017 წლის 20 იანვარს თეთრი სახლის ოვალური კაბინეტი რესპუბლიკელმა დონალდ ტრამპმა დაიკავა. ახლადარჩეულ მსოფლიოს ერთ-ერთი ზე-სახელმწიფოს ლოდერის ამოცანა ახალი საგარეო პოლიტიკური გეგმის შემუშავებაა, გაითვალისწინებს, როგორც ამერიკულ ნაციონალურ ინტერესებს, ასევე გლობალურ პასუხისმგებლობის უსაფრთხოებას. პრეზიდენტ ტრამპის წინაშე, ისევე როგორც ნებისმიერი ამერიკელი პრეზიდენტის წინაშე დგას მთავარი ამოცანა- ამერიკული ჰეგემონიის ურყევობა და მისი დაცვა სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონებში. სამხრეთ კავკასია კი არის ის რეგიონი, რომელიც დიდი ხანია გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვანია და სადაც შტატებს ისტორიულად მის უპირველესს მეტოქესთან- რუსეთის ფედერაციასთან გავლენის სფეროების გადანაწილებისთვის პაექრობა უწევს .

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქართულ-ამერიკული ურთიერთობები ახალი ადმინისტრაციის დროსაც საინტერესოდ, პრაგმატულად და ნაყოფიერად ვითარდება.

2017 წელს საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილი შტატებში ვიზიტისას შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს რექს ტილერსონს. ორმხრივი შეხვედრის დროს სახელმწიფო მდივანმა მკაფიო მხარდაჭერა გამოხატა საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ.

ამერიკის შეეთებული შტატები მადლიერია ავღანეთსა და სხვა ადგილებში ქართული შეიარაღებული ძალების თავგანწირვით, ჩვენ ერთად ვზეიმობთ საქართველოს წარმატებას და ვგლოვობთ მათ, ვინც ტერორიზმთან ბრძოლაში დაიღუპა.“ - ნათქვამია სახელმწიფო მდივნის განცხადებაში. ტილერსონი ასევე დასძენს, რომ საქართველო კვლავ გამოირჩევა დემოკრატიული პრინციპებისადმი რწმენითა და თავდადებით.

საქართველოს დელეგაციის სტუმრობა შტატებში და ახალი ადმინისტრაციის განცხადებებით, ნათელია, რომ ოფიციალურ თბილისსა და ვაშინგტონს შორის დიპლომატიურ-პარტნიორული ურთიერთობებლი ახალ ეტაპზე გადავიდა, რაც საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია სტრატეგიულად. გარდა ამისა, ეს არის დასტური იმის, რომ შტატები კვლავ აპირებს სამხრეთ კავკასიაში საკუთარი გეოპოლიტიკური პოზიციები და ინტერესები დაიცვას.

პრემიერ გიორგი კვირიკაშვილს უმასპინძლა ვიცე-პრეზიდენტმა მაიკ პენსმაც. პენსმა მადლიერება გამოხატა საქართველოს მიმართ გლობალურ უსაფრთხოებაში და ტერორიზმთან ბრძოლაში შეტანილი ბრძოლისთვის და იმედი გამოთქვეს, რომ საქართველო-შტატების ურთიერთობები სავაჭრო-ეკონომიკურ საკითხებში კიდევ უფრო გაღრმავდება.

2018 წლის ივნისში საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი თანამდებობიდან გადადგა. ამის შესახებ მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა. კვირიკაშვილის თქმით, პარტიის თავმჯდომარეს [ბიძინა ივანიშვილი] უნდა მიეცეს შესაძლებლობა, რომ მან გუნდი დააკომპლექტოს. „იყო რიგი ფუნდამენტური საკითხებისა, რომლებშიც მქონდა პარტიის თავმჯდომარისგან განსხვავებული პოზიციები და მოსაზრებები.

2018 წლის 14 ივნისს საპარლამენტო უმრავლესობამ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად მამუკა ბახტაძე წარადგინა.

2018 წლის 8 სექტემბერს ვაშინგტონში გაიმართა საქართველო-ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის კომისიის თავდაცვისა და უსაფრთხოების სამუშაო ჯგუფის მორიგი შეხვედრა. საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე, სამუშაო ვიზიტით, ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა. საქართველოს მთავრობის მეთაურს აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ჯონ ბოლტონმა უმასპინძლა. “ჯონ ბოლტონი გახლავთ საქართველოს მეგობარი და აქვს კონკრეტული ხედვა, როგორ შეგვიძლია, განვამტკიცოთ აშშ-საქართველოს მყარი სტრატეგიული ურთიერთობები”

20 სექტემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრი აშშ-ის სახელმწიფო მდივან მაიკლ პომპეოს შეხვდება. ვიზიტის ფარგლებში, გაიმართება მოლაპარაკებები სენატორებთან. პრემიერ-მინისტრი ასევე შეხვდება მარკ გრინს (USAID-ის მმართველს), რეი უოშბერნს (OPIC-ის აღმასრულებელ დირექტორს), მსოფლიო ბანკის ჯგუფის პრეზიდენტს, ჯიმ იონგ კიმს და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველს, დირექტორ კრისტინ ლაგარდს. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასებით,

მთლიანობაში, საქართველოს მთავრობას ზოგადად შესწევს უნარი გამოავლინოს, შეაკავოს და რეაგირება მოახდინოს ტერორიზმის შემთხვევებზე.

პრემიერმა სან-ფრანცისკოში, სიეტლსა და დალასში როუდშოუ გამართა. მან უმსხვილესი კომპანიების ხელმძღვანელ პირებს საქართველოში არსებული საინვესტიციო გარემო გააცნო. ვაშინგტონში მამუკა ბახტაძე ამერიკის შეერთებული შტატების აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლებს შეხვდება.

20 ივნისს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძლიდან "მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო გენერალური ასამბლეის" სესიას რუსულ ენაზე გაუძღვა რუსეთის დუმის დეპუტატი სერგეი გავრილოვი, რასაც ოპოზიციისა და მოქალაქეების პროტესტი მოჰყვა. მასშტაბურ საპროტესტო აქციაზე მოქალაქეებმა მოითხოვეს შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი გახარიას, პარლამენტის თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის, ვახტანგ გომელაურის გადადგომა, ასევე, საპარლამენტო არჩევნების ჩატარება 2020 წელს პროპორციული სისტემით.

20-21 ივნისის აქციების შემდეგ ბიძინა ივანიშვილმა და "ქართულმა ოცნებამ" გასცეს დაპირება, რომ პროპორციული სისტემით არჩევნებს, ნაცვლად 2024 წლისა, 2020 წელს ჩატარებდნენ. თუმცა პარლამენტში შესაბამისი კანონპროექტის განხილვისას მმართველი გუნდის დეპუტატების ნაწილმა თქვა, რომ დაპირების შესრულება გადაიფიქრეს. ოპოზიცია მიიჩნევს, რომ რეალურად, დაპირების შესრულება ბიძინა ივანიშვილმა გადაიფიქრა და ფარსი გაითამაშა.

2 სექტემბერს თავის „ფეისბუქ"ის გვერდზე გამოქვეყნებულ წერილში მამუკა ბახტაძე წერს, რომ თანამდებობის დატოვების გადაწყვეტილება მიიღო, რადგან მისი მისია შეასრულა. ნათელია, რომ ბიძინა ივანიშვილის სურვილით, ამ მოკლე დროში საქართველოს ისევ შეეცვალა პრემიერ-მინისტრი.

2019 წლის სექტემბერში "ქართული ოცნების" თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილმა პრემიერ-მინისტრის პოსტზე შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია წარადგინა. მოგვიანებით, 14 ნოემბერს "ქართულმა ოცნებამ" პარლამენტში ჩააგდო მის მიერვე

ინიცირებული საარჩევნო რეფორმა, რომლის თანახმადაც ქვეყანა სრულად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე უნდა გადასულიყო.

სამოქალაქო აქტივისტებმა ივანიშვილი ტყუილსა და არჩევნების მოპარვაში დაადანაშაულეს და 14 ნოემბერს ქუჩაში გამოვიდნენ.

ნოემბერში გამოქვეყნებულ ერთობლივ განცხადებაში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ და ევროკავშირის წარმომადგენლობამ საქართველოში აღნიშნეს „ქართული საზოგადოების ფართო ნაწილის ღრმა იმედგაცრუება“ საარჩევნო რეფორმის ჩავარდნის გამო და მხარეებს მოუწოდეს, იმუშაონ „მშვიდი და პატივისცემაზე დაფუძნებული დიალოგის საშუალებით, მისაღები სამომავლო გზის საპოვნელად.“

19 იანვარს გახარიას წერილით მიმართა რესპუბლიკელმა კონგრესმენმა, მარკუეინ მალინმა, და მთავრობას მოუწოდა, შეწყდეს მტრული დამოკიდებულება ამერიკული კომპანიების მიმართ. მალინი წერილში წერდა, რომ ის შეშფოთებულია საქართველოს დემოკრატიული ღირებულებებისგან განგრძობადი გადახვევითა და ეკონომიკური გაუარესებით. ამ წერილით კონგრესმენი მისი კოლეგების, კინზინგერისა და კონოლის, კრიტიკულ წერილს შეუერთდა.

მალინის წერილს მალევე, 21 იანვარს კიდევ ერთი წერილი დაემატა, რომელსაც ხელს აწერდნენ რესპუბლიკელი და დემოკრატი კონგრესმენები, ადამ კინზინგერი, ჯერი კონოლი, ელიოტ ენგელი და მაიკლ მაკკაული. წერილში კონგრესმენები შეშფოთებას გამოთქვამდნენ დემოკრატიული რეფორმის ჩაგდებისა და თანმხლები ძალადობის გამო მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ.

ტეხასელმა კონგრესმენმა პიტერ ოლსონმა Twitter-ის ოფიციალურ გვერდზე დაწერა, რომ „ქართველი ხალხი კორუმპირებულ მთავრობაზე უკეთესს იმსახურებს“.

28 იანვარს კი კონგრესში სიტყვით გამოსვლის დროს ოლსონმა ბიძინა ივანიშვილი ამერიკული სატელევიზიო შოუს პერსონაჟს გრაუჩი ოსკარს შეადარა და მას ვლადიმერ პუტინის მარიონეტი უწოდა.

კონგრესმენების მწვავე წერილებზე მთავრობას ჰქონდა პასუხი- ინფორმაციის ნაკლებობა. როგორც ცნობილია, თებერვალში გახარია გეგმავდა ვიზიტს აშშ-ში, თუმცა გამოცხადებული პანდემიის გამო, როგორც აქტიური პოლიტიკური ცხოვრება, ისევე

ვიზიტები გაურკვეველი ვადით გადაიდო. ამერიკის შეერთებული შტატები კი ისევ აქტიურად ეხმარება საქართველოს ამ რთულ ვითარებაში.

დასასრულს აღვნიშნოთ, რომ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი კარგად ხედავს, რომ მთავრობის ზოგიერთი პრორუსული ნაბიჯი სულაც არ გამოხატავს ქართველი ხალხის ნებას და საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი პროამერიკული რჩება და არჩეული კურსიდან არ უხვევს. აშშ-ს მთავრობა კი იმედს გამოთქვამს, რომ საქართველო ნამდვილად ძლიერ და დამოუკიდებელ ქვეყნად ჩამოყალიბდება, რომელიც ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსისკენ მიმავალ გზას წარმატებით დაასრულებს.

1.საქართველოს პრემიერ, დონალდ ტრამპს შეხვდა, ამერიკის ხმა,2017, https://www.amerikiskhma.com/a/georgias-prime-minister-meets-donald-trump/3842925.html

2.გიორგი კვირიკაშვილი თეთრ სახლში დონალდ ტრამპს შეხვდა, ლიბერალი,2017, http://liberali.ge/news/view/29202/giorgi-kvirikashvili-tetr-sakhlshi-donald-tramps-shekhvda

3. PM Kvirikashvili Meets Donald Trump, Mike Pence, civil.ge,2017 http://www.civil.ge/eng/article.php?id=30084

Marine Changiani

PhD Student, American Studies

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Official visits of Prime Ministers of Georgia to the USA and meetings with President Donald Trump's administration

Summary

The report deals with chronological discussion of the official visits of the Prime Ministers of Georgia to the United States of America. The opinion of the American government after the meetings and their attitude towards the Georgian-American cooperation are also given.

From 2017 to February 2020, Georgia became the epicenter of many political events. Leader of "Georgian Dream" Bidzina Ivanishvili nominated the third Prime minister, but this has changed almost nothing for ordinary Georgian citizens. As for Georgia-US relations, despite severe criticism and Congressmen's letters, the US government continues to help its partner and hopes that Georgia will become a truly strong and independent country that will successfully complete its path to the North Atlantic Alliance. If we take into account the recent foreign and domestic political processes, we will see that the price of the Georgian-American political partnership is higher.

გიორგი ლაბაძე

ამერიკისმცოდნეობის ს მაგისტრანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტრამპიზმი როგორც ფენომენი (2015-2020)

ამერიკის შეერთებული შტატების 45-ე პრეზიდენტის მიმართ, ბევრი მკვეთრად განსხვავებული მოსაზრება და პოზიცია არსებობს. რთულია ამერიკული პრეზიდენციალიზმის ისტორიაში მსგავსად წინააღმდეგობებით აღსავსე პირის მონახვა. დონალდ ტრამპი არის პრეზიდენტი, რომელსაც, არჩევნებში გამარჯვებამდე, არც ერთ პოლიტიკურ თუ ადმინისტრაციულ თანამდებობასთან არ ჰქონია შეხება. მისი უშუალო პოლიტიკური საქმიანობა, პირდაპირ თეთრი სახლიდან დაიწყო. თუმცა იქამდე მისასვლელი გზა, მრავალი სირთულითა თუ წინაღმდეგობით იყო სავსე.

არაერთი მიზეზის გამო, თავდაპირველად, ტრამპის პრეზიდენტობისათვის ბრძოლა ერთგვარ უტოპიას ჰგავდა და ბევრის აზრით, რეალობისგანაც კი იყო დაშორებული. ჩანდა, თითქოს მისი კამპანიის ძირითადი იდეები მიუღებელი იყო საზოგადოების უმრავლესობისთვის და თანამედროვე ამერიკაში, მას ადგილი აღარ ჰქონდა. თუმცა, რეალობა განსხვავებული აღმოჩნდა.

სინამდვილეში, დონალდ ტრამპმა, თავისი კამპანია სწორედ იმ ძირითად პრობლემატიკაზე ააგო, რომელიც, საშუალო სტატისტიკურ ამერიკელს აწუხებდა და რომელიც, ბოლო ათწლეულების განმავლობაში, როგორც შემდგომში გამოირკვა, ერთგავარად მივიწყებულიც კი იქნა პოლიტიკური ელიტის მიერ. ასეთი პრობლემატიკა არაერთია, რომელსაც, დეტალურად განვიხილავ, თუმცა საყურადღებო ისაა, რომ ყოველივე ეს, კამპანიის დასაწყისში, ზედაპირზე აშკარად არ ჩანდა. უნდა ითქვას, რომ ტრამპის კამპანია საკმაოდ განსხვავებულ და პარტიული სოლიდარობისთვის არადამახასიათებელი გამოვლინებით დაიწყო. კერძოდ, 2015 წლის აგვისტოში,

კლივლენდის დებატებზე, იგი იყო ერთადერთი კანდიდატი, ვინც უარი თქვა პირობაზე, რომ მხარს დაუჭერდა რესპუბლიკური პარტიის საბოლოო კანდიდატს. გამოდის, მან ირიბად განაცხადა, რომ მარცხის შემთხვევაში, იგი თავისი იმჟამინდელი პარტიის საწინააღმდეგოდ შეიძლებოდა წასულიყო და დისკრედიტაციაც კი გაეწია მისთვის. შედეგად, ისთაბლიშმენტისთვის ნდობის არგამოცხადებით, მან დასაწყისშივე მოიგო განაწყენებული ამომრჩევლისა და ე.წ. „ჩუმი უმრავლესობის“ გული. თუმცა, არჩევნებში გამარჯვებისთვის, მხოლოდ პოლიტიკურ ელიტასა და ისთაბლიშმენტზე თავდასხმა არ კმარა. როგორც ყველა კანდიდატს, მასაც სჭირდებოდა თავისი საარჩევნო პროგრამის შეთავაზება, დაპირებების, რომლის გამოც ამერიკელ ამომრჩეველს მისთვის მხარი უნდა დაეჭირა. აღსანიშნავია, რომ ასეთი დაპირებების ჩამონათვალი საკმაოდ მრავალრიცხოვანია. მიმოხილვაში მათი ძირითადი ნაწილის აღწერას ვეცდები.

მიუხედავად სკეპტიკოსთა შეფასებებისა და წარუმატებელი ბრალდებებისა, ტრამპის კამპანიაში თავიდანვე არსებობდა ნამდვილად „საქმიანი“ გზავნილები, რის შესახებაც, ამერიკელებს, ბუნებრივად დადებითი რეაქცია უნდა ჰქონოდათ. ასეთი გახლდად **სავაჭრო ხელშეკრულებები,** რამაც, ტრამპის სიტყვებით, ამერიკელები „ბოლომდე გააცურა“, ხოლო ამ პროცესში, არაერთმა ქვეყანამ მათ ხარჯზე სასიკეთო შედეგები ნახა. ასეთ ქვეყნებს მიეკუთვნებიან, მექსიკა, ჩინეთი, კანადა, ევროპის კავშირი... როგორი მოულოდნელიც უნდა იყოს, სავაჭრო ურთიერთობებში, ტრამპს არ დაუშურებია კრიტიკა მთავარი სტრატეგიული მოკავშირის, ევროპის კავშირის მიმართ. თუმცა, მთავარ და გამორჩეულ მოწინააღმდეგედ, ტრამპმა, თავიდანვე ჩინეთი მოიაზრა. პრინციპში, პრეზიდენტაად არჩევის შემდეგ, მისი ძალისხმევის დიდი ნაწილი მიმართულია ჩინეთის ეკონომიკური ექსპანსიის შეჩერებისკენ.

დაპირებების მომდევნო მნიშვნელოვანი დეტალი გახლდათ **სამხედრო შეიარაღება,** მისი გაძლიერება და ვეტერანების საქმე. აღსანიშნავია, რომ არჩევნების შემდგომ, იგი არაერთ გამოსვლაში აღნიშნავს, რომ თავისი პრეზიდენტობის განმავლობაში, სამხედრო შეიარაღების გაუმჯობესებას 2.2 ტრილიონი მოხმარდა. აქ საყურადღებოა შემდეგი ფრაზა - *„ჩვენ გამანადგურებელი შეიარაღება გვაქვს, იმედია მას არასდროს გამოვცდით, თუმცა იგი სწორედ იმიტომ შევქმენით, რომ გვინდა არასდროს დაგვჭირდეს მისი*

გამოყენება“. ეს გახლავთ რონალდ რეიგანის იდეის - „მშვიდობა ძალის მეშვეობით“ (Peace Through Strength) პირდაპირი გამეორება, რითაც, ტრამპი აშკარად ჯდება რესპუბლიკური პარტიის სულისკვეთებაში. ამასთან, ტრამპის საარჩევნო დაპირება გახლდათ, „ირანის ბირთვული შეთანხმებიდან“ გასვლა, როგორც უშიშროების ამოცანის გაგრძელება. ბირთვული შეთანხმება ითვალისწინებდა, დასავლეთის მხრიდან ირანისთვის სანქციების მოხსნას, იმის სანაცვლოდ, რომ ეს უკანასკნელი ბირთვული იარაღის წარმოებას შეწყვეტდა. შედეგად, 2015 წლის შემდეგ, ირანის ეკონომიკას ამოსუნთქვის საშუალება მიეცა და მისი თავდაცვის ბიუჯეტი 4-ჯერ, 40 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა. გარდა ამისა, არსებობდა ეჭვი, რომ ირანს არ მიუტოვებია ბირთვული შეიარაღების წარმოება. აქედან გამომდინარე, ტრამპის აზრით, ეს შეთანხმება სრულიად დესტრუქციული იყო ამერიკისთვის, რის გამოც, მან დატოვა იგი 2018 წლის მაისში. უნდა ითქვას, რომ ირანის საკითხი არის ტრამპის მიერ წარმოებული ერთგვარი **ფუნდამენტალიზმის წინააღმდეგ** აღებული გეზის ნაწილი, რაც ირანთან წინააღმდეგობის გარდა, გამოიხატა „ისლამური სახელმწიფოს“ სრული განადგურებით და მისი ლიდერების ფიზიკური ლიკვიდაციით. აქედან გამომდინარე, ფუნდამენდალიზმთან ბრძოლა, ტრამპის პოლიტიკის ერთ-ერთ ფაზად შეიძლება ჩავთვალოთ.

როდესაც ვსაუბრობთ ტრამპის ხედვებზე, არ შეიძლება გამოგვრჩეს **დერეგულაციისა და გადასახადების შემცირების** ის ტალღა, რომელიც მან თეთრ სახლში მისვლის დღიდანვე წამოიწყო. შედეგად, ერთგვარი ჩრდილი მიადგა მწვანე პოლიტიკასა და ენვირონმენტალიზმს, რომელიც, ბაზრისა და წარმოების მნიშვნელოვნად რეგულირებას მოითხოვს. კლიმატთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ტრამპის პოზიციის ცალსახა გამოვლინება იყო მისი „პარიზის კლიმატის აკორდიდან“ გამოსვლა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ერთი წლის შემდგომ გამოქვეყნებული სტატისტიკით, შეერთებულ შტატებს შემცირებული აქვთ კარბონის გამოყოფა, ხოლო პარიზის კლიმატის აკორდის ხელმომწერებს, გაზრდილი. ამდენად, ეს მაჩვენებლები აშკარად ტოვებს გარკვეულ კითხვის ნიშნებს და აჩენს ერთგვარ უნდობლობას, აკორდის ქმედითობასთან დაკავშირებით.

ტრამპის კამპანიისა და საპრეზიდენტო ვადის ერთ-ერთი ყველაზე სახასიათო და ურთიერთსაწინააღმდეგო მოცემულობაა, მექსიკის საზღვარზე გასავლები და გარკვეულწილად უკვე გავლებული **კედელი.** ეს თემა, ტრამპის როგორც საარჩევნო კამპანიის, ასევე, პრეზიდენტობის პერიოდის დღის წესრიგის მუდმივ ნაწილს წარმოადგენდა. მეტიც, 2018-19 წლების მიჯნაზე, ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებასთან დაკავშირებული საკითხები იმდენად დაიძაბა, რომ საქმე მთავრობის მუშაობის შეჩერებამდეც კი მივიდა. ამ მომენტში კარგად გამოჩნდა, თუ რამდენად დიდი დატვირთვა აქვს კედელს ტრამპის პოლიტიკური ფიგურისთვის. მოგვიანებით, იყო თავდაცვის ბიუჯეტიდან კედლის ასაშენებლად გადანაწილებული თანხები, სასამართლო დავები და მრავალი უთანხმოება. თუმცა, კედლის იდეა კვლავაც აქტუალურად დარჩა და მისი მოცულობა საზღვრის გარშემო, დღითი დღე იზრდება. კედელს, ტრამპის დღის წესრიგისთვის, ერთგვარი ეროვნული უშიშროებისა და ნაციონალიზმის დატვირთვა აქვს, რადგანაც, იდეაურად, იგი უზრუნველყოფს ამერიკული კულტურისა და კეთილდღეობის დაცვას, სამხრეთიდან უკანონო მიგრაციისგან. ხოლო უკანონო მიგრაციას, თავისმხრივ, თან მოჰყვება განსხვავებული კულტურის, სოციალური შეგნების ადამიანები და ზოგჯერ, საზოგადოებრივი მშვიდობისთვის სახიფათო ელემენტები. ეს უკანასკნელი გამოიხატება უკანონო მიგრანტების მიერ ჩადენილ დანაშაულებსა და ნარკოტიკით ვაჭრობაში. უნდა აღვნიშნოთ, რომ პრეზიდენტები, თავიანთი დოქტრინებისა თუ სამოქმედო გეგმების გაცხადებას, ხშირ შემთხვევაში კონგრესისადმი მიმართვის დროს ახდენენ. საერთო ჯამში, კედელი და უკანონო მიგრაციისგან დაცვა, სწორედ სოციალური კონსერვატიზმის ერთ-ერთი გამოვლინებაა და საზოგადოებაში არასასურველი ცვლილებების წინააღმდეგ არის მიმართული. როგორც გამოჩნდა, ჯერჯერობით, ამერიკელი ამომრჩევლისთვის მსგავსი მიდგომები სასურველია, თუმცა, ამას დაზუსტებით, 2020 წლის ნოემბერში გავიგებთ.

როდესაც დონალდ ტრამპის პოლიტიკის ხასიათის თავისებურებებზე ვსაუბრობთ, არ უნდა გამოვტოვოთ მისი დამოკიდებულება **სოციალიზმის,** როგორც იდეოლოგიისა და მოცემულობის მიმართ. ჩვენ უკვე ვახსენეთ 2020 წლის თებერვაში კონგრესისადმი

მიმართვა, სადაც, ტრამპმა დრო დაუთმო სოციალიზმის გამოვლინებების შესახებ საუბარს და იგი, როგორც მსოფლიო, ისე შიდა პოლიტიკურ კონტექსტში აღწერა. კერძოდ, მან გამოსვლის დროს უშუალოდ მიმართა ხუან გუაიდოს, რომელიც, იმ მომენტში კონგრესში იმყოფებოდა და დაგმო ნიკოლას მადუროს მიერ, ვენესუელაში დამყარებული ტოტალიტარული, მილიტარისტული რეჟიმი. შიდა პოლიტიკის კუთხით კი, ტრამპმა გაუსვა ხაზი ოპონენტთა მიდრეკილებას სოციალიზმის მახასიათებლების მიმართ, რითაც დემოკრატების ერთგვარი დისკრედიტაცია სცადა. აქედან გამომდინარე, სოციალიზმის დაგმობის მომენტს, დონალდ ტრამპისთვის, ორმხრივი მნიშვნელობა აქვს. ამასთან, კონგრესში გამოსვლამდე, ტრამპმა ყურადღება დაუთმო სოციალიზმის პრობლემატიკას გაეროს ტრიბუნიდანაც და მას „მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევა უწოდა, რომელიც ერებსა და საზოგადოებებს ანგრევს“.

ეს გახლავთ რამდენიმე მახასიათებელი, რომელთა სისტემურ აღქმას მივყავართ იმ კონკრეტული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხედვებისაკენ, რომელსაც, დროთა განმავლობაში მკვლევარები უფრო ხშირად უწოდებენ სიტყვას - „ტრამპიზმი“. აღნიშნული ტერმინის წყარო, სწორედ აკადემიური სივრცეა. ვფიქრობ, წინამდებარე მასალა აშშ-ის 45-ე პრეზიდენტის ხედვებს, 2020 წლის წინასაარჩევნო მდგომარეობით, მეტნაკლები სიზუსტით მაინც წარმოაჩენს, ხოლო მის ცვალებადობასა თუ პრინციპულობას, საარჩევნო პერიოდში, უშუალოდ ვიხილავთ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კლივლენდის დებატები, Fox News, ხელმისაწვდომია აქ: https://www.youtube.com/watch?v=QRiy4YAwXlM
2. კენტაკის გამოსვლა, ლუისვილი, Fox Business, ხელმისავწდომია აქ: https://www.youtube.com/watch?v=s5hIBNw0qj0
3. 2020 წლის 16 თებერვლის გამოსვლა ფლორიდაში, ხელმისაწვდომია აქ: https://www.youtube.com/watch?v=Vl74plk2S7I

4. 2019 წლის 29 ივნისის გამოსვლა სამხრეთ კორეაში, ხელმისაწვდომია აქ: https://www.whitehouse.gov/briefings-statements/remarks-president-trump-u-s-service-members/
5. ბექა ვალიშვილი, „ირანის შეთანხმება, მნიშვნელობა და შედეგები“, ხელმისავწდომია აქ: Conservative.ge
6. პენტაგონის განცხადება ISIS-ის ლიდერის ლიკვიდაციის შესახებ, ხელმისავწდომია აქ: https://www.youtube.com/watch?v=TjWxDqU7p3E
7. თეთრი სახლის განცხადება პარიზის აკორდის დატოვების შესახებ, ხელმისავწდომია აქ: https://www.whitehouse.gov/briefings-statements/statement-president-trump-paris-climate-accord/
8. ჯეიკობ პრამუქი, „The partial US government shutdown is tied on the longest ever as Trump border wall fight rages on“, 2019 11 იანვარი, ხელმისავწდომია აქ: https://www.cnbc.com/2019/01/10/government-shutdown-ties-for-longest-ever-amid-border-wall-fight.html

9.2019 წლის 24 სექტემბრის გამოსვლა გაეროში, ხელმისავწდომია აქ:

https://www.youtube.com/watch?v=RfvepDMLXSU

Giorgi Labadze

MA Student, American Studies

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Trumpism as a Phenomenon (2015-2020)

Summary

There are totally different opinions concerning 45th President of the United States. It is not easy to find many people characterized with so much controversial aspects like Donald Trump, in the presidential history of the USA. At least, President Trump didn't have any public office experience before winning the White House rally. That's why, in the beginning of campaign, his presidency looked like utopia and in many ways, far beyond reality. But that doesn't mean Trump presidential rally included wrong and unacceptable messages for the most of the

Americans. In his campaign we watch strict opposition with political elites and establishment, by which he was seeking for support of the Silent Majority. Despite lack of expectations, his messages and correctly planned campaign helped him to get votes even in highly disputable and swing states like Florida, Michigan, Pennsylvania… In this short essay I want to consider about peculiarity of President Trump's campaign and promises he made and kept.

ქეთევან როსტიაშვილი

პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი,

მოწვეული პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აშშ-ს 2017 წლის ერვონული უსაფრთხოების სტრატეგია და კორონავირუსის გამოწვევები

პრობლემის არსი.

ამ მოსხენების საკვანძო საკითხია, რამდენად იყო აშშ მზად კორონავირუსის პანდემიის დასაძლევად; რით აიხსნება უზარმაზი მსხვერპლი, 100 ათასამდე გარდაცვლილი 2020 წლის 25 მაისისთვის? სამ თვეში, მარტი/მაისი პერიოდში, სახელმწიფომ დაკარგა იმდენივე მოქალაქე, რაც ვიეტნამის ომის, ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლისა და 11 სექტემბრის ტერაქტის მსხვრპლთა ჯამი შეადგენდა. ზესახელმწიფო აღმოჩნდა მსოფლიო ლიდერი გარდაცვლილ მოქალაქეთა რაოდენობით. ამიტომ, მნიშვნელოვანი საკითხია, რამდენად იყო მზად ქვეყანა მოვლენათა ასეთი განვითარებისთვის; თუ ჰქონდა პოლიტიკურ ხელმძღვანელობას რაიმე გეგმა, სტრატეგიული ხედვა, რომელიც დაეხმარებოდა პანდემიის დაძლევაში?

პრობლემის რეტროსპექტიული მიმოხილვა

2019 წლის 31 დეკემბერს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელობის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ ჰუბეის პროვინციის, ქალაქ ვუჰანში, უცნობი ინფექციით დაავადებული ათეულობით ადამიანი გადიოდა მკურნალობას პნეუმონიის ნიშნებით. *2020 წლის 11 იანვარს* ჩინეთმა დადასტურა, რომ ვუჰანში გარდაცვლილი იყო 1 ადამიანი. *20 იანვარს,* ხალხის დაინფიცირების შემთხვევები დაადასტურეს: იაპონიის, სამხრეთ კორის, ტაილანდის ხელმძღვანელებმა. *21 იანვარს,* აშშ-ს ვაშინგტონის შტატში, პირველად ლაბორატორიულად დადასტურდა მამაკაცის კორონავირუსით დაინფიცირება, რომელიც ჰუბეის პროვინციიდან იყო დაბრუნებული. *30 იანვარს,* გაეროს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ, პირველად თავისი არსებობის ისტორიაში, საგანგებო ვითარება გამოაცხადა, ხოლო *11 თებერვალს* ოფიციალურად დაადასტურა,

რომ გავრცელებული ვირუსი კოვიდ19 იყო. *29 თებერვალს* აშშ აქვეყნებს ინფორმაციას კოვიდ 19-გან გარდაცვალების პირველი შემთხვევის თაობაზე. *11 მარტს* მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ გამოაცხადა პანდემია. *13 მარტს* პრეზიდენტი დ. ტრამპი ქვეყანაში აცხადებს საგანგებო ვითარებას და გამოყოფს 50 მილიარდ დოლარს ამ სნეულებასთან საბრძოლველად. *17 მარტს* უკვე ორმოცდაათივე შტატში იყო დაფიქსირებული კოვიდ 19 შემთხვევები.

აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის მომზადების ტრადიცია

1986 წლის გოლდუოთერ-ნიკოლსის კანონი, „თავდაცვის ძალების რეორგანიზაციის შესახებ“ ავალდებულებდა აშშ-ს პრეზიდენტს, რომ ყოველწლიურად წარედგინა კონგრესისთვის „ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია.“ ეს მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური ტრადიცია შეიქმნა იმისთვის, რომ პრეზიდენტს წერილობით წარედგინა კონგრესისთვის იმ საფრთხეებისა და გამოწვევების შესახებ, რომლის წინაშეც იდგა ქვეყანა. ასევე პრეზიდენტს უნდა განემარტა, თუ რა მექანიზმებითა და პრიორიტეტებით იყო შესაძლებელი მათი დაძლევა. შედეგად, კონგრესს უკეთესი წარმოდგენა ექნებოდა ქვეყნის შიდა თუ საგარეო უსაფრთხოებაზე, ეს კი ხელს შეუწყობდა უსაფრთხოების ბიუჯეტის დამტკიცებაში. პირველი ეროვნული უსაფრთხოვების სტრატეგია წარდგენილი იყო რონალდ რეიგანის მიერ 1987 წელს, ბოლო კი დონალდ ტრამპის მიერ 2017 წელს.

ვინაიდან, ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენდა აშშ-ს ვირუსულ პანდემიასთან ბრძოლა, ანუ ბიოლოგიური საფრთხეთა ანალიზი, ამიტომ შევისწავლეთ ყველა ხელმისაწვდომი გამოცემა 1987 წლიდან. აღმოჩნდა, რომ ბიოლოგიურ საფრთხეებზე ჩანაწერი პირველად დაფიქსირდა მხოლოდ 1990 წლის სტრატეგიაში, რომელიც ერთიანობაში განიხილავს ტრიადას: ატომურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ საფრთხეებს ერთობლიობაში. ვირუსულ პანდემიას პირველად ვხვდებით მხოლოდ 2006 წლის ჯ. ბუშის (უმცროსის) სტრატეგიაში, შემდეგ ობამას 2010 და 2015 წლის მოხსენებებში, სადაც მკაფიოდაა გაწერილი შესაძლო გამოწვევები და მათთან ბრძოლის თავისებურებანი.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს 2017 წლის აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, ვინაიდან პასუხობს კითხვას, თუ აცნობიერებდა აშშ-ს ხელმძღვანელობა უდიდეს საფრთხეს, რომელიც 3 წელიწადში დაატყდებოდა ქვეყანას.

2017 წლის სტრატეგია პირდაპირ მიუთითებს ბიოლოგიურ საფრთხეთა ზრდის ტენდენციაზე, რომელსაც კატასტროფული რაოდენობის მსხვერპლის მოტანა შეეძლო, განურჩევლად იმისა მიზანმიმართული შეტევა, შემთხვევითობა, თუ ვირუსის ბუნებრივი აფეთქება მოხდებოდა ქვეყანაში. სტრატეგიაში მოყვანილია მაგალითიები, ორი ვირუსის ბუნებრივი გზით გავრცელების, მესამე კი ხელოვნურად. ვირუსის ბუნებრივი გზით გავრცელებას მიკუთვნილია: ებოლა და მწვავე რესპირატორული სარსის სინდრომი (Severe Acute Respiratory Syndrome SARS), რომელიც კორონავირუსის ოჯახს წარმოადგენს და იწვევს პნეუმონიის გართულებულ ფორმას. პირველად სარსი/კოვიდი 2003 წლის თებერვალში დაფიქსირდა აზიაში, შემდგომ ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკისა და ევროპის 12 ქვეყანაში, 2004 წლის აპრილში კი - ჩინეთშიც. გავრცელდა ის ვირუსოლოგიური ლაბორატორიიდან შემთხვევით. ვირუსი დროულად იყო შეჩერებული, გავრცელების არიალი კი შეზღუდული. ვირუსული ინფექციია ანტრაქსი კი ხელოვნურად იყო გავრცელებული 2001 წელს აშშ-ს სახელმწიფო უწყებებში საფოსტო გზავნილების გამოყენებით.

დოკუმენტში მითითებულია, რომ ბიოლოგიური იარაღის გამოყენების მიზანია არა მარტო ადამიანთა სიცოცხლის, არამედ ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოების, ეკონომიკური წინსვლისა, და სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ნდობის ხელყოფაა.

უსაფრთხოების სტრატეგიაში ცალკე ქვეთავადაა გამოყოფილი პრიორიტეტულ ქმედებათა ნუსხა, რომელიც უნდა გატარდეს ბიოსაფრთხის პირველივე გამოვლენისას. ***საერთაშორისო დონეზე:*** აშშ-ს ადმინისტრაციამ ოპერატიულად უნდა ითანამშრომლოს სხვა ქვეყნებთან, რათა დროულად გამოვლინდეს, შეჩერდეს და შესუსტდეს დაავადებათა აფეთქება მის ადრეულ სტადიაზე; საერთაშორისო თანამშრომლობა უნდა განხორციელდეს ერთობლივი ინვესტიციებით ჯანდაცვის ძირითად სისტემებში, რაც გააძლიერებს გლობალური ჯანდაცვის უსაფრთხოებას; უნდა გაკონტროლდეს

ადამიანთა და ცხოველთა გადაკვეთის კერები, რაც შეაჩერებს ინფექციურ დაავადებათა გავრცელების ახალი წყაროთა წარმოქმნას; ადმინისტრაციამ პარტნიორებთან ერთობლივად უნდა იზრუნოს, რომ სახიფათო პათოგენებზე მომუშავე ლაბორატორიებში მაქსიმალურად იყოს დაცული უსაფრთხოების ზომები.

შიდა პოლიტიკაში: აქცენტი კეთდება მთავრობის მხრიდან მყისიერ რეაგირებაზე ინფიცირების წყაროს აღმოჩენისთანავე; მის მიერ საგანგებო გაერთიანებული საკოორდინაციო სისტემეის ამოქმედებაზე აფეთქების დროულად დასახასიათებლად; საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში გადაუდებელი ზომების მიღებაზე, დაავადების გავრცელების შეზღუდვის მიზნით; სამედიცინო გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე ადამიანთა სიცოცსლის გადასარჩენად; განსაკუთრებული ზომების მიღებაზე საგანგაშო ვითარების მოქმედებათა დასახვეწად; ბიოლოგიური მეცნიერებისა და ბიოინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობაზე, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს არა მარტო ადამიანების ჯამრთელობის, არამედ საზოგადოების სოციოეკონომიკური წინსვლის საქმეში; ინტელექტუალური საკუთრების დაცვაზე ბიოსამედიცინო ინოვაციათა და გამოგონებათა დარგში. ეს სფერო ექცევა სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის, დაცვისა და დახმარების ქვეშ.

პროგრამაში მითითებულია, რომ აშშ-ს წარმატებული დარგები, მათ შორის, ბიოინდუსტრია ბოროტი ძალების სამიზნე ხდება. ეს ძალები კი მეცნიერების თანამედროვე მიღწევების მოპოვებასა და მათ გამოყენებას ცდილობენ. ტერორისტები, ნარკომოვაჭრეები და კრიმინალური კარტელები სარგებლობენ საზღრების გარკვეული დაუცველობით და საფრთხეს უქმნიან საზოგადოებას. ერთ-ერთ ქმედით ინსტრუმენტად მიჩნეულია საზღვრების ეფექტური კონტროლი, საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრება, რაც ეროვნული უსაფრთხოების, ეკონომიკური კეთილდღეობისა და კანონის უზენაისობის დაცვის საქმეში პრიორიტეტულადაა გამოცხადებული.

ეს სტრატეგია იძლევა მეტად მნიშვნელოვან პროგნოზებს მომავალ ბიოსაფრთხეების შეფასებისა და დაძლევის მიმართულებით, სასარგებლო მოკლე და გრძელვადიან რეკომენდაციებს, თუმცა, ზოგი რეკომენდაცია საკმაოდ ზოგადია და ფორმალური.

სამწუხაროდ, ყურადღება არაა გამახვილებული ჯანდაცვის სისტემის პერსონალის შესაძლო დეფიციტზე, ინფრასტრუქტურული საკითხების მოგვარებასა და მათი ავონომიური მომარაგების აუცილებლობაზე. ასევე სტრატეგიაში მეტი ყურადღება უნდა დათმობოდა კოორდინირებულ მუშაობას ფდერალური პოლიტიკური მართვის პირობებში; ასევე ეკონომიკის სფეროში წარმოქმნილ შესაძლო გამოწვევებს.

დასკვნა

აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების სტრქატეგია 2017 საინტერესოდ აანალიზებს ბიოუსაფრთხოების საკითხებს, დაავადებათა პანდემიის დროს საჭირო ზომების მიღების აუცილებელ ნუსხას, თუმცა ზოგი რეკომენდაცია ზოგადი და ფორმალურია. სტრატეგიაში არ ეთმობა ყურადღება ისეთ მნიშვნელოვან საკითხრებს, როგორიცაა: პერსონალისა თუ ინფრასტრუქტურის გამართული მუშაობა პანდემიის, ანუ ტოტალური დეფიციტის პირობებში; ფედერალური სახელმწიფოს მართვისა და ეკონომიკის ფუნქციონირების შესაძლო წინააღმდეგობებს. მიუხედავად აღნიშნული ხარვეზებისა, ეს დოკუმენტი კარგ საფუძველს იძლევა მყისიერი, თუ გრძელვადიანი შედეგის მქონე გადაწყვეტილებების მიეღების მიმართულებით. სამწუხაროდ, ადმინისტრირების დონეზე დაშვებულმა სუბიექტურმა თუ ობიექტურმა ხარვეზმა შექმნა მკაცრი რეალობა, მსხვერპლის მეტად მაღალი დონე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. About Severe Acute Respiratory Syndrome (SARS), Center for Disease Control and Prevention. See: https://www.cdc.gov/sars/about/index.html
2. Casualties of the World War I. Facing History and Ourselves. See: https://www.facinghistory.org/weimar-republic-fragility-democracy/politics/casualties-world-war-i-country-politics-world-war-i
3. Covid19 Statistics. See: https://www.google.com/search?q=covid+19+statistics&oq=Covid+19+statistics&aqs=chrome.0.0l8.35905j0j4&sourceid=chrome&ie=UTF-8

4. Goldwater-Nichols Department of Defense Reorganization Act of 1986. See: http://history.defense.gov/Portals/70/Documents/dod_reforms/Goldwater-NicholsDoDReordAct1986.pdf
5. National Security Strategy 2006. See: http://nssarchive.us/wp-content/uploads/2020/04/2006.pdf
6. National Security Strategy 2010. See: http://nssarchive.us/wp-content/uploads/2020/04/2010.pdf
7. National Security Strategy 2015. See: http://nssarchive.us/wp-content/uploads/2020/04/2015.pdf
8. National Security Strategy 2017. See: http://nssarchive.us/wp-content/uploads/2020/04/2017.pdf
9. Timeline: How Coronavirus Got Started? ABC New. See: https://abcnews.go.com/Health/timeline-coronavirus-started/story?id=69435165
10. US: New York's Virus Death Toll Nearly Three Times 9/11. Anadolu Agency (AA).See:https://www.aa.com.tr/en/latest-on-coronavirus-outbreak/us-new-yorks-virus-death-toll-nearly-three-times-9-11/1800319

Dr. Ketevan Rostiashvili

Visiting Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The U.S. National Security Strategy 2017 and Covid19 Challenges

This paper tries to analyze why the USA during Covid19 pandemic had the highest mortality rate in the world. Had the country's political leadership well designed blueprint for coping with the problem? For a better understanding the political legacy, was analyzed the U.S. National Security Strategy 2017, created by the D. Trump's Administration. Although the Strategy in the

field of biological threats and pandemics was well presented in general, having good short and long term recommendations, but had some drawbacks: some recommendations were too general and formal; were ignored possible disfunctioning of hospitals and infrastructure during pandemic, or total deficit of labor forth and equipments; possible contradictions inside the Federal governmental, between the states and the center; dramatic consequences of a possible failure of the economy. These drawbacks along with the crisis management's some flaws, provoked by subjective and objective matters, brought about a cruel reality, very high death rate in the county.

მარიამ ხატიაშვილი

ამერიკისმცოდნეობის დოქტორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მოწვეული ლექტორი

სახალხო დიპლომატია რონალდ რეიგანის სტრატეგიულ ხედვაში

21-ე საუკუნეში კიდევ უფრო გააქტიურდა დისკუსიები და მომრავლდა პუბლიკაციები ცივი ომის დასრულებაში რონალდ რეიგანის წვლილის ხელახალი შეფასების მიზნით. ასევე, ყურადღება ექცევა პროპაგანდასთან და დეზინფორმაციასთან რეიგანის ადმინისტრაციის ბრძოლის ტაქტიკისა და სახალხო დიპლომატიის უნივერსალურ ხასიათს. ამ მიმართულებით, საინტერესოა, თუ როგორი საგარეოპოლიტიკური გადმოსახედიდან საუბრობდა რონალდ რეიგანი სახალხო დიპლომატიის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობასთან დაკავშირებით. აღნიშნული მოხსენება საკითხის სისტემური შესწავლის პირველ მცდელობას წარმოადგენს. კვლევა ინტერდისციპლინურია და აერთიანებს ჰუმანიტარული, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერების სხვადასხვა აკადემიურ დარგს. კვლევა უმთავრესად ეფუძნება პირველად ისტორიულ წყაროებს - რონალდ რეიგანის სიტყვით გამოსვლის ტექსტების ანალიზს.

ზოგადად, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობაზე საუბრისას რონალდ რეიგანი ხშირად ამახვილებდა ყურადღებას ძალასა და სიძლიერეზე. იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ სიძლიერე სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვისა და წარმატებული მოლაპარაკებების წარმოების საკითხში სამხედრო ძალაზე უფრო მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა. მისთვის სიძლიერე ამერიკულ და უცხოურ საზოგადოებებში სულისკვეთებისა და ერთიანობის ძალასა და ომის შეკავების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ რეიგანს სიძლიერე და დიალოგი

ერთმანეთის გარეშე ვერ წარმოედგინა. დიალოგის წარმოების საშუალებას კი სახალხო დიპლომატია იძლევა. მაგალითად, 1984 წელს ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შეფასებისას, რეიგანი აღნიშნავდა, რომ სიძლიერე და დიალოგი შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს მათ შორის არსებული განსხვავების მშვიდობიანი მოლაპარაკებების შესაძლებლობას მისცემდა. ვფიქრობ, ძალის რეიგანისეული გაგება აუცილებლად გულისხმობდა რბილი ძალის ელემენტებს. ამ კონკრეტული სიტყვიდან კი ეს ელემენტი დიალოგია, რომელიც საზოგადოებებში ერთიანობასა და სულისკვეთებას ეფუძნება. აქედან გამომდინარე, სახალხო დიპლომატია რეიგანისთვის იმ ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა, რომელსაც, დიალოგის გზით, ბიპოლარულ სამყაროში არსებული განსხვავება მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით უნდა დაერეგულირებინა.

ამ ყველაფერთან ერთად, საინტერესოა, რა როლს თამაშობდა სახალხო დიპლომატია 1980-იანი წლების ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიაში, რომელიც ძალის მეშვეობით მშვიდობის მიღწევის პრინციპს ეფუძნებოდა. “Peace through Strength” - რეიგანის მთავარი მოწოდება იყო, რომელიც მისთვის არა ლოზუნგს, არამედ ცხოვრების ჭეშმარიტებას ნიშნავდა. მშვიდობის მიღწევა თუ მის ყველაზე მნიშვნელოვან საგარეოპოლიტიკურ მიზანს წარმოადგენდა, დიალოგი და სახალხო დიპლომატია ამ მიზნის მიღწევის ერთადერთ გზად რჩებოდა. მშვიდობა რეიგანს საბჭოთა კავშირის მზარდი აგრესიის ჩახშობითა და კომუნისტური იდეოლოგიის დამარცხებით უნდა მოეპოვებინა, სახალხო დიპლომატიის გამოყენება კი მას ჰეგემონიის საფრთხის შეკავებაში დაეხმარებოდა. ეს იყო მიზანი, რომელიც არა მხოლოდ ამერიკულ, არამედ მსოფლიო საზოგადოებას მშვიდობიან, უსაფრთხო სამყაროში ცხოვრების შესაძლებლობას მისცემდა. ამ მიზნის მისაღწევად რეიგანი ენერგიას არ დაიშურებდა.

მაგრამ რას ნიშნავდა ძალის გამოყენებით მშვიდობის მიღწევა და რა როლი ჰქონდა ამ მხრივ სახალხო დიპლომატიას? რა კონტექსტში, რა შინაარსით იყენებდა რეიგანი ძალას, ნიშნავდა კი ძალა მისთვის მხოლოდ ხისტ, ან მხოლოდ რბილ ძალას? რონალდ რეიგანის სპეციალური ასისტენტი, ამჟამად საგარეო პოლიტიკის ამერიკელი

მკვლევარი დოგ ბანდოუ (Doug Bandow) აღნიშნავს, რომ, მართალია, რონალდ რეიგანს საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებების წარმოება ძალის პოზიციიდან სურდა, მაგრამ მისთვის ძალის გამოყენებით მშვიდობის მიღწევა ომს არ ნიშნავდა, რადგან ძალიან ფრთხილად უდგებოდა სამხედრო ძალის გამოყენების საკითხს. მიუხედავად ამისა, რეიგანი მაინც აღნიშნავდა, რომ სამხედრო ძალის აღდგენა, რომელიც მშვიდობას ძალის გამოყენებით უზრუნველყოფდა, ამერიკას უფრო უსაფრთხო ადგილად აქცევდა. ბანდოუს ამგვარი შეფასება გვაფიქრებინებს, რომ რეიგანი საბჭოთა კავშირთან ურთიერთობისას საგარეო პოლიტიკის სფეროში მხოლოდ ხისტ ძალას არ დაეყრდნობოდა, რადგან ომი არ სურდა. იგი უფრო მეტად რბილი ძალის ტაქტიკას მიემხრობოდა, რადგან მოლაპარაკებების წარმოება სურდა. მაგრამ, ამასთანავე, საბჭოთა კავშირთან და მის იდეოლოგიასთან დაპირისპირებას ძალის სხვადასხვა სახის კომპლექსური გამოყენებით შეეცდებოდა, რაც ხისტი და რბილი ძალის კომბინაციას, ანუ გონიერი ძალის გამოყენებას ნიშნავს. ამის ფონზე, სახალხო დიპლომატიის აქტივობებს კიდევ უფრო დიდი როლი ეკისრებოდა.

მსოფლიოში მშვიდობის დამყარება რეიგანის ადმინისტრაციის სახალხო დიპლომატიის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა. 1980-იანი წლების ამერიკაში ძალის საშუალებით მშვიდობის მიღწევის მნიშვნელობაზე 1984 წელს რეიგანის ადმინისტრაციის მიერ ამ მოწოდების მიმართ მიძღვნილი კვირის დადგენაც მიუთითებს. აღნიშნული კვირის დაწყებასთან დაკავშირებით, რეიგანი თავის გამოსვლაში ყურადღებას ამახვილებს ძლიერ თავდაცვის სისტემაზე დაფუძნებულ მშვიდობის სტრატეგიაში ამერიკელი მოქალაქეების ჩართულობასა და ამ კვირის ძირითად მიზანზე, რომელიც ყველა ერის წარმომადგენელისთვის საკუთარი ბედის თავისუფალი განსაზღვრის შესაძლებლობის მქონე ისეთი მსოფლიოს შექმნას გულისხმობდა, რომელშიც არცერთი სახელმწიფო თავის მეზობელ სახელმწიფოს არ დაემუქრებოდა. მსოფლიო საზოგადოებას საკუთარი ბედის განსაზღვრის შესაძლებლობა მხოლოდ ძლიერი დემოკრატიის პირობებში ექნებოდა. კომუნისტური საზოგადოება კი საკუთარ ბედს თავისუფლად ვერ განსაზღვრავდა, რადგან მათ მომავალს საბჭოთა მესვეურები გეგმავდნენ. სავარაუდოდ, რეიგანი ამ სიტყვებით

საბჭოთა კავშირისგან თავისუფალ სამყაროს გულისხმობდა, ძალის საშუალებით მიღწეულ მშვიდობას კი მსოფლიოში სტაბილურობა უნდა განესაზღვრა.

ამრიგად, რონალდ რეიგანის სტრატეგიული ხედვა - ძალის გამოყენებით მშვიდობის მიღწევა - საბჭოთა კავშირთან ურთიერთობისას ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში სახალხო დიპლომატიის ჩართვასაც გულისხმობდა. საგარეო პოლიტიკის სფეროში ძალის გამოყენებით მშვიდობის მიღწევა მსოფლიოსა და მასში მიმდინარე პროცესების რეალისტურ აღქმას, ამერიკული ღირებულებების ღრმა რწმენასა და მათთვის მტკიცე საყრდენის უზრუნველყოფას ეფუძნებოდა. რეიგანი აღნიშნავდა, რომ მშვიდობის მიღწევა ძალის საშუალებით მისი ადმინისტრაციის პროგრამაზე ბევრად მეტს ნიშნავდა. მისი სიტყვებით, ეს იყო ხალხისთვის პირობის მიცემა. რეიგანი ხაზს უსვამდა, რომ მხოლოდ იმედი საბჭოთა კავშირის მოხელეებთან მოლაპარაკების საშუალებას არ მისცემდა და, რომ მოლაპარაკება სამხედრო მზადყოფნითა და ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით მიიღწეოდა. იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მშვიდობის მისაღწევად ძალის გამოყენება მას მოწინააღმდეგეებთან შეიარაღების შემცირების შესახებ მოლაპარაკებებისა და აგრესიისაგან ამერიკის მოქალაქეების დაცვის საშუალებას მისცემდა. მართლაც, 1980-იანი წლების ბოლოსკენ რეიგანი აღიარებდა, რომ საბჭოთა კავშირთან შეიარაღების შემცირების შესახებ შეთანხმება და შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობის დათბობა ძალის საშუალებით მშვიდობის მიღწევის პოლიტიკის შედეგი იყო. ეს მისი სახალხო დიპლომატიის ერთ-ერთ პირდაპირ შედეგს წარმოადგენდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Reagan, Ronald. "Address to the Nation and Other Countries on United States-Soviet Relations," January 16, 1984. Online by Gerhard Peters and John T. Woolley, The American Presidency Project. http://www.presidency.ucsb.edu/ws/?pid=39806 (მოძიებულია 10.05.2017)

2. Reagan, Ronald. "Remarks at a New York Republican Party Fund-raising Dinner." March 6, 1984. Online by Gerhard Peters and John T. Woolley, The American Presidency Project. http://www.presidency.ucsb.edu/ws/?pid=39603. (მოძიებულია 10.05.2017)
3. Bandow, Doug. “For Ronald Reagan Peace through Strength Did Not Mean War at Any Price”. Cato Institute. April 27, 2015. https://www.cato.org/blog/ronald-reagan-peace-through-strength-did-not-mean-war-any-price (მოძიებულია 10.05.2017)
4. Reagan, Ronald: "Remarks and a Question-and-Answer Session During a Teleconference With Members of the Republican Northeast Regional Leadership Conference," September 23, 1983. Online by Gerhard Peters and John T. Woolley, The American Presidency Project. http://www.presidency.ucsb.edu/ws/?pid=40512. (მოძიებულია 10.05.2017)
5. Reagan, Ronald. "Statement on the Observance of National Peace Through Strength Week ," September 22, 1984. Online by Gerhard Peters and John T. Woolley, The American Presidency Project. http://www.presidency.ucsb.edu/ws/?pid=40428. (მოძიებულია 10.05.2017)
6. Reagan, Ronald. "Remarks Following a Meeting With Republican Members of Congress and Congressional Candidates," October 4, 1984. Online by Gerhard Peters and John T. Woolley, The American Presidency Project. http://www.presidency.ucsb.edu/ws/?pid=39187. (მოძიებულია 10.05.2017)
7. Reagan, Ronald. "Remarks at a Fund-raising Luncheon for Senator Don Nickles in Oklahoma City, Oklahoma ," June 5, 1985. Online by Gerhard Peters and John T. Woolley, The American Presidency Project. http://www.presidency.ucsb.edu/ws/?pid=38731. (მოძიებულია 10.05.2017)
8. Reagan, Ronald. "Remarks at a White House Briefing for Senior Staff on the Congressional and Gubernatorial Election Results ," November 5, 1986. Online by Gerhard Peters and John T. Woolley, The American Presidency Project. http://www.presidency.ucsb.edu/ws/?pid=36695. (მოძიებულია 10.05.2017)

9. Reagan, Ronald. "Message to the Speaker of the House of Representatives and the President of the Senate Transmitting the Fiscal Year 1988 Budget ," January 5, 1987. Online by Gerhard Peters and John T. Woolley, The American Presidency Project. http://www.presidency.ucsb.edu/ws/?pid=34163. (მოძიებულია 10.05.2017)
10. Reagan, Ronald. "Remarks at a Republican Campaign Rally in Springfield, Missouri." October 27, 1988. Online by Gerhard Peters and John T. Woolley, The American Presidency Project. http://www.presidency.ucsb.edu/ws/?pid=35081. (მოძიებულია 10.05.2017)

Mariami Khatiashvili

PhD Visiting Lecturer

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Public Diplomacy and Ronald Reagan's Strategic Vision

Summary

Aim of this article is to analyze a role of public diplomacy in Ronald Reagan's strategic vision. Research focuses on the evaluation of the U.S.-Soviet relations in terms of pursuing a policy of "Peace through Strength". The present research is interdisciplinary, as it combines various academic fields from the humanities, social and political sciences. Based on the primary sources, research shows that Ronald Reagan's vision to achieve peace through strength in the world involved public diplomacy. Research results indicate that using public diplomacy to counter Soviet ideology was a direct objective of Reagan's foreign policy toward the Soviet Union.

ანა კვინიკაძე

ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევების (თეატრმცოდნეობა) დოქტორანტი

შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

სუზან გლასპელის „წვრილმანები“, როგორც ფემინისტური დრამის მაგალითი

ქალთა მწერლობას საუკუნეების მანძილზე ბევრი დაბრკოლების გადალახვა მოუწია იმ მდგომარეობის მისაღწევად რაც დღეს აქვს. პატრიარქალურ საზოგადოებაში ქალის ხმა დიდი ხნის განმავლობაში ფაქტობრივად არ ისმოდა. ანტიკური საბერძნეთიდან მოყოლებული ქალებს არ ჰქონდათ სამოქალაქო საქმიანობაში ჩართვის უფლება, ხმის მიცემის უფლება, ანდერძის დაწერის უფლება, საფლავის ქვაზეც კი მამის ან ქმრის სახელიდან გამომდინარე მოიხსენიებოდნენ. ქალის, როგორც მოქალაქისა და პიროვნების ადგილი სრულიად უგულებელყოფილი იყო, თუმცა პარადოქსია, რომ სწორედ ანტიკურ საბერძნეთში, მითოლოგიასა თუ დრამატურგიაში ქალ ღვთაებათა და პერსონაჟთა როლი განსაკუთრებულია. რატომ იყო ქალის ხმა გამოგონილ სამყაროში ასეთი მნიშვნელოვანი და რატომ ეშინოდა საწინააღმდეგო სქესს ყოველდღიურ ცხოვრებაში მისი გაგების?!

მე-19 საუკუნის ბოლოდან ქალთა უფლებებისთვის ბრძოლა შეუქცევადი ხდება. დაიწყო სუფრაჟისტთა მოძრაობა, რომელიც არა მხოლოდ ხმის მიცემის უფლებას მოითხოვდა, არამედ ხმამაღლა საუბრობდა სოციალურ უთანასწორობაზე, რომ თუ მაღალი წრის ქალებს განათლების მიღების საშუალება ჰქონდათ, დაბალ სოციალური ფენის წარმომადგენელ ქალებს ამაზე ოცნებაც კი არ შეეძლოთ. ხმის მიცემის უფლებით ქალმა პირველად 1869 წელს ისარგებლა შეერთებულ შტატებში, ვაიომინგის შტატში, ხოლო პირველი ევროპული ქვეყანა, რომელმაც აღიარა ქალის ხმა იყო - ფინეთი, 1906 წელს. პირველმა მსოფლიო ომმა გენდერული თანასწორობის დამკვირდრებაში გარკვეული

წვლილი შეიტანა. კერძოდ კი, ქალებმა საწარმოებში კაცის სამუშაო ადგილები დაიკავეს და დაკისრებულ მოვალეობას ძალიან კარგად გაართვეს თავი. ომიდან უკან დაბრუნებულ კაცებს კი სრულიად სხვა რეალობა დახვდათ. სახელმწიფოს მსგავსად მათაც დაინახეს ქალების სამუშაო პოტენციალი და ამის უგულებელყოფა შეუძლებელი გახდა. ქალების საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესი დაიწყო.

სქესთა შორის უთანასწორობა გავლენას ახდენდა სამწერლობო საქმიანობაზე. პირველად ამაზე ფართოდ საუბარი ინგლისელმა მწერალმა ვირჯინია ვულფმა დაიწყო, როდესაც 1929 წელს ესე „საკუთარი ოთახი“ დაწერა. „ქალს უნდა ჰქონდეს ფული და საკუთარი ოთახი, თუკი ის მხატვრული ლიტერატურის შექმნას აპირებს“ - ვკითხულობთ ესეში. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლიტერატურის ფემინისტური კრიტიკა სწორედ აქედან იწყება და მას აგრძელებს სიმონ დე ბოვუარი, როდესაც წერს ნაშრომს „მეორე სქესი“. მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან ქალის საზოგადოებრივი აქტივობა აღარავის უკვირდა, გაიზარდა როგორც მწერალ ქალთა, ისე დრამატურგთა რიცხვი.

თანამედროვე მსოფლიო თეატრში ქალთა დრამატურგიას ღირსეული ადგილი უკავია და თუკი ჩვენ მის ისტორიას გადავავლებთ თვალს, დავრწმუნდებით, რომ გენდერული დრამის განვითარებას უდიდესი დაბრკოლებების გადალახვა მოუწია, ისევე როგორც მთლიანად ქალთა მწერლობას. ქალი დრამატურგების რიცხვის ზრდასთან ერთად ჩვენ მივიღეთ ორიგინალური პიესების მთელი წყება, რაც, ხშირ შემთხვევაში, ახალი თეატრის დაბადებასთან იყო კავშირში. სწორედ, ასე იყო სუზან გლასპელის შემთხვევაშიც.

ამერიკელი დრამატურგი, ნოველისტი და მსახიობი სუზან გლასპელი აღიარებულია როგორც პიონერი ფემინისტი მწერალი და პირველი მნიშვნელოვანი ამერიკელი ქალი დრამატურგი. მას ამერიკული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის. სუზან გლასპელმა მეუღლესთან - ჯორჯ კუკთან ერთად დააარსა ერთ-ერთი პირველი ამერიკული თანამედროვე თეატრალური კომპანია, ცნობილი როგორც - „პროვინსთაუნის მსახიობები“ /Provincetown Players/. მათ მიერ წარმოდგენილმა სპექტაკლებმა წაახალისა პირველი ექსპერიმენტული დრამის შექმნა შეერთებულ შტატებში. ისინი უთმობდნენ სივრცეს ახალგაზრდა დრამატურგებს და ეს

ერთგვარი რეაქცია იყო ბროდვეის ჰეგემონიაზე, რაც მცირე თეატრების როლს თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში თვალსაჩინოს ხდიდა. დღეს მასაჩუსეტსის შტატის (პლიმუტელმა პილიგრიმებმა დააარსეს 1620 წ.) ქალაქი პროვინსთაუნი სამართლიანად მიიჩნევა თანამედროვე ამერიკული დრამის დაბადების ადგილად. სუზან გლასპელის პიესები, ისევე როგორც მთლიანად მისი შემოქმედება, ეხება სოციალურად აქტუალურ საკითხებს და მათ შორის გენდერის თემასაც.

სუზან გლასპელის ერთაქტიანი პიესა „წვრილმანები“, რომელიც პირველად 1916 წლის 8 აგვისტოს წარმოადგინეს, პროვინსთაუნის მსახიობებმა მასაჩუსეტსის შტატში, ადრეული ფემინისტური დრამის მაგალითად მიიჩნევა. პიესა სწორედ მაშინ დაიწერა, როდესაც მსოფლიოში პირველი ფემინისტური ტალღა აგორდა და ფემინიზმის თემაც მეტაფორულად მთელ პიესას გასდევს თან.

პიესა ფერმაში მდგარი საცხოვრებელი სახლის სამზარეულოს აღწერით იწყება. ავტორი, ინტერიერს წარმოადგენს პირქუშ და ბნელ ადგილად, ყველაფერი არეული და დაუსუფთავებელია, არც ერთი ნივთი თავის ადგილას არ დევს. პირველი პერსონაჟი რომელსაც რემარკაშივე ვეცნობით, არის შერიფი ჰენრი პიტერსი, რომელსაც მოჰყვება ოლქის რწმუნებული ჯორჯ ჰენდერსონი, მეზობელი ფერმერი ლევის ჰეილი, როგორც მოწმე და ორი ქალბატონი - მისის პიტერსი, შერიფის ცოლი და მისის ჰეილი, ფერმერის ცოლი. პიესა არის მისტერ რაიტის მკვლელობის გამოძიების შესახებ, ხოლო ერთადერთი ეჭვმიტანილი კი მისი ცოლი - ქალბატონი მინი ფოსტერ რაიტი გახლავთ. გამოძიება საკმაოდ ზერელედ და გულგრილად მიმდინარეობს, რადგან ფაქტობრივად ყველა გარემოება მისის რაიტის წინააღმდეგ არის მიმართული და თითქოს ყველაფერი ისედაც ცხადია, გარდა მოტივისა. შერიფი ოლქის რწმუნებულთან და ერთადერთ მოწმესთან - მეზობელ ფერმერთან ერთად განიხილავს წინა ღამით მომხდარ მკვლელობას. ცოლი დანაშაულს აღიარებს, ქმარი საწოლში თოკით არის მოკლული, თუმცა ვერაფრით ხვდებიან მოტივს. რატომ უნდა მოეკლა მისის რაიტს მისტერ რაიტი?! როდესაც მამაკაცები გვამის დასათვალიერებლად მეორე სართულზე ადიან, საქმეში აქამდე სახლის კართან ატუზული ორი ქალბატონი ერთვება, რომლებიც აქამდე აზრის გამოთქმას ვერ ბედავდნენ. ისინი სამზარეულოს დათვალიერებას იწყებენ და აქ უკვე

კარგად იკვეთება სოლიდარობა საკუთარი სქესის მიმართ. ისინი ცდილობენ გაიგონ თუ რა პრობლემა და გასაჭირი შეიძლება ჰქონოდა ქალს. თუ კაცები პირდაპირ და გადაჭრით ამტყუნებდნენ მისის რაიტს ქმრის მკვლელობისა და დაულაგებელი სახლის გამოც კი, მისის ჰეილი და პიტერსი იწყებენ ამ ყველაფრის გამომწვევ მიზეზებზე ფიქრს. ქალები საბოლოოდ მიდიან იმ აზრამდე, რომ მისის რაიტს, ახალგაზრდობაში სიცოცხლითა და ენერგიით სავსე ქალს, როგორ გამოეცალა სიცოცხლის წყურვილი გათხოვების შემდეგ. როგორც უკვე აღვნიშნე, პიესა მეტაფორებით არის დატვირთული. ერთ-ერთი მთავარი მეტაფორა კი გახლავთ ჩიტის ცარიელი გალია. ისინი პოულობენ მას და იწყებენ მსჯელობას თუ სად უნდა წასულიყო ჩიტი, რომელიც ამ გალიაში ცხოვრობდა და რომელიც, ალბათ, მისის რაიტს ძალიან უყვარდა. ცოტა ხნის შემდეგ, ისინი კისერმოგრეხილ იადონს პოულობენ და საქმესაც ხსნიან. მკვლელობის მოტივი ნათელია. ცოლმა ზუსტად იგივე მეთოდით მოკლა ქმარი, როგორც ქმარმა მას იადონი მოუკლა. ამ იადონში, იგი გალიაში მყოფ საკუთარ თავს და მის დაკარგულ თავისუფლებას ხედავდა. ავტორს, პიესის სათაურად „წვრილმანები“ შემთხვევით არ შეურჩევია. პიესაში კაცები რამდენჯერმე მიმართავენ ქალებს, რომ ისინი წვრილმანების გამო ღელავენ. თუმცა, სწორედ ეს „წვრილმანები“ გახდა ქმრის მკვლელობის მიზეზიც. პიესის ბოლოს მამაკაცებისთვის მკვლელობის მოტივი უცნობი დარჩა. ამ ჟესტით ქალები პატრიარქალური აზროვნების წინააღმდეგ აჯანყდნენ, მართალია მცირე ფორმით - საიდუმლოს შენახვით, მაგრამ ეს ნამდვილად აღმოჩნდა გამბედაობის აქტი იმ რეალობაში, სადაც ისინი „წვრილმანები“ იყვნენ.

1931 წელს სუზან გლასპელმა მიიღო პულიტცერის პრემია დრამატურგიაში პიესისთვის - „ელისონის სახლი“. მიუხედავად ამ მნიშვნელოვანი ჯილდოსა და აღიარებისა, გლასპელის როლი თანამედროვე ამერიკული თეატრისა და დრამის განვითარებაში არც ისე კარგად არის შესწავლილი. ფემინისტურმა ლიტერატურულმა კრიტიკამ უმაღლესი შეფასება მისცა მას, როგორც ფემინისტური პერსპექტივის შემომტანს ამერიკულ დრამაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Trifles. Susan Glaspell. New York: Frank Shay, 1916.
2. https://americanliterature.com/author/susan-glaspell

Ana Kvinikadze,

PhD student of Art studies

Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University

Susan Glaspell's "Trifles" as an Example of Feminist Drama

Summary

American playwright, novelist and actress Susan Glaspell is recognized as a pioneer feminist writer and the first important American female playwright. She made a great contribution to the development of the American Theatre. With her husband George Cram Cook, she founded the Provincetown Players, the first modern American theatre company. Productions presented by them contributed to the creation of the first experimental drama in the United States. They gave space to young playwrights, and this was a kind of reaction to Broadway hegemony, which made the role of small theatres visible in the development of Performing Art.

Today, a small coastal resort town of Provincetown in Massachusetts (founded by Plymouth Pilgrims in 1620) is rightly considered the birthplace of modern American drama.

If we look at the history of drama written by women, we will see that the development of gender drama has had to overcome great obstacles. Even in order to gain basic rights, women needed struggle, and their activities were always considered provocative by society. Women had to give up a lot to gain freedom of writing, but it was worth it. In the 20th century, women's social activity no longer surprised anyone, the number of both women writers and playwrights increased, and with them, we got a whole series of original plays, which was often associated with the birth of a new theatre. This was also the case with Susan Glaspell.

Susan Glaspell was awarded the Pulitzer Prize in 1931 for the play “Alison's House”. Despite this important award and recognition, Glaspell's role in the development of modern American theatre and drama is not studied properly.

Susan Glaspell's plays, as well as her entire work, address to social issues, including gender, which will be mainline of my report. I will try to discuss “Trifles” as an example of early feminist drama.

გიორგი რაზმაძე
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
მოწვეული ლექტორი საქართველოს
შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტში

გაადგილოვებრივობის მოტივი პოკაჰონტასის მითის ეკრანიზაციებში

ჩემი მოხსენება შეეხება ინდიელთა პრინცესა პოკაჰონტასის არსებულ თქმულებებში "გაადგილოვებრიობის" (Going native) მოტივის ინტერპრეტაციას ამერიკულ კინოში, კერძოდ კი, დიდოსტატ ტერენს მალიკის ფილში "ახალი სამყარო" (New World, 2005). გაადგილოვებრიობა (Go native-ს ქართულ ექვივალენტს ფილოლოგი შოთა პაპავა გვთავაზობს) წარმოადგენს ეთნოგრაფიულ და კულტუროლოგიურ ფენომენს, რაც, კემბრიჯის ლექსიკონის მიხედით ნიშნავს: "თუკი ადამინი უცხო ქვეყნიდანაა და გადაწყვეტს გაადგილოვებას, მისი ცოხვრების წესი ან/და ჩაცმა გახდება ისეთი როგორიც ადგილობრივებისაა". გაადგილოვებრიობის მოტივს ლიტერატურაში დასავლური ცივილიზაციის კოლონიური პერსპექტივას შესასწავლად იკვლევენ. 2005 წელს გადაღებული ფილმი "ახალი სამაყრო" სწორედ ამ მოტივს ატარებს, რომლის დეკონსტრუქციასაც შევეცდები.

მალიკის ფილმამდე ზუსტად 10 წლით ადრე ეკრანებზე "დისნეის" ანიმაცია "პოკაჰონტასი" გამოდის. იმჟამად ამერიკას უკვე ახალი პრეზიდენტი ბილ კლინტონი მართავდა. მან ამ თანამდებობაზე რესპუბლიკელი ჯორჯ ბუში უფროსი შეცვალა, რომელმაც სპარსეთის ყურის ომი წამოიწყო (Gulf War, 1990-91). კლინტონის პოლიტიკა მშვიდობისმყოფელობით გამოირჩეოდა, მისი ვიცე-პრეზიდენტი ელ გორი კი ცნობილი ბუნებისდამცველი გახლდათ. ორივემ შეძლო და ამერიკის საომარი, მკაცრი პოლიტიკა

რბილი, ემპათიური გახადა. ამ პერიოდში გადაისინჯა ამერიკის პრიმატის კონცეპტიც, რომელის მიხედვითაც ამერიკას, როგორც რასობრივ თეორიაში თეთრ ადამიანს, დანარჩენ მსოფლიოზე უპირატესობა ენიჭებოდა.

“პოკაჰონტასი” სწორედ ახალი პოლიტიკის პროდუქტს წარმოადგენდა, რადგან ფრენსის ფორდ კოპოლას ფილმის “აპოკალიპსი ახლა” (Apocalypse Now, 1979) შემდეგ აღნიშნული ანიმაცია ერთ-ერთი იყო მსოლფიო მასშტაბით ცნობილ ფილმებს შორის, რომელშიც დასავლეთის აგრესიული კოლონიზაცია მკაცრად იკიცხებოდა. შეგახსენებთ, რომ “პოკაჰონტასი” გვიყვება ინგლისელ დამპყრობლებზე, რომლებიც “ახალ სამყაროში” გაემგზვრებიან ოქროს საძებნელად, რაც აბორიგენების გენოციდის იდეით გვირგვინდება. პარალელურად ფილმის მთავარ გმირებს – ინდიელების პრინცესა პოკაჰონტასსა და ინგლისელ მეზღვაურ ჯონ სმიტს (John Smith) – ერთამენთი უყვარდებათ და იწყებენ საერთო ენის გამონახვას, ცოდნის გაცვლას, საერთო კულტურის შექმნას.

ამერიკული “ჰეპი ენდის” მიუხედავად, ცხოვრებაში ჰიბრიდული კულტურის შექმნის შეუძლებლობას კოლონიალიზმის მთავარი მკვლევარი ჰომი ბაბა (Homi K. Bhabha) ამტკიცებს. პერსონაჟი ჯონ სმიტი მიიჩნევს, რომ უპირატესობა მისი კულტურის მხარესაა, ინდიელებს “პრიმიტიულებს” უწოდებს და პოკაჰონტასისგან, ისევე როგორც მისი ტომისგან, მადლიერებას მოელის, რომ ინგლისელები მათ მიწაზე მოვიდნენ და ცივილიზაციას აზიარეს (როგორც ეს რადიარდ კიპლინგის ლექსშია “თეთრი კაცის ტვირთს” (1899). ანტონიო გრამში ამ გარემოებას კულტურულ ჰეგემონიას უწოდებს).

გაადგილოვებრიობის მოტივი რომანტიზმის ეპოქის კულტურაში აღმოცენდა და კოლონიური პოლიტიკის მთავარ საყრდენად მოგვევლინა. შემდგომში ის დაპყრობისა და ექსპლუატაციის ლეგიტიმაციის მთავარ არგუმენტად იქცა, რომელსაც კოლონიზატორები “რბილ ძალის” პოლიტიკის გატარებისას მიმართავდნენ ხოლმე.

გაადგილოვებრიობა გულისხმობს ოთხი კომპონენტის არსებობას: 1. დაპირისპირება “დიდ” და “მცირე” კულტურებს შორის; 2. მთავარი გმირი მამაკაცია, რომელიც

ადგილობრივ კულტურასთან ამყარებს ურთიერთობას და როგორც წესი, უყვარდება ადგილობრივი ქალი; 3. მთავარი გმირი აკრიტიკებს საკუთარ კულტურას; 4. გააგილოვებრიობის შემდეგ მთავარი გმირი ამ კულტურის საუკეთესო წარმოამდგენელი ხდება (კლასიციკაცია ეკუთვნის შოთა პაპავას).

თუმცა ყველაფრი იცვლება მას შემდეგ რაც ამერიკის პრეზიდენტად ჯორჯ ბუშს უფროსს ირჩვენ, რომელიც მამის კვალდაკვალ, ახალ ომს უდგება სათავეში. მისი სიტყვები, რომ ერაყში შეჭრა ღმერთა დაავალა, კვლავინდებურად აცოცხლებს თეთრი ადმაიანის მისიონერიზმის იდეას, რომელმაც, პრომეთეს მსგავსად, ველურ ხალხს კულტურა უნდა უბოძოს. სწორედ ამ პერიოდში ეკრანებზე გამოდის მალიკის "ახალი სამაყრო", რომელიც "პოკაჰონტასის" ერთგვარ პოსტმოდერნისტულ რიმეიქს წარმოადგენს.

ტერენს მალიკმა ინგლისური კოლონიალიზმის კრიტიკა განაზოგადა ამერიკის დაფუძნების აქტამდე. "ახალი სამაყრო" იქცევა ნაწარმოებად, რომელიც ჰერმან მელივლის "მოდი დიკისა" და ნაწილობრივ, ორსონ უელსის "მოქალაქე კეინის" მსგავსად, ამერიკელი "ერის დაბადებაზე" (დევიდ უორკ გრიფიტი, 1915), ახალი ცივილიზაციის დაფუძნებაზე მოგვითხრობს.

"ახალ სამყაროში" უფრო მეტი ისტორიული სიზუსტით გვიყვება პირველი კოლონიის ჯეიმზთაუნის (ვირჯინია) ერთ-ერთი დამფუძნებელის ჯონ სმიტისა და ინდიელთა პოუჰატანების ტომის (Powhatan) ბელადის ქალიშვილის პოკაჰონტასის სიყვარულზე. მათი ურთიერთობა იწყება იმით, რომ ინგლისელთა ბანაკიდან დასაზვერად წასულ სმიტს ინდიელები შეიპყრობენ, სიკვდილისგან კი მომავალი შეყვარებული იხსნის. ეს ისტორია თავად ჯონ სმიტის წიგნშია მოთხრობილი, რომელიც თითქმის არაფრით განსხვავდება დანიელ დეფოს "რობინზონ კრუზოში" (1719) მოთხრობილი ამბისგან, როდესაც პარასკევა კრუზოს ფეხს თავზე იდებს და მას პატრონად აღიარებს – მსგავს ქმედებას ფრანგმა ჰუმანისტმა ეტიენ დე ლა ბოესიმ (Étienne de La Boétie) ნებაყოფლობით მონობა უწოდა.

“ახალ სამყაროში” ინდიელთა საცხოვრებელი უფრო მეტად “კულტურულად” გამოიყურება, ვიდრე ტალახსა და ჭუჭყში გაშენებული ჯეიმზთაუნი. მალიკი ამერიკელი ნაციის მითის დეკონსტრუქციას გვანახებს ინდიელთა ზოგად რეპრეზენტაციაში, რომლებიც ძალიან განსხვევდებიან ვესტერნის ჟანრის ველური და ბოროტი ინდიელებისგან – ფრონტირის მითში (Frontier myth) დამკვიდრებული აბორიგენების იერსახისგან.

კაპიტანი სმიტი დასავლელი ადამიანის დალტონიზმის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს. ვირჯინიაზე, ევროპელების ახალ აღთქმულ მიწაზე, საუბრის დროს ამბობს, რომ ეს მიწა ყველას ეყოფა, საკმარისია იშრომო და აქ ნამდვილად აშენდება რესპუბლიკა, რომელშიც აღარ იარსებებენ მიწათმფლობელები და ბატონები. ამ სიტყვების ფონზე ჩვენ ვხედავთ დატყვევებულ ინდიელს, რომელიც სმიტმა შეიპყრო ერთადერთი მიზნით – გამოეყენებინა ის როგორც ფარი, რომელიც აბორიგენების ბელადის მოსაძებნად წასულს მათი თავდასხმებისგან დაიცავდა.

ინგლისელებისთვის ამერიკის კონტინეტი უპატრონო მიწას წარმოადგენს, რომელიც ღმერთამ უბოძა და რომელშიც ოქროს სახით ძღვენიც დაუმარხა. საკუთრების ეს ვნება უცხოა ინდილებისთვის. ფილმი იწყება წყალში მობანავე ქალებით, რომლებიც დედამიწის სულს ესაუბრებიან. ისინი თავისუფლები არიან ევროპული იერარქიული კულტურისგან. რაც ჭუჭყში, დაავადებებსა და დაპირისპირებაში მცხოვრები ჯეიმზთაუნელებისთვის ველურობის ნიშანია. აქვე, მობანავე ქალების სცენა გვაგონებს ჯოზეფ ფონ შტერნბერგის “ქერა ვენერას” (Blonde Venus, 1932), რომელიც იწყება სცენით, სადაც შვიდი ამერიკელი სტუდენტი გერმანიაში მოგზაურობის დროს შემთხვევით წააწყდება ტყეში მობანავე ქალებს. ორივე ფილმში წყალში მცურავი შიშველი ქალი (ანგლო-)ამერიკული კულტურისგან უცხო, განზე მყოფ სიბუექტს აღნიშვანს.

მალიკი ვირჯინიის სანაპიროებში ბიბლიური ედემის, ანდა აღთქმული მიწის მითს წარმოგვიდგენს. ზეცით კურთხეული კონტინენტი სიკვდილმისჯილ კაპიტანს სმიტს ჩამოხრჩობისგან იხსნის (ის რომ სმიტი ამერიკის მიწაზე სიკვდილმისჯილი ადგამს ფეხს, მოცემულია 1953 წელს გადარებულ B კატეგორიის ფილმში “კაპიტანი ჯონ სმიტი

და პოკაჰონტასი” (Captain John Smith and Pocahontas)), მაგრამ საბოლოო ჯამში ვერ გადაარჩენს სულიერი დაცემისგან, რასაც ფილმის მსვლელობისას ვიხილავთ – სმიტი მიატოვებს პოკაჰონტასს და ალიასკაში ოქროს საძებნელად გაემგზავრება.

ტერენს მალიკი მიწაზე დაფუძნების მოტივს (ნაცისტური “სისხლისა და მიწის იდეოლოგია (Blut-und-Boden-Ideologie)) კატეგორიულად ემიჯნება, ისევე როგორც ერაყში ამერიკის წამოწყებულ ომს, რომელიც ფილმის გამოსვლამდე ორი წლით ადრე დაიწყო. პოკაჰონტასი ევროპაში მიემგზავრება და საკუთარი ტომის წარმომადგენელთან საუბარში ინგლისს “ახალ სამყაროს” უწოდებს. ტერენს მალიკი დასავლურ პერსპექტივას 180 გრადუსით აბრუნებს იმის შესახსენებლად, რომ კოლონიზატორების არგუმენტები ფიქციაა.

პოკაჰონტას ინგლისურ საზოგადოებაში რევერსულ გაადგილოვებრიობას მოახერხებს, გახდება მისთვის ამ ახალი კულტურის საუკეთესო წარმომადგენელი, რომელსაც ინგლისის მეფეც კი მოუწყობს მიღებას. პრინცესას მონათვლის შემდეგ ახალ სახელს რებეკას უბოძებენ, ასევე ის ცოლად ჯონ როლფს (John Rolfe) გაყვება, რომელთანაც ვაჟი შეეძინება, თუმცა ამერიკაში დაბრუნებას ვეღარ მოახერხებს, რადგან უკანა გზაზე დასნეულდება და გარდაიცვლება. ინდიელთა პრინცესის ცხედარს ოჯახი ინგლისის მიწას მიაბარებს. პოკაჰონტასის აღთქმული მიწა “ძველი სამაყრო” აღმოჩნდა, რომელმაც ის მხოლოდ იმიტომ მიიღო, რომ “ველურების” ტანსაცმელი გაახდევინა, მიაჩვია პირად ჰიგიენას, ინგლისური ენა, კითხვა, ეტიკეტი და კულტურის სხვა ატრიბუტები შეასწავლა.

პოკაჰონტასის სიკვდილი გამოხატავს დასავლური ცივილიზაციის ისტორიაში ყველაზე ბნელ ეტაპს. კოლონიალიზმი გულისხმობდა ადგილობრივი რესურსების სრულ ათვისებას, შემდგომ კი მათ “მიგდებას”. “ახალ სამყაროში” ქმარი და ვაჟი პოკაჰონტასის ცხედარს ინგლისში დიდი განცდის გარეშე ტოვებს და თავად ჯეიმზტაუნში მიემგზავრებიან. სწორედ ასე მიატოვა ამერიკამ ერაყი 2007-11 წლებში, როდესაც ბარაკ ობამამ დაასრულა ერაყის ომი, ინგლისმა – ინდოეთი, საფრანგეთმა – ალჟირი, რუსეთმა კი – საქართველო (თუმცა რუსეთს იმპერიის აღდგენის ვნება არ

განელებია, ამიტომ ეს მაგალითი აქ მხოლოდ ნაწილობრივაა გამართლებული). ასეთია ყველა კოლონიური "დისტოპიის" დასასრული.

გამოყენებული ლიტერატურა

Bhabha, H. K. (2004) The Location of Culture

La Boétie, E. (1977) Discourse on Voluntary Servitude

Gramsci, A. (1991) Prison Notebooks

Huhndorf, S. M. (2001) Going Native: Indians in the American Cultural Imagination

Patterson, H (ed.) (2007) The Cinema of Terrence Malick: Poetic Visions of America

Tillich, P. (1977) Socialist Decision

Gorgi Razmadze

PhD in Art History and Theory

Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University

The Motive of Going Native in the Screen Adaptations of the Pocahontas Myth

Summary

English philosopher Sir Thomas More initiated discourse about the ideal society in his famous work "Utopia". This work was written in a period when the New World was found, according to Amerigo Vespucci – "Mundus Novus". This term included the belief in an existing better world or the ability to achieve the old desire to build an ideal society in the "promised land". But first colonization found the previous culture and they decided to build a new life on top of the old. To do this, Wester men created Going Native myth to drown out the voice of conscience.

Grand American master Terrence Malick makes a film about the beginning of the construction of a new “ideal society”. As we see in the “New World” (2005), people who leave Europe to avoid despotism of monarchy or other difficulties of “old world” could not be connected to the reached land without old mental and cultural constructs. All of the first colonies build walls whatever the reasons. The arrivals spend their life in thick mud in the literal and figurative sense. This land was supposed to be a spot for “Utopia”, but became a Dante’s Inferno.

ელენე გოგიაშვილი
ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კონკიას ზღაპრის ეკრანიზაციები ამერიკულ კინემატოგრაფიაში

კონკია, ხალხური ჯადოსნური ზღაპარი, რომელიც გავრცელებულია მთელ მსოფლიოში და საერთაშორისო სიუჟეტურ კატალოგში "The Types of International Folktales" აღნუსხულია როგორც ზღაპრის ტიპი ATU510, ის საზღაპრო სიუჟეტია, რომელიც ყველაზე ხშირად არის ეკრანიზებული ფილმებსა და სატელევიზიო სერიალებში. არსებობს არა მარტო ზღაპრის ეკრანიზაციები, არამედ ვარიაციები კონკიას თემაზე და ძირითადი მოტივების მრავალფეროვანი ინტერპრეტაცია სხვადასხვა ჟანრის ფილმებში: რომანტიკული კომედია, დრამა, საშინელებათა ფილმი, ფსიქოლოგიური დრამა, სათავგადასავლო და სხვ.

„კონკიას" ეკრანიზაციები კინემატოგრაფიის ისტორიის საწყის ეტაპთან არის დაკავშირებული. პირველი ეკრანიზაციაა ფრანგი რეჟისორის ჟორჟ მელიეს "კონკია" (Cendlillon) 1899 წელს, პირველი ანიმაცია კი გერმანელი რეჟისორი ქალის ლოტე რაინიგერის "კონკია" (Aschenputtel), 1922.

„კონკიას“ თემის ამერიკული ადაპტაციები კინემატოგრაფიაში 1914 წლიდან იწყება ჯეიმს კირკვუდის ფილმით „კონკია“ (Cinderella). 1925 წელს გამოვიდა ჰერბერტ ბრენონის „კონკიას კოცნა“. 1926 წელს კონკიას ამბავი თანამედროვე ეპოქაში გადაიტანა ალფრედ ე. გრინმა. მისი ფილმის სახელწოდება “Ella Cinders” სიტყვათა თამაშია, რომელშიც შებრუნებით Cinderella იკითხება.

1939 წელს კვლავ კონკიას თანამედროვე ვერსია გამოვიდა ეკრანებზე: ჰოლივუდის მიუზიკლი „პირველი სიყვარული“ დინა დურბინის მონაწილეობით. ფილმის მთავარი გმირია ობოლი გოგონა კონი, რომელიც სკოლა-ინტერნატის დამთავრების შემდეგ თავის მდიდარ ნათესავებთან გაგზავნეს. ჭირვეული ბიძაშვილი გოგო, რომელსაც არ უნდა კონის საზოგადოებაში გამოჩენა, ხელს უშლის მას, წავიდეს წვეულებაზე. ბიძის დახმარებით კონი მაინც წავა მეჯლისზე და გაიცნობს თავისი ბიძაშვილის შეყვარებულს, რომელსაც კონი შეუყვარდება.

სამეცნიერო ლიტერატურაში კონკიას ზღაპრის ინტერპრეტაციებად მიჩნეულია ჰოლივუდის თითქმის ყველა ფილმი ოდრი ჰეპბერნის მონაწილეობით. ამ ფილმებით ოდრი ჰეპბერნმა კინემატოგრაფიული კონკიას მოდელი შექმნა, რამაც მისი კულტურული სტატუსი განსაზღვრა დასავლურ სამყაროში და კინოს ისტორიაში.

კონკიას ზღაპრის თანამედროვე ვერსიებში წამყვანი თემა ქალთა შორის კონფლიქტი, განსხვავებულ სოციალურ ფენებს შორის კონტრასტი და ამ ფონზე განვითარებული სიყვარულის ისტორიაა. ასევეა დისნეის ანიმაციურ ფილმში „კონკია“ (1950).

კონკიას თემის წარმატებას კინოში იგივე მიზეზი აქვს, რაც ფოლკლორსა და ლიტერატურაში ანტიკური დროიდან მოყოლებული დღევანდლამდე. კონკიას მთავარი თემა: კონფლიქტი უფროსი ასაკის ქალსა და ახალგაზრდა ქალს შორის დაფიქსირებულია აპულეუსის თხზულებაში „მეტამორფოზები ანუ ოქროს ვირი“ (აპულეუსი 1963). კონკიას მოტივი ლიტერატურასა და ხელოვნებაში არაერთგზის არის ინტერპრეტირებული, მათ შორის, შარლოტა ბრონტეს „ჯეინ ეარშიც“.



კონკიას ზღაპარი რომანტიკული ისტორიაა, რომელიც ხოტბას ასხამს სიყვარულს და მთავრდება ქორწინებით, როგორც „ჰეპი ენდის“ ხორცშესხმული გამოხატულებით. კონკიას ამბავში მოთხრობილია სიღარიბიდან და მარტოობიდან თავის დაღწევა, რაც უამრავი სიუჟეტის მოფიქრების შესაძლებლობას იძლევა. კონკიას თემის ადაპტაციებია ფილმებში: მზიური ველის სერენადა (Sun Valley Serenade, 1941) და მუსიკის ჰანგები (The Sound of Music, 1965).

გარი მარშალის ფილმი „მშვენიერი ქალი“ (Pretty Woman), 1990, რომელიც ევროპულ ხალხურ ზღაპარ “კონკიასა” და ბერნარდ შოუს პიესა “პიგმალიონის” სიუჟეტთა სინთეზია.

ჰოლივუდის ფილმების მნიშვნელოვანი მახასიათებელია ემანსიპირებული ადამიანის სახე. ემანსიპირებული ქალი, რომელიც პირისპირ ბრძოლაში უფლისწულის გამოჩენამდე ამარცხებს მტერს - არის კონკია ფილმში “Ever After”, 1998 (რეჟისორი ენდი ტენანტი, მთავარ როლში დრიუ ბერიმორი). გარდა მტკიცე ხასიათისა, კონკიას ფიზიკური აღნაგობაც ძლიერი აქვს და საკუთარი უფლებებისთვის ბოლომდე იბრძვის.

კარიერაში წარმატებული ქალის მოდელი მაიკ ნიკოლსის ფილმში “საქმიანი ქალი” (Working Girl, 1988) კვლავ კონკიას თემის ვარიაციაა.

რეჟისორი ვეინ ვანგი ფილმში “მოახლე მანჰეტენიდან” (2002) კონკიას თემას თანამედროვეობის აქტუალური პრობლემების შესაბამისად ამუშავებს. სოციალური წრეების დაპირისპირების გარდა ფილმი აქცენტს აკეთებს რასობრივი დისკრიმინაციის საკითხზეც. მთავარი გმირები არიან ლათინო-ამერიკელი დამლაგებელი ქალი (ჯენიფერ ლოპესი) და ანგლო-საქსური წარმოშობის კონგრესმენი (რალფ ფაიანსი).

ამერიკული ღირებულებები - თავისუფლება, ადამიანის უფლებათა დაცვა, ლიბერალიზმი, დემოკრატია, კეთილსინდისიერად შრომა, კონკურენცია და წარმატება - ყველაზე ხშირად გამოყენებული იდეოლოგიური კონცეპტებია ამერიკულ კულტურაში. განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ეს ჰოლივუდის პროდუქციაში ჩანს. ფილმების უმრავლესობის ბედნიერი დასასრული ნაწილობრივ „ამერიკული ოცნების“ პრინციპებიდან მომდინარეობს, ნაწილობრივ კი ხალხური თხრობის ტრადიციებიდან. ნებისმიერი სიუჟეტი, რომელიც პრობლემის გადაჭრაზე და წარმატების მიღწევაზეა აგებული, ზღაპრის ტრადიციულ სქემას ეყრდნობა.

ფილმოგრაფია

1. კონკიას ისტორია (Ever After: A Cinderella Story), 1998, ამერიკული რომანტიკული დრამა, 2 სთ 01 წთ. რეჟისორი ენდი ტენანტი, როლებში: დრიუ ბერიმორი, დაგრი სკოტი.

2. ლამაზი ქალი (Pretty Woman), 1990, ამერიკული რომანტიკული კომედია, 2 სთ 05 წთ. რეჟისორი გარი მარშალი, როლებში: ჯულია რობერტსი, რიჩარდ გირი.

3. მზიური ველის სერენადა (Sun Valley Serenade), 1941, ამერიკული რომანტიკული კომედია, 1 სთ 26 წთ, მიუზიკლი, რეჟისორი ჰ. ბრიუს ჰამბერსტოუნი, როლებში: სონია ჰენი, ჯონ პეინი, გლენ მილერი.

4. მოახლე მანჰეტენიდან (Maid in Manhattan), 2002, ამერიკული რომანტიკული კომედია, 1 სთ 45 წთ. რეჟისორი ვეინ ვანგი, როლებში: ჯენიფერ ლოპესი, რალფ ფაიენსი.

5. მუსიკის ჰანგები (The Sound of Music), 1965, ამერიკული რომანტიკული დრამა, მიუზიკლი, 2 სთ 54 წთ. რეჟისორი რობერტ ვაიზი, როლებში: ჯული ენდრიუსი, ქრისტოფერ პლამერი.

6. საბრინა (Sabrina), 1954, ამერიკული კინოკომედია, 1 სთ 53 წთ. რეჟისორი ბილი უაილდერი, როლებში: ოდრი ჰეპბერნი, ჰემფრი ბოგარტი.

7. საბრინა (Sabrina), 1995, ამერიკული რომანტიკული კომედია, 2 სთ 07 წთ. რეჟისორი სიდნეი პოლაკი, როლებში: ჯულია ორმონდი, ჰარისონ ფორდი.

8. საქმიანი ქალი (Working Girl), 1988, ამერიკული რომანტიკული კომედია, 1 სთ 56 წთ. რეჟისორი მაიკ ნიკოლსი, როლებში: მელანი გრიფიტი, ჰარისონ ფორდი, სიგურნი უივერი.

Elene Gogiashvili

PhD in Philology, Associate professor

Ivane Javakhisvhvili Tbilisi State University

The Film Versions of the Cinderella Tale in American Cinema

Summary

Best known in the canonical versions by Charles Perrault and the Brothers Grimm, Cinderella is the widely distributed tale type classified as ATU 510A in the The Types of International Folktales. The Tale of Cinderella is said to be the story that has most often been made into films and TV series. There are not only film adaptations but also interpretations on

the theme of Cinderella in many genres: romantic comedy, drama, horror film, psychological drama, adventures etc.

From the beginnings of film history it is possible to find silent adaptations of the Cinderella story in black and white. This paper gives an account of some American film adaptations of the Cinderella story.

The silent version of Cinderella, directed by the American film director James Kirkwood, appeared in 1914. "A Kiss of Cinderella", by Herbert Brenon, came out in 1925. In 1926 Alfred E. Green offered his own rendition of the Cinderella story in "Ella Cinders". In 1939 appeared an American musical film "First Love" by Henry Koster, starring Deanna Durbin. The film is about an orphan who is sent to live with her wealthy aunt and uncle after graduating from boarding school. Her life is made difficult by her snobby cousin who arranges that she stay home while the rest of the family attends a major social ball. With the help of her uncle, she makes it to the ball, where she meets and falls in love with her cousin's boyfriend.

In the film criticism, almost all films with Audrey Hepburn are hold as Cinderella stories. Hepburn's glamorous makeover in films such as these have made her the model for the cinematic Cinderella, a role to which she might partly owe her status as a cultural icon in the Western world.

The paper deals with films such as The Sound of Music (1965), Sabrina (1995); Pretty Woman (1990); Ever After: A Cinderella Story (1998); Maid in Manhattan (2002) etc

თამარ ცაგარელი

თეატრმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,

ასოცირებული პროფესორი

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს

სახელმწიფო უნივერსიტეტი

მიმეზისიდან კათარზისამდე

ვის სჭირდება თეორია? არ გეგონოთ რიტორიკული შეკითხვაა. იგი საჭიროა ზოგიერთებისთვის და, შესაძლოა, უსარგებლო დანარჩენებისათვის. როგორ გავერკვეთ ამაში? თეორიას ხომ ისიც ახასიათებს, რომ გაუნათოს გონება ერთს და საბოლოოდ დააბრმავოს სხვა; ორივე შემთხვევაში თეორია თავის საქმეს აკეთებს, რადგან მისი ძალის გარეშე ვერავინ ვერ მიხვდება მთავარს – რატომ მიიღო სავალალო შედეგი მაშინ, როდესაც, თითქოს და, გაითვალისწინა ყველა მოსალოდნელი დაბრკოლება?

ისტორიის და თეორიის შორის დიდი განსხვავებაა. ერთი გვასწავლის ფაქტების მნიშვნელობას, მეორე კი, კანონზომიერებების დანახვას. ისტორია უნდა იცოდე, მაგრამ საჭიროა გესმოდეს, რომ იგი ვერაფერს ვერ შეცვლის, რადგან ფაქტების დამოწმება ადამიანს ცხოვრებისეულ გაკვეთილს ვერ მისცემს. ისტორიული ფაქტების დამახსოვრება შესაძლებელია, მაგარამ იგი ატარებს მხოლოდ ინფორმაციული ხასიათის ფასეულობას; მას არ გააჩნია ძალა განაზოგადოს მოვლენები და აღნიშნოს მათი ლოგიკური ხასიათის დინება.

ასე რომ არ იყოს, ისტორიის მაგალითები ძალიან ბევრ რამეს გაგვაგებინებდენ, გვასწავლიდნენ; პირველ რიგში კი იმას, რომ უნდა გვიყვარდეს სხვები - ერები, ადამიანები, კაცობრიობა, სამყარო, ბუნება. სამწუხაროდ, წარსულის გაკვეთილები ბევრს არაფერს არ გვეუბნევა, რადგან ისტორიული გამოცდილება მიისწრაფის უზომო და უაზრო შეცდომების გამეორებისათვის.

რატომ? შეკითხვას დამაჯერებლად პასუხობს არტურ შოპენჰაუერი, რომელიც ისტორიის როლს განსაზღვრავს შემდეგნაირად – ისტორია უამრავი შეცდომების და დანაშაულების მატიანეა – შოპენჰაუერი უარყოფს ისტორიასაც და საერთოდ

პროგრესის ყოველგვარ საშუალებას, იგი აცხადებს, რომ ისტორიას არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნდა; კაცობრიობა ცხოვრობს მოჯადოებულ წრეში – ამიტომ მხოლოდ ფილოსოფიას აქვს ძალა მოგვცეს ცოდნა ცხოვრების უბედურებების შესახებ. რადგან ფილოსოფიას, ესე ეგი – თეორიას, რომელსაც თუ დაუჯერებთ, შესაძლებელია მივენდოთ და ვირწმუნოთ. შოპენჰაუერის ეს მოსაზრება მჭიდროდ დაკავშირებულია ხელოვნების პრობლემატიკასთან და პირველ რიგში დრამატურგიასთან, თეატრთან.

დრამისა და სათეატრო ხელოვნების თეორია, როგორც სპეციალური დისციპლინა ეძებს, ადგენს, ხელოვნების კანონზომიერებებს და ამით გვიადვილებს განვითარების განზოგადებული სურათის დანახვას, თავის მხრივ, ითხოვს როგორც ამა თუ იმ ეპოქაში ჩამოყალიბებული წესების ცოდნას ასევე `დამღვრევების~ მიერ შეტანილი წვლილის შესწავლას და შეფასებას, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, უსახავდნენ ხელოვნებას ახალ მიზნებს და გზებს. ამ რთული პროცესის გააზრებისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პირველწყაროებთან შეხება, ტერმინოლოგიაში და მთავარ ცნებებში გარკვევა, მიმართულებების, სკოლების, სტილების ფორმირების პრინციპების, და ზოგადათ, სათეატრო აზრის მრავალსაუკუნოვანი გზის ათვისება. ამიტომაცაა მნიშვნელოვანი გავერკვეთ სათეატრო ხელოვნების იმ მნიშვნელოვან ტერმინოლოგიებში, რომელიც საფუძველთა საფუძველია და რომელსაც, საბოლოოდ, მივყავართ იმ შედეგამდე, რასაც კათარზისი ეწოდება და რასაც გარკვეული გზის გავლა ჭირდება. მისი საწყისი წერტილი კი მიმეზისია. მიმეზისი ანუ მიბაძვა – ერთერთი ცეტრალური ცნება, რომლის განსაზღვრით იწყებს არისტოტელე მსჯელობას ხელოვნების შესახებ. დებულება, რომ მიბაძვა ბავშვობიდან ახასიათებს ადამიანს, რომელიც მისი მეშვეობით ეუფლება პირველ ცოდნას არსებული სინამდვილის შესახებ, არისტოტელეს ნაშრომში ღებულობს გადამწყვეტ მნიშვნელობას, რადგან სულ რამდენიმე გვერდის შემდგომ, იგი ამბობს, რომ დრამა მოქმედების მიბაძვაა, მოქმედებას ტრაგედიაში არისტოტელე უპირატესობას ანიჭებს ხასიათებთან შედარებით. მისი აზრით, ტრაგედია მოქმედების გარეშე ვერ იარსებებს, ხოლო ხასიათების გარეშე მისი არსებობა შესაძლებელია. რასაკვირველია, იგი არ თვლიდა, რომ ტრაგედიაში გმირები აღარ იქნებოდნენ. უბრალოდ, ამ გმირების ხასიათებს დააკლდებოდათ მკვეთრი თვისებები. ნამდვილი ტანჯვა ჩნდება მაშინ,

როდესაც კონფლიქტია ახლობელი ადამიანების შორის (ძმა კლავს ძმას, შვილი მამას, დედა შვილს და ა.შ.) არისტოტელეს აზრით - ამას უნდა ეძებდეს დრამატული პოეტი. თუ გადავხედავთ ამ თვალსაზრისით შექსპირის დრამატურგიას, შეიძლება ვაღიაროთ, რომ გენიალური ინგლისელი მოქმედებდა არისტოტელეს რჩევების გათვალისწინებით

დრამის თეორიის ძირათადი ცნებები, კატეგორიები და სტრუქტურული ელემენტები წარმოადგენენ რთულ სისტემას, რომელიც უნივერსალურია თავისი ხასიათით და ამიტომაც ითხოვს თანმიმდევრულ და ლოგიკურ განხილვას. `პოეტიკის~ ყველაზე `ბნელ~ და იდუმალებით მოცულ ადგილს წარმოადგენს კათარზისის ანუ განწმენდის ცნება, რომელსაც არისტოტელე ეხება მხოლოდ ერთი წინადადებით - `შიშისა და თანაგანცდის მეშვეობით გვანთავისუფლებს ამგვარ აფექტებისაგან~. არისტოტელე ტრაგედიის საბოლოო მიზნად განსაზღვრავდა განწმენდას, კათარზისს, რომელიც უნდა მიღწეულიყო თანაგრძნობისა და შიშის განცდის შედეგად. დრამატული ნაწარმოების ეს უძველესი ფორმა, თავიდანვე ჩამოყალიბდა, როგორც სერიოზული გამოცდის მოდელი ადამიანის ცხოვრების გზაზე; როგორც ბედის ცვალებადობის და პიროვნების მიერ მასზე რეაგირების ინდივიდუალური არჩევანი.

როგორც წესი, ტრაგედიას წინ უძღვის ფარული კონფლიქტით დამუხტული კოლიზიური რეალობა, სიუჟეტური კვანძის წარმოქმნა, პერიპეტია, რომელიც, გმირს, ქმედებისკენ, არჩევანისკენ, საკუთარი ღირებულებების გარკვევისკენ უბიძგებს. ტრაგედიის ამ ნაწილებიდან, გმირის არჩევანს იზიარებს მაყურებელიც, თანაგრძნობითა და შიშით გულშემატკივრობს, რადგან გმირისგან განსხვავებით, კონფლიქტის მასშტაბები და შესაძლო ქმედებები მისთვის უფრო თვალსაჩინოა.

კათარზისის თეორიები საუკუნეების მანძილზე ფორმირდებოდნენ და მათ მნიშვნელობაზე ხელოვნების განვითარების სხვადასხვა ეტაპი მიგვანიშნებს. რენესანსისდროინდელი ვინჩენცო მაჯის `ეთიკური თეორია~ გვასწავლის, რომ ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს პირადი უბედურების, რადგან იგი ბევრად უფრო იოლი გადასატანია, ვიდრე ის, რომელიც ტრაგედიაშია აღწერილი.

კათარზისის `ინტელექტუალური~ თეორია, რომლის ავტორია ჰაუპტი, გვარწმუნებს, რომ კათარზისი უნდა გავიგოთ არა როგორც `განწმენდა~ არამედ, როგორც

განმანათლებლობა – ტრაგედიას არ შეუძლია ყოველთვის მოახდინოს ეთიკური ან ესთეტიკური ზემოქმედება, მაგრამ იგი უცვლელად მოქმედებს გონებაზე, რის გამო მაყურებელი ღებულობს სათანადო გაკვეთილს; იგი ხვდება, რომ თუ არ იმოქმედებს ტრაგედიის გმირის მსგავსად, მაშინ მას აღარ ელის ტრაგიკული ბედი.

ყველაზე პოპულარული კათარზისის თეორია - `სამედიცინო თეორიაა~ (ბერნაისი), რომლის ავტორი ირწმუნება, რომ ანტიკურ ხანაში კათარზისის ცნებით კურნავდნენ სულიერად დავადებულებს. მათ ამღერებდნენ ჰიმნებს და ამ პროცესში ისინი შეიგრძნობდნენ შემსუბუქებას, განწმენდას, რომელიც უკავშირდება სიამოვნებას, განთავისუფლებას აფექტებისაგან.

XX საუკუნის 70-იანი წლებიდან სამედიცინო თეორიამ ევროპის რამდენიმე ქვეყანაში (უნგრეთი,პოლონეთი, შვეიცარია) თავისი განხორციელება ჰპოვა: იწერებოდა ამა თუ იმ ავადმყოფობის მიმდინარეობის ამსახველი პიესები და პატარა თეატრის დარბაზში ეპატიჟებოდნენ სენით დაავადებულებს. არ ვიცი მოყვებოდა თუ არა ყოველივე ამას შედეგი, მაგრამ `სამედიცინო თეორიის~ გამოყენების ფაქტს უდაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს.

`ესთეტიკური თეორია~ (ბუთჩერი), რომელიც აერთიანებს წინა სამ თეორიას და უმატებს მათ ესთეტიკურ ეფექტს, გვასწავლის რომ კათარზისის ფუნქცია სულაც არ არის მცდელობა გვიმკურნალოს, გაგვათავისუფლოს შიშისაგან ან თანაგანცდიდან. არა, მან უნდა მოგვანიჭოს პირველ რიგში – ესთეტიკური სიამოვნება, განახორციელოს განწმენდა ხელოვნების მეშვეობით. უფრო თანამედროვე, ამერიკული კათარზისის თეორია `სტრუქტურული ანუ ფორმალური~ (ჯერალდ ელსი) მიუხედავად თავისი ორიგინალობის, ნაკლებად დამაჯერებლად მეჩვენება. მისი ავტორი ცდილობს დაგვარწმუნოს, თითქოს არისტოტელე არ გულისხმობდა განწმენდაში მაყურებელს. ჯ. ელსის თვალსაზრისით, კათარზისი ხდება თვით დრამატურგიულ ნაწარმოებში და დაკავშირებულია მხოლოდ პერსონაჟების გრძნობებთან.

თუ ყოველივე ამას დაუმატებთ ლესინგის, გოეთეს და შილერის კათარსისის გაგებას და განმარტებას, მივიღებთ საკმაოდ რთულ და წინააღმდეგობრივ სურათს, რომელიც მოწმობს იმაზე, რომ არისტოტელეს ნათქვამმა ერთმა ფრაზამ გამოიწვია `ქარბუქი~

ხელოვნების თეორიაში. ლესინგს მიაჩნდა, რომ არისტოტელეს მხედველობაში ჰქონდა შიშის ამგვარი გაგება: ეს შიში წარმოიშვება როგორც შედეგი ჩვენი მსგავსების გმირთან, რომელიც ტრაგედიაში იტანჯება. ანუ – ეს ჩვენი შიშია იმის გამო, რომ მალე, შესაძლოა ჩვენც გავხდეთ თანაგრძნობის ობიექტი. ამიტომაც კათარზისის ფორმულა, რომელსაც ლესინგი გვთავაზობს სიტყვების გადაადგილებაში მდგომარეობს, თუმცა ეს გადაადგილება სულ ახალ და ახალ აზრობრივ დატვირთვას იძენს - `ტრაგიკული თანაგანცდა – ჩვენი თანაგანცდაა. ტრაგიკული შიში – ჩვენი შიშია. ტრაგიკული თანაგანცდა – ჩვენი შიშია. ტრაგიკული შიში – ჩვენი თანაგანცდაა~.

კათარზისის პრომლემას ეხება ერიკ ბენტლიც წიგნში `დრამის ცხოვრება~. იგი წერს: `იმ შემთხვევებშიც, როდესაც არისტოტელე მსჯელობს ისეთ სიუჟეტურ ხერხებზე, როგორებიცაა `პერიპეტია~ და `გამოცნობა~, რომლებსაც მოიხსენიებს, როგორც ემოციური ინტერესის გაღვივების უძლიერეს ხერხებს, მაშინაც გასაგები ხდება, რომ მას მხედველობაში აქვს რაღაც ბევრად უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ცნობისმოყვარეობის გრძნობა. არისტოტელე ლაპარაკობს მაყურებელზე, რომელიც თრთის საშინელების გამო და ხდება ლმობიერი, `რბილი~ თანაგანცდის მეშვეობით. შიშის და თანაგანცდის გრძნობები აქ ფიგურირებენ  ცნობილ და ამავე დროს ყველაზე გაუგებარ არისტოტელეს გამოთქმაში – თანაგანცდის და შიშის მეშვეობით ტრაგედიაში ხდება `განწმენდა ამგვარ აფექტებისაგან~ . აქ საკმარისია აღვნიშნოთ, რომ რაც არ უნდა სხვადასხვაგვარი განმარტებები მიეცეს ამ ფრაზას, არავის თავში არ მოუვა მისი გაგება, როგორც…. . . უბრალო…ცნობისმოყვარეობის აღძვრა~

ვლადიმირ სახნოვსკი-პანკეევი `განწმენდის~ შესახებ წერს: `აუცილებელი არ არის რომელიმე კონცეფციის გაზიარება ან ტერმინის ახალი განმარტება. საკმარისია შევიზღუდოთ იმ მთავარით, რაც უეჭველად დევს ამ ცნებაში. არავითარ ეჭვს არ იწვევს ის, რომ აქ კავშირია ესთეტიკური და ეთიკური საწყისების შორის, ხოლო ტრაგედიის უმაღლესი მიზანია – ზნეობრივი ეფექტის მიღწევა. ეს ეფექტი მზადდება ტრაგიკული კონფლიქტის მთლიანი გაშლით, რომელიც რეალიზაციას პოულობს კვანძის გახსნაში ანუ კონფლიქტის გადაწყვეტაში. კათარზისის ცნებას არისტოტელე უკავშირებდა მხოლოდ ტრაგედიას, მაგრამ თუ ამ ცნებას გავიგებთ უფრო ფართოდ, იგი უნდა

გავრცელდეს დრამატურგიის სხვა ჟანრებზეც.“ სრულიად სამართლიანი შენიშვნაა, რადგან ზნეობრივი `განწმენდა~ ახასიათებს კომედიასაც, რომელიც არა შიშის მეშვეობით, არამედ სიცილით და დაცინვით აღწევს იგივე შედეგს. მაგალითისთვის საკმარისია გავიხსენოთ მოლიერის `ტარტიუფი~: `თუ ტრაგედია და კომედია პოლარული ჟანრებია, მაშინ ზნეობრივი განწმენდის ეფექტი უნდა ახასიათებდეს აგრეთვე შუალედურ ჟანრებსაც~. დღესაც გრძელდება კამათი იმის შესახებ რას ნიშნავს სინამდვილეში სიტყვა კათარზისი, მაგრამ მგონია, დაპირისპირებული მხარეები ერთ რაღაცაში უნდა შეთანხმნენ – არისტოტელე უარყოფს წარმოდგენას, რომლის მიხედვით ჩვენ დავემსგავსებით ნერვების „გუნდას~... იგი ფორმულირებას უკეთებს სულ სხვა დასკვნას: ტრაგედია არა მხოლოდ აღძრავს აღელვებას, არამედ გვანთავისუფლეფს ამ აღელვებისაგან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არისტოტელე. პოეტიკა. თბ., 2013.
2. Theodor W. Adorno. Aesthetic Theory. London. 2013.
3. Строганов А.Е. Психотерапия на базе театральных систем. Практическое руководство. Наука и техника. 2008
4. http://teatr-lib.ru/Library/Bentley/life_dr/.Бентли Э. Жизнь драмы /
5. Г. Э. Лессинг. Лаокоон, или о границах живописи и поэзии. М., 2017.
6. Лосев А. `Устория античной эстетики~. М., 1975.

Tamar Tsagareli

Theatre Studies, PhD, Associate professor

Shota Rustaveli Theatre and Film

Georgia State University

From Mimesis to Catharsis

Summary

The answer to the question where to look for the truth about the world and our existence was an important point of disagreement between the authors and their understanding of artistic mimesis, even though they feel that attentive contemplation and the imitation/depiction of reality are core methods of artistic creativity. If, one of them felt, the truth of the world and human existence is to be found in the world of eternal ideas, our immediate reality presenting its mere shadow, then mimetic representation of reality is even further away from the truth than reality itself. "The poet then is only capable of portraying the image of things as rendered by the senses, unable to reach their true nature..."

If the creative process as a mimetic act is able to provide a path leading to the truth of a certain phenomenon or an event, one cannot neglect the importance of the aesthetic method as part of artistic activity. Art was not the only form of human action aimed at discovering the truth in Aristotle's time and thus Aristotle had to confront art with philosophy and positivist science, the main paradigm of the latter in his work presented by historiography. In the famous ninth chapter of Poetics, Aristotle presents a provocative idea even for today, claiming that "poetry is more philosophical and more elevated than history", since poetry (like philosophy) relates more of the universal, while history relates particulars". However, philosophy and art differ in the language employed in unveiling general truths. If the main method of philosophy is describing human existence by using broader categories, tragedy employs another kind of vocabulary, bringing us closer to the truth by depicting a specific action instead of general characteristics of the main actors.

ლაშა ჩხარტიშვილი

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

საქართველოს შოთა რუსთველის

თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

შურისძიების შედეგი და მისი პერსპექტივა (არტურ მილერის „სეილემის პროცესი“ მომზარდ მაყურებელთა თეატრში)

ართურ მილერის „სეილემის პროცესის“ სცენურ ინტერპეტაციას ქართულ თეატრში ხანგრძლივი და მდიდარი ისტორია აქვს. სხვათაშორის, პიესა გამორჩეულმა რეჟისორებმა სხვადასხვა თეატრში განახორციელეს ისე, რომ არა მხოლოდ მათ, როგორც რეჟისორებს მოუტანა წარმატება, არამედ ქართულ თეატრსაც. ბოლოს, 2017 წელს, „სეილემის პროცესი“ მოზარდ მაყურებელთა თეატრში განხორციელდა, რომლის რეჟისორიც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი დიმიტრი ხვთისიაშვილი გახლავთ.

მიუხედავად ჩაკეტილი საზღვრების სრულად გახსნისა და ინფორმაციული ვაკუუმის გარღვევისა, ქართული თეატრის წინაშე პრობლემები დაკავშირებული დრამატურგიასთან (როგორც ორიგინალური, ეროვნული, ისე მთარგმნელობითი საქმიანობა) მაინც დგას. ეს პრობლემა ასახვას სწორედ თეატრების რეპერტუარზე ჰპოვებს. მოცემულ სურათზე ვლინდება, რომ ქართველ რეჟისორებს არ აქვთ სრული ხელმისაწვდომობა თანამედროვე უცხოურ დრამატურგიის ნიმუშებზე, მცირეა ინფორმაცია ახალ პიესებზე, ფაქტობრივად არ არსებობს ახალი თარგმანები, იწერება უმნიშვნელოდ მცირე რაოდენობის ახალი ქართული პიესები. ამიტომაც, რეჟისორების დიდი ნაწილი ქართულ თეატრში უკვე განხორციელებულ პიესებზე აკეთებენ არჩევანს და ცდილობენ მათ ახლებური სცენური ინტერპრეტაციით მაყურებელზე შეთავაზებას. დიმიტრი ხვთისიაშვილი ქეთევან ლორთქიფანიძისა და თემურ ჩხეიძის თარგმანის ვერსიას დაეყრდნო. ვფიქრობ, თარგმანმაც უბიძგა სპექტაკლის ტრადიციულ, აკადემიურ ფორმას, რაც დახვეწილ მხატვრულ ხარისხში განახორციელა მოზარდ მაყურებელთა თეატრმა საკუთარი შემოქმედებითი ძალებით.

სპექტაკლში ვერ შეხვდებით თანამედროვე თეატრისთვის დამახასიათებელ კომპონენტებს, მოჭარბებულ მულტიმედიას, ტენოლოგიურ სიახლეებს, ფიზიკური და არავერბალური თეატრის ელემენტებს. აქ ყველაფერი კლასიკურ, ტრადიციულ თეატრში დამკვიდრებულ აკადემიურ სტილს და პრინციპებს ემყარება. რეჟისორი არ ცვლის ეპოქას, სპექტაკლშიც პიესის მსგავსად, მოვლენები 1692 წელს სეილემში დატრიალებულ უცნაურ ამბებს ეხება. ართურ მილერის „სეილემის პროცესში“ ადამიანის რამდენიმე მანკიერ თვისებაზეა აქცენტი დასმული, რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი კი სპექტაკლს შურისძიების წყურვილზე დგამს. მთავარი

შურისმაძიებელი სპექტაკლში აბიგიელია (თეკლა ჯავახაძე), თუმცა მაყურებელს მთელი აქცენტი ცოლ–ქმარზე ელიზაბეთ პროქტორზე (თამარ მამულაშვილი) და ჯონ პროქტორზე (ვახტანგ ჩაჩანიძე) გადააქვს, ვინაიდან არტისტები დეტალებში ისე ხატავენ თავიანთ პერსონაჟებს, რომ მათ მიმართ ყურადღება არ ნელდება. რეჟისორსაც აბიგაილის მიერ ჩადენილი დანაშაულის დადგენა და გამოძიება უფრო აინტერესებს და შესაძლოა ამიტომაც ექცევა ყურადღების ცენტრში პროქტორების ოჯახი.

რეჟისორი დამდგმელ ჯგუფთან ერთად მკაცრად იცავს პიესის ავთენტურობას და პირველწყაროდან აღმოცენებული ისტორიის რაკურსით გვიხატავს ჩვენს თანამედროვეობაში დომინანტადქცეულ ადამიანის თვისებას – შურისძიებას, თუმცა სპექტაკლში განვითარებული პრობლემების კვალდაკვალ სხვა თემები და პრობლემებიც იკვეთება, მათ შორის ადამიანური სისუსტეები, რომელთან ბრძოლა არც ისე მარტივია. ფიზიკურად გადარჩენას ღირსების დაცვის პრობლემა უპირისპირდება.

სპექტაკლი მაგიური რიტუალით იწყება, რომელიც პლასტიკაშია გადაწყვეტილი (ქორეოგრაფი გია მარღანია). ეს ეპიზოდი ერთადერთი და უკანასკნელი მისტიკური ეპიზოდია სპექტაკლში. გოგონების ცეკვა სცენის სიღრმეში ამორძალთა რიტუალს ჰგავს, მათი ერთი შეხედვით უწყინარი თამაში, რომელიც რიტუალად იქცა, სილუეტად მოჩანს, როგორც მისტიკური აქტი. ორმოქმედებიანი სპექტაკლის დიდი ნაწილი კი „კუდიანთა რიტუალის“ ბურუსით მოცული ამბის გამოძიებას ეთმობა. სპექტაკლშიც რეჟისორისთვის მთავარი არა ეს მისტიკური აქტია, არამედ მისით გამოწვეული შედეგები, რომელმაც სრული ქაოსი გამოიწვია სოფელში და აქ დატრიალებული ამბავი მთელ ქვეყანას მოედო.

ორიგინალურად გადაწყვიტეს სპექტაკლის ავტორებმა სივრცე, რომელშიც მოქმედება ვითარდება, სადაც წითელი ფერი დომინანტობს. ეს სივრცე ზოგადია და კონცეპტუალურიც. ირგვლივ კედლები და ჭერი მოვლენებს და პერსონაჟთა სახეებს სარკისებურად (არა მკვეთრად), მაგრამ ბუნდოვნად ირეკლავს. ამ სამყაროშიც ხომ ყველაფერი ბურუსითაა მოცული და ეს ბუნდოვანება არცაა გასაკვირი. სცენოგრაფი ლომგულ მორუსიძე წითელ აბსტრაქტულ და პირობით კედლებს ადამიანთა აჩრდილებსაც ატანს. ბურუსითმოცული ატმოსფეროს გასაძლიერებლად რეჟისორი

თანამედროვე ქართული თეატრის აუცილებელი ატრიბუტს – კვამლსაც იყენებს და რაც მთავარია ბლომად. მისტიკურ გარემოს სპექტაკლში სწორედ ქორეოგრაფიული პრელუდია და ბევრი კვამლი ქმნის და არა არტისტები – მისტიკური გმირები, რომელიც რიტუალის მონაწილეები არიან. ისინი სხვადახვა ფერის კაბაში გამოწყობილი ცდილობენ დაიცვან შეთქმულების წევრები და მათ ლიდერს აბიგაილს ისინი საერთოდ არ აღელვებს. თეკლა ჯავახაძის გმირს აქვს შარმი და ლიდერის ფუნქციები, ის აბიგალის წარმოგვიდგენს თვითდაჯერებულ, ძლიერ ქალად, რომელმაც დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება უკვე შეიძინა მიუხედავად მისი მცირე ასაკისა.

ამბები, რომელიც პიესის მიხედვით ერთი შეხედვით ერთმა უწყინარმა მსახურმა გოგონამ აბიგაილმა დაატრიალა, მთელი ქალაქი და ქვეყანა მოიცვა. შურისძიების მოტივით წამოწყებულ ომს უამრავი ადამიანის სიცოცხლეც შეეწირა. მსახიობი თეკლა ჯავახაძე მშვენივრად ახერხებს თვალთმაქცი, თავხედი და კადნიერი ქალის მხატვრული სახის შექმნას და მაყურებელში სიბრაზის გრძნობის გამოწვევასაც. საბოლოოდ ის მარცხდება, მაგრამ აბიგაილის შურისძიების წყურვილის მოკვლის წარუმატებელ პროცესს მაინც ეწირება ბევრი უდანაშაულო ადამიანი. მასიურ ქაოსში გადაქცეული პროცესი ბურუსითაა მოცულია და ამიტომაც ძნელია გამოარჩიო კეთილი და ბოროტი, მტყუანი და მართალი, მოვლენათა ანალიზი და თანმიმდევრობა კი ყველაფერს ნათელს ჰფენს, საბოლოოდ მაინც სიკეთე იმარჯვებს, მაგრამ უამრავი სულიერი და მატერიალური მსხვერპლის ხარჯზე. ასეთი ერთ–ერთი მსხვერპლი აღმოჩნდა თამარ მამულაშვილის გმირი ელიზაბეთ პროქტორი. მაყურებელი მის მიერ შესრულებულ გმირს მისი გამოჩენიდან თანაუგრძნობს. მსახიობის პირველივე გამოჩენიდანვე იგრძნობა, რომ სცენაზე პროფესიონალი არტისტი დგას, რომელსაც გააზრებული აქვს პერსონაჟის თითოეული სიტყვა და ქმედება. მსახიობს ზუსტად აქვს შერჩეული პერსონაჟისთვის დამახასათებელი მეტყველების ტონალობა, ხმა და მოძრაობა. იგი ხატავს ღირსეული და ამაყი, პრინციპებისთვის თავდადებული გმირი ქალის მხატვრულ სახეს. ვფიქრობ, სპექტაკლში შექმნილ მხატვრულ სახეთა გალერეაში მისი ნამუშევარი ყველასგან გამორჩეული, გამართული, დახვეწილი და დასრულებულია. ვახტანგ ჩაჩანიძეს, რომელიც სპექტაკლში მთავარ როლს – ჯონ

პროქტორს ასრულებს, არც სცენური მომხიბვლელობა აკლია, არც როლისთვის საჭირო გარეგნობა და არც შინაგანი სექსუალობა, ისე როგორც არ აკლია მის მიერ შექმნილ როლს გააზრება, ზომიერი ემოციურობა და არტისტული სიმართლე–გულწრფელობა, მაგრამ მაინც რჩება ერთი უკმარისობის გრძნობა, როცა მის მიერ წარმოდგენილ გმირს – ჯონ პროქტორს უცქერ – ეს სასცენო მეტყველება და ხმაა, რომელიც, ვფიქრობ, დაძლევადია, თუკი მსახიობი ამ მიმართულებით საკუთარ თავთან იმუშავებს. გამორჩეულ მხატვრულ სახეს ქმნის სპექტაკლში ნუგზარ ყურაშვილი – დენფორტი, რომელიც მხატვრული დამაჯერებლობით, დარბაისლობით და ზომიერი დრამატიზმით გამოირჩევა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ეპიზოდი პარტერიდან, როცა ის თამარ მამულაშვილის გმირს პარტერის ცენტრიდან კითხავს. ის არ ყვირის, მოსამართლისთვის დამახასიათებელი სიდინჯით კითხავს ელიზაბეთს და ყველას ყველაფერი ესმის, ისე როგორც თამარ მამულაშვილის სცენიდან ჩურჩულიც კი ისმის.

სპექტაკლში ოცამდე მსახიობი მონაწილეობს. მათ შორის, კიდევ გამოირჩევა ორი პერსონაჟი. გიორგი კაჭახიძის მიერ შექმნილი ჯონ ჰეილის მხატვრული სახე და ვამეხ ჯანგიძის ჯაილს კორი. გიორგი კაჭახიძე გამართული სასცენო მეტყველებით, არტისტული სიდარბაისლით და გმირისთვის დამახასიათებელი დადებითი თუ უარყოფითი თვისებებით წარმოაჩენს სისტემის ერთ–ერთ რგოლს, რომელიც საკუთარ თავსაც (სტატუსს, მდგომარეობას) უფრთხილდება და თანაც ცდილობს სიმართლის მხარეს დგომას, რადგან მას მაინც შერჩენილი აქვს სინდიდის ნატამალი. მისი მსგავსები, პროტოტიპები რეალურ ცხოვრებაშიც ბევრი მოიპოვება დღეს, ისე როგორც ვამეხ ჯანგიძის მიერ გაცოცხლებული ჯაილს კორის მსგავსნი. მსახიბმა შექმნა ტიპაჟი, რომელიც გამოირჩევა სპექტაკლის სხვა მონაწილეთაგან.

მოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლი ჩვენი დროის აქტუალურ თემებს ისტორიული პრიზმიდან ეხმიანება. კუდიანთა დევნაში სიმართლეც ირკვევა, მაგრამ მას უამრავი ადამიანის სიცოცხლე და ოჯახი ეწირება, მათი გადარჩენა კი დაგვიანებულია. სპექტაკლი უფროსი მაყურებლისთვისაა გათვლილი და შთაბეჭდილებაც შესაბამისი გრჩება, თითქოს „მოზარდის არტისტებიც“ ამ წარმოდგენას უფროსებისთვის თამაშობენ... „სეილემის პროცესი“ არ ჰგავს აქამდე მოზარდ მაყურებელთა

თეატრისთვის აქამდე ნაცნობ სპექტაკლებს, მხატვრული ხარისხით და მისი მასშტაბურობით არც დიმიტრი ხვთისიაშვილის მოზარდ მაყურებელთა თეატრში აქამდე დადგმულ სპექტაკლებს ჰგავს, სადაც მხატვრული ხარისხი და დადგმის სტილისტიკა კლასიკური დრამატული თეატრის გამომსახველობით ხერხებს უტოლდება. ეს ეხება მსახიობთა საშემსრულობლო დონესაც.

სპექტაკლი, როგორც დადგმიდან ჩანს (ამას თეატრის წარმომადგენებლებიც ოფიციალურად აცხადებდნენ) ზრდასრული მაყურებლისთვისაა განკუთვნილი, თუმცა ურიგო არ იქნება, რომ სპექტაკლი მოზარდმა მაყურებელმაც ნახოს, ვინაიდან მასში დასმული პრობლემები და პიესის სიუჟეტეტით მოთხრობილი ამბავი, სწორედ ჩვენი დროის მოზარდი მაყურებლისთვისაა აქტუალურიც და ვფიქრობ, საინტერესოც, ვინაიდან, ჩვენს რეალობაში, ხშირად ვხვდებით მსგავს, მისტიკურ თამაშებში ჩაბმულ თინეიჯერებს, რომლებსაც მავანი გარკვეული ბოროტი ზრახვებისა და ინტერესებისთვის იყენებს, როგორც სპექტაკლში აბიგაილი მის თანასოფლელ მეგობრებს.

სწორედ ამიტომ, შემთხვევითი არ არის დიმიტრი ხვთისიაშვილის არჩევანი პიესაზე, რომელიც მსოფლიო დრამატურგიის კლასიკაცაა და დიდების პრობლემებთან ერთად, თინეიჯერების ყოფასაც ეხმიანება.

მოზარდ მაყურებელთა თეატრის „სეილემის პროცესი“ ქრონომეტრაჟით სცილდება მოზარდი მაყურებლისთვის განკუთვნილი სპექტაკლების ნორმებს, თუმცა სპექტაკლი იმდენად სანახაობრივია და სიუჟეტურად გამძაფრებული, რომ ვფიქრობ, მოზარდი მაყურებლსი ინტერესი, მისი სცენაზე დატრიალებული მოვლენებისადმი არ უნდა განელდეს. თავად სპექტაკლი, როგორც პროდუქტი მოზარდ მაყურებელთა თეატრის უახლეს ისტორიაში განსაკუთრებული მონაპოვარია როგორც მხატვრული ხარისხის, ისე მისი იდეის ტირაჟირების თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანა კალანდაძე, ადამიანური ცოდვებით მოსარგებლე ხელისუფლება, ეკლესია და თავდახრილი საზოგადოება, ჟურნ. „გზა“, 13.120.2017.

2. გ. გვახარია, „სეილემის პროცესი“ მოზარდ მაყურებელთა თეატრში, რადიო თავისუფლება, გადაცემა „თავისუფლების ერთი საათი“, 4.10.2017.

Lasha Chkhartishvili

Doctor of Arts, Associate Professor

Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University

The result of revenge and its perspective (Arthur Miller “salem process” in the youth theatre)

Summary

Arthur Miller's "The Saleem Process" Stage Interpretation Has a Long and Rich History in Georgian Theater. Implementation of this play has brought success to stage directors and Georgian theater. Finally, "The Saleem Process" was staged in the Tbilisi Youth Theater. The performance was directed by Dimitri Khvtisiashvili. Dimitri Khvtisiashvili's performance became the focus of revenge and its consequences. The report discusses the merits of the play.

ლელა ოჩიაური

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ახალი მიწების „ათვისება“ - როგორც სამოთხის/თავშესაფრის ძიების მეტაფორა - ამერიკულ და ქართულ კინოში

ყველა დრო თუ გარემოება, ისტორიული და პოლიტიკური პროცესები თუ საზოგადოებაში ჩამოყალიბებული წარმოდგენები ახალი სამყაროების არსებობას უდებენ საფუძველს და ახალ მითებსაც ქმნიან. ან ძველს ახალი ვარიაციებით აცოცხლებენ. შესაბამისად, ახალ საზოგადოებებსა და მითების გმირებს ახალ რეალობასთან უწევთ შეგუება. იმ რეალობებისა და ყოფითი პირობების გარემოცვაში, იმ სურვილების, მიზნებისა და შეხედულებებიდან გამომდინარე, რომლებიც ამა თუ ეპოქაში ყალიბდებიან და როდესაც მითის თანამედროვე შემოქმედები ცხოვრობენ და ქმნიან. ანუ ქმნიან ცხოვრების თანამედროვე მოდელს. ეს მოცემულობა - საფუძველი - არასდროს იცვლება.

აღმოჩენად არ ჩამეთვლება, თუ ვიტყვი, რომ ამერიკა, პილიგრიმ-მამებად წოდებული, მომავალი ქვეყნის პირველი ახალმოსახლეებისთვის - სამშობლოდან დევნილი და თავისულების (რწმენის, პირველ რიგში) მოპოვების იმედმიცემული ადამიანების პატარა ჯგუფისთვის, „აღთქმულ მიწად“ იქცა. მისკენ მიმავალი გზა (როგორც ყოველთვის, როდესაც საქმე თავისუფლებასა და „დანაპირების“ მიღებას ეხება) კი, რთული და წინააღმდეგობებით იყო აღსავსე. ამ და ყოველმა შემდეგმა „მოგზაურობამ“, პილიგრიმობამ, სხვადასხვა სახის ტყვეობიდან თუ კაბალიდან თავის დასაღწევად მსვლელობის არაერთმნიშვნელოვანი სიმბოლოს დატვირთვა შეიძინა. ბიბლიური „აღთქმული მიწის“ მსგავსად, რომელიც ისტორიულ პირველსაწყისსაც, იგავის კონკრეტულ ჩარჩოებსაც და ტერმინის ლოკალურ, რელიგიურ მნიშვნელობასაც დიდი ხანია გაცდა.

არც ის იქნება სიახლე, თუ აღვნიშნავ, რომ, ჯერ კიდევ მაშინ, ბევრისთვის და მას შემდეგ, ამერიკა ადამიანებისთვის - ოკეანეს „აქეთ“ მცხოვრები ერებისთვის - საბჭოთა კავშირიდან, „რკინის ფარდითა“ თუ სხვა რეჟიმებში ჩაკეტილი სხვა ქვეყნებიდან და კონტინენტებიდან - თავისუფლებასთან გაიგივდა. შეიქნა მითი „თავისუფალ ქვეყანაზე“, რომელშიც ყველაფერი შესაძლებელია. შეიქმნა, იქმნებოდა და ასე გრძელდება დღესაც. მითმაც, ახალი რეალობიდან გამომდინარე, სახე იცვლა. ეს ალბათ, ერთადერთი მითია, რომლის წარმომავლობის დრო და ადგილი, ზუსტადაა ცნობილი.

შეიქმნა და მოქმედებს „შიდა“ მითებიც, რომლებსაც თავისი გმირები ყავთ და არც საკუთარი „იგავები“ აკლიათ.

ამერიკული (და არა მარტო) კინოს ერთ-ერთი ხაზი, ნამდვილი ისტორიითა და მისი არაერთი ინტერპრეტაციით, რაკურსითა და სხვადასხვა ჟანრში „არანჟირებული“ აქტიური მოტივებით - სწორედ ახალი სამყაროს შექმნისა და ახალი მიწების ათვისების, ახალ სამყაროში გზის გაკვალვის, დამკვიდრებისა და სხვა გარემოებებთან შეგუების გარშემო შეთხზული ამბებია. დაწყებული დევიდ უორქ გრიფიტიდან კვენტინ ტარანტინოთი დამთავრებული. ათეულობით ფილმი, რომლებიც ქმნიან ახალ-ახალ მითებს, გზადაგზა, მორიგი სიახლით ანაცვლებენ და ზოგჯერ ანგრევენ ძველი სისტემების სტრუქტურას.

თუმცა, უშუალოდ, ამბავს, როგორ დაიწყო ეს ყველაფერი, როგორ აიღო გეზი ხომალდ „მეიფლაუერმა“, 102 მგზავრით, ამერიკის კონტინენტისკენ, რა გადახდათ მათ გზაში, პლიმუტში დამკვიდრების დროსა თუ შემდგომ, სულ რამდენიმე კინოსურათი მიეძღვნა.

მათ შორისაა - 3 ანიმაცია, ერთი დოკუმენტური კინოსურათი და ორი ტელეფილმი (ყოველ შემთხვევაში, ისინი, რომლებსაც ამერიკულ კინოინდუსტრიაში, ასე თუ ისე, აღნიშნავენ) - რეჟისორ ჯორჯ შეფერის „მეიფლაუერი: პილიგრიმების თავგადასავალი“ (Mayflower: The Pilgrims' Adventure, 1979), ენტონი ჰოპკინსით მთავარ როლში და პოლ ა. ედვარდსის მინისერიალი (National Geographic-ის პროდუქცია) „წმინდანები და უცხოები“ (Saints and Strangers, 2015). ორივე ისტორიული, სათავგადასავალო ფილმია, რეალური ისტორიის თავისუფალი საავტორო ინტერპრეტაციით. ამერიკული კინოს კანონების მიხედვით. თუმცა ორივე გარკვეულ ეპოქალურ, დოკუმენტურ მესიჯებს შეიცავს და საზოგადოებისთვის „ახალი სამყაროების“ აღმოჩენის, თავისუფლებისკენ სწრაფვისა და სიკვდილ-სიცოცხლის, ბოროტებისა და სიკეთის მარადიული ბრძოლის, ამერიკის - როგორც ახალი აღთქმული მიწის - მეტაფორად აღიქმება. ოღონდ, არა სამოთხის.

ესაა ფილმები ადამიანებზე, რომლებიც თავისუფლებას ეძებენ; რწმენაზე, რომლიც ამარცხებს სასოწარკვეთას; დევნაზე, რომელსაც განსხვავებულად მოაზროვნეები

განიცდიან; იმედზე, რომელიც იბადება, როდესაც არსებობს რწმენა და რომელსაც შეუძლია თავისუფლების მოტანა; თავშესაფარზე, რომელიც ადამიანებს ეძლევათ, რადგან მისკენ ისწრაფვიან და მადლიერებაზე, რომელსაც ყოველთვის უნდა გრძნობდე, სხვა ადამიანისა თუ მიწის/ქვეყნის მიმართ, როდესაც დანაპირები გისრულდება.

შესაძლებელია ორი სამყაროს მშვიდობიანი თანაარსებობა და როდის ხდება ეს შეუძლებელი? რას ელოდებიან ადამიანები (რომლებიც, თავის მხრივ, როგორც ყოველთვის, ორად არიან გაყოფილი) ახალი საზოგადოების აღმოჩენისგან, რას თავაზობს ეს საზოგადოება და არის თუ არა ჩვენი წარმოდგენები რეალობის შესატყვისი და იდენტური ყოველთვის? და თუ არა, რა არის, ორივე შემთხვევაში, მიზეზი?

„მეიფლაუერის“ გემბანი - რომელიც ოკეანის წყლებში ირწევა, მიწა, რომელიც უკან დარჩა - და აღარ არსებობს, მოგზაურობის სირთულეები, მგზავრების წარსული, ზრახვები და მიზნები და ხმელეთი, რომელიც წინ ელოდებათ. მყარი ნიადაგის ილუზია... აქ ლეგენდები რეალობის თანასწორუფლებიანები არიან და მათ არსებობაში, როგორც სინამდვილის გამოძახილში, ეჭვი არავის ეპარება. მაგრამ, ზოგჯერ ის, რაც ჩვეულებრივი, ყოველდღიურობის ნაწილია, უცხო ხდება მათთვის, ვინც ამ სამყაროში საკუთარი წარმოსახვების ხატების შექმნასა და საკუთარი მითების აწყობას ცდილობს.

„წმინდანები და უცხოები“ და „მეიფლაუერი: პილიგრიმების თავგადასავალი“ - ორი რეალობის, ორი სამყაროს ზღვარზე არსებულის ატმოსფეროთია გაჯერებული. მათში ბევრი ხაზი და რამდენიმე თემაა მოქცეული. რამდენიმე საწყისითა და ურთიერთგამომდინარე.

საქართველოს ისტორიისგან განსხვავებით, ქართული კინოს ისტორია XX საუკუნის დასაწყიში ევროპულ-ამერიკული კინოს მსგავსად დაიწყო. თუმცა კავშირი მალევე გაწყდა და ეროვნული კინემატოგრაფი ქვეყნის შიდა საზღვრებში „ჩაიკეტა“. მის განუყოფელ ანარეკლად იქცა და შესაბამისი მითების საკუთარი სისტემაც შექმნა. რომელმაც არაერთხელ იცვალა სახე და დღევანდელ, დამოუკიდებელ საქართველომდე, სრულიად გარდასახული მოვიდა. დღეს ახალი მითების შექმნის დროა.

აქ მითების ისევ სხვა კანონები მოქმედებენ. ძველებს სხვა მითოლოგიური პერსონაჟები ცვლიან და სინამდვილეც, სამყაროს აღქმაც, თემატიკაც, პრობლემებიც, რეალობიდან და უახლესი ისტორიიდან გამომდინარე, განსხვავებულია. კინოშიც.

გიორგი ოვაშვილის, 2014 წლის ფილმი, „სიმინდის კუნძული“ (ბოლო პერიოდის ქართული კინოს ერთ-ერთი გამორჩეული და ახალი გეზის მკაფიო „ნიმუში“) რეალობის, აღთქმული მიწის ცნებისა და წარღვნის მითის „ნაზავი“ და სამივე შემთხვევაში, თემის სრულიად თავისუფალი ვარიაციაა. თავისთავადი რაკურსით.

ფილმში მოქმედება, პირობითად, აფხაზეთის ომის პერიოდში ხდება. აფხაზეთში. მდინარე ენგურზე. პატარა კუნძულზე, რომელიც ადიდებული წყლით მთიდან ჩამოტანილი მიწითა და ქვა-ღორღით იქმნება. სეზონურად. ეს მიწა, სინამდვილეში, მყიფე და არამუდმივია. თუმცა, არანაკლებ სასურველი და სამიზნე სამყარო, რომელიც უნდა დაბრუნდეს, თუ რომელზეც უნდა დავბრუნდეთ.

კუნძულს ერთ დილას სახედაღარული გლეხი და მისი შვილიშვილი - ჭორფლიანი გოგონა, ძველი ნავით მიადგებიან. მზის სხივებში, ნისლში, საღამოს ბინდსა და ღამის იდუმალებაში გახვეულ კუნძულს, თავისუფალ სივრცეში.

როგორც წელიწადის დროების ცვლა, როდესაც ზამთარს აუცილებლად მოყვება გაზაფხული, ისე ჩნდებიან იმედისა და რწმენის ეს სიცოცხლის კუნძულები და ისევ ქრებიან, რომ შემდეგ ისევ გაჩნდნენ. მარადიული, უწყვეტი წრეა, რომელსაც ბუნება და ადამიანი გადიან დაბადებიდან გარდაცვალებამდე. და თავიანთ კვალს ტოვებენ. არსებობის კვალს. მარადიული მხოლოდ სიცოცხლეა, თუნდაც ის უკვე სხვისი იყოს. ეს მითის კანონია. უკიდურესად განტევებული და სამყაროს მიკრომოდელად ქცეული კუნძულის არსებობა რეალური ფაქტია, ისეთივე, როგორც აფხაზეთის ომი.

მოხუცი და გოგონა „მეიფლაუერის“ მგზავრების მსგავსად, შრომას იწყებენ. ფიცრების ქოხს აშენებენ. სიმინდს თესენ. მოსავალი, როგორც წესია, შემოდგომაზე უნდა აიღონ, სანამ წყალდიდობა დაიწყება და კუნძულს წალეკავს.

სიმინდის კუნძული არაა აღთქმული მიწა. აქ არაა არც რძისა და თაფლის მდინარეები. არც სამოთხეა. არც საიმედო თავშესაფარი. მაგრამ ცოტ-ცოტა ყველაფერია და იმის

ხატია, რომ იქ ვიღაც იმედითა და რწმენით სახლდება. მშვიდად და დაცულად გრძნობს თავს, სანამ ომი არ შეარყევს მის მყუდროებას.

შემდეგ, როდესაც სამყარო წყლით იფარება და ადიდებული მდინარის მღვრიე და ძლიერი ტალღები კუნძულის ნიადაგის გამოცლას იწყებენ, როდესაც ჩვენ თვალწინ რეცხავენ და აქრობენ მიწას, რომელიც ახლახან ყვაოდა, როდესაც სტიქიას ვეღარაფერი აჩერებს, ფილმში კიდევ ერთი ხაზი შემოდის - წარღვნის თავისებური ალეგორია. კუნძული აფხაზეთის ტერიტორიაზე. აფხაზეთი - როგორც მირაჟი. ეს კუნძული წყლით იფარება, ოღონდ ისევ გაჩნდება ამ ადგილას. თუმცა მითს დრო არ გააჩნია.

„მეიფლაუერის“ მოგზაურობა, ახალი ცხოვრება თავისუფალ სამყაროში და სიმინდის კუნძული - იმის მოდელიცაა, თუ კიდევ როგორი შეიძლება იყოს დედამიწა, მისი ნებისმიერი კუთხე, ადამიანები როგორი შეიძლება იყვნენ, როდესაც ცხოვრების ჩვეული დინება და წესრიგი ახალ გეზს იღებს და სამყარო იცვლება. ან, თვითონ უნდათ, შეცვალონ.

ბუნებას კი, როგორც ყოველთვის, თავის კანონები აქვს. თავისი კანონები - მორალური და ზნეობრივი - აქვთ ადამიანებსაც.

ოკეანე და მდინარე - საზღვარიცაა, გამმიჯნავი ზოლიც და კავშირიც სამყაროებს შორის, წყალგამყოფი ხიდი და გზის მეტაფორა, რომელზე თუ რომლითაც გადასვლაც შესაძლებელია, თუ ბედისწერამ და ადამიანებმა ინებეს. ეს კი შესაძლებელია მაშინ, როდესაც არჩევანს აკეთებენ ძალადობასა და სიყვარულს, წარსულსა და აწმყოს, ძველსა და ახალს, სიძულვილსა და შემწყნარებლობას, იმედსა და უიმედობას, მორჩილებასა და ბედისწერის წინააღმდეგ მოქმედებას შორის, რაც აქცევს კიდეც მითის პერსონაჟს - „ჩვეულებრივ“ მოკვდავს - გმირად. მაშინ, როდესაც ადამიანები არჩევანს აკეთებენ!

გამოყენებული ლიტერატურა

1. კიკნაძე ზ., ქართული ფოლკლორი, https://www.academia.edu/37876211/
2. ლევი-სტროსი კ., რასა და ისტორია, https://docs.google.com/a/iliauni.edu.ge/

3. Aaron M. Duncan, Gambling with the Myth of the American Dream, https://books.google.ge/books?id, myth+of+new+lands&source
4. Лосев А.Ф., Знак. Символ. Миф (1982) https://www.twirpx.com/file/2130664/
5. https://www.history.com/topics/colonial-america/mayflower

Lela Ochiauri

PhD in Art Studies; Professor

Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University

Exploration of New Lands -a Metaphor for the Search for Paradise / Shelter - in American and Georgian Cinema

For Soviet citizens, America was equated with freedom - the Promised Land, like it was for the Pilgrim Fathers, the first settlers, who reached the shores of a new continent – their shelter, on November 21, 1620.

Mayflower: The Pilgrims' Adventure (1979, directed by George Schaefer, starring Anthony Hopkins), Paul A. Edwards' mini-series ***Saints and Strangers*** (2015) – are historical films with the author's idiosyncratic interpretation though both contain certain epochal messages and are perceived by society as a discovery of "new worlds," as an aspiration for freedom and the eternal struggle for life and death, evil and good, as America being a metaphor for the Promised Land.

In Giorgi Ovashvili's film ***Corn Island*** the action conditionally takes place during the war in Abkhazia, on a small island artificially created on the Enguri river in Abkhazia. The whole world revolves around it, the land that presents a micromodel of the universe.

Mayflower's" journey, the new dwelling, Corn Island - is also a model of what the earth, any corner of it could be like, what people could be like when the usual flow and order of their lives

take a new direction and the world changes. Or they want to change it. Which, after completing one cycle, continues as before.

The ocean and the river – is the border, the dividing line and the connection between the worlds, the metaphor of the road that can be crossed if destiny and people allow it. When making a choice between violence and love, hatred and tolerance, it is a trial from which the washed clean must emerge.

ლელა წიფურია

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„ერთხელ ჰოლივუდში“, ანუ კიდევ ერთხელ კინო კინოში

მსოფლიო კინოს კლასიკოსები ხშირად მიმართავენ ფილმში ფილმის გადაღების პროცესის ჩვენებას. ფედერიკო ფელინის “8½“, ფრანსუა ტრიუფოს „ ამერიკული ღამე“, ელია კაზანის „უკანასკნელი მაგნატი“, ვუდი ალენის არაერთი ფილმი, გლებ პანფილოვის „დასაწყისი“, ილია ავერბახის „ხმა“ და კიდევ მრავალი ნაწარმოები უდაოდ მეტყველებს კინორეჟისორების დიდ ინტერესზე მოახდინონ ფილმის შექმნის შემოქმედებითი პროცესის ასახვა. რაც შეეხება დოკუმენტურ კინოს- აქ მთელი მიმართულებაა, სადაც მოთხრობილია როგორც ფილმების გადაღების შესახებ, ასევე ამა თუ იმ მსახიობის თუ რეჟისორის ბიოგრაფია, სადაც გადასაღები მოედნების ჩვენებას დიდი ადგილი ეთმობა. კვლევის საგანი ამ ჟანრში გადაღებული კვენტინ ტარანტინოს მეცხრე ფილმია.

კვენტინ ტარანტინოს 2019 წელს გადაღებული „ერთხელ ჰოლივუდში“ 2020 წელს, ოსკარების დაჯილდოებაზე 10 ნომინაციაში იყო წარდგენილი და 2 ოსკარი მიიღო. მანამდე ფილმი რამდენიმე პრიზით აღინიშნა ისეთ პრესტიჟულ დაჯიდოებეზე, როგორიცაა ბაფტა, ოქროს გლობუსი და ა.შ.

კვენტინ ტარანტინოს ფილმს „ერთხელ ჰოლივუდში“ 1969 წლის ლოს ანჯელესში გადავყავართ, სადაც ყველაფერი იცვლება, როდესაც ტელევარსკვლავი რიკ დალტონი (ლეონარდო დი კაპრიო) და მისი დიდი ხნის დუბლიორი კლიფ ბუთი (ბრედ პიტი) გზას იკვალევენ ინდუსტრიაში, რომელიც ისე შეცვლილა, რომ ვეღარც იცნობ. ეს ფილმი მონაწილე მსახიობების დიდ არმიას და სიუჟეტური ხაზების მრავალფეროვნებას გვთვაზობს, რითაც პატივს მიაგებს ჰოლივუდის ოქროს ხანის დასასრულს. მეზობლად რომან პოლანსკი და შერონ ტეიტი ცხოვრობენ. დალტონი პოლანსკისთან გადაღებაზე ოცნებობს, მაგრამ კარიერაში რთული პერიოდის გამო იტალიაში წასვლას და იქ მოღვაწეობას გეგმავს. კვენტინ ტარანტინოს ფილმში დოკუმენტური სიზუსტით არის გაცოცხლებული სამოციანი წლების დასასრულის სტუდიების ატმოსფერო, ჰიპების გარემო, ჩარლზ მენსონის „ოჯახის“ სისასტიკე...

ფილმის ბიუჯეტი: 95 000 000 დოლარი იყო. ფილმში არის დიდი სიყვარული და ნოსტალგიაც მეოცე საუკუნის ვარსკვლავური ჰოლივუდისა.

„72-ე ფესტივალზე ბოლო დღეებში შემოერთებულს, ტარანტინოს კანში განსაკუთრებით ელოდნენ. მის ფილმზე დასწრების მსურველთა რაოდენობამ რეკორდი მოხსნა. *Pulp Fiction*-ის პრემიერიდან 25 წლის თავზე, რეჟისორი იმ ფილმით ჩამოვიდა, რომლის შესახებ მოყოლას ბავშვობიდან ოცნებობდა.

ერთხელ ჰოლივუდში ერთდროულადაა კინოს მიმართ სიყვარულში გამოტყდომაც და ახალი საუკუნის ტრავმიდან თავის დახსნის მცდელობაც.“[1]

ქვენტინ ტარანტინოს პოპულარობა არც საქართველოში არ აკლია. *Pulp Fiction*, საქართველოში „მაკულატურის“ სახელით ცნობილი, მასში მონაწილე ვარსკვლავების უმა თურმანის და ჯონ ტრავოლტას მართლაც საოცარი ტვისტის წყალობით ფილმმა მსოფლიო მნიშვნელობის ჰიტის სახელი დაიმკვიდრა და მეოთხედი საუკუნის შემდეგაც დიდი პოპულარობით სარგებლობს. ცხადია არ არის გასაკვირი დიდი მოლოდინი, რომელსაც კვენტინ ტარანტინოს განაცხადის შემდეგ მისი ახდენილი ოცნების ეკრანული ვერსიის ხილვა უკვე თავისთავად დამაინტრიგებელი გარემოება გახლდათ. კანის ფესტივალზე კვენტინ ტარანტინოს, რომელიც ლეონარდო დი კაბრიოსთან, ბრედ პიტთან და მარგო რობთან ერთად იყო ფესტივალზე, ფილმის პრემიერის შემდეგ ოვაციები მოუწყვეს, რომელიც 6 წუთს გაგრძელდა. და ეს არც არ არის გასაკვირი, რადგანაც ეს ყოველივე სწორედ კანში მოხდა, იქ სადაც ყველაზე მაღალი რანგის ფილმებს ნახულობენ და სადაც ტარანტინოს ასაკის კინოელიტა მასავით კინონოსტალგიით არის შეპყრობილი. პერიოდი, რომელსაც კვენტინ ტარანტინო ასახავს ფილმში, მისი ბავშვობის ემოციებით სავსე აღქმის მოგონებაც შესაძლოა იყოს. 1969 წელს რეჟისორი 6 წლის იყო და მოგეხსენებათ ამ ასაკში კინო და ზღაპრის სამყარო თითქმის იდენტურია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ერთხელ ჰოლოვუდში“ არ არის ისეთი პოპულარული ახალგაზრდებში,როგორც „მაკულატურა“. ცხდია ამას ობოექტური მიზეზი აქვს- ახალგაზრდებისთვის გასული საუკუნის ამბავი, სადაც ჰოლივუდის ორი ყველაზე ლამაზი მამაკაცი არც თუ წარმატებული სერიალების რიგით მსახიობს და მის

დუბლიორს განასახიერებენ და საშუალოდ სიმპატიურადღა გამოიყურებიან, თავშივე ანგრევს მათი უზადო გარეგნობის მითს. ასე იქცნენ მეგავარსკვლავები ორ საკმაოდ მოსაწყენ მამაკაცად, რომლებსაც ვერც კარიერა აუწყვიათ და ერთ მათგანზე ფრიად საეჭვო ხმებიც კი დადის საკუთარი ცოლის მკვლელობის შესახებ. ასევე ახალგაზრდებისთვის ბევრს არაფერს ნიშნავს ჰოლივუდის ვარსკვლავების- ბრიუს ლის, შერონ ტაიტის, რომან პოლანსკის „გაცოცხლება“. არც „ჩარლზ მენსონის“ ბანდის შესახებ სმენიათ ბევრი... მოკლედ, ეს მათი ფილმი არ გახდა, ის ზედმეტად ტარანტინოს თაობის ამსახველი აღმოჩნდა. და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ „მაკულატურის“ დონის აღიარება არ ხვდა წილად ახალგაზრდებში, ფილმის შემოსავლებმა $374.3 მილიონს მიაღწია და ამასთანვე ოსკარის 10 ნომინაცია დაიმსახურა, მათ შორის საუკეთესო სცენარისა და კაცის მეორეხარისხოვანი როლის (ბრედ პიტი) კატეგორიაში გამარჯვებულიც გახდა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ორი ვარსკვლავის თანაშემოქმედების ნიუანსები: ლეონარდო დი კაბრიო აღნიშნავს: "რაც ყველაზე საინტერესო იყო ბრედთან ერთად მუშაობაში, არის შინაგანი სიმშვიდე და ის ფაქტი, რომ პირველივე დღეს ძალიან მარტივად დავსინქრონდით. ბევრი მომზადება არ დაგვჭირვებია. სცენარზე ვილაპარაკეთ და ინსტიქტურად ვიცოდით, როგორი დინამიკა ექნებოდა ჩვენს ურთიერთობას, ვინ იყვნენ ჩვენი გმირები ერთმანეთისათვის. ორივე ვყოფილვართ მსგავს სიტუაციებში. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ის, რომ ჩვენი პერსონაჟები, რიკი და კლიფი თავ-თავის გზას მიჰყვებიან, საკუთარ ისტორიებს ავითარებენ და რაღაც დროს ისევ იკვეთებიან"[2]

და რაც ძალზე მნიშვნელოვანია ხელოვნებაში: ორი დიდი მსახიობის პარტნიორობამ ამ ფილმში ამ სიტყვის სრული დატვირთვა შეიძინა. ისინი ერთმანეთის კონკურნეტებად არ ქცეულან ფილმის გადაღების პროცესში. მათ მართლაც თანაშემოქმედების იშვიათი მაგალითი უჩვენეს წარმატებისთვის ლამის წესების გარეშე ბრძოლაში ჩაბმულ კინო საზოგადოებას და ნამდვილად დაამტკიცეს, რომ თანაშემოქმედებით ბევრად მეტის მიღწევაა შესაძლებელი. ის გარემოება, რომ ბრედ პიტიც და ლეონარდო დი კაბრიოც მართლა შესანიშნავი მსახიობები არიან, არავისში არ

იწვევს ეჭვს. მაგრამ ეს ორი როლი მათი ადრიდენდელი ეკრანული სახეებისგან სრულიად განსხვავებულია. როგორც უკვე აღვნიშნე, კვენტინ ტარანტინო არ ცდილობს მათი გარეგნობით მაყურებლის მოხიბვლას. უფრო პირიქითაა- ცხოვრების სირთულეებთან ჭიდილში ორივე თითქოს გაქუცულების შთაბეჭდილებასაც ახდენენ. ორივე პერსონაჟის ფსიქოლოგიური არამდგრადობა, გაუწონასწორებლობა, მუდმივი ჭიდილი ჰოლივუდში დამკვიდრებისთვის. და მაინც დიდი ერთგულება, რომელიც ორივე გმირის ქმედებაში იკვეთება.

ოსკარების დაჯილდოებისას ბრედ პიტის გამოსვლა მეტად ემოციური იყო: „ტიტანიკში რომ ვყოფილიყავი გადაგარჩენდი„- ასე მიმართა ბრედ პიტმა დი კბარიოს და იქვე დასძინა: "როდესაც კარიერას ვიწყებდი, თქვენ მიერ დასახელებული ეს ვარსკვლავები, ალ პაჩინო, ჯო პეში, ტომ ჰენკსი, ენტონი ჰოპკინსი, ჩემთვის ღმერთები იყვნენ. ეს ჩემთვის დიდი პატივია. გიზიარებთ ჩემს პატივისცემას". კვენტინ ტარანტინოს ფილმში ალ პაჩინო მათი პარტნიორია- ბებერი მენეჯერი, რომელიც ცდილობს რიკის გადაბირებას „მაკარონის ვესტერნში“, როგორც არც თუ პრესტიჟულ იტალიურ ვესტერნს უწოდებენ ჰოლივუდში. ბრედ პიტის სიტყვები ალ პაჩინოს შესახებ მხოლოდ აქტიორების მიმართ გამოხატული პატივისცემა არ არის, ეს პატივისცემა თანაბრად შეეხება მეოცე საუკუნის 60-80-იანი წლების ამერიკულ კინოს, რომლის დეკორაციებსაც კვენტინ ტარანტინოს ფილმში უმოწყალოდ შლიან, გორგოლაჭებითაც გაასრიალებენ. სამოციანი წლების დასასრულის ფილმების მუსიკალური თემების ვარიაციები, მოდა, რეკვიზიტი, გარემო. იმდროინდელი „ქუჩები“ , ჰიპების უცნაური დასახლება, საიდანაც რეალურად თავისუფლებას ამოფარებული ბოროტება მოდის. კვენტინ ტარანტინოს, როგორც მართლა ჭეშმარიტ ოსტატს შეეფერება, არ უჩნდება სურვილი აჩვენოს ფილმში ფეხმძიმე შერონ ტაიტის მკვლელობის ამბავი. მენსონის ბანდის თავდასხმას ფილმში რიკი და კლიფი გადაიტანენ. ფილმის ფინალურ ეპიზოდში მისი სახლის გალავანთან მდგარ დი კაბრიოს შერონ ტაიტი სტუმრად ეპატიჟება. ცხადია ყველა კინემტოგრაფისტმა და არა მხოლოდ მათ კარგად იციან ტაიტის მკვლელობის ამბავი. მაგრამ ტარანტინოს ფილმის ფინალი ჰოლივუდურია- ჰეფი ენდი, ის რაზეც დგას ამერიკული ფილმების წარმატების საიდუმლო და კვენტინ

ტარანტინოც ამ ტრადიციას მისდევს- ნოსტალგიურ ფილმში სხვაგვარად ვერც იქნებოდა...

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნესტან ნენე კვინიკაძე "ერთხელ ჰოლივუდში — ტარანტინოს ხმაურიანი დაბრუნება კანში", https://on.ge/story/38016

2. Mike Flaming JR, Leonardo DiCaprio On 'Once Upon A Time In Hollywood' And Looking For Positives In Disruption That Has Turned The Movie Business On Its Ear – The Deadline Q&A, December 19, 2019 , **https://deadline.com/2019/12/leonardo-dicaprio-once-upon-a-time-in-hollywood-career-future-interview-1202813571**
3. პიტი დიკაპროის: ტიტანიკში რომ ვყოფილიყავი, გადაგარჩენდი https://on.ge/story/48403

Lela Tsifuria

PhD in Art History and Theory, Assistant Professor

Ivane Javakhishvili Tbilisis State University

„Once Upon a Time... in Hollywood..." or Ones Again the Movie in the Movie

Summary

World cinema classics often resort to showing the process of making a film in a movie. "**8½**" by Federico Fellini, "Day for Night" by François Truffaut, several films by Woody Allen, Ilia Averbkhs "The Voice" and many other works undoubtedly reflect the great interest of filmmakers in filming the creative process of making a movie.

As for documentary film, there is a whole direction here, which tells about the shooting of films, as well as the biography of this or that actor or director, where a great place is given to the screening of the film. The subject of research is Quentin Tarantino's ninth film in this genre.

Quentin Tarantino's "Once Upon a Time… in Hollywood…" in 2019 was nominated for eight Academy Awards in 2020 and won two Oscars. Earlier, the film was awarded several prizes for such prestigious awards as Bafta, Golden Globe, etc.

Quentin Tarantino's "Once Upon a Time... in Hollywood…" visits 1969 Los Angeles, where everything is changing, as TV star Rick Dalton (Leonardo DiCaprio) and his longtime stunt double Cliff Booth (Brad Pitt) make their way around an industry they hardly recognize anymore. The ninth film from the writer-director features a large ensemble cast and multiple storylines in a tribute to the final moments of Hollywood's golden age. Roman Polanski and Sharon Tate live neighbor. Dalton dreams of filming with Polanski, but due to a difficult period in his career, he plans to go to Italy and work there. In Quentin Tarantino's film, the atmosphere of the studios of the late sixties, the hippie environment, the cruelty of Charles Manson's "family" are revived with documentary accuracy...

Movie budget was $ 95,000,000. The film also has a great love and nostalgia for twentieth-century stellar Hollywood.

მარინე (მაკა) ვასაძე

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი

ედვარდ ოლბის პირველი პიესის თანამედროვე ქართული ინტერპრეტაცია

ეჟენიონესკოს„ქაჩალიმომღერალი ქალი“-სპრემიერა (1950) „აბსურდისთეატრის“დაბადების თარიღადაამიჩნეულია. იონესკოს,ბეკეტის, ადამოვის, ჟენეს და სხვადრამატურგთაშემოქმედებას სხვადასხვაგვარადიხსენიებენ: ***აბსურდისთეატრი, პარადოქსისთეატრი,ანტიდრამა***. სახეზეა,დრამის ფორმისახალიგლობალურიგადააზრება. პიესას ჩამოცილდა - ჟანრობრივი განსაზღვრულობა, სიუჟეტი, მოქმედების და პერსონაჟთა ხასიათების ფსიქოლოგიური განვითარება, დასრულება... და, მაინც, „აბსურდისტებმა“ ძირითადი დებულებები ეგზისტენციალისტებისგან ისესხეს.მარტინ ესლინის აზრით ეს დრამატურგები, არ უნდა მოვიაზროთ, ერთი რომელიმე მიმართულების, სკოლის წარმომადგენლებად. მათ გამოიყენეს ყველა ჟანრი, ფორმა თუ ხერხი, რაც დრამატურგიის განვითარების ისტორიაში არსებობდა და შექმნეს ორიგინალური მიმდინარეობა, ყოფიერების, არსებობის, ისტორიის გადააზრების თავისებური აღქმით.*აშშ-იაბსურდის თეატრი* მოგვიანებთ, 1970-იანი წლებიდან მკვიდრდება. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა და ალბათ, უმთავრსესი ის იყო, რომ ომმა ამერიკელებს განხიბლვა თუ საკუთარ თავში დაურწმუნებლობა არ მოუტანა, რაც *აბსურდის თეატრის* უმთავრსესი პრობლემებია. თუმცა, არსებობდენ დრამატურგები, ვისზეც ევროპული *აბსურდის თეატრმა* გავლენა იქონია. მათ შორისაა ედვარდ ოლბი (1928-2016). იგი აღიარებდა ბეკეტის, იონესკოს, ჟენეს გავლენას, მაგრამ როგორც ყველა აბსურდისტი, უარყოფდა ამ მიმართულებისადმი კუთვნილებას.

ოლბის შემოქმედბა სამ პერიოდად იყოფა. პირველი პერიოდის ერთაქტიანი დრამატურგიული ნაწარმობებია: „ზოოპარკის ისტორია“ (*The Zoo Story* 1958), „ქვიშის ყუთი“ (*The Sandbox* 1959) და „ამერიკული ოცნება“ (*The American Dream* 1961) და სხვ. მკვლევრები მიიჩნევენ, რომ ოლბის ამ ერთაქტიან პიესებში*აბსურდის თეატრის* ხერხები აქვს გამოყენებული. აღსანიშნავია, რომ 1966 წ. დაწერილი „ვის ეშინია ვირჯინია ვულფის“ (რომელიც წარდგენილი იყო პულიტცერის პრემიაზე, მაგრამ გარკვეულ მიზეზთა გამო არ მისცეს), დღემდე მიიჩნევა ოლბის საუკეთესო ნაწარმოებად (მაიკ ნიკოლსმა სადებიუტო ფილმიც გადაიღო ელიზაბეთ ტეილორისა და რიჩარდ

ბარტონის მონაწილეობით დარამდენიმე *ოსკარი* მოიპოვა). თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ - 2004 წ., ოლბი ისევ უბრუნდება პირველ პიესას და წერს ორაქტიან ნაწარმოებს „პიტერი და ჯერი“ (I მოქ. „ზოოპარკის ისტორია“, II მოქ. „პიტერი და ჯერი“), რომელსაც 2009-ში „სახლი ზოოპარკში“ (*Home at the Zoo*) უწოდა.

საქართველოში, ბოლო წლებში, ოლბის - „ზოოპარკის ისტორიის“ - რამდენიმე საინტერესო ვერსია შეიქმნა. ამჯერად, თქვენ ყურადღებას, ახალგაზრდა რეჟისორის საბა ასლამაზაშვილის 2019 წ. მესხეთის თეატრში გახორციელებულ, ოლბის პიესის ორიგინალურ ინტერპრეტაცია-კონცეფციაზე შევაჩერებ.

ოლბის დრამატურგიას მკვლევრები ხშირად მოიაზრებენ, როგორც თანამედროვე ადამიანის *მდგომარეობის* გამოცდას, ხოლო მის ადრეულ ნაწარმოებებს გაამერიკულებულ *აბსურდის თეატრს* უწოდებენ. თუმცა, იქვე აღნიშნავენ, რომ ე. წ. ამერიკანიზაცია ოსტატის მიერაა გაკეთებული. ოლბის ადრეული პიესები, მათ შორის „ზოოპარკის ისტორია“, *აბსურდის თეატრისათვის* (და, არა მარტო აბსურდის) დამახასიათებელი, ადამიანის არსებობის საზრისის ძიებაზეა. ოლბისთან, ისევე როგორც სხვებთან, უმთავრესი პრობლემა, ადამიანის მარტოსულობაა, გაუცხოება სხვებთან თუ საკუთარ თავთან. ადამიანის მიერ ცხოვრების საზრისის ძიების პრიზმაში კი, სოციალურ-კულტურული პრობლემები გამოისახება. უფრო მოგვიანებით, ე. წ. მეორე პერიოდში, ოლბის პიესებში უკვე აშკარად იკვეთება სრულწლოვანობის ასაკს მიღწეულთა ფსიქოლოგიური ასპექტები, ოჯახის და სექსუალური ურთიერთობების თემები-პრობლემები, რაც ჩანასახოვან მდგომარეობაში, ადრეულ ერთაქტიან პიესებშიც არსებობს. მომდევნო თაობის დრამატურგები, მაგალითად პაულა ფოგელი (Paula Vogel)მიიჩნევს რომ ოლბის პირობითობა და მკვეთრი, მწვავე დიალოგები გეხმარება ომისშემდგომი, 60-იანი წლების ამერიკული თეატრის მოაზრება-გადააზრებაში. მესამე პერიოდში, ოლბი უბრუნდება პირველი ეტაპის შემოქმედებით ექსპერიმენტებს.

მესხეთის თეატრში დადგმულ სპექტაკლში საბა ასლამაზიშვილმა ოლბის პიესის მთავარი სათქმელი საინტერესო, ორიგინალური ხერხით გამოსახა. ახალგაზრდა რეჟისორმა *აბსურდის თეატრის* ხერხებთან სხვა სათეატრო მიმდინარეობები გააერთიანა. ეს სპექტაკლი პოსტმოდერნისა თუ პოსტპოსტმოდერნისათვის

დამახასიათებელი ეკლექტიზმით გამოირჩევა. ყურებისას, ყველა სათეატრო მიმდინარეობა შეიძლება ამოიცნო: დოკუმენტურ-ინტერაქტიული, ნატურალისტური, რეალისტური, ექსპრესიონისტული, ეგზისტენციალური, აბსურდისტული, ეპიკური თუ არაეპიკური თეატრი, გაუცხოებისა თუ გარდასახვის თამაშის ხერხები და ა. შ. ყველაფერი ეს კი გააერთიანა შექსპირის ცნობილი სენტენციის ქვეშ: მთელი სამყარო თეატრია. თუმცა, ამას თითქოს დასცინის კიდეც რეჟისორი. თამაში თამაშში, თეატრალური პირობითობა, როდის დამთავრდება ეს ყველაფერი, კითხულობენ დადგმაში ანდრია ვაჭრიძის პიტერი და ლექსო ჩემიას ჯერი. როდის იქნება რეალური ცხოვრება და თეატრი გაერთიანებული? ნატურალისტებთან წამოჭრილი და შემდგომ ექსპერიონისტულ თეატრში განვითარებული, თეატრალური ხერხების, მიმდინარეობის პრობლემები, რეჟისორმა ისევ წინ წამოსწია და დოკუმენტურ-ინტერაქტიულობით შეფუთა. თუმცა, აქვე აღვნიშნავ, რომ თავად რეჟისორმა გასცა თავის დადგმაში დასმულ კითხვას პასუხი. არასდროს - ვინაიდან თეატრი თავისი არსით პირობითი ხელოვნებაა. თეატრი ასახავს ცხოვრებას და ამ ასახვისას თამაშის სხვადასხვა ხერხს იყენებს. რეალურ ცხოვრებაშიც, პატარა ბავშვები თამაშის დაწყების წინ აყენებენ უმთავრეს პირობას - ვითომ.

ერთი შენიშვნა მაქვს ახალგაზრდა რეჟისორისადმი, სპექტაკლის აფიშასა და პროგრამაში წერია: ფსიქოლოგიური დრამა აბსურდის ელემენტებით, არადა პიესაც და დადგმაც ფსიქოლოგიური ელემნტებით განხორციელებული აბსურდისტული დრამაა. ხშირად ეშლებათ, არა მარტო რეჟისორებს, თეორეტიკოსებსაც ფსიქოლოგიური დრამის განსაზღვრება. ფსიქოლოგიური, ე. წ. ახალი დრამის ფუძემდებელი ევროპულ თეატრში ჰენრიკ იბსენია, რუსეთში ფსიქოლოგიურ-ინტელექტუალურის ანტონ ჩეხოვი. ფროიდისტული ელემნტებით გაზავებულ ნაწარმოებს არ შეიძლება ფსიქოლოგიური დრამა უწოდო. რა თქმა უნდა, ყველა დიდი ხელოვანის შემოქმედებაში, რომელ მიმდინარეობასაც არ უნდა მივაკუთვნებდეთ მას, შესაძლოა ამოიცნო სხვადასხვა მიმართულებები, ამიტომაც არიან ისინი დიდი შემოქმედები, მწერლები. მაგალითად, ალბერ კამიუს ნაწარმოებებს ვერ ვუწოდებთ მხოლოდ ეგზისტენციუალურს, მასში არა მარტო აბსურდის ელემენტები არამედ რეალისტური ხერხებიც არსებობს, ან თუნდაც

ჟან ანუის და ა. შ. მითუმეტეს როდესაც შენი დადგმა სხვადასხვა მიმართულების და საშემსრულებლო ხერხების ნაზავია.

საბა ასლამაზიშვილი სპექტაკლის განხორციელებისას ასმათ ბეშიძის თარგმანს დაეყრდნო. წარმოდგენა ოლბის პიესას, ტექსტს მისდევს, თუმცა რეჟისორმა თავისი ინტერპრეტაცია-კონცეფციის ნათლად წარმოსაჩენად მცირედი ჩამატებები გააკეთა. აბსურდისტული პიესებში რემარკებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ამჯერადაც რეჟისორმა თითქმის ყველაფერი გაითვალისწინა და მისეულად გამოხასახა სცენაზე. მხატვარმა ლელა ფერაძემ პირობითი, სიმბოლურ-მეტაფორული მინიშნებებით შექმნა დეკორაცია. ერთი, გრძელი თეთრი პარკის სკამი, ერთი მოყვითალო ფერებში გადაწყვეტილი ხე, ფანჯარა... სათამაშო სივრცედ არა მარტო სცენა, არამედ მაყურებელთა დარბაზიცაა გამოყენებული. ეს, რა თქმა უნდა, რეჟისორის კონცეფციიდან გამომდინარეა. საბა ასლამაზიშვილსვე ეკუთვნის მუსიკალური გაფორმებაც. აღსანიშნავია, რომ მუსიკა სპექტაკლში მინიმუმამდეა დაყვანილი. პერსონაჟები თავად ღიღინებენ ხოლმე მელოდიას. მხოლოდ ფინალში მთლიანად ისმის გამოყენებული სიმღერა და ისიც, მსახიობების მიერ შესრულებული ჩანაწერია.

ანდრია ვაჭრიძის პიტერი და ლექსო ჩემიას ჯერი პიესის პერსონაჟებთან შედარებით უფრო ახალგაზრდები არიან. რეჟისორის ჩანაფიქრით, ორივე მსახიობი, არა მარტო ასახიერებენ თავიანთ პერსონაჟებს, არამედ ამბის მთხრობელებიც არიან. ღიღინით შემოდიან დარბაზში მსახიობები და ამყარებენ მაყურებელთან ინტერაქტიულ კონტაქტს, ესალმებიან, ხელს ართმევენ, მოიკითხავენ. მერე სცენაზე ადიან, იქვე იცვლიან სამოსს და მაყურებლის თვალწინვე პიტერად და ჯერად გარდაიქმნებიან. თუმცა, როლიდან გამოსვლა და შესვლა მთელი სპექტაკლის განმავლობაში ხორციელდება. ხერხი, რა თქმა უნდა, არ არის ახალი, ჯერ კიდევ XX საუკუნის 20-იან წლებში, გერმანიაში (და არა მარტო) ნატურალისტური თუ ექსპრესიონისტული თეატრის წარმომადგენლები იყენებდნენ, მერე ბრეხტმა უფრო დახვეწა და გაუცხოების მეთოდი უწოდა.

სპექტაკლში, როგორც აღვნიშნე, რეჟისორმა და მსახიობებმაც ყველა სათეატრო მიმდინარეობას, ხერხს მოუყარეს თავი და ერთ საათიან წარმოდგენაში გაართიანეს.

რეჟისორმა და მსახიობებმა პიესაში არსებულ ჰომოსექსუალიზმის თემა, უფრო გაამძფრეს და წინა პლანზე წამოსწიეს. ფინალისკენ პიესაში ჯერი უღუტუნებს პიტერს და ეს უკანასკნელი თითქმის ისტერიკაში ვარდება. სპექტაკლში ჯერი ეხუტება პიტერს ერთმანეთისადმი სექსუალური ლტოლვის მინიშნებებით. ვაჭრიძის პიტერში მაყურებელი ორმაგ გრძნობას აღიქვამს. მას სურს ჯერი და როდესაც ამას გააცნობიერებს ისტერიკა ემართება. ვაჭრიძის - პიტერი და ჩემიას - ჯერი მაყურებელს თავის ყველაზე ინტიმურ, პიროვნულ განცდებსა თუ ფიქრებზე ესაუბრებიან და ცდილობენ ისინიც ამ ამბის მონაწილე-გამზიარებლად აქციონ. განა ის პრობლემები, რაც 60-იან წლებში ასე აწუხებდა ოლბის, დღესაც აქტუალური არაა? ფარისევლობა, მიუტევებლობა, სოციუმთან შეუთავსებლობა, მარტოსულობა, საკუთარი თავის, ცხოვრების საზრისის, სიყვარულის ძიება დღესაც აწუხებს ადამიანს ჩვენს ქვეყანაში და სხვაგანაც. პრინციპში, ეს ხომ ყოველ დროსა თუ ეპოქაში არსებული მარადიული პრობლემებია. ამიტომაც, პიტერისა და ჯერის ისტორიას, ამბავს მაყურებელი არა მარტო ადაევნებს თვალს, არა მარტო უშუალო მონაწილე ხდება მათი ცხოვრების, არამედ განიცდის კიდეც.

საბა ასლამაზიშვილმა თავიდანვე შესთავაზა მაყურებელს თამაშის პირობა და ბოლომდე ამ პირობის ერთგული დარჩა. პიესისგან განსხვავებით ჩემიას ჯერი და ვაჭრიძის პიტერი, რამდენჯერმე ცდილობენ თავის მოკვლას. ხტებიან ფანჯრიდან, მერე ისევ ბრუნდებიან და აგრძელებნ თამაშს. ფინალში, როდესაც ჩემიას ჯერი მიაღწევს საწადელს, საბოლოოდ გამოიყვანს წყობიდან ვაჭრიძის პიტერს და უკანასკნელი, შემთხვევით, მაგრამ მაინც დანას გაუყრის ჯერის, ჩემიას ჯერი ფიცარნაგზე გართხმული, მკვდარს განასახიერებს. პიტერი სრულ ისტერიკა-გაუგებრობაშია. 2-3 წუთის შემდეგ ჩემიას ჯერი ნელ-ნელა იწყებს წამოდგომას, უბიდან წითელი სითხით სავსე კონტეინერს იღებს, აჩვენებს მაყურებელს, რომ ეს მისი სისხლი კი არა წითელი სითხეა, ღიღინით მიდის დარბაზში არსებული ფანჯრისკენ, გამოაღებს, ადის და თითქოს გადახტომას აპირებს. გადახტება ჯერი ფანჯრიდან? კითხვაზე პასუხს რეჟისორი და მსახიობები ღიად ტოვებენ. მაყურებელმა თავად უნდა გასცეს პასუხი, თავად უნდა განსაზღვროს რას მოიმოქმედებს ჯერი: გადახტება თუ არა? და ღირს კი გადახტომა? თუ სჯობს დაწყებული ბრძოლის გაგრძელება.

რეჟისორმა ძალიან საინტერესო ე. წ. „პაკლონი“ დადგა. ვაჭრიძის პიტერი და ჩემიას ჯერი ხელი-ხელ ჩაკიდებულები ავანსცენაზე ფარდის ქვეშ დგებიან. ფარდა რამდენჯერმე იღება-იხურება, მსახიობები მუნჯი კინოს ხერხების და „ჩახვეული ფირის“ ეფექტის გამოყენებით, ერთსა და იმავე მოძრაობებს იმეორებენ, იღიმიან, თავს უკრავენ მაყურებელს და ა. შ. ყველაფერი მეორდება, ყველაფერი ისევ თავიდან იწყება, ამ სამყაროში ადამიანები, განგებამ სამწუხაროდ, ვიღაცის ხელით მართულ მარიონეტებად მოგვავლინა. ჩემი აზრით,რეჟისორისა და შემოქმედებითი ჯგუფის, საინტერესოდ გადმოცემული მთავარი სათქმელიც, სწორედ ესაა.

გამოყენებული ლიტერატურა

1.Theatre of the Absurd. Encyclopedia Britannica. https://www.britannica.com/art/Theatre-of-the-Absurd (Checked 14.05.20).

2. Edward Albee American Author. Encyclopedia Britannica. https://www.britannica.com/biography/Edward-Albee (Checked 14.05.20).

3. Эслин М. Театр Абсурда. URL: http://teatr-lib.ru/Library/Esslin/absurd/#_Toc398482371 (Перепроверено 14.05. 2020).

Marina (Maka) Vasadze

PhD in Art History and Theory, Associate Professor

Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University

Modern Georgian Interpretation of Edward Albee's First Play

Summary

The date of birth of the "Theatre of the Absurd" is considered to be the first production of Eugène Ionesco's play "The Bald Soprano" (1950). The works of Ionesco, Beckett, Adamov, Genet and other playwrights are mentioned in different ways: **Theatre of the Absurd, Paradox Theater, Antidrama**. It's a new global rethinking of the drama form.The genre certainty, plot, psychological development of the actions and characters, completion were taken away from a play. Nevertheless, the "absurdists" borrowed the main points from existentialists.

According to Martin Esslin, These playwrights should not be considered as representatives of one direction or school. They used all the genres, forms or methods existing in the history of the development of drama, and created original direction, with a peculiar perception of existence, being, and rethinking of history.

In the USA, the Theater of the Absurd begins in the 1970s.There were playwrights who were influenced by European Theater of the Absurd.Among them is Edward Albee, the world famous playwright. Albee's first play was*The Zoo Story* (1958).In 2004Albee returned to the first play and wrote a two-act play *Peter and Jerry*, which he called *At Home at the Zoo*in 2009.

In modern era different directions are created: "new textuality", "in-yer-face", etc.Authors write texts without any comments or instructions.In Georgia, interest in the Theater of the Absurd and other directions began in the 1990s along with the search for new, different theater spaces.These searches are still carried out by young directors and playwrights.

In the modern Georgian theater space (2015-2019), several interesting versions of Albee's *The Zoo Story*were created.I would like to draw your attention to the original performance of the young director Saba Aslamazashvili carried out at the Theater in Meskheti in 2019

მარიამ ყაყიტაშვილი

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანტი-ესთეტიკა და ახალი ესთეტიზმი,
რატომ არ არის პოპ-არტი ნეო-დადაიზმი

1960-იანი წლები ამერიკაში იყო ეკონომიკური ბუმის, კულტურული გამოღვიძებისა და თვითშემეცნების პერიოდი. კულტურულ გამოღვიძებაში ხელოვნების როლი რამდენადმე სახასიათოა. ამერიკაში, ხელოვნების ისტორიულ ასპარეზზე დაწინაურებული მოდერნული მიმდინარეობა აბსტრაქტული ექსპრესიონიზმია, რომელიც მიმართულია არტისტული თვითგამოხატვის უკიდურეს აბსტრაქციაზე და რომლის ფესვები მეორე მსოფლიო ომის პიროვნულ კრიზისთანაა დაკავშირებული. აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის მთავარი იდეოლოგი და თეორიტიკოსი კლემენტ გრინბერგი (1909-1994) სწორედ უსაგნო ხელოვნებას მოიაზრებს მომავლის ხელოვნებად, რომლის არსებობა ისტორიული გარდაუვალობითაა ნაკარნახევი, მიმდინარეობის მთავარი მიღწევა სახვაზე უარის თქმაა, რითაც მას ხელოვნება გადაჰყავს საკუთარი თავის აღმოჩენის კრიტერიუმზე, ანუ ხელოვნება კონცენტრირებულია თავად ხელოვნებაზე და არა გარე სამყაროს რეპრეზენტაციაზე, შესაბამისად კი რეალისტური მხატვრობა გრინბერგისთვის შედარებით დაბალ საფეხურზე მდგომ ხელოვნებას წარმოადგენს. ხელოვნების, როგორც გარე რეპრეზენტატორის როლი აბსტრაქტულ ხელოვნებაში პიროვნული რეპრეზენტაციით შეიცვალა, თუმცა ყველაზე დიდი გამოწვევა ამერიკის სახელოვნებო სფეროს ჯერ კიდევ წინ ელოდა.

1952 წელს ბრიტანეთში სახელოვნებო გაერთიანება „Independent Group”-ის მიერ ისახება ახალი მხატვრული მიმდინარეობა პოპ არტი, რომლის მთავარი ესთეტიკურ-იდეოლოგიური სტრატეგია თანამედროვე ცხოვრება, თანამედროვე მოხმარების საგნები, სარეკლამო თუ პოპულარული ჟურნალებია.

ჩვენ უნდა ვცადოთ და გავიაზროთ პოპის ფენომენი. პოპ არტს ვერ ვუწოდებ სტილს, ის უფრო სახელოვნებო ფენომენია, სადაც კონკრეტულმა ეპოქამ, ამ შემთხვევაში 1950-60-იანი წლების პერიოდმა, ეპოქისეული გამოხატულების ერთ-ერთი სახე წარმოადგინა. ნიშნადობლივია, რომ პოპი თითქმის მთლიანად ამერიკული ფენომენია. თუ ევროპული პოპი მეტ-ნაკლებად უახლოვდება დადაიზმს საკუთარი რეაქციული ბუნებით საზოგადოებაში,

ამერიკაში დადაიზმთან მას მხოლოდ გარეგნული მსგავსება აქვს. ჯასპერ ჯონსის დროშები, (სურ.1) სამიზნეები და ვერცხლისფრად შეღებილი ობიექტები, (სურ.2) ისევე როგორც რობერტ რაუშენბერგისა თუ ენდი უორჰოლის მხატვრული ენა გარეგნული თვალსაზრისით დადაისტური მხატვრული ენის გამოვლინებაა. ხელოვნების თეორიტიკოსები იმასაც ვარაუდობენ, რომ ის კონტექსტი, რომელშიც დადაიზმი მოიაზრებოდა პოპ არტმა იდეოლოგიურადაც გადმოიტანა. პოპ არტს განსაკუთრებით კლემენტ გრინბერგი ეწინააღმდეგება. გრინბერგისთვის არაფერი ახალი ტექნიკურად არ იყო პოპ არტში, ანუ პოპმა არ გვაჩვენა მხატვრული ხერხების განვითარების საფეხური, ამიტომ ის უმნიშნველო იყო როგორც მხატვრული ფორმა, უკვე აქამდე აღმოჩენილ ფორმაზე იყვნენ კონცენტრირებულები. უკვე აღმოჩენილ ფორმაში აქ გრინბერგი დადაიზმს გულისხმობს, თუმცა ვფიქრობ, რომ პოპმა ხელოვნების ისტორიაში ყველაზე მეტად გააფართოვა ხელოვნბის კონტექსტი. ამის მთავარი ამოსავალი წერტილი კი იმაში მდგომარეობს, რომ განსხვავებით დადაისტებისგან, პოპ არტი ბანალურობის შემოტანით არ ებრძოდა ესთეტიზმს. მაგალითად, ლეო სტეინბერგი (1920-2011) თვლის, რომ დადაიზმი რადიკალურად განსხვავდებოდა პოპისგან, რამდენადაც მსგავსი თემაც კი ოპოზიციური კონცეფციით იყო წარმოდგენილი. პოპი, რომელიც იყენებს ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო ნივთებს ხაზს უსვამს ხელოვნების დაახლოებას „რეალურ“ ცხოვრებასთან, ამავდროულად მას მოსწონს საყოფაცხოვრებო საგნები, მანეკენები, ჟურნალების სტატიები, რადგან ისინი ყველასთვის ხელმისაწვდომია. თუ დადაისტებისთვის საყოფაცხოვრებო ნივთის ხელოვნებაში შეტანა ანტი-ესთეტიურობაზე მეტყველებდა და აუქმებდა ესთეტიკას ხელოვნებაში, პოპი ესთეტიკურ დანიშნულებას უძებნის ამ ყველაფერს და ქმნის, როგორც ახალ ხელოვნებას, ასევე ახალ ესთეტიკასაც. როგორც როი ლიხტენშტაინი ამბობს, მისი ხელოვნება ერთგვარი კლასიცისტური ხელოვნებაა, რომელიც ცდილობს ასახოს გარე სამყარო ობიექტურად. პოპ არტის ხანაში ჰოთ-დოგი ხელოვნების კლასიკური ნაწარმოებია. ჰოთ-დოგის გაფეტიშება ეწინააღმდეგება არტურ დანტოს (1924-2013) თეორიასაც, რომლის მიხედვითაც სწორედ პოპ არტია ის სახელოვნებო მიმდინარეობა, რომელმაც დაასრულა ვაზარიდან დაწყებული სახელოვნებო პროგრესის ისტორია. ამ შემთხვევაში დანტოს ერთმნიშვნელოვან ილუსტრაციად ენდი უორჰოლის *ბრილოს ყუთები* მოჰყავს, (სურ.3) რომელიც არტისტმა 1964 წელს ნიუ-იორკის სთეიბლის გალერეაში გამოფინა. თითქოს

პოპმა დააბრუნა გარე რეპრეზენტაციულობა, მაგრამ ხელოვნების შესახებ ისტორიული ნარატივი ჩიხში შეიყვანა, ხელოვნების მიმეზისური ბუნებისთვის კითხვის ნიშნის დასმით. როგორც დანტოს მიაჩნია, პოპმა დასავლური ხელოვნების ნარატივში დასასრული ხელოვნების ფილოსოფიური გაცნობიერებით შემოიტანა. მთავარი ბრილოს ყუთებში ის აღმოჩნდა, რომ ის არც ხელოვნება იყო და არც არახელოვნება, აშკარაა რომ იწყებოდა ახალი ეპოქა ახალი სახელოვნებო ნარატივით. პოპ არტის ახალ ნარატიულობაში მთავარი როლი ყველაფრის შესაძლებლობითობას ენიჭებოდა, ყველა ფორმა მისთვის მისაღებია - „ყველა არის ხელოვანი“ (ჯ.ბოისი).

ყველაფრის შესაძლებლად გახდომამ, ვფიქრობ, არა მარტო პოპ არტს, არამედ პოსტ-მოდერნისტულ ხელოვნებასაც დაუდო სათავე და ამით დაასრულა კიდეც მოდერნი. დანტო მიიჩნევს, რომ პოპ არტით დაიწყო ხელოვნების რაობის ძიება, თუმცა ვფიქრობ, ხელოვნების რაობის შესახებ კამათი ავანგარდიზმის პერიოდში, მე-20 საუკუნის დასაწყისში დადაისტური მოძრაობითა და მარსელ დიუშანის *„რედიმეიდით“* ანუ მზა მასალების გამოფენით იწყება, (სურ.4) როდესაც ფრანგი წარმოშობის ამერიკელმა ხელოვანმა მარსელ დიუშანმა ხელოვნებას მთავარი კითხვა დაუსვა ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო ნივთების ხელოვნების კონტექსტში მოთავსებით, რაც გარეგნულად ხელოვნების გაუქმების მცდელობად შეირაცხა, პირველ რიგში იმიტომ რომ მზა პროდუქცია დამოუკიდებელი იყო არტისტული ნებისგან და მეორე, რადგანაც ტრადიციული ესთეტიზმისა და ესთეტიკური თეორიების გაუქმება ხდებოდა, დანტო ეთანხმება დიუშანის მცდელობას ესთეტიკური ინდიფერენტულობის შესანარჩუნებლად, თუმცა ამავე დროს მიიჩნევს, რომ დიუშანი ამით მხოლოდ ხელოვნების საზღვრებს იკვლევდა.

მარსელ დიუშანი თავის მექანიკური ნამუშევრებით ცდილობდა ხელოვნებაში ესთეტიკის როლი გადაეაზრებინა, რომელმაც ერთგვარად ხელოვნება ხელოვნების გაუქმებისკენ წაიყვანა, პოპ არტი კი მექანიკურ ნამუშევრებს ქმნიდა ახალი ესთეტიკის აღმოსაჩენად. დიუშანმა საგანი იმიტომ შემოიტანა ხელოვნებაში, რომ განესაზღვრა ხელოვნების როლი და არეალები, ამავდროულად ხელოვნების არეალის გაფართოებასთან ერთად ამას მოჰყვა წარსული, ტრადიციული ესთეტიკის რღვევა, თუნდაც მას დავარქვათ ანტი-ესთეტიკის შემოტანა ხელოვნებაში, ანუ ხელოვნებაში ესთეტიკის ჩამოშორებით

ხელოვნების რაობის კვლევა. პოპში კი ხელოვნების რაობა მეტნკალებად ნათელი იყო, რამდენადაც ხელოვნება ახალი სოციალური, მას-კულტურული ფენომენი გახდა, რომელიც მკაფიოდ ასახავდა თანამედროვეობის მოთხოვნებს და არა ელიტური, მაღალი ხელოვნების საზრისებს, რომელიც იმდენად აბსტრაქტული და საზოგოადოებისთვის გაუგებარი გახდა, რომ პოპ არტისტებისთვის ხელოვნებამ დაკარგა მთავარი - კავშირი მის აღმქმელთან, ანუ კავშირი საზოგადოებასთან, სწორედ ამ ასპექტში ეწინააღმდეგება პოპი აბსტრაქტულ-ექსპრესიონიზმს. აბსტრაქტული ექსპრესიონიზმისგან პოპმა მხოლოდ მისი მასშტაბურობა გამოიყენა. როი ლიხტენშტაინი ქმნის ნამუშევარს „Brushstroke" (1965), (სურ.5) რომელიც აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის ერთგვარ კარიკატურას მოგვაგონებს, თუმცა ბოლომდე ვერ ვიტყვი, რომ ეს დაცინვაა. ამ არტისეტებმა ხელოვნება დაიყვანეს საზოგადოებამდე და აქციეს იგი რიგითი მოხმარების საგნად. აქ ვერ შეხვდებით ესთეტიკის ნაკლებობას, თუმცა რიგი კრიტიკოსებისთვის, სწორედ ტრადიციული ესთეტიკის არარსებობა ხდებოდა პოპში ანტი-ესთეტიზმისა და ნეო-დადაიზმის პროგრნოზირების საბაბი - *New Vulgarians* (მ. კოზლოფი). პოპ არტისტები ახლა უკვე ეთამაშებოდნენ საგნებს, ისე როგორც დადაისტებმა ეს ბოლომდე ვერ მოახერხეს, რადგან მათი დამოკიდებულება, მათი მანიფესტებისგან განსხვავებით, ზედმეტად სერიოზული ჩანდა.

პოპი ქმნიდა სახალხო ესთეტიკას ხელოვნებაში, რომლის მთავარი განმასხვავებელი დადაისტური ხელოვნებისგან არის პოპის მეტაფორული ხასიათი, სამყაროსა და საზოგადოების კავშირების მეტაფორული აღქმა, ენდი უორჰოლის *„ავტოავარიის"* (1963) სერიებში (სურ.6) თუ ცნობილი ჰოლივუდელი ვარსკვლავების პოსტერებში, სადაც ერთგვარი ანთროპოლოგიური დაკვირვების შედეგად უორჰოლი დიალოგს ქნის რეალობასთან მისი გამძაფრების მეშვეობით, რაც გამოიხატება კადრების განმეორობითობაში, ანუ ქმნის მხატვრულ-მეტაფორულ ენას, რომელიც თანამედროვე კომუნიკაციის საფუძველია. მთავარი განსხვავება ანტი-ესთეტიზმსა და პოპის ესთეტიკას შორის სწორედ ეს მეტაფორულ-მხატვრული ხასიათია, ვფიქრობ სწორედ ამ გზით დაბრუნდა ესთეტიკა პოსტმოდერნულ ხელოვნებაში.

ენდი უორჰოლს აინტერესებს გარემოებები და გარეგნობები, რომლებიც ხელოვნებაში ხვდებიან. არტისტს უნდა, რომ ხელოვნება გახადოს სახალხო, ხელმისაწვდომი, ამიტომ

უწოდებს თავის სტუდიას ქარხანას, თვლის, რომ ხელოვნება კონსუმერისტულ ეპოქაში წარმოებაა და არა შემოქმედება, ამიტომ იმეორებს მანტრასავით, რომ ის მანქანაა, შესაბამისად კი უგრძნობი, მხოლოდ მოხმარებისთვის განკუთვნილი ობიექტი. ხელოვანის მსგავსი ირონიულობა ყოველმხრივ ბანალური საგნებისა და ობიექტებისთვის დრამატული მნიშვნელობის მინიჭებაში გამოიხატა. მერილინ მონროს პოსტერები დრამატული მეტაფორულობითაა სავსე, (სურ.7) ის იღიმის, ბევრჯერ იღიმის უორჰოლთან, მისი ეს ღიმილი კი მალე ფატალურ სახეს იძენს მათი ხატებად ქმნის ფენომენზე. უორჰოლის მანერა ემსგავსება მექანიკურ სნობიზმს, რომელიც შეიძლება გავიგოთ, როგორც ესთეტიკური მორალის პროვოკაცია. ყოველდღიური თანამედროვე ცხოვრების გადმოტანა უორჰოლთან მეტად საინტერესო საზროვნო სახეს იძენს, მას მოსწონს ხელშესახებობა, მოსწონს რომ კოკა-კოლას ყველასთვის ერთნაირი გემო აქვს - პრეზიდენტის, დედოფლისა თუ ჩვეულებრივი მუშისთვის, უორჰოლის დემოკრატია სწორედ კოკა-კოლის გემოშია, რომელიც ასე ხელმისაწვდომია ყველასთვის და ყველას სიამოვნებს მისი დალევა. მისი მერილინ მონრო, ლიზ ტეილორი თუ ელვის პრესლიც ობიექტები არიან, რომელსაც ყველა თანაბრად მოიხმარს. უორჰოლისთვის ამგვარი სახის ქმედებები მიზნად ისახავდა ბანალურობის მაღალი ხელოვნების რანგში აყვანას.

ამრიგად, მთავარი განმასხვავებელი ფაქტორი, რომელიც უკუაგდებს გრინბერგისეულ თეორიას პოპ-არტის, როგორც დადაიზმში უკვე აღმოჩენილი მხატვრული ფორმის განმეორებას ნეო-დადაისტური სახით, უარყოფილია არტურ დანტოსა და ლეო სტეინბერგის თეორიებით, რომელმაც ახალი ესთეტიკური პრობლემის წინ წამოწევისა და პოპ-არტის პრიზმიდან, მათი, როგორც წმინდად ამერიკული ფენომენის, განსაზღვრის შესაძლებლობა მომცა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დანტო არტურ, ხელოვნების დასასრულის შემდეგ, პოპ არტი და წარსული მომავლები, თარგმანი ნანა ყიფიანი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, თბილისი, 2015. გვ. 109-123
2. Greenberg Clement, Modernist Painting, in Modern Art and Modernism: A critical anthology, edited by Francis Frascina and Charles Harrison, Harper & Row, NY, 1982, გვ. 5-11

3. Madoff Steven henry, Pop Art: A critical history, edited by, University of California press, Berkeley, California, 1997. Pp. xiii-xx, 5-6
4. Osterwold Tilman, Pop Art, Taschen, 2003
5. Steinberg Leo, Contemporary art and the plight of its public (1962), in Other Criteria, Oxford University Press, 1972. ȣ3. 3-16, 17-54

Mariam Kakitashvili

PhD Student, Art History and Theory

Ivane Javakhisvhili Tbilisi

State University

Anti-Aesthetics and New Aestheticism

Summary

The 1960s were an era of cultural awakening in America. This period is specified for art world to make a historical turn. It was an American philosopher and art critic Arthur Danto's famous theory about the end of the long-term art historical narrative and at the same time, the beginning of a new one. The specific event for this beginning was determined by an American Pop artist Andy Warhol's exhibition in New York Stable gallery in 1964. For Danto, Warhol's *Brillo Boxes* is the main, a philosophical subject for art to be theoreticized through self-determination.

Despite a new aesthetically stylish movement, criticism has emerged, mostly followed the pronouncement of the chief figure and spokesman of Abstract-Expressionism, Clement Greenberg stating that nothing technically interesting or fundamentally innovative happened in Pop Art, Pop artists were just reconstructing and retreating and it wasn't the stage of development of art - just another Neo-Dadaism with its expression of artistic language.

Following these theories, I had an opportunity to analyze Pop Art phenomenon as a new aesthetic strategy, which uses banality of everyday objects to keep in touch with not only contemporaneity but maintaining clear aesthetic novelty apart from formal resemblance with Marcel Duchamp's *readymades* or Dadaism and to show its wittiness or playfulness through metaphorical irony.

Despite of its formal resemblance, that I think, was rooted in the 1960s as an obvious American phenomenon and transferred the new aestheticism in Postmodernism. The aim is to set the limits of ideological definition of anti-aesthetic and new aestheticism.

To sum up, it is eminent there are fundamental different methods of approaches to aesthetic relations in casual objects, that disprove the ideological similarity between Pop and Neo-Dadaism.

Andy Warhol, Marilyn Diptych, 1962, acryl on canvas, in Tate Gallery

Andy Warhol, Orange car crash (5 deaths 11 times in orange) (Orange disaster), 1963 acryl on canvas, Galleria civica d'Arte modern e contempranea, Turin, Italy



Roy Lichtenstein, Brushstroke, 1965,screenprint on paper, in Tate Gallery collection.

Marcel Duchamp, Bottle rack, readymade, 1914, in private collection.

Andy warhol, Brillo Box, 1964, screenprint ink on wood.

Jasper Johns, English light bulb, 1968-70, metal, in private collection.

Jasper Johns, three flags, 1958, encaustic on cnavas, whitney museum of American art

სექცია: ლიტერატურა

ნანა გაგუა

ამერიკისმცოდნეობის დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სილვია პლათის ცხოვრება როგორც პოეზია

ლექსების კრებული „კოლოსი“

მეოცე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ასპარეზზე გამოსულ პოეტებს რამდენიმე საერთო მახასიათებელი აქვთ, საუკეთესო წარმომადგენლები წერენ ტექნიკურად სრულყოფილად, ინტელექტუალურად და გააზრებულად. თუმცა მათი წიგნების წაკითხვის შემდეგ, მკითხველში უკმაყოფილების გრძნობა რჩება, განსაკუთრებით იმათში, ვისი გონება ჯერ ისევ ჩამოყალიბების პროცესშია. ახალგაზრდა პოეტებს, რომლებიც იზიარებენ 20-30 იანი წლების კონცეპტუალურ ჩარჩოს, წინამორბედებისაგან განსხვავებით, არ გამოადგათ რაციონალური მიდგომები. ხშირად მათ პოეზიაში სამყარო არის სუბსტანციური ერთობა, ფიქრისა და პოეზიის გარეშე, სადაც არ არსებობს აზრთა ნაკადი, რომლებიც საგნებს ერთი მიმართულებით წაიყვანს. მსოფლიო პოეზიაში არსებობს ბევრი კარგი ლექსი (განსაკუთრებით ბრიტანელი პოეტებისა), რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებას ასახავენ. ეს ლექსები დაწერილია მეტაფიზიკური და ფსიქოლოგიური დაკვირვებების შედეგად. ასევე ცნობილია ლექსები ემიგრანტის ან ტურისტის თვალით დანახულ სამყაროზე (განსაკუთრებით ამერიკელი პოეტებისა რომზე, ფლორენციაზე და ა. შ.). ეს ლექსები რჩება პირადი ხასიათის ლექსებად და მნიშვნელოვან მოვლენას პოეზიისთვის არ წარმოადგენს. ბევრი პოეტი გრძნობს, რომ პროტესტი ჩვენი მგრძნობელობის მდგომარეობის წინააღმდეგ უაზროა, ამიტომ ჯობია წერო იმაზე, რასაც გრძნობ.

სილვია პლათის პირველ პოეტურ კრებულ „კოლოსში“ თითქმის ყველა ლექსი სრულყოფილია. პოეტი ოსტატურად ახერხებს ლექსის ფორმისა და ინტონაციის კონტროლს, რიტმული ვარიაციების შესაბამისობის დაცვას, ლექსიკის სწორად გამოყენებას და დაკვირვებას მოვლენებზე, რაც ხშირად გაოცებას იწვევს, მაგრამ ყოველთვის ზუსტია: ’’the waves/ spewed relics clicker masses in the wind, or (the place in laboratory), /’’In their jars the snail-nosed babies moon and glow.’’ ლექსი „დაბადების დღისთვის“ (’’Poem for a Birthday’’), აღწერს ორსულობის შეგრძნებებს. ავტორს გაგონილი ჰქონდა ორსულთა ფერადი, გამორჩეული სიზმრების შესახებ და ამაზე გაბედულად წერდა. ლექსში „მეტაფორა“ ფოკუსირება ხდება სწორედ ორსულის მიერ განცდილ ემოციებზე, ვიზუალური აქცენტი გამოხატული და თვალშისაცემია. პოეტი ასახავს პერსპექტივას, გვიხატავს თავისივე მომავალ ცხოვრებას, რომელშიც მას ვხედავთ შინაბერად, მეძავად ან თვითმკვლელად. სილვია პლათის ადრეული პოეზია სავსეა ამგვარი ფობიებით.

სილვია პლათი იყო მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული პოეტი. ჯერ კიდევ თვითმკვლელობამდე, 30 წლის ასაკში, პლათს უკვე ჰყავდა მიმდევრები ლიტერატურულ წრეებში. მომდევნო წლებში მისმა ნაწარმოებებმა მიიზიდა უამრავი მკითხველი, რომლებიც მის სტროფებში ხედავდნენ პოეტის მცდელობას ისაუბროს სასოწარკვეთაზე, ძლიერ ემოციასა და სიკვდილით შეპყრობილობაზე. „ნიუ იორკ ტაიმსის“ წიგნის მიმოხილვაში, ჯოის კაროლ ოატსმა პლათი დაახასიათა, როგორც „ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და ურთიერთსაწინააღმდეგო აზრის გამომწვევი, ომის შემდგომი პოეტი, რომელიც ინგლისურ ენაზე წერდა“. პლათის უაღრესად ავტობიოგრაფიული ლექსები ასახავენ მის რაციონალურ სევდას, რთულ ქორწინებას პოეტ ტედ ჰიუზთან, ავტორის გადაუჭრელ კონფლიქტს მშობლებთან, საკუთარ თავსა და შეხედულებებთან.

ინტერნეტ გვერდზე *World Socialist* მარგარეტ რიზი აღნიშნავდა, რომ არა აქვს მნიშვნელობა პლათი ბუნებაზე წერდა თუ ინდივიდის სოციალურ უთანასაწორობაზე, იგი ყველა თემას „ზრდილობის ჩარჩოს“ აცლიდა, დინების საწინააღმდეგოდ მიცურავდა. პოეტი საკუთარ ნაწერებში აღწერდა ელემენტარულ ძალებსა და

პირველად შიშებს. ამით იგი აშკარად და ღიად მიანიშნებდა იმ დაძაბულობაზე, რომელიც ამერიკული ცხოვრების ზედაპირზე ლივლივებდა, ომის შემდგომ პერიოდში. 1932 წელს ბოსტონში დაბადებული პლათი, გერმანელი ემიგრანტის, კოლეჯის პროფესორის, ოტო პლათისა და მისი ყოფილი სტუდენტის აურელია შობერის ქალიშვილი იყო. პოეტის ცხოვრება უცებ შეიცვალა 1940 წელს, მამის გარდაცვალების შემდეგ. მისი რამდენიმე ლექსი და მათ შორის ცნობილი „მამილო“ ეხება პოეტის რთულ ურთიერთობას მკაცრ მამასთან. სილვიამ მამის გარდაცვალებაც უცნაურად მიიღო, ეს მის ღალატად, გაქცევად ჩათვალა. რამაც საბოლოოდ დაასრულა მათი რთული, წინააღმდეგობრივი ურთიერთობა და რაც პლათის პოეზიის კუთვნილებად იქცა. ფინანსურმა პრობლემებმა აიძულა პლათის ოჯახი საცხოვრებლად სხვა შტატში გადასულიყო. სილვია ნიჭიერი სტუდენტი იყო, უამრავი ჯილდო და სტიპენდია ჰქონდა მიღებული. იგი სწავლობდა სმიტის კოლეჯში სტიპენდიით. წარმატებული პერიოდი გაგრძელდა მადმუაზელის ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებით, სადაც ჟურნალის რედაქციის პრესტიჟული სტუმრის ტიტული მოიპოვა. უნივერსიტეტში სწავლის ბოლო წლებში დაეწყო მძიმე დეპრესიის სიმპტომები, რამაც, საბოლოოდ, სიკვდილამდე მიიყვანა. 19 წლის ასაკში, საძილე აბებით, მან პირველად სცადა თვითმკვლელობა, თუმცა გადარჩა. პოეტის გამოცდილება დეპრესიის შეტევასა და გამოჯანმრთელებაზე დაედო საფუძვლად მის რომანს „ზარხუფი''. წიგნის მოყვარულ–თა ყველაზე ავტორიტეტულმა ინტერნეტ-პორტალმა Goodreads, XX საუკუნის საუკე–თესო წიგნების რეიტინგი გამოაქვეყნა. სიაში შესულ 33 წიგნს შორის არის სილვია პლათის „ზარფუხიც,“ გასული ასწლეულის ერთ-ერთი ყველაზე დრამატული რომანი. საბოლოო გამოჯანმრთელების შემდეგ, პლათი დაუბრუნდა სწავლას. ფულბრაიტის სტიპენდიის მოპოვების შემდეგ, იგი ინგლისში კემბრიჯის უნივერსიტეტში წავიდა სასწავლებლად, სადაც შეხვდა პოეტ ტედ ჰიუზს. ისინი 1956 წელს დაქორწინდნენ. სწორედ მათი თანაცხოვრების პერიოდში დაიწერა რომანი „ზარხუფი'“ და ლექსების პირველი კრებული „კოლოსი“. ორივე წიგნს დადებითი გამოხმაურება მოჰყვა. 1962 წელს, მათი ქორწინების დასრულების შემდეგ, პლათი, ორ შვილთან ერთად, წავიდა

და შემოქმედებითი აფეთქების შემდეგ დაწერა „არილი“. საბოლოდ კი, თავი მოიკლა, გაზით, საკუთარი სახლის სამზარეულოში.

ზოგიერთი კრიტიკოსი მიიჩნევს, რომ საზოგადოების რეაქცია და განსაკუთრებული ინტერესი „ზარხუფისა“ და „არილის“ მიმართ, პლათის თვითმკვლელობის შედეგია. სწორედ სუიციდმა აქცია მისი შემოქმედება ასე პოპულარულად. სიცოცხლეში სილვია პლათის შემოქმედებას, პოეტური წრეების გარდა, ცოტა თუ იცნობდა, სიკვდილის მერე ბევრმა გაიცნო. პლათის თვითმკვლელობამ თითქოს მისი სიცოცხლე უფრო რეალურად აქცია, თითქოს ეს სამხილი იყო საჭირო მისი პოპულარობის გაზრდისთვის.

ზოგიერთი ფემინისტი, პლათს ხატავდა როგორც ქალს, რომელიც მკაცრ მამას, მოღალატე ქმარსა და არასასურველ დედობას შეეწირა. ზოგიერთი კრიტიკოსი მას მიიჩნევდა კონფესიონალურ პოეტად, რომელიც საუბრობდა იმ უწესრიგო, უკონტროლო საკითხებზე, რომლებიც ჩვენს შეგნებას სჭირდებოდა ან ფიქრობდა, რომ სჭირდებოდა. სწორედ „არილის“ წყალობით, პლათი პოპულარული გახდა, როგორც მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ამერიკელი პოეტი, რომლის მოქცევა ვიწრო ლიტერატურულ ჩარჩოში არც ისეთი მარტივი აღმოჩნდა.

მწერალი ალვარესი, წერს თავის წიგნში „სასტიკი ღმერთი“ *The Savage God,* რომ „არილის“ ლექსებით, რომელიც შეადგინა და გამოსცა ტედ ჰიუზმა, პლათმა პოეზია და სიკვდილი განუყოფელ ცნებებად აქცია. ერთს მეორის არსებობის გარეშე არ შეეძლო. ეს სწორიცაა. საინტერესოა, რომ ლექსების უმრავლესობა ისე იკითხება, თითქოს ისინი პოეტის სიკვდილის მერე დაიწერა. რობერტ ვორენმა „არილს“ უნიკალური წიგნი უწოდა: „ის წიგნზე მეტია, თითქოს რეალობის სასტიკი ქროლვა, თითქოს ვიღაცამ ფანჯრის რაფა ჩაამტვრია შესანიშნავ ღამეს.“ „არილი“ ვერ შეიქმნებოდა სილვია პლათის პირველი პოეტური კრებულის „კოლოსის“ გარეშე. ამ სადებიუტო წიგნმა ნიადაგი მოამზადა ამერიკელი პოეტის შემდგომი ლიტერატურული მემკვიდრეობისათვის! „კოლოსი“ ამ მხრივაც მნიშვნელოვანი მოვლენაა.

აშკარაა, რომ სილვია პლათი თეოდორ როეტეკეს და ტედ ჰიუზის გავლენას განიცდის. მნიშვნელოვანია მხოლოდ მისი პოეზიის ამ დიდი პოეტების შემოქმედებასთან გათანაბრება. ლექსების კრებული „კოლოსი“ ლიტერატურული

საკითხებით დაინტერესებული ადამიანებისთვის მნიშვნელოვანი წიგნია. თითქოს მკითხველს გამუდმებით უჩნდება მისი ხელახლა წაკითხვის სურვილი. ამ წიგნმა სილვია პლათი ერთ-ერთ საუკეთესო პოეტად წარმოაჩინა, რომლის ძლიერი ფემინური ხმა მრავალი წელია ისმის.

წიგნის სახელწოდება მრავლისმეტყველია, პოეტი კრებულის სახელითაც ამართლებს მკითხველის მოლოდინს! სილვია პლათის გონებაში გრანდიოზულობა და უწყვეტობის გრძნობა დომინირებს. ის ერთდროულად აღმერთებს ბუნებას და ეშინია კიდეც მისი. ამ ლექსებში დამალული საფრთხის მოსალოდნელი შიში იკითხება, რომელიც უფრო ადამიანთა გამძლეობას აწრთობს, ვიდრე სიხარულს იწვევს. კლდესთან, ქარსა და ზღვასთან „დაუსრულებელ, სასტიკ“, ბრძოლაში „დროებით ბანალური გმირობა“ შეიძლება მოიპოვო, როგორც შემდეგ ლექსებშია: Point Shirley და The Hermit at Outermost House, magram, საბოლოოდ, ბუნება ადამიანს ამარცხებს და მასზე იმარჯვებს.

A labour of love, and that labour lost.

Steadily the sea

Eats at Point Shirley.

პლათისთვის ადამიანის მიერ გადაკეთებული ლანდშაფტი უმნიშვნელო და უინტერესო ხდება. მას პირველყოფილი, ხელუხლებელი ბუნება იტაცებს. კემბრიჯის ნოსტალგიით შეპყრობილი, გრინჩესტერ მედოუში სეირნობისას აღნიშნავდა, რომ „ჩიტები ცერა თითის ხელებია, გედები მოთვინიერებული, წყლის ვირთხა სასაცილოდ გრძნობს თავს, როცა იგი შეიგრძნობს ბუნების არასტუმართმოყვარეობას ადამიანის მიმართ.“

პოეტისთვის ქარი და ზღვა ბუნების ის ძალებია, რომლებიც დაიმორჩილებენ ადამიანთა მოდგმას ან მოთმენით დაელოდებიან, სანამ თვითონ არ გადაშენდებიან და მათ ადგილს არ დაიკავებენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Bitter Fame by Anne Stevenson. Houghton Mifflin Company. Boston 1989.
2. Letters home, Correspondence 1950-63 by Sylvia Plath. Harper Parennial.

3. Ariel by Sylvia Plath. HarperParennial.
4. The Colossus and other poems by Sylvia Plath. Vintage International. New York.
5. Critical Essays on Sylvia Plath by Linda W. Wagner. G.K.Hall & Company. Boston.
6. Sylvia Plath's Narrative Strategies by Margarer Dickle. The Iowa Review.(JSTOR)

Nana Gagua

PhD Student, American Studies

Ivane Javakhisvhili Tbilisi State University

Sylvia Plath Life As Poetry, her Poetry Collection "The Colossus"

Summary

Sylvia Plath was one of the most outstanding poets of the 21st century. Even before her suicide , at the age of 30, she had many admirers and followers among cultural societies. In the following years her works attracted many readers, who saw in her poems a poet's attempts to talk about depression, strong emotions and death. In a ''New York Times'' book review Joyce Carol Oats described Plath ''…as one of the most famous and controversial writers after the world war, who wrote in English''. Plath's deeply autographical poems describe her rational sadness, complicated marriage with British poet Ted Hughes, her unsolved conflict with parents, herself and her views of conservative society.

Sylvia Plath's life and poetry are quite similar. She wrote as she lived. In her poetry her whole life could be read. In this paper both her life and her poetry book "Colossus'' will be discussed. With her poems she gives us many characters and a variety of topics, like: motherhood, death, love of nature, animals. In her poems she describes all the fears she used to have from childhood to adulthood.

დოქტორი, ასისტენტ პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველო და საბჭოთა კავშირის პოლიტიკა კორლის ლამონტის მემარცხენეულ დისკურსში

საკმარისია გავეცნოთ პროფესორ კორლის ლამონტის ბიოგარფიას, რომ გაგვიჩნდეს კითხვა თუ რატომ გახდა ამერიკელი მილიარდერის შთამომავლი, ჰუმანისტი და დემოკრატი, ჰუმანიზმის მკვლევარი, სამოქალაქო უფლელებისათვის მებრძოლი, სხვაგვარად აზროვნების დამცველი საბჭოთა კავშირის ეროვნული პოლიტიკის აპოლოგეტი, როცა მისთვის კარგად იყო ცნობილი თუ როგორ იზღუდებოდა სხვაგვრად აზროვნება საბჭოთა კავშირში.

კორლის ლამონტი (1902-1995) იყო მორგანის პარტნიორისა და J.P. Morgan@Company-ის მმართველის თომას უილიამ ლამონტის შვილი და მემკვიდრე, რომელმაც განათლება მიიღო პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში. მაგრამ მან უარი თქვა უზრუნველ ცხოვრებაზე და საკუთარი თავი მიუძღვნა ბრძოლას თავისუფლებისა და სამართლიანობის, ამერიკული იდეალებისა და ღირებულებების პრაქტიკაში დამკვიდრებისათვის. ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის 20-იან წლებში ჰარვარდში სწავლის დროს მან აქტიურად შეუტია უნივერსიტეტში არსებულ კლუბებს, რომლებსაც ის სნობისტურ დაწესებულებებად მიჩნევდა. დიდი დეპრესიის მიზეზების შესწავლამ კიდევ უფრო მარცხნივ გადახარა მისი პოლიტიკური სიმპატიები. ის წერს წიგნს საბჭოთა კავშირზე და ხდება ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნული საბჭოს ხელმძღვანელი. ლამონტი მოგზაურობს საბჭოთა კავშირში, რომელსაც მასზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია, რაც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ასე გამოხატა: "საბჭოთა კავშირში ხალხს უკეთ აცვია, საკვები უკეთესი და მდიდარია. ყველა კმაყოფილი, ბედნიერი და სიცოცხლით სავსეა". რა თქმა უნდა აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ საბჭოთა კავშირის შესაბამისი ორგანოები შეიძლება სპეციალურად

ზრუნავდნენ იმაზე, რომ მას მხოლოდ კარგი მხარე დაენახა, მაგრამ ალბათ ამას არ ჰქონია გადამწყვეტი მნიშვნელობა. სხვებსაც უმოგზაურიათ სსრკ-ში, მაგრამ ასეთი აღრფთოვანებულები არ დარჩენილან ნანახით. მაგალითად, მეოცე საუკუნის 60-იან წლებში სსრკ-ში იმყოფებოდა მილტონ ფრიდმანიც, რომელმაც სულ სხვა თვალით დაინახა ეს ქვეყანა. ვფიქრობთ, რომ 30-იანი წლების კრიზისში მყოფ ამერიკასთან შედარებით, სადაც მცირდებოდა წარმოება, იზრდებოდა უმუშევრობა და იყო შიმშილი, საბჭოთა კავშირი, სადაც ამ დროს შენდებოდა ახალი ფაბრიკა-ქარხნები, მოისპო უმუშვრობა და ა. შ. ნამდვილად წარმოშობდა კონტრასტს მაშინდელი აშშ-ს ფონზე, რაც გადაიქცა წყაროდ ლამონტის შთაბეჭდილიბების ფორმირებისათვის. გარდა ამისა, რასობრივი და ეროვნულ უთანასწორობის ფონზე, რომელიც მაშინდელი აშშ-სა და კოლონიებად დაყოფილი მსოფლიოს მწვავე პრობლემას წარმოადგენდა, საბჭოთა კავშირი ლამონტისათვის გამოჩნდა როგორც წარმატებული ეროვნული პოლიტიკის პარადიგმული შემთხვევა, რომელმაც შეძლო დაეძლია ეროვნული და რასობრივი ცრურწმენები, რაც მას მაშინდელი მსოფლიოს მთავარ პრობლემად მიაჩნდა. თავისი წიგნში The People of Soviet Union ის წერს: "არაფერია უფრო უსამართლო, უფრო სასტიკი, უფრო არაცივილიზებული, ვიდრე ადამიანების ან ჯგუფების დისკრიმინაცია მათი კანის ფერის, სახის ნაკვთების, ან ეთნიკური წარმოშობის გამო... მე მჯერა, რომ იმის შესწავლას თუ როგორ ცხოვრობენ და შრომობენ სხვადასხვა ხალხები საბჭოთა კავშირში შეუძლია შუქი მოჰფინოს უმცირესობის პრობლემებს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებში."

საბჭოთა კავშირი მას მიაჩნია ერთა თანამეგობრობად, მეორე ამერიკის შეერთებულ შტატებად, სადაც რუსეთი მხოლოდ ერთ-ერთი შემადგენელი რესპუბლიკაა ფედერაციისა. ამიტომ მისი აზრით, არ არის სწორი, როცა საბჭოთა კავშირს უწოდებენ რუსეთს. საბჭოთა კავშირს ის ეთნიკურ დემოკრატიად მიიჩნევს და ერთა ლიგას უწოდებს, ხოლო ამერიკულისაგან საბჭოთა ფედერალიზმის გამნამსხვავებელ ნიშნად კი ეროვნული რესპუბლიკების საკავშირო ფედერაციიდან გამოყოფის უფლებას თვლის. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ საბჭოთა კავშირში თითოეულ ერს ჰქონდა გამოყოფილი ტერიტორია და ტარდებოდა პოლიტიკა, რომელიც ეროვნული

კულტურისა და თვითშეგნების განვითარებას უწყობდა ხელს, რის გამოც საბჭოთა კავშირი, აშშ-გან განსხვავებით, არ წარმოადგენდა ''სადნობ ქვაბს''.

1932 წლის აგვისტოში კორლის ლამონტი თავის მეუღლესთან ერთად ჯაოჯიკაოდან (ახალანდელი ორჯონიკიძე) ავტომობილით გამოემგზავრა საქართველოში. ღრმა და ნისლიანმა ხეობებს, საქართველოს სამხედრო გზის პეიზაჟებს, ცად აზიდულ დაკბილულ მთის მწვერვალებს, თოვლით დაფარულ ყაზბეგს, ციხე-სიმაგრეების ნანგრევებს წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდინიათ მასზე. როგორც ის აღნიშნავს, ეს საავტომობილო მოგზაურობა ყოფილა ერთ-ერთი ყველაზე უფრო ლამაზი და შთამბეჭდავი, რომელშიც კი მას ოდესმე მიუღია მონაწილეობა. ქართულმა სიმღერამ და ცეკვამ, ქართულმა სუფრამ, რომლის მოწმეც გამხდარა ერთ-ერთ სასაუზმეში, მას პირველი შთაბეჭდილება შეუქმნა, როგორც თავად ამბობს, დაუდგრომელი, მხიარული, სიცოცხლისმოყვარე ქართველი ხალხის სულისა. ლამონტს განსაკუთრებულად მოსწონებია მწვადი, რომელიც მსოფლიო ხალხების კულინარიაში ქართველების მიერ შეტანილ წვლილად მიუჩნევია. ის თბილისს წარმოგვიდგენს როგორც კოსმოპოლიტურ ქალაქს, ჰეტეროგენული მოსახლეობით და ხალხმრავალი ქუჩებით. ლამონტის მოწმობით, მტკვრის გასწვრივ მდებარე ძველი, თავისებურად მიმზიდველი სახლები და ვიწრო დაკლაკნილი გზები წარმოშობდნენ კონტრასტს მოასფალტებული ბულვარებისა და უფრო თანამედროვე რაიონებში არებული ახალი შენობების ფონზე. ტფილისის თბილისად გადარქმევას განიხილავს, როგორც საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის ერთ-ერთ მაგალითს, რომელიც ეროვნილი უმცირესობების ტრადიციების გამოცოცხლებაზე იყო ორიენტირებული. ის ქართველებს წარმოგვიდგენს როგორც უძველესი კულტურის ერს, რომლებმაც ანგლო-საქსებზე სამი საუკუნით ადრე მიიღო ქრისტიანობა. ლამონტის მოწმობით საქართველო ცნობილი იყო სუბტროპიკული სოფლის მეურნეობით, გემრიელი ღვნოებით, წყლის ენერგიაზე დაფუძნებული ელექტრიფიკაციის ფართო პროგრამით. გამოყოფს მარგანეცის წარმოებას ჭიათურაში, რომელსაც ერთ დროს აშშ-ს მაშინდელი ელჩი სსრკ-ში ჰარიმენის სინდიკატი ამუშავებდა საბჭოთა მთავრობიდან მიღებული კონცესიის საფუძველზე. საბჭოთა კავშირში წარმოებული მარგანეცის ნახევარი მოდიოდა

საქართველოზე, რომლის საკმაოდ დიდი რაოდენობა მეორე მსოფლიო ომამდე აშშ-ში გადიოდა.

ლამონტი აფხაზებსა და აჭარლებს მოიხსენიებს როგორც უმცირესობებს, რომლებსაც აქვთ საკუთარი ავტონომიური რესპუბლიკები საქართველოს საზღვრებში. ბათუმი მას არ მოსწონებია, მაგრამ აღტაცებული დარჩენილა მისი "ბრწყინალე" შემოგარენით. მოგვითხრობს აჭარაში გავრცელებული სისხლის აღების წესის შესახებ.

აფხაზეთს ლამონტი ახასიათებს, როგორც შესანიშნავი თამბაქოსა და მაღალი ხარისხის ხე-ტყის მასალის მქონე რეგიონს. მისი მოწმობით, აფხაზეთიდან გატანილი წაბლის მასალა, რომელიც გამოირჩეოდა განსაკუთრებული სიმტკიცით, რეიმსის ტაძრის კოჭებისათვის გამოუყენებიათ. მას აფხაზეთის თბილი და სასიამოვნო ჰავა ფლორიდისა და კალიფორნიის ჰავას აგონებს. მისი განსაკუთრებული ყურადღება დაუმსახურებია აფხაზთა დღეგრძელობას, რომლის ილუსტრირებისათვისაც მოჰყავს 140 წლის ნიკოლოზ შაფკოვსკი და 139 წლის შატ ჩუკბარი. აფხაზეთში მან აღმოაჩინა რამდენიმე ასეული შავკანიანი, რომლებსაც ჰქონიათ საკუთარი სოფელი. ლამონტის მოწმობით ისინი აფრიკული წარმოშობისა ყოფილან, რომლებიც ადგილობრივ თურქ მემამულეებს შეუძენიათ ერთ საუკუნეზე უფრო მეტი ხნის წინათ. მისი სიტყვებით, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეშიც უცხოვრიათ აშშ-დან და სხვა ქვეყნებიდან გამოსულ შავკანიანებს, რომელთაგანაც ზოგიერთი ბამბის წარმოების მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტი ყოფილა.

სვანეთში ლამონტი მოუხიბლავს სვანურ კოშკებს, რომელიც მას აგონებს ჩრდილოეთ იტალიისა და განსაკუთებით კი ბოლონიის ძველ მისი მოწმობით, საბჭოთა ხელისუფლების დამყარება სვანეთში ბევრ პრობლემას წაწყდომია, მაგრამ საბოლოოდ მოხერხებულა სვანებსა და ხელისუფლებას შორის შეთანხმების მიღწევა, რომლის ძალითაც სვანეთში შესვლის უფლება მიეცათ ოთხ მასწავლებელს, ორ ექიმს, ორ კვალიფიცირებულ ექთანს და მთავრობის ერთ მრჩეველს.

ხევსურებს ლამონტი მიიჩნევს ჯვაროსნების შთამომავლებად, რომლებსაც, მისი მოწმობით, არც თუ ისე დიდი ხნის წინათ უტარებიათ მუზრადები, ჯაჭვის პერანგები და ფრანკული ჯვრები. მიუხედავად იმისა, რომ ხევსურები თავს ქრისტიანებად

მიიჩნევდნენ, ლამონტი მათ რელიგიას ახასიათებს, როგორც ქრისტიანობის, იუდაიზმის, მუსლიმანობისა და წარმართობის უნიკალურ ნაზავს.

სსრკ დადებითი და უარყოფითი მხარეების უნიკალურ სინთეზს წამოადგენდა. ამიტომ მისი მომხრეები და მოწინააღმდეგეები ყოველთვის ცდილობენ დაინახონ ის, რაც მათ სჭირდებათ. გამონაკლისი არც ლამონტია, რომელიც სსრკ-ში ხედავს იმ პრობლემის წარმატებული გადაჭრის მაგალითს, რომელიც აქტუალური იყო მაშინდელი კოლონიური იმპერიებად დაყოფილ მსოფლიოსა და აშშ-ში რასობრივი და ეროვნული უთანასწორობის პრობლემა. თუმცა ის უკრიტიკოდ იმეორებს სსრკ-ს ხელმძღვანელობის რიტორიკას ეროვნული პოლიტიკის შესახებ და არაფერს ამბობს იმ პრობლემებისა და მეთოდების შესახებ, რომლესაც საბჭოთა მთავრობა მიმართავდა მათ გადასაჭრელად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Lamont, C. The Peoples of the Soviet Union. Harcourt, Brace and Company, New York. Dawnloaded: 2. https://archive.org/details/PeoplesOfTheSovietUnionLamont/page/n3/mode/2up[2020 12.04]
2. The Life of Corliss Lamont. Dawnloaded: https://www.corliss-lamont.org/#life [2020. 18.o4]
3. დოლიძე, ვ.(2019)ეკონომიკა და საჯარო პოლიტიკა. ლოგოსი, თბილისი
4.

Valerian Dolidze

PhD, Assistant Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Georgia and the National policy of the Soviet Union in the Leftist Discourse of Corliss Lamont

Summary

The author tries to answer the question why the fighter for human rights and defender of Bill of rights professor Corliss Lamont became apologist of the USSR and the soviet national policy? In author's view Lamont saw in the national policy of the USSR the paradigmatic case of solution of problems of racial and national inequalities, which were the acute problems for the USA and the world which was divided into metropolis and colonies. Georgia was one of the cases on which he observed the achievements of Soviet national policy. He is admired for it's nature and people, dances, sings and national character of Georgians. In his view Georgians had ancient culture and adopted Christianity three centuries before the Anglo Saxon. He admires the Svan towers which in his opinion resemble the architecture of Northern Italy, considers Khevsurs as descendants of the crusaders. In Abkhazia he found self-governing village inhabited by blacks. Lamont talks about the production of manganese in Chiatura. At one time Averell Harriman, then American ambassador to Moscow headed a syndicate that operated these manganese deposits on concession basis. Lamont repeated views of soviet leadership about soviet national polity and didn't speak of problems of this policy and the means soviet government used to resolve them.

თამილა დავითაძე

ასისტენტ პროფესორი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„ამერიკული ოცნება“ ფილიპ როთის რომანებში

(რომანებზე -„ამერიკული პასტორალი“, „ჩემი ქმარი კომუნისტია“, „ადამიანური ლაქა“ დაყრდნობით)

”ამერიკული ოცნება”, XX საუკუნის მხატვრულ ლიტერატურაში ასოცირდება წარმატებისა და გამდიდრებისკენ სწრაფვასთან, თუმცა, ხშირად იგი კრახით და იმედგაცრუებით მთავრდება, რასაც ახლავს სულიერად დაცემა და იდეალების კარგვა. სწრაფი გამდიდრების სურვილით შეპყრობილი პერსონაჟები, დაჟინებით, მიზნის მიღწევის სირთულეების მიუხედავად, ცდილობენ თავიანთი მორალური პრინციპების საწინააღმდეგოდ იმოქმედონ, რის გამოც ხშირად დანაშაულსაც კი სჩადიან. საბოლოოდ, ყველაფერი მათ იმედგაცრუებას იწვევს. ამერიკული ლიტერატურა, გვთავაზობს რა "ამერიკული ოცნების" მიღწევის თავდაპირველ პრინციპებს, მიგვანიშნებს, რომ დიდი წარმატების მიღწევა შესაძლებელი უნდა იყოს შრომისმოყვარეობის გზით, ზნეობრივი პრინციპების დარღვევის გარეშე.

ამერიკელი მწერლები მთავარი პერსონაჟების ცხოვრებისეული გამოცდილების მაგალითებზე ”ამერიკული ოცნების” განხორციელების შედეგებზე წერენ. მათ შორისაა თანამედროვე ამერიკული ლიტერატურის ცნობილი კლასიკოსი ფილიპ როთი, რომელიც ტრილოგიაში "ამერიკული პასტორალი" (”American Pastoral“, 1997), "ჩემი ქმარი კომუნისტია" („I Married a Communist“,1998) და "ადამიანური ლაქა" („The Human Stain“, 2000) მიმართავს "ამერიკული ოცნების" ტრადიციულ თემას და გვიჩვენებს მის განსხვავებულ მხარეს. წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამ რომანთა და ფილიპ როთის თვალით დანახულ „ამერიკული ოცნების“ ანალიზს წარმოადგენს.

ფილიპ როთის მიდგომები თანამედროვე მსოფლიოს აღწერისას ხასიათდება, როგორც კრიტიკული, ხოლო მისი შემოქმედებითი მეთოდი შეიძლება განისაზღვროს, როგორც „ვულგარული ნატურალიზმი“. მწერლისათვის დამახასიათებელია მარადიულ ღირებულებათა კრიზისულობა და სკეფსისი, რომელიც გარკვეულწილად არღვევს საზოგადოების ეთიკურ და რელიგიურ საფუძვლებს, ამასთან, ღირებულებათა გარეშე ტოვებს უსუსურ ადამიანს სამყაროს პირისპირ, რაც პოსტმოდერნიზმის ნიშნებს გვაგონებს. მრავალი ათეული წლის განმავლობაში, როთი ამერიკულ რეალობას გარკვეული კუთხით - ამერიკელი ებრაელისა და შეერთებულ შტატებში დასახლებულ აღმოსავლეთ ევროპის ემიგრანტთა გადმოსახედიდან წერდა. მან დეტალურად შეისწავლა ამერიკაში ებრაული ცხოვრების ყველა ასპექტი, შეეხო ოჯახურ და ცოლ-ქმრულ ურთიერთობათა პრობლემებს, ქვეყნის ისტორიის გავლენას ინდივიდების ბედზე, შემოქმედებითი პიროვნების ფორმირებასა და განვითარებაზე, ეთნიკური იდენტურობის ძირითად საკითხებს. სკანდალური თემები, უხამსი სცენები და გადაჭარბებული გულახდილობა გახლავთ ის მახასიათებლები, რაც მის რომანებს ახასიათებს. გაუცხოება და მარტოობა კი თითქმის მისი ყველა რომანის ერთ-ერთი ძირითადი თემებია. როთის მკითხველი დარწმუნებულია, რომ არა გამოგონილი პერსონაჟის ცხოვრებას, აზრებს, ფიქრებს, პროტესტს ეცნობა, არამედ თვით ავტორისას, რადგან როთის რომანების ერთ-ერთი მახასიათებელი ავტობიოგრაფიულობაა. იგი ძალზედ მოხერხებულად ირგებს არა ერთ ნიღაბს, იქნება ეს ნათან ცუკერმანი, ნილ კლუგმანი, ალექსანდრე პორტნოი, დევიდ კეპეში, ქოულმენ სილკი, ბაკი კანტოპი თუ სხვა მისი ორეული, რომლებიც ერთიანად ავტორის alter ego-ს წარმოადგენენ, თუმცა ამ კუთხით საუბარი შორს წაგვიყვანდა, ამიტომ ამჯერად, ამ პერსონაჟთაგან ქოულმენ სილკსა და სხვა იმ პერსონაჟებზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომლებიც დაკავშირებულია „ამერიკული ოცნების“ თემასთან. სეიმურ ლევოვი, მეტსახელად „შვედი“, აირა რინგოლდი და ქოულმენ სილკი, ტრილოგიის მთავარი გმირები, ამ ოცნების ვარიაციული გამოვლინებები არიან, რომელთა გარეგანი კეთილდღეობის უკან ბევრი რამ იმალება. სეიმური იდეალური ქმარი და მამაა, აირა - ეროვნული ვარსკვლავი და რადიომსმენელთა რჩეული, ხოლო ქოულმენი - ყველასთვის პატივცემული

პროფესორ-ინტელექტუალი, თუმცა მოვლენები სხვაგვარად ვითარდება, რის შემდეგაც ყველაფერი ილუზია აღმოჩნდება, „ამერიკული ოცნება“ კი - მითი. მიზნის ნებისმიერი ფასად მიღწევის სურვილი, როგორც კარიერის, ასევე პირადი ცხოვრების შემთხვევაში მათ კრახით უბრუნდებათ. ”ამერიკული ოცნება” ტრაგედიად იქცა ტრილოგიაში - „ამერიკული პასტორალი“, „ჩემი ქმარი კომუნისტია!” და „ადამიანური ლაქა“. თითოეული ნაწარმოები მეტ-ნაკლებად დაკავშირებულია ინდივიდუალურ პიროვნებაზე ეროვნული ისტორიის გავლენის პრობლემასთან. აშშ-ში მიმდინარე მოვლენები 50-იან წლებში („I Married a Communist“), 60-იან წლებში (”American Pastoral”) და 90-იანი წლების ბოლოს („The Human Stain“) როთის გმირთა ცხოვრების (მათთვის მოულოდნელად) განმსაზღვრელი და გადამწყვეტი გახდა. სამივე რომანის მთხრობელი ფილიპ როთის alter ego - ნათან ცუკერმანია. იგი აერთიანებს დასახელებულ რომანებს, რომლებიც აბსოლუტურად დამოუკიდებელია სიუჟეტის და კომპოზიციის თვალსაზრისით. დავიწყოთ რომანით - „ამერიკული პასტორალი“, რომლის სათაურიც „ამერიკული ოცნების“ ერთგვარი ირონიული გააზრებაა. ცუკერმანი მკითხველს დასაწყისშივე აცნობს სეიმურ ლევოვს, მეტსახელად „შვედს“, რომელიც ახალგაზრდობაში სკოლის კერპი იყო. სკოლის დამთავრების შემდეგ კი, „შვედი“ სათავეში საოჯახო ბიზნესს უდგება, ქორწინდება „მის ნიუ-ჯერსიზე“ და წარმატებული, ყოველმხრივ სანიმუშო ადამიანის ცხოვრებით ცხოვრობს. მისი მეუღლე, ირლანდიელი წარმოშობის გოგონა, ასევე განასახიერებს ახალგაზრდა ამერიკელი ქალების ოცნებას. სილამაზის კონკურსის გამარჯვებული, იდეალური ამერიკელი დიასახლისი გახდა - მთელ სიცოცხლეს თავის ოჯახს უძღვნის, ლამაზ და კომფორტულ სახლში საკუთარ პატარა სამოთხეს ქმნის. მისგან ინტერვიუსაც კი იღებენ და ფოტოებს ავრცელებენ დიასახლისებისთვის, რადგან ის იდეალის განსახიერებაა. ერთი სიტყვით, სეიმური, როგორც ზრდასრული ადამიანი, აგრძელებს საკუთარი იდეალური ცხოვრების - ”ამერიკული პასტორალის” შენებას, რაც ”ამერიკული ოცნების” ებრაულ ვარიანტს წარმოადგენს, სრულყოფილად ერგება რა შეერთებული შტატების ეროვნულ იდეალებს და ამავე დროს ინარჩუნებს თავის ეთნიკურ (ებრაულ) იდენტიფიკაციას. თუმცა, ერთ დღეს კომუნისტური იდეებით გატაცებული, მშობლებისა და სახელმწიფოს

წინააღმდეგ აჯანყებული მისი თექვსმეტი წლის გოგონა ყველაფერს თავდაყირა აყენებს... სანიმუშო მამის ქალიშვილი კომუნიზმში “ვარდება” და ერთი ხელის მოსმით ანადგურებს ამერიკულ ოცნებას... რადიკალურად განწყობილი მეამბოხე მერი, ვიეტნამის ომის პროტესტის ნიშნად, ადგილობრივ ფოსტას აფეთქებს, შემდეგ კიდევ სამ აფეთქებას აწყობს, რასაც სამი ადამიანის სიცოცხლე ეწირება, ბოლოს კი, გაქცევაში მყოფი, ჯაინიზმის მიმდევარი ხდება. სწორედ მერი წარმოადგენს ამ ოჯახის იდეალებიდან ერთგვარ გადახრას. ამერიკის ყველაზე ლამაზი ქალისა და წარმატებული ბიზნესმენის შვილი, ბავშვობიდან ენაბლუობით იტანჯება, რამაც მოზარდში მრავალი კომპლექსი შექმნა. თექვსმეტი წლის ასაკში მერიმ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ააფეთქა ადგილობრივი ფოსტა, მოკლა უდანაშაულო ადამიანი და ამით გამოხატა თავისი პროტესტი სისტემის მიმართ, რომლის ნაწილადაც მიიჩნევდა მშობლებს. ამ ტრაგედიის შემდეგ, შვედის ილუზიები საბოლოოდ გაქრა, "ამერიკული ოცნებით" შთაგონებული მისი „მიკროკოსმოსი“ კი დაიშალა. ქალიშვილმა იგი საბოლოოდ ჩამოაშორა ამერიკულ პასტორალს და განდევნა საპირისპირო, მრისხანებით სავსე სამყაროში. ცხოვრების შუა ეტაპზე, შვედი აცნობიერებს რეალობას, რომელიც იდეალურისგან შორს არის - შეერთებული შტატების "მღელვარე 60-იანი წლები“ და მისი ოცნებები სავსებით შეუსაბამო აღმოჩნდა, რაც ტრაგედიის მიზეზად იქცა.

ტრილოგიის მეორე რომანის მოქმედება - "ჩემი ქმარი კომუნისტია!" - ძირითადად 50-იანი წლების დასაწყისში მიმდინარეობს, მაკარტიზმის დროს. ნათან ცუკერმანი ამჯერად, მისი მეგობრის აირა რინგოლდის ისტორიას მოგვითხრობს. რომანის მთავარი თემა იდენტურობა, პიროვნების გაორებაა, რასაც საბოლოოდ ადამიანი ტრაგიკულ შედეგამდე მიყავს. მთავარი გმირი აირა რინგოლდი, რომელიც ღარიბ ოჯახში გაიზარდა, მისდა მოულოდნელად ამერიკული რადიოს ვარსკვლავი ხდება და ამერიკულ ოცნებას ისრულებს. ამერიკული დიდებისკენ მიმავალი გზა სავსეა ავტორისეული ირონიით. აირა თავის ე.წ. შემოქმედებით საქმიანობას ადგილობრივ დღესასწაულებზე ამერიკული დემოკრატიისა და თავისუფლების სიმბოლო - აბრაამ ლინკოლნის განსახიერებით იწყებს. მიუხედავად მისი კომუნისტური შეხედულებებისა, აირა ამერიკული კაპიტალისტური საზოგადოების კერპი ხდება. ორმოცდარვა წლის

ასაკში იგი უკვე ნიუ – იორკში ცხოვრობს, რადიო ვარსკვლავია და დაქორწინებულია ყველასათვის საყვარელ სახალხო, ჰოლივუდის მსახიობზე. აირას ცხოვრება - ნებისმიერი ამერიკელის ოცნებას წარმოადგენს. მოგვითხრობს რა აირასა და ევას ოჯახის შესახებ, მთხრობელი ნათან ცუკერმანი და მასთან ერთად ფილიპ როთიც, წარმატების მიღწევას საკუთარ მეზე უარის თქმის ფასად გვიჩვენებს, რასაც ადამიანი ტრაგედიამდე მიყავს. რომანში წარმატების სიმბოლოა ევა ფრეიმის სახლი და მისი ცხოვრების წესი: მისი მშვენიერი სახლი, წიგნები, ნახატები კედელზე, წარმატებული, განათლებული, საინტერესო ადამიანების გარემოცვა, ყველაფერი, რაც აირას ადრე აკლდა, ახლა ამ ქალთან ერთად ცხოვრების დროს შეივსო. რომანში არა მარტო ჰოლივუდური ცხოვრებაა "ამერიკული ოცნების" ერთ-ერთი გამოვლინება, არამედ რომანის ერთ – ერთი მეორეხარისხოვანი გმირის, ჰელგას ბიწიერი სწრაფვა ნებისმიერ ფასად მატერიალური კეთილდღეობისკენ. ესტონელი ემიგრანტი, რომელიც აირას მიწვეული ყავს როგორც მასაჟისტი, მზად არის ყველაფრისთვის (პროსტიტუციაზეც კი), რომ მიზანს მიაღწიოს და გამდიდრდეს, რის გამოც ხშირად აირას დაცინვის ობიექტი ხდება. აირა რინგოლდის კარიერის კრახი სწორედ ამ ქალთან ურთიერთობამ და ღალატის გამო ევას შურისძიებამ განაპირობა. შურისძიების სურვილით შეპყრობილი ევა, მეგობრების რჩევით წერს წიგნს: "ჩემი ქმარი კომუნისტია!", სადაც აირა წარმოდგენილია, როგორც სასტიკი, დაუნდობელი, ტირანი ქმარი და კომუნისტური იდეების პროპაგანდისტი. მხოლოდ ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს მაკარტიზმი აირა რინგოლდის ტრაგედიის მიზეზად - პოლიტიკური დევნა მათზე, ვინც ეჭვმიტანილი იყო კომუნისტებთან კავშირის გამო. სინამდვილეში, მისთვის საბედისწერო ის შინაგანი წინააღმდეგობები აღმოჩნდა, რამაც განაპირობა პიროვნების ჩახშობის მცდელობა, დაევიწყებინა მისი წარმოშობა და შეხედულებები, რათა აესრულებინა „ამერიკული ოცნება“.

“ადამიანური ლაქა” ტრილოგიის ღირსეული დაბოლოებაა. ნათანი ამჯერად “მოწიფულ” ასაკში დამეგობრებულ ქოულმენ სილკს გვაცნობს. პროფესორი სილკი მთელს ცხოვრებას საკუთარ თავთან ბრძოლაში ატარებს – თავის აფროამერიკულ წარმომავლობას გამოგონილ ებრაელობაზე “ცვლის“. როგორც დანარჩენი ორი გმირის

შემთხვევაში მის ცხოვრებაშიც დგება გარდამტეხი წამი. ქოულმენი უკან მოიხედავს და აღმოაჩენს, რომ წარსულში დარჩა უარყოფილი ოჯახი, დაკარგული სიყვარული, გარდაცვლილი ცოლი, სიცრუეში აღზრდილი შვილები, დაკარგული სამსახური... აწმყოში კი – მხოლოდ სიცარიელე და ოცდაჩვიდმეტი წლით უმცროსი საყვარელი. რომანში მოქმედება 90-იანი წლების ბოლოს, პრეზიდენტ ბილ კლინტონსა და მონიკა ლევინსკის ურთიერთობის გამო სკანდალის ფონზე მიმდინარეობს. სწორედ ეს მოვლენა აისახა თავისებურად რომანის მთავარი გმირის - ქოულმენ სილკის ბედზე. ქოულმენ სილკი, მთელი ცხოვრება ატარებს ნიღაბს, იმის შიშით, რომ არავინ გაიგოს ვინ არის სინამდვილეში, რათა აისრულოს „ამერიკული ოცნება“. რასიზმის აბსურდული ბრალდების დროსაც კი ქოულმენმა ვერ გაბედა იმის აღიარება, რომ იგი აფრო-ამერიკელი იყო, რასაც შეეძლო მისი გადარჩენა. სწორედ ამ რომანშია ყველაზე ნათლად ნაჩვენები როგორ გადაიქცა "ამერიკული ოცნება" "ამერიკულ ტრაგედიად". გადაიქცე სხვა ადამიანად, ხელახლა დაიბადო, მთელი ცხოვრება სიცრუეში და შიშში გაატარო - აი საფასური, რაც უნდა გადაიხადო ოცნების ასრულების სანაცვლოდ.

როგორც ვხედავთ, სეიმურ ლევოვის, აირა რინგოლდისა და ქოულმენ სილკის გარეგანი კეთილდღეობის უკან იმალება სიცრუე და სურვილი, რომ არ გამოჩნდნენ ის, ვინც სინამდვილეში არიან. ლევოვი ცდილობს თავისი ებრაული ფესვებისგან თავი დააღწიოს და გახდეს "ნამდვილი ამერიკელი". ის და მისი ირლანდიელი მეუღლე, ქმნიან თავიანთ "ამერიკულ პასტორალს". აირა რინგოლდი ხდება რადიომსმენელთა ვარსკვლავი, იქორწინებს რა ჰოლივუდის ლამაზმანზე და ხდება "მაღალი საზოგადოების" წევრი. ქოულმენ სილკს აქვს წარმატებული საუნივერსიტეტო კარიერა და საუკეთესო ინტელექტუალისა და დემოკრატის რეპუტაცია. თუმცა სამივე განიცდის კრახს, რადგან მათ არ შეუძლიათ მიიღონ ამერიკული სინამდვილე და თვითონაც გახდნენ ამ სინამდვილის ნაწილი, ისე რომ დარჩნენ ისეთებად, როგორებიც სინამდვილეში არიან. მეორეხარისხოვანი პერსონაჟები - დაუნ ლევოვი (შვედის მეუღლე), ევა ფრეიმი (აირის მეუღლე), ასევე აირის საყვარელი ჰელგა და ქოულმენ სილქის შეყვარებული ფაუნია ასევე წარმოადგენენ ”ამერიკული ოცნების” ქალთა

სხვადასხვა ვარიაციას: ლამაზი კაბების ყიდვის ბანალური სურვილიდან დაწყებული და ჰოლივუდში კარიერის და სილამაზის კონკურსში გამარჯვებით დამთავრებული.

ამგვარად, როთის „ამერიკული ოცნებით“ შეპყრობილი პერსონაჟთა ბედის განმსაზღვრელი ფაქტორები ქვეყნის ისტორიაში უნდა ვეძიოთ: მაკარტიზმი და მისი შედეგები აირა რინგოლდისთვის, ვიეტნამის ომი და თანაბარი სამოქალაქო უფლებებისთვის მოძრაობა შვედი ლევოვისთვის, აბსურდამდე დასული პოლიტკორექტულობა კი ქოულმენ სილკისთვის. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ როთის რომანები მიმართულია თანამედროვე საზოგადოებაში ფეხმოკიდებული სიყალბის, სიბინძურის, მატერიალური კეთილდღეობის კულტის, პიროვნების კრიზისის წინააღმდეგ (პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისის ფონზე და ღირებულებების ცვლის შედეგად).

გამოყენებული ლიტერატურა

1. როთი ფ., „ამერიკული პასტორალი“, გამომც. „დიოგენე“, 2014
2. როთი ფ., „ადამიანური ლაქა“, გამომც. პალიტრა L, 2013
3. Рот Ф., Издательство: Лимбус-Пресс, 2008

Tamila Davitadze

Assistant Professor

Batumi Shota Rustaveli State University

The American Dream in the Philip Roth's Novels

Summary

The main themes of the novels of the contemporary classic of American literature, Philip (Milton) Roth, are alienation and loneliness. His characters are allegorical and generally represent modern people. In his trilogy that includes the novels "American Pastoral", "I Married a Communist" and "The Human Stain", he gives his interpretation of the phenomenon of the American Dream showing its other side. Each of the main characters of the novels represent a certain variant of the American Dream. However, all this turns out to be an illusion, and the American Dream appears to be a myth, which has no common with reality. The article analyzes the phenomenon of the American dream and the face of a modern person based on the novels of Philip Roth.

თემურ კობახიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აღსავალისა და კიბის მოტივი ტ.ს.ელიოტის „ნაცრისყრის ოთხშაბათში“

თავისი „სალხინებელი“ - პოემა „ნაცრისყრის ოთხშაბათი“ ელიოტმა 1930 წელს გამოაქვეყნა. ამ დროისათვის მისი ანგლოკათოლიკედ მოქცევის პროცესი უკვე დასრულებული იყო - ოდესღაც ანტიკლერიკალურად განწყობილი პოეტი 1928 წელს გამოქვეყნებულ ესეთა კრებულში თავად ახასიათებს საკუთარ მრწამსს, როგორც „კლასიციზმს ლიტერატურაში, როიალიზმს პოლიტიკაში და ანგლოკათოლიციზმს რელიგიაში“. ცხადია, ამგვარი მეტამორფოზა პოეტის შინაგანი, მსოფლმხედველობითი ევოლუციის შედეგი იყო და მიზნად ისახავდა იმ ზნეობრივ იდეალთა ძიებას, რომელთა დაკნინებასაც ის ესეოდენ მძაფრად აღიქვამდა ჩიხში მოქცეული სამყაროს მხატვრული გააზრებისას. უკვე „კაცის ფიტულების“ პოეტური ესქატოლოგია ობიექტურად ცხადყოფს, რომ სრული სასოწარკვეთილების იქით გზა აღარ ჩანდა, რომ ამგვარი განწყობილებებით წერის გაგრძელება შეუძლებელი იყო და რომ ელიოტის პოეზიაში ნელ–ნელა გამოჩნდებოდა სალხინებლის წრეები. ამიტომაა, რომ ოციანი წლების მიწურულიდან მის ლექსებში ჭარბობს რელიგიური თემატიკა; პოეტი სულ უფრო ხშირად მიმართავს კათოლიკურ სიმბოლიკას და ღვთისმეტყველებას, რომელთა მხატვრული გარდასახვის გზით მაღალი ესთეტიკური ღირებულებების მქონე ლირიკულ პოეზიას ქმნის. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ელიოტის პოეტური შემოქმედების დამაგვირგვინებელ ქმნილებებს - „ნაცრისყრის ოთხშაბათსა“ (1930) და „ოთხ კვარტეტს“ (1943).

კათოლიკური წეს-ჩვეულების თანახმად, ნაცრისყრის ოთხშაბათი წინასააღდგომო მარხვის პირველი დღეა, როდესაც ტაძარში მოსულ მორწმუნეს მღვდელი ნაცრით დააწერს შუბლზე ჯვარს და აუწყებს: გახსოვდეს, რომ მიწა ხარ და მიწადვე მიიქცევიო (დაბადება, 3.19). ეს დღე პირველქმნილ ცოდვასა და, აქედან გამომდინარე, საერთოდ ადამიანის ცოდვილ ბუნებას მოაგონებს მორწმუნეს; ამ დღეს იხსენიებენ უდაბნოში

ქრისტეს ორმოცდღიან ასკეზას და ეშმაკის მიერ მის ცდუნებასაც (მათე, 4. 1-11, ლუკა, 4, 1-13). ნაცრისყრის ოთხშაბათით იწყება სულისა და ხორცის სიმბოლური განწმენდა, ხანგრძლივი მზადება ქრისტეს აღდგომის შესახვედრად. ესაა ცოდვათა მონანიებისა და მხურვალე ლოცვის დღე, როდესაც მორწმუნე ევედრება უფალს, რათა მისი შეწევნით უარი თქვას ამქვეყნიურ ამაოებაზე და მთელი არსებით ღვთაებრივ ნებას მიენდოს. „Our peace in His will" (მის ნებაშია ჩვენი მშვიდობა) - დანტეს „სამოთხიდან" ნასესხები ეს ფრაზა, რომელიც პოემის ადრეულ რედაქციაში მისი მეხუთე ნაწილის სათაურს შეადგენდა, „დიდმარხვის ოთხშაბათის" საერთო განწყობილებას გამოხატავს.

პოემა შეიცავს ნაცრისყრის ოთხშაბათის სალიტურგო ტექსტის მრავალ მინიშნებას, მათ შორის - რამდენიმე საკვანძო ფსალმუნის რემინისცენციას, რომელთაგან უმნიშვნელოვანეს ასოციაციურ ფონს ქმნის ცნობილი „Miserere secundum…" (ინგლისურ ბიბლიაში ეს ფსალმუნი რიგით 51-ეა: "Have mercy upon me, O God…"). ფსალმუნის გარდა, პოემის სიმბოლიკის მნიშვნელოვანი წყაროა ამ დღის შესაფერისი საკითხავიც - წინასწარმეტყველება ესაიასი (58), წინასწარმეტყველება იოველისა (12), ეპისტოლე ებრაელთა მიმართ (2) და სხვა. ყოველივე ამის ხსენება ზედმეტად არ მესახება, რადგან ფაქტობრივად, პოემა სალიტურგიო ტექსტის პოეტურ იმიტაციას წარმოადგენს, რაც მისი მხატვრული სპეციფიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარეა. მეორე მხრივ, „ნაცრისყრის ოთხშაბათი" იმგვარად არის აგებული, რომ მისი აღქმისას საეკლესიო რიტუალსა და ტრადიციული სიმბოლიკის ცოდნა, თუმც სასურველი, არც მაინცდამაინც აუცილებელია - პოემის სევდიანი და საზეიმო ლირიზმი ისედაც მძაფრ განცდით ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე.

„ნაცრისყრის ოთხშაბათის" სხვა ასოციაციურ წყაროთა შორის უმნიშვნელოვანესია XVI საუკუნის ესპანელი მისტიკოსის, სან ხუან დე ლა კრუსის წიგნი „ზეაღსვლა კარმელის მთაზე" (1578) და ლენსლოთ ენდრიუსის ქადაგებები, რომ აღარაფერი ვთავათ დანტეზე, რომლის გავლენა, როგორც თემატური, ისე პოეტიკური თვალსაზრისით აქ უმთავრესია. ასოციაციათა მთელი ეს „არსენალი" პოემაში იმგვარად არის გარდასახული, რომ მკითხველი, რომლისთვისაც ჩამოთვლილი წყაროები სრულიად უცნობია, უცხო სხეულად არ აღიქვამს მასში ჩართულ ციტატებსა და მინიშნებებს, უფრო სწორად, ვერც

კი შეამჩნევს მათ. პოემის ყურადღების კონცენტრაცია ლირიკული გმირის განცდაზე ხდება, თუმცა იგრძნობა, რომ უშუალოდ თქმულის მიღმა მეტად მნიშვნელოვანი, სიმბოლური აზრიც „იმალება“. რეალურ სათქმელსა და უშუალოდ თქმულს შორის „შეუსაბამობა“ „დიდმარხვის ოთხშაბათში“ ისე მკაფიოდ არ არის გამოხატული, როგორც ეს, ვთქვათ, „უნაყოფო მიწაშია“, მაგრამ სათქმელის ირიბად მოწოდება აქაც მნიშვნელოვანი ხერხია, რომელიც ამძაფრებს მხატვრული ქსოვილის დაძაბულობას და ზრდის ელიოტის უაღრესად ლაკონური პოეტური ფრაზის განცდითი ზემოქმედების უნარს.

ამრიგად, „ნაცრისყრის ოთხშაბათის“ ძირითადი თემაა ცოდვათა მონანიების გზით სულის განწმენდა და ღვთაებრივი საწყისისაკენ სწრაფვა. პოემის უმთავრეს სიმბოლოთა როლს ამ თემატიკის შესაბამისი, „სალხინებლური“ სახეები ასრულებს - ესაა უდაბნო, ბაღი და მათ შორის მოთავსებული კიბე. ცხადია, ყოველი მათგანი პოემის კონტექსტში უამრავ ასოციაციას შეიცავს - უდაბნო და ბაღი ჩვენი ლიტერატურული და რელიგიური ტრადიციის ცენტრალური სიმბოლოებიაო, აღნიშნავს ნორთროპ ფრაი. რაც შეეხება კიბეს, ეს სახე ტრადიციულად ზეაღსვლას, ამაღლებას, მიუწვდომლისაკენ სწრაფვას აღნიშნავს და, სხვა სიმბოლოებთან ერთად, დანტეს სალხინებელთან“ აკავშირებს „დიდმარხვის ოთხშაბათს“. ანალოგიური ასოციაციური დატვირთვის მატარებელია პოემაში ნახსენები და ხოტბაშესხმული ქალბატონიც (Lady), სიმბოლურად ბეატრიჩეს რომ შეესატყვისება და ნაწარმოების ფინალში ღვთისმშობელთანაა გაიგივებული.

პოემა ექვსნაწილიანია და ნაწილთა მიხედვით თემატური მასალა მასში მკაფიოდ არის დიფერენცირებული. პირველ ნაწილში უმთავრესია განდევნის, მიუსაფრობის, მოკვეთილობისა და განწირულობის თემა, რომელიც ასოციაციურად უკავშირდება დანტეს უფროსი თანამედროვის, პოეტ გვიდო კავალკანტის (1250–1300) „ბალადას, დაწერილს სარანცაში განდევნილობისას“. „ნაცრისყრის ოთხშაბათში“ ციტირებულია ამ „ბალადის“ პირველი პწკარის თარგმანი: „Because I do not hope to turn again…” (რამეთუ იმედი აღარა მაქვს დაბრუნების...”), რაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მთელი პოემის თემატურ მიმართულებას. კავალკანტის ნაწარმოებში სამშობლოდან განდევნით, სატრფოსთან განშორებით და სიკვდილის მოლოდინით გამოწვეული განცდაა

გამოხატული. ელიოტი ამ თემატიკას უსაზღვროდ განაზოგადებს – მისთვის ტრაგიკული განცდის გამომწვევია საერთოდ დაბრუნების, განვლილის გამეორების, დაკარგული ნეტარების აღდგენისა თუ წარსულის ცოდვათა გამოსყიდვის შეუძლებლობა. ესაა დროსა და სივრცეში ადამიანის შეზღუდულობის, ჯერ-არყოფნისა და უკვე აღარ ყოფნის უსასრულობათა წინაშე მისი უმწეობით გამოწვეული სევდა:

Because I know that time is always time
And place is always and only place
And what is actual is actual only for one time
And only for one place

[რამეთუ ვიცი, რომ დრო ყოველთვის დროა და ადგილი - ყოველთვის და მხოლოდ ადგილი და ის, რაც რეალურია, მხოლოდ ერთი დროისა და ერთი ადგილისათვის არის რეალური.]

დროისა და მარადისობის ანტინომია, რომლის დაძლევასაც ელიოტი მხოლოდ მოგვიანებით, „ოთხ კვარტეტში“ ახერხებს, „ნაცრისყრის ოთხშაბათში“ საერთო დრამატული განწყობილების საფუძველია. იმედისმომცემი მოტივის სახით, ამ ნაწილის ფინალში ჩართულია ლათინური „Ave maria”-ს ინგლისურად თარგმნილი ნაწყვეტი, რაც იმის მიმნიშნებელია, რომ ყოველივე აქამდე თქმული სხვა არაფერია, თუ არა ღვთისმშობლისადმი აღვლენილი ლოცვა. პოემის მომდევნო ნაწილებში ქალწული მარიამის, როგორც ღვთის წინაშე შუამავლისა და ცოდვილთა ქომაგის სახე (Virgin the Intercessor) უკვე განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე სიმბოლოდ იქცევა.

ღვთისმშობელთან ერთად, მეორე ნაწილის უმთავრესი სიმბოლური სახეებია „ქალბატონი, რომელიც პატივს მიაგებს ქალწულს ფიქრებში“, ღვიას ხის ძირას წამოწოლილი სამი ლეოპარდი და უდაბნოში მიმოფანტული გათეთრებული ძვლები. „ქალბატონის” სახე მრავალნიშნადია - ის ლირიკული გმირის ამაღლებული ტრფობის საგანია და, ამავე დროს, ირრეალურ სამყაროში მისი მეგზური, რომელიც უკვე პოემის ამ ნაწილში ასოციაციურად ღვთისმშობელთანაა დაახლოებული. ამ შემთხვევაში „ქალბატონი“ განსახიერებული მადლი და სიყვარულია; ის მკვდრეთით აღდგომის,

სიცოცხლის გაგრძელებისა და სულიერი საწყისის განახლების, ცოდვათა გამოსყიდვის აღმნიშვნელი სიმბოლური სახეა. ღვიას ხეს სიცოცხლის ხის სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ, ამასთან ერთად, ეს ის ღვიაა, რომელთანაც ჩამოჯდა უდაბნოში მოხეტიალე წინასწარმეტყველი ელია და ღმერთს სიკვდილი შესთხოვა (მე-3 წიგნი მეფეთა, 19:4). სიკვდილი „ნაცრისყრის ოთხშაბათში“ უბრალოდ, ფიზიკური არსებობის დასასრული კი არ არის, არამედ ზეარსთან ამაღლებისა და ღმერთთან ზიარების გზაა: ელია წინასწარმეტყველიც, თავისი ვედრების შემდეგ, ორმოც დღე-ღამეს ანდომებს ჰორების მთაზე ასვლას და იქ, ღმერთისაგან მორიგ შეგონებას ისმენს (მე-3 წიგნი მეფეთა, 19:8-10). სამი ლეოპარდიც, დანტეს ალეგორიულ ცხოველთა მსგავსად, იმ ზღვარს მიანიშნებენ, რომლის შემდეგაც „თხრობა“ ირრეალურის სფეროში გადადის. აქ მწარე მონანიებითა და უსასოობის განცდით სულის განწმენდა სრულდება, ხოლო უდაბნოში მიმოფანტული ძვლები ღვთისმშობლისადმი ქებას აღავლენენ. ეს „ქება“, (ანუ, როგორც მას სპეციალურ ლიტერატურაში იხსენიებენ, „გამხმარი ძვლების სიმღერა“) თითქმის თანაბრად ეხება „კდემამოსილ ქალბატონსაც“ და ქალწულ მარიამსაც. მარიამი აქ „წყნარ და ნაღვლიან მდუმარეთა ქალბატონად“ არის წარმოსახული და, კათოლიკური ლიტანიის იმიტაციის გზით, „მეხსიერების და თავდავიწყების ვარდთანაა“ გაიგივებული. აქვე ვარდი იქცევა „ბაღად, სადაც ყველა ტრფობანი აღესრულება“, ანუ მიწიერ სამოთხედ, რომელიც კათოლიკურ ტრადიციაში განწმენდის უკანასკნელ საფეხურს განასახიერებს:

The single Rose

Is now the Garden

Where all loves end

[ის ერთადერთი ვარდი ახლა ბაღია, სადაც ყველა ტრფობანი აღესრულება.]

პოემის მესამე ნაწილი მთლიანად ეთმობა უშუალოდ ზეაღსვლისა და კიბის აბსტრაქტულ სიმბოლიკას. აქ წარმოსახულია ის ცდუნებები და კოშმარული ზმანებანი, ღმერთთან აღმავალ სულს რომ ელტვიან, მათ შორის - დემონი, რომელიც ერთდროულად „იმედისა და სასოწარკვეთილების მაცდურ ნიღაბს ატარებს“; თვით კიბე შედარებულია „მოხუცის დორბლიან, უკბილო პირთან“, „ბებერი ზვიგენის ხახასთან“ და

ა.შ. ნაწილის უმთავრეს ასოციაციურ ფონს ქმნის სულის განწმენდის მისტიკური კიბის სიმბოლო სან ხუან დე ლა კრუსის მედიტაციებიდან და ამაღლება-ზეაღსვლის დანტესეული სიმბოლიკა, რომლითაც იწყება „ღვთაებრივი კომედიის“ სამივე ნაწილი - თვით ჯოჯოხეთში ჩასვლის წინ დანტე „ხსნის გორაკზე“ ა დ ი ს (ქება I, 13-30. იხ. აგრ. სალხინებლის კარიბჭესთან სამი საფეხურის აღწერა (ქება IX, 94 – 100). კიბეზე ასვლას ახსენებს არნო დანიელიც თავის „პროვანსულ” მონოლოგში, რომლითაც ის დანტეს მიმართავს („სალხინებელი“ ქება XXVI, 145-147):

Ara vos prec, per aquella valor

que vos guida al som de l'escalina,

sovenha vos a temps de ma dolor

[გემუდარებით, იმ ძალის გულისათვის, რომელიც ამ კიბეზე წინ მიგიძღვებათ, საჭირო დროს გაიხსენეთ ჩემი ტანჯვა.]

კიბე ხელთ უპყრია იერონიმუს ბოსხის ცნობილი ტრიპტიხის, „თივის გადატანის“ ერთ-ერთ ცენტრალურ პერსონაჟსაც, იქვე წარმოსახულ მიწიერ სამოთხეში ასვლას რომ ლამობს. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ელიოტის „სალხინებლური“ სიმბოლიკა (შადრევნები, ბაღები, ფრინველები, თევზები და ა.შ.) სხვა, ძირითად წყაროთა გარდა, ბოსხის ფერწერითაც არის ნაკარნახევი (იხ. განს. ტრიპტიხი „მიწიერ განცხრომათა ბაღი“). ამ დიდებული მხატვრის ღრმად რელიგიური და ამავე დროს, ირონიულ-პაროდიული მსოფლაღქმა „უნაყოფო მიწისა“ და „ოთხი კვარტეტის“ ავტორისათვის ყოველთვის ახლობელი იყო. ნაწილი მთავრდება სახარების ციტატით: „უფალო, არა ღირს ვარ მე“. ამ სიტყვებით კაპერნაურმს ჩასულ ქრისტეს მიმართავს ასისთავი, რომელიც შესთხოვს, მომაკვდავი მონა განმიკურნეო: „სიტყვითა მხოლოდ თქუ და განიკურნოს მონა ჩემი“ (მათე, 8:8). ციტატი სიმბოლურად გამოხატავს ჭეშმარიტი რწმენით სულის განკურნების აუცილებლობას - ამ სიტყვებს, კათოლიკური წესის თანახმად, მღვდელიც წარმოსთქვამს ზიარებისას.

თემატურად, პოემის მეოთხე ნაწილი მეორეს წააგავს, იმ მხრივ, რომ ის ისევ ღვთისმშობელსა და ქალბატონს ეხება, მაგრამ მახვილები აქ სხვაგვარადაა განაწილებული, განსხვავდება ხატოვანებაც. წინა პლანზე ღვთისმშობელია წამოწეული, ხოლო კდემამოსილი ქალბატონი, რომელმაც ერთდროულად „იცის და არც იცის მარადიული მწუხარება“, მხოლოდ დასაწყისშია მასთან გაიგივებული, როგორც „თეთრსა და ლურჯში, მარიამის ფერებში მავალი“. თავად ღვთისმშობელი წარმოსახულია, როგორც „შადრევანთა გამმართველი“ და „გაზაფხულის განმაახლებელი“, მაგრამ ამავე დროს, როგორც უსაზღვროდ სევდიანი, მწუხარე დედა. ასოციაციათა სპექტრი აქ უსასრულოდ მდიდარია - მწუხარე ღვთისმშობელი (Mater Dolorosa) უთვალავ მხატვრულ ქმნილებაშია განსახიერებული, მათ შორის, მუსიკალურშიც – “Stabat Mater” პერგოლეზისა, როსინისა და ა.შ.). პოემაში ის ურთხელთა შორის დგას (ურთხელი სიკვდილის შუასაუკუნეობრივი სიმბოლოა), „თავს ხრის.. მაგრამ ხმას არ იღებს“, ხოლო მიცვალებული, რომელსაც მარტორქა ცხენები (unicorns) „მოოქროვილი სახედრით“ მიეზიდებიან, განსვენებული ღმერთია - თანამედროვე სამყაროში რწმენის მდგომარეობის ირონიული ალეგორია. და მაინც, “იქ”, ბაღში, ფრინველები გალობენ და შადრევნები იფრქვევიან - „დრო გამოსყიდულია“, ღვთისმშობლის ლმობიერებითა და თანადგომით მას აზრი და მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. დასასრულ, აქაც ციტირებულია ღვთისმშობლისადმი ლოცვის, ამჯერად „Salve Regina” -ს თარგმნილი ფრაგმენტი „And after this our exile…” („და ამ ჩვენი განდევნილობის შემდეგ…“), რომელიც გაუგრძელებლად წყდება.ასოციაციური ქვეტექსტის დედააზრს სწორედ ეს გაგრძელება შეადგენს: „… მოგვავლინე კურთხეული ნაყოფი მუცლისა შენისა იესო“ (…show unto us the blessed fruit of thy womb, Jesus). პოემის მომდევნო ნაწილიც სწორედ ღვთის გამოცხადების თემას ეძღვნება.

„ნაცრისყრის ოთხშაბათში“ ღმერთი წარმოსახულია, როგორც სიტყვა. ეს სიმბოლური სახე უმდიდრეს ფილოსოფიურსა და ღვთისმეტყველურ ტრადიციას ეფუძნება, მაგრამ ელიოტის პოემაში მისი უშუალო წყაროებია იოანეს სახარება და ლენსლოთ ენდრიუსის ქადაგებები. სწორედ ენდრიუსის ქადაგებიდან არის ნასესხები ღმერთის, როგორც პარადოქსის - „უსიტყვო სიტყვის“ სიმბოლური სახე. ესაა „Verbum Infans, the Word

without a word, eternal Word not able to speak a word”, ანუ ყრმა იესო, რომელსაც ჯერ სიტყვის თქმა არ ძალუძს, მაგრამ ამავე დროს, ის თვითვეა სიტყვა, ლ ო გ ო ს ი. ცნობილია, რომ „უხრწნელ ჭეშმარიტებათა“ გადმოსაცემად, ღვთისმეტყველება ხშირად მიმართავს პარადოქსების ენას. ამ ხერხს ოდითგანვე იყენებს რელიგიურად ორიენტირებული პოეზიაც (ამ საკითხს უფრო ვრცლად „ოთხი კვარტეტისადმი“ მიძღვნილ თავში შევეხებით), რაც გვაფიქრებინებს, რომ „უსიტყვო სიტყვის“ სახე „დიდმარხვის ოთხშაბათში“ მხოლოდ ენდრიუსის ქადაგებით არ უნდა ყოფილიყო შთაგონებული. გარდა ამისა, პოემის მხატვრულ კონტექსტში ეს სიმბოლო მეტამორფულად გავრცობილია, გაშლილია და ენდრიუსის რიტორიკული სახის მექანიკურ „სესხებად“ კი არ აღიქმება, არამედ მის გავრცობილ ინტერპრეტაციად:

If the lost word is lost, if the spent word is spent
If the unheard, unspoken
Word is unspoken, unheard;
Still is the unspoken word, the Word unheard,
The Word without a word, the Word within
The world and for the world;
And the light shone in darkness...

[თუ დაკარგული სიტყვა დაკარგულია, თუ დახარჯული სიტყვა დახარჯულია, თუ ჩუმი, უთქმელი სიტყვა უთქმელია, ჩუმია, მდუმარეა უთქმელი სიტყვა, სიტყვა უხმო, უსიტყვო სიტყვა, სიტყვა სამყაროში და სამყაროსთვის; და ნათელი იგი ბნელსა შიგან ჩანს...]

გამოცხადების მოწმენი ვერ გახდებიან ისინი, ვინც „დღისით და ღამით ბნელში დაიარებიან“ (იხ.ეკლესიასტე, 2:4 – „ბრძნისა თუალნი თავსა მისსა და უგუნური ბნელსა შინა ვალს“). მაგრამ „მოსასხამიანმა დამ“ („Veiled sister”) - იმავე ღვთისმშობელმა, იმავე ბეატრიჩემ, თეთრ მოსასხამში რომ მოევლინება დანტეს „სალხინებელში“ – (ქება XXX, 31-33), ეს “უგუნურნიც“ უნდა შეავედროს უფალს, თუმცა ისინი „სიტყვის წინააღმდეგ აწრიალებულ“ სამყაროს განასახიერებენ - „ხმაურში დადიან და ხმა კი არ ესმით“.

პოემის უკანასკნელ ნაწილში თავს იყრის ყველა ძირითადი მოტივი და სიმბოლური სახე - ელიოტი აქაც არ ღალატობს „უნაყოფო მიწისა“ და „ოთხი კვარტეტის“ კომპოზიციურ პრინციპს, რომლის თანახმადაც ფინალში, მუსიკალური ნაწარმოების დასასრულის მსგავსად, ყველა უმთავრესი თემა უნდა იყოს წარმოდგენილი. „დიდმარხვის ოთხშაბათი“ ღვთისმშობლისადმი ლოცვის პოეტური იმიტაციით მთავრდება. ასოციაციური ქვეტექსტი აქაც საოცრად ტევადია, მაგრამ პოეტური ფრაზეოლოგია დანტეს უკვე ნასესხები ციტატის გარდა, რაიმე კონკრეტული წყაროდან ნასესხებ დეტალს აღარ შეიცავს. დახვეწილი უბრალოებითა და ლირიკული განცდის სიფაქიზით ეს ფინალი მეოცე საუკუნის პოეტური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშთა რიცხვს განეკუთვნება:

Blessed sister, holy mother, spirit of the fountain, spirit of the garden,
Suffer us not to mock ourselves with falsehood
Teach us to care and not to care
Teach us to sit still
Even among these rocks,
Our peace in His will
And even among these rocks
Sister, mother
And spirit of the river, spirit of the sea,
Suffer me not to be separated
And let my cry come unto Thee.

[დავ კურთხეულო, წმინდაო დედავ, სული ბაღის და სულო შადრევნის, არ დაგვრთო ნება სიყალბით თავის მოტყუების. გვასწავლე ზრუნვა და უზრუნველობა გვასწავლე სიმშვიდე აქაც კი, ამ კლდეთა შორის ჩვენი მშვიდობა მის ნებაშია და აქაც, ამ კლდეთა შორის დაო, დედავ სულო ზღვისა და სულო მდინარის, არ დამრთო ნება განცალკევების და ამოვიდეს ცემი ღაღადისი შენამდის.

აღსანიშნავია, რომ ანგლოკათოლიკედ მოქცევის მიუხედავად, არც „ნაცრისყრის ოთხშაბათის“ შექმნამდე და არც მას შემდეგ, ელიოტის პოეზიაში არ ჩანს რომელიმე კონკრეტული რელიგიური დოგმისადმი მკაფიოდ გამოხატული ერთგულება. მისი ადრეული პოეზია ანტილკერიკალურია და ფაქტობრივად, რელიგიისადმი გულგრილი; „უნაყოფო მიწაში“ რელიგიური თემატიკა უფრო ინდუისტური მოტივებით არის წარმოდგენილი, ვიდრე კათოლიკური სიმბოლიკით, ხოლო „ოთხ კვარტეტში“ პოეტი მრავალ არაერთგვაროვან რელიგიურ და საერო–მსოფლმხედველობრივ თვალსაზრისს იყენებს სამყაროს მითოპოეტიკური მოდელის შესაქმნელად. „ჩვენთვის ლიტერატურაა რელიგიის შემცვლელი, – წერდა პოეტი, – და იგივე ითქმის ჩვენს რელიგიაზეცო“ .

„ნაცრისყრის ოთხშაბათი“ გამონაკლისს წარმოადგენს იმ მხრივ, რომ ის თითქოს მთლიანად ეფუძნება სალხინებლის კათოლიკურ დოგმატს, თუმცა პოეტის მიერ აღიარებულ ანგლოკათოლიციზმში, როგორც ანგლიკანური ეკლესიის განშტოებაში, ეს დოგმატი უგულებელყოფილია. არსებითად, პოემა იმდენად სალხინებლის დოგმატთან არ არის დაკავშირებული, რამდენადაც დანტეს „სალხინებელთან“, მაგრამ ასოციაციურ სიახლოვესთან ერთად, აქ თვალნათლივ ჩანს დიდი განსხვავებაც – „„სალხინებელი“ კონკრეტულია, ის დანტეს თანამედროვე სისხლსავსე ფლორენციელებით არის დასახლებული. ელიოტის ლირიკული გმირის განცდები კი არამატერიალურია“, ის წმინდა სულიერებისა და აბსტრაქციის სფეროში ეძიებს ხსნას და მასთან ერთად ჭეშმარიტებას. პოემის სიმბოლიკა ამაღლება–ზეაღსვლის იმ ზოგადკულტურული წარმოდგენის ნაწილია, რომლის ბირთვსაც დასავლურ კულტურაში დანტეს პოემა განასახიერებს, მაგრამ ამავე დროს, „ნაცრისყრის ოთხშაბათი“ „სალხინებლისგან“ სრულიად განსხვავებული მხატვრული ნაწარმოებია. იგივე ეხება ელიოტის სხვა წყაროებსაც და ამიტომაც არის, რომ დანტეს, სახარების, ან სან ხუან დე ლა კრუსის ციტატები, მთელი მათი მნიშვნელობის მიუხედავად, „ნაცრისყრის ოთხშაბათში“ აღიქმება ასოციაციურ ფონად და არა მიმბაძველობად, ან ძველი და ნაცნობი თემატიკის გადამღერებად.

პოემა სრულიად მოკლებულია რაიმე სახის დიდაქტიკას. ის ერთდროულად წარმოადგენს ლირიკულ აღსარებასა და ზეარსის თემაზე პოეტურ მედიტაციას, მაგრამ არავითარ „დამრიგებლურ“ ტენდენციას ის არ შეიცვას. აქაც, ისევე, როგორც რელიგიასთან ასოცირებულ ელიოტის სხვა ნაწარმოებებში, აშკარად მოქმედებს პოეტის ერთ–ერთი ფუძემდებლური თეორიული დებულება, რომელიც მას „ღვთაებრივ კომედიასთან“ დაკავშირებით აქვს გამოთქმული: „დანტეს, როგორც პოეტს, არც სწამდა და არც არ სწამდა თომისტური კოსმოგონია ან სულის თეორია. ის უბრალოდ, იყენებდა ერთსაც და მეორესაც... პოეზიის შესაქმნელად.“

გამოყენებული ლიტერატურა

1. Andrewes, Lancelot. *Ninety-Six Sermons*. Ed. by J. Bliss and J.P. Wilson. Oxford: John Henry Parker. Vol. 1, 1841
2. Rodgers, Andrew T., “T. S. Eliot’s “Purgatorio”: The Structure of Ash-Wednesday.” *Comparative Literature Studies* Vol. 7, No. 1 (Mar., 1970): 97-112
3. Eliot, T. S. *For Lancelot Andrewes: Essays on Style and Order*. L. Faber, 1928
4. Eliot, T.S. *Selected Essays.* London: Faber and Faber, 1999

Temur Kobakhidze

Doctor of Philological Science, Professor

Ivane Javakhisvhili Tbilisi State University

Symbolism of Ascent in T.S.Eliot's Ash Wednesday

Summary

T.S.Eliot's Ash Wednesday is often called his conversion poem. It represents a particular search for "self-transcendence," what Eliot early in his career called "an all-inclusive experience outside of which nothing shall fall." The protagonist of the poem almost fails in his search for the transcendent, but not entirely. It is cyclical in its form, moving from a sense of despair and choice of renunciation in death, to a vision of one's sin, to a vision of something heavenly and eternal, back to a sense of this world and its sensual claims and struggles. Still it ends with hope in prayer. The poem is a study in the struggle between the worlds of time and that of the eternal, between the worlds of faith and evidence, and between self-sufficiency and repentance. It invokes a number of themes and images from Dante's final cantos of the Purgatorio, which address Dante's repentance and cleansing in Eden before Beatrice. Eliot's Lady is alternately Lady Poverty or Renunciation, Death, the Virgin Mary, or (perhaps) a woman like Beatrice. Eliot's later developed neo-Platonic themes are already in evidence here, esp. the notion that the eternal and transcendent somehow exist beyond our sense of history and the contingent in this life.

სოფიკო გელიაშვილი
ამერიკისმცოდნეობის დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მეთიუ ო'კონორის სიმბოლურ-ასოციაციური სახე ჯუნა ბარნსის რომანებში „რაიდერი" და „ღამის ტყე"

ამერიკელმა ექსპატრიატმა მწერალმა, ჯუნა ბარნსმა, სადებიუტო რომანი „რაიდერი" 1928 წელს გამოსცა და იგი მაშინათვე ცენზურის მსხვერპლი გახდა. მწერალს გარკვეული სიტყვების სიმბოლოებით ჩანაცვლება მოუწია რათა იგი კვლავ დაბეჭდილიყო. მიუხედავად იმ წინააღმდეგობისა, რომელიც მის გამოქვეყნებას მოყვა, რომანი 20-იანი წლების პარიზში ბესტსელერად იქცა. „რაიდერის" შემდეგ კი 1936 წელს გამოიცა „ღამის ტყე", რომელმაც კრიტიკოსთა მხრიდან აღიარება მოიპოვა და დღემდე მწერლის შემოქმედების უმთავრეს ტექსტად მიიჩნევა.

„რაიდერსა" და „ღამის ტყეს" შორის არაერთი პარალელის გავლებაა შესაძლებელი, რომელთაგანაც აღსანიშნავია მეთიუ ო'კონორის პერსონაჟის ორივე რომანში არსებობა. აღნიშნული პერსონაჟი როგორც პირველ, ისე მეორე ნაწარმოებში გინეკოლოგად ევლინება მკითხველს და უამრავ კითხვის ნიშანს აჩენს. მეთიუ ო'კონორის სახით, ჯუნა ბარნსმა შექმნა მე-20 საუკუნის ტირესიასის სახე. ბერძნულ მითოლოგიაში, ბრმა წინასწარმეტყველ ტირესიასს, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. იგი ცნობილია არა მხოლოდ მომავლის განჭვრეტის ნიჭით, არამედ სქესთა ცვალებადობითაც. არაერთი ლეგენდა არსებობს მისი სქესის შეცვლის შესახებ. ჰესიოდეს და ოვიდიუსის მიხედვით ტირესიასი ქალად იქცა მას შემდეგ, რაც დაწყვილებულ გველებს ჯოხი უთავაზა. ამის შემდეგ იგი, როგორც ქალი, გათხოვდა და შვილიც გააჩინა. აპოლონის წაქეზებით და იმავე საქციელის განმეორებით კი მითოლოგიური პერსონაჟი კვლავ მამრობით სქესად გვევლინება. მოგვიანებით, იგი

ზევსის და ჰერას კამათის მსხვერპლიც ხდება. ცოლ-ქმარი ვერ თანხმდება თუ რომელი სქესი იღებს უფრო მეტ სიამოვნებას ფიზიკური კავშირის დროს და გადაწყვეტენ, რომ აზრი ტირესიასს ჰკითხონ, რადგან მას საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი ორივე სქესი. ჰერა, რომელიც ამტკიცებდა, რომ მამაკაცი უფრო მეტ სიამოვნებას განიცდის, ტირესიასისგან ვერ იღებს იმ პასუხს რაც თავად სურს და ამის გამო სიბრმავით სჯის მას. მხარდაჭერით გახარებული ზევსი კი ტირესიასს წინასწარმეტყველების ნიჭს უბოძებს. ჰერმაფროდიტი წინასწარმეტყველი არაერთ ანტიკურ ქმნილებაში წარმოგვიდგება, როგორც სიმართლის განმცხადებელი. სოფოკლეს „ოიდიპოს მეფეში“ ტირესიასი უმხელს ოიდიპოსს სიმართლეს მეფე ლაიუსის მკვლელობის შესახებ; ჰომეროსის „ოდისეის“ მე-11 თავში ტირესიასი უწინასწარმეტყველებს ოდისევსს ითაკაში მშვიდობით დაბრუნებას; ჰერმაფროდიტ წინასწარმეტყველს ვხვდებით დანტე ალეგიერის „ღვთაებრივი კომედიის“ ჯოჯოხეთის ნაწილში, სადაც მას იხსენიებენ მამაკაცად, რომელიც ახლა ქალად ქცეულა; ტ.ს ელიოტის „უნაყოფო მიწის“ მთხრობელია ბრმა წინასწამეტყველი, რაც „ღამის ტყის“ წინამორბედ მაგალითად შეგვიძლია მივიჩნიოთ ლიტერატურაში, რადგან პოემა 1922 წელს გამოქვეყნდა. იდენტობა დაკარგული წინასწარმეტყველის სახე საუკუნეების მანძილზე არ კარგავდა აქტუალურობას და მას ყოველთვის გადამწვეტი როლი ეკისრებოდა ნაწარმოებებსა თუ სხვა პერსონაჟთა ცხოვრებაში.

„რაიდერში“ წარმოდგენილი მეთიუ ო’კონორი ამერიკაში ცხოვრობს და მკითხველის წინაშე ამელიას მშობიარობის დროს ჩნდება. ამელია აჩენს შავკანიან ბავშვს, რადგან როგორც თავად ამბობს, ის შავმა ხარმა დააორსულა. ო’კონორი პირველივე გამოჩენისთანავე არასასურველი არსების მოვლინებასთან კავშირში აღიქმება; შემდგომ თავებში კი ვხვდებით, რომ თავადაც არასასურველ არსებად გრძნობს თავს. 32-ე თავში წარმოდგენილი მეთიუს შინაგანი მონოლოგი, რომელიც მოიცავს გზას ეკლესიამდე და ეკლესიიდან სახლამდე, ნათლად გვიჩვენებს ექიმის შინაგან ტანჯვას. იგი შეფარვით საუბრობს იმ მამაკაცებზე რომლებთანაც ურთიერთობა ჰქონია და ამის გამო ძალიან იტანჯება. მეთიუ ფიქრობს, რომ მამა ლუკასთან საუბრის და მონანიების შემდეგ იგი შვებას იგრძნობს, თუმცა აღსარების თქმა არა თუ უმშვიდებს

სინდისს, არამედ კიდევ უფრო არწმუნებს საკუთარი იდენტობის ჭეშმარიტებასა და მარადიულობაში: “I should die like a woman”.

ტრანსგენდერი ექიმი, უნაყოფობის სიმბოლოდ წარმოგვიდგება ტექსტში და მისი საქმიანობა სწორედ იმ დანაკლისის შევსებითაა გამოწვეული, რომლის გადაფარვასაც საკუთარი ბიოლოგიური მდგომარეობით ვერასდოს მოახერხებს. იგი დიდ დროს ატარებს იმ ბავშვებთან, რომელთა დაბადებაშიც მონაწილებას იღებდა და ცდილობს ერთგვარი მასწავლებლის როლი მოირგოს მათ წინაშე, თუმცა მისი ყოველი ქმედება უიმედობის და სასოწარკვეთის ნაყოფია. „რაიდერის“ ექიმი საკუთარი სურვილების შესწავლის და სინდისთან ბრძოლის ეტაპზეა. მასში ჯერჯერობით ცოცხლობს საკუთარი ტანჯვის დასრულების და სამყაროში ადამიანთა სიკეთისაკენ მობრუნების იმედი, რასაც ეტაპობრივად ცვლის და საბოლოოდ იმარჯვებს კიდეც თანდაყოლილი, დიდი ხნის წინად გაცნობიერებული მარადიულობა უბედურებისა.

„ღამის ტყეში“ წარმოდგენილი მეთიუ ო’კონორი პარიზში ცხოვრობს და მას უკვე სრულყოფილად აქვს გაცნობიერებული როგორც საკუთარი, ისე გარშემომყოფთა არსებობის ამაოება. მიუხედავად ექიმის წოდებისა, მას არ გააჩნია ლიცენზია და მისი საქმიანობა არალეგალურია. რა თქმა უნდა, ჩნდება კითხვა, ამერიკაშიც ფარულად ემსახურებოდა თუ არა ის გინეკოლოგის პროფესიას, თუმცა ამ საკითხთან არსებული ბუნდოვანება ერთგვარ მხატვრულ სახესაც კი იძენს, რადგან მკითხველში მისტიკურობის განცდას აღძრავს. მეთიუ ო’კონორი ყველაზე პოპულარული ექიმია პარიზულ საზოგადოებაში, რადგან გააჩნია მაჰიპნოზირებელი ძალა, რომელიც ვლინდება მის საუბარში და რომელიც ექიმის პროფესიაზე მეტია ავადმყოფთათვის. მთელი რომანის განმავლობაში დომინირებს ო’კონორის მონოლოგები და მკითხველს ექმნება შთაბეჭდილება თითქოს ისაა მთავარი პერსონაჟი. იგი თავისი საუბრით იზიდავს ხალხს და ამით ატყვევებს მათ, რადგან მონოლოგები უსასრულოა და დიდ ზეგავლენას ახდენს იმ პერსონაჟებზე, რომლებიც გამუდმებით ეძებენ საკუთარ თავს. ფელიქსისთვის ის უბრალო მატყუარაა, მიუხედავად იმისა, რომ ვერ ამბობს უარს ექიმთან საუბარზე; ნორასთვის კი გადარჩენის ერთადერთი გზა. მიუხედავად იმისა, რომ ო’კონორი ექიმია, ორივე პერსონაჟს ისეთ დამოკიდებულებას ამჟღავნებს მის

მიმართ, როგორსაც ადამიანები ნათელმხილველთან შეხვედრისას. მეთიუ ყველასთვის სხვადასხვაგვარ სახეს იღებს, ხოლო როგორც ერი შინი აღნიშნავს: "…the majority of critics approach Nightwood's doctor as a figure of impotence". შესაძლებელია, რომ სწორედ იმპოტენცია მივიჩნიოთ საუბრების ბიძგად, რადგან ექიმს სხვა აღარაფერი დარჩენია. მან უნდა ილაპარაკოს იმისათვის, რომ როგორც რომანის პერსონაჟებს ისე საკუთარ თავს შეუზღუდოს ფიქრის ფუნქცია, რადგან ფიქრი არის ის, რაც იწვევს მათში გაუსაძლისს ტანჯვას. მეთიუს მიერ გაჟღერებული აზრები ხშირად პარადოქსულია, რასაც მივყავართ იმ მაღალ პოეტურობამდე, რაზეც ტ.ს ელიოტი საუბრობს რომანის წინასიტყვაობაში. „ღამის ტყეში" პარადოქსული და ბუნდოვანია მეთიუს დამოკიდებულება საკუთარი იდენტობის მიმართ, რაც ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ის არაა მხოლოდ მე-20 საუკუნის ქმნილება. მან იცის, რომ აქვს პრეისტორიული მეხსიერება და საკუთარ თავს - „წვერებიან ქალბატონად" („…I am the bearded lady") მოიხსენიებს. ნორას მიერ ექიმის ხილვა ქალის საღამურში, ამ პერსონაჟის სრულიად დაფარულ მხარეს წარმოგვიჩენს. მისი ღამეული იდენტობა რადიკალურად განსხვავდება იმისაგან, რასაც დღისით ვხედავთ. ექიმი შემთხვევით არ ამბობს სიტყვებს: „Take history at night, have you ever thought of that, now? Was it at night that Sodom became Gomorrah? It was at night, I swear!". სოდომისა და გომორის ცოდვას იგი საკუთარ თავს უკავშირებს და ხაზს უსვამს ღამის როლს ამ მოვლენაში. ო'კონორს ყველაზე უკეთ აქვს გაცნობიერებული საკუთარი პიროვნების რეალური სახე. მან იცის, რომ სამუდამოდ აქვს მისჯილი საიდუმლოს შენახვა და სასჯელი სწორედ დღის სინათლეა, სადაც ისე უნდა მოიქცე, როგორც ამას ხალხი ითხოვს; საზოგადოება ყოველთვის ჩარჩოში აქცევს ინდივიდს, რასაც ეწირება რეალური იდენტობა.

„რაიდერსა" და „ღამის ტყეში" მეთიუ ო'კონორის პერსონაჟით ჯუნა ბარნსმა შექმნა ტირესიასისეული სახე ადამიანისა, რომელიც მარადიულად თანაარსებობს საზოგადოებაში და ატარებს იმ შინაგან თუ გარეგნულ ნიშან-თვისებებს, რაც მიუღებლობის განცდას იწვევს გარშემომყოფებში. ო'კონორს სარგებელი მოაქვს რაიდერების ოჯახისთვის, ის ეხმარება ვენდელს ბუნდოვანი ცნებების გაანალიზებაში, ტკივილს უმსუბუქებს ნორას და ერთადერთია, ვინც ახერხებს რობინის არსების

შეცნობას; თუმცა ის ფაქტი, რომ მას უწევს საკუთარი სექსუალური ორიენტაციის დამალვა მათგან, ვისაც თავად ეხმარება, კიდევ ერთხელ განამტკიცებს მეთიუ ო'კონორისათვის კარგად ცნობილ ფაქტს, რომლის მიხედვითაც საზოგადოების გულგრილობა და ჩაგვრისაგან სიამოვნების მიღება მარადიული ცნებებია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Barnes, Djuna, *"Ryder"*, Dalkey Archive Press, 1990Barnes, Djuna, "Nightwood", New York: New Directions, 1961
2. Ovid, *Metamorphosis,* A.S.Kline 2000
3. Shin, Ery, *"Djuna Barnes, History's Elsewhere, and the Transgender",* Journal of Modern Literature Vol. 37 No. 2 (Winter 2014) pp. 20-38
4. Sophocles, *Oedipus Rex, www.*enotes.com 2011
5. ჰომეროსი, *ოდისეა*, გამომცემლობა „ნაკადული", თბილისი 1975

Sopiko Geliashvili

PhD Student, American Studies

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Symbolic and Associative Character of Matthew O'Connor in Djuna Barnes' "Ryder" and "Nightwood"

Summary

The multifaceted and heterogeneous nature of characters, being a landmark characteristic of modernist literature, is also reflected in the novels of Djuna Barnes, particularly in "Ryder" and "Nightwood". *This paper aims to discuss nature of polysemic characters based on Matthew*

O'Connor. Barnes portrayed homosexual and transvestite gynecologist Matthew O'Connor, living in Paris as a primary figure in "Nightwood", who also appears in Ryder" as a family doctor. Barnes depicted O'Connor possessing multiple identities from multiple epochs and with claims to have a *prehistoric memory*, in both novels, thus emphasizing that his eternity is everlasting.

Unlicensed gynecologist Dr. Matthew O'Connor describes being trapped inside a man's body. *Witnessing* the *birth* of every child in family and facing the fact that he can never be mother O'Connor wants to be their mentor as well. He will never have a chance to feel different *experiences of his patients* during pregnancy *and childbirth.* There is no *greater pain* than what is caused by the doubts of incompleteness and barrenness, O'Connor is trapped by dogma - he is forced to live under pressure of other people's thinking, going against his own inner voice.

Barnes accomplishes much of her message through the figure of Dr. Matthew O'Connor in "Nightwood". As already mentioned, O'Connor is an American who practices medicine *without* a *license* in Paris during the 1920s. He has deep understanding that *life* itself is *meaningless.* Based on O'Connor's first-person monologues Barnes offers a Tiresian character of expatriate Irish-American character.

The character of Matthew O'Connor, in both of Djuna Barnes' novels became not only the echo of the epoch but also the symbol of inseparable concepts - human and suffering.

Feroza Jussawalla

Ph. D. in English and American Literature, Professor of English

University of New Mexico

D.H. Lawrence's Journey to New Mexico (1922)

While the *bildungsroman* is usually seen as a coming-of-age story or novel, associated with a very young man or woman's coming into self- knowledge, I here (re)define it to include the story of D.H. Lawrence, the author, as told by him, in and through his writings. I posit that Lawrence's growth into himself occurs not as a young man in the mid-lands, as in the actual bildungsroman novel, *Sons and Lovers*, but in the landscape of New Mexico and Mexico. Tracing Lawrence's journey away from the "metropole," England and its center, London, to the far flung periphery of New Mexico, tells the story of D.H. Lawrence creating a sense of belonging as a "transnational subject."

Martin Swales describes the *bildungsroman* as "a highly self reflective novel, one in which the problem of the *bildung* of personal growth is enacted in the narrator's discursive self-understanding." It is in how Lawrence *narrates* his own journey towards self-understanding, through various novels and other writings that we can see how this "lone, lorn, Englishman," "finds" himself away from England and its metropole. While his "grand tour" of many travels, is not one of fancy steamer trunks and Limoges, it is one of constant self awareness as he interacts with culture upon culture, and absorbs from them.

The opposition of London versus the periphery begins in *Sons and Lovers*, in Lawrence's portrayal of William's girl friend Lilly. From there on we see Lawrence's arched perspective on London, repeatedly through his novels and his letters. For instance, in *Women in Love* (Ch.5) he writes "Art—music—London Bohemia—the most pettifogging calculating Bohemia that ever reckoned its pennies." In *Lorenzo in Taos,* Mabel Dodge Luhan tells us that this is what he was afraid of encountering in the "artsy" community in Taos. He moves even further away to the

Kiowa ranch and out to the furthest periphery in Mexico. In *The Plumed Serpent* his ruminations on the indigenous peoples show how far away he wants to go from anything London in search of knowing and developing a "sense of self," not only for himself, but in an attempt to create a new religion.

Through juxtaposition and opposition,D.H. Lawrence finds himself in New Mexico and is at home with himself in his connections to indigeneity, and indigenous peoples, while at the same time that he may seem scornful of them. Connecting with the indigenous is a repeated refrain or theme. It seems that Lawrence keeps searching for the "tuatha de dannan," the connection to indigenous gods whether in Cornwall or through Kate in *The Plumed Serpent.* And yet as Ross Parmenter shows so aptly in his book *Lawrence in Oxaca*, Lawrence also seems to be holding on to a sense of Englishness, rather tenuously. In this, Lawrence is crafting a new transnational hybrid self, while creating "inter-cultural" works, and himself undergoing a transcultural process of rejecting the metropole.

When Lawrence came to New Mexico in 1922, at the invitation of Mabel Dodge Luhan, he felt like a true foreigner. He almost hated the native peoples and described them in demeaning ways. In this he can be considered colonialist and even as Edward Said would've said, "Orientalist." But bit by bit, Mabdel Dodge Luhan's husband Tony Luhan grew on him. Mostly, New Mexico began to grow on Lawrence. The vast blue skies, the rituals and the dancing of the native peoples enchanted him and his German wife Frieda. What is more, Mabel Dodge Luhan gave him a ranch outside of Taos, called the Kiowa ranch. Lawrence made himself a home there. But it is there that he began to connect with indigenous spitituality. The religion of the Native peoples began to make great sense to him. So much so that he went to Mexico, to write his magnum opus, *Quetzalcoatl* later developed into *The Plumed Serpent* in which he endeavors to create a new religion, a melding of his version of Christianity, Mexican Christianity and Native spiritualities. In doing this he finds himself. Moving as far as he can from the Christianity he was raised in, he writes, "If god must come, he must come in huraches and a serape."

Thus it is that we can say that D.H. Lawrence's journey to the U.S. and among the native peoples of the southwestern region, leads to his knowledge of himself as a new born individual.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Arthur J. Bachrach, D. H. Lawrence in New Mexico: The Time is Different There, University of New Mexico Press, 2006.
2. Philip Callow, D. H. Lawrence Arrives in New Mexico, New England Review (1990-), Vol. 24, No. 2 (Spring, 2003), pp. 121-131, Published by: Middlebury College Publications.
3. Henry Shukman, D. H. Lawrence's New Mexico: The Ghosts That Grip the Soul of Bohemian Taos, The New York Times, October 22, 2006. Accessed: https://www.nytimes.com/2006/10/22/travel/22culture.html
4. Sharlene Goff, Where the Old World Gives Way to a New, Independent, January, 2002. Accessed: https://www.independent.co.uk/travel/news-and-advice/new-mexico-follow-in-the-footsteps-of-dh-lawrence-662439.html

ქეთევან ხოხიაშვილი
ამერიკისმცოდნეობის დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ალენ გინსბერგი და ეზრა პაუნდის ლიტერატურული მემკვიდრეობა

ბიტნიკების თაობისთვის ეზრა პაუნდი ამერიკული ლიტერატურის რუკას წარმოადგენდა. ამ გავლენას მართლაც არაერთი პოეტი განიცდიდა, რადგან თვლიდნენ რომ ერთ საქმეს ემსახურებოდნენ და პაუნდის მსგავსად, ისინიც ინდივიდუალური და თავისუფალი პოეზიის შექმნას ცდილობდნენ. ამ თაობის ერთერთი მთავარი წარმომადგენელი ალენ გინსბერგი აქტიურად მუშაობდა რომ გამოეყენებინა შესაძლებლობა, და საზოგადოებისთვის ეჩვენებინა თუ რა როლი ჰქონდა ბიტნიკების შემოქმედებას. ლექციებსა თუ სხვადასხვა გამოსვლებში აქტიურად გამოხატავდა რომ „მათი შემოქმედება წარმოადგენდა განსხვავებულ მიმართულებას, ისინი ქმნიდნენ ინდივიდუალური პიროვნების ვირტუალური გააზრების სივრცეს, სადაც თავს ერთმანეთის დამაკავშირებლად გრძნობდნენ.'' თუმცა, ფაქტი ფაქტად რჩება რომ მათი შემოქმედება იყო უბრალო პროტესტი ტრადიციონალიზმის მიმართ, რომლებმაც გამოხატვის ფორმად უხამსი ლექსიკა აირჩიეს.

გინსბერგი სწორად იაზრებდა რომ ღირსეული წინაპრების დამოწმების გარეშე ბიტნიკების პროვოკაციული მოქმედებები იქნებოდა ქაოსი, რომელსაც დრო მარტივად შთანთქავდა. ის პირდაპირ ამბობდა რომ განიცდიდა ისეთი ამერიკელი მწერლების გავლენას, როგორებიც არიან ედგარ ალან პო, უოლტ უიტმენი და ეზრა პაუნდი. და წერდა: '' მერე რა ყველა იმას აკეთებდა, რასაც მე ვაკეთებდი, ყველა ვინც ჩართული იყო პოეტურ ქარცეცხლში ორმოცდაათიანი წლებიში, ეს იყო მშვენიერი სივრცე, რომელიც დაფუძნებული იყო პაუნდზე და უილიამსზე.''

1967 წელს გინსბერგი ხვდება პაუნდს წმინდა ელიზაბედის ჰოსპიტალში და მის პიროვნულ განცდებთან არაერთ საერთოს აღმოაჩენს, რადგან თვითონაც მკურნალობდა

„ეგრეთ წოდებულ სიგიჟეს'' ნიუ-იორკის ფსიქიატრიულ ინსტიტუტში. მიუხედავად იმისა რომ გინსბერგი ებრაელი იყო ხოლო პაუნდი ანტისემიტი შეხვედრის შემდეგ ალენმა განაცხადა რომ '' ეზრა იყო უბრწყინვალესი პოეტი ამ პერიოდისა. '' მის ანტისემიტიზმს კი ასე ამართლებადა: '' ეს არის იუმორი, იუმორი რომელიც იცვლება.'' ამბობდა იმასაც, რომ პაუნდს „სძულდა ებრაელთა ნაწილი, ხოლო ებრაელთა ნაწილსაც სძულდათ პაუნდი.'' თუმცა, რა თქმა უნდა მისი დამოკიდებულება ძალიან შორს იყო სიძულვილისგან.

გინსბერგის შემოქმედების ერთერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები ''ყმუილი'' პაუნდის პოეზიის გავლენის გამოხატულებაა, ეს არის ერთგვარი პროტესტი ამერიკისადმი, რომელმაც მისი აზრით, დაკარგა ყოველგვარი სახე, რომელიც სავსე იყო აკრძალვებით, უსამართლობით, ჩაგვრით. სადაც გამეფებულია მატერიალიზმი და ტრადიციონალიზმი, სადაც ჩაახშვეს თავისუფალი სულის არსებობა და ყველას ვისაც ეს თავისუფლება უნდა გიჟებად ნათლავენ, რადგან კონსერვატიული ამერიკისთვის მიუღებელია ნებისმიერი სახის ინდივიდუალიზმი. სწორედ ეს ფიქრები აქვს გადმოცემული პოემაში გინსბერგს. ზუსტად ასეთ ამერიკაზე დაწერა პაუნდმა „Cantico del Sole.” სადაც ამბოდა რომ: „ძილს მიფრთხობს იმაზე ფიქრი, რომ ამერიკაში კლასიკოსებს ფართო მიმოქცევა ჰქონდეთო." რაც გულისხმობდა ამერიკული საზოგადეობის განათლების პრობლემას, რომლის არ ქონაც მათ მცდარ შეხედულებებს უყალიბებდა.

პაუნდი მკაცრად აკრიტიკებდა და ხშირად აქილიკებდა კიდეც ამერიკის მცდარ ნაბიჯებს, რადგან ფიქრობდა რომ თავისუფლების იდეაში გახვეული ქვეყანა სინამდვილეში თვითგანადგურებისკენ მიისწრაფვოდა, სინანულს იწვევდა ის ფაქტის რომ საზოგადოების უმეტესობა ვერც კი ამჩნევდა მათ წინაშე არსებულ პრობლემებს. თუმცა ამ ყველაფერის მოტივი სამშობლოს სიყვარული და მის უკეთესობისკენ შეცვლის სურვილი იყო. პაუნდის გავლენით გინსბერგის მსგავს ამერიკას წარმოგვიჩენს და “ყმუილის” დასაწყისში წერს: “მე ვიხილე ჩემი თაობის ყველაზე ჭკვიანი ხალხი, მისული სიგიჟის პირას, მოშიმშილე, შვიშველი და ისტერიული,
დილაბნელზე მოლასლასე ზანგთა კვარტალში, წამლის დოზის საძიებლად გამოსული.”

პაუნდი მოდერნისტულ ესთეტიკას წარმოაჩენდა თანამედროვე პოეზიაში. მან ამ მიმართულებას სრულიად ახალი დასაბამი მისცა, რომელიც ინდივიდუალური და განსაკუთრებული იყო, ის დიდი ფიგურაა მსოფლიო ლიტერატურაში, შესაბამისი გავლენით და მხატვრული სახეებით, რომლთა მსგავსიც მალევე ჩნდება მისი პოეზიის მიმდევართა შორის.

"ყმუილის" მეორე ნაწილი დესტრუქციულ საზოგადოებას გამოხატავს. გინსბერგი ამის გადმოსაცემად ბევრ სიმბოლოს იყენებს, ერთერთი ასეთი სიმბოლოა, მოლოქი.

მოლოქი ამონიტელთა ცეცხლის ღვთაებაა, რომლესაც თაყვანისცემის ნიშნად მშობლები თავიანთ შვილებს სწირავდნენ. სწორედ ამ მსხვერპლშეწირვად მიიჩნევა მაშინდელი ამერიკის მდგომარეობას გინსბერგი. როდესაც წერს: „სანაგვე ურნები და დოლარები! ბავშვების წივილი კიბეებ ქვეშ.“ შეგვიძლია ვიფიქროთ რომ ეს წარმოადგენს კაპიტალიზმის სიმბილოს. „დოლარებს“ ამ შემთხვევაში მიღების და გაცემის ძალა აქვს ანუ, წარმოების და გავრცელების, ამ პროცესებს კი კერძო კოორპორაციები განაგებენ. ხოლო როდესაც წერს: „უსულგმულო ჯურღმული და მწუხარების კონგრესი!“ შეგვიძლია ვივიარაუდოთ რომ მოლოქი სამთავრობო ძალებსაც კი წარმოადგენს, რომელმაც მაკონტროლებელი ფუნქცია შეიძინა და ამ ძალით ყველაფერს ანადგურებს.

მოლოქი ანუ ამერიკა მონსტრია, რომელიც შთანთქავს მომავალი თაობის ცხოვრებას. და წერდა რომ :

«მოლოქი! მარტოობა! ჭუჭყი! სიმახინჯე! სანაგვე ურნები და მოუწვდომელი დოლარები!

ბავშვების წივილი კიბეების ქვეშ! ბიჭების ქვითინი სამხედრო

ნაწილებში! ბერიკაცების ტირილი პარკებში!

ასეთი "ბოროტი ღვთაების" სახე უკვე არსებობდა პაუნდის კანტოებში რომელსაც უზურა ეწოდებოდა და ისიც ანადგურებდა ყველაფერს:

“უზურას ძალით

ბაზრობამდე ვერ აღწევს მატყლი

ცხვარი მისხალსაც არ მოიღებს

უზურას ძალით.

უზურა არის ჭირი, უზურა
მოახლის ხელში ნემსაც აჩლუნგებს,
წყვეტს დამრთავს და გამჭრიახობას.”

უზურაც ასეთივე ყოველი დადებითის მშთანთქმელია პაუნიდის კანტოებში.როგორ ამ კანტოს მთარგმნელი დავით ბარბაქაძე წერს:“ ეზრა პაუნდის მიერ სააზროვნო პარადიგმად დამკვიდრებული ეს ლათინური სიტყვა, თანამედროვე არაიდეოლოგიზირებული პოეტური აზროვნების ერთ-ერი უმნიშვნელოვანესი გასაღებია და აღნიშნავს ყოველივე ძალადობრივს, კულტურაში ბუნებრივად მოსამწიფებლისა და შესაქმნელის ჩამხშობს, ნაჩქარებს, ტოტოალურად არაკულტურულს, სულიერებისგან დაცლილს და მატერიალურ მოგებაზე ორიენტირებლს.“ პაუნდის გავლენით მოლოქსაც იგივე დატვირთვა აქვს რაც უზურას. ორივეს მიყავს სამყარო განადგურებისგენ.

"უზურას ძალი, ბუნებას რომ უტევს, იმ
ცოდვით,
შენი პური ერთიანად უგემურდება
შენი პური გამიმშრალა, როგორც
ქაღალდი,
იგი არ არის მთის ხორბალი და არც
ფქვილი შემტკიცებული.“

თუ უფრო ღრმად შევხედავთ ამ მონაკვეთს, შეიძლება ბიბლიური პარალელიც ვიპოვოთ მეორედ მოსვლასთან დაკავშირებით, სადაც ყველაფერი განადგურებულია, სადაც გამეფებულია შიმშილი, ავადმყოფომა და სიკვდილი. თუმცა შესაძლოა შიმშილში სულაც არ იგულისხმებოდეს ის რომ დედამიწიდან საჭმელი გაქრება, არამედ ნაგულისხმევი იყოს ის რომ ამ საჭმელს დანაყრების უნარი აღარ ექნება. ისე როგორც გადმოცემული აქვს პაუნდს. ეს კი მოლოქის შემთხვევაში შეგვიძლია ვიფიქროთ რომ ასეთი სახით გადმოვიდა „მოლოქი რომელიც სიღატაკე გენიის აჩრდილია.“

მოლოქიც პაუნდის მსგავსად გინსბერგსაც ნგრევის სიმბოლოდ აქვს გადმოტანილი. შესაძლოა ეს ყალბი ღმერთის სიმბოლოც იყოს. ეზრა პაუნდის შემთვევაში უზურას

არაერთი მნიშვნელობა და მეტაფორული დატვირთვა აქვს. ფაქტია რომ, პაუნდის კანტოებეამდე მსგავსი სიმბოლოლური მეტაფორა არავის დაუწერია, გინსბერგამდე კი პაუნდს უკვე შექმნილი ჰქონდა ეს მხატვრული სახე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Schumacher, Michael. *Dharma Lion: A Critical Biography of Allen Ginsberg*. New York: St. Martin's Press, 1992
2. Charkovski, Neeli. *Ferlingetti: A Biography.* New York: Doubleday and Company, 1979
3. Burton Hatlen "On Pound and Fascism" http://www.modernamericanpoetry.org/content/burton-hatlen-pound-and-fascism
4. Guziur Jakob "Pound of the Beats On Allen Ginsberg's and LowrenceFerlingetti's image of Ezra Pound" file:///C:/Users/windows/Downloads/PoundoftheBeats.pdf

Ketevan Khokhiashvili

PhD Student, American Studies

Ivane Javakhisvhili Tbilisi State University

Allen Ginsberg and The Literary Legacy of Ezra Pound

Summary

Allen Ginsberg, is visionary poet and founding father of the Beat generation inspired the American counterculture of the second half of the 20th century. His first came to public attention in 1956 with the publication of Howl and Oher Poems. "Howl," a long-lined poem in the tradition of Ezra Pound, is an outcry of rage and despair against a destructive, abusive

society.

In this article are pointed out some assential issues on the theme, such as : What is main function of Beat Generation? What similarities are between Allen Ginsberg's and Ezra Pound's poetry. What is Usura ? What parallels are between Moloch and Usura?

I discuss the literary assotiations between "Canto XLV" and "Howl." The topic mostly focuses on similarities of Usura and Moloch. Both authors try to show america's problems and they used different symbols . In Canto XLV this symbol is Usura and in the “Howl” it is Moloch. But, Ezra Pound was first poet who create this literary metaphor. So, we could think that Allen Ginsberg used same character.

ქეთევან ჯმუხაძე

ინგლისური ფილოლოგიის დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჯეფერსონი - უ. ფოლკნერის იოკნაპატოფას დედაქალაქი

XX საუკუნის ლიტერატურაში ნაწარმოების მხატვრულმა დრომ და სივრცემ ექსპერიმენტის სახე შეიძინა. მოდერნისტული ტექსტები დროს ციკლურად წარმოადგენს, რაც მკითხველს მიანიშნებს, რომ მათში უარყოფილია წრფივი, ქრონოლოგიური, ისტორიული დრო. პროფანული დროის უგულვებელყოფით მოდერნისტული ნაწარმოები წინა პლანზე წევს საკრალურ, მითოლოგიურ დროს. დროის პრობლემატიკა, თავის მხრივ, სივრცისაგან განუყოფელია. ქრონოლოგიური დროისაგან თავის დაღწევა მხოლოდ ისეთ სივრცეშია შესაძლებელი, სადაც მოძრაობა მინიმუმამდეა დაყვანილი. თანამედროვე რომანის სივრცული თავისებურება გულისხმობს იმას, რომ მოქმედების არეალი მკაცრად შემოფარგლული და დახშულია. დროისა და სივრცის ურთიერთმიმართებას ლიტერატურის თეორიაში ტერმინი ქრონოტოპი შეესაბამება, რომლის შემოტანაც მიხეილ ბახტინის სახელს უკავშირდება.

ამგვარი მკაცრად ლოკალიზებული სივრცის აღსაწერად უილიამ ფოლკნერმა ქალაქის გარემო შეარჩია და მოქმედების ექსპერიმენტულ არეალად აქცია. საინტერესოა, რომ ქალაქს მითოსური სივრცის მნიშვნელობა მიეწერება. მირჩა ელიადეს ნაშრომში „მარადიული დაბრუნების მითი“ ვკითხულობთ, რომ ქალაქი, ტაძრებთან და სასახლეებთან ერთად, აღიქმება ისეთ სივრცედ, რომელიც სამყაროს ცენტრში მდებარეობს და, რადგან ცისა და დედამიწის ერთმანეთთან კვეთის წერტილად გვევლინება, თავად ხდება კოსმოსის ცენტრი, ღერძი. თუ ამ მოსაზრებას დავეყრდნობით, შესაძლოა ითქვას, რომ ფოლკნერის მიერ შექმნილი ქალაქი ესაა პროფანულისაგან განსხვავებული, საკრალური ზონა, სადაც ქრონოლოგიური დრო

არსებობას წყვეტს და რომ ჯეფერსონი განასახიერებს ადგილს, რომელიც სივრცესა და დროში განფენილ, უზოგადეს მოდელად და სამყაროს პირობით სიმბოლოდ და ხატად გვევლინება.

ქალაქი მკაცრად შემოსაზღვრულია „აგვისტოს ნათელში“, სადაც მხატვრული სივრცე ჯეფერსონია. თუ ჰამლეტს დანია ესახება საპყრობილედ, ჯო ქრისმასისათვის იოკნაპატოფას ცენტრალური ქალაქი იქცევა ჩაკეტილ წრედ, საიდან თავის დაღწევაც შეუძლებელია. საკუთარი თავის შესამეცნებლად ძიების გზაზე შემდგარი პერსონაჟისათვის ჯეფერსონი სამყაროსა თუ საკუთარი რაობის ცენტრად იქცევა, რომლის მიღწევაც ინიციაციის ტოლფასია. „ცენტრისკენ მიმავალი გზა - „რთული გზაა“ (dūrohana)“, წერს ელიადე. ფიზიკურად ქალაქის ქუჩებში მოხეტიალე ჯო ქრისმასი საკუთარ არსებასა და სულის სიღრმეებში მოხეტიალე მაძიებელი გმირია. ქუჩები მისთვის ტრანსფორმირდება საკუთარი რაობის საძიებლად გასავლელ გზად, რომელიც უსასრულოდ იწელება: „ათასობით ქუჩა ქცეულიყო ერთ უსასრულო, უჩინარ მოსახვევებიან მარად ცვალებად ქუჩად, ამ ქუჩას მიუყვებოდა“. ფოლკნერის მაძიებელ პერსონაჟს არ შეუძლია გაარღვიოს ამ სტერილური და ჩაკეტილი წრებრუნვის ფარგლები, შედეგად ის მუდმივად ერთსა და იმავე სივრცეში რჩება. სიმბოლურია, რომ ქრისმასი ვერ სცილდება ქალაქის საზღვრებს და აქვე ასრულებს სიცოცხლეს: „ისევ ძველ ქუჩას უბრუნდება, ქუჩას, რომელიც ოცდაათი წელიწადია მოიკლაკნება. ქუჩას სრული წრე შემოუხაზავს, თვითონ კი მაინც წრის შიგნით დარჩენილა. მართალია, შვიდ დღეში მეტი გავიარე, ვიდრე ოცდაათ წელიწადში, მაგრამ წრე კი მაინც ვერაფრით გავარღვიეო, ფიქრობს“.

წრე, ასევე, ცენტრალური სიმბოლოა რომანში „სული რომ ამომდიოდა“, როგორც პერსონაჟთა გარემომცველი სივრცის ჩაკეტილობის გამოხატულება. ბანდრენების ოჯახს თან დაჰყვება კაკაჩების გუნდი, რომლებიც მუდმივად სიკვდილს შეგვახსენებენ. ისინი წრეებად დაფრინავენ: „ზემოთ ცაზე დაკიდებულან ვიწრო წრეებად, კვამლივით, ისედაც კვამლს ჰგვანან, სრულებით არ ირხევიან, არც წინ მიდიან, არც უკან“. წრის სიმბოლოს უკავშირდება მატარებელიც, რომელიც ვარდამანს, ქალაქში, მაღაზიის

ვიტრინაში უნახავს, რის შემდეგაც მას გამუდმებით ახსენდება, როგორ დადის მატარებელი წრიული ფორმის ლიანდაგზე.

უშუალოდ ბანდრენების მსვლელობაც სხვა არაფერია თუ არა წრეზე სიარული ჯეფერსონისაკენ და უკან. საინტერესო ის არის, რომ ოჯახი თავის დანაკარგს, დედის სახით, მშობელ მიწას აბარებს, უკან კი „ხელცარიელი“ უნდა ბრუნდებოდეს, თუმცა ფოლკნერის მხატვრული სამყარო ის ადგილია, სადაც ყველაფერი უცვლელი სახით არსებობს. ყოველი ცვლილება აუცილებლად ანაზღაურდება, ჩანაცვლდება მეორით. გარდაცვლილ ედის ადგილს ახალი მისის ბანდრენი დაიკავებს. ამგვარად, პერსონალური მნიშვნელობა არავის ენიჭება და ისეთი ცენტრალური პერსონაჟის გარდაცვალება, როგორც ოჯახისთვის დედაა, ემოციურობის თვალსაზრისით არსებითი არ არის.

ჯოზეფ ჰილის მილერი ნაშრომში *Time in Literature* წერს, რომ დროის მდინარების ალეგორიული ფორმით გამოსახატავად ფოლკნერი თავის პერსონაჟებს სივრცეში გადააადგილებს. რომანის „სული რომ ამომდიოდა“ პერსონაჟებს ფოლკნერი სიზმრისეულ გარემოში ამოგზაურებს. დარლის პერსონაჟი ამბობს: „ჩვენ გზას განვაგრძობთ, ნელი, ძილის მომგვრელი ნაბიჯებით მოვდივართ. თითქოს სიზმარში ვიყოთ და წინ კი არ მივდიოდეთ, თითქოს ჩვენ და მას შორის მანძილი კი არა, დრო მცირდებოდეს“. ავტორი ქმნის განცდას, თითქოს აღთქმული მიწის - ჯეფერსონისაკენ მსვლელობისას პერსონაჟები არა სივრცეში, არამედ დროში გადაადგილდებიან, ან უფრო ზუსტად, ადგილმდებარეობის ცვლილებით ისინი, ასევე, გადაადგილდებიან დროში, ანაცვლებენ რა ქრონოლოგიურ დროს ზედროულით. მათი მოძრაობა მაქსიმალურად შენელებული, ირგვლივ გამეფებული ატმოსფერო კი ძილის მომგვრელია, თითქოს არც კი მიდიან და უძრავად დგანან ერთ წერტილში. ამგვარი, ერთმანეთში აღრეული დრო და სივრცე უძრავი მარადისობის ხატს ქმნის, პერსონაჟებს კი პირობით, სიმბოლური მნიშვნელობის მქონე ერთიან, მითოსურ სივრცე-დროში ახვედრებს.

ჯეფერსონი ჩაკეტილ წრეა, სადაც თითქოს მარადიული უძრაობაა გამეფებული. ქალაქი, რომელშიც მთელი სამხრეთის ცნობიერება აირეკლება, კარს უკეტავს

გარესამყაროს. „გვამის შემგინებელში“ ჩიკ მალისონის გონებაში ჩრდილოეთი წარმოჩინდება, როგორც ქვეყნის დასალიერზე არსებული, როგორც გეოგრაფიულად, ისე მენტალურად ძალიან შორს მდგარი ცნება. ჩრდილოეთის ფაბრიკებითა და ქარხნებით სავსე ქალაქები მათ ეფემერულ, ფესვებსმოკლებულ სივრცედ ესახებათ, რომელსაც ეროვნული ხასიათი დაკარგული აქვს. ამგვარად, როგორც ბიძისა და დისშვილის, ისე მთელი სამხრეთის ცნობიერებაში ეს მხარე მტრის ხატსაც კი განასახიერებს, რომელსაც მუდმივად წინააღმდეგობა უნდა გაუწიო.

წრის სიმბოლიკა დროის ციკლურ წრებრუნვაზე მიგვანიშნებს. ამასთან დაკავშირებით თ. კობახიძე აღნიშნავს: „დრო, რომელსაც ზეციურ სფეროთა წრებრუნვა განაპირობებს, უძრავი მარადისობის მოძრავი ხატია და მარადისობას ის იმით ბაძავს, რომ უსასრულოდ განმეორებად ციკლებს მოიცავს, ანუ წრიულად მიედინება. წარსული, აწმყო და მომავალი“. ჯეფერსონი - ესაა სივრცე, რომელიც ჩაკეტილ წრეს განასახიერებს, სადაც ყველა და ყველაფერი იყრის თავს. სწორედ ამგვარ, ყოვლისმომცველ და, ამავდროულად, მკაფიოდ შემოსაზღვრულ გარემოში ამოგზაურებს ფოლკნერი თავის პერსონაჟებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ელიადე 2017: ელიადე, მირჩა. (2017). *მარადიული დაბრუნების მითი,* თბ.: ალეფი, 2017
2. კობახიძე 2015: კობახიძე, თემურ. (2015). *ტომას ელიოტი და მაღალი მოდერნიზმის ლიტერატურული ესთეტიკა,* თბ.: გამომცემლობა უნივერსალი, 2015
3. ფოლკნერი 2015: ფოლკნერი, უილიამ. (2015). *აგვისტოს ნათელი,* თბ.: გამომცემლობა არტანუჯი, 2015
4. ფოლკნერი 2015: ფოლკნერი, უილიამ. (2015). *გვამის შემგინებელი,* თბ.: გამომცემლობა არტანუჯი, 2015

5. ფოლკნერი 2012: ფოლკნერი, უილიამ. (2012). *სული რომ ამომდიოდა,* თბ.: გამომცემლობა არტანუჯი, 2012
6. Miller 2003: Miller, J. Hillis. (2003). "Time in Literature", *Daedalus*, Vol. 132, No. 2, On Time (Spring, 2003), pp. 86-97

Ketevan Jmukhadze

PhD Student, English Philology

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Jefferson – W. Faulkner's capital city of Yoknapatawpha

Summary

The main purpose of the paper is to identify the function of the city, as a central artistic element, in a work of literature. In this regard, works of American modernist author William Faulkner are of much interest.

The paper reviews Jefferson, the central city of the Yoknapatawpha county, as a symbolic and conditional space. The name of the county means a river, which runs slow through flat land. This, in its turn, gives an impression to the reader that time runs slower here. As for space, it is confined with boundaries and its door is closed for outer world. Reflecting psychological, cultural and social environment of the whole county, Jefferson remains memory of South, is focused on the past and neglects everything that is new.

The paper argues that time and space are the subjects of experiment in the novels of Faulkner. The aim of the author is to fulfill the idea of creating the chronotope that is free from limitations of time and space and represents the most general model of the world that has nothing to do with the real city.

ალექსანდრე პაპიტაშვილი
მედიცინის მეცნიერებატა დოქტორი
თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის "გეომედის" პროფესორი
საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა ასოციაციის
მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

ამერიკის შეერთებული შტატების ჯანდაცვის სისტემის თავისებურებანი-წარმოადგენს თუ არა ეს სისტემა ერის დაზღვევას

ამერიკის შეერთებული შტატები ფლობს მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებულ ჯანდაცვის სისტემას. შეერთებული შტატები უფრო მეტს ხარჯავს ჯანმრთელობის დაცვაზე, ვიდრე ნებისმიერი სხვა ქვეყანა, როგორც აბსოლუტური ფულადი ციფრების თვალსაზრისით, ასევე მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ერთ სულ მოსახლეზე.

მაგალითად ჯერ კიდევ 2007 წელს შეერთებულმა შტატებმა ჯანმრთელობის დაცვაზე დახარჯა 2.26 ტრილიონი დოლარი, რაც ერთ სულ მოსახლეზე 7439 დოლარს შეადგენდა. ბოლო შეფასებით, მშპ-ს დაახლოებით 16% შეერთებულ შტატებში იხარჯება სამედიცინო უზრუნველყოფაზე.

2017 წელს შეერთებულ შტატებში ჯანდაცვისთვის გამოყოფილი მშპ-ს წილი მნიშვნელოვნად გაიზარდა და მიაღწია 19.5%. ამასთან ერთად, ბოლო 30 წლის განმავლობაში სამედიცინო ინდუსტრიის მიმართ გაზრდილი ხარჯები ძირითადად გამოწვეული იყო სამთავრობო პროგრამების რეალიზაციით, რამაც სერიოზულად შეიძლება ხელი შეუშალოს ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებას.

აშშ მეცნიერებათა ნაციონალური აკადემიის მონაცემებით აშშ არის მსოფლიოში ერთად ერთი განვითარებული ინდუსტრიალური ქვეყანა,რომელსაც არ გააჩნია ჯანდაცვის უნივერსალური სისტემა.

აშშ – ში ამჟამად მოქალაქეთა დაახლოებით 84%-ს გააჩნია ჯანმრთელობის დაზღვევა, მათ შორის 64% -ს აქვს დამსაქმებლის მიერ მათთვის შეძენილი დაზღვევის

პოლისი, 9% –მა დაზღვევის პოლისი თვითონ შეიძინა, ხოლო მოქალაქეთა 27% –ს ა დაზღვევა აქვს უზრუნველყოფილი სხვადასხვა სამთავრობო პროგრამებით.

გარკვეული სახელმწიფო პროგრამები იძლევიან საშუალებას გარანტირებული სამედიცინო დახმარება მიიღონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა, მოხუცებმა, ბავშვებმა, ვეტერანებმა, დაბალი შემოსავლის მქონე პირებმა, ასევე უზრუნველყონ სასწრაფო დახმარების გაწევა ქვეყნის ყველა მაცხოვრებლისთვის, იმის მიუხედავად, თუ რამდენად შეუძლია მისი გადახდა ამა თუ იმ პირს.

ქვეყნის ჯანდაცვის სისტემაში ჩადებულ ხარჯების 45% -ზე მეტი მიდის ზუსტად ასეთი სახელმწიფო პროგრამების დაფინანსებაზე. ამიტომ,რეალურად ქვეყნის ყველაზე დიდი დამზღვევის ორგანიზაცია არის აშშ მთავრობა (პრეზიდენტ ობამას სამედიცინო რეფორმის გარეშეც).

მაგრამ უნდა ითქვას,რომ ამერიკის ჯანდაცვის სისტემის გარშემო მუდმივად მიმდინარეობს კამათი. კამათი არის მის ხელმისაწვდომობის, ეფექტურობის და ხარისხის გარშემო, ასევე მის შენარჩუნებისთვის საჭირო უზარმაზარი თანხების შესახებ.

დემოკრატ ობამას რეფორმა გამოწვეული იყო აღნიშნული პრობლემების არსებობით,მაგალითად 2006 წელს შეერთებულ შტატების მოსახლეობის 16% -ს არ ჰქონდა ჯანმრთელობის დაზღვევა, რაც შეადგენდა იმ დროს 47 მილიონ ადამიანს. ეს გამოწვეული იყო დაზღვევის მაღალი ღირებულებით, რომელიც ხელფასზე ან ინფლაციაზე უფრო სწრაფად იზრდებოდა.2001 წელს შეერთებულ შტატებში გაკოტრდაკომპანიების დაახლოებით 50% ზედმეტად გაზრდილი სამედიცინო ხარჯების გამო.

2000 წელს WHO- მ, მსოფლიოს 191 ქვეყნის ჯანდაცვის სისტემების ჩატარებული ანალიზის შედეგაგ, ყველაზე სტაბილური სისტემების რეიტინგში პირველი ადგილი მიანიჭა აშშ-ს, რომელსაც სიტუაციის შეცვლისას შეუძლია მოახდინოს სწრაფი რეაგირება (რასაც ჩვენ ვხედავთ ახალ კორონავირუსთან ბრძოლის საქმეშიც).

ამავდროულად, შეერთებულმა შტატებმა პირველი ადგილი დაიკავა ჯანდაცვის ყველაზე ძვირადღირებულ სისტემებს შორის და მხოლოდ 37-ე, სამედიცინო

დახმარების ხარისხის თვალსაზრისით, ხოლო მთლიანობაში ჯანმრთელობის ინტეგრირებული მაჩვენებლების მიხედვით მხოლოდ 72-ე ადგილზე გავიდა.

CIA World Factbook- ის თანახმად, შეერთებული შტატები ბავშვთა სიკვდილიანობის მხრივ მსოფლიოში 41-ე , ხოლო სიცოცხლის ხანგრძლივობის მიხედვით 45-ე ადგილზეა.

1997-2003 წწ. ჩატარებულმა ფუნდამენტალურმა კვლევებმა აჩვენა, რომ სიკვდილიანობის შემცირება, რომელთა პრევენცია იყო შესაძლებელი, აშშ – ში გაცილებით ნელა მიმდინარეობს, ვიდრე სხვა მოწინავე 18 ინდუსტრიულ ქვეყანაში. მეორეს მხრივ, ჯანმრთელობის სტატისტიკის ეროვნული ცენტრის და დაავადებათა კონტროლის ცენტრის მიერ 2006 წელს ჩატარებულმა ჯანმრთელობის ეროვნული წლიური კვლევის შედეგმა აჩვენა, რომ აშშ-ში გამოკითხულთა დაახლოებით 66% მიიჩნევს, რომ მათი ჯანმრთელობა "შესანიშნავი" ან "ძალიან კარგია".

აშშ-ს ჯანმრთელობის სისტემის სტრუქტურის თავისებურებანი მდებარეობს იმაში,რომ

აშშ-ს ჯანდაცვის სისტემა დამოუკიდებელი სერვისების მიხედვით არის წარმოდგენილი სამი მთავარი მიმართულებით: საოჯახო მედიცინა, საავადმყოფოები და საზოგადოებრივი ჯანმრთელობა. აშშ-ს სამედიცინო დახმარებას უზრუნველყოფს ფიზიკური და იურიდიული ინსტიტუტების სისტემა. მრავალფეროვანი კომერციული, საქველმოქმედო და სახელმწიფო ორგანიზაცია პაციენტებს სთავაზობს როგორც ამბულატორულ, ასევე სტაციონარულ დახმარებას.

აშშ-ს სამედიცინო ხარჯების დაახლოებით 47% არის სტაციონარული ხარჯები, დაახლოებით 2% არის ბინაზე მოვლის ხარჯები, 10% არის განკუთვნილი მედიკამენტებისთვის, ხოლო 10% - მოხუცთა თავშესაფრებისთვის. დანარჩენი 11% მოიცავს სტომატოლოგიურ, ოფთალმოლოგიურ და სხვა ვიწრო სპეციალისტთა დახმარებას.

საოჯახო მედიცინა აშშ-ი არის საკმაოდ განვითარებული სტრუქტურა. ოჯახის ექიმები ამოწმებენ და აკვირდებიან პაციენტებს და საჭიროების შემთხვევაში, ვიწრო

სპეციალისტებს ან საავადმყოფოს მიმართავენ. ასეთი ექიმები ანაზღაურებას უშუალოდ

პაციენტებისგან იღებენ. როგორც წესი, ოჯახის ექიმს აქვს საკუთარი ოფისი ან თანამშრომლობს სხვა სპეციალისტებთან.

საავადმყოფოები ან ჰოსპიტლები აშშ-ს სამედიცინო სისტემის უდიდესი კომპონენტია. სტაციონარული დახმარება ამ ქვეყნის ჯანდაცვის ინდუსტრიის ყველაზე ძვირი და მნიშვნელოვანი ელემენტია. ამასთან ერთად, ბოლო პერიოდში ობამას რეფორმის კვალდაკვალ, შესამჩნევი ძვრები აღინიშნება სხვა ინსტიტუტების განვითარებაშიც, ძირითადად პოლიკლინიკების, სასწრაფო დახმარების და მოხუცთა თავშესაფრების მიმართულებით. ამბულატორული მკურნალობა უფრო და უფრო ცვლის სტაციონარულ მკურნალობას, ხოლო ბინაში მოვლა - მოხუცთა თავშესაფრების სისტემას.

შეერთებულ შტატებში არსებობს ორი ტიპის საავადმყოფო: საკუთარი(კერძო), რომელსაც ხშირად მართავს მსხვილი კერძო კორპორაცია და არაკომერციული საავადმყოფოები, რომელსაც მართავს საოლქო და ფედერალური ორგანოები, რელიგიური ორგანიზაციები ან დამოუკიდებელი საჯარო ასოციაციები. საავადმყოფოების სტრუქტურა ტიპიურია მთელ ქვეყანაში და ჩვენი საავადმყოფოების მსგავსია. ისინი უზრუნველყოფენ ამბულატორული დახმარების გარკვეულ მოცულობას გადაუდებელი დახმარების განყოფილებებში(emergency) და სპეციალიზებულ კლინიკებში. მაგრამ ისინი ასე თუ ისე ძირითადად სტაციონარულ-კლინიკური დახმარებისთვის არის განკუთვნილი.

ძალიან დიდი ყურადღება საავადმყოფოებში ექცევა სასწრაფო დახმარების განყოფილებას. აქ სასწრაფო დახმარების ოთახები და სასწრაფო დახმარების ცენტრები უზრუნველყოფენ სპორადულ, პრობლემებზე ორიენტირებულ ზრუნვას. სპეციალიზირებული კლინიკის მაგალითი არის ქირურგიული ცენტრი. გარდა ამისა, აშშ-ს გააჩნია საკმაოდ განვითარებული ჰოსპისების ქსელი ტერმინალურ პაციენტებისთვის, რომლებსაც როგორც წესი, აფინანსებენ საქველმოქმედო ორგანიზაციები და მთავრობა.

ამასთან ერთად, აშშ – ში, როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, ამბულატორული დახმარების კონცეფცია მოიცავს პაციენტისთვის სტაციონარში ჰოსპიტალიზაციის გარეშე სამედიცინო დახმარების მიწოდებას, რაც მოსახლეობის სამედიცინო დახმარების საერთო მოცულობის უდიდეს სეგმენტს უზრუნველყოფს. ბინაზე მკურნალობა ძირითადად ტარდება საექთნო ორგანიზაციების მიერ(nursing) და ჩვეულებრივ შეკვეთილია ექიმებს მიერ.

ამბულატორული მოვლის კერძო სექტორში წარმოდგენილია პირადი ექიმები (შინაგანი და საოჯახო მედიცინის სპეციალისტები, პედიატრები), ვიწრო სპეციალისტები, მაგალითად გასტროენტეროლოგები, კარდიოლოგები, ბავშვთა ენდოკრინოლოგები, აგრეთვე ექთნები და სხვა სამედიცინო პერსონალი. 1996 წლიდან ჩამოყალიბდა ეგრედ წოდებული concierge medicine - პირადი ექიმის მიერ გაფართოებული დახმარების არმოჩენა წინასწარი გადახდის გზით.

ობამას რეფორმის დაწყებამდე(სამწუხაროდ ტრამპის მთავრობის პირობებში რეფორმას გაუქმება ელოდება) არსებობდა და ალბათ კვლავ იარსებებს სპეციალური **სადაზღვევო სამთავრობო პროგრამები.**

ბევრი ამერიკელის ჯანმრთელობა , რომლებსაც არ აქვთ კერძო დაზღვევა, დაცულია სპეციალური სამთავრობო პროგრამებით, როგორიცაა **Medicare და Medicaid**, ასევე ღარიბებისთვის სხვა სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების პროგრამებით.

სპეციალურმა კვლევამ აჩვენა, რომ აშშ-ს დაუზღვეველი მოსახლეობის დაახლოებით 25% (11 მილიონ ადამიანამდე) შეიძლება მონაწილეობდეს კონკრეტულ სახელმწიფო პროგრამაში, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, მათი მოქმედების სფეროში არ მოექცა. მთავრობის ერთ-ერთი მიზანი იყო ამ პროგრამების საჭიროებისამებრ გავრცელება მოსახლეობის ყველა დასახელებულ სეგმენტზე. მაგალითად, ვეტერანებისთვის და მათი ოჯახებისთვის არის პროგრამა TRICARE.

1997 წელს ფედერალურმა მთავრობამ შემოიღო სახელმწიფო დაზღვევის პროგრამა ბავშვებისთვის, რომელიც უზრუნველყოფს ჯანმრთელობის დაზღვევას იმ

ოჯახებიდან ბავშვებისთვის, რომელთა შემოსავალი მართალია აღემატება Medicaid– ს დასაშვებ დონეს, მაგრამ ვინც ჯერ კიდევ ვერ ახერხებს დაზღვევის ყიდვას.

2006 წელს პროგრამა 6.6 მილიონ ბავშვს დაეხმარა, მაგრამ ბევრ ადგილას მას შეექმნა თანადაფინანსების დიდი პრობლემა.

ჯერ კიდევ 1986 წელს მიიღებულ იქნა კანონი გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისა და შრომის სფეროში, რომელიც სახელმწიფო დონეზე უზრუნველყოფდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობას მოსახლეობისთვის ყველა ფენისთვის, მიუხედავად დაზღვევის დაფარვის შესაძლებლობისა .

აშშ-ს მთავრობა ფარავს ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებს ორი ძირითადი პროგრამის საშუალებით, **Medicaid და Medicare**, რომლებიც სამედიცინო დახმარებას უწევენ ღარიბ და გაჭირვებულ პირთათვის უფასოდ ან დაბალ ფასად.

2006 წელს, Medicaid-თ ისარგებლა 38.3 მილიონმა დაბალი შემოსავლის მქონე ამერიკელმა და 40.3 მილიონმა ასაკოვანი და შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების მქონე პაციენტმა.

შემოღებული 1967 წელს, **Medicare** არის ცნობილი სახელმწიფო დაზღვევის პროგრამა 65 წლის და მეტი ასაკის ადამიანებისთვის. მანამდე აშშ-ს ხანდაზმული მაც ხოვრებლების უმეტესი ნაწილი (50% -ზე მეტი) ვერ იღებდა სამედიცინო დახმარების სათანადო მოცულობას. ამ პროგრამის მიხედვით, დაზღვეულია 65 წლის და მეტი ასაკის მქონე ყველა ამერიკელი, ასევე ისინიც, ვინც ამ ასაკს ჯერ უახლოვდება,მაგრამ აქვს ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები. ამრიგად, დღემდე ამ პროგრამით გათვალისწინებულია 97% -ზე მეტი ხანდაზმულთა დაზღვევა, ასევე თირკმელების მძიმე დაავადების მქონე ადამიანების 90%-ს და 3.6 მილიონი ინვალიდის.

აღნიშნული სადაზღვევო პროგრამა მოიცავს უფასო დახმარებას ჯანმრთელობის მწვავე მდგომარეობის დროს, მათ შორის სტაციონარულ მკურნალობას, მრავალფეროვან დიაგნოსტიკურ პროცედურას, ბინაზე სამედიცინო დახმარბას და თავშესაფრებში ხანდაზმულ პირთა მკურნალობას. გარდა ამისა, პაციენტებს შეუძლიათ მიიღონ პრევენციული დახმარება, მაგალითად, B ჰეპატიტის, გრიპის, პნევმოკოკის წინაამღდეგ ვაქცინაციით სახით და მამოგრაფიის ჩატარება.

პროგრამა საკმაოდ ეფექტურია. იგი ნაწილობრივ დაფინანსებულია სპეციალური გადასახადის დაწესებით, რომლის ნაწილს თავად იხდის ავადმყოფი, ხოლო ნაწილს - დამსაქმებელი. ზოგადად, ეს გადასახადი შეადგენს დასაქმებული ამერიკელების შემოსავლის დაახლოებით 15% -ს. მეორე ნაწილი დაფინანსებულია შემოსავლის გადასახადის ზოგადი სახელმწიფო შემოსავლებიდან.

სახელმწიფო პროგრამა **Medicaid** დაინერგა 1966 წელს და უზრუნველყოფს სამედიცინო დაზღვევას ღარიბი ამერიკელების ოჯახებისთვის. პროგრამა მოიცავს ასევე მოხუცებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ორსულ ქალებს და ბავშვებს. ასე რომ აშშ -ში, ახალშობილთა 33%, ყველა ასაკობრივი ჯგუფის ბავშვების 25%, აივ -ინფიცირებულთა 40%, იფარება ამ პროგრამით.

Medicaid მოიცავს ხუთ მთავარ მიმართულებას: სტაციონარულ და ამბულატორულ დახმარერებას, სხვადასხვა სპეციალისტების კონსულტაციას, ხანდაზმულ პირთა თავშესაფრებში ყოფნას, ლაბორატორულ დიაგნოსტიკას და კვლევის რენტგენოლოგიურ მეთოდებს.

პროგრამა ფარავს იმ ხანდაზმულ პირთა თავშესაფრებში ყოფნას, რომლებიც საჭიროებენ მუდმივ მოვლას და სათანადო დახმარებას. ასეთ დაწესებულებებში ყოფნა

ძალიან ძვირია - დღეში 100 დოლარამდე ჯდება, ასე რომ, ადამიანების უმეტესობას ამისათვის საკმარისი დანაზოგი არ აქვს. ხანდაზმულ პირთა თავშესაფრებში ყოფნისათვის Medicaid-ს ყულაბიდან ფულის ყველაზე დიდი ნაწილი იხარჯება.

Medicaid-ს აფინანსებს როგორც ფედერალური მთავრობა, ისე შტატების მთავრობებიც. ფედერალური მთავრობა იხდის Medicaid– ის თავის წილს მთლიანი სახელმწიფო საგადასახადო შემოსავლიდან, რაც ყველა ხარჯის დაახლოებით ნახევარია. დანარჩენს იხდის თითოეული შტატის მთავრობა.

მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს,რომ Medicaid-ს გააჩნია ბევრი ხარვეზი.

1966 წელს აშშ-ს კონგრესმა მიიღო კანონი შეერთებულ შტატებში სოციალური უსაფრთხოების სისტემის რეფორმირების შესახებ. მას შემდეგ, ამ ქვეყნის თითოეულმა შტატმა ფედერალურ მთავრობას წარუდგინა გეგმა მოსახლეობისთვის Medicaid-ით

სამედიცინო დახმარების მიწოდების შესახებ. ამ გეგმის დამტკიცების შემდეგ, შტატებმა დაიწყეს ფედერალური ფულის გამოყენება სამედიცინო სერვისების დასაფინანსებლად, აგრეთვე საკუთარი შემოსავლის დასაფინანსებლად. თითოეულ შტატს აქვს საკუთარი Medicaid პროგრამა, რომლის ასეთი გაფანტული მენეჯმენტი ძალიან ართულებს მის რეალიზაციას.

როგორია აშშ-ში ხარჯები ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში?

Medicaid და Medicare სტატისტიკის ოფისმა გამოაქვეყნა აშშ-ს ჯანდაცვის მთლიანი ხარჯების ანალიზი, მათ შორის არა მხოლოდ ისტორიული მონაცემების გაშუქებით, არამედ ხარჯების პროგნოზით. აღინიშნა, რომ 2006 წელს დაიხარჯა 2.1 ტრილიონი დოლარი, ანუ მშპ 16%. ეს მაჩვენებლები 2004 წელთან შედარებით გაიზარდა 6.7% -ით. 2007 წლიდან 2017 წლამდე პერიოდის ხარჯების ზრდა იყო დაახლოებით 6.7% და მშპ-ს 19.5% .

გამოძიების შედეგად, აშშ-ს კონგრესის საბიუჯეტო კომიტეტმა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სამედიცინო დახმარების ხარჯების ზრდა პირდაპირ კავშირშია სამედიცინო დახმარების მიწოდების ცვლილებებთან, რაც გამოწვეულია გაუმჯობესებული ტექნოლოგიების დანერგვით, ისევე როგორც შემოსავლის ზრდით, დაზღვევის დაფარვის ცვლილებებით და უფრო მაღალი ფასებით. მთლიანი ღირებულების უმეტესობას შეადგენს საავადმყოფოების ხარჯები და ექიმების ხელფასები, ხოლო მედიკამენტების (წამლების) ღირებულება ხარჯების მხოლოდ 10% -ს შეადგენს.

ზრდასრული და ასაკოვანი ადამიანები ბევრად მეტ ფულს ხარჯავენ სამედიცინო დახმარებაზე, ვიდრე მომუშავე პირები და ბავშვები. 2008 წელს Dartmouth Atlas of Health Care გამოაქვეყნა მონაცემები, სადაც ნაჩვენებია, რომ ქრონიკული დაავადებების მქონე პირთა დახმარება ცხოვრების ბოლო ორი წლის განმავლობაში ხელს უწყობს ხარჯების

გაზრდას, უფრო მეტი დიაგნოსტიკური და სამკურნალო პროცედურების საჭიროების გამო, ასევე ახანგრძლივებს ჰოსპიტალში პაციენტებთა გაჩერების პერიოდს.

მაგრამ ნაჩვენებია, რომ ამან არ გამოიღო შედეგი პაციენტთა მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ხარჯები მოიცავს მკურნალის ხარჯების 55% -ზე მეტს, ხოლო დახმარების გაწევის მოცულობის სხვაობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვაობა ფასებში. მკვლევარების მიერ ვერ მოიძებნა მტკიცებულება, რომ ამბულატორული ხარჯების ზრდა იწვევს საავადმყოფოს ხარჯების შემცირებას და პირიქით.

დაავადების პრევენციისთვის ღირებულების გაზრდა ხშირად შემოთავაზებულია როგორც სამედიცინო დახმარებისთვის ხარჯების შემცირების მეთოდი. ამასთან, მკვლევარებმა აღნიშნეს, რომ უმეტეს შემთხვევაში პრევენციული ზომები არ უწყობს ხელს ხარჯების დაზოგვას, რადგან პრევენციას უტარებენ ჩვეულებრივ ადამიანებს, რომლებიც იშვიათად ხდებიან ავად.

ინტერეს წარმოადგენს აშშ-ში ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეგულირება და ზედამხედველობა.

აშშ-ში დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის საქმიანობა მიზნად ისახავს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საფრთხეების დადგენასა და აღმოფხვრას. მის გარდა, არსებობს ისეთი მარეგულირებელი ორგანოები, როგორიცაა სურსათისა და წამლის ადმინისტრაცია (FDA), რომელიც მონაწილეობს ახალი წამლების გაყიდვის ნებართვების განხილვაში და დამტკიცებაში. მრავალი ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარებას, ნებაყოფლობით გადის სერტიფიკაციას სამედიცინო დაწესებულებებისათვის არსებული სააკრედიტაციო კომისიის მიერ.

ახლახან, Medicare და Medicaid Services Center– მა თავის თავისუფალ ვებგვერდზე განათავსა კერძო კლინიკებში უფასო სამეიცინო დახმარების ხარისხის რეიტინგი იმ პრობლემების მითითებით ადრე რომ ჰქონდა ადგილი.

მაკ-კარენ-ფერგიუსონის აქტის შესაბამისად, შეერთებულ შტატებში ფედერალური და ნაწილობრივ შტატების მთავრობები პასუხისმგებელნი არიან ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემის ფუნქციონირებისთვის. შტატებს შეუძლიათ

დაარეგულირონ სამედიცინო პროგრამების საშუალებით გაწეული სამედიცინო დახმარების მასშტაბები.

ამერიკული ჯანდაცვის სისტემა ყველაზე უფრო ძვირია მსოფლიოში. მიუხედავად ამისა, ის ხარვეზების გარეშე არ არის. აშშ-ს ბევრ მაცხოვრებელს არ შეუძლია მიიღოს ადექვატური სამედიცინო დახმარება, ქვეყანაში დაავადებების რიცხვი არ მცირდება და პროფი-ლაქტიკურ ზომებს ხშირად არ აქვს მოსალოდნელი ეფექტი.

ამასთან ერთად, შეერთებული შტატებში მუდმივად გადადგამენ ნაბიჯებს ჯანდაცვის სისტემის და ზოგადად მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით.

ობამას რეფორმა ამის ნათელი მაგალითია.

დაფინანსების სისტემის მჭიდრო ურთიერთკავშირისა და სამედიცინო დახმარების მიწოდების ორგანიზების გათვალისწინებით, ეს არის ახალი დაფინანსების მექანიზმი, რომელიც იწვევს სამედიცინო დახმარების მიწოდების სისტემაში ცვლილებებს და, ამავე დროს, ერთ – ერთი გადამწყვეტი ფაქტორია ერის ჯანმრთელობის გაუმჯობესების გზაზე.

ტრამპის რესპუბლიკურ ადმინისტრაციაში მიმდინარეობს კამათი სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობის, ეფექტურობისა და ხარისხის შესახებ. ამერიკის პოლიტიკური პარტიების განსახილველად ყველაზე აქტუალური თემა კვლავ რჩება შეერთებულ შტატებში საყოველთაო სავალდებულო სახელმწიფო ჯანდაცვის სისტემის დანერგვის მიზანშეწონილობის საკითხი. უნივერსალური სისტემის მომხრეები(ობამისტები)

ამტკიცებენ, რომ დაზღვეული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების გაწევა დაკავშებულია ირ დიდ ხარჯებთან, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელია მთელი მოსახლეობის იძულებითი სამედიცინო დახმარების სისტემის დაფარვით.

მათი მოწინააღმდეგეები(რესპუბლიკელები) მიმართავენ თითოეული ადამიანის არჩევანის თავისუფლებას, მათ შორის სამედიცინო დახმარების სფეროშიც, ამტკიცებენ, რომ ასეთი სისტემის შემოღება გამოიწვევს უფრო მაღალ გადასახადების დაწესწბას და სამედიცინო დახმარების დაბალ ხარისხს.

ამასთან, ოპონენტები თანხმდებიან, რომ მთავრობა დღეს ჯანდაცვის სფეროში იძულებულია დახარჯოს უზარმაზარი თანხა და რომ ამ პრობლემის ყველაზე ეფექტური გადაწყვეტა შეიძლება იყოს საბაზრო გადაწყვეტილებების სტიმულირება, ეფექტურობის გაზრდა და ინოვაციური მიდგომების დანერგვა. მაგრამ ყველა პოლიტიკური ძალა ერთხმად მხარს უჭერს სამედიცინო დახმარებაზე ყველა ადამიანის ხელშეუხებელ უფლებას, რომელიც უნდა იყოს დაცული სახელმწიფოს მიერ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. National Center for Health Statistics. Health, United States, Hyattsville (Md), 2004.
2. Health Care Financing Review», Fall 2006. Volume 28, №1, p. 43.
3. Department of Health and Human Services: FY 2010 Agency Financial Report. Washington DC, 2010. p. 259//http://www.hhs.gov/.
4. Himmelstein D.U., Thorne D., Woolhandler S. Medical bankruptcy in Massachu-setts: has health reform made a difference?//Am J Med. 2011. Mar. ¹ 124 (3). p. 224–228.
5. Holliman C.J., Mulligan T.M., Suter R.E., Cameron P., Wallis L., Anderson P.D., Clem K. The effi-cacy and value of emergency medicine: a supportive literature review//Int J Emerg Med. 2011. Jul 2. p. 4–44.
6. Income, Poverty, and Health Insurance Coverage in the United States: 2010/ U.S. Govern-ment Printing Office, Washington DC, 2011. p. 95.
7. Mello M.M., Chandra A., Gawande A.A. and Studdert D.M. National Costs of the Medical Liability System//Health Aff (Millwood). 2010. September. ¹ 29(9). p. 1569–1577.
8. Rowe B.H., Guo X., Villa-Roel C., Schull M., Holroyd B., Bullard M., Vandermeer B., Ospina M., Innes G. The role of triage liaison physicians on mitigating overcrowding in emergency departments: a systematic review//Acad Emerg Med. 2011. Feb. ¹ 18(2). p. 111–120.
9. Simonet D. Cost reduction strategies for emergency services: insurance role, practice changes and patients accountability//Health Care Anal. 2009. Mar. ¹ 17(1). p. 1–19.
10. The 2011 Annual Report of the Boards of Trustees of the Federal Hospital Insurance and Federal Supplementary Medical Insurance Trust Funds/U.S. Department of Health and Human Services. Office of Finance. Washington DC, 2011. p.273
11. Wiler J.L., Ross M.A., Ginde A.A. National study of emergency department observation ser-vices//Acad Emerg Med. 2011 Sep ¹ 18(9). p. 959–965.
12. World Health Report-2000. Health systems: improving performance. Geneva, 2000. p.232

13. World Health Organization: World health statistics 2010. Geneva, 2011. p. 177
14. http://www.childrensdefense.org/site/PageServer?pagename=healthy_child
15. Washington ProFile, 01.09.2007 (http://www.washprofile.org).
16. Washington ProFile, 17.11.2006 (http://www.washprofile.org/ru/node/5585)
17. http://www.childrensdefense.org/site/DocServer/CDF_Legislation_One_Page_Overview.pdf?docID=3141 [5]Washington ProFile, 31.03.2007 (http://www.washpronle.0rg/ru/node/6137).
18. Washington ProFile, 1.09.2007 (http://www.washprofile.org).
19. http://www.childrensdefense.org/site/PageServer?pagename=healthy_child_polling_information
20. Washington ProFile, 04.01.2007 (http://www.washprofile.org/ru/node/5726)
21. http://www.childrensdefense.org/site/PageServer?pagename=healmy_child_backinfo_existprograms
22. http://www.childrensdefense.org/site/PageServer?pagename=healthy child
23. http://www.whitehouse.gov/omb/budget/fy2008/hhs.html
[12]http://www.childrensdefense.org/site/PageServer?pagename=healthy_child_backinfo_existprograms .
24. http://www.ama-assn.org/ama/pub/category/6679.htmlState
25. http://www.cdc.gov/nchs/pressroom/06facts/pediatricemergency.htm
26. http://www.hhs.gov/asl/testify/t050525.html
27 http://www.childrensdefense.org/site/'PageServer?pagcname=healthy_child_scoti20070716 .
28. http://www.childrensdefense.org/site/D(xServer/CDF_Legislation_One_Page_Overview.pdt?docID=3141
29. Washington ProFile, 30.07.2007 (http://www.washprofile.org/ru/node/6779).
30. Affordable Health Care for America Act//http://docs.house.gov/.
31. Centers for Medicare & Medicaid Services//http://www.medicare.gov/.
32. Health and Human Services (HHS) Open Government Plan//http://www.hhs.gov/.
33. Health Insurance Coverage Status/U.S. Census Bureau, 2009 American Community Survey /http://factfinder.census.gov/.
34. LCME Medical Education Database//http://www.lcme.org/.
35. National Health Expenditures Accounts: Definitions, Sources, and Methods, 2009 //http://www.cms.gov/.
36. Social Security: Medicare//http://www.ssa.gov/.

Alexander Papitashvili

MD, PhD

Professor of Tbilisi Medical University GEOMEDI, Georgia

Chairman of Medicine Department of

Georgian Scientists and Specialists Association

The United States Healthcare System - How American Health Insurance Is Provided

Summary

The United States has the most expensive health care system in the world. The United States spends more on health care than any other country, both in terms of absolute monetary figures, also per capita GDP.

However, according to the US National Academy of Sciences, the US is one of the most developed industrial countries in the world that does not have a universal healthcare system. In 2000, the WHO ranked the United States as one of the most stable systems in the world, according to an analysis of health systems conducted in 191 countries.

Americans can buy private medical insurance, while those who do not have private insurance are protected by special governmental programs. One of the main goals of the US government has always been to spread these programs to all segments of the population as needed.

Medicare and Medicaid are State Medical Insurance Programs for poor families and the elderly persons. TRICARE is program for veterans and their families.

In 1997, the Federal Government introduced a State Health Insurance Program for children.

But we can not mention, that the noted programs has many gaps and problems.

President Obama's 2009-2010 reform was driven by the existence of these problems.

For example, in 2006, 16% of the population in the United States did not have health insurance, which was 47 million people at the time.

President Obama's Medical Reform was evolving during his presidency, but slowed down under President Trump, and his future is still unclear.

მაკა გეგეჭკორი

თსსუ პროფესორი

ზურაბ საბახტარაშვილის რეპროდუქციული კლინიკა

გერონტოლოგია - მისახედი ასაკი. შესაძლებელია თუ არა ამერიკულისისტემების ადაპტირება?

Nursing Homes Experience

გერონტოლოგია (geron - მოხუცი, logos - მოძღვრება) - დაბერების პროცესების შემსწავლელი მედიკო-ბიოლოგიური დარგია. ბევრისთვის სიბერე ასოცირდება დაუძლურებასთან, ფიზიკურ ტკივილთან, ავადობასთან, სიმარტოვესთან. ანუ, მის აღქმაში ჭარბობს ნეგატიური სტერეოტიპი. ასეთი წინასწარგანწყობები თავისთავად უარყოფითად მოქმედებს ჯანმრთელობაზე და აჩქარებსდაბერების პროცესს. მეორესმხრივ, სიბერისგან გაქცევა და უამრავ, მასთან ასოცირებულ ცვლილებაზე თვალის დახუჭვა, არაფრითშეიძლება.

ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, როგორ აღიქვამს ადამიანი საკუთარ თავს, როგორია მისი დამოკიდებულება ასაკის მატებასთან, თუმცა რაფრით გამოირიცხება კონკრეტული ქვეყნის მიზნობრივი პოლიტიკა და ასაკობრივი სტრატეგიები, მნიშვნელოვანი ასოციალურ-ეკონომიკურიმდგომარეობა.

დღეს, როდესაც მსოფლიოში სიცოცხლის საშ. ხანგრძლივობა შესაშურადმატულობს, გარდაიმისა, რომ იხვეწება დაავადებები სდიაგნოსტიკისა და მართვის მეთოდები, ბევრს საუბრობენ ე.წ. ცხოვრების ხარისხზე (QOL – Quality of Life), ახალგაზრდობის გახანგრძლივებაზე.

დაბერების პროცესი სადავეებს იღებს რეპროდუქციული სისტემის ინვოლუციიდან რამოდენიმე წელიწადში. ქალებში მენოპაუზა (კლიმაქსი), მამაკაცებში ტესტოსტერონის შედარებითი დეფიციტი (ანდროპაუზა) არის პროცესის ინიციაცია და პოსტნატალური

ონტოგენეზის კანონზომიერი ეტაპი - ასაკი გენეტიკურად დაპროგრამებული ფიზიოლოგიაა.

XXI საუკუნის მეორე ნახევრიდან შესაძლებელია დაბერების ეფექტური თერაპია. და ამაში ძირეული როლი აქვს რეპროდუქციულ ასპექტებს.

ორიოდ სიტყვით ისევ სიცოცხლისს აშ. ხანგრძლივობაზე. ჯერ კიდევ 1999 წ-ს სოციოლოგებისა და დემოგრაფების მიერ ნავარაუდევი იყო ე.წ. „ჭაღარა აისი“ - მოსახლეობის დაბერების ტენდენციამ თელს მსოფლიოში.

მსოფლიოჯანდაცვისორგანიზაციისმონაცემებითზოგ. პოპულაციაში 2016 წ - 71,4 წ (WHO 2016), 2018 წელს - 72,6 წ (WHO – 2018წ); განსხვავებულიაესმონაცემებიქალებისთვის (73,5წ) დამამაკაცებისთვის (68,5 წ). გასულისაუკუნის 50-იან წლებშიქვეყნები, სადაცსაშ. ასაკი70-სგადაცილებული იყო, შეადგენდა 1%, 2000 წლისთვის - 50% -ს . LAI – (Long-term aging index) - 1990 წელთანშედარებითსაშუალოდგაიზარდა 8,6 წლით. ყველაზემაღალი LAI ჰონგკონგშია (84,1 წ), მასმოსდევსიაპონია (83,9 წ) დაშვეიცარია (83,5 წ). ყველაზედაბალიLAI - სიერალეონეში (52,1 წ). LAI აშშ - (79,5 წ), მათშორის - ქალებში - 81,4 წდამამაკაცებში - 77,4 წ. საინტერესოა, 2050 წლის პროგნოზი - LAI მსოფლიოში ზოგადი პოპულაციისთვის იქნება 77,1 წ (ქალები -79,1წ , მამაკაცები -74,5წ). 2050 წლის პერსპექტიული LAI ლიდერი ჩრდილო ამერიკის კონტინენტია, არასახარბიელო პროგნოზი აქვს აფრიკის კონტინენტს.

საინტერესოა LAI საქართველოში -მიმდინარე (2018 წ) ქალები 76,8 წ, მამაკაცები - 68,3 წ (საერთო პოპულაცია - 73,4წ); 2050 წლის პროგნოზის მიხედვით - ქალები 78,8 წ, მამაკაცები - 70,2 წ (საერთო პოპულაცია - 74,5 წ), რაც არც თუ ურიგო მონაცემებია, თუ გავითვალისწინებთ, რომLAI დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა ქვეყნის ეკონომიკური სტატუსი, ჯანდაცვაზე ორიენტირებული ხარჯები და მისთ. 2050 წლის პროგნოზირებისას, ფაქტია, არავის გაუთვალისწინებია დღევანდელი მსოფლიო ეკონომიკური მდგომარეობა და კრიზისი. ალბათ, SARSCoV2 ზემოაღნიშნულ ციფრებს მკვეთრად შეცვლის.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის დივიზიის (UNPD) პროგნოზით, საქართველოს 65 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობის წილი, რომელიც კვლევებით იყო 14% (2015 წ), გაიზრდება 19% -მდე (2030 წ) - ქვეყნის სწორი დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება აქტიური დაბერების პოლიტიკის გატარება, რაც გულისხმობს ხანდაზმულთათვის ისეთი გარემოს შექმნას, სადაც ისინი თავს იგრძნობენ საზოგადოების სრულფასოვან და ჯანმრთელ წევრებად. ამისთვის მნიშვნელოვანია ხელშემწყობი რეფორმები - ხანდაზმულთა ფინანსური უსაფრთხოების გაზრდა, საპენსიო რაციონალური რეფორმა, ჯანდაცვაში პრევენციაზე ორიენტირებული აქცენტები, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და ჯანმრთელობის ხანგრძლივი კონტროლის შესაძლებლობა. ასაკზე მორგებული ფსიქო-სოციალური და ფიზიკური გარემოს ხელშეწყობა. (პირველი ნაბიჯები 2016 წ - პარლამენტის დადგენილება). რა თქმა უნდა, ეს არ არის ადვილი. მსოფლიოში უამრავი ეფექტური მოდელია ამის სადემონსტრაციოდ. თუმც, რთული იქნება ადაპტირება ჩვენი ქვეყნის სიტუაციის და მოსახლეობის მენტალობის გათვალისწინებით.

აშშ დაბერების პოლიტიკის და რეფორმების თვალსაზრისით ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. *(Population Ageing Strategy)*. ამ საკითხე მუშაობს, როგორც მიზნობრივი ასოციაციები, ისე კონკრეტული მეცნიერები სახელმწიფოსთან თანამშრომლობით *(Global Consensus Statement) – American Aging Association (AAA), International Association of Biomedical Gerontology (IABG), North American Menopause Socity (NAMS), International Menopause Society (IMS), International Andropause Society (IAS), Richard Miller* (მიჩიგანის უნივერსიტეტი), *Philip Sarrel* (კონექტიკუტის უნივერსიტეტი), *Jay Olshansky* (ილინოისის უნივერსიტეტი). სტრატეგიის ძირითადი კომპონენტებია - სტეროიდული დეფიციტის პრევენცია/ მკურნალობა (რეპროდუქციული ასპექტი; ღეროვანი უჯრედების პროგრამები; ადამიანის ტვინის ინჟინერული მოდელის პროგრამები, ცოცხალი პროგრამების კომპიუტერული მოდელირების პროგრამები *(Human Cognome , IBM – Blue Brain Project)*

ეს მეცნიერებაა, რომელიც რეალურ ცხოვრებას ემსახურება. უფრო პრაგმატული ნაბიჯები - საპენსიო პოლიტიკა, დაზღვევის საკითხები, სპეციალური სწავლების სისტემები მესამე ასაკისთვის *(Lifelong Education and Braintraining),* სამედიცინო და ბიოსამედიცინო სამსახურების გაძლიერება.

შთამბეჭდავია აღნიშნულ სტრატეგიებზე გაწეული ფინანსური დანახარჯი (2016წ) - ზოგადად ჯანდაცვაზე საერთო ბიუჯეტის 47,1% იხარჯება 8,7 ტრილიონი US $, მათ შორის 570 მლნ US $ - სამეცნიერო კვლევაზე, 6,6 მლნ US $ - სამკურნალო საშუალებებზე. მარტო ოსტეოპოროზის (ძვლების ასაკობრივი სიმყიფე და მასთან ასოცირებული ძვლის მოტეხილობა) სამედიცინო და სოციალური ხარჯები შეადგენს წელიწადში 10,3 მლრდ US $ -ს.

ამერიკული „ასაკობრივი პოლიტიკის“ ყველაზე დიდი ხიბლი კი ე.წ. მოხუცთა სახლებია (თავშესაფარი), რომელთაც საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვთ. აშშ-ში ასეთი ტიპის სოციალურ თავშესაფრებს აქვთ სამედიცინო დახმარების ფედერალური დაფინანსება. 2017 წლისთვის დაახლოებით 1,4 მლნ ამერიკელი ცხოვრობს მოხუცთა თავშესაფარში, მათი 64% სწორედ ფედერალური სამედიცინო დაფინანსების ხარჯზეა. ისტორია იწყება 1965 წლიდან , როდესაც ნაციონალური ფედერალური პროგრამის ფარგლებში კომპანია “Madicare”-მ იზრუნა 65 წელზე მეტი ასაკის ადამიანების დაზღვევაზე. თუმც კერძო თავშესაფრების ისტორია გაცილებით ხანგრძლივი ა- 1930 წლიდან. ამ ხანგრძლივ ისტორიას არაერთი უღირსი ფრაგმენტი ახლდა - პერსონალის არასაიმედობა, არაპროფესიონალური მხარე, კლიენტის მიმართ არაჯანსაღი მოპყრობა, ჰუმანური სტანდარტების დეფიციტი და ა.შ. არაკერძო თავშესაფრები გათვლილია უფრო დაბალშემოსავლიან და ჯანმრთელობასთან დაკავშირებით მეტი რისკის მატარებელ მოხუცთათვის. 1996 წელს ჩატარდა ყველაზე მსხვილი ინიციატივა რეფორმისთვის ამ მიმართულებით - სერტიფიკაცია და მეთვალყურეობა, კვებასთან დაკავშირებული ცვლილებები და განსაკუთრებული ნუტრიციული სტანდარტების დაწესება და დაცვა. აღნიშნულმა რეფორმამ შეამცირა უხარისხო მომსახურების მაჩვენებლები და ეს ტენდენციები დღემდე შენარჩუნებულია.

მართალია, აშშ მოდელის გარშემო ვტრიალებთ, თუმც არ შემიძლია არ ვახსენო კანადური ექსპერიმენტული მოდელი, რომელიც გულისხმობს მოხუცთა და ბავშვთა სახლების თანაარსებობას. ამ საინტერესო მოდელმა დაამტკიცა, რომ ბავშვებვთა ქცევაზე, აკადემიურ მაჩვენებლებზე, კოგნიციაზე, ყურადღების კონცენტრაციაზე, წარმატებაზე, თავდაჯერებულობაზე მოხუცთა ზრუნვა და თანაცხოვრება მეტად პოზიტიურად აისახა. მეორეს მხრივ მკვეთრად გაუმჯობესდა ხანდაზმულთა ფიზიკური და ფსიქიური ჯანმრთელობის პატერნები.

ადამიანები ცხოვრების დიდი პერიოდი სწორედ სიბერის „სამზადისშია“. ძალაუნებურად გახსენდება ძველი ჩინური სიბრძნე - ახალგაზრდობა - 20 წლამდე, ქორწინების ხანა - 30 წლამდე, საზოგადოებრივი დავალებების შესრულების ხანა - 40 წლამდე, საკუთარი შეცდომების გააზრების ხანა - 50 წლამდე, შემოქმედებითი ცხოვრების უკანასკნელი პერიოდი - 60 წლამდე, სასურველი ასაკი 70 წლამდე, სიბერე - 70 წლის შემდეგ. დიახ, ხანდაზმულობა სასურველი პერიოდია, ღირსეული, როდესაც იმკი მთელს ცხოვრებას.... ასაკი უპირატესობაა. სწორედ ამ დასახელების არის სოციალურ-სამედიცინო პროექტი „40+....“, რომელიც გინეკოლოგ-ენდოკრინოლოგთა საქართველოს ასოციაციის ეგიდით იქნა წამოწყებული 2019 წ. ნოემბერში და რომლის მიზანია, ასაკის მრავალმხრივი ხედვა, მულტიდისციპლინარული და ინტერასოციაციური სამედიცინო განხილვა. წარმატებული მუშაობის პირობებში, არ არის გამორიცხული, მის მიერ დადებული შედეგები აისახოს ჩვენი ქვეყნის ხანდაზმულთა ჯანმრთელობის სტრატეგიებზე....

გამოყენებული ლიტერატურა

1. National Institute on Aging (NIA) - Residential Facilities, Assisted Living, and Nursing Homes 2018
2. Global Health and Aging – NIA, WHO – 2011- 2015
3. https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/ageing-and-health

4. https://www.who.int/ageing/en/
5. UNFPA Georgia - სიბერე ახალი ეტაპია 2017 წ.

Maka Gegechkori

MD, PhD, professor

Reproductive Clinic of Zurab Sabakhtarashvili

Gerontology – Tending age. If there is a Possibility to Adapt the American System?

Summary

Effective aging therapy is possible since the second half of the 21st Century and reproductive aspects play fundamental roles in this process. According to the World Health organization (WHO) the average life expectancy has been increasing for the last 20 years and the tendencies of population aging strategy is marked around the world. This puts the special strategies and policies of the aging process on the agendas of all countries. The United States is one of the best in the world in terms of aging process.(Population Aging Strategy) It's sharing and adaptation should have the positive impact on the similar direction in our country.

მალხაზ კერესელიძე

საქართველოს პენსიონერთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, ნებაყოფლობით მრჩევეითა საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე, მედიცინისა და ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პროფესორი

ირმა ბერულავა

კლინიკა "ფემილი' ექიმი ნევროლოგი, საქართველოს პენსიონერთა საზოგადოების ნებაყოფლობით მრჩევეითა საკოორდინაციო საბჭოს წევრი ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა მაგისტრი

დაბერების სამედიცინო და ფსიქო-სოციალური ასპექტები

არ ბერდება ის, ვისაც ამისთვის არ სცალია

დღეს, როდესაც მსოფლიო ისეთი სერიოზული პრობლემის წინაშე დგას, როგორიცაა covid-19, სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს 60+ ასაკის ადამიანებზე ზრუნვა. მათი ფიზიკური და ფსიქოლოგიური მზაობის გაძლიერება, მსგავსი ტიპის გამოწვევების წინაშე.

რატომ ბერდებიან ადამიანები? როდის იწყება დაბერება? რა არის დაბერების განსაზღვრის მარკერი? ესაა ის შეკითხვები, რომლებიც ხშირად აფიქრებდა კაცობრიობას საუკუნეების განმავლობაში. მიუხედავად მოლეკულური ბიოლოგიისა და გენეტიკის განვითარებისა, ფენომენი, რომელიც აკონტროლებს სიცოცხლის ხანგრძლივობას არაა ამოხსნილი. ბოლო წლების განმავლობაში მრავალი თეორია იქნა შემოთავაზებული დაბერების პროცესის ახსნისათვის.

მსოფლიოში ცნობილმა გერონტოლოგმა ობრი დე გრეიმ სიბერის ყველა ცნობილი და აღიარებული თეორიის გათვალისწინებით სიბერის შვიდი ძირითადი მიზეზი ჩამოაყალიბა:

- უჯრედში ნივთიერებათა ცვლის შედეგად ნაგვის დაგროვება - ამიტომ აუცილებელია იმ ბუნებრივი ფერმენტების შეყვანა, რომელთაც ამ ნაერთების დაშლა და ნაგვის გამოტანა შეუძლიათ.
- ნაგვის დაგროვება უჯრედის გარეთ - ათეროსკლეროზული ფოლაქები. აუცილებელია იმუნიტეტის გაძლიერება და პეპტიდური ცილების შეყვანა, რომლებიც ამ ფოლაქებს დაშლიან.
- არასწორი ცილოვანი კავშირების წარმოქმნა - აუცილებელია იმ პრეპარატების შექმნა, რომლებიც დაშლიან უსარგებლო კავშირებს.
- დეფექტური უჯრედების დაგროვება, განსაკუთრებით იმ ცხიმოვანი უჯრედებისა, რომლებიც იწვევს გაცხიმოვნებას, მოწამვლას და იმუნტეტის დაქვეითებას - აუცილებელია ისეთი პრეპარატების შექმნა, რომლებიც ამ დეფექტურ უჯრედებს თვითგანადგურებას უბრძანებენ.
- უჯრედების განახლების შემცირება.
- ქრომოსომული მუტაციები.

დღესდღეობით ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობს ჰარვარდის ბიოლოგიური დაბერების ცენტრის დირექტორის, გენეტიკის კათედრის ხელმძღვანელის დევიდ სინკლერის თეორია, (David Sinclair , lifespan. Why We Age And Why We Don't Have To. 2019)რომლის თანახმად, სიბერე დაავადებაა, რომელსაც უნდა უმკურნალო.

ბიოლოგიური ინფორმაცია რომელიც ჩვენს დნმ-შია, საკმაოდ მდგრადია და ნაკლებად ექვემდებარება გარემო ფაქტორებს და გადაეცემა თაობიდან თაობას, მაგრამ სინკლერის აზრით დეგენერაციის შეუქცევადობა ორგანიზმის ბიოქიმიურ პროცესებში არაა ჩადებული ,ამიტომ დეგენერეციასთან შებრძოლება შეიძლება შიდა და გარე ფაქტორებზე ზემოქმედების გზით.

სინკლერმა გამოავლინა რამოდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელსაც “ბრალი ედება” ადამიანის დაბერებაში. იდენტიფიცირებულია რამოდენიმე მნიშვნელოვანი ცილა (NAD, სირტუინები და სხვა), რომლებიც ასაკთან ერთად კლებულობს და უჯრედების დაბერებას იწვევს. დაბერებული უჯრედები იმის გარდა, რომ სათანადოდ

ვერ ფუნქციონირებენ, გამოყოფენ მავნე ნივთიერებების კოქტეილს და მწყობრიდან გამოჰყავთ მათ ირგვლივ არსებული უჯრედებიც. ამას მოსდევს დნმ-ის დაზიანება და სხვა მნიშვნელოვანი საზიანო შეუქცევადი პროცესები.

სირტუინები ეს ფერმენტებია რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სიცოცხლის ხანგრძლივობაზე.

სირტუინების ძლიერ აქტივატორად ითვლება ფიზიკური დატვირთვა. კვლევებმა დაადასტურა, რომ დღეში სავალდებულოა ფიზიკური დატვირთვა, არააკლებ 30 წუთისა. ფიზიკური დატვირთვა უნდა იყოს ზომიერად დამღლელი, ორგანიზმს უნდა შეექმნას ზომიერი სტრესის პირობები, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ხდება სირტუინების სტიმულაცია. სირტუინების ფუნქციონირებისათვის საჭიროა კოფერმენტი ნად-ი (NAD) (ნიკოტინამიდადენინდინუკლეოტიდი). აქტიური ფიზიკური დატვირთვის, შიმშილის და სიცივის ზემოქმედებისას, იზრდება როგორც სირტუინების ასევე ნად-ის (NAD)აქტივაცია ორგანიზმში.

კვლევების შედეგად ასევე აღმოჩენილი იქნა რიგი ნივთიერებები, რომლებიც აჩერებენ სიბერეს, ესაა რესვერატროლი რომელსაც შეიცავს ყურძენი, არახისი, ჟოლო და ზოგიერთი სხვა მცენარე. რესვერატროლი ნად-ის (NAD) წინამორბედია (სირტუინების კოფერმენტი), შესაბამისად რესვერატროლის მოხმარება ზრდის სირტუინების აქტიურობას და ბიძგს აძლევს დაბერების შეჩერების მექანიზმს. ექსპერიმენტით დადასტურებულია, თაგვებზე რესვერატროლის მოხმარებისას, სიცოცხლის ხანგრძლივობა 20-25%--ით იზრდება.

ნად-ის (NAD) აქტივაცია ასევე უმკლავდება ე.წ. ზომბი უჯრედებს. ზომბი უჯრედები ეს ის უჯრედებია, რომლებსაც დაზიანებული აქვთ დნმ-ი , მათ არ გააჩნიათ განახლების უნარი, ისინი გამოყოფენ ციტოკინებს და ნეგატიურად მოქმედებენ ორგანიზმზე. ზომბი უჯრედების ნაწილს გააჩნიათ ატიპიურ უჯრედებად გადაგვარების უნარი. ნად-ის (NAD)აქტივაცია კი ბიძგს აძლევს ზომბი უჯრდების აპოპტოზს.



შემდეგი ნივთიერება რომელიც მოქმედებს სიცოცხლის ხანგრძლივობაზე ესაა მეტფორმინი, ის მიიღება Helleborus niger მცენარეებიის ოჯახიდან. თაგვებზე ჩატარებულმა ცდებმა დაამტკიცა, რომ მეტფორმინი აქვეითებს შაქრიანი დიაბეტის და ონკოდაავადების განვითარების რისკსაც.

სინკლერი იმედოვნებს რომ მიღებული მასალების საფუძველზე, დროთა განმავლობაში შესაძლო გახდება ამ ნივთიერებების მიღება და დახვეწა სამედიცინოო ქიმიის საშუალებით (medicinal chemistry) და სინანულით აღნიშნავს, რომ კანონმდებლობა არ იძლევა საშუალებას, უმკურნალო სიბერეს, როგორც დაავადებას, დღესდღეობით ეს მიმართულება თითქმის არ ფინასდება.

სინკლერის დღეგრძელობის რეცეპტი ასე გამოიყურება:

- ყოველ დილით 1000მგ რესვერატროლი;
- 1 გრ მეტფორმინი საღამოს;
- D ვიტამინის და K2-ის სადღეღამისო დოზის მიღება;
- წონის კორექცია - ჭარბწონიანიობის შემთხვევაში;
- ზონიერი კვება;

- შიმშილი დროის გარკვეულ მონაკვეთში (intermittent fasting;)
- მარტივი ნახშირწყლების მიღების მაქსიმალურად შეამცირება (ტკბილეული, ცომეული) და რაციონში ცხიმებისა და ცილების წილის გაზარდა;
- ვარჯიში (ინტენსიური ფიზიკური დატვირთვა);
- მაღალი ტემპერატურის და ულტრაიისფერი გამოსხივების თავის არიდება;
- კონტრასტული პროცედურები ცივისა და ცხელის მონაცვლეობით;
- ძილის მოწესრიგება;
- სტრესზე თავის არიდება.

ეს ყველაფერი რაც ზემოთ ჩამოვთვალეთ, მნიშვნელოვნად ზემოქმედებს გაახალგაზრდავების მოლეკულებზე. მათი მოქმედების მექნიზმები კი დეტალურად ახსნილია სინკლერის ნაშრომში.

საბოლოოდ მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე რომ არაა საკმარისი დაბერების პროცესის შესწავლა მხოლოდ ბიოლოგიურ და გენეტიკურ დონეზე.

სიცოცხლის ხანგრძლივობა არ არის უმთავრესი ფენოტიპი. მნიშვნელოვანია არა მარტო სიცოცლის ხანგრძლივობა, არამედ ,,კარგი წლების'' რაოდენობის მაქსიმიზაცია; წარმატებული დაბერების გასაზომად არ გამოიყენება მხოლოდ ერთი ატრიბუტი, პირიქით, საჭიროა კომბინირებული ინდიკატორების გათვალისწინება;

ასე განვითარდა შედარებით ახალი მიმართულებები ბიოხაკინგი და გერენტოსოციოლოგია.

გერენტოსოციოლოგიის - აქტუალური ამოცანაა სიბერისა და დაბერების ზოგადი სოციოლოგიური თეორიის შემუშავება.

ბიოხაკინგი - ეს არის სამედიცინო და გამაჯანსაღებელი ღონისძიებები, რომელიც მიმართულია ცხოვრების გახანგრძლივებაზე და მისი ხარისხის გაუმჯობესებაზე , რაც ითვალისწინებს კვების რეჟიმის და ძილის მოწესრიგებას, ფიზიკურ აქტივობას, ფსიქოლოგიურ ტრენინგებს და სხვა.

დაბერების პროცესზე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში ავტორები ორ სხვადასხვა ცნებას იყენებენ - წარმატებული დაბერება და ცხოვრების ხარისხი.

წარმატებული დაბერება - მრავალგანზომილებიან კონცეფციად ითვლება, რომელიც მოიცავს კარგ ჯანმრთელობას და შედგება ბიო-ფსიქო-სოციალური ფაქტორების ფართო სპექტრისაგან.

ცხოვრების ხარისხი - მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის განმარტებით, ისეთი მნიშვნელოვანი სფეროების ურთიერთგავლენის პროდუქტია, როგორიცაა სოციალური სფერო, ჯანდაცვა, ეკონომიკა და გარემო.

წარმატებული დაბერების შესწავლის ერთ-ერთი საშუალება თავად ხანდაზმულთა სუბიექტური შეხედულებებია, წარმატებული დაბერების შესახებ.

ავსტრალიელმა მკვლევარებმა გამოკითხეს 60 ხანდაზმული რესპონდენტი, რომელთა მიერ გამოვლენილ იქნა შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები.
ესენია:

- ჯანმრთელობა,
- აქტივობები,
- პირადი ზრდა,
- ბედნიერება/კმაყოფილება,
- კარგი ურთიერთობები და დამოუკიდებლობა, მიმღებლობა და ბოლოს,
- სიცოცხლის ხანგრძლივობა.

აღმოჩნდა, რომ ხანდაზმულები ასაკთან დაკავშირებულ დანაკარგებს სხვადასხვა გზით უმკლავდებიან: დაკარგული როლებისა და ურთიერთობების კომპენსაცია, მიმღებლობა, რწმენისა და რელიგიის მონაწილეობა, აქტიურობისა და ურთიერთობების შენარჩუნება.

რესპონდენტებმა საკუთარი ასაკის უარყოფითი მხარეები შემდეგნაირად განსაზღვრეს:

- 55%-მა ფიზიკური შეზღუდვა და ავადმყოფობა დაასახელა,
- 21% ფიქრობს, რომ არაფერია უარყოფითი იმ ასაკში, რომელშიც იმყოფებიან,
- დაახლოებით 15% განიცდის სინანულს,

6%-ს სხვებზე დამოკიდებულება მიაჩნია დაბერების უარყოფით ფაქტორად,

- 2% კი სუსტ ურთიერთობებს ასახელებს (T. Ricciardelli; & L. knight, 2003).

ავტორთა ნაწილი ხაზს უსვამს სუბიექტურ შეფასებას და ცხოვრებით კმაყოფილებას, როგორც წარმატებული დაბერების ძირითად ელემენტს, ხოლო სხვები განიხილავენ საქმიანობას და პროდუქტიულობას, როგორც ძირითად ასპექტებს (Pollack, J. Siegrist; & O. Von Dem Knesebeck; &C. Evan, 2004).

საბოლოო ჯამში, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის, ოპტიმალური ფიზიკური და მაღალი შემეცნებითი ფუნქციონირების, დადებითი გავლენისა და სოციალური მონაწილეობის - კრიტერიუმები (რამდენიმე ან ყველა მათგანი) ხანდაზმულობის ფორმის იდენტიფიკაციას ახდენს.

ამგვარად, წარმოდგენილი ინფორმაციის შედეგად ჩანს, რომ ცხოვრების ხარისხი და წარმატებული სიბერე ურთიერთგადამკვეთ მნიშვნელობას ატარებს. ცხოვრების ხარისხის კომპონენტების დაკმაყოფილება კი „თავის მხრივ“ უზრუნველყოფს წარმატებული დაბერების პროცესს.

ლიტერატურის მიმოხილვისას უნდა გავითვალისწინოთ ის მნიშვნელოვანი დეტალები, რომლებიც საერთაშორისო პრაქტიკის პროცესში მიზნობრივი ჯგუფის ცხოვრებას შეეხება. სოციალური დარგის მეცნიერებს, რომლებიც სიცოცხლის ხანგრძლივობას იკვლევენ, მიაჩნიათ, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობა განპირობებულია სიცოცხლის განმავლობაში ურთიერთობების ხარისხით (Blocher, 2000). თავის მხრივ „სოციალური მხარდაჭერა, რომელსაც თითოეული ადამიანი იღებს სოციალური

თანადგომის ქსელიდან, უკავშირდება ყველა იმ ვერბალურ და არავერბალურ კომუნიკაციის საშუალებებს, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს, პიროვნებას მისცეს სტიმული და ცხოვრების დადებითად შეფასების უნარი“ (Junker, 2011).

ასაკში მყოფი ადამიანები ნელ-ნელა კარგავენ ოჯახის წევრებსა და მეგობრებს, რის გამოც უფრო დიდი ალბათობაა იმისა, რომ სიმარტოვესა და იზოლაციაში აღმოჩნდნენ. სოციალური იზოლაცია კი მათ ფიზიკურ და გონებრივ შესაძლებლობებს აქვეითებს. ასევე უარყოფითად მოქმედებს მათ ფსიქიკაზე, ზრდის ავადობისა და სიკვდილიანობის რისკებს. უნდა აღვნიშნოთ, რომ სოციალური კავშირი და სოციალური მხარდაჭერა დადებით გავლენას ახდენს ჯანმრთელობაზე, სუბიექტურ კარგად ყოფნასა და ცხოვრების ხარისხზე. ფართო სოციალური კავშირი და სოციალური მხარდაჭერა ამცირებს ავადობასა და სიკვდილიანობას, აუმჯობესებს ფსიქოლოგიურ ,,კარგად ყოფნას'' და ამცირებს ჯანმრთელობისთვის საზიანო ქცევებს (Cohen, 2004).

იაპონიის მაგალითს თუ განვიხილავთ, ვნახავთ, რომ ხანდაზმულები, რომლებიც სოციალური კონტაქტების და კავშირების ნაკლებობას განიცდიდნენ, 1,5-ჯერ უფრო მეტი ალბათობით იღუპებოდნენ იმ ადამიანებთან შედარებით, რომლებიც მაღალი სოციალური მხარდაჭერით გამოირჩეოდნენ (H. sugisawa; & J. liang; & X. liu, 1994).

საინტერესოა, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდისა და ოჯახის სტრუქტურის ცვლილების ფონზე აშშ-ში იზრდება ბებია-ბაბუების როლი და მულტიგენერაციული კავშირები 21-ე საუკუნის ოჯახის ცხოვრებაში ახალ ღირებულებებს ქმნის. იგივე ხდება ჩინეთშიც (Vern L. Bengtson; & Robert E. L. Roberts, 2009). მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთში თაობათაშორის კავშირებს ღრმა კულტურული და ისტორიული ფესვები აქვს, 21-ე საუკუნის თაობათაშორისმა კავშირებმა კიდევ უფრო გაუსვა ხაზი ბებია/ბაბუების როლებს, როგორც ოჯახის დამხმარე მნიშვნელოვან რესურსებს (G. Liu; & F. Chen; & Christine A. Mair, 2011). ამგვარად, ცხადია რომ პაპა-ბებიის როლების შეთავსება ხანდაზმულებისთვის დამატებით ფუნქციას წარმოადგენს, ახალი როლის შეთავსება კი გარკვეულწილად მათი ინტეგრაციის დადებით ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს.

გარდა საოჯახო ფუნქციებისა, ხანდაზმულთათვის მნიშვნელოვანია კარიერა და სამსახურეობრივი საქმიანობაც. ცხადია ასეთ დროს შენარჩუნებულია სოციალური

აქტივობა და საქმიანობის არეალიც იზრდება. ხანდაზმულობის ასაკში მუშაობის გაგრძელება გავლენას ახდენს ხანდაზმულთა თვითშეფასებაზე. ხანდაზმულს აქვს განცდა, რომ ის საჭირო, სასარგებლო პირია, რაც ასევე ამაღლებს მოტივაციას. ხანდაზმულებს, რომელთაც მენტორის როლი აკისრიათ ახალი ან ახალგაზრდა თანამშრომლების გარემოცვაში, უმაღლდებათ ცხოვრებით კმაყოფილების განცდა, რადგან თავს მნიშვნელოვან და საჭირო პირად გრძნობენ. იქმნება შესაძლებლობები, რომ კარიერულ მიზნებს მიაღწიონ (Stevens-Roseman, 2009). საზოგადოებრივ დისკურსში ხანდაზმული ადამიანები ხშირად მოხსენიებულნი არიან, როგორც არაკომპეტენტურნი და არაპროდუქტიულნი და ეს ხდება არამხოლოდ ინდივიდუალურ დონეზე, არამედ ტირაჟირებულია მედია საშუალებებითაც. იმის ნაცვლად, რომ ასაკთან დაკავშირებული ცოდნა და გამოცდილება დადებითად იქნას შეფასებული, ეს პირიქითაა გააზრებული (Schaie, 1993).

ხანდაზმული ადამიანი განვლილ ცხოვრებას აანალიზებს და აფასებს. თუ ადამიანი კმაყოფილია და საკუთარ ცხოვრებას პოზიტიურად აფასებს, ის ინტეგრირებულია, ხოლო თუ პირიქით ხდება, ადამიანს უკმაყოფილება, უიმედობა და სინანული ეუფლება. მას აღარ შეუძლია დაკარგული შესაძლებლობების ხელახლა გამოყენება. ასეთ შემთხვევაში მას, შესაძლოა, სიკვდილის შიშიც ქონდეს. გამოწვევები, რომლის წინაშეც დგება ხანდაზმული პირი, ხშირად საჭიროებს შეფასებასა და პროფესიონალი მუშაკის ჩართვასაც.

აღნიშნულ პერიოდს უკავშირდება, პიროვნული ფასეულობების, საკუთარი თავის შესახებ არსებული წარმოდგენების და მათი პიროვნების მნიშვნელობის გადაფასება მიმდინარე ცხოვრებისეული ფაქტების გათვალისწინებით. რის საფუძველზეც იცვლება თვითშეფასება, ცხოვრებისეული ფასეულობები, ცხოვრებით კმაყოფილება და ხშირად თავს იჩენს სტრესი, დეპრესია და სხვა ემოციური პრობლემები.

ხანდაზმულებში ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესების ორი ძირითადი რისკ-ფაქტორი არსებობს:

- სოციალური დანაკარგების გადალახვის შეუძლებლობა და
- ცხოვრების მიზნების არარსებობა (Ch. Zastrow; & Karen K. Kirst-Ashman, 2015).

ხანდაზმულობის ასაკისთვის დამახასიათებელი ფსიქოლოგიური ფაქტორების ცოდნა გვეხმარება აქტიური დაბერების ხელშემწყობი ფაქტორების უზრუნველყოფაში. ცვლილებებთან შეგუების და ადაპტაციის უნარ- ჩვევების ცოდნა ხანდაზმულთა სიცოცხლისუნარიანობისთვის მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენს (CH. Smits; & DJ. Deeg; & DM. Kriegsman; &B. Schmand, 1999).

ყოველივე ზემოთ მოყვანილის გათვალისწინებით, ხანდაზმულთა ჯანმრთელობის, საზოგადოებაში ჩართულობის გასაძლიერებლად, აუცილებელია, რომ ხანდაზმულები სარგებლობდნენ სოციალური დახმარებით, ჰქონდეთ განათლების შესაძლებლობა, იყვნენ მშვიდ და უსაფრთხო გარემოში, დაცულნი იყვნენ ძალადობისა და შეურაცხყოფისაგან, არ იყვნენ უგულებელყოფილნი და იზოლირებულნი. წინააღმდეგ შემთხვევებში იზრდება შესაძლებლობების შეზღუდვის და ნაადრევი სიკვდილიანობის რისკები.

ამასთან აუცილებელია აღინიშნოს, რომ ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობა, რეგულირებული კვება, ფიზიკური ვარჯიში, სტრესისა და მავნე ნივთიერებების თავიდან აცილება და პოზიტიური შეხედულებები მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდასთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. David Sinclair . lifespan, Why We Age And Why We Don't Have To. 2019

2. Vern L. Bengtson; & Robert E. L. Roberts. (2009). Intergenerational Solidarity in Aging 3. Families: An Example of Formal Theory Construction. Journal of Marriage and the Family

4. S. Crocke; & K. D. Melillo. (2011). Geropsychiatric and Mental health nursing. Ontario: Jones & bartlett learning.

5. ლანა ხუჭუა . 24 საათიან სახელმწიფო მზრუნველობის სისტემაში მყოფ ხანდაზმულთა ბიო-ფსიქო-სოციალური გამოწვევები საქართველოში. (2018);

რეზუმე

დღეს, როდესაც მსოფლიო ისეთი სერიოზული პრობლემის წინაშე დგას, როგორიცაა covid-19, სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს 60+ ასაკის ადამიანებზე ზრუნვა. მათი ფიზიკური და ფსიქოლოგიური მზაობის გაძლიერება, მსგავსი ტიპის გამოწვევის წინაშე.

რატომ ბერდებიან ადამიანები? როდის იწყება დაბერება? რა არის დაბერების განსაზღვრის მარკერი?

ცნობილმა მეცნიერმა დევიდ სინკლერმა, გამოავლინა რამოდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელსაც "ბრალი ედება" ადამიანის დაბერებაში. იდენტიფიცირებულია რამოდენიმე მნიშვნელოვანი ცილა (NAD, სირტუინები და სხვა), რომლებიც ასაკთან ერთად კლებულობს და უჯრედების დაბერებას იწვევს. დაბერებული უჯრედები იმის გარდა, რომ სათანადოდ ვერ ფუნქციონირებენ, გამოყოფენ მავნე ნივთიერებების კოქტეილს და მწყობრიდან გამოჰყავთ მათ ირგვლივ არსებული უჯრედებიც. ამას მოსდევს დნმ-ის დაზიანება და სხვა მნიშვნელოვანი საზიანო შეუქცევადი პროცესები.

სირტუინების ფუნქციონირებისათვის საჭიროა კოფერმენტი ნად-ი (NAD) (ნიკოტინამიდადენინდინუკლეოტიდი). აქტიური ფიზიკური დატვირთვის, შიმშილის და სიცივის ზემოქმედებისას, იზრდება როგორც სირტუინების ასევე ნად-ის (NAD)აქტივაცია ორგანიზმში.

კვლევების შედეგად ასევე აღმოჩენილი იქნა რიგი ნივთიერებები, რომლებიც აჩერებენ სიბერეს, ესაა რესვერატროლი რომელსაც შეიცავს ყურძენი, არახისი, ჟოლო და ზოგიერთი სხვა მცენარე. შემდეგი ნივთიერება რომელიც მოქმედებს სიცოცხლის ხანგრძლივობაზე ესაა მეტფორმინი, ის მიიღება Helleborus niger მცენარეებიის ოჯახიდან. მეტფორმინი ასევე აქვეითებს შაქრიანი დიაბეტის და ონკოდაავადების განვითარების რისკსაც.



თუმცა სიცოცხლის ხანგრძლივობა არ არის უმთავრესი ფენოტიპი. მნიშვნელოვანია არა მარტო სიცოცლის ხანგრძლივობა, არამედ ,,კარგი წლების'' რაოდენობის მაქსიმიზაცია; წარმატებული დაბერების გასაზომად არ გამოიყენება მხოლოდ ერთი ატრიბუტი, პირიქით, საჭიროა კომბინირებული ინდიკატორების გათვალისწინება;

ასე განვითარდა შედარებით ახალი მიმართულებები ბიოხაკინგი და გერენტოსოციოლოგია.

გერენტოსოციოლოგიის - აქტუალური ამოცანაა სიბერისა და დაბერების ზოგადი სოციოლოგიური თეორიის შემუშავება.

ბიოხაკინგი - ეს არის სამედიცინო და გამაჯანსაღებელი ღონისძიებები, რომელიც მიმართულია ცხოვრების გახანგრძლივებაზე და მისი ხარისხის გაუმჯობესებაზე , რაც ითვალისწინებს კვების რეჟიმის და ძილის მოწესრიგებას, ფიზიკურ აქტივობას, ფსიქოლოგიურ ტრენინგებს და სხვა.

ყოველივე ზემოთ მოყვანილის გათვალისწინებით, ხანდაზმულთა ჯანმრთელობის, საზოგადოებაში ჩართულობის გასაძლიერებლად, აუცილებელია, რომ

ხანდაზმულები სარგებლობდნენ სოციალური დახმარებით, ჰქონდეთ განათლების შესაძლებლობა, იყვნენ მშვიდ და უსაფრთხო გარემოში, დაცულნი იყვნენ ძალადობისა და შეურაცხყოფისაგან, არ იყვნენ უგულებელყოფილნი და იზოლირებულნი. წინააღმდეგ შემთხვევებში იზრდება შესაძლებლობების შეზღუდვის და ნაადრევი სიკვდილიანობის რისკები.

ამასთან აუცილებელია აღინიშნოს, რომ ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობა, რეგულირებული კვება, ფიზიკური ვარჯიში, სტრესისა და მავნე ნივთიერებების თავიდან აცილება და პოზიტიური შეხედულებები მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდასთან.

Malkhaz Kereselidze

Deputy Chairman of the Board of the Georgian Pensioners' Association, Chairman of the Coordinating Council of Voluntary Advisors, Academic Doctor of Medicine and Economics, Professor;

Irma Berulava

Clinic "Family" Doctor Neurologist, Member of the Coordinating Council of the Georgian Pensioners' Voluntary Advisory Council, Master of Psychological Sciences

The Medical and Psycho-Social Aspects of Aging

Summary

Caring for people over the age of 60+ is becoming increasingly important. Strengthen their physical and psychological readiness to face a similar type of challenge.

There are age-defining markers.

Several important proteins have been identified in human aging,which decrease with age and cause cell aging.

Aged cells do not function properly and secrete a cocktail of harmful substances. Next the cells around them are disrupted, DNA damage develops and other important harmful irreversible processes take place.

In the process of studying the course of aging, relatively new directions were developed – biohacking and gerontosociology.

რუსუდან კვანჭახაძე

პროფესორი, საქართველოს უნივერსიტეტი , ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი

ხათუნა კეკელაშვილი

დოქტორანტი, საქართველოს უნივერსიტეტი , ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი

შაქრიანი დიაბეტის მართვის პროგრამების ზოგადი მიმოხილვა ამერიკის შეერთებულ შტატებში

მსოფლიოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის კუთხით წინა საუკუნიდან დღემდე მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა. თუ გასული საუკუნის დასაწყისში მსოფლიო მოსახლეობის ავადობის და სიკვდილობის მიხედვით წამყვანი ადგილი ჯერ კიდევ ინფექციურ (გადამდებ) დაავადებებს ეკავა, სამედიცინო სფეროს განვითარებასთან ერთად მათი წილი თანდათან შემცირდა და წამყვანი ადგილი საუკუნის ბოლოსკენ არაგადამდებმა დაავადებებმა დაიკავა როგორც ავადობის, ისე სიკვდილობის მიხედვით. ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემად არაგადამდები დაავადებებს შორის თავისი მნიშვნელობის, გავრცელებისა და ზიანის მიხედვით შაქრიანი დიაბეტი განიხილება. დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციის მონაცემებით, 2018 წლისთვის მსოფლიო მასშტაბით 451 მილიონი 18 წელზე მეტი ასაკის ადამიანია დაავადებული დიაბეტით. ექსპერტების ვარაუდით ეს რიცხვი 2045 წლისათვის 693 მლნ-მდე გაიზრდება. ამასთან დადგენილია, რომ დიაბეტით დაავადებულთა დაახლოებით 49,7% არ არის დიაგნოსტირებული. ჯანმოს მონაცემებით, მსოფლიოში ყოველწლიურად 5 მილიონამდე ადამიანი იღუპება დიაბეტთან დაკავშირებული

გართულებების გამო და ის აგდ-ით გამოწვეულ სიკვდილის მიზეზთა პირველ სამეულში შედის.

შაქრიანი დიაბეტის მართვა და მისი გართულებების მკურნალობა მოითხოვს ჯანმრთელობის დაცვის უზარმაზარ რესურსებს, დიაბეტის პროგრამის მიმდინარეობაში მნიშვნელოვანი პროგრესის მიუხედავად, არსებობს პრობლემები და გამოწვევები, რომელთა გადაჭრა არსებითია დიაბეტის ეფექტური კონტროლისთვის.ამ კუთხით მნიშვნელოვანი და საინტერესოა მოწინავე ქვეყნების გამოცდილება. განსაკუთრებით საინტერესოა შაქრიანი დიაბეტის მართვის პროგრამები აშშ-ში

2020 წლის მდგომარეობით, აშშ-ში დაახლოებით 34 მილიონი (11%) ადამიანი დაავადებულია შაქრიანი დიაბეტით. 88 მილიონი ზრდასრული ამერიკელს აქვს პრედიაბეტი. 2020 წელს ქვეყნის მასშტაბით ეს დაავადება სიკვდილიანობის მიზეზთა შორის მეშვიდე ადგილზე არის. დიაბეტის შედეგების ძირითადი ეფექტები, მისი გავლენა როგორც პაციენტებზე, ასევე საზოგადოებაზე აღიარებულია სახელმწიფოს მიერ როგორც ფედერალურ, ისე ცალკეული შტატების დონეზე. 2016 წლის მეორე ნახევრიდან 46 შტატში და კოლუმბიის ოლქში მოქმედებს კანონმდებლობა, რომელიც მოითხოვს შაქრიანი დიაბეტის მკურნალობის დაფარვას ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისების მიერ. მისისიპისა და მისურის შტატების კანონმდებლობა მოითხოვს მხოლოდ იმას, რომ სადაზღვევო კომპანიები უზრუნველყოფდენ დაფარვას, მაგრამ აუცილებელ პირობად არ აყენებს ყველა აქტიური პოლისის მოცვას. შტატების უმეტესობა მოითხოვს როგორც დაავადების მკურნალობის, ისე შაქრიანი დიაბეტისთვის აუცილებელი იმ მოწყობილობებისა და მარაგების დაფინანსებას, რომლებიც უხშირესად გამოიყენება პაციენტის მიერ ბინაზე თვითკონტროლისთვის. კიდევ არსებობს ოთხი შტატი, რომელსაც არ გააჩნია არანაირი მანდატი ან დაზღვევა შაქრიანი დიაბეტისთვის. ესენია, ალაბამა, აიდაჰო, ჩრდილოეთ დაკოტა და ოჰაიო.

შაქრიანი დიაბეტის მართვა და მისი გართულებების მკურნალობა მოითხოვს ჯანმრთელობის დაცვის უზარმაზარ რესურსებს. შესწავლილი 155 ჯანმრთელობის მდგომარეობიდან, 2013 წელს აშშ-ს ჯანდაცვის ხარჯებში დიაბეტი პირველ ადგილზეა. აშშ-ში დიაბეტი გადაიქცა ძვირადღირებულ ქრონიკულ მდგომარეობად.

ჯანმრთელობის დაზღვევის ღირებულების ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, 2012 წელს დაფიქსირდა დიაბეტზე გაწეული სამედიცინო ხარჯების და წარმოების დანაკარგების საერთო ღირებულების ზრდა, რომელმაც საერთო ჯამში 245 მილიარდი დოლარი შეადგინა. შედარებისთვის უნდა აღინიშნოს, რომ 2007 წელს დიაბეტის ხარჯების საერთო ღირებულება 174 მილიარდი დოლარი იყო.

მთლიანი ეკონომიკური დახარჯის საერთო ღირებულებამ 2017 წელს აშშ ეროვნულ დონეზე შეადგინა 465,2 მილიარდი აშშ დოლარი, მ.შ. სამედიცინო ხარჯები - 214.1 მილიარდი დოლარი (46%), 139,6 მილიარდი აშშ დოლარი (30%) ავადობის ხარჯები და 111.5 მილიარდი დოლარი (24%) სიკვდილიანობის ხარჯები. შაქრიანი დიაბეტის სავარაუდო ეკონომიკური ღირებულება, მათ შორის პირდაპირი სამედიცინო ხარჯები და არაპირდაპირი პროდუქტიულობის დანაკარგები, აშშ-ში 2012 წელს 245 მილიარდი დოლარი იყო, 2017 წელს კი - 327 მილიარდი (3,4) და ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ეს მონაცემები განუხრელად იზრდება. გარდა ამისა, მოსალოდნელია, რომ 2025 წლისთვის დიაბეტის მქონე ადამიანების რიცხვი გაორმაგდება, რაც აყენებს გაზრდილ მოთხოვნებს ჯანდაცვის სისტემის მიმართ.

დიაბეტი არათანაბრად აზიანებს ამერიკელ ინდიელებს/ალსკის მკვიდრებს (AI/AN) სხვა რასობრივ/ეთნიკურ ჯგუფებთან შედარებით და მისი გავრცელება ამ ჯგუფში იზრდება. CDC-ის შეფასებით, AI/AN მოზრდილებში დიაბეტის გავრცელება ორჯერ მეტია აშშ-ს ზრდასრული მოსახლეობაში საერთო გავრცელებასთან შედარებით. CDC-ის 2003 წლის კვლევამ აჩვენა, რომ 2003 წლის განმავლობაში 20 წლის და მეტი ასაკის ამერიკელი ინდიელების და ალასკელების 16.5%-მა მიიღო სამედიცინო დახმარება დიაბეტის გამო ინდიელების ჯანდაცვის სამსახურში (IHS). აშშ-ს კონგრესმა 1997 წელს შექმნა სპეციალური დიაბეტის პროგრამა ინდიელებისთვის (SDPI). SDPI უზრუნველყოფს შაქრიანი დიაბეტის მკურნალობისა და პროფილაქტიკური მომსახურების დაფინანსებას IHS პროგრამის, ინდიელების სატომო და საქალაქო ჯანდაცვითი პროგრამების 399 მიმწოდებლისთვის, ინდიელებით დასახლებულ 12 ტერიტორიაზე და 35 შტატში.

დიაბეტის მქონე ადამიანთა უმრავლესობა სარგებლობს კერძო (39%) ან მედიქეარის (Medicare) დაზღვევით (44%). 65 წლამდე ასაკის დიაბეტით დაავადებული

მოსახლეობის 11% არ არის დაზღვეული და სავარაუდოდ არის დაბალი შემოსავლის მქონე მოსახლეობის ჯგუფში. კერძო დაზღვევის მქონე დიაბეტით დაავადებული პირები დაზღვეულნი არიან დამსაქმებელთა მიერ ან ფლობენ ინდივიდუალური ჯანმრთელობის სადაზღვევო პაკეტს. დამსაქმებლის მიერ დაფინანსებული დაზღვევა ყველაზე პოპულარულია, რადგან ის სუბსიდირებულია და ჯანმრთელობის დაცვის უფრო მაღალ შესაძლებლობებს იძლევა. 65 წელზე ნაკლები ასაკის მქონე პირები, რომელთაც მათი სამსახური ან მათი ოჯახის წევრების სამსახური არ სთავაზობს ამგვარ დაზღვევას, ჩვეულებრივ მიმართავენ "ინდივიდუალურ სადაზღვევო ბაზარს". ზოგიერთ შემთხვევაში, ადამიანებისთვის შეიძლება არ იყოს ხელმისაწვდომი ინდივიდუალური დაზღვევა ან არსებული პაკეტი სრულად არ ფარავდეს დიაბეტის მკურნალობას, მიუხედავად იმისა, რომ ეს ადამიანები "მანდატის მქონე" შტატებში ცხოვრობენ.

აღსანიშნავია ასევე დაავადებათა კონტროლის ცენტრების (CDC - დკპც) მიერ მხარდაჭერილ დიაბეტის პრევენციისა და კონტროლის საშტატო პროგრამები. დკპც უზრუნველყოფს შტატების ფინანსურ დახმარებას და მხარდაჭერას, რათა გაუმჯობესდეს ჯანდაცვის მომსახურება დიაბეტისა და მასთან დაკავშირებული გართულებების პრევენციის, გამოვლენისა და მკურნალობის კუთხით. ეს დახმარება წარმოდგენილია შტატისთვის განკუთვნილი მიზნობრივი გრანტის სახით, რომლებსაც, როგორც წესი, ჯანმრთელობის სხვა პროგრამებთან ერთად, ახორციელებენ და ზედამხედველობას უწევენ შტატის ჯანდაცვის დეპარტამენტები. ხშირად სწორედ ეს პროგრამები (DPCPs) წარმოადგენს თითოეულ შტატში ფრონტის წინა ხაზს დიაბეტთან ბრძოლისას, მისი პრევენციის, მართვისა და კონტროლის საქმეში. შტატები ყოველწლიურად მიმართავენ ფედერალურ დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრს (CDC) დიაბეტის პრევენციისა და კონტროლის პროგრამების (DPCPs - დპკ პროგრამები).

გამოყენებული ლიტერატურა

1. მოსახლეობის აღწერის ამერიკის ბიურო. აშშ და პუერტო რიკოს მოსახლეობის აღწერა. http://factfinder.census.gov/servlet/GCTTable?_bm=y&-geo_id=01000US&-_box_head_nbr=GCT-T1&-ds_name=PEP_2007_EST&-_lang=en&-format=US-9&-_sse=on. The 2007 estimate is used for all the states and territories unless otherwise noted.
2. შეერთებული შტატების საყოველთაო აღწერის ბიურო. საყოველთაო ჯანმრთელობის დაზღვევის დაფარვის სტატუსი: 1992007. www.census.gov/hhes/www/hlthins/historic/hihistt4.xls

3. ეროვნული ფარმაცევტული საბჭო. ფარმაცევტული დახმარება სახელმწიფო სამედიცინო დახმარების პროგრამებში. http://www.scribd.com/doc/8417428/Pharmaceutical-Benefits-Under-State-Medical-Assistance-Programs-2007

4. http://www.cdc.gov/diabetes/statistics/prev/state/tNumberTotal.htm) accessed 9/10/08.

Rusudan Kvanchakhadze

MD, Ph.D The University of Georgia,

National Center for Disease Control and Public Health Georgia

Khatuna KeKelashvili

MDThe University of Georgia,

National Center for Disease Control and Public Health Georgia

A Overview of Diabetes Management Programs in the United States

Summary

Nearly 34 million people in the United States have diabetes, equal to 11 percent of the total population as of 2020. An estimated additional 86 million adults age 20 and older have "pre-diabetes," a condition that still can be halted. According to the Centers for Disease Control and Prevention (CDC), about 1.9 million people aged 20 years or older were newly diagnosed with

diabetes in 2015 in the United States. The CDC data report released confirmed that diabetes is the largest and fastest-growing chronic disease in the nation.

Diabetes has become a costly chronic condition in the United States. According to thestudy by the Health Care Cost Institute, medical costs and productivity loss attributable to diabetes were estimated to be $245 billion. By comparison, the estimated total cost of diabetes in 2007 was $174 billion. By 2012 the total cost of diabetes had increased to $245 billion,meaning that the disease's toll on the economy has increased by more than 40 percent since 2007, according to a recent report from the American Diabetes Association.

გიორგი თვალთვაძე

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,

თბილისის სამედიცინო ცენტრის ჰერას ექიმი

ადნექსიტის მკურნალობის თანამედროვე ხედვა. შეერთებული შტატების მაგილითი

საკუთარი გამოცდილების მიმოხილვა

აშშ-ს დაავადებათა კონტროლისა და პროფილაქტიკის ცენტრის (Center for Disease Control and Preventation) თანახმად, შეერთებულ შტატებში რეპროდუქციული ასაკის ათი ქალიდან ერთს აწუხებს დანამატების ქრონიკული ანთება და ყოველ მეოთხეს აქვს გარგკვეული გართულებები.

საშვილოსნოს დანამატების ანთება (ადნექსიტი, სალპინგოოფორიტი) ქალის სასქესო სფეროს ერთ – ერთი გავრცელებული დაავადებაა, რომელიც ხასიათდება საკვერცხეების (ოოფორიტი) ან ფალოპის მილების ანთებით (სალპინგიტი). ფალოპის მილების და საკვერცხეების ერთდროულ ანთებას (ყველაზე ხშირად აღინიშნება) ეწოდება ადექსიტი, ანუ სალპინგო-ოოფორიტი. მწვავე ადნექსიტი (საშვილოსნოს დანამატების მწვავე ანთება), რომელიც მკურნალობის გარეშე დიდი ხნის განმავლობაში გრძელდება, შეიძლება გადავიდეს ქრონიკულ ფაზაში. საშვილოსნოს ანთების დიაგნოზი ემყარება გინეკოლოგიურ გამოკვლევას, მიკროფლორაზე საშოდან ნაცხის გამოკვლევას, საშვილოსნოს ულტრაბგერითი გამოკვლევას და ა.შ., მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ახალი მედიკამენტი და თერაპიის მეთოდები ბლო ხანს შემუშავდა, ეს პრობლემა დღემდე მოუგვარებელი რჩება.

ადნექსიტის მიზეზი შეიძლება იყოს აბორტი, გართულებული მშობიიარობა, შემთხვევითი სქესობრივი კავშირი, გარედან შემოჭრილი ინფექცია, ზოგიერთი არასტერილური ქირურგიური მასალა, სხვადასხვა ინფექციური დაავადება, განსაკუთრებით ჩირქოვანი კერით. თუმცა, პათოგენის შეყვანა ყოველთვის არ ნიშნავს შემდგომ პათოლოგიის განვითარებას. ბევრი რამ დამოკიდებულია პათოგენის

თვისებებზე, ასევე ქალის იმუნური სისტემის ხარზისხე. ამრიგად, ნებისმიერ გარეგან ან შინაგან ფაქტორს, რომელიც იწვევს იმუნიტეტის შესუსტებას (ჰიპოთერმია, რეინფექცია, სტრესი, აბორტი, ადინამია, ცუდი კვება, ჰიპოვიტამინოზი და ა.შ.), შეუძლია ამ პათოლოგიის პროვოცირება.

ამის ფონზე, ნებისმიერ საშვილოსნოსშიდა ჩარევას, მაგალითად,საშვილოსნოში "სპირალის"შეყვანა, სხვადასხვა ავტორების აზრით, 3-5-ჯერ ზრდის ადნექსიტის განვითარების რისკს.

დაავადების კლინიკურ სურათს ახასიათებს ტკივილი მუცლის ქვედა ნაწილში, რის მოქმედების დროს ,ასევე სქესობრივი კავშირის დროს. ტკივილი შეიძლება გავრცელდეს ზურგის ქვედა ნაწილში და /ან მეზობელ ორგანოებებზე, განსაკუთრებით შორს წასულ შემთხვევებში, თუ ჩირქოვანი პროცესი გადავიდა რეტროპერიტონეალურ სივრცეში. ანთებას თან ახლავს სხეულის ტემპერატურის მომატება მაღალ რიცხვამდე, 40-41 გრადუსამდეც. პაციენტი უჩივის დისპეფსიურ მოვლენებს (მეტეორიზმი, გულისრევა, ღებინება), შარდვის დარღვევა. შეიძლება აღინიშნოს გარე სასქესო ორგანოებიდან ექსუდაციური ან ჩირქოვანი ხასიათის გამონადენი. ყველა ეს სიმპტომი მწვავე ადნექსიტისთვის დამახასიათებელია. ამ შემთხვევაში, ფალოპის მილის ყველა ფენა მონაწილეობს პათოლოგიურ პროცესში, რის შედეგადაც მის სანათურში გროვდება სეროზულ-ჩირქოვანი შიგთავსი.

თუ ამ პროცესში ჩართულია საკვერცხე, მასში ჩირქოვანი კერები წარმოიქმნება.

უკიდურეს შემთხვევებში, მთელი საკვერცხე შეიძლება გადაიქცეს ჩირქოვან მასათ. მილის ან/და საკვერვხის ჩირქოვანი"დადნობის" შემთხვევაში, ჩირქი მუცლის ღრუში შეაღწევს პერიტონიტის შემდგომი განვითარებით.

მწვავე ადნექსიტის მკურნალობის ტრადიციული სქემა, **რომელსაც ასევე აშშ – შიც** გამოიყენებენ, შემდეგია.

ვინაიდან ტკივილი ამ პათოლოგიის დროს გამოწვეული ანთებითი პროცესით, საჭიროა ანთების ინტენსიური მკურნალობ: ინიშნება ანტიბიოტიკები, სულფონამიდები და სხვა სახის ანთების საწინააღმდეგო პრეპარატები, ანტიალერგიული საშუალებები. ინტოქსიკაციის სიმპტომების შესამსუბუქებლად,

ინიშნება ინფუზიური თერაპია (დღეში 2-2,5 ლიტრამდე). მწვავე სიმპტომების შემსუბუქება ხდება რამდენიმე დღეში, მაგრამ ხშირად დაავადება მწვავე ქრონიკულ ეტაპზე გადადის.

ქრონიკული ადნექსიტი არის ხანგრძლივი,უწყვეტი გაჭიანურებული პროცესი, რომელიც მიმდინარეობს მუდმივად ან მდგომარეობის პერიოდული ცვლილებებით.

ადნექსიტს ახასიათებს შემდეგი გართულებები: მენსტრუალური ციკლისა და სექსუალური ფუნქციის დარღვევა (ტკივილი სქესობრივი კავშირის დროს, ლიბიდოს დაქვეითება), უნაყოფობა, რადგან მიკროორგანიზმების უმეტესობა (მიკოპლაზმები, ურეაპლაზმა, ქლამიდია) პარაზიტირებს ეპითელიუმში, კერძოდ, ფალოპის მილებში. ამ შემთხვევაში, მილის სანათური (1-2 მმ) ივსება შემაერთებელი ქსოვილით, რაც იწვევს მილის პერისტალტიკისა და გამტარიანობის დაკარგვას. შესაბამისად, საკვერცხის კაფსულა სქელდება, ოვულაციის პროცესი შეფერხებულია, ადჰეზიური პროცესის გამო პერიტონეუმი მკვრივდება და ვითარდება მომიჯნავე ორგანოების ფუნქციის დარღვევა. საშოდან მუდმივი უსიამოვნო გამონადენის გამო ქალი განიცდის დისკომფორტს. მნიშვნელოვანია, რომ პერიოდული ან მუდმივი გამაღიზიანებელი ტკივილის პირობებში, ცენტრალური ნერვული სისტემაც ირთვება პათოლოგიურ პროცესში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული ფსიქიკური დარღვევები, პიროვნების ცვლილებების ჩათვლით.

ბოლო 17 წლის განმავლობაში, თბილისის №2 სამშობიარო სახლის ბაზაზე წარმატებით იყო გამოყენებული ქვემწვავე და ქრონიკული ადნექსიტის მკურნალობის შემდეგი სქემა:

1. საშოს სანაცია მადეზინფექციო ხსნარებით მალამოს აპლოკაციების გამოყენებით და შემდგომი სუპოზიტორული თერაპია, პათოგენის ვირულენტობის გათვალისწინებით.

2. ელექტროფორეზის მეთოდი, რომელიც წარმოადგენს ელექტრომაგნიტური ეფექტების მქონე მოქმედების გაერთიანებას ელექტროდენის გამოყენებით დაზიანების კერაში მედიკამენტების შეყვანასთან. მიღებულ იქნა კარგი ანთების საწინააღმდეგო ეფექტი, შეხორცებების დარბილება და ტკივილგამაყუჩებელი მოქმედება ინდომეტაცინით ელექტროფორეზის დროს (5-7 სესია), შემდეგ 5 სესიაზე

ბიოსტიმულატორებით: ლიდაზა, ბილიდაზა, პელოიდოდისტილატი, ალოეს ექსტრაქტი.

3. ლაზერული თერაპია - დაბალი ინტენსივობის ლაზერით მოქმედება დაზიანების კერაზე. ტალღის სიგრძეა 0.65 მიკრონი. სიმძლავრე 5 მვტ. ლაზერული მოდულაციის სიხშირე 1.5.10 Hz. მაქსიმალური ეფექტი მიიღწევა ვაგინალური მიდგომის გამოყენებით (დიფუზორით). ექსპოზიცია 5-10 წუთი. პროცედურების რაოდენობაა 8-10.

4. ძლიერი შეშუპების და ანთების საწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელი მოქმედებას ადგილი აქვს საკვერცხეების პროექციაზე ცვალებადი მაგნიტური ველით ამარატ "მაგნიტერის" საშუალებით მაგნიტოთერაპიის ჩატარებისას. ექსპოზიცია 10-15 წუთი. პროცედურების რაოდენობაა 10-12. ამპლიტუდა 10-13მგ \ ლ.

5. პარამეტრიებისა და მენჯის ღრუს არეში ქრონიკული ადნექსიტის, ენდომეტრიტის, აგრეთვე შეხორცებებისა და ნაწიბუროვანი ცვლილებების კომპლექსურ მკურნალობაში გამოიყენება ელექტროგამათბობელი PEN-01. ექსპოზიცია 10-15 წუთია 37-43 ° C ტემპერატურაზე.

6. ქრონიკული ადნექსიტის პერიოდული გამწვავების დროს, მენჯის არეში ტკივილის შესამცირებლად, გამოიყენება ელექტრო აკუპუნქტურა(წერტილები huan-tiao,yin-gun, shu-gu, san-yin-jiao, he-gu, tsu-san-li) ელექტრო- და შუქით აკუპუნქტურის მოწყობილობით "Rampa-ES", გასხივების სიმძლავრე 7 მგვტ., ტალღის სიგრძე 0.9-1.2 მიკრონი, ექსპოზიცია 30-60 წმ.

ყოველივე ზემოთქმულის შეჯამებით შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გაკეთება: ადნექსიტის მკურნალობა უნდა მოხდეს ეტაპობრივად. მწვავე პროცესის კუპირება პათოგენის ვირულენტობის გათვალისწინებით არ ნიშნავს სრულ განკურნებას. სათანადო მკურნალობის ჩატარება არატრადიციული მეთოდების გამოყენებით ხელს შეუშლის ამ პათოლოგიის გართულებების განვითარებას, ხოლო მკურნალობის კურსების პერიოდულობა და სიხშირე (ყოველ ექვს თვეში ერთხელ მაინც) შეაჩერებს ანთებითი პროცესის მავნე მოქმედების გავლენას ქალის მთელ ორგანიზმზე.

Giorgi Tvaltvadze

MD, PhD; Doctor of the HERA Tbilisi Medical Center

A Modern View of Adnexitis Treatment. American Experience

Original Experience Summary Survey

Adnexitis treatment should be phased. Stopping the acute process, taking into account the virulence of the pathogen, does not mean a complete cure. Conducting appropriate treatment using non-traditional methods will prevent complications of this pathology, and the frequency/periodicity of treatment courses (at least once every six months) will stop the harmful effects of the inflammatory process on the woman's body as a whole.

სექცია: ფილოსოფია

ირაკლი ბათიაშვილი

ფილოსოფიის დოქტორი, ევროპის უნივერსიტეტის

პროფესორი, მოწვეული პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ამერიკული განმანათლებლობის დიდი ინსპირატორი -ჯონ ლოკი

ფაქტია, რომ ჯონ ლოკის პოლიტიკურ-ფილოსოფიურმა მემკვიდრეობამ სერიოზული ზეგავლენა მოახდინა ისეთი დიდი ისტორიული მოვლენის ფორმირებაზე, როგორიც იყო ამერიკული განმანათლებლობა. ეს განსაკუთრებით ეხება მის ცნობილ ნაშრომს - `ორი ტრაქტატი მმართველობის შესახებ". მასში წარმოდგენილმა ლიბერალიზმის პრინციპებმა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ამერიკელი განმანათლებლების იდეური სულისკვეთება და თავისი ღრმა კვალი დაამჩნია თვით 1776 წლის დამოუკიდებლობის დეკლარაციას.

ჯონ ლოკი (1632-1704) იურისტის ოჯახში დაიბადა; დაამთავრა ოქსფორდის უნივერსიტეტი. შემდეგ იგი ლორდ შეფტსბერის ოჯახში მუშაობდა ექიმად და აღმზრდელად. პოლიტიკის სფეროში მან დაწერა უმნიშვნელოვანესი ტრაქტატები: `გამოცდილება შემწყნარებლობის შესახებ", და რაც მთავარია, `ორი ტრაქტატი მმართველობის შესახებ".

ამ წიგნს ის იწყებს სიტყვებით: მონობა წარმოადგენს იმდენად საზიზღარ და საცოდავ მდგომარეობას ადამიანისა, რომელიც შინაგანად მიუღებელია ჩვენი ხალხის ზნისა და სიმამაცისათვის. ჯონ ლოკი საუბრობს ადამიანთა პოლიტიკური ერთობის გენეზისის და სამოქალაქო საზოგადოების რაობის შესახებ. ამისთვის იგი, პირველ რიგში, განიხილავს ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობისათვის დამახასიათებელ ძირეულ ატრიბუტებს: ესაა თავისუფლება და თანასწორობა; ანუ ბუნებითგან ყველა ადამიანი თავისუფალი და თანასწორია (შეიძლება ითქვას, რომ ესაა ღვთის მიერ

დადგენილი მდგომარეობა!). აქედან გამომდინარე, არცერთ ადამიანს არ აქვს უფლება ზიანი მიაყენოს სხვის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, თავისუფლებას და საკუთრებას. მაშასადამე, ვზრუნავთ რა საკუთარი სიცოცხლის შენარჩუნებაზე, ვალდებული ვართ ვიზრუნოთ სხვისი სიცოცხლის შენახვაზეც. შესაბამისად, ადამიანის ბუნებრივი უფლებების შელახვისთვის დამნაშავე უნდა დაისაჯოს და ესეც ბუნებრივი კანონზომიერებაა (გავიხსენით სისხლის აღების ტრადიცია სვანებთან, ვენდეტა კორსიკელებთან...). აღნიშნული ბუნებრივი მდგომარეობა კი გრძელდება მანამ, სანამ ადამიანები ნებაყოფლობით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე არ ხდებიან წევრები რომელიღაც პოლიტიკური მთლიანობისა (ერთობის).

მაგრამ, ლოკის თანახმად, ადამიანთა ბუნებრივი მდგომარეობის გარდა რომელიც ეფუძნება უზენაეს გონებას (ანუ ღვთაებრივ განგებულებას), არსებობს საყოველთაო ომის მდგომარეობა (ბრძოლა ყველასი ყველას წინააღმდეგ) ანუ ურთიერთმტრობის მდგომარეობა: ესაა, როდესაც ემუქრებიან ჩვენ სიცოცხლეს ან თავისუფლებას და ეს მუქარა ანუ ურთიერთმტრობა ისეთივე მუდმივი თანმდევია ბუნებრივი ადამიანის ყოფიერებისა, როგორც თავისუფლება და თანასწორობა. ცხადია, ამასთან ერთად ყველა ადამიანს აქვს ბუნებრივი უფლება დაიცვას თავისი სიცოცხლე და თავისუფლება ანუ შეეწინააღმდეგოს აგრესორს.

სწორედ ამ საყოველთაო ომის (მტრობის) პირველყოფილი მდგომარეობის დასაძლევად ადამიანებმა გადაწყვიტეს უარი თქვან ბუნებრივ მდგომარეობაზე, და ნებაყოფლობით შექმნან პოლიტიკური საზოგადოება. მაშასადამე, ლოკის თანახმად, სწორედ უსაფრთხოების ინტერესებმა (ანუ თვითშენახვის ინსტიქტმა) მთავარი როლი ითამაშეს საზოგადოებრივი ხელშეკრულების საქმეში.

ძალზედ მნიშვნელოვანია ჯონ ლოკის აზრები მონობის შესახებ. იგი აღნიშნავს: ადამიანის ბუნებრივი თავისუფლება მდგომარეობს იმაში, რომ იგი არ ემორჩილება არაფერს დედამიწაზე (ანუ თავისუფალია ყველაფრისგან), ე.ი. არ ემორჩილება სხვა ადამიანის ნება-სურვილს და ემორჩილება ბუნების კანონს (რაც ღვთისგანაა). ხოლო ადამიანის თავისუფლება საზოგადოებაში მდგომარეობს იმაში, რომ იგი არ ემორჩილება არაფერს, გარდა იმ საკანონმდებლო ხელისუფლებისა, რომელიც მიღებულია საერთო შეთანხმებით.

ეს თავისუფლება იმდენად არსებითია და აუცილებელი ადამიანის თვითშენარჩუნებისათვის, რომ პიროვნებას არ შეუძლია მას შეელიოს. დიახ, ადამიანს არ შეუძლია ნებაყოფლობით და შეთანხმებით ვიღაცას თავის თავი მონობაში მისცეს და ე.ი. ვიღაცის აბსოლუტური, დესპოტური ძალაუფლების ქვეშ მოექცეს.

ლოკი წერს პოლიტიკური ანუ სამოქალაქო საზოგადოების შესახებ: ადამიანი იბადება, აქვს რა უფლება იყოს სრულიად თავისუფალი და აქვს რა უფლება დაიცვას თავისი საკუთრება (ე.ი. სიცოცხლე, თავისუფლება და ქონება) და აქვს რა უფლება დასაჯოს ისინი, ვინც ხელყოფენ მის საკუთრებას; მაგრამ პოლიტიკური საზოგადოება (სახელმწიფო) არის იქ და მხოლოდ იქ, სადაც თითოეულმა მისმა წევრმა უარი თქვა ამ ბუნებრივ უფლებებზე (მდგომარეობაზე), ე.ი. შეიზღუდა ისინი და ნებაყოფლობით გადასცა ძალაუფლება საზოგადოებას. ეს უკანასკნელი მას (და ყოველ ცალკეულ წევრს) აძლევს საშუალებას მიმართოს იმ კანონს თავის დასაცავად, რომელსაც ეს ერთობა ადგენს. მაშასადამე ისინი ვინც გაერთიანებულნი არიან ერთ მთლიანობაში და აქვთ საერთო დადგენილი კანონი და სასამართლო, იმყოფებიან სამოქალაქო საზოგადოებაში, ხოლო ვისაც ეს არა აქვს, ის იმყოფება ბუნებრივ მდგომარეობაში.

მაშასადამე სახელმწიფო იღებს ძალაუფლებას, რათა ერთი მხრივ დაადგინოს კანონები (ესაა საკანონმდებლო ხელისუფლება) და მეორე მხრივ აღასრულოს ისინი (ესაა აღმასრულებელი ხელისუფლება).

ლოკი აღნიშნავს, რომ აბსოლუტური მონარქია აქედან გამომდინარე სრულიად შეუთავსებელია სამოქალაქო საზოგადოებასთან, ვინაიდან მონარქი თავად იმყოფება ბუნებრივ მდგომარეობაში და არ ექვემდებარება კანონს. პირიქით, მის ხელშია მთელი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება; მაშასადამე, არ შეიძლება ჭეშმარიტი პოლიტიკური საზოგადოება (ანუ სამოქაალქო საზოგადოება) არსებობდეს იქ, სადაც ადამიანთა საკუთრებას განკარგავს არა კანონი, არამედ მონარქის ნება და კაპრიზი. არც ერთი ადამიანისათვის სამოქალაქო საზოგადოებისა არ შეიძლება გაკეთდეს გამონაკლისი კანონთან მიმართებაში.

რაც შეეხება პოლიტიკური ერთობის (ანუ სახელმწიფოს) გენეზისს, ლოკი მიუთითებს, რომ ადამიანები ბუნებითგან არიან თავისუფლები, თანასწორნი და დამოუკიდებელნი და ამ მდგომარეობაზე ისინი უარს ამბობენ და ემორჩილებიან რაღაც პოლიტიკურ ხელისუფლებას მხოლოდ საკუთარი თანხმობის საფუძველზე. ერთადერთი გზა სამოქალაქო საზოგადოების შექმნის ესაა ურთიერთშეთანხმება (ე.ი. საზოგადოებრივი ხელშეკრულება), რათა კეთილდღეობით და უსაფრთხოდ იცხოვრონ ადამიანებმა.

ეს პოლიტიკური მთლიანობა (ანუ საზოგადოებრივი შეთანხმებით ჩამოყალიბებული სახელმწიფო) არის თავისებური ორგანიზმი, რომელიც მოქმედებს, როგორც ასეთი და ეს შესაძლებელია მხოლოდ უმრავლესობის ნებით და გადაწყვეტილებით. მხოლოდ ამას ძალუძს მისცეს საწყისი კანონიერი მმართველობის დამკვიდრებას.

მაშასადამე ისტორიულად სახელმწიფოს გენეზისი, ლოკის მიხედვით, დამოკიდებული იყო საზოგადოებრივ შეთანხმებაზე, მაგრამ უძველეს ხანაში ისტორიის ადრეულ სტადიაზე მუდმივი საგარეო საფრთხეები და ომები აიძულებდნენ ადამიანებს, რათა ძალაუფლების სრული კონცენტრაცია მომხდარიყო ერთი პირის _ მმართველის _ ხელში. აი, ასე დაედო საფუძველი აბსოლუტურ მონარქიას და ე.ი. ტირანიას.

ჯონ ლოკი არის ის დიდი მოაზროვნე, ვინც მკაფიოდ ჩამოაყალიბა ხელისუფლების დანაწილების პრინციპი: ა) საკანონმდებლო ხელისუფლება, რომელიც გულისხმობს, თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული სახელმწიფოს ძალა. ნორმალურ ქვეყნებში საკანონმდებლო ხელისუფლება მოქცეულია ხალხის წარმომადგენელთა ხელში; ბ) მაგრამ ვინაიდან საჭიროა კანონთა აღსრულებაც. ეს უკვე უნდა განახორციელოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ...

ლოკი აქვე გამოყოფს ფედერატიულ ხელისუფლებასაც, რაზედაც ჩვენ ახლა ყურადღებას არ გავამახვილებთ. დიდი ინგლისელი მოაზროვნის თანახმად, კონსტიტუციურ სახელმწიფოში (ანუ სამოქალაქო საზოგადოებაში) უმაღლესი ხელისუფლება არის საკანონმდებლო, მაგრამ იგი არსებობს ხალხის ნდობის საფუძველზე და ამდენად საბოლოო ჯამში ხალხი ინარჩუნებს უზენაეს ძალაუფლებას. კონსტიტუციური სახელმწიფოს მთავარი დანიშნულება კი მოქალაქეთა სიცოცხლის, თავისუფლების და საკუთრების შენარჩუნება-დაცვაა ანუ მათი ფუნდამენტური უფლებებისა.

ძალზედ მნიშვნელოვანია ჯონ ლოკის მსჯელობები ტირანიის შესახებ. ტირანია ეს არის ხელისუფლების განხორციელება სამართლის (უფლების) გარეშე, და ე.ი. ძალაუფლების გამოყენება პირადი ინტერესებისათვის. იქ, სადაც მთავრდება კანონი, იწყება ტირანია.

დასკვნის სახით ვიტყვით შემდეგს: ჯონ ლოკის პოლიტიკური კონცეფციების მნიშვნელობა თანამედროვე ლიბერალური დემოკრატიის დამკვიდრების თვალსაზრისით მდგომარეობს მთელი რიგი იდეების და პრინციპების განვითარებაში და კერძოდ, ესაა 1) საზოგადოებრივი შეთანხმების იდეის გაღრმავება, 2) ადამიანთა ბუნებრივი თავისუფლების და თანასწორობის იდეის ფორმულირება, 3) კანონის უზენაესობის პრინციპის, უმრავლესობის ნების პრინციპის, ხელისუფლების დანაწილების პრინციპის მკაფიო წარმოჩენა და რაც მთავარია, 4) ადამიანის ფუნდამენტური უფლებების (სიცოცხლის, თავისუფლების, ქონების) დაცვის, როგორც სახელმწიფოს მთავარი მისიის, გაგება. სწორედ ამ იდეებმა იქონიეს უზარმაზარი ზეგავლენა ამერიკული განმანათლებლობის მოძრაობაზე, რომელმაც იდეურად

მოამზადა ამერიკული რევოლუცია და შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებელი სახელმწიფოს დამკვიდრება.

გამოყენებული ლიტარატურა

1. Locke, John. *Political Writings*. Cambridge Texts in the History of Political Thought.Ed. Mark Goldie. CUP: Cambridge, 2002.

2. Locke, John. "Two Tracts on Government." In *Political Writings*. Cambridge Texts in the History of Political Thought. Ed. Mark Goldie. CUP: Cambridge, 2002

3. Declaration of Independence (archives.gov/founding-docs/declaration-transcript)

4. Thomas Paine "Common Sense" (oll.libertyfund.org/pages/1776-paine-common-pamphlet)

5. Дж. Локк ,,Два трактата о правлении" .Соч. в трёх томах, Т. 3, изд. ,,Мысль", Москва, 1988.

6. ირაკლი ბათიაშვილი ,,შელინგის გამოცხადების ფილოსოფია"; გამ-ბა ,,დანი", თბილისი, 2019.

Irakli Batiashvili

PhD in Philosophy, Professor of European University

Visiting professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The Great Mastermind of American Enlightenment-John Locke

Summary

The political-philosophical heritage of John Locke and especially his well known work - ,,Two Tracts on Government" made a big impact on such great historical event as American Enlightenment. In this treatise are represented the significant principles of liberalism. Namely, they are concentrated around the core idea, which consists in following: a main mission of a government is the protection of the fundamental human rights. And even these principles had a huge influence on the conceptual spirit and direction of the American enlighteners, who ideologically prepared American Revolution and the establishment of the United States of America.

ირაკლი ბრაჭული

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გახანგრძლივებული შუა

საუკუნეები ახალ ინგლისში და ევროპაში

სტატია მომზადდა შოთა რუსთაველის სესფ გრანტის „ანთიმოზ ივერიელი-ევროპული სააზროვნო სივრცის ნაწილი“ #FR-19-7625 ფარგლებში.

1620 წელი, როცა ატლანტიკის ოკეანეში ამერიკისკენ მიმავალ გემზე ბრიტანელმა პროტესტანტმა მიგრანტებმა შექმნეს მომავალი აშშ -ის კონსტიტუციის დიზაინი, შეიძლება ჩაითვალოს მსოფლიო ისტორიაში შუა საუკუნეების დასასრულად და ე.წ. ახალი დროის დასაწყისად, რომლის ძირითადი ნიშნებია: რეფორმაცია, საფრანგეთის დიდი რევოლუცია და განმანათლებლობა. ჰეგელი განმანათლებლობას განვითარების უმაღლეს საფეხურად და მსოფლიო ისტორიის დასასრულად მიიჩნევდა, რადგან აღსრულდა ისტორიის მიზანი - თავისუფლება. კონსტიტუციის წინაშე ყველა თავისუფალი და თანასწორია.

კონსტიტუციის ფილოსოფიას საფუძვლად დაედო ანტიკური რესპუბლიკანიზმის იდეა, "მაგნა ქარტიას" ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, ჯონ ლოკის და სხვა განმანათლებლობის ფილოსოფოსთა ადამიანის ბუნებითი უფლებლებების თეორია და სამოქალაქო კონტრაქტის კონცეპცია.

პროტოამერიკელები, პროტესტანტი პოლიტიკური თეოლოგები იყვნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ ახლად აღმოჩენილი კონტინენტი უნდა გახდეს ბიბლიური აღთქმული მიწა, თავისუფლების ქვეყანა, ახალი მსოფლწესრიგის აგების დასაბამი, "ახალი ზეცა და ახალი მიწა". მათი ღრმა რწმენით "ბებერი ევროპა", სადაც უსაშველოდ დაგვიანდა თავისუფლების პრინციპის რეალიზაცია და უიმედოდ გაჭიანურდა შუა საუუნეები, კარგავს ისტორიის მამოძრავებელი ღერძის როლს, ამიტომ ატლანტიკის მიღმა უნდა განხორციელდეს თავისუფლების იდეის პოლიტიკურ-თეოლოგიური დაფუძნება. ამერიკის ისტორია 1620 წლიდან მე-18 საუკუნის მიწურულს კონსტიტუციონალიზმის ტრიუმფალურ გამარჯვებამდე კარგად არის ცნობილი, ჩვენ ამჯერად გვინდა იმ ეპოქის "ბებერ ევროპაში", უფრო სწორად, ევროპის განაპირას, უკიდურეს საზღვრით ზონაში- ბალკანეთში დასავლური ცივილიზაციის ფორპოსტის, "დუნაის საგუშაგოს" ერთ-ერთი არქიტექტორის, უნგრო-

ვლაჰეთის ქართველი მიტროპოლიტის ანთიმოზ ივერიელის მოღვაწეობის რამდენიმე კონცეპტუალურ შტრიხზე შევაჩეროთ ყურადღება.

ახალი დროის ერთ-ერთ უცნაურ ანომალიად რჩებოდა ტყვეთა ვაჭრობა, რომელმაც ამერიკულ სამოქალაქო ომამდე არ დატოვა მსოფლიო ისტორიის ასპარეზი. აღმოსავლურ ტყვეთა ბაზრებზე ძვირად ფასობდნენ ქართველი ტყვეები (ამის შესახებ ჰეგელიც წერს თავის "ფილოსოფიურ მეცნიერებათა ენციკლოპედიაში. იხ. პარაგრაფი 393. ჰეგელი ლაპარაკობს ქართული და ჩერქეზული ფიზიონომიის მაღალგანვითარებული და მოხდენილი კონფიგურაციის შესახებ.) ცნობილია, რომ ქართველი მამელუქები ამ პერიოდის ეგვიპტესა და ერაყში ძალაუფლების უმაღლეს პოზიციებს ფლობდნენ.ანთიმოზ ივერიელიც საქართველოდან გატაცებული და მონადგაყიდული ტყვე, იერუსალიმის პატრიარქმა გამოისყიდა კონსტანტინეპოლის მონათა ბაზარზე. ყოფილმა მონამ თავისი ფართო ერუდიციით, პოლიგლოტობით, მხატვრული შემოქმედებითა და ორგანიზაციული ტალანტებით მიაღწია აღმოსავლური ეკლესიის საპატრიარქოებში მნიშვნელოვან პოსტებს და რწმუნებებს, მას დაეკისრა იმ დროის ყველაზე მოწინავე ტექნოლოგიის აწყობა მთელ საქრისტიანო აღმოსავლეთში, რომელიც ისლამური იმპერიული აგრესიის არეალში მოქცევის გამო მოკლებული იყო მსოფლიო ისტორიის მოწინავე რიგებში გასვლის საშუალებებს.

1666 წელს ტყვეობიდან გამოსყიდული ქართველი ყმაწვილი ალექსი ხურციძე დაინიშნა იერუსალიმის საპატრიარქოს მდივან - თარჯიმნად, სადაც ის არა მარტო იერუსალიმის პატრიარქთან და საქართველოს მეფე-პატრიარქთა შორის მიმოწერას აწარმოებდა, არამედ უფრო ფართო მასშტაბის პროექტებსაც ხელმძღვანელობდა. კონსტანტინეპოლშიც, მოლდოვაშიც ვლაჰეთის მთავარმა კონსტანტინე ბრინკოვიანუმ ის მიიწვია თავის ქვეყანაში დიდი საეკლესიო კულტურულ-საგანმანათლებლო და პოლიტიკური რეფორმების განსახორციელებლად.კულტურული აღორძინების ბრინკოვიანუ-ანთიმის კულტურული აღორძინების პროექტი მოიცავდა ღონისძიებებს არა მარტო ვლახეთის ტერიტორიაზე, არამედ სამთავროს ფარგლებს გარეთაც. რომლის დიაპაზონი მთელს აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროს მოიცვდა. ანთიმმა შექმნა ტიპოგრაფიული ინდუსტრია, თარგმნა, დაწერა, ან გამოსცა წიგნები რუმინულ, ბერძნულ, სლავურ, არაბულ, თურქულ, ქართულ ენებზე. შექმნა მონასტრების მთელი ქსელი რუმინეთის ტერიტორიაზე,, სათავე დაუდო ახალი ტიპის სამონასტრო ცხოვრებას. რომელიც სოციალური ქრისტიანობის რეალიზაციას წარმოადგენდა.

ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ საქართველო , ივ. ჯავახიშვილის მოხდენილი გამოთქმით წარმოადგენდა "ევროპისაკენ გზადახშულ" ელინურ-რომაული და ქრისტიანული მსოფლიოს ძირძველ ნაწილს, ქვეყანას. , რომლის თვითშეგნებაში კულტურულ ტრადიციაში , მწიგნობრულ მემკვიდრეობაში , ჰაგიოგრაფიაში, "ქართლის ცხოვრების" დიდ ეპოსში, ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში, გელათის აკადემიის სულიერ იდეალებში ცოცხლობდა ქრისტიანული ცივილიზაციის ფორ-პოსტის იდეა. სწორედ ეს იყო ანთიმოზ ივერიელის მოღვაწეობის საპროგრამო პარადიგმა, რომლის ანალოგიური იდეა ცოცხლობდა ბალკანეთის ხალხებში, პოსტ-ბიზანტიურ სამთავროებში, შეიძლება გამოიკვეთოს იბერიულ-კოლხურ მითოლოგიასა და ბალკანურ-რუმინულ "ხალხურ კოსმიურ ქრისტიანობას" (მირჩა ელიადეს ტერმინია) შორის. ახალი დროის ევროპელმა მწერლებმა გაავრცელეს ლიტერატურული მითოლოგია დრაკულაზე, ქვეყნიერების კიდეზე მცხოვრებ ჯადოქარ ვამპირზე და მის პრეისტორიულ მისტიურ ქვეყანაზე., სინამდვილეში კი რუმინეთი ანტიკური ფილოსოფიის , რომაული სამართლისა და ბიბლიური გამოცხადების მაკოორდინირებელ საგუშაგოდ განიხილავდა თავის თავს, ხოლო ნამდვილი დრაკულა იყო ბალკანური რეკონკისტას თავკაცი, რომელიც ისლამურ ტერორს ტერორით პასუხობდა. მის საფლავს ანთიმოზ ივერიელის მიერ დაარსებულ ერთ-ერთ მონასტერში დღესაც უნთია.

ანთიმოზ ივერიელის მრავალმხრივი და მრავალსახოვანი მოღვაწეობის მთავარი პოსტულატებია განათლება და თავისუფლება. ის არა ერთხელ აღნიშნავს, რომ იმ საფრთხეებიდან, რაც კაცობრიობას ემუქრება, უმთავრესია გაუნათლებლობა და უცოდინარობა. ქრისტეს პრინციპი მისთვის თავისუფლების პრინციპია, რომელმაც უნდა გარდაქმნას კაცობრიობა არაძალადობრივი ფორმით-მადლით და განათლებით, ასე განმარტავს ის ფერისცვალების საიდუმლოს. ქრისტეს უნდოდა ყველა ერი მიეყვანა მისი პრინციპის ჭეშმარიტებამდე და მთელ დედამიწაზე გავრცელებულიყო თავისუფლება ანუ გამოხსნილიყო განსაცდელში მყოფი ღვთის ქმნილება

ანთიმი წერს, მონისათვის გათავისუფლებაზე სასიხარულო რა არის? და რა არის უცხოეთიდან სამშობლოში დაბრუნებაზე უფრო დიდი ბედნიერება?" (დიდაქეები, გვ.18) აქ ერთმანეთში გადაჯაჭვულია ავტობიოგრაფიული და კონცეპტუალური მხარეები.

ანთიმის პოლიტიკური ფილოსოფიის ქვაკუთხედს წარმოგვიდგენს მისი შემდეგი სიტყვები: " მეფის გვირგვინი გაყოფილია მღველმთავრის მიტრისაგან, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მეფეს არ გააჩნია (ეპისკოპოსის) სასულიერო ხარისხი, ის მაინც იღწვის ერის

სიკეთისა და კეთილდღეობისათვის, როგორც ხორციელ და წარმავალ, ასევე სულიერ და მარადიულ საკითხებშიც".(დიდაქეები, 74)

თავისუფლების ტიპების იერარქიაში ანთიმი პრიორიტეტს ანიჭებს პოზიტიურ თავისუფლებას (უსასრულობის შემეცნება და ზიარება) ნეგატიურ თავისუფლებასთან შედარებით (თავისუფლება შიდუხჭირესა და შიშისაგან). თუმცა ამ სფეროში მთავარი მაინც ძალაუფლების შეზღუდვის პრინციპია.

პოლიტიკური თავისუფლება ვრცელი თემაა, ჩვენ ამჯერად შემოვიფარგლებით ანთიმოზ ივერიელის პოლიტიკური თეოლოგიის რამდენიმე ძირითადი საკითხით. იმ დროს ყველაზე აქტუალური იყო კოლონიური მმართველობის ტირანია (რისი გამოვლენაც იყო ისლამის ძალით გავრცელება საქართველოში, კერძოდ მის მშობლიურ მესხეთის პროვინციაში და კათოლიციზმის ძალით გავრცელება ტრანსილვანიაში, დასავლურ-რუმინულ პროვინციაში). ქრისტეს პრინციპის "მთელ ქვეყნიერებაზე გავრცელება" სწორედ კოლონიალიზმის დასასრულს გულისხმობს. ანთიმი ძალაუფლების ერთ-ერთ წყაროდ მიიჩნევს უშუალო ქარიზმატულ ძალაუფლებას (იხ. ქადაგება "წმინდა მოციქულთა სწორ მეფეთა კონსტანტინე და ელენეს ხსენების დღესასწაული"), რომელიც არ საჭიროებს რომის პაპის ლეგიტიმაციას. ანთიმი ყოველგვარი პაპოცეზარიზმისა ად ცეზაროპაპიზმის წინააღმდეგია, მაგრამ ქარიზმატული ძალაუფლება მხოლოდ კერძო შემთხვევაა, ძალაუფლების ლეგიტიმაციის აუცილებელი პირობაა თავისუფლება და კანონის წინაშე თანასწორობა. ანთიმი საკმაოდ ნათლად აყალიბებს თავის პოზიციას: ორი რამისათვის დააწესეს მეფეთა ხელისუფლება : 1. აღასრულონ სამართლიანობა. 2. გაასწორონ გამრუდებული სამართალი ანუ უსამართლობა. ანთიმი ფილოსოფიას იმოწმებს, ის ერთგან წერს, სხვა ფილოსოფოსსაც ჰკითხეს: "რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი ხელმწიფისათვის, რომ მისმა ქვეშევრმდომებმა იცხოვრონ კეთილად და ყველაფრით უზრუნველყოფილებმა? " ბრძენმა ფილოსოფოსმა უპასუხა: "უნდა იყოს განურჩევლად ყველასათვის თანაბრად სამართლიანიო!"(დიდაქეები გვ.75)

ყველგან, სადაც კი ანთიმი ლაპარაკობს, ქრისტეს პრინციპის, ანუ თავისუფლების რეალიზაციაზე, ძალზე მკაფიოდ აცხადებს, რომ ეს ეხება მთელ კაცობრიობას, "ქრისტეს წმინდა კაცობრიობას", აქვე აკეთებს ძალიან საინტერესო შენიშვნას, რომ ძველი აღქმის წინასწარმეტყველი, რომელთა თანამედროვე ექვივალენტია თეოკრატიული მმართველობა, ხოლო ახალი აღქმის მოციქულებად ქრისტემ აირჩია მეთევზეები, მებადურები, რომელებიც შინაგანი (გულისმიერი) მეტამორფოზის წარმართველი არიან.. ანთიმი აგრეთვე მიუთითებს

ოჯახის, სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოს ურთიერთშემავსებელ ფუნქციასა და მნიშვნელობაზე. თითქმის ყველა ქადაგებაში ხაზს უსვამს ჯანმრთელობის ღირებულებას, რაც სიცოცხლის უფლების თეოლოგიურ-პოლიტიკური აღიარების მცდელობად უნდა გავიგოთ.

წმინდა ანთიმოზ ივერიელის ფართომასშტაბიანი რეფორმატორული პროექტები და საქმიანობა პირდაპირ თანხვედრასა და კავშირშია იმავე ეპოქაში საქართველოში ვახტანგ მეფისა და მისი გამზრდელისა და მთავარი მრჩევლის სულხან-საბა ორბელიანის თაოსნობით აღძრულ რეფორმატორულ და განმანათლებლურ მოძრაობასთან, საბას "ევროპაში მოგზაურობასთან", ამ კავშირის ფაქტიური საბუთია ანთიმის მიერ თბილისში გამოგზავნილი მოწაფისა და ტიპოგრაფიული ტექნიკის მეშვეობით თბილისში დაარსებული პირველი სტამბა და იქ დაბეჭდილი ქართული კულტურისათვის ფუძემდებლური ტექსტები.

1716 წელს ოსმალეთის იმპერიის ღალატის ბრალდებით ანთიმოზ ივერიელი სიკვდილით დასაჟეს. წმ. ანთიმი ქრისტეს პრინციპის, ანუ მისი გაგებით, თავისუფლებისა და განათლების "ფორ-პოსტების" მშენებელი იყო მე-17- მე-18 საუკუნეების გასაყარზე საქართველოში, პალესტინაში, კონსტანტინოპოლში, ბალკანეთში, უნგრო-ვლახეთში და მოლდავო-ვლახეთში. ის გამოჩენილ ქართველ "პროტოევროპელად" უნდა ჩაითვალოს, რადგან პოსტბიზანტიური არეალის ხალხების გაჭიანურებული შუა საუკუნეებიდან მოდერნულ დროში, განმანათლებლობის ეპოქაში გადასვლის საქმეში აქვს წვლილი შეტანილი. ვფიქრობთ "ახალი დროს" გარიჟრაჟზე ევროპის კიდეზე (ქვეყანაში, რომელიც ბევრისთვის დღესაც ცნობილია დრაკულას შესახებ ფანტასტიკითა და კინომითოლოგიით) მოღვაწე თავისუფლების იდეის ქართველი ქომაგის წვლილი, ერთგვარად ეხმიანება 1620 წელს მომავალი ზესახელმწიფოს კონსტიტუციის მონახაზის აღსანიშნავ თარიღს. ზემოთქმული შესაძლოა საბაბი გახდეს იმაზე დაფიქრებისათვის, რომ მაგალითად, კორექტირებას ექვემდებარება სამველ ჰანტიქტონის ცნობილი თეზისი, რომლის მიხედვითაც თავისუფლების იდეა და სამართლიანობის პრინციპები ექსკლუზიურად ანგლო-საქსური წარმოშობის ხალხების საქმიანობასთანაა დაკავშირებული.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლ. შვაიკარტი, დ. დოკერტი, მ. ალენი (2014), პატრიოტთა ისტორიის მასალები, თსუ გამ-ბა.
2. ანთიმოზ ივერიელი,(2016), დიდაქეები და სხვა თხზულებები, თარგ. მამა ალექსი (ქშუტაშვილი) გამ-ბა „„დობერა“, თბილისი.
3. ი. ბრაჭული, ა. ზაქარიაძე, სხვ. (2016), ანთიმოზ ივერიელი - ქართულ-ევროპული დიალოგი, გამ-ბა „დობერა“, თბილისი.
4. ოთარ გვინჩიძე, (1973), ანთიმოზ ივერიელი, გამომცემლობა „ მეცნიერება“, თბილისი.
5. Nathaniel Philbrick (2006), Mayflower: A Story of Courage, Community, and War; Penguin Book, New York, N.Y.

Irakli Brachuli

PhD in philosophy, Habilitated doctor, Associated Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Prolonged Middle

Ages in New England and Europe

Presentation is prepared in the frame of Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia granted project #FR-19-7625 “Anthim the Iberian – A part of European Space of Thinking”

Summary

1620, - in the year when the Pilgrims- protestant migrants from Great Britain designed and signed aboard ship “Mayflower Compact” a mode of future constitution of United States, - may be considered as the end of middle ages of world history and starting point of so called New Times. The main signs of which are: reformation, great French revolution and Enlightenment.

The article essential finds links between the significant event in the culture of States and European early enlightenment. It proves that Saint Anthim the Iberian a great humanist of Georgia and Wallachia, an organizer of "for posts" of so called "New Times" from the midst of XVII to the midst of XVIII century in the Balkans is "proto European". He spread among people of post-Byzantine space ideas of enlightenment, freedom and relevant institutions.

გიორგი თათარაშვილი

ამერიკისმცოდნეობის დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იოლდს ჰაქსლის ფუტუროლოგიური იდეების გავლენა

ამერიკულ ფუტუროლოგიზმზე

მცირე მოცულობის კვლევაში განსაკუთრებულად რთულია იმგვარი მასშტაბისა და ინტელექტუალის შემოქმედების ანალიზი როგორიც ოლდოს ჰაქსლია; კიდევ უფრო რთულია მოკლედ მისი ფუტუროლოგიური თეორიის სრულფასოვანი ანალიზი. ჰაქსლის ინტერესი არაერთი თემის მიმართ, მისი დაუოკებელი და უსაზღვრო ცნობისმოყვარეობა, ყოველ დღე ახალ-ახალ შემოქმედებით კარს უღებდა მკითხველსა და მკვლევარს.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ოლდოს ჰაქსლი უპირველესად ცნობილია თავისი მხატვრული შემოქმედებიდან გამომდინარე და სწორედ ამიტომ, ხშირ შემთხვაში, მას მხოლოდ ინგლისურენოვანი ლიტერატურის ბრწყინვალე წარმომადგენლად მოიხსენიებენ. თუმცა თავად ჰაქსლი, არც თუ უსაფუძვლოდ, საკუთარ თავს პირველ რიგში, ფილოსოფოსად და სოციოლოგად მიიჩნევდა, ხშირ შემთხვევაში საერთოდ უარყოფდა კიდეც, რომ ნოველისტი გახლდათ და ლიტერატურული წარმოსახვის უნარსაც ემდურებოდა, მართლაც, მისი შემოქმედება მრავალმხრივია, კრიტიკულ-ანალიზური და ერთი კონკრეტული პრობლემით არ ამოიწურება. ბრწყინველე ნოველისტის სააზროვნო ველი ფუტუროლოგიურია. მისი ნაწარმოებები, კვლევები, მოკლე ესეები თუ დაკვირვებები გაჯერებულია ფუტუროლოგიური ხედვებით.

ნაშრომში, მსურს ყურადღება გავამახვილო ოლდოს ჰაქსლის იდეებზე, ფუტუროლოგიურ თეორიაზე; კვლევისას აქცენტი გაკეთდება მის დამოკიდებულებაზე ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ, ცნობილია, რომ წლების განმავლობაში იგი ამერიკაში ცხოვრობდა და ეწეოდა სასწავლო და შემოქმედებით მოღვაწეობასს. თუმცა ამერიკაში წასვლამდეც მას დიდი კავშირი ჰქონდა ამ ქვეყანასთან და ამა თუ იმ ამერიკულ გამომცემლობებში ესეებსაც კი აქვეყნებდა. მაგალითად, როგორიცაა - „ამერიკული კულტურის პერსპექტივა: მანქანების ეპოქის ანარეკლები“, რომელიც მან 1927 წელს ჰარპერის ყოველთვიურ ჟურნალში გამოსცა, სადაც ავტორი ძირითად ყურადღებას ამახვილებს, თავისი თანამედროვე მეცნიერებისა და ახალი ტექნოლოგიების გავლენას, როგორც ცალკეულ ინდივიდებზე ასევე, მთლიანად

საზოგადოებაზე. მეორე მხრივ, რაც მეტად მნიშვნელოვანი და საგულისხმოა ჰაქსლი განიხილავს იმ თემებს, რომელიც დემოკრატიას უკავშირდება და იმ საფრთხეებზე საუბრობს, რაშიც შესაძლოა დემოკრატიული ქვეყნები, კერძოდ ამერიკის შეერთებული შტატები ჩავარდნენ. კერძოდ საუბარია, ოლიგარქიულ-პლუტოკრატიულ მმართველობაზე, მასობრივ კონტროლზე, თავისუფლების დაკარგვაზე. ჰაქსლისთვის სახელმწიფოს სრულ ინდუსტრიულ რელსებზე გადასვლა და (ელიოტისეულ ტერმინს თუ ვიხმართ, საუბარია - „ბრბო-მექანიზმზე“, რომელიც ქართულ თარგმანს ზომიერად მიესადაგება) საზოგადოების „ბრბო მექანიზმად“ ქცევა ამორალური იყო რადგან ეს ყოველივე ეწინააღმდეგებოდა ადამიანის ღირსებას და საფრთხეს უქმნიდა ინდივიდუალიზმს. ავტორი ამ საფრთხეებს პირველ რიგში ხედავდა იმდროინდელი სავაჭრო სისტემის განვითარებული ფორმებიდან და მომხმარებლობაზე ორიენტირებული ეკონომიკის ჩამოყალიბებიდან, რომელიც მართალია იმ დროისთვის ასე აქტუალური არ იყო მაგრამ, ჰაქსლი ამ ყველაფერს, თავისი ფუტუროლოგიზმით, მომავლის საკითხების კვლევით და მაღალი ინტელექტუალური აპარატით ხედავდა. სწორედ ეს თემები დაედო შემდგომში საფუძვლად მის მიერ დაწერილ უმნიშვნელოვანეს ნოველას -„საოცარ ახალ სამყარო“-მთავარ მოტივად.

ჰაქსლის თავისი ფუტუროლოგიური თეორია კარგად ჰქონდა გააზრებული, სწორედ ამიტომ მისთვის მეცნიერული დაკვირვება აწმყოზე და შემდგომ ამის საშუალებით მომავალზე გასვლა ერთგვარ კანონზომიერებას წარმოადგენდა. შესაბამისად მისი ფუტუროლოგიური იდეები გარკვეული ლოგიკური ჯაჭვით ხასიათდებოდა.

1927 წელს, ხუთი წლით ადრე, სანამ ოლდოს ჰაქსლი „საოცარ ახალ სამყაროზე“ მუშაობას დაასრულებდა, მან ჰარპერის ყოველთვიური ჟურნალისთვის, აგვისტოს ნომერში დაწერა ესე, რომელიც თავდაპირველად ამ სახელით გამოიცა „ამერიკული კულტურის პერსპექტივა: მანქანების ეპოქის ანარეკლები“, ხოლო 1970 წელს, ესე ხელმეორედ გამოიცემის შემდეგ, შემდგომი სახელით გამოქვეყნდა, „ამერიკა და მომავალი“, რაც ალბათ იმის მანიშნებელი იყო, რომ ავტორის ფუტუროლოგია მართლდებოდა ამერიკასთან და მთლიანად დასავლურ სამყაროსთან დაკავშირებით.

პროგნოზები, რომელიც ამერიკული კულტურის და საზოგადოების მიმართ იყო გამოთქმული იმდროისთვის გამოგონილ რეალობას აღარ წარმოადგენდა.

მსურს შეძლებისდაგვარად ვისაუბრო აღნიშნულ ესეზე, რომელიც დღესაც საკმაოდ აქტუალურია და დღესაც იმ გამოწვევებს აყენებს ყურადღების ცენტრში რაც, მთლიანად მსოფლიოს და ალბათ ერთადერთ სუპერსახელმწიფოს, ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვს. აღსანიშნავია, რომ ესე შემდეგი სიტყვებით იწყება, „ამერიკის მომავალი მსოფლოის მომავალია. დღევანდელი მატერიალური ყოფა, ყველა ერს იმ მიმართულებით ექაჩება, საითაც ამერიკის შეერთებული შტატები მიდის“. აღნიშნული ციტატიდან გამომდინარე, თვალნათლივ ცხადია, ესე რა პათოსსაც ატარებს.

ავტორი აღნიშნულ ესეში, სიღრმისეულად განიხილავს ამერიკას. როგორც კულტურულ ქვეყანას, მეორე მხრივ ამერიკას, როგორც ინდუსტრიულ რელსებზე შემდგარ სახელმწიფოს. ჰაქსლი საუბრობს იმ უპირატესობებზე რასაც, მანქანების ერა, ხელოვნური ინტელექტის ერა უმზადებს მსოფლიოს, რადგან მთელი მსოფლიო, ჰაქსლის თუ დავესესხებით ამერიკის შეერთებულ შტატებზეა გამობმული ან მალე იქნება(1920-იანი წლების პერსპექტივიდან) და ასევე როგორც მედალს ორი მხარე აქვს, ჰაქსლი უფრო მეტ ყურადღებას ამახვილებს იმ ნეგატიურ ფაქტორებზე, რომელიც თან შესაძლოა ახლდეს ასეთ გამძვინვარებულ ინდუსტრიალიზაციას და ინდუსტრიალიზაციის კიდევ უფრო რთულ ფორმას, რომელსაც მანქანების ერა უწოდა. აღნიშნული ესე, შეგვიძლია ამ ორ ნაწილად დავყოთ. აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ ჰაქსლი საერთოდ თავის შემოქმედებას, როგორც უკვე აღვნიშნეთ მეცნიერული კუთხით უყურებდა და აღნიშნული ესეც პირველ რიგში უნდა გავიგოთ როგორც კვლევა, მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი და ფუტუროლოგიის ერთ-ერთი გონივრული გამოხატულება. ავტორი მომავალზე დაკვირვებას ახდენს, პირველ რიგში აწმყოდან გამომდინარე. შესაბამისად მას კარგად ესმის, რომ ყოველივე მისი თქმული შესაძლოა, ადექვატური მიზეზების გამო მომავალში არ ასრულდეს და შეუძლებელიცაა მომავლის სრული განჭვრეტა ხოლო, ნამდვილი-ჭეშმარიტი მომავლის საკითხების მკვლევარი, პირველ რიგში ინტელექტუალი უნდა იყოს და შემდგომ „წინასწარმეტყველი“.

ავტორი ესეში, საუბრობს მანქანების მხრებზე მდგარი ინდუსტრიალიზაციის დადებით ფაქტორებზე, კერძოდ იმ მძიმე სამუშაოს გადანაწილებაზე ადამიანის პასუხისმგებლობიდან და მოვალეობიდან, რომელსაც „მანქანების ერამდე“ ადამიანი კისრულობდა თავის თავზე. შესაბამისად გათავისუფლებულ დროზე და უფრო ფართო ჰორიზონტის გაშლაზე ადამიანისთვის. ტექნოლოგიური წინსვლა, რომელიც 1920-იანი წლების ბოლოს უკვე სახეზე იყო, მრავალ შესაძლებლობას აძლევდა ადამიანს დადებითად გამოეყენებინა ეს სიკეთეები და ჰაქსლი ამ სიკეთეებზეც დეტალურად საუბრობს. „მანქანების ეპოქამ, წინ წამოსწია სრულფასოვანი ცხოვრების ტენდენცია და შეგრძნება“, ჰაქსლი წინამდებარე სიტყვებით ასრულებს მსჯელობას დადებით ფაქტორებზე და შემდგომ უფრო კრიტიკული თვალით და უფრო რეალისტურად ასახავს რეალობას და მომავალს.

ჰაქსლის აღნიშნულ ესეში, კულტურის საკითხი შემოაქვს და სიღრმისეულად იკვლევს კულტურის კუთხიდან ამერიკის მომავალს. აღნიშნავს, რომ ამერიკა, გასაგებად, რომ ვთქვათ ცივილიზაციისკენ ისწრაფვის და კულტურის ფენომნი შედარებით ცალკე მდგომია. ავტორის თქმით, მანქანების ერამ, ამერიკაში და მთლიანად დასავლურ სამყაროში მოიტანა გარკვეული უკუღმართობები, თუმცა ასევე ამბობს, რომ გადაწყვეტით არ შეგვიძლია იმის თქმა, თუ რა ზიანი შეიძლება მიაყენოს ყოველივე ამან კულტურასა და საზოგადოებას.

აღნიშნულ ესეში, ბოლო თავი შეიძლება ასეც ითქვას, ჰაქსლიმ ლიბერალურ ტენდენციებსა და კერძოდ ლიბერალურ განათლების სისტემას მიუძღვნა, რაშიც ფაქტობრივად უზადოდაა წარმოჩენილი, მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, იდეები და არგუმენტები, ანალიზი ძველისა და ახლის. ჰაქსლი ესეში საუბრობს იმ საკითხზე თუ, სადამდე მიიყვანს ლიბერალური განათლების მოდელი ამერიკას და დასავლურ ცივილიზაციას, იგი ამბობს, რომამერიკის მსგავსი ტრადიციული ქვეყნები, რომლებიც მე-18-ე საუკუნის დროინდელ ტრადიციულ დემოკრატიაზე დგანან და ჰუმანისტურ იდეებზე, შესაძლოა ახალ ტენდენციებს შეეწინააღმდეგონ. თუმცა ამის საპირისპირო ძალაც ძლიერი იქნება და გამკვლავება გაჭირდება. სახელმწიფო დემკრატიას გაუჭირდება მხარის აბმა, კიდევ უფრო რთული მოდერნული მსოფლიო

პოლიტიკისთვის, რაც საბოლოოდ იძულებულს გახდის, რომ შეიცვალოს მმართველობის შესახებ იდეები. ხოლო თანამედროვე არაადეკვატური და ხარვეზიანი განათლების სისტემა, თავისთავად სახელმწიფოს აიძულებს, რომ დაფიქრდეს იმ იდეებზე და ფუნდამენტზე რაზეც განათლების სისტემა დგას.

აღნიშნულმა ესემ, 1920-იან წლებშივე დიდი გამოხმაურება და ინტერესი გამოიწვია, თუმცა შემდგომ წლებში მისდამი ინტერესმა უფრო და უფრო იმატა, რაც ალბათ გაცხადებულმა რეალობამ გამოიწვია, თუნდაც რად ღირს იმის თქმა, რომ ესე ხელახლა 1970 გამოიცა შეცვლილი სათაურით, „ამერიკა და მომავალი“, რაც ყველაფერზე მეტყველებს. 1920-იანი წლებისთვის ის საკითხები, რაც ჰაქსლიმ ესეში დააყენა და პრობლემის ხასიათი მისცა, სიახლეს წარმოადგენდა და მხოლოდ შორსმჭვრეტელ თვალს თუ შეეძლო ისეთ პროგრესულ, დოვლათით სავსე ქვეყანაში, როგორიც ამერიკა იყო, ამ პრობლემებზე ეფიქრა და დასკვნები გამოეტანა, დადებითი თუ უარყოფითი. თუნდაც იმ პერიოდში, როცა ფორდს კონვეირული(Assembly line) წარმოება, უკვე მაღალ სტანდარტში ჰქონდა აყვანილი და მისი ინტერვიუები, თუ სტატიები ამა თუ იმ მედია საშუალებასთან დიდი პოპულარობითა და ენთუსიაზმით გამოირჩეოდა, ჰაქსლი თავისი კრიტიკული რეალიზმით ყველაფერს „თავდაყირა აყენებდა“. სწორედ ამით გამოირჩეოდა ჰაქსლი თავისი თანამედროვეებისგან, მისი ფუტუროლოგია - ფილოსოფია, კი საკმაოდ ღრმაა, რომლის მთავარი მოტივიც კიდევ ერთხელ დავკონკრეტდები ის იყო, რომ აწმყოზე დაკვირვება მთავარი გზაა მომავლის რაციონალურად შესასწავლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Huxley Aldous. Outlook for American Culture: Some Reflections in a Machine Age." Harper's Magazine Aug. 1927: 265-70. America and the Future. Austin:Jenkins, 1970.

2. Aldous Huxley, '"Machinery, Psychology and Politics," Spectator 142 (23 No. 1929) 749-751, 750.
3. Lange Bernd-Peter. Classics in Cultural Criticism I: Britain, (The "Cultural Criticism" series consists of three volumes) volume 1, Frankfurt am Main · Bern · New York · Paris, 1970. 243-374.
4. Matter W. William. The Utopian Tradition and Aldous Huxley. Science Fiction Studies. Volume 2. part 2. 1975 July.
5. Zigler Lee Ronald. The Educational Prophecies of Aldous Huxley: The Visionary Legacy of Brave New World, Ape and Essence, and Island. Routledge. New York. 2015. 140-186

Giorgi Tatarashvili

PhD Student, American Studies

The Influence of Aldous Huxley's futurology thoughts on American Future Studies

Summary

The main objective of this thesis is to analyze and describe those particularities which emphasize Aldous Huxley's futurology, (future studies) regarding future studies in America. Aldous Huxley author of several essays and novels argued that while so called machine aga brought tremendous benefits and alterations to mankind in America, on the other hand one fault was its debasement of the culture that man now had more time to pursue. Huxley throughout his activities displays the "revolt of the highbrows", so as saying goes the most dangerous man to any government is the man who is able to think things out for himself without regard to the prevailing superstitions, prejudices and taboos, and if I do say so myself

this is the way how futurology works. Huxley's essay "The Outlook for American Culture" is definitely the most prominent essay which greatly influenced America. Interest towards the essay never gets lower, even in 1970 above-mentioned essay was republished with the updated name – "America and the Future" which was demonstrated, interest and influence on this subject.

ვალერიან რამიშვილი

პროფესორი, ფილოსოფიის ს/ს ინსტიტუტის

თეორიული ფილოსოფიის კათედრის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ამერიკული რელიგიურობა

მოხსენება მომზადდა შოთა რუსთაველის სესფ გრანტის „ანთიმოზ ივერიელი-ევროპული საზროვნო სივრცის ნაწილი“ #FR-19-7625 ფარგლებში.

ევროპიდან ამერიკისკენ ემიგრაციის ერთერთი წყარო მატერიალური კეთილდრეობის მოპოვებასთან ერთად იყო რელიგიური შევიწროვებისგან გაქცევა და რელიგიური თავისუფლების მოპოვება. ამიტომ ევროპიდან ძირითადად მიდიდოდნენ პროტესტანტები და იუდაველები. ამერიკის სახელმწიფოს შემქმნელებმა და დამფუძნებელმა მამებმა გაითვალისწინეს ისტორიული გამოცდილება და შექმნეს იმ დროისთვის სახელმწიფოს და რელიგიის დამოკიდებულების ახალი ფორმა. ეს იყო სახელმწიფოს და რელიგიის გამიჯვნა და რელიგიური თავისუფლება, რაც რელიგიურ პლურალიზმს გულისხმობდა.

ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ სამოქალაქო რელიგიის კონსერვატორული და ლიბერალური ფრთა როგორ ახდენს რელიგიის პოლიტიკურ ინსტრუმენტალიზაციას, მას იყენებს პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების ინტერპრეტაციისას და ქვეყნის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის ლეგიტიმაციისათვის. რელიგიის ტრანსცენდენტალური შემადგენელისაგან მეტი თავისუფლება შესაძლებელს ხდის რელიგიის პოლიტიკურ ინსტრუმენტალიზაციას. ამერიკაში შეიქმნა თავისებური სამოქალაქო რელიგია. ეს ტერმინი ჯერ კიდევ ჟან-ჟაკ რუსომ გამოიყენა. იგი დაკავშირებულია უტილიტარულ-სეკულარულ იდეოლოგიასთან. ამერიკელმა ახალ მოსახლეებმა მოახდინეს რელიგიური დოგმატების სეკულარიზაცია და ისინი ამერიკული ცხოვრების სტილის ელემენტებად იქცა. ტრადიციულ მსოფლიო რელიგიებსა და რელიგიურ სექტებს შორის განსხვავების გაუქმებით მოახდინეს რელიგიის დესაკრალიზაცია. რელიგიური სიმბოლოები და ღირებულებები ერში

ღვთაებრივი წესრიგის იდეას განასახიერებენ და განსაზღვრავენ საზოგადოების მიზანს და კულტურულ გენეზისს. მათ ღმერთი და რელიგია ადამიანის მატერიალური კეთილდღეობის დონეს დაუკავშირეს.

სამოქალაქო რელიგიის აუცილებელი ნიშანია მისი რელიგიისთვის დამახასიათებელი ტრანსცენდენტური შემადგენელის მნიშვნელობის და საზრისის გაუფასურება. ეს შესაძლებელს ხდის რელიგიურ დომინაციათა განსხვავების შერბილებას და ღმერთის ბუნებაზე ამორფული შეხედულების ჩამოყალიბებას,რაც ყველასთვის მისაღები და გასაგებია და რელიგიის საზოგადოების და ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების წესის ელმენტებად აქცევს. ღმერთის ადამიანის ცხოვრებაში მონაწილეობის ნიშანს ხედავენ ადამიანის მატერიალურ მდგომარეობაში,ასევე ადამიანის ღმერთისადმი დამოკიდებულება უმთავრესად გამოხატება არა რელიგიური მოთხოვნების (მარხვა, ზნეობრივი ნორმების,რელიგიური სიწმინდეების თაყვანისცემა) მკაცრი დაცვაში.

სამოქალაქო რელიგია დღეს ამერიკული კულტურის ყველაზე თვალსაჩინო განზომილებას წარმოადგენს. პრეზიდენტობის კანდიდატები საარჩევნო კამპანიის დროს ცდილობენ ებრაულ-ქრისტიანული ტრადიციებიდან ერთ-ერთის მიმართ თავიანთი ლოიალური დამოკიდებულების დემონსტრირება მოახდინონ. ამერიკის პრეზიდენტის ინაუგურაცია უფლისადმი თაყვანისცემის რიტუალია. დიდი პოლიტიკური მოვლენების დროს ამერიკელები ლოცვით შესთხოვენ უფალს კეთილდღეობასა და მშვიდობას. მიუხედავად კონსტიტუციით გათვალისწინებული შეზღუდვებისა, მნიშვნელოვან დღესასწაულებზე რელიგიური და პოლიტიკური სიმბოლოების დემონსტრირება იშვიათობას არ წარმოადგენს. სამოქალაქო რელიგია ამერიკელების, როგორც სხვა ხალხებთან შედარებით ღვთისმოშიში და ამავე დროს რელიგიური თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხის, იმიჯს აყალიბებს.

მიუხედავად რელიგიური მრავალფეროვნებისა მოსახლეობის 97% ქრისტიანია. რელიგიურობის მნიშვნელობას ამერიკელობის განსაზღვრაში მიუთითებდა ცნობილი ფორმულა: ამერიკელობა ნიშნავდა W-A-S-P(White-anglo-saxon-protestant) თეთრკანიანი-ანგლო-საქსი-პროტესტანტი. მართლაც პროტესტანტს წარმოადგენს მოსახლეობის 59% კათოლიკეები 27% და მათი რაოდენობა განიხრელად იზრდება რაც

წარმოადგენს სერიოზულ რელიგიურ და პოლიტიკურ პრობლემას ამერიკის შეერთებული შტატებისთვის. ზოგიერთი ავტორი წერს: „ერთი ქვეყანა და ორი კულტურა.“ კათოლიკეები გამოირჩევიან ღრმა რელიგიურობით და დოგმატიკის და რელიგიური წესების დაცვით. ამერიკელებს განსხვავებულად ესმით რელიგიური პლურალიზმი. იგი გულისხმობს, რომ ადამიანს შეუძლია თავისი ცხოვრების მანძილზე შეიცვალას განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობა და ამ ცვლილების პრინციპია, თუ რამდენად ეხმარება ეს რელიგიური დონმინაცია მას ცხოვრების წარმატებით წარმართვაში.

სამოქალაქო რელიგია ამერიკაში ძლიერ დანაწევრებულია. კონსერვატორების სამოქალაქო რელიგიას ძალიან ცოტა რამ აქვს საერთო ლიბერალების სამოქალაქო რელიგიასთან. ისინი საზოგადოებას მეტად განსხვავებულ შეხედულებებს სთავაზობს იმის თაობაზე, თუ როგორი შეიძლება (და უნდა) იყოს ამერიკა. კონსერვატორებისათვის ამერიკული ლეგიტიმურობა ეფუძნება ,,მითოსს ერის გენეზისის შესახებ”, რომლის მიხედვითაც, ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოს ღვთაებრივი მიზნების აღსასრულებლად მოევლინა. ისტორიის ამდაგვარი ინტერპრეტაცია ამერიკული სახელმწიფოს ლეგიტიმურობის საფუძველს წარმოადგენს. ფრენსის შეფერი თავის წიგნში Scheaffer Francis A Christian Manifesto მამა-დამფუძნებლებზე წერს :,,ამ ადამიანებმა მშვენივრად უწყოდნენ, რასაც აკეთებდნენ. მათ ნდობა გამოუცხადეს უზენაეს არსებას, შემოქმედს, აბსოლუტურ სინამდვილეს, რომლის გარეშეც უაზრობა იქნებოდა დამოუკიდებლობის დეკლარაცია და ყველაფერი, რაც მას შემდგომ უნდა მოჰყოლოდა.” ითვლებოდა, რომ ამერიკული სახელმწიფოს ფუნდამენტური პრინციპები და ამერიკული ლეგიტიმურობის დღეგრძელობა ბიბლიური იდეალებისადმი ქვეყნის ერთგულებაზეა დამოკიდებული. ჰერმან მელვილი თავის რომანში წელს „თეთრი მოსასხამი“.(1855) ამერიკას მოიხსენიებს, როგორც ,,ჩვენი დროის ისრაელს”. ამერიკელ ერს იგი უწოდებს ,,პოლიტიკურ მესიას”, რომელმაც ,,სამყაროს თავისუფლების კიდობანი უნდა ააგოს”. ის, რომ ამერიკული სახელმწიფო ბიბლიურ პრინციპებს ეფუძნება, XIX საუკუნის ამერიკაში ყველაზე გავრცელებული შეხედულება იყო. მაშინაც კი, როდესაც ამერიკის ზოგიერთი პრეზიდენტის (ვაშინგტონი, ფრანკლინი, ადამსი)

პირადი რწმენა ამ სტანდარტებს არ ემთხვეოდა, ნებისმიერ შემთხვევაში მათთვის ამოსავალი წერტილი მაინც ბიბლია იყო.

კონსერვატიული სამოქალაქო რელიგია ევანგელისტებთან და ბაპტისტებთან ასოცირდება, ისინი საფრთხეს ხედავენ იმაში, რომ ერმა ებრაულ-ქრისტიანულ შეხედულებებს მატერიალისტურ-ჰუმანური მსოფლმხედველობა ანაცვალა, დარწმუნებული არიან, რომ ამერიკული სახელმწიფოს ფუნდამენტური პრინციპები არანაირ ცთომილებას არ შეიცავს, რომ ამერიკული ლეგიტიმურობის დღეგრძელობა ბიბლიური იდეალებისადმი ქვეყნის ერთგულებაზეა დამოკიდებული. ის, რომ ამერიკული სახელმწიფო ბიბლიურ პრინციპებს ეფუძნება, XIX საუკუნის ამერიკაში ყველაზე გავრცელებული შეხედულება იყო. მეტად პოპულარული გახდა ლოზუნგი: ,,ერთი ერი უფლის მფარველობის ქვეშ" (One Nation under God), რომ ამერიკის კონსტიტუცია ,,უფლის მიერ იყო ნაკარნახევი". ცხოვრების ამერიკული სტილის დამცველები ცდილობდნენ, ამერიკის ისტორიაში ღვთაებრივი ლეგიტიმურობის კონკრეტული ფაქტები აღმოეჩინათ.

ამერიკული სახელმწიფოს და პოლიტიკის იდეოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს მესიანიზმი. ქრიასტიანი საქმოსნის ჯორჯ ოტისის აზრით: ,,ამ ქვეყნის შექმნაში ღმერთის ხელი ურევია. თავად ქრისტემაც მეორედ მოსვლისათვის ამერიკა აირჩია." თავდაპირველად ამერიკა უფლის ჩანაფიქრს წარმოდგენდა, მოგვიანებით კი იგი ადამიანებმა უფლის განგებით რეალურად დააარსეს. ევანგელისტური მოძღვრება მკაფიოდ განასხვავებს ერთმანეთისაგან პირად რწმენასა და სახელმწიფოს რელიგიურ ისტორიას, ამიტომ ნებისმიერი ტიპის რელიგიური ნაციონალიზმის გამოვლინება, გამონაკლისად არ უნდა აღვიქვათ. კონსერვატიულ სამოქალაქო რელიგიაში ამერიკა ბიბლიურ რწმენასთანაა იდენტიფიცირებული. კლასიკური თეოლოგიური დემოკრატია განმარტავს, რომ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ღვთაებრივი სივრცე და მიწიერი სამყარო. კონსერვატორების უმეტესობას არ სურთ უკრიტიკო აღიარება იმ აზრისა, რომ ამერიკა თითქოს მხოლოდ და მხოლოდ ქრისტიანულ პრინციპებს ეფუძნება. მათი აზრით მიუღებელია პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს გვერდით ბიბლიური პრინციპების დაყენება.

კონსერვატიული სამოქალაქო რელიგიის წარმომადგენელთა შორის ფართოდაა გავრცელებული აზრი, რომ ამერიკის გარეშე სამყაროში არავინ იბრძოლებდა სულისათვის და მხოლოდ ტოტალიტარული ჰუმანისტური სახელმწიფო იარსებებდა და ამერიკის მისიაა მსოფლიოს ევანგელიზაციას, უფალს სურს, რომ ამერიკამ თავისი უპირატესობა მსოფლიოში ქრისტიანობის საქადაგებლად გამოიყენოს. ზოგიერთი ევალგელისტური ესხატოლოგიის მიხედვით კი, ეს არის უკანასკნელი ამოცანა, რომელიც ქრისტეს ,,მეორედ მოსვლის" წინ უნდა აღსრულდეს. ამერიკის კეთილდღეობა და ძლიერება უფლის მიერ ნაბოძები წყალობაა და ეს ქვეყანა უმნიშვნელოვანესი ღვთაებრივი ამოცანების შესრულებას ემსახურება.

სამოქალაქო რელიგია გარდა სახელმწიფოებრივი ცნობიერებისა, ამერიკული ეკონომიკური სისტემის გამართლების ელემეტებსაც შეიცავს. აქ საუბარია კაპიტალიზმის ლეგიტიმაციაზე, სადაც მრავლადაა პარალელები ეკონომიკურ პრინციპებსა და ბიბლიურ მოძღვრებებს შორის. ,,ქრისტიანობის ფუნდამენტური პრაქტიკული პრინციპი ასეთია: ,,მიეცი და მოგეცემა", მაგრამ თუ კერძო საკუთრება არ გაქვს, ვერაფერს გასცემ." სოციალიზმი ქრისტიანობას ემტერება, ხოლო კაპიტალიზმი, თავისი არსით, არის ცხოვრების ისეთი ფორმა, რომელიც ძალიან ახლოს დგას რელიგიურ ჭეშმარიტებასთან."

თავისუფალი უნივერსიტეტის პირველი პრეზიდენტის ბაპტისტ ჯერი ფალუელის თანახმად: ,,მე მჯერა კაპიტალიზმის, თავისუფალი ბაზრის და კერძო საკუთრების... ადამიანებს უნდა ჰქონდეთ კერძო საკუთრების ფლობის, შრომის, წარმატების მოპოვების, ფულის შოვნის და გამარჯვების უფლება," რადგან ,,უფალს უყვარს თავისუფლება, კერძო საკუთრება, კონკურენცია, სიბეჯითე, შრომა და მოგება. ყოველივე ეს ძველ და ახალ აღთქმაში უფლის სიტყვებითაა აღბეჭდილი."კონსერვატორული სამოქალაქო რელიგიის თანახმად უპირატესობა კაპიტალიზმს უნდა მიენიჭოს, ვინაიდან ,,სულიერი თავისუფლება" ,,ეკონომიკური თავისუფლების" გარეშე ვერ იარსებებს.

ამერიკული სამოქალაქო რელიგიის ლიბერალური ვერსიის წარმომადგენლებს შორის კაპიტალიზმის რელიგიური აპოლოგია ტაბუირებულია. სამოქალაქო რელიგიის

ლიბერალური ვერსია ამერიკაში სულ სხვა რელიგიურ ღირებულებით წარმოდგენებს ეფუძნება და სულ სხვაგვარად წარმოაჩენენ ამერიკელ ერს, ვიდრე კონსერვატორები. ლიბერალების აზრით, ამერიკა გლობალურ პასუხისმგებლობას არა მხოლოდ იმიტომ კი არ ატარებს, რომ ღვთის რჩეული ერია, არამედ იმიტომაც, რომ ის მდიდარია რესურსებით, პასუხისმგებელია მსოფლიოს უამრავ თანამედროვე პრობლემაზე და მსოფლიო თანამეგობრობის წევრია. აქედან გამომდინარე, ამერიკა მოვალეა თავისი წვლილი შეიტანოს სიძნელეების დაძლევის საქმეში. ლიბერალური სამოქალაქო რელიგიის ბირთვს არა ებრაულ-ქრიატიანული ტრადიციები, არამედ ადამიანის ფუნდამენტური უფლებები დგას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Datesman M.K.Crandall J. Kearny E.N. The American Ways NY,1984
2. Scheaffer Francis; A Christian Manifesto, 1981
3. Walton Rus; One Nation under God, Nelson Incorporated Thomas, Nashville, Tennessee, 1987
4. Otis George; Prayer, Revival and societal Transformation https://tristatevoice.com/2019/03/01/q-and-a-with-george-otis-prayer-revival-and-societal-transformations/
5. Melville Herman; White jacket, or The World in a Man-of-War http://www.online-literature.com/melville/white-jacket/
6. Сантаяна Джордж; Характер и мировоззрение Американцев, М. 2003

Valerian Ramishvili

PhD in philosophy Professor, Head of a Chair of Theoretical Philosophy

Ivane Javakhisvhili Tbilisi State University

American Religious Heritage

an article is prepared in the frame of Shota Rustaveli National Science foundation of Georgia granted project #FR-19-7625 "Anthim the Iberian-A part of European Space of Thinking"

Summary

The great diversity of ethnic backgrounds has produced religious pluralism. Americans have a "civil religion". In a paper I aim to show how American political and religious establishment implements political instrumentalism of religion. Conservators show why morality and freedom have crumbled in USA. They call for a massive movement in government, law and in all segments of everyday life to reestablish Judeo-Christian foundations and turn the tide of moral decadence and loss of freedom. To their mind to be American means to be WASP.

ანასტასია ზაქარიაძე

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

განათლების თეოკრატიული მოდელის ფილოსოფიური საფუძვლები (ანთიმოზ ივერიელი- პასტორი ჯონ კოტონი)

მომზადდა შოთა რუსთაველის სესფ გრანტის „ანთიმოზ ივერიელი-ევროპული სააზროვნო სივრცის ნაწილი“ #FR-19-7625 ფარგლებში.

ნაშრომში გაანალიზებულია განათლების ორი თეოკრატული მოდელი- განმანათლებლობის ეპოქის ანგლო-ამერიკული პურიტანული თეოლოგიის ერთი ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელის ჯონ კოტონის კონცეფციის ფილოსოფიური საფუძვლები და ამავე ეპოქის მართლმადიდებელი ავტორის წმინდა ანთიმოზ ივერიელის მოდელი. ორივე მოდელისათვის საერთო თეოკრატიულობა. თუმცა ანალიზით მტკიცდება მათი თვისებრივი განსხვავება.

დასაბუთებულია, რომ ამერიკულ განმანათლებლობის თეორიასა და პრაქტიკაზე გავლენა იქონია პროტესტანტული რეფორმაციის იდეებმა. კოტონს, მადლის კოვენანტის შემქმნელს-ადამიანის ღმერთთან სოციალური და საეკლესიო ხელშეკრულების ავტორს, ახასიათებს ანტინომიანიზმი, უკიდურესი ფორმალიზმი რწმენაში, ცალმხრივობა. მისი განათლების მოდელი ამ მახასიათებლებზეა დამყარებული. არცერთ ამ ნიშანს არ ვხვდებით ანთიმთან. საპირისპიროდ ამისა ყველა მათგანი პრინციპულად მიუღებელია მისთვის. მისი ხედვა ხასიათდება კლასიკური აბსოლუტიზმით და შორსაა ფორმალიზმისგან. პერსონული ნების პრიორიტეტულობა და განათლების პროცესში მისი გათვალისწინება ანთიმის მოდელის ღერძია.

***

“ მეიფლაუერის“ამერიკაში ჩასვლიდან სულ რაღაც ერთი ათეული წელი არ იყო გასული, როდესაც მემარცხენე პურიტანული თეოლოგიის „დიდი გონება“, თეოკრატიული მმართველობის იდეოლოგი და აქტიური მხარდამჭერი პასტორი ჯონ კოტონი ჩადის „აღქმულ ქვეყანაში“. სადაც ანგლიკანური ეკლესიის დოქტრინების გადახედვისა და მსახურების გამარტივების სურვილის რეალიზაციის ფართო ასპარეზი

ეგულება. პლატფორმა, რომელსაც ეფუძნება მისი ხედვა უკიდურესად კონსერვატული ფორმაა თეოკრატიზმისა. იგი გამოირჩევა

ნებისმიერი გადახრების მიმართ შეურიგებელობით. ასევე მიუღებელია სკეფსისი მისი ნებისმიერი გამოვლენით. „ეჭვისგან იბადება გონების სიმწირე და სინდისის ტერორი“ - ამ დევიზითაა გამსჭვალული მისი ხედვა. კოტონი უარყოფს შემწყნარებლობას რწმენაში. ათწლეულების განმავლობაში აქტიურად იბრძვის ნომიანიზმისა და სეკულარიზმის წინააღმდეგ. მისი თეოლოგიური შრომებში ადრეული ამერიკული კონგრეგაციონალიზმის ყველა ნიშნებია გამოვლენილი.

რწმენისა და გონების, საკრალურისა და მიწიერის, უზენაესისა და დაბალის, ხილულისა და უხილავი ეკლესიების მიმართების საკითხი ნომინალიზმის ფარგლებში წყდება.

მთავარი განმასხვავებული კონტინენტურ და ამერიკულ პურიტანიზმს შორის არის ის რომ ეს უკანასკნელი იშვა „ჯვაროსნული ექსპედიციის“ შედეგად, რომელიც მიზნად ისახავდა დედამიწაზე ღვთის ქალაქის დაარსებას. ამდენად, კოტონი, რომელიც თავს მიაკუთვნებდა პირველ პილიგრიმთა რიგს, უბრუნდება ორი ეკლესიის არსებობის იდეას-რწმენასთან დაკავშირებულ სამყაროსა და ადამიანში არსებულ შინაგან, უხილავი სახით წარმოდგენილ ეკლესიასა, და გარეგანი ხილული სახით არსებულ-საზოგადოებრივსა და სოციალურს. იღებს რა კალვინისტურ თეზისს „ხილული“ და „უხილავი“ ეკლესიის შესახებ, კოტონი ხილული და უხილავი ეკლესიების ერთობის იდეას გადმოსცემს ცნობილ თხზულებაში“ კონგრეგაციული ეკლესიის ნათელი გზა“, სადაც მწყობრადაა გაკრიტიკებული საერო და საეკლესიო ძალაუფლების გაყოფის იდეა.

ხილული ეკლესია-სხვადასხვა ერთმანეთისაგან ცალკე მდგომი კონგრეგაციათა ერთობაა. ამდენად, „ჭეშმარიტი ქრისტიანობა“ თემთა პლურალიზმის სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი. კონგრეგაციათა ერთობა საზოგადოებრივი ინსტიტუციის ყველაზე მნიშვნელოვან ერთეულად წარმოუდგენია კოტონს.“უხილავი ეკლესია“, რომელიც მიუწვდომელია რაციონალური გაგებისათვის, ერთიანებს ყველა ჭეშმარიტ მორწმუნეს მიუხედავად მათი ეროვნებისა და რწმენისა. იგი ყველა ჭეშმარიტად მორწმუნე ადამიანის ერთობაა. კოტონი ასკვნის რომ კაცის გონებისათვის „უხილავი“ ეკლესიის

გაგება მიუწვდომელია. „ხილული“ ეკლესია მორალის ველია, რომელიც ღიაა ყველა ადამიანური გონების აღქმისათვის. მნიშვნელოვანია, რომ ეს ორი ეკლესია მჭიდრო კავშირშია და რაც საბოლოო ჯამში საეკლესიო კოვენანტითაა განპირობებულია.

კოტონის მიზნი პოლიტიკურია-იგი ცდილობას გააერთიანოს ახალ ინგლისში არსებული მრავალრიცხოვანი პროტესტანტული თემები. რადგანაც ეკლესია არის ღმერთის ჭეშმარიტების ასახვა დედამიწაზე, მან უნდა იტვირთოს პოლიტიკური და საზოგადოებრივი საქმიანობაც. მასაჩუსეტის ძირითადი კანონის-კონსტიტუციის შექმნის პროცესში იგი ნეგატიური მაგალითად იღებს ათენის დემოკრატიას. უკიდურესი ორთოდოქსია ანტიდემოკრატიზმი. თეოკრატია როგორც საუკეთესო ფორმა მართველობისა ეკლესიაშიც და სახელმწიფოშიც.

მას, როგორც მამა დამფუძნებელს, სწამდა საკუთარი ისტორიული მისიისა და იმისი, რომ რომ სამყაროული ისტორიის ცენტრი მასაჩუსეტშია. ამგვარად ფორმულირებულმა ხედვამ განაპირობა სულიერი ცხოვრების ყველა მხარის დაქვემდებარება ერთი ამოცანის მიმართ-ღმერთის სასუფეველისა როგორც ადამიანის შინაგან სამყაროში, ასევე მის გარეთ. გენერალური მიზნის მისაღწევ მთავარ ინსტრუმენტად ახალგაზრდა თაობის აღზრის თეოკრატული პარადიგმა ცხადდება. თითოეული ჭეშმარიტი მორწმუნის მოვალეობაა ბიბლიის შესწავლა, შესაბამისად განათლების გადაცემისა და მიღების ერთადერთ საშუალებად ცხადდებოდა ბიბლია და კატეხიზმო, მიზანად-ბიბლიისა და კატეხიზმოს ზედმიწევნითი ცოდნა. ამ მიზნის განსახორციელებლად იგი ქმნის ბავშვებისათვის განკუთვნილ პირველ ამერიკულ კატეხიზმოს -,”სულიერი საზრდო ბოსტონელი ბავშვებისათვის“ (1646). ეს წიგნი დიდი ხნის განმავლობაში ღვთისმეტყველების ერთადერთ სასკოლო სახელმძღვანელოდ ითვლებოდა ამერიკაში.

კოტონის თეოკრატულ განათლების მოდელში მთელი განათლების სისტემა, მისი შემადგენელი დისციპლინებით უნდა დაქვემდებარებოდა ეკლესიის, როგორც მმართველობის უზენაესი ინსტიტუციის აბსოლუტიზაციის იდეას. მაგალითად, დისციპლინა „ლოგიკა“ ასწავლიდა ბიბლიური ტექსტების ანალიზსა და იქიდან სიღრმისეული შინაარსის ამოღებას; ფიზიკა-ეკლესიისა და ბუნების ურთიერთმიმართების გაგებას; რიტორიკა-საეკლესიო მსახურებისათვის დახვეწილი

ვერბალური დამარწმუნებლობის უნარის მიღწევას; სახელმწიფოსა და სამართლის თეორია-ეკლესიის სამოქალაქო დაცვისთვის და გარეშე თავდასხმების აცილების ხერხებს. განათლების ეს პარადიგმა ემსახურებოდა ეკლესიის როგორც სულიერების ცენტრისა და ინტელექტუალურის სინთეზის იდეის სწავლებასა და სწავლას.

ანთიმს არ შეუქმნია განათლების თეოკრატიულ მოდელისადმი მიძღვნილი სპეციალური თხზულება, მაგრამ ნებისმიერი მისი ნაშრომი ,-„დიდაქეები“, „ძველი და ახალი აღქმის კომენტარები“, „ტრაქტატი სინანულის შესახებ“,- და სხვ. დიდაქტიკური ხასიათისაა. მათში გატარებულია რელიგიისა და მეცნიერების, რწმენისა და ცოდნის, გამოცხადებისა და გონების, ეკლესიისა და აკადემიის სინთეზის იდეა. თუ ათინასა და იერუსალიმის ცნობილ მეტაფორას გავიხსენებთ. სადაც ეს არის ორი ქალაქის- იერუსალიმი და ათენი,- სიმბოლურად აზროვნების ორ ურთიერთდაპირისპირებულ პოლუსს წარმოადგენს, რომელნიც გზაგასაყარზე არსებული აზროვნების საკუთრივ არსს გამოხატავსა და მის სპეციფიკას ქმნის, ანთიმისეული განათლების თეოკრატული მოდელი ემყარება იერუსალიმისა და ათენის სინთეზის იდეას. ამით იგი საფუძველს უყრის ჭეშმარიტად ინტერკულტურულ აზროვნებას, რომელიც ჩვენი ცნობიერების ახალი კონტურების გამოკვეთას ემსახურება და ჩვენივე სამყაროს მშვიდობიანი არსებობის უმნიშვნელოვანესი წინაპირობას ქმნის. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორი ურთიერთდაპირისპირებული პოლუსის შერიგება, მათ შორის ფუნდამენტური და არსებითი განსხვავების გათვალისწინებით ურთულესი ამოცანაა, ანთიმი ხედავს, რომ კაცობრიობის კულტურის მომავალი მათ მორიგებაშია, ისე რომ, თითოეული მათგანი საკუთარი ტრადიციის ერთგული უნდა დარჩეს და მის გაღრმავებას უნდა ესწრაფვოდეს. პოსტბიზანტიურ სამყაროში შექმნილ ანთიმის განათლების თეოკრატულ მოდელში ხაზი ესმევა პერსონული ნების პრიორიტეტულობასა და განათლების პროცესში მის გათვალისწინებას.

კოტონის თეოკრატულ პარადიგმა, რომელიც მეტაფორულად იერუსალიმის მოდელს განასახიერებს, ინდივიდის პერსონულობასა და თავისუფლებას უგულვებელყოფს. იგი ხასიათდება უკიდურესი ფორმალიზმით და ცალმხრივობით. განათლების მისეული მოდელიც ამ ხედვას ემყარება. საპირისპიროდ ამისა ანთიმოზ ივერიელის ნააზრევში,

რომელიც ხასიათდება კლასიკური აბსოლუტიზმითა და შორსაა ფორმალიზმისგან, არ ვხვდებით არცერთ ამ მახასიათებელს.

გამოყენებული ლიტარატურა

1. ლ. შვაიკარტი, დ. დოკერტი, მ. ალენი (2014), პატრიოტთა ისტორიის მასალები, თსუ გამ-ბა.
2. ანთიმოზ ივერიელი (2016), დიდაქეები და სხვა თხზულებები, გამ-ბა დობერა, თბილისი;
3. ა. ზაქარიაძე, ანთიმოზ ივერიელის მორალის ფილოსოფია (2016), წიგნში: ი. ბრაჭული, სხვ. „ანთიმოზ ივერიელი: ქართულ-ევროპული დიალოგი“, გამ-ბა დობერა, თბილისი;
4. Cotton, John (1646). Royster, Paul (ed.). "Milk for Babes " University of Nebraska, Lincoln Libraries. Retrieved 3 November 2012;
5. Emerson, Everett H. (1990). John Cotton (2 ed.). New York: Twayne Publishers;
6. Winship, Michael P. (2018).Hot Protestants: A History of Puritanism in England and America, Yale University Press, New Haven and London

Anastasia Zakariadze

PhD, Habilitated Doctor, Associated Professor

Ivane Javakhisvhili Tbilisi State University

Philosophical Foundations of Theocratic Mode of Education

(Anthim the Iberian *versus* Pastor John Cotton)

Presentation is prepared in the frame of Shota Rustaveli National Science *Foundation* of Georgia granted project #FR-19-7625 "Anthim the Iberian –A part of European Space of Thinking"

Summary

Article discusses two theocratic modes of education-two conceptions of the epoch of Enlightenment: philosophical foundations of the prominent representative of New England's Puritan theology, author of first catechism for children titled "Spiritual Milk for Boston Babes", considered the first children's book by an American, a preeminent minister John Cotton and conception of an author of East Orthodox "teachings" the great theologian Anthim the Iberian. Despite of essential differences, both have in common theocratic mode of education.

There is proved that ideas of protestant reformation had a great impact on the theory and practice of American enlightenment. Cotton's viewpoint is based on his covenant of grace-social and ecclesiastic agreement between God and human. His educational mode is based on antinomianism, radical formalism, one-sidedness. In Anthim's discourse we cannot meet any of these signs. On the contrary none of them is entirely acceptable for him. Priority of personal will personal freedom of choice and their integration in the process of education is the backbone of his mode.

Mმამუკა დოლიძე

***F*ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საბჭოთა იდეოლოგია და ამერიკული დემოკრატია. Kკონტრაპუნქტის პრინციპი

ამერიკული პოსტმოდერნული კულტურის და ხელოვნების პრაგმატიზმი მეტად საინტერესო ასოციაციას იწვევს იმ პარადოქსთან, საბჭოთა პერიოდის ხელოვნებასა და ლიტერატურაში რომ წარმოიშვა. პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ მიუხედავად ცენზურის და იდეოლოგიური ზეწოლის, ჩვენთან, XX საუკუნეში იყო ერთგვარი შემოქმედებითი რენესანსი.

შეიქმნა მნიშვნელოვანი ლიტერატურული ნაწარმოებები. მხატვრული შთაგონების მწვერვალები დაიპყრო პოეზიამ, მუსიკამ, თეატრმა, კინოხელოვნებამ... ეს დიდი მიღწევები მთელი გარდასული საუკუნის მანძილზე გასდევდა საბჭოთა კულტურას.

ძალაუნებურად გვეფიქრება, რომ მატერიალისტური მსოფლმხედველობა, რამაც უკიდურესად ვიწრო, ავტორიტატულ რეჟიმზე მორგებული იდეოლოგიის სახე შეიძინა, თითქოს ზღუდავდა და ამავე დროს თავისი წინააღმდეგობით სტიმულს აძლევდა კულტურისა და მეცნიერების პროგრესს. საბჭოთა შემოქმედი - მწერალი თუ ხელოვანი ცენზურასთან Bბრძოლაში საოცრად დაიხვეწა. მისმა ქმნილებამ ხელოვნების ნაწარმოების მრავალაზროვნება და მრავალფეროვნება შეიძინა. ალეგორიულ-გადატანითი სტილი, რაც პროზის და პოეზიის, მხატვრობის და კომპოზიციის სხვადასხვა ინტერპრეტაციებს იძლეოდა, მძლავრ იარაღს წარმოადგენდა ცენზურის და საბჭოთა დიქტატურის წინააღმდეგ. თვით ცენზორიც საბოლოო ჯამში, შემოქმედებითი პროცესების თანამონაწილედ და მხატვრული გემოვნების დამცველად უფრო შეიგრძნობდა თავს, ვიდრე ადამიანის შთაგონების შემზღუდავ და ხელისშემშლელ ძალად.

ამჟამად, ჩვენს საზოგადოებაში, სიტყვის თავისუფლების და დემოკრატიის ხანაში, როცა შემოქმედს ხელფეხი აქვს გახსნილი, როცა თითქოს მოხსნილია პოლიტიკური წნეხი, როცა ახალი სულიერი ღირებულებების ძიებაში უამრავი საინტერესო - სასიკეთო თუ შემაძრწუნებელი რამ ხდება ჩვენს გარშემო, მწერლის და ხელოვანის ფანტაზია სათანადოდ ვერ პასუხობს თანამედროვე სამყაროს გამოწვევებს; არ იქმნება იმ დონის შედევრები, ასე მრავალფეროვნად რომ იყო წარმოდგენილი საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებაში.

ეს პარადოქსი გვაფიქრებინებს, რომ თავისუფლება არის არა მდგომარეობა, არამედ პროცესი. შემოქმედის თავისუფლება ჩნდება და რეალიზაციას განიცდის წინააღმდეგობასთან ბრძოლაში, მისი დაძლევის ჟამს.

დიდი ქართველი ეროვნული მოღვაწე მერაბ კოსტავა წერდა, რომ ჩიტი ზეცაში არის თავისუფლების მხოლოდ აბსტრაქტული სიმბოლო; რომ ნამდვილი თავისუფლება ციხეში ჩნდება, ციხის კედლებთან ბრძოლის დროს. ეს მოსაზრება რომ განვაზოგადოდ, შეიძლება დავადგინოთ ხელოვნებაში მოქმედი, ე. წ. ,,კონტრაპუნქტის" პრინციპი.

მუსიკალურ კომპოზიციაში ეს პრინციპი ნიშნავს საწყისი თემის მიმართ დაპირისპირებული თემის შემოყვანას, რაც წარმოშობს დიალექტიკურ წინააღმდეგობას მათ შორის. მუსიკალური ნაწარმოები, ამ შინაგანი წინააღმდეგობის ტალღაზე განიცდის განვითარებას.

მატერიალისტური ცენზურა, თავისი მასობრივი კულტურის დევიზით « ხელოვნება ხალხისთვის » სრულიად უცხო აღმოჩნდა ჭეშმარიტი შემოქმედების არსობრივი პრინციპის მიმართ – ,,ხელოვნება ხელოვნებისთვის", სწორედ ამ სიუცხოვის და დაპირისპირების გამო, საბჭოთა იდეოლოგიამ ითამაშა სტიმულის გამომწვევი კონტრაპუნქტის როლი, მაღალმხატვრეული ლიტერატურის და ხელოვნების განვითარებაში.

Aამერიკულ პრაგმატულ დემოკრატიაში, თავისუფალი ბაზარიც იგივე პოზიტიურ როლს ასრულებს კულტურის მიმართ. მარკეტინგის პროცესი, რომელმაც მოიცვა კულტურის ინდუსტრია, მხატვრული ნაწარმოების წმინდა, ამაღლებულ არსთან დაპირისპირებულ, სარგებლიანობის პრინციპს გვთავაზობს, რასაც პრაგმატული მომენტი შეაქვს შემოქმედების ესთეტიკაში. ასეთი პრაგმატიზმი შეუფერებელია წმინდა ხელოვნების მეტაფიზიკურ არსთან. სწორედ ეს შეუფერებლობა ქმნის იმ საპირისპირო პოლუსს, რომელიც კონტრაპუნქტის პოზიტიურ როლს თამაშობს პოსტმოდრენული შემოქმედების განვითარებაში.

ნაწარმოებს ესთეტიკური ფასეულობა ენიჭება მხატვრული აზრის ქმნადობის დინამიურ პროცესში. ისევე, როგორც პოტენციალთა სხვაობა იწვევს ელექტროდენის გავლას დადებით და უარყოფით ელექტროდებს შორის, ასევე მხატვრული

ნაწარმოების ქმნადობაც ხდება განსხვავებულ ღირებულებათა პოტენციალთა სხვაობის ტალღაზე - ამაღლებულ ხელოვნებას და მის კონტრაპუნქტს (საბაზრო ეკონომიკას) შორის არსებულ დიალექტიკურ წინააღმდეგობაში.

ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს თავისუფალი ბაზრის პოზიტიურ მნიშვნელობას თანამედროვე, კაპიტალისტურ კულტურაში.

კულტურის და ეკონომიკის დიალექტიკური ერთიანობა შემოქმედების ახალ ჰორიზონტს ქმნის. არა მხოლოდ ინდუსტრია იჭრება ხელოვნებაში, თავისუფალი ბაზარიც იძენს ფიზიკური მომხვეჭელობის საპირისპირო სულიერებას. ფულის ბატონობის გაუქმება ხდება ინტელექტუალური, სოციალური და სულიერი კაპიტალის ფენომენებით. ქველმოქმედება, ფირმის მიერ სახელის მოხვეჭა, საბოლოო ჯამში უფრო მომგებიანია, ვიდრე სარგებლიანობის პრინციპი.

საინტერესოა ამ მხრივ ინგლისელი ეკონომისტის, ადამ სმიტის თეორია, რომ რაც უფრო მეტს ფიქრობს ბიზნესმენი პირად გამდიდრებაზე და არ ზრუნავს ხალხზე, მით^ მეტი სიმდიდრე და სიკეთე მოაქვს საზოგადოებისთვის. ამ პარადოქსულ თვალსაზრისშიც, რაც კერძო საკუთრების მარქსისტული უარყოფის ანტითეზაა, კონტრაპუნქტის ფენომენოლოგიური პრინციპი შეიძლება დავინახოთ.

კომპიუტერულ ეპოქაში ჩამოყალიბებულ ინფორმაციულ საზოგადოებას საბაზრო ეკონომიკაში შეაქვს ცოდნა, როგორც გონებრივი შრომის პროდუქტი. ეს ინტელექტუალური კაპიტალი მნიშვნელოვნად ცვლის თანამედროვე ბიზნესის პრაგმატულ სამყაროს. ამავე დროს შემოდის სოციალური კაპიტალის ცნებაც, რაც კომერციული ჯგუფების ურთიერთნდობაზე, თანაშემოქმედებაზე და ერთსულოვან მიზანსწრაფვაზეა ორიენტირებული. კაპიტალის ამ ორ ახალ სახეობას აერთიანებს სულიერი კაპიტალის ცნება.

აღნიშნულ პრობლემას ეძღვნება ინგლისურენოვანი ფილოსოფოსების, იან მარშალის და დანა ზოჰარის მონოგრაფია _ სულიერი კაპიტალი.

წიგნის ავტორები განავითარებენ აზრს, რომ თანამედროვე სამყაროს გამოწვევების ფონზე უნდა გადასხვაფერდეს არა მხოლოდ კულტურა და ბიზნესი, არამედ ამ ორ სფეროში ჩართული ადამიანის ფსიქიკაც. ინტერესთა თანხვედრის

საფუძველზე ინდივიდმა უნდა მოახდინოს სულიერი ინტეგრაცია კომერციულ ჯგუფთან, რათა შეიქმნას უფრო გაფართოებული « მეობა », - წარმატებაზე ორიენტირებულ თანამზრახველთა ერთსულოვნება. ჰაბერმასის კომუნიკაციურ მოქმედებათა თეორია, რომელიც განსხვავებულთა მსგავსებას ემყარება, აქ არსებით როლს თამაშობს.

წიგნში არის გამოთქმული მოსაზრება, რაც საკამათოდ მიგვაჩნია. ავტორები წერენ, რომ სულიერი კაპიტალი ადამიანთა უზოგადეს ღირებულებებზეა ორიენტირებული : სიკეთეზე, სილამაზეზე, თანაგრძნობაზე, მორალზე.

რელიგიური განწყობაც, მათი აზრით სულიერ კაპიტალს ეხება, ოღონდ აქ სულიერების სფერო საეკლესიო დოგმატური პრინციპებით არის შეზღუდული. სხვადასხვა კონფესიები ერთმენეთს ეწინააღმდეგებიან და განსხვავებულ ფასეულობებს ქადაგებენ. სულიერი კაპიტალისთვის ასეთი საზღვრები მიუღებელია. კაცობრიობის საგანძური იტევს ყველაფერს, რაც ღირებულია ადამიანის ცხოვრებაში.

ეს დასკვნა განმანათლებლობისა და ჰუმანიზმის სტილშია გამოთქმული. ჰუმანიზმი და ეგზისტენციალიზმი, რაც ქრისტიანული მსოფლმხედველობის ალტერატიული გზაა, ასევე შემოფარგლულია გარკვეული ფილოსოფიური პრინციპებით. საერთოდ სულიერი კაპიტალი, როგორც მაღალ მატერიათა უსაზღვრო სფერო არც შეიძლება არსებობდეს. განზოგადოებას ამ სფეროშიც აქვს თავისი საზღვარი. ამ საზღვრის გადასვლამ შეიძლება საპირისპირო ეფექტი მოგვცეს, ადამიანურ ღირებულებათა გაუცხოებისა და დევალვაციის სახით.

ამ შემთხვევაში ავტორთა პოზიცია გვესახება იმ პოზიტიურ კონტრაპუნქტად, რომელმაც სულიერი კაპიტალის ფენომენში შეიძლება დაგვანახოს განვითარების ახალი გზა, რაც საბოლოო ჯამში, დემოკრატიული საზოგადოების კოსმოპოლიტურ საზრისზე და თეოლოგიურ პერსპექტივაზე მიგვანიშნებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. The Journal – Culture and Philosophy. 2012 – 2013. Kostava Merab « The freedom » Pp. 10 – 15. (უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ბაზაზე)

2. Dana Zohar, Ian Marshal. The book - Spiritual Capital. San Francisco, 2004, pp. 1-8 ; 21- 31.

Mamuka Dolidze

PhD, Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Soviet Ideology and American Democracy. Counterpoint Principle

Summary

XX century Science, Art and Literature, In the framework of Soviet Union present rather strange, even paradoxical phenomena. There was some kind of Renaissance in development of culture, despite the Ideological pressure and strong censorship.

In present day life, in time of freedom of word, we can not encounter with same success of creative works, which we observed in Soviet period.

To explain this paradox, let's consider the counterpoint principle.

In musical composition this principle means to introduce the theme, which sounds as an opposition to the major premise. On the wave of contradiction between these two opposite poles, the stream of music develops toward the final point.

Soviet ideology restricted the freedom of creativity and played a role of counterpoint in artistic development of creative thought. This positive effect of negative obstacles provided the soviet culture with prosperity.

American Democracy seems to be free from ideological pressure. In American culture the part of counterpoint plays a free market. Business and Economical demands introduce in art and literature principle of profitability. Such pragmatic attitude is totally alien for the exalted spirit of impartial, pure art.

In our essay we try to show that this alienation has positive, productive sense. It provokes, like a counterpoint the artistic thinking and provides the American culture with new horizon of development in infinite perspective of human creative activity.

დემურ ჯალაღონია

ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პოლიტიკური თეოლოგიის დაფუძნების კონცეპტუალური გააზრების მცდელობა

(ანთიმოზ ივერიელი-მეიფლაუერის ხელშეკრულება)

მოხსენება მომზადდა შოთა რუსთაველის სესფ გრანტის „ანთიმოზ ივერიელი-ევროპული სააზროვნო სივრცის ნაწილი“ #FR-19-7625 ფარგლებში

“მეიფლაუერის ხელშეკრულების” არსი აღთქმული ქვეყნის, სრულიად ახალი პოლიტიკურ თეოლოგიური მსოფლმხედველობისა და ღირებულებების მატარებელი სახელმწიფოს შექმნის იდეას ემყარება. პურიტანიზმის ინტელექტუალური ელიტის მიერ გაცხადებული ,,ახალი მრწამსი”, პოლიტიკური თეოლოგიის საფუძველზე აფუძნებდა ახალ პოლიტიკურ ერთობას.

პარალელურად განმანათლებლობის ეპოქის ევროპაში ახალი პოლიტიკური თეოლოგიური დისკურსის იქმნება ანთიოზ ივერიელის მიერ. მისი თხზულებებში, განსაკუთრებით ტიპიკონში ცენტრალურია იდეა რწმენისა და ცოდნის ერთიანობისა და ღმერთის მიერ შექმნილი ქვეყანის როგორც ყველასთვის თავისუფალის შესახებ. მისი პოლიტიკურ-თეოლოგიური მოწოდება მანიფესტივით ჟღერს ,,ხალხს, რომელსაც ღმერთი არ უყვარს და რომელსაც ჩვენი დამონება უნდა, უნდა ვებრძოლოთ“

მოხსენებაში ვეცდებით გავაანალიზოთ წარმოდგენილი ორი მოდელი, ორ განსხვავებულ სააზროვნო კონცეპტებს შორის დისკურია. რამდენადაა შესაძლებელი თეოლოგიურ საწყისებზე, სიკეთის, ღირსების, თავისუფლების მატარებელი სახელმწიფოს დაფუძნება.

***

ოთხი ასეული წელი გვაშორებს „მეიფლაუერის ხელშეკრულებიდან“. მნიშვნელოვანი ფაქტია. მეიფლაუერის ბილის (ავტორები უილიამ ფრიუსტერი, უილიამ ბრენფორდი) არსი არის აღთქმული ქვეყნის, სრულიად ახალი პოლიტიკურ თეოლოგიური მსოფლმხედველობისა და ღირებულებების მატარებელი სახელმწიფოს შექმნის იდეა.

ლეგენდარული მეიფლაუერის ხომალდი, რომელიც ამერიკის კონტინეტს მიდგა, სადაც განხორციელდა ხელშეკრულების გაცხადება, სიმბოლოა ახალი პროექტის, სხვასხვა სოციალური ფენისა და ინტერესების მატარებელი ადამიანთა ერთობის განხორციელებისა, რომლიც კონცეპტუალურად გააზრებულია პურიტანიზმის

ინტელექტუალური ელიტის მიერ. ეს იყო ,,ახალი მწამსი'', რომელიც პოლიტიკური თეოლოგიის საფუძველზე აფუძნებდა ახალ პოლიტიკურ ერთობას.

ეს იყო პურიტანული თეოლოგიური შეხედულებათა სისტემა ამერიკული ცნობიერების საფუძვლების შესახებ. ამერიკული დემოკრატიის დიდი მკვლევარი ალექსის ტოკვილი აღნიშნავდა; ,,ამერიკაში ერთ-ერთი ყველაზე თავისუფალი და განათლებული ერი გულმოდგინედ აღასრულებს ყველა რელიგიურ წეს-ჩვეულებას... რელიგია აღრეულია ყველა ეროვნულ ჩვევასა და ყველა პატრიოტულ გრძნობასთან, ეს კი მას საოცარ ძალას ანიჭებს. ჩვენ შეიძლება ამას ვუწოდოთ ახალი პოლიტიკური თეოლოგიური ხედვა და მისი პრაქტიკაში განხორციელების მცდელობა''.

მოგეხსენებათ ეს იდეები ნასაზრდოები იყო ევროპული პოლიტიკური ფილოსოფიური იდეებით და განმანათლებლობით, რომელიც ატარებდა თეოკრატიის მოდელის საპირისპირო ნიშნებს. რადგან თეოკრატიაში კანონის წყარო უშუალოდ ღმერთია, ისინი, ვისაც არ უნდა რელიგიური წესით ან კანონით ცხოვრება, ავტომატურად არათანაბარ მდგომარეობაში არიან ჩაყენებულნი.

სეკულარულ სახელმწიფოში მორწმუნეს ყველა საშუალება აქვს, რელიგიური წესით იცხოვროს. სწორედ ასეთ პოლიტიკურ გამწვავების პერიოდში ვლახეთს მხსნელად მოევლინა ახალი პოლიტიკური თეოლოგიური დისკურსის შემქმნელი ანთიოზ ივერიელი.

მას კარგად აქვს გააზრებული ეკლესიისა და სახელმწიფოს მიმართება, ანთიმოზ ივერიელმა ,,ყოვლად წმიდათა'' მონასტერს დაუწესა წესდება-ტიპიკონი. მთავარი თემა ტიპიკონისა არის ,,ღმერთმა ეს ქვეყანა თავისუფალი შექმნა ყველასათვის''. მაღალ ღმერთს მიაჩნია, რომ ამ ქვეყნად მხოლოდ კეთილი საქმე უნდა მოიმოქმედო ღარიბებისა და ეკლესიისათვის... იგი თავისი ქმედებით გვევლინება რწმენისა და ცოდნის ერთიანობის ტრადიციის გამგრძელებლად. როგორც დიდი ღვთისმეტყველისთვის და თეოლოგიისთვის გელათური აზროვნების პრინციპები შორეული არ უნდა ყოფილიყო. გელათი ეს იყო ერთდროულად ,,ათენა'' და ,,იერუსალიმი'', კლასიკური სამეცნიერო აკადემია და ღვთისმშობლის ტაძარი.

ივერიელი გამოირჩევა თავისი პოლიტიკური მოღვაწეობითაც, ის არის დაუცხრომელი მებრძოლი ვლახელი ხალხის განთავისუფლებისა უცხოელი დამპყრობთა ჩაგვრისაგან. მისი პოლიტიკურ თეოლოგიური მოწოდება მანიფესტივით ჟღერს ,,ხალხს, რომელსაც ღმერთი არ უყვარს და რომელსაც ჩვენი დამონება უნდათ, უნდა შევებრძოლოთ და ვლახელი ხალხი ვიხსნათ ,,ბაბილონური მონობისაგან''

შუა საუკუნეებში ვხვდებით ნაშრომს, სადაც ავტორები იხილავენ ეკლესიის მიერ სახელმწიფოზე ბატონობის ლეგიტიმაციას. ავგუსტინესთან კეთილდღეობა მიწიერ საზოგადოებაში ძნელად მისაღწევია. ღვთაებრივი ქალაქი „წმინდა რესპუბლიკა“, სადაც ადამიანებს უყვართ ერთმანეთი, უყვართ ღმერთი, განკითხვის დღის შემდეგ, როდესაც უწმინდური მიწიერი ქალაქი ბაბილონი დაინგრევა, ადგილი დაეთმობა ზეციურ იერუსალიმს. მაგრამ აქვე ავგუსტინე მიიჩნევს, რომ მიწიერ ქალაქში, რომელიც სათავეს კაენის დაწყევლილი შტოდან იღებს, შეიძლება მეტ-ნაკლებად სამართლიანი წესრიგი სუფევდეს.

გარკვეულ პირობებში მიწიერი ქალაქი გარკვეულწილად შეიძლება გახდეს წინამორბედი ან არასრულყოფილი სარკე ღვთის ქალაქისა. ამის მსგავსად, ქრისტიანს შეუძლია იყოს აქტიური მოქალაქე: ჯარისკაცი, მოსამართლე, იმპერატორი.

„მიეცი კეისარსა კეისრისა“ სენტენციაა, რომელსაც იცავს თვით ქრისტეც, რომელიც არ ცდილობს გადაატრიალოს ის პოლიტიკური წყობა და ემორჩილება პოლიტიკური ძალაუფლების გადაწყვეტილებებს.

სწორედ ჩვენს მოხსენებაში ვეცდებით გავაანალიზოთ წარმოდგენილი ორი მოდელი, რომელშიც აშკარად დავინახავთ, რომ ხელისუფლება ხასიათდება სხვადასხვა უნარით - თუ როგორ ანაწილებს სიკეთეებს. სიკეთეების გადანაწილებით გამოიყოფა ორი ჯგუფი: პოლიტიკური სიკეთეები, რომელიც დაკავშირებულია ძალადობასთან და რელიგიური სიკეთეები, რაც დაკავშირებულია საკრალურთან.

ეკლესია ეფუძნება სივრცულ წესს (ეკლესია, საეპისკოპოსო და ა.შ.), რომელიც აღარ არის მიმართული ტერიტორიის უშუალო კონტროლისკენ თანამედროვე სამყაროში. იმ აზრით, რომ ის ცდილობს მოახვიოს თავის სულიერ საზღვრებში, სახელმწიფო მიზნად

ისახავს განავრცოს თავისი ხელისუფლება ყველაზე, ვინც ცხოვრობს მოცემულ ტერიტორიაზე, იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ის აკონტროლებს.

იქ, სადაც ეკლესიამ უარი თქვა პოლიტიკური როლის უშუალო შესრულებასა და ტერიტორიის გაკონტროლებაზე, მას აუცილებლად სჭირდება სახელმწიფოსთან კავშირი.

პოლიტიკური ხელისუფლება - ფიზიკურ ძალადობას იყენებს.

რელიგიური ხელისუფლება ფსიქიკურ მანიპულაციას მიმართავს.

უძველესი დროიდან დღემდე გრძელდება ორ განსხვავებულ სააზროვნო კონცეპტებს შორის დისკურსი. არსებითი დავა იმაზე როდია, თუ რომელი მათგანი მოუტანს ადამიანს სიკეთეს. რომელი გზა წარმართავს მის ცხოვრებას უკეთესობისაკენ. სხვა არაფერია თუ არა ფიქრი ადამიანის უკეთესი ცხოვრების შესახებ.

ქრისტიანობა ხედავს ადამიანში ორ თვალშისაცემ არსობრივ შტრიხს: ადამიანი არის ღმერთის ხატი და მსგავსი ,,ვქმნი კაცი ჩვენს ხატად და მსგავსად''. მაგრამ ამავე დროს ადამიანის ქრისტიანული გაგება ხაზს უსვამს მის დაცემულობას, შეცოდებას, სასრულობას... ქრისტიანობაში მუდამ მხედველობის არეშია ადამიანის ნეგატიური და პოზიტიური გაგება. ამა თუ იმ ეპოქის ფილოსოფიის ისტორიის შესწავლისას უნდა მივიღოთ ფილოსოფიის გარკვეული განსაზღვრება, რომელიც გამოსადეგია ამ ეპოქის აზროვნებისათვის.

ფედერალისტური წერილების (51-ე წერილი) მიხედვით ადამიანი არ არის ანგელოზი: "ადამიანები ანგელოზები რომ იყვნენო"). I წერილის თანახმად, კი ადამიანს განსჯისა და არჩევნის გაკეთების უნარი ახასიათებს; ამგვარ შესაძლებლობას კი პრინციპულად არის მოკლებული ცხოველი. ამრიგად, დამფუძნებელთა შეხედულებით, ადამიანი არის განსჯითა და არჩევნის გაკეთების უნარით, ანუ გონებით დაჯილდოებული არასრულყოფილი არსება.

როგორ შეძლებს ეს არსება -ადამიანი, თეოლოგიურ საწყისებზე, სიკეთის, ღირსების, თავისუფლების მატარებელი ინსტიტუცის დაფუძნებას-ამაზე გვექნება ვრცლად მოხსენებაში საუბარი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანთიმოზ ივერიელი, **დიდაქეები და სხვა თხზულებები, გამ-ბა დობერა,** თბილისი 2016

2. ი. ბრაჭული, ა. ზაქარიაძე, ვ. რამიშვილი, ა. ქშუტაშვილი, დ. ჯალაღონია, „ანთიმოზ ივერიელი: ქართულ-ევროპული დიალოგი“ , გამ-ბა დობერა, თბილისი, 2016

3. ალექსანდრე ჰამილტონი, ჯეიმს მედისონი, ჯონ ჯეი. ფედერალისტური წერილები, თბილისი, 2008,

4. ალექსის დე ტოკვილი – „დემოკრატია ამერიკაში“ თბილისი 2010

5. ჯენეთ ჯანდა, ჯეფრომ ბერი, ჯერი გოლდმენი, ამერიკული დემოკრატია, თბილისი, 2006,

6. დომინიკ კოლა- პოლიტიკური სოციოლოგია. თბილისი, 1999

7. ლეო შტრაუსი- იერუსალიმი და ათენი,თბილისი, 2013.

8.ჯალაღონია დემური- ანთიმოზ ივერიელი, თეოლოგიური და პოლიტიკურ დისკურსი. კრ-ში: საქართველო და ევროპული სამყარო, ფილოსოფიურ-კულტურული დიალოგი. თსუ, 2009.

Demur Jalaghonia

PhD, Professor

Ivane Javakhishvili

Tbilisi State University

An Attempt of Conceptualization of Political Theology's Foundation

(Anthim the Iberian –"Mayflower Bill")

A Presentation is prepared in the frame of Shota Rustaveli National Science *Foundation* of Georgia granted project #FR-19-7625 "Anthim the Iberian –A part of European Space of Thinking"

Summary

An essence of "Mayflower Bill" rests on an idea of Promised Land, creation of a state based on entirely new political-theological worldview and values. "New belief" declared by intellectual elite of Puritanism established new political unity.

At one time in European Enlightenment epoch a new political-theological discourse was created by Anthim the Iberian. In his works, especially in "Typicon", the ideas of unity of belief and knowledge and everybody is free in a world created by God, are central. His political-theological appeal sounds like manifesto "people who does not love God and who wants to enslave us, we have to fight".

In our presentation we try to analyze two models, discussion between two different concepts. Is it possible to establish state based on theological principles of goodness, virtue, freedom?